Liberteens

Liberteens თინეიჯერების ჯგუფია, რომელიც კითხულობს და არჩევს მათ თაობაში თანამედროვე, პოპულარულ უცხოურ ლიტერატურას, რომელსაც შემდგომ „გამომცემლობა პალიტრა L" ქართულ ენაზე გამოსცემს. მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდი" სწორედ მათი არჩეული წიგნია.

რას ფიქრობს **Liber**teens ამ წიგნზე?

ხშირად მსმენია მეორე მსოფლიო ომის ისტორიები სამხედრო პირებისგან, მწერლებისგან, ისტორიკოსებისგან, თუმცა იგი არასოდეს მოუყოლია სიკვდილს, სანამ „წიგნის ქურდი" არ წავიკითხე. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული წიგნები არ მხიბლავს, ამ წიგნმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე და შემაცვლევინა - გერმანელებზე ამრი, რომლებიც ზუზაკმა წიგნში დადებით პერსონაჟებად წარმოგვიდგინა.

თეკლა, 17 წლის

„წიგნის ქურდის" ერთი სიტყვით დახასიათება რომ მთხოვონ, მე მას კეთილ წიგნს ვუწოდებდი. რადგან მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მიმდინარე შემზარავი პროცესების თხრობის ფონზე, მარკუს ზუზაკმა შესანიშნავად შეძლო ადამიანური სითბოს, თანადგომისა და მეგობრობის მკითხველამდე მოტანა.

თაია, 18 წლის

„წიგნის ქურდი" თითქმის ყველაზე საყვარელი წიგნია, რაც წამიკითხავს. მასში რაღაც ძალიან ძველი და თან მისტიკურია. არ ვიცი, კონკრეტულად რომელ ჟანრს მივაკუთვნო, თვითონაა ცალკე ჟანრი და ასეთი წიგნები ძალიან იშვიათია. „სანთლით საძებარიო", რომ იტყვიან, — ისეთია.

რეზი, 17 წლის

ეს არის წიგნი მეგობრობაზე, სიყვარულზე, თანადგომაზე და რაც მთავარია სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე. იმაზე, თუ როგორ ცვლის ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები ყველაფერს. რეალიზმითა და სიცოცხლით სავსე წიგნია, რომელსაც ძალიან ბევრჯერ გადაშლით.

ბაია, 17 წლის

ამ წიგნის კითხვას რომ დაიწყებთ, გაჩერება და წიგნის გვერდზე გადადება გაგიჭირდებათ. ბევრი ადგილი ძალიან ემოციურია და ცრემლებიც კი წამოგივათ. თავს პატარა ლიზელის ადგილას იგრძნობთ და მის მწუხარებასა და სიხარულს გაიზიარებთ. მოკლედ, ვისაც წაკითხული არ გაქვთ, გილოცავთ, რადგან თქვენ მისი პირველად წაკითხვის ბედნიერება გელით.

ანი, 13 წლის

მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდი“
მსოფლიო გამოხმაურება

„საუცხოო და მეტისმეტად ამბიციური. წიგნი, რომელსაც შეუძლია, ცხოვრება შეცვალოს“.
NEW YORK TIMES BOOK REVIEW

„წიგნების თაროზე „ანა ფრანკის დღიურის“ გვერდით იმსახურებს ადგილს – მზადაა, კლასიკად იქცეს“.
USA TODAY

„ეს არის თვალსაწიერის გამაფართოებელი, ამაფორიაქებელი, სიცოცხლის გამამართლებელი რომანი. რომანი მარცხსა და გამარჯვებაზე. „წიგნის ქურდი“ დიდოსტატის მონათხრობია“.
GUARDIAN

„ზუზაკმა შეძლო, ვითომდა პირქუში სიკვდილი ისეთივე ასატანი გაეხადა, როგორც ეს კურტ ვონეგუტმა მოახერხა „სასაკლაო ნომერ ხუთში", თავისი სასტიკი, ძნელადმანუგეშებელი იუმორით“.
TIME

„მნიშვნელოვანი რომანი, რომელიც საერთაშორისო აღიარების ღირსია... დაწერილი ლამაზად და გაჟღენთილი შიშით... „წიგნის ქურდს“ სიკვდილი ასე გვაცნობს: „უამრავი ამბავია... რომლებიც მეხმარება, სამუშაოს მოვწყდე...“ „წიგნის ქურდი" არის მცდელობა, ოდნავ მაინც შეიცვალოს სამყარო, იგია შთამაგონებელი სიგიჟის მტკიცებულება“.
DAILY EXPRESS

„სიკვდილის შენიშვნა – ვერასოდეს გავიგებ, ვერასოდეს ჩავწვდები, რაზე წამსვლელია ადამიანი“ – ზედმიწევნით ასახავს სამყაროს იმ თამამ და სასტიკ ცვლილებებს, რაც „წიგნის ქურდშია“ გადმოცემული“.
DAILY MAIL

გაყიდულია 15 მილიონზე მეტი ეგზემპლარი!
თარგმნილია 40 ენაზე!

წიგნის ქურდი

მარკუს ზუზაკი

ინგლისურიდან თარგმნა
ნათია ჩუბინიძემ

თბილისი 2015

რედაქტორი
თამარ ჟურული

კორექტორები:
ნინო ბიძინაშვილი
მარინა ინანიშვილი
მარი გუნთაიშვილი

პროექტის მენეჯერი
თინათინ ფეიქრიშვილი

დიზაინერი
ლაშა გიორგაძე

ილუსტრატორი
ტრუდი უაიტი

ტექნიკური რედაქტორი
სოფიო ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ლევან ლაცაბიძე

Originally Published as The BookThief by Markus Zusak
Text Copyright @Markus Zusak 2005
Illustrations copyright @ Trudy White 2005
All rights reserved

© გამომცემლობა პალიტრა L, 2015
ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

238-38-71 book@palitra.ge www.palitral.ge

ISBN 978-9941-21-029-7

სამადლობელი

პირველ რიგში მადლობას ვუხდი ანა მაკფარლენს (უზომოდ თბილსა და მცოდნეს) და ერინ კლარკს (შორსმჭვრეტელობისთვის, სიკეთისათვის და საჭირო დროს საჭირო რჩევისთვის).

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბრაი ტანიკლიფს, რომელიც მითმენდა და ცდილობდა, დაეჯერებინა, რომ რედაქტირებას დროულად დავასრულებდი.

დავალებული ვარ ტრუდი უაიტისგან, მისი თავდაჭერილობისა და ნიჭიერებისთვის. ჩემთვის დიდი პატივია, მისი ნახატები ჩემი წიგნის გვერდებზე რომ არის განთავსებული.

წიგნის დაწერა შეუძლებელი იქნებოდა კეიტ პეტერსონის, ნიკი ქრისტერის, ჯო ჯარას, ენიზ ლინდოპის, ჯეინ ნოვაკის, იონა ინგლისისა და კეთრინ დრეიტონის გარეშე. დიდი მადლობა თქვენ, ასეთი ძვირფასი დრო რომ დაგვითმეთ მე და ჩემს მოთხრობას. სიტყვებით ძნელია, გადმოვცე, როგორი მადლობელი ვარ.

ასევე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „სიდნეის ებრაულ მუზეუმს“, „ავსტრალიის ომის მემორიალს“, დორის სიდერს „მიუნხენის ებრაული მუზეუმიდან“, ენდრიუს ჰოისლერს „მიუნხენის საქალაქო არქივიდან“ და რებეკა ბილერს (რომელმაც მომაწოდა ინფორმაცია ვაშლის ხეების სეზონურ თავისებურებებზე).

მადლიერი ვარ დომენიკა ზუზაკის, კინგა კოვაჩისა და ენდრიუ ჯონსონის, გამამხნევებელი სიტყვებისა და მოთმინებისათვის.

დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ლიზა და ჰელმუტ ზუზაკებს — იმ ამბებისთვის, ძნელად დასაჯერებელი რომ გვეჩვენება, სიცილისთვის და იმისთვის, მეორე ნაპირი რომ მიჩვენეს.

— მარკუსი —

ელიზაბეთ და ჰელმუტ ზუზაკებს
დიდი სიყვარულითა და პატივისცემით

პროლოგი

ნანგრევების მთიანეთი

რომელშიც მთხრობელი გვაცნობს საკუთარ თავს,
ფერებსა და წიგნის ქურდს

სიკვდილი და შოკოლადი

ჯერ ფერები.
მერე ადამიანები.
ჩვეულებრივ, როგორ ვხედავ საგნებს.
დაბოლოს, როგორ ვცდილობ.

ერთი პატარა ფაქტი

თქვენ მოკვდებით

მსურს, გულწრფელად და მხიარულად ვისაუბრო თემაზე, რომელიც, ჩემი პროტესტის მიუხედავად, დამიჯერეთ, ძალიან მძიმეა ადამიანთა უმეტესობისთვის. გემუდარებით, მენდეთ. მეც შემიძლია, ხალისიანი ვიყო. სასიამოვნოც, სანდომიანიც, სასურველიც და ეს ყველაფერი მხოლოდ ასო-ბგერა ს-ზე; უბრალოდ, არ მთხოვოთ, საყვარელიც იყავიო, ნამდვილად არ ვარ ასეთი.

რეაქცია ზემოხსენებულ ფაქტზე

ნუთუ, ეს გადარდებთ?
გთხოვთ, არ შეშინდეთ,
მე უბრალოდ სამართლიანი ვარ.

რასაკვირველია,
დასაწყისისთვის უნდა გაგეცნოთ.
ოჰ, როგორ ვიქცევი?

შემეძლო, როგორც წესია, გაგცნობოდით, მაგრამ საჭირო არ არის. ისედაც კარგად მიცნობთ და მალე მნახავთ კიდეც, ეს მრავალნაირად შეიძლება. საკმარისია გითხრათ, რომ დროის რომელილაც მონაკვეთში, ჩვეულებრივ, მოგაკითხავთ, თქვენს სულს მივიღებ, მხარზე საღებავი მექნება შერჩენილი, ნაზად აგიყვანთ ხელში.

იმ წუთებში, ალბათ, იწვებით (იშვიათად ვწვევივარ ფეხზე მდგომ ადამიანს), საკუთარ სხეულში გახვეული, უცაბედად აღმომაჩენთ და თქვენი კივილი ჰაერს გააპობს. ამის მერე მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ამოსუნთქვის, სუნისა და ნაბიჯების ხმას გავიგონებ.

საინტერესოა, რა ფერის იქნება გარემო ჩემი მოსვლის ჟამს? მაგალითად, ცა?

პირადად მე შოკოლადისფერი მირჩევნია, მუქზე მუქი შოკოლადისფერი. ადამიანები თვლიან, რომ მიხდება, მეც ასე ვფიქრობ. თუმცა, ვცდილობ, ყველა იმ ფერით დავტკბე, რომელსაც ვხედავ — ფერთა გამით. მილიარდობით არომატია და ყველა — განსხვავებული. და არის ცა, რომელსაც ნელ-ნელა ვიწოვ. ეს ცოტათი მიმსუბუქებს სტრესს და მოდუნებაში მეხმარება.

ცოტა რამ თეორიიდან

ადამიანები ფერებს მხოლოდ დილიდან საღამომდე არჩევენ. მე კი
შესანიშნავად ვიცი, დღე-ღამე ყოველწამიერად ერწყმის უამრავ ჩრდილსა და
ტონალობას. ერთი საათი შეიძლება ათასობით ფერისგან შედგებოდეს. ცვილისფერი ყვითლისგან, ღრუბლიანი ცისფრისგან.
უკუნი სიბნელე.
ჩემი სამსახურის გამო,
ფერებმა გამიტაცა.

სწორედ იმაზე მიგანიშნებთ, რომ ჩემი გადარჩენის საიდუმლო ყურადღების გადატანაშია, ეს მშველის, ჯანსაღ ფსი-

ქიკას მინარჩუნებს და მეხმარება, საქმეს თავი გავართვა — გასათვალისწინებელია, რომ ძალიან დიდი ხანია, ამ საქმეში ვარ. ერთი რამ მაწუხებს — ვინ შემცვლის? ვინ დაიკავებს ჩემს ადგილს, თუკი შვებულებაში გავალ და მრავალრიცხოვანი კურორტებიდან ერთ-ერთზე დავისვენებ — ტროპიკულზე ან სამთო-სათხილამუროზე? პასუხი ერთია — არავინ. ამიტომ სხვა გზა არ მაქვს, ყურადღების გადატანა, თავის შექცევა უნდა ვაქციო შვებულებად. ალბათ, საჭირო აღარ არის თქმა, რომ ვისვენებ ნანყვეტებად. ფერებში.

შესაძლოა, მკითხოთ, შვებულება რაში მჭირდება ან ყურადღების გადატანას რა თავში ვიხლი?

ამას მომდევნო პუნქტამდე მივყავართ.

ცოცხლად დარჩენილ ადამიანებამდე.

გადარჩენილებამდე.

მათ ცქერას ვერ ვიტან მრავალ მიზეზთა გამო, სწორედ მათგან გადამაქვს მზერა და ვეძებ ფერებს, მაგრამ დროდადრო მაინც მიწევს, დავინახო მონმეები, ისინი, ვინც რჩებიან — სასოწარკვეთილნი, გაოგნებულნი და თავზარდაცემულნი. გულები აქვთ გატეხილი, სუნთქვა ეკვრით.

ასე მივედი ამბამდე, რომელსაც მოგიყვებით ამ საღამოს, ან ამ დილით, ფერსა და საათს არ აქვს მნიშვნელობა. ჩემი მონათხრობი ეხება მას, ვინც გადარჩენის დიდოსტატია.

მოკლედ, ეს პატარა მოთხრობა ძირითადად აი, რაზეა:

- გოგონაზე.
- სიტყვებზე.
- აკორდეონისტზე.
- რამდენიმე ფანატიკოს გერმანელზე.
- ებრაელ ჩხუბისთავზე.
- და არაერთ ქურდობაზე.

წიგნის ქურდი სულ სამჯერ ვნახე.

ლიანდაგებთან

თავიდან რაღაც თეთრი მოჩანს. დამაბრმავებლად თეთრი.

ზოგიერთი თქვენგანი ალბათ ფიქრობს, რომ თეთრი ნამდვილი ფერი არ არის. დამღალა მსგავსმა სისულელეებმა. აქ იმისთვის ვარ, გითხრათ, თეთრი ნამდვილი ფერია-მეთქი და არა მგონია, ჩემთან კამათი მოინდომოთ.

დამაიმედებელი განცხადება

გემუდარებით, დამშვიდდით. მართალია,
ეს-ესაა დაგემუქრეთ,
მაგრამ ეს ტრაბახი უფრო იყო. სრულებით არ ვარ
სასტიკი,
არც ღვარძლიანი.
მე შედეგი ვარ.

დიახ, თეთრი იყო.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დედამიწამ თეთრი კაბა გადაიცვა. ლიანდაგებს თოვლში ჩაფლული ნაფეხურები მიუყვებოდა. ხეებს ყინულის საბანი ეხურა. ალბათ მიხვდით, ვიღაც მოკვდა.

მიცვალებულს ძირს ვერ დადებდნენ. მართალია, ჯერჯერობით ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ ძალიან მალე გზას გაწმედდნენ და მატარებელი გაივლიდა.

იქვე ორი გამცილებელი იდგა.

კიდევ დედა და მისი ქალიშვილი.

ერთიც გვამი.

დედა, გოგონა და გვამი — ჯიუტები და მდუმარენი.

— რა გინდა ჩემგან?

გამცილებლებიდან ერთი მაღალი იყო, მეორე — დაბალი. მაღალი ყოველთვის პირველი იწყებდა ლაპარაკს, თუმცა, არავინ ავალდებულებდა. ახლა იმ დაბალ და ჩამრგვალებულ გამცილებელს უქცერდა, ხორციანი აწითლებული სახე რომ ჰქონდა.

— კარგი, — მოისმა პასუხად, — შეგვიძლია ასე დავტოვოთ, არა?

მაღალი მოთმინებას კარგავდა.

— რატომაც არა?

დაბალი ბრაზისგან ლამის აფეთქდა, ნიკაპში ჩააჩერდა მაღალს და დაუყვირა:

— Spinnst du? გაგიჟდი? — ზიზღისგან ლოყები უფრო ამოებურცა, კანი დაეჭიმა.

— წავედით, — თქვა და მომქანცველ თოვლიან გზას გაუყვა, — ვაგონში მოვათავსოთ სამივე, თუ საჭირო გახდება, მომდევნო სადგურსაც შევატყობინოთ.

რაც შემეხება მე, ელემენტარული შეცდომა დავუშვი.

ვერ აღგინერთ, რამდენად იმედგაცრუებული დავრჩი საკუთარი თავით.

არადა, თავიდან თითქოს ყველაფერს სწორად ვაკეთებდი:

ვიდექი და დაძრული მატარებლის ფანჯრებში ჩამონოლილ, დამაბრმავებლად თეთრ, თოვლიან ცას ვუყურებდი. მთელი ძალით შევისუნთქავდი მას, მაინც სისუსტე გამოვიჩინე. უცბად შევცბი — დავინტერესდი. გოგონამ დამაინტერესა და ისე შემიპყრო ცნობისმოყვარეობამ, რომ უფრო მეტხანს დავრჩი, ვიდრე მევალებოდა. ვაკვირდებოდი.

ოცდასამი წუთის შემდეგ, როცა მატარებელი გაჩერდა, მათთან ერთად ჩამოვედი ვაგონიდან.

პატარა სული მეჭირა ხელში.

დანარჩენებისგან მარჯვნივ ვიდექი.

მატარებლის ორი გამცილებელი ენერგიულად გაემართა დედისკენ, გოგონასკენ და ბიჭუნას გვამისკენ. ცხადად მახსოვს, იმ დღეს ჩვეულებრივზე ხმამაღლა ვსუნთქავდი. მიკ-

ვირს, გამცილებლებმა ვერ შემნიშნეს, გვერდით რომ ჩავუარე. მინა ჩაზნიქა თოვლის სიმძიმემ.

ჩემგან მარცხნივ, დაახლოებით ათ მეტრში, ფერმკრთალი გოგონა იდგა, მშიერი და გაყინული.

პირი ჯიუტად მოეკუმა.

გათოშილი მკლავები გულზე დაეკრიფა.

წიგნის ქურდს ლოყებზე ცრემლი შეჰყინოდა.

დაბნელება

მომდევნო ფერი შავია. თუ ინებებთ, ჩემს მრავალმხრივობას გიჩვენებთ. ყველაზე ბნელი მონაკვეთი იყო განთიადამდე.

ამჯერად დაახლოებით ოცდაოთხი წლის მამაკაცს მივაკითხე. რაღაცნაირად ლამაზად გამოვიდა, თვითმფრინავი ისევ ხმაურობდა და ორივე ფილტვიდან კვამლს უშვებდა.

ჩამოვარდნისას დედამიწაზე სამი ღრმა ორმო ამოთხარა.

ფრთები მოხერხილი მკლავებივით ჰქონდა, ისინი ველარ გამთელდებოდა. ველარ აფრინდებოდა ლითონის ჩიტი.

კიდევ რამდენიმე მოკლე ფაქტი

ზოგჯერ უდროოდ მოვდივარ.
ვჩქარობ,
ზოგიერთი მოკვდავი კი სიცოცხლეს
მოსალოდნელზე დიდხანს ეპოტინება.

გავიდა რამდენიმე წუთი და კვამლი გაიფანტა, სხვა ალარაფერი დამრჩა წასაღები.

პირველად ბიჭი გამოჩნდა, სუნთქვა ეკვროდა, ხელში ინსტრუმენტების ყუთი ეჭირა. გულის ფანცქალით მიუახლოვდა თვითმფრინავის კაბინას და მფრინავს შეხედა, აინტერესებდა, ცოცხალი იყო თუ არა. ჯერ კიდევ სუნთქავდა. წიგნის ქურდმა ოცდაათი წამით გვიან მოირბინა.

წლები იყო გასული, მაგრამ ვიცანი.

ქოშინებდა.

ინსტრუმენტების ყუთიდან ბიჭმა სათამაშო დათუნია ამოიღო, ჩამსხვრეულ საქარე მინას მიუახლოვდა, ხელი გა-

დაყო და დათუნია მფრინავს დაადო მკერდზე. წარმოგიდგენიათ? მოღიმარი დათუნია თვითმფრინავის ნამსხვრევებსა და მამაკაცის სისხლში. დრო შევარჩიე და რამდენიმე წუთში შევასრულე, რაც მევალებოდა.

მივუახლოვდი გვამს, მივიღე სული და ფრთხილად გავიყვანე იქიდან. დარჩა სხეული, კვამლის სუსტი სუნი და პლუშის მოღიმარი დათუნია.

ხალხი რომ მოვიდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიცვალა, ჰორიზონტს გალვივებული ნაკვერჩხლის ფერი დაედო. სიბნელის ნარჩენები იფანტებოდა და სწრაფად ქრებოდა.

მამაკაცს ძვლისფერი ედო. ჩონჩხისფერი კანი. შელახული უნიფორმა. ცივი, ყავის ლაქასავით თვალები. უცნაური, თუმცა, ნაცნობი ფორმის უკანასკნელი მინაჩხაპნი. ხელმოწერა.

ბრბო იმას აკეთებდა, რაც, საერთოდ, ევალება.

გზა გავიკვლიე ადამიანებს შორის, იდგნენ და დუმილით მაცილებდნენ. გადალაპარაკება, ხელების უმისამართო მოძრაობა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები და მდუმარე, შიშნარევი გამოხედვა.

ისევ გავიხედე თვითმფრინავისკენ, მომეჩვენა, მფრინავს პირი გაელო და იღიმებოდა.

უკანასკნელი სასტიკი ხუმრობა.

კიდევ ერთი ადამიანური ტაკიმასხარაობა.

გვამს სუდარასავით ეფარა უნიფორმა. მონაცრისფრო შუქი ებრძოდა ზეცას. სულ ასე ხდებოდა, გზას გავაგრძელებდი თუ არა, გაიელვებდა ხოლმე ჩრდილი, — დაბნელების ბოლო წამი, როგორც დასტური, რომ კიდევ ერთი სული შეერთო ზეცას.

იცით, მიუხედავად იმისა, რომ სამყარო ფერებით იქცევს ყურადღებას, არასოდეს გამომპარვია დაბნელება, ადამიანის სიკვდილის მაცნე.

მილიონობით დაბნელება მინახავს.

იმდენად ბევრი, რომ არც კი მინდა, მახსოვდეს.

დროშა

ბოლოს რომ ვნახე, წითელი იყო. ცას მოთუხთუხე ფაფასავით ასდიოდა ორთქლი. ალაგ-ალაგ მიმწვარს, სიწითლეში პილპილი შავ წერტილებად და სორსალებად დასტყობოდა.

ცოტა ხნის ნინ ქუჩაში, რომელიც ზეთით დალაქავებულ ფურცელს ჰგავდა, ბავშვები კლასობანას თამაშობდნენ. მე რომ მივედი, ექოდ ჯერ ისევ ისმოდა ხტუნარბის ხმა, ისმოდა კისკისიც, ღიმილით შეზავებული, მაგრამ მალე მიწყდა.

შემდეგ ბომბები.

ამჯერად მეტისმეტად გვიანი იყო.

სირენები. გუგულის ძახილი რადიოთი. მეტისმეტად გვიანი იყო.

სულ რამდენიმე წუთში ბეტონისა და მიწის ყორღანები აღიმართა გზებზე, ქუჩები გადაგლეჯილ ვენებს დაემსგავსა. სისხლი მანამ მოედინებოდა, სანამ არ შედედდა და გამოჩნდა ადამიანთა სხეულები, როგორც მორები ღვარცოფის შემდეგ.

ყველაფერი მიწას მიჰყინოდა. მთელი სულეთი.

ბედისწერა იყო?

უიღბლობა?

ნუთუ ამან მიაყინა ისინი მიწას?

რა თქმა უნდა, არა.

თავს ნუ გავისულელებთ.

საქმე ხომ იმ ბომბებში იყო, ღრუბლებში მიმალული ადამიანები რომ ყრიდნენ.

ოთხი საათის განმავლობაში ცა შინ მოთუხთუხებული შეჭამანდივით წითლად ღუოდა.

კიდევ ერთი პატარა გერმანული ქალაქი გასწორდა მიწასთან.

ციდან ფერფლის ფანტელები ისე საყვარლად ცვიოდა, ძნელი იყო, ცდუნებისთვის გაგეძლო, ენა არ გამოგეყო და მათი დაჭერა და დაგემოვნება არ გეცადა. მაგრამ ისინი ტუჩებს დაგწვავდა, პირს დაგითუთქავდა.

ახლაც თვალწინ მიდგას.

წასვლას ვაპირებდი, როცა წიგნის ქურდი დავინახე, დაჩოქილი.

მის ირგვლივ ნანგრევების გორები ეწერა, ეხატა, აღმართულიყო. ხელში წიგნი ჩაებღუჯა.

სხვა ყველაფერთან ერთად, წიგნის ქურდს ძალიან უნდოდა სარდაფში ჩაბრუნება, წერა ან თავისი მოთხრობის უკანასკნელად გადაკითხვა. ამას ნათლად ვხედავდი მის სახეზე. ოჰ, როგორ სურდა, უსაფრთხოდ მჯდარიყო შინ, მაგრამ განძრევასაც ვერ ახერხებდა, თანაც სარდაფიც აღარ არსებობდა, დაჩეხილი პეიზაჟის ნაწილად ქცეულიყო.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, დამიჯერეთ!

მინდოდა შევჩერებულიყავი, დავხრილიყავი.

მეთქვა:

— მაპატიე, ბავშვო!

მაგრამ ამის უფლება არ მაქვს. არ შევჩერებულვარ, არც დავხრილვარ.

ამის ნაცვლად, ცოტა ხანს ვუცქირე. როცა წამოდგომა და ნაბიჯის გადადგმა შეძლო, უკან გავყევი.

წიგნი დაუვარდა.

მუხლებზე დაეშვა.

წიგნის ქურდმა დაიღრიალა.

ქუჩების გაწმენდა რომ დაიწყო, გოგონას წიგნს რამდენჯერმე გადაუარეს და მიუხედავად ბრძანებისა, ქუჩა მხოლოდ ბეტონის ნატეხებისგან გაეწმინდათ, მისი ყველაზე ძვირფასი ნივთიც ნაგვის მანქანაში მოხვდა. მეც მივყევი, ძარაზე ავცოცდი და დავწვდი იმ წიგნს, ვერც კი მივხვდი, რომ ჩემთვის დავიტოვებდი და წლების განმავლობაში ათასჯერ გადავიკითხავდი, იმ ადგილებს

გადავავლებდი თვალს, სადაც ჩვენი გზები იკვეთებოდა. გამაოცებდა გოგონას თავგადასავალი და მისი გადარჩენა. საუკეთესო მათ შორის, რაც მეხერხება — სტრიქონებს შორის იმის ამოკითხვაა, მთელი ამ ხნის მანძილზე რომ ვუცქერდი.

გოგონას გახსენებისას ფერების გრძელ სიას ვხედავ, მაგრამ ყველაზე კარგად სამი ფერი მახსოვს მის სხეულზე.

ხანდახან ისევ ვუბრუნდები იმ წუთებს, ჰაერში ვლივლივებ და მანამ მდის ბინძური სიმართლის სისხლი, სანამ ყველაფერს ცხადად არ დავინახავ.

აი ის, რასაც იმ დროს ვხედავ ხოლმე:

ფერები

წითელი
თეთრი
შავი

ერთმანეთზე ედება — ბატიფეხური შავი ნიშანი, დედამიწასავით მრგვალი, დამაბრმავებლად თეთრი და აგურისებური, ბლანტი წითელი.

წითელი

დიახ, ხშირად ვიხსენებ გოგონას და სამოსზე მიკერებულ უზარმაზარ ჯიბეთაგან ერთ-ერთში მის ამბავს ვინახავ, თქვენთვის მოსათხრობად. ის იმ არცთუ მრავალ ამბავს შორისაა, თან რომ დამაქვს. თითოეული მათგანი თავისებურად უჩვეულოა. თითოეული არის მცდელობა — უდიდესი მცდელობა — დამიმტკიცოთ, რომ თქვენ და თქვენი ადამიანური არსებობა ერთ რამედ ღირხართ.

და აი, ისიც, ერთი ცალი მთელი შეკვრიდან.

წიგნის ქურდი.

თუ გსურთ, გამომყევით. ამბავს გიამბობთ.

რაღაცას გიჩვენებთ.

ნაწილი პირველი

მესაფლავის ცნობარი

მონაწილეობენ:

ჰიმელ-სტრიტი – ღორუკელობის ხელოვნება — ქალი რკინის მუშტით — კოცნის მცდელობა — ჯესი ოუენსი — ზუმფარის ქალალდი — მეგობრობის სურნელი –– მძიმეწონიანი ჩემპიონი – და ყველაზე მაგარი სასჯელი.

ჰიმელ-სტრიტზე გამოჩენა

იმ ბოლო შეხვედრისას.

ის წითელი ცა.

როგორ აღმოჩნდა წიგნის ქურდი კაცთაგან ქმნილ იმ უაზრო, მლაშე, აზელილ ქვა-ღორღთან და მუხლმოყრილი რატომ ღრიალებდა?

ყველაფერი წლების წინ დაიწყო, თოვლით.

ვილაცის დრო დადგა.

საშინელი წუთი

მატარებელი სწრაფად მიდიოდა.
ხალხით იყო სავსე.
ექვსი წლის ბიჭუნა მესამე ვაგონში მოკვდა.

წიგნების ქურდი და მისი ძმა მიუნხენში მიდიოდნენ დედობილ-მამობილის სანახავად, თუმცა, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბიჭუნა შეხვედრას ვერ მოესწრო.

როგორ მოხდა ყველაფერი

ძლიერი ხველა.
თითქმის შთაგონებული ამოხვნეშა.
და ცოტა ხანში — აღარაფერი.

ხველის შეწყვეტასთან ერთად, დასრულდა ყველაფერი. გარდა სადღაც წაფლატუნებული, არარაობად ქცეული სიცოცხლის, და — უკანასკნელი ამოოხვრის.

მოულოდნელობა მის ყავისფერ, ძველი ნახატივით გადაცრეცილ ტუჩებზე აისახა. გადაღებვა იყო აუცილებელი.

დედას ეძინა.

მატარებელში ავედი.

გადაჭედილ ვაგონში შევაბიჯე და მყისიერად დავაფარე ხელისგული პირზე.

არავის შევუნიშნივარ.

მატარებელი მიქროდა.

მხოლოდ გოგონამ.

წიგნის ქურდს, რომელიც ცნობილი იყო ასევე, როგორც ლიზელ მემინგერი, ცალი თვალით ეღვიძა, მეორით კი ჯერ ისევ სიზმარს ხედავდა, თუმცა, მაინც მიხვდა, რომ უმცროსი ძმა, უორნერი, განეშორა, მოკვდა.

ცისფერი თვალები იატაკისთვის გაეშტერებინა.

ველარაფერს ხედავდა.

გაღვიძებამდე წიგნის ქურდს Führer-ი, ადოლფ ჰიტლერი დაესიზმრა. კრებაზე ჰიტლერის გამოსვლას ესწრებოდა, უყურებდა მის გადაყოფილ თმას, თავისქალისფერ კანს და იდეალური კვადრატის ფორმის ულვაშს. კმაყოფილი იყო სიტყვების იმ ნიაღვრით, პირიდან რომ გადმოსდიოდა ფიურერს. წინადადებები ლაპლაპებდა დღის შუქზე. შედარებით წყნარ შუალედებში ფიურერი თავს ხრიდა და გოგონას უღიმოდა. გოგონა ღიმილითვე პასუხობდა და ეუბნებოდა, Guten Tag, Herr Führer. Wie geht's dir heut?[1] ჯერ ხეირიანად არც ლაპარაკი იცოდა, არც კითხვა, სკოლაში იშვიათად დადიოდა, მიზეზს მოგვიანებით შეიტყობთ.

ის იყო, ფიურერს უნდა ეპასუხა, რომ გამოეღვიძა.

1939 წლის იანვარი იდგა, გოგონა ცხრა წლისა იყო, ათის ხდებოდა.

ცალი თვალი ღია ჰქონდა.

მეორით სიზმარს ხედავდა.

ძმა მოუკვდა.

---

[1] *გერმ. „დილა მშვიდობის, ბატონო ფიურერ, როგორ ბრძანდებით?“*

ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, სიზმარში ყოფილიყო ჩაძირული, მაგრამ ასეთ რამეებზე გავლენა არ მაქვს.

მლვიძარი თვალით შემნიშნა, ამაში ეჭვიც არ მეპარება. ზუსტად მაშინ დავიხარე, სული ამოვართვი მის ძმას და გადავისვენე დასივებულ მკლავებზე. სული მალე გათბა, არადა, თავიდან ლბილი და ცივი იყო, ნაყინივით. ხელებში ჩამადნა. მერე ბოლომდე გათბა და განიკურნა.

ლიზელ მემინგერის მოძრაობებში ფარული შფოთი შევნიშნე, ფიქრებმა შემოუტია. Es stimmt nicht, ასე არ არის. აცახცახდა.

ნეტავ, ყველა რატომ ცახცახებს ხოლმე?

ჰო, ვიცი, ვიცი. მგონი, რაღაც ინსტინქტია, რეალობის აღქმის შესაჩერებლად. სლიპინა და ცხელი გული, ო, რა ხმამაღლა, ხმამაღლა, ხმამაღლა უცემდა.

სისულელე ჩავიდინე, დავრჩი და ვუყურე.

მერე დედამისი.

დაბნეულმა და აცახცახებულმა დედა გააღვიძა.

ამის წარმოდგენა თუ გაგიჭირდათ, უხერხულ დუმილზე იფიქრეთ. იფიქრეთ ჰაერში ნაფლეთებად ქცეულ, მატარებელში ჩაძირულ სასოწარკვეთაზე.

შეუჩერებლად თოვდა და მიუნხენის მატარებელი დროებით გააჩერეს საგზაო სარემონტო სამუშაოების გამო. ქალი მოთქვამდა. გოგონა მის გვერდით იდგა, ენაჩავარდნილი.

შეშინებულმა დედამ კარი გააღო.

თოვლში ჩავიდა. ხელში პატარა სხეული აიტატა.

გოგოს სხვა რაღა დარჩენოდა? მიჰყვა.

უკვე გითხარით, რომ ორი გამცილებელი ჰყავდა მატარებელს. განიხილავდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და კამათობდნენ კიდეც. რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო სიტუაცია იყო. ცხადია, გადაწყდა, მომდევნო სადგურამდე მიეყვანათ სამივე და იქ დაეტოვებინათ. დანარჩენს თავად მიხედავდნენ.

ამჯერად მატარებელი თოვლით დაფარულ სოფელში მიქროდა.

მერე სვლა შეანელა და შეჩერდა.

ბაქანზე გამოვიდნენ, ბავშვის უსულო გვამი დედას ესვენა მკლავებზე.

იდგნენ.

ბიჭი თანდათან უფრო მძიმდებოდა.

ლიზელი ვერ ხვდებოდა, სად იყვნენ, არემარე თეთრი იყო და სანამ სადგურზე რჩებოდნენ, რაღა დარჩენოდა, აბრაზე ანთებულ ასოებს მიაჩერდა.

ლიზელისთვის იმ პატარა ქალაქს სახელი არ ჰქონდა, იქ, უბრალოდ, მისი ძმა, უორნერი, დაასაფლავეს ორი დღის შემდეგ. დასაფლავებას მღვდელი და ორი აკანკალებული მესაფლავე დაესწრო.

დაკვირვება

მატარებლის გამცილებლის წყვილი.
მესაფლავე წყვილი.
საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ერთი ბრძანებას გასცემდა. მეორე, რასაც ეტყოდნენ, ასრულებდა.
მაგრამ აი, რა არის საინტერესო:
იქნებ მეორე ბევრად წინ იდგა პირველზე?

შეცდომები. შეცდომების დაშვება. მგონი, ხანდახან მხოლოდ ეს შემიძლია.

ორი დღე საქმეები მქონდა. დედამიწას შემოვუარე, როგორც ყოველთვის, სულები უსასრულობის კონვეიერზე ავაცილე. ვიდექი და ვუცქერდი, როგორ მიირწეოდნენ. რამდენჯერმე საკუთარი თავი გავაფრთხილე, ლიზელ მემინგერის ძმის დაკრძალვისგან შორს დამეჭირა, მაინც ვერ მოვახერხე.

დაკრძალვის ადგილიდან მრავალი მილის მოშორებით ვიყავი, მაგრამ მაინც ვხედავდი ადამიანების მცირე ჯგუფს, თოვლის უდაბნოში რომ იდგა და ითოშებოდა. საფლავი კარგი მეგობარივით შემეგება, გვერდით ამოვუდექი და თავი დავხარე.

ლიზელისგან მარცხნივ მდგარი მესაფლავეები ხელებს იფშვნეტდნენ და თოვლსა და ცუდ პირობებზე წუწუნებდნენ. „რა ძნელია ამ ყინვაში საფლავის გაჭრა", — რაღაც მსგავსს ამბობდნენ. ერთ მათგანს თოთხმეტ წელზე მეტს არ მისცემდით, შეგირდი უნდა ყოფილიყო. ნასვლისას, უნებლიეთ, შავი

წიგნი ამოუვარდა ქურქის ჯიბიდან და არც კი შეუმჩნევია, ისე გაიარა.

ლიზელის დედამ რამდენიმე წუთში მღვდელთან ერთად დატოვა სასაფლაო, გზად მადლობას უხდიდა პანაშვიდისთვის.

გოგონა დარჩა.

მუხლებზე დაეშვა. მისი დრო მოვიდა. ჯერ კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ მაინც დაიწყო მიწის თხრა. არა, მისი ძმა არ უნდა მომკვდარიყო. შეუძლებელია. ეს არ შეეძლო.

თოვლმა წამებში დაუფარა კანი.

გაყინული სისხლი ემსხვრეოდა ძარღვებში.

სადღაც, იმ თოვლში, გოგონა საკუთარ გულს ხედავდა, ორად გაპობილს. ორივე ნახევარი თეთრ საბურველქვეშ ღაჟღაჟებდა და ძგერდა. მხოლოდ იმას მიხვდა, როგორ მობრუნდა დედა. მისი ხმელი ხელი იგრძნო მხარზე. წაყვანას უპირებდნენ. ყელი ამოუვსო თბილმა ყვირილმა.

სურათი ოციოდე მეტრის მოშორებით

საფლავი რომ გაითხარა, დედა და გოგონა
წამოდგნენ და ამოისუნთქეს.
თოვლში რაღაც შავი და მართკუთხა იდო.
მხოლოდ გოგონამ დაინახა.
დაიხარა, აიღო და თითებშორის მყარად მოიქცია.
წიგნში ვერცხლისფერი ასოებით რაღაც ეწერა.

ხელები ჩაჰკიდეს ერთმანეთს.

უკანასკნელი, ცრემლით გაჟღენთილი გამოსათხოვარი ითქვა, შებრუნდნენ, წავიდნენ და უკან რამდენჯერმე მოიხედეს.

რაც შემეხება მე, ცოტა ხანს კიდევ დავრჩი.

ხელი დავუქნიე.

არავინ მიპასუხა.

დედა და ქალიშვილი სასაფლაოს მოშორდნენ და მიუნხენის მომდევნო მატარებლის დასახვედრად წავიდნენ.

ორივე გაძვალტყავებული და ფერმკრთალი იყო.

ტუჩები დახეთქოდათ.

ლიზელმა ეს მაშინ შენიშნა, შუადღისას მატარებელში რომ ავიდა და ჭუჭყიან, დაბურულ ფანჯრებში ჩაიხედა. წიგნის ქურდის სიტყვებით რომ ვთქვათ, მგზავრობა ისე გაგრძელდა, თითქოს მოსახდენი უკვე მომხდარიყო.

მატარებელი მიუნხენის Bahnhof[2]-ს რომ მიუახლოვდა, მგზავრები გახეული ამანათის შიგთავსივით გადმოცვივდნენ ვაგონებიდან. ყველა ჯურის ადამიანს შეხვდებოდი მათში და ღარიბებს უმალ ამოიცნობდი. ღატაკები ყოველთვის ცდილობენ, იმოძრაონ. ჰგონიათ, ადგილის შეცვლა დაეხმარებათ. არ უნდათ, აღიარონ, რომ გზის დასასრულს ძველი პრობლემები ელოდებათ — ნათესავები, რომელთაც ქედი უნდა მოუხარონ და გადაკოცნონ.

ვფიქრობ, ეს დედამისისთვისაც არ იყო უცხო, საკუთარი შვილები მიუნხენის მაღალი საზოგადოების გასაცნობად კი არ მიჰყავდა, — დედობილ-მამობილი უკვე ეშოვა ბავშვებისთვის და იმედი ჰქონდა, ახალ მშობლებს მისი შვილების გამოკვებისა და მათთვის შესაფერისი განათლების მიცემის საშუალება ექნებოდათ.

ბიჭი.

ლიზელი დარწმუნებული იყო, დედა საკუთარი მხრებით ეზიდებოდა შვილის ხსოვნას. აი, დაუვარდა. დაინახა, როგორ ჩამოცურდა ბიჭუნა, ტერფებით, ფეხებით, სხეულით დაენარცხა ბაქანს.

ნეტავ, ამ ქალს სიარული როგორღა შეეძლო?

ნეტავ, როგორ მოძრაობდა?

ამას ვერასოდეს გავიგებ, ვერასოდეს ჩავწვდები, ადამიანები რაზე არიან წამსვლელები.

დედა დასწვდა შვილის სხეულს, ისევ მხრებზე მოიგდო და სვლა განაგრძო. გოგონა აედევნა.

რწმუნებულები დახვდნენ და როცა დაგვიანების მიზეზი და ბიჭუნას ამბავი შეიტყვეს, მტკივანი თავები ასწიეს. ლიზელი პატარა მტვრიანი კაბინეტის კუთხეში იდგა, სანამ

---

[2] *გერმ. მატარებლის სადგური.*

ძალიან მაგარ სკამზე მჯდარი დედამისი ფიქრებში იძირებოდა.

მერე იყო დამშვიდობების ქაოსი.

გოგონამ დედამისის შეთხელებულ და გაცვეთილ შალის პალტოში ჩარგო თავი. ისევ სადღაც მიჰყავდათ.

მიუნხენის გარეუბნებისგან მოშორებით მდებარეობდა ქალაქი, სახელად, Molching, თუმცა, მე და თქვენ ამ ქალაქს მოლკინგი დავუძახოთ. აი, სად მიჰყავდათ გოგონა, იმ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე, რომელსაც ჰიმელი ერქვა.

თარგმანი

Himmel = სამოთხე

ვინც უნდა იყოს იმ ქუჩის ნათლია, ჯანსაღი იუმორი ჰქონია. არა, იქაურობა მთლად ჯოჯოხეთს არ ჰგავდა, მაგრამ ვერც სამოთხეს უწოდებდა კაცი.

ლიზელის დედობილ-მამობილი იდგა და ელოდა.

ჰუბერმანები იყვნენ გვარად.

იმედოვნებდნენ, რომ გოგონას და ბიჭუნას მიუყვანდნენ და ამისთვის მთავრობა მცირეოდენ შეღავათებს დაუწესებდა. არავის სურდა, პირველს შეეტყობინებინა როზა ჰუბერმანისთვის, ბიჭმა მგზავრობა ვერ გადაიტანაო. საერთოდ, ყველა გაურბოდა როზასთან ლაპარაკს, უხასიათო ქალი გახლდათ, თუმცა, გერების აღზრდის გამოცდილება ჰქონდა, წარსულში რამდენი პატარა დაუყენებია ფეხზე.

ლიზელს ახლა მხოლოდ მანქანით მგზავრობა აინტერესებდა.

ადრე მასში არასოდეს მჯდარა.

კუჭი გაუჩერებლად უბუყბუყებდა და სადღაც, გულის კუნჭულში იმედი უკრთოდა, გზა აგვერევა ან გადაიფიქრებენ ჩემს შვილად აყვანასო. თანაც, არ შეეძლო, არ ეფიქრა დედაზე, რომელიც Bahnhof-ზე დარჩა, შინ ბრუნდებოდა. ალბათ, მატარებლის ლოდინში ფრჩხილებს იკვნეტდა და იმ უსარგებლო პალტოში გახვეული, ცახცახებდა. ბეტონის ბაქანიც ცივი, გრძელი და მოუხერხებელი იქნებოდა. ნეტავ,

უკან მიმავალს ვაჟის საფლავი ედგებოდა თვალწინ? თუ ღრმად ჩაიძინებდა?

მანქანა სვლას განაგრძობდა და მასში მჯდომი ლიზელი შიშით ელოდა ბოლო, სასიკვდილო მოსახვევს.

ნაცრისფერი დღე იყო, ევროპისფერი.

მანქანის მინებს წვიმის ფარდა ეფარა.

— დაახლოებით აქაა, — მიუბრუნდა გოგონას ფრაუ ჰაინრიხი, ბავშვების გაშვილებაზე პასუხისმგებელი პირი. — Dein neues Heim. შენი ახალი სახლი.

ლიზელმა დაბურულ სარკმელზე რგოლი შემოხაზა, გაწმინდა და გაიხედა.

ჰიმელ-სტრიტის ფოტო

შენობები თითქოს ერთმანეთისთვის მიუწებებიათ. უმეტესად პატარა სახლები და ნერვიულად მომზირალი გრძელი საცხოვრებელი კორპუსები დგას. ძირს ჭუჭყიანი თოვლის ხალიჩა აფენია. კიდევ ბეტონი, შიშველი ხეები – ქუდების ცარიელი საკიდრები — და ნაცრისფერი ჰაერი.

მანქანაში კაციც იჯდა, ის გოგონასთან დარჩა, როცა ფრაუ ჰაინრიხი სახლში გაუჩინარდა. კაცს ერთხელაც არ ამოუღია ხმა. ლიზელი დარწმუნებული იყო, აქ იმისთვის ზის, რომ არ გავიქცე ან არ გავჯიუტდეო. თუმცა, მოგვიანებით, მართლაც, გაჯიუტდა, კაცი ისევ იჯდა და უყურებდა. ალბათ უკიდურეს შემთხვევაში ჩაერეოდა.

რამდენიმე წუთში სახლიდან გამოვიდა მაღალი მამაკაცი, ჰანს ჰუბერმანი, გოგონას მამობილი. გვერდით საშუალო სიმაღლის ფრაუ ჰაინრიხი მოჰყვებოდა, ოდნავ მოშორებით როზა ჰუბერმანის ჩასკვნილი ფიგურა გამოჩნდა, კამოდს ჰგავდა, რომელზეც ქურქი მიეგდოთ, ბაჯბაჯით მოაბიჯებდა, საზრიანი გამოხედვით, მაგრამ სახე გაქონილ მუყაოს მიუგავდა და ისეთი გაღიზიანებული ჩანდა, თითქოს რაღაც საშინელების ატანა უწევდა. ქმარი მხრებში გამართული მოდიოდა და თითებში თავისი ხელით შეხვეული სიგარეტი ეკავა.

აი, რაში იყო საქმე:
ლიზელს არ სურდა მანქანიდან გადასვლა.

— Was ist los mit diesem Kind? — იკითხა როზა ჰუბერმანმა, მერე გაიმეორა, — რა სჭირს ამ ბავშვს? — თავი შეყო მანქანაში და უთხრა: — Na, komm. Komm.[3]

მანქანის წინა სავარძელი გადასწიეს, ცივი სინათლის დერეფანი გოგონას გარეთ ეძახდა, ის კი ფეხს არ იცვლიდა მანქანიდან.

მინაზე მოხაზულ წრეში რომ გაიხედა, მაღალი მამაკაცი დაინახა, რომელსაც ისევ სიგარეტი მოექცია თითებში. სიგარეტის კიდეზე ფერფლი ეკიდა და სანამ მიწაზე დაეცემოდა, ჰაერში ფარფატებდა. თხუთმეტი წუთი გავიდა, გოგონა კი ვერაფრით გამოიტყუეს. მხოლოდ მაღალმა მამაკაცმა მოახერხა ეს.

მშვიდად.

შემდეგ იყო ჭიშკარი. ახლა მას ჩაეჭიდა.

თვალებზე ცრემლები მოადგა, მაგრამ გადაყლაპა. ქუჩაში ხალხმა დაიწყო მოგროვება, მანამ იდგნენ, სანამ როზა ჰუბერმანმა გვარიანად არ შეამკო და სახლებში არ გარეკა.

როზა ჰუბერმანის განცხადების თარგმანი

რას მიშტერებიხართ, გამოთაყვანებულებო?

როგორც იქნა, ლიზელ მემინგერმა დამფრთხალმა შეაბიჯა სახლში. ჰანს ჰუბერმანს ცალი ხელი გოგონასთვის ჩაეკიდა, მეორით კი მისი პატარა ჩემოდანი მიჰქონდა. იმ ჩემოდანში, ჩაკეცილ ტანსაცმელში, ის შავი წიგნი იდო, ჩვენ რომ ვიცით, თოთხმეტი წლის მესაფლავეს რომ დაუვარდა უსახელო ქალაქში და ვინ იცის, რამდენი საათი ეძება.

— დამიჯერეთ, — ეტყოდა ის თავის უფროსს, — აზრზე არ ვარ, როგორ დავკარგე. თანაც ყველგან ვეძებე, ყველგან!

[3] *გერმ. აბა, მოდი, მოდი.*

მესაფლავის შეგირდი გოგონაზე ვერასოდეს იეჭვებდა და ახლა ის შავი წიგნი, ვერცხლისფერი შრიფტით ნაბეჭდი, ჩემოდანში იდო, ტანსაცმელში.

მესაფლავის ცნობარი

თორმეტი ნაბიჯი საფლავის წარმატებით გასათხრელად „ბაიერნის მესაფლავეთა ასოციაციის“ გამოცემა

წიგნის ქურდის პირველი ნადავლი — შთამბეჭდავი კარიერის დასაწყისი.

ღორუკელად გადაქცევა

დიახ, შთამბეჭდავი კარიერა.

უნდა მოგახსენოთ, რომ პირველიდან მეორე მოპარულ წიგნამდე დიდმა დრომ განვლო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი: პირველი ხომ თოვლს მოსტაცა, აი, მეორე კი ცეცხლს გამოჰგლიჯა. ვერ უარვყოფ, რამდენიმე აჩუქეს კიდეც. საერთოდ, თოთხმეტ წიგნს ფლობდა, მაგრამ მოთხრობის წერისას უპირატესობას ათ მათგანს ანიჭებდა. იმ ათიდან ექვსი მოიპარა — ერთი სამზარეულოს მაგიდაზე ნახა, ორიც საგანგებოდ მისთვის შექმნა მიმალვაში მყოფმა ებრაელმა, მეოთხე კი მშვიდმა, ყვითელ საბურველში გახვეულმა შუადღემ უძღვნა.

მოთხრობის წერა რომ დაიწყო, ზუსტად არც იცოდა, როდის შეიძინა წიგნმა თუ სიტყვამ რაღაცის კი არა, ყველაფრის მნიშვნელობა. იქნებ მაშინ, ოთახში წიგნით სავსე თაროს რომ მოჰკრა თვალი? ან — როცა, მაქს ვანდენბურგი გამოჩნდა ჰიმელ-სტრიტზე უამრავ გასაჭირთან და ჰიტლერის *Mein Kampf*-თან[4] ერთად? იქნებ — თავშესაფარში კითხვისას? დაჰაუში სეირნობისას? *„ენისგასატეხის“* შექმნისას? იქნებ ზუსტი პასუხი ვერასოდეს გაეცეს ამ კითხვას და ვერ გავიგოთ, როდის და სად დაიწყო ყველაფერი?

რაც უნდა იყოს, ვერაფერს გამოვტოვებ, თავიდან მოვყვები — ლიზელ მემინგერის ჰიმელ-სტრიტზე გამოჩენიდან და ღორუკელობის ხელოვნების დაუფლებიდან.

---

[4] *„ჩემი ბრძოლა“, ადოლფ ჰიტლერის ავტობიოგრაფიული ნაშრომი.*

ახალჩამოსულს თოვლისგან დამზრალი ადგილები ჯერ ისევ ეტყობოდა ხელებზე, გაყინული სისხლი ძლივს უმოძრავებდა თითებში. ცუდად ნაკვები იყო, მავთულივით წვრილი კანჭები ჰქონდა, პალტოდან გამოჩრილი მკლავები. იშვიათად ილიმოდა. მშიერის ღიმილი ჰქონდა.

თმის ფერით ძალიან ჰგავდა ნამდვილ გერმანელ ქერას. აი, თვალები კი, საშიში ჰქონდა. მუქი თაფლისფერი. იმ დროს გერმანიაში არავის სურდა, თაფლისფერთვალება ყოფილიყო. ალბათ მამისგან ერგო მემკვიდრეობით. მამას არ იცნობდა, არც ახსოვდა. მასზე მხოლოდ ერთი იცოდა, ისიც, მნიშვნელობა არ ესმოდა.

უცნაური სიტყვა

კომუნისტი

ეს სიტყვა ბოლო რამდენიმე წელიწადში არაერთხელ გაიგონა. სახლები ხალხით იყო სავსე, ოთახები — კითხვებით. და კიდევ ეს სიტყვა. ეს უცნაური სიტყვა ყველგან ეჩხირებოდა, მაშინაც კი, როცა ბნელ კუთხეში მიმჯდარი იყურებოდა. კოსტიუმები ეცვათ, უნიფორმები, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად მიდიოდნენ, სად იყვნენ, მამამისის სახელთან ერთად ყოველთვის ამ სიტყვას ახსენებდნენ. ერთხელ დედას ჰკითხა, — რას ნიშნავსო. მან კი მიუგო, — ამას რა მნიშვნელობა აქვს, ასეთ რამეზე ნუ იფიქრებო. მეზობლად, ვილაც ჯანმრთელი ქალი ცდილობდა, ანბანი ესწავლებინა ბავშვებისთვის და ნახშირით წერდა კედელზე. ლიზელს სურდა, ამ სიტყვის მნიშვნელობა ეკითხა მისთვის, მაგრამ ხელსაყრელი შემთხვევა არ მიეცა.

ერთ დღეს ის ქალი დასაკითხად წაიყვანეს და უკან აღარ დაბრუნებულა.

ლიზელი მოლკინგში ჩაყვანის შემდეგ მიხვდა, რომ გადარჩა, მაგრამ ამან ვერ დაამშვიდა. თუკი დედას უყვარდა, რატომ დატოვა სხვის კართან?

რატომ? რატომ?

მართალია, პასუხი იცოდა, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა. დედამისი ხშირად ავადმყოფობდა, სამკურნალო ფული კი არ ჰქონდა. გოგონას მაინც არ ესმოდა მშობლის. მერე რა, რომ ბევრჯერ უთხრა, მიყვარხარო, ამას დამტკიცება სჭირდებოდა, მან კი დაკარგული, გაუბედურებული ბავშვი უცხო ადგილას გადახვეწა, უცნობ ადამიანებთან, მარტო.

ჰუბერმანები პატარა ქვის სახლში ცხოვრობდნენ, ჰიმელ-სტრიტზე. რამდენიმე ოთახი, სამზარეულო და საერთო ტუალეტი. სახლს ბრტყელი სახურავი ჰქონდა, სარდაფში სურსათს ინახავდნენ. სარდაფი არც ისე ღრმა იყო, მაგრამ ამას ნაკლებად ჰქონდა მნიშვნელობა 1939 წელს, აი, 42-სა და 43-ში კი ნამდვილ პრობლემად იქცა. საჰაერო თავდასხმებისას ჰუბერმანებს მთელი ქუჩის გადარბენა უწევდათ ნორმალური სარდაფისთვის რომ შეეფარებინათ თავი.

თავიდან ყველაზე მძიმე მოსასმენი ლანძღვა იყო. ხმამაღალი და ბარაქიანი. ორ სიტყვაში ერთხელ „Saumensch-ი", „Saukerl-ი" და „გამოშტერებული" ესმოდა. მათ, ვინც ამ სიტყვების მნიშვნელობა არ იცის, ავუხსნი: Sau, ცხადია, ღორს ნიშნავს, Saumensch კი ქალის გასალანძღად, დასატუქსად გამოიყენება. Saukerl — (წარმოითქმის, როგორც „ზაუკერლ") — ეს მამაკაცებისთვისაა. „გამოშტერებული" კი, უბრალოდ, გამოშტერებულია და სხვა არაფერი. სქესი არ აქვს.

— Saumensch du dreckigs! — აღრიალდა პირველივე საღამოს ლიზელის დედობილი, როცა გოგონამ დაბანაზე უარი თქვა, — ბინძურო ღორო! რატომ არ იხდი? — შესანიშნავად ეხერხებოდა გაანჩხლება.

უნდა ითქვას, როზა ჰუბერმანის სახეს მუდმივად ამშვენებდა მრისხანება. ალბათ, ამიტომ გაუჩნდა ნაოჭები მუყაოსფერ სიფათზე.

ლიზელი, ბუნებრივია, უკვე ბანაობდა — მღელვარებასა და შიშში. საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, არც დაბანას აპირებდა და არც საწოლში ჩაწოლას. ვიწრო აბანოს კუთხეში მიკუნჭულიყო და კედლის არარსებულ ხელებს ებღაუჭებოდა, თავი რომ შეემაგრებინა. კედლებზე საღებავი იყო მიმხმარი, როზას პირიდან სალანძღავი სიტყვები იღვრებოდა.

— თავი დაანებე, — ჩაერია ჰანს ჰუბერმანი. მისმა მშვიდმა ხმამ თითქოს ბრბოდან გამოაღწია, — მიმიშვი.

მიუახლოვდა და კედელთან, იატაკზე ჩამოჯდა, ცივ, ულმობელ ფილებზე.

— თუთუნის შეხვევა იცი? — ჰკითხა.

მერე რამდენიმე საათი ორივენი სიბნელეში ისხდნენ და თამბაქოთი და სიგარეტის შესახვევი ქაღალდით თამაშობდნენ, შიგადაშიგ ჰანს ჰუბერმანი ეწეოდა.

ერთ საათში ლიზელმა უკვე საკმაოდ კარგად იცოდა თუთუნის შეხვევა. თუმცა, ჯერ კიდევ არ დაებანა.

ცოტა რამ ჰანს ჰუბერმანზე

მოწევა უყვარდა.
უფრო მეტად კი თუთუნის შეხვევა სიამოვნებდა.
პროფესიით მღებავი იყო და აკორდეონზე უკრავდა. ეს ხელს აძლევდა, უფრო ზამთრობით, მოლკინგში „კნოლერის“ მსგავს ლუდხანებში დაეკრა, როცა შეეძლო, და დამატებითი შემოსავალი ჰქონოდა.
ერთხელ ჩემი გაცურება მოახერხა, პირველ მსოფლიო ომში, თუმცა მოგვიანებით, მეორეშიც გაიწვიეს (ეს სასჯელის ფორმის ჯილდო იყო) და როგორღაც იქაც დამიძვრა ხელიდან.

ჰანს ჰუბერმანს ძნელად შეამჩნევდი, არაფრით გამოირჩეოდა. ცხადია, ღებვა შესანიშნავად ეხერხებოდა. როგორც მუსიკოსი — საშუალოზე მეტი იყო. დარწმუნებული ვარ, მისნაირებს თქვენც შეხვედრიხართ, ჩრდილში ყოფნა ურჩევნიათ, რიგის თავშიც რომ იდგნენ, ვერ დაინახავთ. ჰანსის ადგილიც *აი, იქ იყო.* იდგა შეუმჩნეველი, უმნიშვნელო და ნაკლებად ძვირფასი.

ვაღიაროთ, რომ ჰანსის წარდგენამ იმედი გაგიცრუათ, თუმცა, მისი ღირსება ლიზელ მემინგერს შეუმჩნეველი არ დარჩენია. (ნამდვილი ბავშვი — ის გაცილებით მეტს ხედავდა, ვიდრე მოსაწყენი უფროსები). არაფერი გამოჰპარვია.

მისი მანერა.

სიმშვიდე, რომელიც მისგან მოდიოდა.

იმ ღამით მამობილმა პატარა უშნო აბაზანაში შუქი რომ აანთო, ლიზელს შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი უცნაური თვალები, რომელიც გადამდნარი წმინდა ვერცხლითა და სიკეთის შუქით იყო ნაქსოვი. ლიზელმა ის თვალები რომ დაინახა, მიხვდა, ჰანს ჰუბერმანი ერთ რამედ ღირდა.

ცოტა რამ როზა ჰუბერმანზე

ქალი ხუთი ფუტისა და ერთი ინჩის[5] სიმაღლისა იყო
და შევერცხლილი რბილი წაბლისფერი თმა აკეცილი ჰქონდა.
ჰუბერმანების შემოსავალი რომ გაეზარდა, მოლკინგში მცხოვრები
ხუთი შეძლებული ოჯახისთვის ტანსაცმელს რეცხავდა
და აუთოებდა.
როგორც მზარეული, არაფრად ვარგოდა.
უნიკალური უნარი ჰქონდა, ნებისმიერი შემხვედრისთვის
მოეშალა ნერვები. მაგრამ ლიზელ მემინგერი ნამდვილად
უყვარდა.
უბრალოდ, უცნაური ხერხებით გამოხატავდა,
მაგალითად, ხის კოვზს ურტყამდა ან,
შიგადაშიგ, საშინელი სიტყვებით ამკობდა.

ორი კვირის შემდეგ ლიზელმა, ბოლოს და ბოლოს, იბანავა. როზა მაშინ ისე ჩაეხუტა, კინაღამ ძვლები დაუმტვრია, ლამის გაგუდა ბავშვი, თან უთხრა:

— Saumensch du dreckigs — უკვე დრო იყო!

ცოტა ხანში ისინი მისტერ და მისის ჰუბერმანები აღარ იყვნენ. ერთ დღესაც კარგად რომ მიალანძღა, როზამ გოგონას უთხრა:

— მისმინე, ლიზელ, დღეიდან დედა უნდა დამიძახო. მერე წამით ჩაფიქრდა:

— ნამდვილ დედას რას ეძახდი?

---

[5] *ფუტი და ინჩი სიგრძის საზომი ერთეულებია: 1 ფუტი = 30,48 სმ, 1 ინჩი = 2, 54 სმ. როზა ჰუბერმანის სიმაღლე დაახლოებით 150 სმ უნდა ყოფილიყო.*

— Auch Mama, მასაც დედას.

— კარგი, მაშ, მე დედა ნომერი ორი ვიქნები. — მერე ქმარს გახედა. — ამას კიდევ, — როზამ თავი მოუყარა სალანძღავ სიტყვებს, მუჭში შეაგროვა და ჰანსს მიაყარა მაგიდის მეორე ბოლოში, — ამ ღორიშვილს, ბინძურ ღორს, მამა უნდა დაუძახო, verstehst? გასაგებია?

— დიახ, — ლიზელი მარდად დაეთანხმა. იმ სახლში ძალიან უყვარდათ სწრაფი პასუხები.

— დიახ, დედა, — შეუსწორა დედობილმა, — ღორუკელა, დედათი მომმართე.

და ჰანს ჰუბერმანმა დაამთავრა კიდეც თუთუნის შეხვევა, ქალალდი გალოკა და შეაწება, მერე ლიზელს გახედა და თვალი ჩაუკრა. გოგონას მისთვის მამის დაძახება ნამდვილად არ გაუჭირდებოდა.

ქალი რკინის მუშტით

პირველი რამდენიმე თვე ნამდვილად ძალიან მძიმე იყო.

ყოველ ღამით ლიზელს საშინელებები ესიზმრებოდა.

ძმის სახე.

მატარებლის იატაკზე მიყინული მზერა.

ოფლში გაწურულს ელვიძებოდა, კიოდა და ზეწრების ტალღებში ფართხალებდა. მოპირდაპირე საწოლი, რომელზეც მისი ძმა იწვა, ნავივით ტივტივებდა უჩინო სიბნელეში. ლიზელის გონზე მოსვლისას, საწოლი იატაკში იძირებოდა, მაგრამ ეს დიდად ვერ ანუგეშებდა გოგონას და კიდევ დიდხანს კიოდა.

იმ ზმანებებს ერთადერთი დადებითი ის ჰქონდა, რომ ჰანს ჰუბერმანი, ახალი მამა, შემოდიოდა ოთახში და დიდი სიყვარულით ამშვიდებდა გოგონას.

ის ყოველღამე შედიოდა ლიზელთან და სასთუმალთან ჯდებოდა. პირველი ორი დღე მხოლოდ იჯდა — ასე უცნაურად ცდილობდა, გოგონასთვის მარტოობა შეემსუბუქებინა. ერთხელ კი ჩასჩურჩულა: „ჩუ, მე აქა ვარ, ყველაფერი კარგადაა“. სამი კვირის მერე გულშიც ჩაიკრა. გოგონა სულ უფრო მეტად ენდობოდა მას, ამშვიდებდა მამაკაცის ნაზი სიუხეშე და გვერდით ყოფნა. ლიზელი თავიდანვე მიხვდა, მამობილი წამოკივლებაზეც შევიდოდა მასთან და აღარ დატოვებდა.

განმარტება, რომელიც ლექსიკონში არ იძებნება

არდატოვება: ნდობისა და სიყვარულის აქტი, რომელსაც მაშინვე გრძნობენ ბავშვები

ძილმორეული ჰანს ჰუბერმანი ლიზელის საწოლზე იჯდა, გოგონას მისი პერანგის სახელოებში ჰქონდა თავი ჩარგული და ხმამაღლა სუნთქავდა. ორ საათს რომ გადასცილდებოდა ხოლმე, ძლივს ჩაიძინებდა და ისევ გრძნობდა ჰანსის სურნელს, — ჩამქრალი სიგარეტის, საღებავისა და ადამიანის კანის სუნს. გათენებას მამობილი რამდენიმე ნაბიჯში, სკამზე ხვდებოდა მოკუნტული. სხვა საწოლს არ ეკარებოდა. ლიზელი წამოდგებოდა, მიეპარებოდა, ლოყაზე აკოცებდა. ის კი ილვიძებდა და გოგონას ულიმოდა.

ხანდახან მამა ეუბნებოდა, საწოლში ჩაწექიო, წუთით დაელოდებოდა, მერე კი აკორდეონით ბრუნდებოდა ოთახში და მისთვის უკრავდა. ლიზელი წამოჯდებოდა, ჩუმად აჰყვებოდა და პატარა თითებს აღელვებისგან იმტვრევდა. აქამდე მისთვის არავის დაეკრა. გოგონა ხანდახან სულელივით იცინოდა თავისთვის, აკვირდებოდა, როგორ იხატებოდა ნაირ-ნაირი ხაზი ჰანსის სახეზე და როგორ კრთოდა თვალებში ნაზი ლითონი. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ სამზარეულოდან როზა არ გამოვარდებოდა.

— ნუ ხმაურობ, ღორიშვილო!

მამა ცოტა ხანს კიდევ უკრავდა.

მერე ისევ ჩაუკრავდა თვალს გოგოს და ლიზელიც ტლანქ საპასუხო თვალის ჩაკვრას უბრუნებდა.

ჰანსმა ინსტრუმენტი რამდენჯერმე სამზარეულოშიც შეიტანა და საუზმობისას დაუკრა.

მამობილის ნაკბეჩი ჯემიანი პური მაგიდაზე იდო ხოლმე, მუსიკა კი თვალებში ჩასცქეროდა გოგონას. მესმის, რომ ეს სიტყვები უცნაურად ჟღერს, მაგრამ ლიზელი ასე შეიგრძნობდა მას. მამის მარჯვენა ხელი კბილისფერ კლავიშებზე დარბოდა, მარცხენა კი ღილაკებს აწვებოდა (ლიზელს გან-

საკუთრებით ის უყვარდა, მამა მოვერცხლისფრო, ცოცხალ დო მაჟორს რომ აიღებდა ხოლმე). აკორდეონის დაჩხაპნილი, მაგრამ მაინც შავი და პრიალა გვერდები წინ და უკან მოძრაობდა, მტვრიან საბერველს ახმაურებდა და აიძულებდა, ჩაესუნთქა და ამოესუნთქა. იმ წუთებში, სამზარეულოში, ჰანსი აკორდეონს აცოცხლებდა. ალბათ ფიქრობთ, რომ ესეც უცნაურად ჟღერს, მაგრამ თუ გინდა, სიცოცხლე შეიგრძნო, სუნთქვას უნდა მიუგდო ყური.

აკორდეონის ხმა გოგონასთვის უსაფრთხოებასთან ასოცირდებოდა. დღის შუქზე, დალამებამდე ლიზელს საშინელი ზმანება ალარ აწუხებდა, თუმცა, ძმა ენატრებოდა და ხშირად, ციცქნა აბაზანაში უხმოდ ტიროდა ხოლმე, თან უხაროდა, რომ ელვიძა. ჰუბერმანებთან გატარებულ პირველივე ღამეს ლიზელმა ძმასთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი — *„მესაფლავის ცნობარი“* გადამალა, ლეიბის ქვეშ ამოდო. ხანდახან სამალავიდან იღებდა ხოლმე. იჯდა და ასოებს მიშტერებოდა, მაგრამ აზრზე არ იყო, რა ეწერა შიგ. რაზე მოუთხრობდა წიგნი, არ აინტერესებდა. მთავარი მისი მნიშვნელობა იყო.

წიგნის მნიშვნელობა

1. ძმის უკანასკნელად ხილვა.
2. დედის უკანასკნელად ხილვა.

ხანდახან გოგონა ჩურჩულით იმეორებდა სიტყვა „დედას“ და დღეში ასჯერ მაინც ხედავდა მის სახეს, მაგრამ ეს არაფერი იყო, ღამის სიზმრებთან შედარებით, ძილში თავს უსაშველოდ მარტო გრძნობდა.

დარწმუნებული ვარ, უკვე შენიშნეთ, რომ იმ სახლში სხვა ბავშვები არ იმყოფებოდნენ. ჰუბერმანების ორი ღვიძლი შვილი უკვე დიდი იყო და თავისთვის ცხოვრობდა სხვა ქალაქში. ჰანსი-უმცროსი მიუნხენის ცენტრში მუშაობდა, ტრუდი კი შინამოსამსახურეობითა და გადიობით ირჩენდა თავს.

მალე ორივე ომში აღმოჩნდება, ერთი ტყვიებს დაამზადებს, მეორე კი მათი სროლით იქნება დაკავებული.

სკოლა, როგორც მიხვდით, ერთი უბედურება იყო.

მართალია, სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მაგრამ კათოლიციზმის დიდ გავლენას განიცდიდა, ლიზელი კი ლუთერანი გახლდათ. გამართლებაც ამას ჰქვია, არა?

შემდეგ სკოლაში აღმოაჩინეს, რომ გოგონამ წერა-კითხვა არ იცოდა.

მისდა სამარცხვინოდ, პატარა ბავშვებთან დასვეს, მათთან, რომლებიც ის-ის იყო, ანბანის შესწავლას იწყებდნენ. მართალია, გოგონა გალეული და ფერმკრთალი იყო, მაგრამ იმ ციცქნებში თავი გოლიათად ეჩვენებოდა და ნატრობდა, ნეტავ, ისეთი უფერული ვიყო, საერთოდ გავქრეო.

სახლშიც დიდად ვერავინ ეხმარებოდა.

— დახმარება არ სთხოვო, — გაიშვერდა დედა ჰანსისკენ ხელს, — ამ ღორიშვილმა — მამა ჩვეულებისამებრ ფანჯრიდან იცქირებოდა, — სკოლაში მხოლოდ ოთხი წელი იარა.

მამა არც კი მიბრუნდებოდა ცოლისკენ, გესლიანად იტყოდა:

- თავად სამი კლასის მეტი არ აქვს დამთავრებული.

იმ სახლში წიგნები არ იყო (ლეიბის ქვეშ გადამალულს თუ არ ჩავთვლით), ლიზელს მხოლოდ ის შეეძლო, ანბანი ჩუმად გადაემეორებინა, სანამ დედა არ უბრძანებდა, გაჩუმდიო. ასე ბუტბუტებდა გამუდმებით. კითხვაში დამატებითი მეცადინეობა ცოტა მოგვიანებით დაიწყო, მას მერე, რაც ოფლში გაწურულმა საშინელი სიზმარი ნახა. არაოფიციალურად, იმ მეცადინეობებს შუალამის გაკვეთილი ერქვა და ღამის ორ საათამდე გრძელდებოდა, ზოგჯერ უფრო გვიანობამდე. დანარჩენს მერე მოგითხრობთ.

თებერვლის შუა რიცხვებში, ლიზელს ათი წელი რომ შეუსრულდა, დედობილ-მამობილმა ნახმარი, ცალფეხა და ყვითელთმიანი თოჯინა აჩუქა.

— მეტი ვერაფერი მოვახერხეთ, — მოიბოდიშა მამამ.

— რას ლაპარაკობ? ბედნიერია, ესეც რომ ერგო, — შეუსწორა დედამ.

ჰანსი თოჯინის შერჩენილ ფეხს ათვალიერებდა, სანამ ლიზელი ახალ უნიფორმას ისინჯავდა. უკვე ათი წლის იყო, ეს

ნიშნავდა — „ჰიტლერიუგენდს“. „ჰიტლერიუგენდი“ კი — ყავისფერ ფორმას. ლიზელი, ვინაიდან გოგონა იყო, ახალგაზრდულ დივიზიაში ჩარიცხეს, რომელსაც BDM ერქვა.

აბრევიატურის გაშიფვრა

აბრევიატურა იკითხება ასე Bund Deutscher Mädchen — „გერმანელი გოგონების ლიგა“.

პირველ რიგში იქ იმაზე ზრუნავდნენ, რომ გოგონებს სწორად შეესრულებინათ Heil Hitler[6], მერე მწყობრად სიარულს, ნახვევის დადებასა და კერვას ასწავლიდნენ. ხანდახან გოგონები სალაშქროდ მიჰყავდათ. ოთხშაბათი და შაბათი შეკრების დღეები იყო და დღის სამი საათიდან საღამოს ხუთ საათამდე გრძელდებოდა. ყოველ ოთხშაბათსა და შაბათს მამა ლიზელს BDM-ს შტაბბინამდე აცილებდა და ორი საათის მერე აკითხავდა, ამ დროს არასოდეს ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, ხელჩაკიდებულნი მიაბიჯებდნენ და საკუთარ ფეხის ხმას უსმენდნენ. მამა ერთ-ორ ღერ სიგარეტსაც ეწეოდა.

ლიზელს მხოლოდ იმის ეშინოდა, მამა რომ სადღაც მიდიოდა ხოლმე. საღამოობით ჰანსი საერთო ოთახში (რომელიც ჰუბერმანების საძინებელიც იყო), ძველი განჯინიდან აკორდეონს იღებდა და სამზარეულოს კარისკენ მიჰქონდა.

ჰიმელ სტრიტს რომ გაუყვებოდა, დედა ფანჯარას გამოაღებდა და გასძახებდა: — ძალიან ნუ დაიგვიანებ!

— ასე ხმამაღლა ნუ ყვირი, — მიუბრუნდებოდა ჰანსი.

— ღორიშვილო! მოდი და ტრაკი ამილოკე! თუ მინდა, ამაზე ხმამაღლაც ვიყვირებ!

დედობილის ლანძღვა-გინება ექოდ ისმოდა ქუჩაში. ჰანსი უკან არ მოიხედავდა, ყოველ შემთხვევაში — სანამ არ დაწმუნდებოდა, რომ როზა აღარ იდგა ფანჯარასთან. შემდეგ ხელში აკორდეონით ფრაუ დილერის მაღაზიის კუთხეში შე-

---

[6] *მისალმების ფორმა ფაშისტურ გერმანიაში.*

ჩერდებოდა ხოლმე და უყურებდა, ფანჯარაში მისი ცოლის ადგილს სხვა ფიგურა როგორ იკავებდა, მერე ნაჩქარევად დაუქნევდა ხელს და გზას აგრძელებდა. ერთხელ, ლიზელმა ის ღამის ორ საათზე ნახა — ფრთხილად ცდილობდა, შვილობილი საშინელი სიზმრისგან გამოერკვია.

პატარა სამზარეულოში ბობოქარი საღამოები სწრაფად გადიოდა. როზა ჰუბერმანი სულ ლაპარაკობდა და თან *schimpfen*[7]. სულ რაღაცაზე ჩიოდა და წუწუნებდა, შეკამათებას კი ვერავინ უბედავდა, დედა ამის საშუალებას ყველას უსპობდა. სამზარეულოში როზა ყველაფერზე ჩხუბობდა. თითქმის ყოველ საღამოს, ნავახშმევს, მამას რომ გაისტუმრებდნენ, ლიზელი და დედა მარტონი რჩებოდნენ და როზა ტანსაცმელს აუთოებდა.

კვირაში რამდენჯერმე, სკოლიდან დაბრუნებული ლიზელი მოლკინგის ქუჩებს დედასთან ერთად გაუყვებოდა ხოლმე და დარეცხილ-დაუთოებულ ტანისამოსს ქალაქის მცხოვრებლებს ურიგებდა. ძირითადად, მდიდრების უბანში დადიოდნენ, კნაუპტ-შტრასეზე, ჰაიდე-შტრასეზე და კიდევ რამდენიმე ქუჩაზე. სარეცხს დედა დაყენებული ღიმილით ურიგებდა და ართმევდა მდიდრებს, თუმცა, კარს როგორც კი მიუხურავდნენ და სახლს გასცილდებოდა, წყევლიდა მათ ფულსა და სიზარმაცეს.

— *G'schtinkerdt,* საკუთარი ტანსაცმლისთვის ვერ მიუხედავთ, — იტყოდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ მათზე იყო დამოკიდებული. — ამას მთელი ფული მამისგან ერგო, — ლანძღავდა ჰაიდეშტრასელ ჰერ ფოგელს, — ახლა დადის და ქალებსა და სასმელში ფლანგავს, რა თქმა უნდა, რეცხვა-დაუთოებაშიც.

ლანძღვა-გინების მთელი ნიაღვარი.

ჰერ ფოგელი, მისტერ და მისის პფაფელჰიურვერები, ჰელენა შმიდტი, ვაინგარტნერები — ყველა *რაღაცაში* იყო დამნაშავე.

გარდა იმისა, რომ სვამდა და ძვირად ღირებულ, თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა, ერნსტ ფოგელი, როზას თუ დავუჯე-

[7] *გერმ. ილანძღებოდა.*

რებთ, მუდმივად ტილიანი თმით დადიოდა და სანამ ფულს ჩაუთვლიდა, ნერწყვით ისველებდა თითებს. „ამ ფულს სახლში ვერ მივიტან, თუ არ გავრეცხე", — იტყოდა ხოლმე გაბრაზებული.

პფაფელჰიურვერები სარეცხს უმოწმებდნენ. *„ამ პერანგს ნაკეცი არ უნდა ჰქონდეს, გეთაყვა,* — აჯავრებდა როზა, — *იმ პიჯაკზე ნაოჭიც არ უნდა იყოს.* დადგებიან და ჩემ თვალწინ ათვალიერებენ ყველაფერს. *G'sindel* — ნაგვები".

ვაინგარტნერები სულელები იყვნენ. „კატისბეწვიანი ღორები! იცი, რამდენი ხანი მჭირდება, ტანსაცმელს ის ბეწვები რომ გავაცალო? ყველგან კატის ბეწვი მხვდება!"

ჰელენა შმიდტი მდიდარი ქვრივი იყო. „ეს ბებერი საპყარი, ჩაჯდება სავარძელში და დრო უქმად გაჰყავს. თავის დღეში ხელი არ გაუნძრევია".

როზას ყველაზე საშინელი ლანძღვა-გინება გრანდ-შტრასეს რვა ნომრისათვის ჰქონდა გადანახული. იქ, მოლკინგის ზედა ნაწილში, გორაკზე, უზარმაზარი სახლი იდგა.

— ეს, — ხელი გაიშვირა ქალმა, როცა ლიზელთან ერთად პირველად მივიდა იქ, — ქალაქის მერის სახლია, იმ გაიძვერასი. მისი ცოლი სულ შინ ზის, ვერც კი ხვდება, ცეცხლი რომ დაანთოს ბუხარში და იყინება. გიჟია, — გამოცრა, — ნამდვილი გიჟი. — ჭიშკართან გოგონას ხელი წაჰკრა, — შენ შედი.

ლიზელს შეეშინდა. უზარმაზარი ყავისფერი კარი თითბრის ჩაქუჩით კიბის თავში ელოდა.

— რა?

დედამ კარზე მიუთითა:

— მორჩი კითხვების დასმას, ღორუკელა, და გაინძერი.

ლიზელი დაიძრა, ბილიკი აიარა, საფეხურებს აუყვა და კართან შეჩერდა.

კარში ჯერ სააბაზანოს ხალათი გამოჩნდა. მერე სახე.

მასში ქალი გახვეულიყო, გაოცებული თვალებითა და ღუნღულა თმით, ნაცემივით იდგა. ქალმა დედა რომ დაინახა ჭიშკართან, გოგონას სარეცხით სავსე კალათა გაუწოდა.

— გმადლობ, — უთხრა ლიზელმა, მაგრამ ქალმა არ უპასუხა, მხოლოდ კარი მიუხურა.

— ხედავ? — თქვა დედამ, გოგონა რომ დაბრუნდა, — აი, რისი ატანა მიწევს, ეს მდიდარი ნაბიჭვრები, უსაქმური ღორები...

სარეცხით ხელში გზა რომ განაგრძეს, ლიზელმა უკან მიიხედა. თითბრის ჩაქუჩი უცქერდა კარიდან.

როზა ჰუბერმანი კლიენტების ლანძღვას დაამთავრებდა და საყვარელ თემას უბრუნდებოდა. ქმრის დამუნათებას. უყურებდა სარეცხიან კალათებს, ერთმანეთზე მიკრულ სახლებს და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა.

— მამაშენი რამის მაქნისი რომ იყოს, — უმეორებდა ლიზელს, სანამ მოლკინგის ქუჩებს მიუყვებოდნენ, — ამის კეთება არ დამჭირდებოდა, — მერე ჩაიფრუტუნებდა დამცინავად, — მღებავი! ნეტავ, რატომ გავყევი ამ Arschloch-ს? განა, არ მეუბნებოდნენ ჩემი ოჯახის წევრები... — ბილიკზე მათი ნაბიჯების ჭრაჭუნი ისმოდა. — ახლა კი აქ ვარ, ქუჩაში მივაბიჯებ და მონასავით ვშრომობ სამზარეულოში, რადგან ამ ნაბიჭვარს სამუშაო ვერ უშოვია. ნამდვილ სამუშაოს ვგულისხმობ და არა — საცოდავ აკორდეონსა და ტალახიანი გზის ტკეპნას.

— დიახ, დედა.

— მეტს ვერაფერს იტყვი? — და თვალები სახეში ჩაკერებული ღია ცისფერი კონკებით გაუხდა.

გზა განაგრძეს.

ლიზელი დიდ ჩანთას მიათრევდა.

სარეცხს როზა შინ, ქურასთან მდგარ დიდ ქვაბში ხარშავდა, საერთო ოთახში ბუხრის წინ აშრობდა და სამზარეულოში აუთოებდა.

— გაიგონე? — ლამის ყოველ ღამით ეკითხებოდა დედა. ხელში ეჭირა უთო, რომელსაც ქურაზე აცხელებდა. სახლი ცუდად იყო განათებული და სამზარეულოს მაგიდასთან მიმჯდარი ლიზელი წინ აღმართულ ცეცხლის ენებს მისჩერებოდა.

— რა? — პასუხობდა დედას, — რა უნდა გამეგონა?

— ჰოლცაპფელი იყო, — დედა უკვე ფეხზე იდგა, — იმ ღორმა ისევ მიაფურთხა ჩვენს კარს.

ფრაუ ჰოლცაპფელს, მათ მეზობელს, ასეთი ჩვევა ჰქონდა, ყოველთვის აფურთხებდა ჰუბერმანების კარს, როცა ახლოს ჩაუვლიდა. სახლის კარი მხოლოდ რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული ჭიშკარს და უნდა აღვნიშნო, რომ ფრაუ ჰოლცაპფელი მანძილს დიდი სიზუსტით საზღვრავდა.

ეს შეფურთხება იმას ნიშნავდა, რომ როზა ჰუბერმანთან ათწლიანი ომი გრძელდებოდა. თუმცა, მტრობის მიზეზი არავინ იცოდა, თავად კონფლიქტის მონაწილეებსაც კი დაავიწყდათ, რისთვის გადაემტერნენ ერთმანეთს.

ფრაუ ჰოლცაპფელი ძარღვიანი ქალი იყო და მშვენივრად იფურთხებოდა. გათხოვილი არასდროს ყოფილა, მაგრამ ჰუბერმანების ნაშიერებზე რამდენიმე წლით უფროსი ორი ვაჟი ჰყავდა, ორივე ჯარში მსახურობდა და სანამ ამ ამბის თხრობას დავასრულებ, დამიჯერეთ, რამდენჯერმე კიდევ მომიწევს მათი გახსენება.

რაც შეეხება ფურთხებას, აუცილებელია აღვნიშნო, რომ იმ რიტუალს ფრაუ ჰოლცაპფელი კეთილსინდისიერად ასრულებდა, არასდროს ავიწყდებოდა, რომ ოცდამეცამეტე ნომერ სახლთან მიახლოებულს, შეფურთხებასთან ერთად, ღორებოო, უნდა დაეძახა.

მოკლედ, გერმანელების შესახებ აი, რა შევიტყვე:

მგონი, ძალიან უყვართ ღორები.

მოკლე კითხვა-პასუხი

როგორ ფიქრობთ, ვის აიძულებდნენ, ყოველ ღამით კარიდან ფურთხი მოეწმინდა?
დიახ. გამოიცანით.

რკინისმუშტიანი ქალი რომ გეტყვის, გარეთ გადი და კარიდან ფურთხი ჩამოწმინდეო, გინდა თუ არ გინდა, აუცილებლად შეასრულებ, მით უფრო, როცა რკინა ცხელია.

ეს ყოველდღიურობის ნაწილი იყო, მართლა.

ყოველ ღამით ლიზელი გარეთ გადიოდა, კარს წმენდდა და ცას უყურებდა. ცა ნაღვენთს ჰგავდა — ცივსა და მძიმეს,

სრიალასა და ნაცრისფერს, მაგრამ დროდადრო, სულ რამდენიმე წუთით, ვარსკვლავები ახერხებდნენ გამოჩენას და კიაფს, ასეთ ღამეებში გოგონა ცოტა უფრო დიდხანს რჩებოდა ეზოში და ელოდა.

— გამარჯობა, ვარსკვლავებო.

ისევ ელოდა.

ძახილს სამზარეულოდან ან ვარსკვლავების გაქრობას გერმანული ცის მორევში.

კოცნა

(მცირეწლოვანი გადაწყვეტილებას იღებს)

მოლკინგი სხვა პატარა ქალაქების მსგავსად, ნაირ-ნაირი პერსონაჟით იყო დასახლებული. მათი უმეტესობა ჰიმელ-სტრიტზე ცხოვრობდა. ფრაუ ჰოლცაპფელი მხოლოდ ერთი-ერთი მათგანი იყო.

აი, დანარჩენებიც:

რუდი შტაინერი — კარის მეზობელი, რომელიც ამერიკელი ათლეტით, ჯეესი ოუენსით იყო გატაცებული.

ფრაუ დილერი — ჭეშმარიტი არიელი[8], რომელსაც ქუჩის კუთხეში მაღაზია ჰქონდა.

ტომი მიულერი — ბავშვი ყურის ქრონიკული ინფექციით, რის გამოც რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა და სახის კანი, რომელსაც თითქოს ვარდისფერი მდინარე სერავდა, მუდმივად უთამაშებდა.

დაბოლოს, კაცი, რომელსაც „პფიფიკუსს" ეძახდნენ. ისეთი ბილწსიტყვაობა იცოდა, მის ფონზე როზა ჰუბერმანი ოქროპირად და წმინდანად მოგეჩვენებოდათ.

ზოგადად, იმ ქუჩაზე ხელმოკლე ხალხი ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერის დროს გერმანიის ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა, ქალაქში მაინც არსებობდა ღარიბი უბნები. ჰუბერმანების კარის მეზობლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შტაინერების ოჯახი ქირაობდა სახლს. შტაინე-

---

[8] *ფაში ზმის იდეოლოგების აზრით, ჭეშმარიტი არიელი წარმოადგენდა უმაღლეს რასას. მას გამოარჩევდა ღია ფერის კანი და თმა. ასევე - „გენეტიკური მდგრადობის ნიშანი" — თვალის ღია ფერი (ცისფერი ან მწვანე).*

რებს ექვსი შვილი ჰყავდათ. ერთ-ერთი მათგანი, გამოუსწორებელი რუდი, მალე ლიზელის საუკეთესო მეგობარი გახდება, მოგვიანებით კი — დანაშაულზე წააქეზებს. ბავშვები ერთმანეთს ქუჩაში შეხვდებიან.

მას მერე, რაც ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში ლიზელმა პირველად იბანავა, დედობილმა გარეთ გასვლის და სხვა ბავშვებთან თამაშის ნება დართო. ჰიმელ-სტრიტზე ბავშვები, ამინდის მიუხედავად, ძირითადად, ღია ცის ქვეშ უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს. ისინი იშვიათად დადიოდნენ სტუმრად, რადგან პატარა სახლები ჰქონდათ და ბევრი ადამიანი შიგ ვერ დაეტეოდა. თანაც, პროფესიონალებივით უდგებოდნენ ისეთ თამაშებს, როგორიც ფეხბურთი იყო. გუნდებიც ეზოებში იქმნებოდა. კარის მოსანიშნად ნაგვის ურნებს იყენებდნენ.

რაკი ლიზელი ახალჩასული იყო, დაუყოვნებლივ ნაგვის ურნებს შორის გაამწესეს (ტომი მიულერი, როგორც იქნა, მეკარეობიდან გაათავისუფლეს, მას ხომ ყველაზე უმაქნისი ფეხბურთელის სახელი ჰქონდა ჰიმელსტრიტელ ბავშვებს შორის).

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ერთ საბედისწერო ნუთს, შეურაცხყოფილმა ტომი მიულერმა რუდი შტაინერი თოვლში არ ჩააგდო.

— რაო? — დაიყვირა ტომიმ. სასოწარკვეთილს სახე აუთამაშდა, — რას მერჩით?

რუდის გუნდს პენალტის დარტყმა დაენიშნა და ახლა, შტაინერი ახალი ბავშვის, ლიზელ მემინგერის პირისპირ იდგა.

ბიჭუნამ ბურთი ჭუჭყიანი თოვლის ნაყარზე მოათავსა და დარწმუნებული იყო, ყველაფერი ძველებურად, წარმატებით დასრულდებოდა. ბოლოს და ბოლოს, თვრამეტი დარტყმიდან რუდის არც ერთი პენალტი არ აუცდენია, ამას მაშინაც შეძლებდა, თუკი მოწინააღმდეგე გუნდი ტომი მიულერის ნაცვლად სხვა მეკარეს დააყენებდა. სულერთი იყო. გოლს აუცილებლად გაიტანდა.

ამჯერად გუნდმა ლიზელის კარიდან გამოტყუებაც სცადა. როგორც ხვდებით, ლიზელმა უარი თქვა და რუდიმ მხარი აუბა.

— არა, არა, — გაიღიმა ბიჭმა, — დარჩეს. — და ხელები მოიფშვნიტა.

თოვა შეწყდა და ქუჩა ტალახიანი ნაფეხურებით აჭრელდა, რუდი გაიქცა და ბურთს დაარტყა, მაგრამ ლიზელი კარის სიღრმისკენ გადახტა და იდაყვით მოიგერია ბურთი. იდგა და იკრიჭებოდა. უცებ პირველი, რაც დაინახა, ტალახიანი თოვლის გუნდა იყო, რომელიც სახეზე მიეკრო და კანი საშინლად აუწვა.

— როგორ მოგწონს? — ახლა ბიჭმა გაიცინა, ბურთი წინ გაიგდო და გაიქცა.

— ნაბიჭვარი, — ჩაიჩურჩულა ლიზელმა. ახალი სახლის ლექსიკონს სწრაფად ეუფლებოდა.

ცოტა რამ რუდი შტაინერზე

ბიჭუნა რვა თვით უფროსი იყო ლიზელზე, წვრილი კანჭები ჰქონდა,
ბასრი კბილები, დაჭყეტილი ლურჯი თვალები
და ლიმონისფერი თმა.
შტაინერების ექვსი შვილიდან ერთ-ერთი იყო
და ყოველთვის მშიერი დადიოდა.
ჰიმელ-სტრიტზე გიჟად მიაჩნდათ
ერთი შემთხვევის მერე, რომელზეც იშვიათად ჰყვებოდნენ, თუმცა, „ჯესი ოუენსის ინციდენტს“ უწოდებდნენ. მაშინ ბიჭუნამ ნახშირით შეიღება სახე და ერთ ღამეს ადგილობრივ
სპორტულ მოედანზე
ასი მეტრი გაირბინა.

თუნდაც შეშლილი ყოფილიყო, რუდის ლიზელის საუკეთესო მეგობრობა თავიდანვე ეწერა. სახეში მოხვედრილი გუნდა მტკიცე მეგობრობის შესანიშნავ დასაწყისად იქცა.

იმ ამბიდან სულ ცოტა ხანში ლიზელმა სკოლაში სიარული დაიწყო. შტაინერი მიაცილებდა. რუდის დედამ, ბარბრამ, ბიჭი შეიპირა, ახალ გოგონასთან ერთად ევლო, ალბათ იცოდა, ლიზელს მისმა შვილმა გუნდა რომ მოარტყა სახეში. რუდი წინადადებას სიამოვნებით დასთანხმდა. სხვათა შორის, სულ

არ ჰგავდა ქალთმოძულე ბიჭბუჭებს, გოგონები ძალიანაც მოსწონდა, განსაკუთრებით – ლიზელი (გუნდაც ამიტომ ესროლა). ფაქტობრივად, რუდი შტაინერი ერთი იმ თავხედ ნაბიჭვართაგანი იყო, მუდმივად რომ ოცნებობენ ქალებზე. ასეთი მოზარდი, ალბათ, საბავშვო წრეებსა თუ წარმოდგენებში ყოველთვის მოიძებნება. ბიჭუნა, რომელიც უარს ამბობს საწინააღმდეგო სქესის სიძულვილზე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს დანარჩენებს ახასიათებთ, ისეთი ტიპი უნდა იყოს, გადაწყვეტილებების მიღების რომ არ ეშინია. რუდიმაც ლიზელ მემინგერთან დაკავშირებით ყველაფერი უცებ გადაწყვიტა.

სკოლისკენ რომ მიდიოდნენ, რუდი ლიზელს ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს ათვალიერებინებდა ან შიგადაშიგ უმცროს და-ძმებს მოუწოდებდა, გაჩუმდითო, უფროსებს კი, რომლებიც თავად ეუბნებოდნენ, მოკეტეო, საკადრის პასუხს სცემდა. რუდისთვის პირველი საინტერესო ადგილი პატარა ფანჯარა იყო, ერთი დიდი სახლის მეორე სართულზე.

— აი, აქ ცხოვრობს ტომი მიულერი, — რუდი მიხვდა, ლიზელმა ვერ გაიხსენა, ტომი ვინ იყო, — აი, სახე რომ უთამაშებს, ხუთი წლის რომ იყო, წელიწადის ყველაზე ცივ დღეს ერთ დიდ ბაზარში დაიკარგა, სამი საათის განმავლობაში ვერ იპოვეს, თავიდან ფეხებამდე გათოშილი იყო, ყურის ანთებაც მაშინ დაემართა და სამი თუ ოთხი ოპერაციის შემდეგ ექიმებმა ნერვი ისე დაუზიანეს, რომ მას შემდეგ ასეა.

— თან ფეხბურთის თამაშიც არ ეხერხება, — დაამატა ლიზელმა.

— ჰო, ყველაზე უარესად თამაშობს.

მომდევნო ღირსშესანიშნაობა ჰიმელ-სტრიტის კუთხეში მდგარი ფრაუ დილერის მაღაზია იყო.

მნიშვნელოვანი ცნობა ფრაუ დილერზე

მას ერთი ოქროს ნესი ჰქონდა.

ფრაუ დილერი კუთხოვანი ქალი იყო, სქელშუშიანი სათვალითა და ბოროტი მზერით. ასეთი მზერა იმისთვის დაიყენა, რომ მაღაზიიდან რაიმეს მოპარვის ხალისი დაეკარგა

ხალხისთვის. მაღაზიას ჯარისკაცივით იცავდა, გამყინავი ხმა ჰქონდა და სუნთქვაც კი „ჰაილ ჰიტლერით“ ჰქონდა გაჟღენთილი. მისი მაღაზია თეთრი, ცივი და სრულიად უსისხლო იყო. გვერდიდან პატარა სახლი ჰქონდა მიკრული, რომელიც ჰიმელ-სტრიტზე განთავსებულ სხვა შენობებზე მეტად ცახცახებდა. შიშს ფრაუ დილერი ნერგავდა, შიში ერთადერთი იყო, რასაც იგი უფასოდ ატანდა ხალხს მაღაზიიდან. ის მაღაზიით ცხოვრობდა, მაღაზია კი — მესამე რაიხით[9]. ქვეყანაში სასურსათო რაციონი რომ შემოიღეს, ქალს მაშინაც კი დახლქვეშ ედო ძნელად საშოვნელი საქონელი, რომელსაც ყიდდა და ფულს ნაცისტურ პარტიას სწირავდა. მის თავზე ჩარჩოში ჩასმული ფიურერის სურათი ეკიდა. მაღაზიაში თუ შეხვიდოდი და არ იტყოდი, „ჰაილ ჰიტლერო“, არ მოგემსახურებოდა. ბავშვებმა მის მაღაზიას რომ ჩაუარეს, რუდიმ ლიზელს დაანახვა, როგორ უცქერდა მათ ვიტრინიდან ტყვიაგაუმტარი წყვილი თვალი.

— მაღაზიაში რომ შეხვალ ხოლმე, „ჰაილ“ თქვი, — გააფრთხილა გოგონა მშრალად, — თუ გინდა, გარეთ არ გამოგაბრძანონ. შენობას რომ გასცდნენ, ლიზელმა უკან მიიხედა და დაინახა, გამადიდებელი შუშასავით თვალები ისევ მისჩერებოდა ვიტრინიდან.

მოსახვევში მთვრალებით სავსე მიუნხენის ქუჩა იწყებოდა (იქ გადიოდა მოლკინგიდან გასასვლელი მთავარი გზა).

როგორც ხშირად ხდებოდა იმხანად, ჯარისკაცებმა სამხედრო სვლით ჩაიარეს. მწყობრად მიაბიჯებდა უნიფორმები და კიდევ უფრო აჭუჭყიანებდა თოვლს შავი ჩექმები. დაჭიმული სახეები წინ იყურებოდა.

ერთხელ, ჯარისკაცების ცქერაში გართულმა შტაინერების ჯგუფმა და ლიზელმა მაღაზიების ვიტრინებსა და ქალაქის საბჭოს შენობას ჩაუარეს. იმ შენობისგან მოგვიანებით ქვა ქვაზე აღარ დარჩება. რამდენიმე მიტოვებულ მაღაზიას კიდევ შერჩენოდა ყვითელი ვარსკვლავი და ანტიებრაული წარწერა. ქვემოთ ცისკენ აზიდული ეკლესია იდგა, ერთი-

[9] *გერმანიის იმპერიის არაოფიციალური სახელწოდება 1933 წლის მარტიდან 1945 წლის მაისამდე. მის ნაცვლად ხშირად გამოიყენება „ნაცისტური გერმანია“.*

მეორეზე მჭიდროდ მიწყობილი ფილებით გადახურული. მთელი ქუჩა ნაცრისფერ გვირაბს ჰგავდა — ნესტის კორიდორს, ადამიანები სიცივეში მიაბიჯებდნენ და მათი სველი ნაბიჯების ხმა ისმოდა.

ერთ ადგილას რუდი დაწინაურდა და ლიზელიც თან გაიყოლა, მერე კი სამკერვალოს ფანჯარაზე დააკაკუნეს. აბრაზე წარწერა ვერ წაიკითხა, თორემ, ლიზელი მიხვდებოდა, სამკერვალო რუდის მამას რომ ეკუთვნოდა. ჯერ არ გაელოთ, მაგრამ დახლთან მდგომმა კაცმა, რომელიც სამოსს აწესრიგებდა, თავი ასწია და ბავშვებს ხელი დაუქნია.

– მამაჩემია, — აცნობა რუდიმ ლიზელს და მალე ორივენი სხვადასხვა ზომის შტაინერებში აითქვიფნენ, თითოეული ბავშვი ხელს უქნევდა მამას და კოცნიდა, ზოგიერთი თავის დაქნევით შემოიფარგლა. მხოლოდ მისალმების შემდეგ განაგრძეს გზა და სკოლისკენ მიმავალი გზის ბოლო მონაკვეთს გაუყვნენ.

ბოლო გაჩერება

ყვითელი ვარსკვლავების[10] ქუჩა

იქ გაჩერება და წინ გახედვა არავის სურდა, მაგრამ მაინც ასე იქცეოდა ყველა. გრძელი, მოტეხილი მკლავის ფორმის ქუჩაზე რამდენიმე სახლი იდგა შუშებჩალეწილი ფანჯრებითა და მორღვეული კედლებით. ყველა კარზე დავითის ვარსკვლავი ეხატა. ეს სახლები კეთროვანებივით ჩანდა, გეგონებოდა, საზიზღარი ინფექცია დადის ბეჩავ გერმანულ მინაზეო.

— შილერ-შტრასე, — თქვა რუდიმ, — ყვითელი ვარსკვლავების ქუჩა.

სადღაც შორს რამდენიმე ადამიანი გამოჩნდა, ნისლში მოჩვენებებს ჰგავდნენ, არაადამიანური ფორმები შეეძინათ და გეგონებოდა, ტყვიისფერ ღრუბლებში დააბიჯებენო.

---

[10] *ექვსქიმიანი ვარსკვლავი-ემბლემა, იგივე დავითის ვარსკვლავი, „დავითის ფარი“. გადმოცემის თანახმად, იგი გამოსახული იყო ისრაელიანთა მეფისა და წინასწარმეტყველის, დავითის მეომართა ფარებზე. დღეს ისრაელის სახელმწიფო დროშას ამშვენებს და ებრაელი ხალხის სახე-სიმბოლოა.*

— ფეხი გამოადგით, ჰეი, თქვენ, ორივემ, — დაიყვირა კურტმა (შტაინერების უფროსმა ვაჟმა). რუდიმ და ლიზელმა ნაბიჯებს მოუჩქარეს.

რუდი ყოველ დასვენებაზე დაეძებდა ლიზელს და არ ადარდებდა, სხვები უწიგნურს რომ ეძახდნენ გოგონას, ის ხომ სკოლაში თავიდანვე მან მიაცილა და მაშინაც დაიცვა, როცა შეურაცხყოფამ პიკს მიაღწია. უბრალოდ, ეს უსასყიდლოდ არ გაუკეთებია.

იმ ბიჭზე უარესი, რომელსაც ეზიზღები, ის ბიჭია, რომელსაც უყვარხარ

მოგვიანებით, აპრილში, სკოლიდან შინ დაბრუნებისას რუდი და ლიზელი, ჩვეულებრივ, ჰიმელ-სტრიტზე შეჩერდნენ ფეხბურთის სათამაშოდ. ეტყობა, ადრიანად მოუწიათ მისვლამ, რადგან დანარჩენი ბავშვები ჯერ არ ჩანდნენ. ერთადერთი, ვისაც თვალი მოჰკრეს, პირმყრალი პფიფიკუსი გახლდათ.

— შეხედე, — ხელი წაჰკრა რუდიმ.

პფიფიკუსის პორტრეტი

სუსტი სხეული.
თეთრი თმა.
შავი საწვიმარი, ყავისფერი შარვალი,
დაგლეჯილი ფეხსაცმელი
და პირი —
თან რა პირი!

— ჰეი, პფიფიკუს!

შორს მდგარმა კაცმა რომ მოიხედა, რუდიმ სტვენა ატეხა, მოხუცი უცებ გასწორდა და ისეთი ლანძღვა-გინება ამოუშვა პირიდან, არ შევცდები, „ნიჭიერს“ თუ ვუწოდებ. რა ერქვა იმ კაცს, სინამდვილეში, არავინ იცოდა, ან, თუ იცოდნენ, არასოდეს მიმართავდნენ, მხოლოდ პფიფიკუსს ეძახდნენ.

ეს სახელი მას სტვენის სიყვარულისთვის შეარქვეს. მოხუცი მუდმივად ერთ მოტივს, „რადეცკის მარშს“[11] უსტვენდა და ქალაქის ყველა ბავშვი მის გასაჯავრებლად იმ მელოდიას იმეორებდა ხოლმე. ასეთ წუთებში პფიფიკუსი იცვლიდა სიარულის ჩვეულ მანერას (წინ გადახრილი სვლა დიდი ნაბიჯებით, კოჭლობით და ზურგზე დაწყობილი ხელებით), წელში გაიმართებოდა და ლანძღვა-გინებას ამოუშვებდა. ასეთ დროს სიმშვიდე სადღაც ქრებოდა და მისი ხმა სავსე იყო მრისხანებით.

იმ დღეს ლიზელმა ლამის ინსტინქტურად გაიმეორა რუდის დამცინავი შეძახილი.

— პფიფიკუს! — ექოსავით გაისმა ხმა, რომელშიც ის სასასტიკე ულერდა, როგორც ჩანს, ბავშვობამ რომ იცის. გოგონა საშინლად უსტვენდა, დრო არ ჰქონდა დასაოსტატებლად.

პფიფიკუსი დაედევნა და გემრიელადაც მიალანძღა. ამ სიტყვებით დაიწყო:

— Geh' scheissen![12] — მერე კი უარესები გაუშვა. თავიდან მხოლოდ ბიჭებს ამუნათებდა, მერე ლიზელის ჯერიც დადგა.

— პატარა ბოზო! — დაულრიალა გოგონას. ლიზელს ამ სიტყვებმა ზურგი აუწვა. — აქამდე არასოდეს მინახავხარ! — წარმოგიდგენიათ? ათი წლის გოგონა და ბოზი. ეს ხომ პფიფიკუსი იყო. ხალხი ფიქრობდა, ის და ფრაუ ჰოლცაპფელი შესანიშნავი წყვილი იქნებოდაო. — დაბრუნდით! — ლიზელი და რუდი გარბოდნენ და მხოლოდ ამ უკანასკნელ სიტყვას მოჰკრეს ყური. მანამ ირბინეს, სანამ მიუნხენის ქუჩამდე არ მიაღწიეს.

— წამოდი, — თქვა რუდიმ და ცოტა ხნით სული მოითქვა, — კიდევ ცოტაც და...

რუდიმ გოგონა „ჰუბერტის ოვალამდე“ მიიყვანა, იმ ადგილამდე, სადაც „ჯესი ოუენსის ინციდენტი“ მოხდა. შეჩერდნენ და იდგნენ ჯიბეებში ხელებჩაწყობილები. მათ წინ სარბენი ბილიკი იყო. ახლა ერთადერთი რამ რჩებოდა. და რუდიმ დაიწყო:

---

[11] *იოჰან შტრაუსი-უფროსი. სახოტბო მარში, დაწერილი მთავარსარდალ ვატსლავ რადეცკისათვის.*

[12] *გერმ. სალანძღავი სიტყვა.*

— ასი მეტრი, — წააქეზა გოგონა, — სანაძლეოს ჩამოვალ, ვერ გამასწრებ.

ლიზელმა ვერ მოითმინა:

— სანაძლეოს ჩამოვალ, რომ გაგასწრებ.

— რას ჩამოხვალ, ლორუკელა? ფული გაქვს?

— რა თქმა უნდა, არა, შენ?

— არა, — მაგრამ რუდის უცებ აზრი დაებადა, შეყვარებულმა ბიჭმა იმძლავრა მასში, — თუ გაგასწარი, გაკოცებ, — მიწაზე დაიხარა და შარვალი აიკაპიწა.

ლიზელი აღელდა, მაგრამ სცადა, არაფერი შეემჩნია:

— რად გინდა ჩემი კოცნა? ბინძური ვარ.

— მეც, — რუდი ნამდვილად ვერ ხვდებოდა, როგორ უნდა შეეშალა ამ საქმისთვის ხელი ცოტაოდენ ჭუჭყს. ორივენი დაახლოებით ერთნაირი ინტერვალით ბანაობდნენ.

გოგონამ ამასობაში კანჭები შეუთვალიერა მოწინააღმდეგეს, დაახლოებით ისეთივე ჰქონდა, როგორიც თვითონ. არა, ვერ დამამარცხებს, გაიფიქრა გულში და სერიოზული სახით დააქნია თავი თანხმობის ნიშნად:

— მოვილაპარაკეთ!

— თუ მაჯობებ, მაკოცე, მაგრამ თუ მე გავიმარჯვე, ფეხბურთის თამაშისას კარში აღარ ჩავდგები.

რუდი დაეთანხმა:

— სამართლიანი პირობაა, — თქვა და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

ცა ჩაშავებული იყო, ნისლიანი. ცრიდა.

სარბენი ბილიკი იმაზე უფრო ტალახიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ.

ორივე მოემზადა.

რუდიმ ქვა ააგდო ჰაერში. ძირს რომ ჩამოვარდებოდა სპორტული პისტოლეტიდან გასროლის სანაცვლოდ, სირბილს დაიწყებდნენ.

— ფინიშის ხაზსაც კი ვერ ვხედავ, — დაიწუწუნა ლიზელმა.

— მე რა, ვხედავ?

ქვა მიწაზე დავარდა.

გვერდიგვერდ გარბოდნენ, იდაყვებით ებრძოდნენ ერთმანეთს და წინ გაჭრას ცდილობდნენ. სრიალა მიწა ფეხქვეშ

ჭყაპუნებდა და ფინიშამდე ოცი მეტრი იქნებოდა დარჩენილი, ორივე ძირს რომ გაგორდა.

— იესო, მარიამ და იოსებ! — წამოიყვირა რუდიმ, — მთლად მძღნერში ვარ ამოსვრილი!

— მძღნერი არ არის, — შეუსწორა ლიზელმა, — ტალახია, — თუმცა, თავადაც ეჭვობდა. ხუთიოდე მეტრი კიდევ გაირბინეს ფინიშამდე.

— ფრეა, არა?

რუდიმ მიმოიხედა, მხოლოდ ბასრი კბილები და დაჭყეტილი ლურჯი თვალები მოუჩანდა, ნახევარი სახე ტალახში ჰქონდა ამოსვრილი. — ფრეა, მაგრამ მაინც ხომ უნდა გაკოცო?

— არ გაბედო! — ლიზელი იდგა და ქურთუკიდან ტალახს იშორებდა.

— კარში აღარ დაგაყენებ.

— გადაშენდი შენი კარიანად!

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ჰიმელ სტრიტზე, რუდიმ გააფრთხილა:

— ერთ დღეს, ლიზელ, — უთხრა გოგონას, — თავად მოიკლავ თავს ჩემი კოცნისთვის.

მაგრამ ლიზელმა იცოდა.

ფიცი დადო.

სანამ ცოცხლები იყვნენ, იმ საცოდავ, ბინძურ ნაბიჭვარს არასოდეს აკოცებდა, მით უფრო — დღეს. წინ გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა. გოგონამ ტალახში ამოთხვრილი სამოსი შეითვალიერა და თქვა ის, რაც არ ასცდებოდა.

— ნამდვილად მომკლავს.

რა თქმა უნდა, როზა ჰუბერმანზე თქვა, რომელსაც „დედიკოს“ ეძახდა, და მან დიახაც, ლამის მოკლა გოგონა, „ღორუკელობა“ ამჯერად არ აკმარა და ხორცსაკეპ მანქანაში გააატარა.

ჯესი ოუენსის ამბავი

ლიზელს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რუდის ბავშვური შერცხვენის მომსწრე იყო. ფანტაზია დაეხმარა, თავი მის ადგილას წარმოედგინა. იქნებ, უბრალოდ, მოსწონდა ნახშირწასმულ, ბალახზე მორბენალ ბიჭზე ფიქრი.

1936 წელი იდგა, ოლიმპიადა ტარდებოდა. ჰიტლერის თამაშები.

ჯესი ოუენსმა 4-ჯერ გაირბინა ასმეტრიანი დისტანცია და მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვა. ამბობდნენ, ადამიანად არ ჩათვალეს, რაკი შავკანიანი იყო და ჰიტლერმა უარი თქვა მისთვის ხელის ჩამორთმევაზეო. მთელი სამყარო ამაზე ლაპარაკობდა. ყველაზე რასისტი გერმანელებიც კი განაცვიფრა ოუენსმა და მისი რეკორდის ამბავმა ბზარებიდან გაჟონა. ყველაზე მეტად კი რუდი შტაინერი მოაჯადოვა. მთელი მისი ოჯახი საერთო ოთახში შეკრებილიყო, როცა ბიჭუნა ოთახიდან გაძვრა და სამზარეულოში შეიპარა. ნახშირი გამოიღო ღუმლიდან და პატარა ხელებით მოსრისა.

— აი, ასე — გაიღიმა ბიჭუნამ. მზად იყო.

დაქუცმაცებული ნახშირი სქლად გადაისვა სახეზე, მთლად გაიმურა, თმაც კი გაუშავდა.

ფანჯარაში სულელივით გაუღიმა საკუთარ გამოსახულებას, მერე კი დაბამბული ქურთუკითა და მოკლე შარვლით გავიდა გარეთ, მშვიდად გამოიყვანა უფროსი ძმის ველოსიპედი და ქუჩაში გააქროლა, „ჰუბერტის ოვალამდე“ მივიდა. ჯიბეში ნახშირის რამდენიმე ნატეხი ედო, სახიდან თუ მოშორდებოდა, ისევ რომ გადაესვა.

ლიზელის წარმოდგენაში იმ ღამით მთვარე ცას მიეკერა და ღრუბლები შემოიჯარა.

დაჟანგული ველოსიპედი „ჰუბერტის ოვალის" მესერს შეასკდა, რუდი გადმოხტა, მერე კი ასმეტრიანი ბილიკისკენ წავიდა ჩქარი ნაბიჯით. როცა მიუახლოვდა, ცოტა შეშინდა, მაგრამ მტკიცედ გაიარა ტალახში.

წამით შეჩერდა, მიმოიხედა, ძალა მოიკრიბა და ჩამუქებულ ცას ახედა, მთვარე და ღრუბლები დაჰყურებდა.

„ოუენსი შესანიშნავ ფორმაშია, — გააკეთა პირველი კომენტარი, — უდიდესი გამარჯვება ელის".

ბიჭუნა წარმოსახვაში არსებულ ათლეტებს მიესალმა და იღბალი უსურვა, თუმცა, წინასწარ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა რბოლა. მათ ხომ გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ.

დაიქუხა სასტარტო პისტოლეტმა და მორბენლები წინ გაიჭრნენ. „ჰუბერტის ოვალის" ყოველ მონაკვეთში ხალხი იყო შეკრებილი. ყველა ერთსა და იმავეს გაჰყვიროდა — რუდი შტაინერის სახელს, თუმცა ახლა, რუდის ჯესი ოუენსი ერქვა.

უცებ დუმილი ჩამოწვა.

შიშველი ფეხები მიწას შეახო, მშვენივრად შეიგრძნობდა თითებით.

გააფრთხილეს თუ არა, მოემზადეთო, დაიხარა, საწყისი მდგომარეობა მიიღო და იარაღის ხმამ ღამე გაჰკვეთა.

რბოლის პირველი მესამედი თანაბრად დაფარეს, მაგრამ დროის საკითხი იყო, მალე ნახშირივით შავი ოუენსი სეირს უჩვენებდა დანარჩენებს.

„ოუენსი წინ გაიჭრა", — ბიჭუნას ამოძახილმა ცარიელ ქუჩას გადაუარა და ოლიმპიური დიდების მომასწავებელ ხმაურიან აპლოდისმენტებს შეერია. ისიც კი იგრძნო, მკერდით ორად როგორ გააპო საფინიშო ლენტი. ყველაზე სწრაფი ცოცხალი ადამიანი.

და ის იყო, საპატიო წრე უნდა დაერტყა, ყველაფერი ჩაშხამდა. ბრბოში მამამისი იდგა გუდიანი კაცივით, უფრო სწორად, პიჯაკმოსხმული გუდიანი კაცივით (როგორც გი-

თხარით, რუდის მამა მკერავი იყო. იშვიათად ჩნდებოდა ქუჩაში პიჯაკისა და ჰალსტუხის გარეშე. ამჯერად მხოლოდ პიჯაკი ეცვა და პერანგი შარვლიდან ამოსჩაჩოდა).

— Was ist los?[13] — უთხრა შვილს, როგორც კი ნახშირით შემურული დაინახა. — რა ჯანდაბა ხდება აქ? — ბრბო გაქრა, სუნთქვა გახშირდა. — სკამზე ჩამძინებოდა, მაგრამ კურტმა შენიშნა, რომ სადღაც გაქრი და გამაღვიძა. ყველა შენ გეძებს.

მისტერ შტაინერი, ჩვეულებრივ ვითარებაში, ზრდილობიანი ადამიანი იყო, თუმცა, გამურული შვილის დანახვა ზაფხულის საღამოს მშვიდად ვერ მიიღო.

— ეს ბიჭი გაგიჟდა, — თუმცა, მშვენივრად ხვდებოდა, ექვსი შვილიდან ასეთი რამ ერთ-ერთს მაინც აუცილებლად შეემთხვეოდა. ბოლოს და ბოლოს, ერთი მათგანი მაინც აღმოჩნდებოდა ლაყე კვერცხი. ახლა კი სწორედ ასეთ შვილს უცქერდა თვალებში და ახსნა-განმარტებას სთხოვდა.

— კარგი, — თქვა რუდიმ, დაიხარა და ხელები მუხლებზე დაილაგა, — ჯესი ოუენსი ვიყავი, — ისე უპასუხა მამას, თითქოს სრულიად ჩვეულებრივი რამ მომხდარიყო. ისეთი ტონი ჰქონდა, უნდოდა, ეთქვა — განა, რამეა გაუგებარიო? თუმცა, ხმა შეეცვალა, მამის ჩაღამებული თვალები რომ დაინახა.

— ჯესი ოუენსი? — მისტერ შტაინერი ხისტი მამაკაცების კატეგორიას განეკუთვნებოდა. მოუხეშავი და მართალი ხმა ჰქონდა. მაღალი იყო, ჩასკვნილი, ხიწვებივით თმით, და მუხას ჩამოჰგავდა, — ეგ ვინღაა?

— აი, მამა, შავკანიანი ჯადოქარი რომ არის.

— შავკანიან ჯადოქარს გიჩვენებ მე შენ, — შვილს დასნვდა და მისი ყური ცერასა და საჩვენებელ თითს შორის მოიქცია.

რუდი აკანკალდა.

— ოჰ, მტკივა!

— მართლა? — მამა განსაკუთრებით იმან შეაწუხა, ნახშირით რომ დაესვარა თითები, ბიჭუნა ერთიანად გამურული იყო, ყურის ნიჟარებიც კი ამოვსებული ჰქონდა, — ღვთის გულისათვის, წამოდი!

---

[13] *გერმ. რა მოხდა?*

შინ რომ ბრუნდებოდნენ, მისტერ შტაინერმა გადაწყვიტა, ბიჭუნასთან პოლიტიკაზე ესაუბრა, როგორც შეეძლო. წლების მერე რუდი ყველაფერს მიხვდება, ოღონდ იმდენად გვიან იქნება, მიხვედრასაც აღარ ექნება აზრი.

ალექს შტაინერის წინააღმდეგოგბრივი პოლიტიკა

პირველი პუნქტი: ნაცისტური პარტიის წევრი იყო, მაგრამ არც ებრაელები ეზიზღებოდა და არც არავინ.
მეორე პუნქტი: რა თქმა უნდა, ნამდვილად შვება იგრძნო (მეტიც, კმაყოფილება!) როცა ებრაელებს მაღაზიები დაუხურეს.
— აკი, პროპაგანდისტული მანქანა ამცნობდა, ფრთხილად, თორემ მალე ებრაელი მკერავები მთელ კლიენტურას წაგართმევენო.
მესამე პუნქტი: ეს ხომ არ ნიშნავდა, რომ ებრაელები საერთოდ უნდა განედევნათ ქვეყნიდან?
მეოთხე პუნქტი: ოჯახი. რა თქმა უნდა, მის სარჩენად ყველაფერზე წავიდოდა, და თუკი ამისთვის პარტიაში შესვლა იყო საჭირო, აუცილებლად გახდებოდა მისი წევრი.
მეხუთე პუნქტი: სადღაც, გულის სიღრმეში, ტკივილს გრძნობდა, მაგრამ ამის გამჟღავნებას არ აპირებდა. ეგ კი არა, ეშინოდა, შემთხვევით არ გაეცა თავი.

მამა-შვილმა რამდენიმე მოსახვევი გაიარა და როგორც კი ჰიმელ-სტრიტზე გავიდა, ალექსმა თქვა:

— შვილო, არ შეიძლება გამურვა და ქუჩაში ასე სიარული, გესმის?

რუდი დაინტერესდა, თან დაიბნა. მთვარე, თავისუფლად სეირნობდა ცის კაბადონზე, ხან ზემოთ ადიოდა, ხანაც დაბლა ეშვებოდა და სახეს უნათებდა დარცხვენილ ბიჭუნას.

— რატომ არ შეიძლება, მამა?

— იმიტომ, რომ წაგიყვანენ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ უნდა გინდოდეს, შავკანიანს, ან ებრაელს, ან ვინმე მათდაგვარს ჰგავდე. ისინი ჩვენები არ არიან.

— ებრაელები ვინ არიან?

— გახსოვს, ჩემი უხუცესი შემკვეთი, მისტერ კაუფმანი? აი, ის, შენთვის ფეხსაცმელი რომ მოგვყიდა.

— დიახ.

— ებრაელია.

— არ ვიცოდი. ებრაელი რომ გახდე, ფული უნდა გადაიხადო? ნებართვაა საჭირო?

— არა, რუდი, — მისტერ შტაინერი ცალი ხელით ველოსიპედს მიაგორებდა, ცალით კი რუდი ეჭირა, უჭირდა საუბარი, ისიც კი დაავიწყდა, შვილისთვის ყურში რომ ჰქონდა ხელი ჩავლებული. — ეს იგივეა, გერმანელი ან კათოლიკე რომ იყო.

— ოჰ, ჯესი ოუენსი კათოლიკეა?

— არ ვიცი! — მამამ ყურზე ხელი უშვა, ველოსიპედზე დაჯდა და პედალი დაატრიალა.

ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ, მერე რუდიმ თქვა:

— უბრალოდ, მინდა, ჯესი ოუენსს ვგავდე, მამა.

ამჯერად მისტერ შტაინერმა ხელი თავზე დაადო ბიჭს და ახსნა სცადა:

— ვიცი, შვილო, მაგრამ შენ ხომ მშვენიერი ქერა თმა და დიდი, უსაფრთხო ლურჯი თვალები გაქვს, აი, ამით უნდა იყო ბედნიერი, გასაგებია?

ვერაფერი გაიგო.

ის ღამე გაუგებრობების დასაწყისი იყო. ორ-ნახევარი წლის მერე კაუფმანის მაღაზიისგან მხოლოდ ჩამსხვრეული შუშებიღა დარჩება, ყუთებში ჩალაგებულ ფეხსაცმელს კი საცხენოსნო მანქანის ძარაში ჩაალაგებენ და წაიღებენ.

ზუმფარის ქალალდის შიდა მხარე

ადამიანებს, უმეტესად ბავშვობაში, განსაკუთრებული წუთი უდგებათ. ერთნი ასეთად ჯესი ოუენსის ამბავს თვლიან, მეორენი კი – ქვეშაგების დასველების ისტორიას.

1939 წლის მაისი იწურებოდა და ის ღამეც დანარჩენ ღამეებს ჰგავდა. დედა რკინის მუშტს იქნევდა, მამა კი სადღაც იყო წასული. ლიზელმა შემოსასვლელი კარი გაწმინდა. ჰიმელ-სტრიტი ცას აჰყურებდა.

ცოტა ხნის წინ დემონსტრაცია იყო.

NSDAP-ის[14] (მეორენაირად, ნაცისტური პარტიის) ყავისფერპერანგიანმა ექსტრემისტებმა მიუნხენის ქუჩაზე ჩაიარეს ამაყად ზეალმართული ალმებითა და თითქოსდა ჯოხზე წამოცმული, ზეაწეული თავებით. თან ხმამაღლა მღეროდნენ და ამ სიტყვებზე ლამისაა, ღრიალებდნენ *Deutschland über Alles — „გერმანია უპირველეს ყოვლისა“.*

როგორც ყოვლთვის, მათ ტაშს უკრავდნენ.

წინ მიიწევდნენ და კაცმა არ იცის, საით მიდიოდნენ.

ქუჩაში ხალხი გამოსულიყო და უცქერდა. ზოგი ალმართული ხელით ესალმებოდა, ზოგიც მანამ უკრავდა ტაშს, სანამ ხელები არ აეწვებოდა, ვილაცას სიამაყისა და თანაგრძნობისგან სახე მოღრეცოდა ფრაუ დილერივით. აქა-იქ ისეთი

[14] *გერმანელ მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტია (Nationalsozialistische Deutsche Arbeiterpartei), შემოკლებით – NSDAP, 1933-1945 წლებში ერთადერთი პარტია გერმანიაში.*

უცნაური კაცებიც იდგნენ, როგორიც ალექს შტაინერი იყო, ის ხისგან გამოთლილ ადამიანს ჰგავდა და ტაშს ნელა, მორჩილად და მოხდენილად უკრავდა, ჯეროვანი პატივისცემით. ლიზელი მამასთან და რუდისთან ერთად იდგა ტროტუარზე. ჰანს ჰუბერმანს სახე ჩამოშვებულ ფარდას მიუგავდა.

რამდენიმე მონაცემი ციფრებში

1933 წლიდან გერმანელების ოთხმოცდაათი პროცენტი მტკიცედ უჭერდა მხარს ადოლფ ჰიტლერს.
ათი პროცენტი სხვა აზრზე იდგა.
ჰანს ჰუბერმანიც მათ შორის იყო.
ამის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა.

ლიზელმა იმ ღამითაც ის სიზმარი ნახა, რომელსაც სულ ხედავდა. ჯერ ყავისფერპერანგიანები დაესიზმრა, მწყობრად მიაბიჯებდნენ, გოგონა მატარებელთან მიიყვანეს, სადაც იგივე ელოდა — ძმის სახე.

კივილით გამოეღვიძა და მიხვდა, რაღაც შეცვლილიყო. შემთბარ ზეწარს გულისამრევი სუნი უდიოდა. თავიდან გოგონა თავს ირწმუნებდა, არაფერი მომხდარაო, მაგრამ მამა რომ შევიდა და ჩაიხუტა, — ატირდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— მამა, — იმეორებდა ლიზელი, — მამა. — სულ ეს იყო. ჰანსი ყველაფერს მიხვდა, ალბათ ყნოსვით.

მამობილმა ნაზად წამოაყენა გოგონა ლოგინიდან და აბაზანაში შეიყვანა. შესაფერისი წუთი მალევე დადგა.

— ზეწარს გამოვცვლით, — თქვა მამამ, ხელი ლეიბქვეშ შეყო და ქსოვილი მოქაჩა. უცებ რაღაც გადმოვარდა ქვეშაგებიდან და ხმაურით დავარდა იატაკზე. მაღალი კაცის ფეხებთან შავი წიგნი ეგდო, ვერცხლისფერი ასოებით დაწერილი.

ჰანსმა წიგნს დახედა.

მერე გოგონას შეავლო თვალი, მან კი მხრები აიჩეჩა.

ჰანსმა სათაური წაიკითხა, დაკვირვებით და ხმამაღლა: *„მესაფლავის ცნობარი“*.

„აი, თურმე რა რქმევია“, — გაიფიქრა ლიზელმა.

მათ შორის დუმილი ჩამოწვა. კაცი, გოგონა, წიგნი. მამამ წიგნი აიღო და ბამბასავით რბილად დაიწყო საუბარი.

საუბარი ღამის ორ საათზე

— შენია?
— დიახ, მამა.
— გინდა, წაიკითხო?
ისევ: — დიახ, მამა.
დაღლილი ღიმილი.
ლითონის თვალები, დამდნარი.
— კარგი, მაშ, წავიკითხოთ.

ოთხი წლის შემდეგ, ჩანაწერების გაკეთებას რომ დაიწყებს, ჩასველებული ლოგინის გამო მიღებული ტრავმის შესახებ ორი აზრი გაუელვებს. პირველი: ნამდვილად იღბალი იყო, მამამ რომ წიგნი უპოვა (საბედნიეროდ, იმ დღემდე ზეწრების რეცხვის დრო რომ მოვიდოდა, როზა ლიზელს აიძულებდა, ლოგინი თავად გამოეცვალა: „აბა, დაუჩქარე, ღორუკელა! მთელ დღეს ხომ არ მოვანდომებთ ამ საქმეს?!“) და მეორე — ამაყობდა, ჰანს ჰუბერმანმა რომ შეიტანა წვლილი მის განათლებაში. *„ვინ წარმოიდგენდა, — დაწერს ის — რომ სკოლა კი არა, მამა მასწავლიდა კითხვას. ხალხს ის სრულებით არ მიაჩნდა ჭკვიან კაცად და შესაძლოა, სწრაფად ვერც კითხულობდა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ სიტყვებმა და მართლწერამ იხსნა ერთხელ მისი სიცოცხლე, ყოველ შემთხვევაში — სიტყვებმა და იმ კაცმა მაინც, რომელმაც აკორდეონზე დაკვრა ასწავლა“...*

— მოდი, ჯერ გადაუდებელი საქმე მოვამთავროთ, — თქვა ჰანს ჰუბერმანმა და იმავე ღამით ქვეშაგები გარეცხა და გაფინა. — ახლა კი, — თქვა, როგორც კი შემობრუნდა, — შუაღამის გაკვეთილს შევუდგეთ.

ყვითელი შუქი ერთიანად მტვერში იყო გახვეული.

ლიზელი ცივ, სუფთა ქვეშაგებში წამოჯდა, დარცხვენილი და იმავდროულად, გახალისებული. მართალია, არ სია-

მოვნებდა სველი ლოგინის გახსენება, მაგრამ კითხვას აპირებდა. წიგნი უნდა წაეკითხა.

გოგონას მღელვარება იზრდებოდა.

ათი წლის გენიოსი წარმოიდგინა, რომელიც შესანიშნავად კითხულობს.

ნეტავ ყველაფერი ასე ადვილი ყოფილიყო.

— მართალი გითხრა, — აუხსნა მამამ, — კარგად არც მე ვიცი.

ჰანსი ნელა კითხულობდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. პირიქით, კარგიც იყო, საშუალოზე ნელა რომ მარცვლავდა სიტყვებს და ლიზელსაც ძველებურად აღარ რცხვენოდა, კითხვის უცოდინარი რომ იყო.

წიგნი ხელში რომ აიღო და გადაშალა, ჰანსს შეეტყო, თვითონაც უხერხულად გრძნობდა თავს.

გოგონასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა, შემდეგ უკან გადაიწია და ფეხები მოხერხებულად შეიკეცა. მერე დიდხანს ათვალიერა წიგნი და ბოლოს საბანზე დააგდო:

— შენნაირ მშვენიერ გოგონას ასეთი რამეები რატომ უნდა აინტერესებდეს?

ლიზელმა მხრები აიჩეჩა.

მესაფლავის შეგირდს გოეთეს რჩეული ან სხვა ცნობილ ადამიანთა წიგნები რომ ეკითხა, სულ სხვა საკითხავი აღმოჩნდებოდა გოგონას ხელში. ლიზელმა სცადა, აეხსნა:

— მე... როცა... წიგნი თოვლში ეგდო და... — ჩუმად წარმოთქმული სიტყვები ლოგინიდან გადმოცვივდა და მარცვლებივით დაიბნა იატაკზე.

მამა მიხვდა, რა უნდა ეთქვა, ის ყოველთვის პოულობდა საჭირო სიტყვებს, თმაზე გადაუსვა ხელი ძილმორეულს და უთხრა:

— კარგი, ლიზელ, მხოლოდ შემპირდი, თუ მოვკვდები, დარწმუნდი, რომ ისე დამმარხეს, როგორც საჭიროა.

გოგონამ ალალად დაუქნია თავი.

- დავრწმუნდები, მეექვსე თავი ან მეცხრე თავის მეოთხე პუნქტი ხომ არ გამოტოვეს, — ჰანსსა და ქვეშაფსიას გაეღიმათ, — კარგი, მიხარია, ეს საკითხი რომ მოვაგვარეთ, ახლა შეგვიძლია დავიწყოთ.

ჰანსმა მყუდროდ მოიკალათა იატაკზე და ძვლები მტკივნეულად აუტკაცუნდა. — მაშ, მხიარულება დაიწყო.

ღამის მდუმარებაში სიომ დაუბერა — წიგნი გადაშალეს.

იმ ამბების გახსენებისას, ლიზელი ზუსტად ხვდებოდა, რას ფიქრობდა მამა „მესაფლავის ცნობარის“ პირველივე გვერდიდან. ტექსტი ძალიან რთული ჩანდა და ჰანსისთვის ცხადი გახდა, იდეალური წიგნი რომ არ ჩაუვარდა ხელთ. ისეთი სიტყვები ამოიკითხა, რომელთა მნიშვნელობა არც კი იცოდა. აღარაფერი ვთქვათ მის მძიმე შინაარსზე. რაც შეეხება გოგონას, მას მაინც სურდა წაკითხვა, შინაარსის გაგება არც კი უცდია. იქნებ უბრალოდ, უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ მისი ძმა ყველა წესისა და რიგის დაცვით დაკრძალეს.

მოკლედ, რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, გოგონას ისე ძლიერ ეწადა იმ წიგნის წაკითხვა, ათი წლის ბავშვებს როგორც სწადიათ ხოლმე.

პირველ თავს ერქვა *„პირველი ნაბიჯი. სამუშაო იარაღის სწორად შერჩევა“*. მოკლე შესავალში იმ თემას განიხილავდნენ, რომელსაც წიგნში მომდევნო ოცი გვერდი ეკავა. აღწერილი იყო ბარების, წერაქვების, ხელთათმანებისა და სხვა მსგავსი იარაღის რამდენიმე სახეობა და მათი მოვლის წესებიც ეწერა. საფლავების თხრა მართლაც რომ სერიოზული საქმე ჩანდა. მამა გვერდებს ფურცლავდა და გრძნობდა, როგორ უცქერდა ლიზელი. გოგონა მოუთმენლად ელოდა, როდის მოსწყდებოდა მის ბაგეებს მომდევნო სიტყვა.

— აი, — ჰანსი გოგონასკენ მიიწია და წიგნი გაუწოდა, — შეხედე ამ გვერდს და ნახე, რამდენი სიტყვის წაკითხვა შეგიძლია.

გოგონამ შეხედა და იცრუა.

— დაახლოებით ნახევრის.

— წამიკითხე რამდენიმე.

რა თქმა უნდა, ვერაფერს წაიკითხავდა. ჰანსმა მოსთხოვა ნაცნობი სიტყვები ეჩვენებინა. მხოლოდ სამი აჩვენა — სამი ძირითადი გერმანული არტიკლი. თითო გვერდზე კი ორასი სიტყვა მაინც იქნებოდა.

„საქმე იმაზე რთულადაა, ვიდრე მეგონა“.

გოგონა იმწუთასვე მიუხვდა ფიქრებს.

მამა წამოიწია, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

უკან მობრუნებულმა თქვა:

— უკეთესი აზრი მომივიდა, — ხელში მღებავის მსხვილი ფანქარი და ზუმფარის ქაღალდის დასტა ეკავა. — მოდი, ასოების მოხაზულობით დავიწყოთ.

ლიზელს გულშიც არ გაუვლია, შეჰკამათებოდა.

ზუმფარის ქაღალდის შიდა მხარეს, კუთხეში, მამამ კვადრატი დახაზა, ერთი-ორი სანტიმეტრის სიგრძის გვერდებით. შიგ ჩახატა დიდი „ა". გვერდით კი პატარა „ა" მიუხაზა. ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა.

— ა, — თქვა ლიზელმა.

— რა იწყება ა-ზე?

გოგონამ გაიღიმა:

— Apfel.[15]

მამამ სიტყვა მსხვილი ასოებით დაწერა და მახინჯი ვაშლი მიახატა ქვეშ. მღებავი იყო, მხატვარი კი არა. რომ დაასრულა, გოგონას შეხედა:

— ახლა ბ.

ასოების ხატვისას ლიზელს სულ უფრო უფართოვდებოდა თვალები. ანბანს სკოლაშიც ასწავლიდნენ, საბავშვო ბაღშიც, მაგრამ აქ ჯობდა. აქ მარტო იყო და საკუთარი თავი გოლიათად არ ეჩვენებოდა. სიამოვნებდა მამის ცქერა. ის სიტყვებს წერდა და პრიმიტიული ნახატებით აფორმებდა მათ.

— აჰ, აბა, ლიზელ, — თქვა მამობილმა. გოგონა სულ უფრო ხშირად ვერ სცემდა პასუხს, — მოიფიქრე სიტყვა ასო ნ-ზე, ადვილია. იმედი არ გამიცრუო.

ვერა და ვერ მოიფიქრა.

— მიდი, რა, გთხოვ, — უჩურჩულა გოგონას, — დედა გაიხსენე.

სნორედ ამ დროს თითქოს სილა გააწნესო, გაახსენდა სიტყვა და გაიღიმა:

— ნაბიჭვარი! — დაიყვირა.

მამამ გადაიხარხარა და უმალ სერიოზული სახე მიიღო.

---

[15] *გერმ. ვაშლი.*

— ჩუ, ჩუმად, — ჰანსი მაინც იცინოდა, სიტყვას წერდა და ნახატით ამკობდა.

ჰანს ჰუბერმანის ნამუშევარი

— მამა, — დაიჩურჩულა გოგონამ, — თვალები არ მაქვს!

ჰანსმა თმაზე გადაუსვა ხელი, ლიზელი მის მახეში გაება.

— სამაგიეროდ ისეთი ღიმილი გაქვს, თვალები არ გჭირდება, — გოგონას მოეხვია და სურათს დახედა, თბილი ვერცხლივით სახე ჰქონდა, — ახლა ტ-ს ჯერია.

ანბანი რომ დაასრულეს და თორმეტჯერ მაინც გადაიმეორეს, მამობილი ლიზელისკენ დაიხარა და უთხრა:

— ამაღამ საკმარისია?

— კიდევ ხომ არ გვესწავლა რამდენიმე სიტყვა?

— გვიანია. როცა გაიღვიძებ, აკორდეონზე დავუკრავ შენთვის, — თქვა ჰანსმა მტკიცედ.

— გმადლობ, მამა.

ჰანსმა შუქი ჩააქრო, ოთახში დაბრუნდა და სკამზე ჩამოჯდა. ლიზელს სიბნელეში თვალები ჰქონდა გახელილი და სიტყვებს უყურებდა.

მეგობროგბის სურნელი

გაკვეთილები მომდევნო კვირებსა და ზაფხულშიც გაგრძელდა.

შუალამის მეცადინეობები ყოველი სიზმრის შემდეგ იწყებოდა, ლოგინში ჩასველების კიდევ ორი შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ ჰანს ჰუბერმანი მარტივად და მტკიცედ იმეორებდა იმავეს — ქვეშაგებს რეცხავდა და კითხვას, ხატვასა და გამოთქმას უბრუნდებოდა. დილაობით, ადრიანად, თანდათან ხმას უმატებდა.

ხუთშაბათს, დღის სამი საათის შემდეგ, დედამ ლიზელს უთხრა, — მოემზადე, დაუთოებული სარეცხი უნდა ჩამომატარებინოო. მამას კი სხვა იდეები ჰქონდა, სამზარეულოში შევიდა და თქვა:

— გვაპატიე, დედა, ლიზელი დღეს ვერ წამოგყვება.

დედამ თავიც არ შეიწუხა, მზერა სარეცხით სავსე ჩანთიდან მათზე გადაეტანა:

— შენ ვინ გეკითხება, არამზადა? წამოდი, ლიზელ.

— ლიზელი კითხულობს, — თქვა მამამ, მერე კი, ჩვეულებრივ, გოგონას გაუღიმა და თვალი ჩაუკრა, — მე ვეხმარები, ვასწავლი. დღეს ამპერს[16] გვინდა ავუყვეთ და ის ადგილები მოვინახულოთ, სადაც აკორდეონზე დაკვრას ვსწავლობდი.

ამჯერად ჰანსმა მოახერხა და ცოლის ყურადღება მიიქცია.

დედამ სარეცხით სავსე ჩანთა მაგიდაზე დადო და სცადა, ცინიკურად ეთქვა: — რა თქვი?

— მგონი, კარგად გაიგონე, როზა.

---

[16] *მდინარე გერმანიაში, სამხრეთ ბავარიაში.*

დედას გაეცინა.

— ნეტავ, რა ჯანდაბა უნდა ასწავლო? მუყაოს ღიმილი? სიტყვებით გაკეთებული აბერკოტი?[17] თვითონაც ხომ ძლივს კითხულობ, ღორიშვილო.

სამზარეულო მოლოდინში გაირინდა. მამა საპასუხო დარტყმისთვის მოემზადა. — მოდი, ჩვენ წავიღებთ დაუთოებულ სარეცხს.

— შე ბინძურო... — როზა გაჩუმდა და სანამ ფიქრობდა, სიტყვები პირზე შეაშრა. — დაღამებამდე დაბრუნდით.

— სიბნელეში მაინც ხომ ვერ წავიკითხავთ, დედა, — თქვა ლიზელმა.

— რა თქვი, ღორუკელა?

— არაფერი.

მამამ გაიღიმა და გოგონასკენ გაიშვირა ხელი:

— წიგნი, ზუმფარის ქაღალდი და ფანქარი მოიტანე! — უბრძანა, — კიდევ აკორდეონი! — მიაძახა ნივთების მოსატანად წასულს. მერე ორივენი ჰიმელ-სტრიტს აუყვნენ და თან წაიღეს სიტყვები, მუსიკა, სარეცხი.

ფრაუ დილერის მაღაზიას რომ ჩაუარეს, რამდენჯერმე მიიხედეს უკან, რათა დარწმუნებულიყვნენ, დედა ისევ ჭიშკართან იდგა თუ არა. დიახ, დედა ჭიშკართან იდგა და უყურებდათ. დაძახებაც კი მოასწრო:

— ლიზელ, დაუთოებული სარეცხი სწორად დაიკავე! არ დასვარო!

— დიახ, დედა.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს, კიდევ:

— ლიზელ, თბილად გაცვია?

— რაო, დედა?

— Saumensch dreckigs, არასოდეს არაფერი გესმის! თბილად გაცვია-მეთქი? საღამოსკენ აცივდება!

კუთხეში რომ მივიდნენ, მამა თასმების შესაკრავად დაიხარა.

— ლიზელ, თუთუნს შემიხვევ?

ამაზე მეტ სიამოვნებას ლიზელს არაფერი ანიჭებდა.

---

[17] *ტერმინი კრივში, ნიკაპს ქვემოდან ამორტყმა.*

ჩამოატარეს დაუთოებული სარეცხი და აუყვნენ მდინარე ამპერს, არშიასავით რომ ევლებოდა ქალაქს და პირდაპირ დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკისკენ მიემართებოდა.

მდინარეზე ფიცრებით შეკრული ხიდი გაედოთ, იქვე, დაახლოებით ოცდაათ მეტრში, ბალახზე ჩამოსხდნენ, სიტყვებს წერდნენ, ხმამაღლა კითხულობდნენ, როცა დაბნელდა, ჰანსმა აკორდეონი მოიმარჯვა. ლიზელი მამას უცქერდა და უსმენდა, მაგრამ იმ საღამოს არ შეუნიშნავს შეშფოთება ჰანსის სახეზე.

მამის სახე

სადღაც იყო და რაღაც აინტერესებდა,
მაგრამ პასუხი არ ჰქონდა.
ჯერჯერობით.

მამას ოდნავ შეეცვალა სახე, სულ ოდნავ.

გოგონამ, მართალია, დაინახა, მაგრამ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რაში იყო საქმე, როცა ყველაფერი ერთიანობაში გაიაზრა. ლიზელს არ დაუნახავს, რომ დაკვრისას მამა სადღაც ძალიან შორს იყურებოდა. არ იცოდა, რომ ჰანს ჰუბერმანის აკორდეონი — მთელი ისტორიაა. მალე ის ისტორია ჰიმელ-სტრიტის 33-ნომერში მიაკითხავს, დილაადრიან, ანონილი მხრებითა და აკანკალებული ქურთუკით. თან ჩემოდანს, წიგნსა და ორ შეკითხვას მიიტანს. ამბავი, ამბავი ამბის შემდეგ და ამბავი ამბავში.

ახლა ლიზელს მხოლოდ ერთი რამ ესმოდა და მოსმენა სიამოვნებდა.

მაღალ ბალახში იწვა.

თვალებდახუჭული მიჰყვებოდა ნოტებს.

თუმცა, იყო პატარა პრობლემებიც. რამდენჯერმე მამობილმა ლამის უყვირა.

— მიდი, ლიზელ, — ეუბნებოდა — შენ ხომ ეს სიტყვა იცი! — და სწორედ მაშინ, როცა ეგონა, რომ ყველაფერი თითქოს ჩინებულად მიდის, გოგონა უმარტივეს კითხვებზე ვერ სცემდა პასუხს.

კარგ ამინდებში, შუადღისას ამპერს მიუყვებოდნენ, ცუდ ამინდებში კი სარდაფში ისხდნენ. ეს დედას ბრალი იყო. თა-

ვიდან სცადეს, სამზარეულოში ემეცადინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

— როზა, — უთხრა ჰანსმა მშვიდად და სიტყვა გააწყვეტინა, — დამდებ პატივს?

— რა გინდა? — შეხედა ქურასთან მდგარმა ცოლმა.

— გთხოვ, გემუდარები, იქნებ სულ ხუთი წუთით გაჩუმდე. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი რეაქცია ექნებოდა?

ჰანსი და ლიზელი სარდაფში ჩავიდნენ.

სარდაფში სინათლე არ იყო, ამიტომ ლამპა ჩაჰქონდათ და ნელ-ნელა, სახლსა და სკოლას შორის, მდინარიდან სარდაფამდე, კარგი დღეებიდან ცუდ დღეებამდე, ლიზელი წერა-კითხვას სწავლობდა.

— მალე, — უთხრა მამამ გოგონას, — თვალდახუჭული წაიკითხავ იმ შენს საშინელ წიგნს მესაფლავეებზე.

— და დაბალ კლასში აღარ ვიჯდები — დაამატა ლიზელმა.

ეს სიტყვები პირქუში მესაკუთრის ტონით წარმოთქვა.

სარდაფში ჩატარებულ ერთ-ერთ გაკვეთილზე მამამ გადაწყვიტა, ზუმფარის ქაღალდის გამოყენებაზე უარი ეთქვა (ძალიან სწრაფად იხარჯებოდა) და ფუნჯი მოიმარჯვა.

ჰუბერმანის სახლში სხვა ფუფუნება ნაკლებად მოიპოვებოდა, მაგრამ საღებავის მარაგი ბლომად იყო და ის უფრო გამოადგათ ლიზელის სწავლა-განათლებისთვის. მამა იტყოდა სიტყვას, გოგონას ხმამაღლა უნდა დაემარცვლა და კედელზე გამოეწერა. ასე სწავლობდა მართლწერას. ერთ თვეში მთელი კედელი ააჭრელეს. ცინცხალი შენიშვნების ფურცელი.

სარდაფში მუშაობის შემდეგ, ზოგიერთ ღამეს, ლიზელი ნელში მოხრილი იჯდა ხოლმე აბაზანაში და სამზარეულოდან ლანძღვა-გინება ესმოდა.

— ყარხარ, — ეუბნებოდა დედა ჰანსს, — სიგარეტისა და ნავთის სუნი აგდის.

წყალში მჯდომი წარმოიდგენდა მეგობრობის სურნელს, რომელიც თავადაც ასდიოდა და მამობილის სამოსსაც. უყვარდა ის სურნელი, ხმაურით შეისუნთქავდა ხოლმე მკლავებიდან და შეგრილებულ წყალს გაულიმებდა.

სკოლის ეზოს მძიმეწონიანი ჩემპიონი

1939 წლის ზაფხულმა სწრაფად გაიარა ან იქნებ ლიზელი ჩქარობდა. გოგონა დროს რუდისთან და დანარჩენ ბავშვებთან ერთად ჰიმელ-სტრიტზე ფეხბურთის თამაშში ატარებდა (თამაშები მთელი წელი გრძელდებოდა), დაუთოებულ სარეცხს დაატარებდა დედასთან ერთად და სიტყვებს სწავლობდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს წელიწადი დანყებიდან რამდენიმე დღეში დასრულდა.

წლის ბოლოს ორი რამ მოხდა.

1939 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე

1. მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.
2. ლიზელ მემინგერი სკოლის ეზოს მძიმეწონიანი ჩემპიონი გახდა.

მოლკინგში ციოდა, როცა ომი დაიწყო და სამუშაო მომემატა.

მთელი მსოფლიო ამაზე ლაპარაკობდა.

გაზეთების წინა გვერდებზე გამოტანილი სათაურებიც ამას იუწყებოდა.

გერმანიის რადიოებიდან ფიურერის ღრიალი ისმოდა. ის დანებებას არ აპირებდა, არც შესვენებას, გამარჯვება სწადდა. ამბობდა, ჩვენი დრო დადგაო.

გერმანია პოლონეთში შეიჭრა და საითაც გაიხედავდი, ხალხი ჯგუფებად იდგა და ახალ ამბებს უსმენდა. მიუნხენის ქუჩა, ისევე როგორც გერმანიის სხვა მთავარი ქუჩები, ომით

ცოცხლობდა. სურნელი. ხმები. კედელზე წარწერების გამოკვრიდან რამდენიმე დღეში საკვები უკვე ტალონებით გაიცემოდა. ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ფრანც ჰუბერმანის სიტყვებს თუ დავესესხები:

მხიარულება დაიწყო.

ომის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე მამას ბედმა გაულიმა და სამუშაო იშოვა. შინ რომ ბრუნდებოდა, გადაგდებული გაზეთი აიღო და ურიკაზე დალაგებულ საღებავების ქილებს შორის კი არ ჩაჩურთა, გაკეცა და პერანგში ჩაიცურა. შინ რომ დაბრუნდა, ნახა, ოფლისგან გაზეთის საღებავი კანზე გადასვლოდა, გაზეთი მაგიდაზე დადო, მაგრამ მკერდზე უკვე აღბეჭდვოდა ახალი ამბები, სვირინგივით. პერანგი გაიხსნა და ნაწერს სამზარეულოს სუსტ შუქზე ათვალიერებდა.

— რა გაწერია? — ჰკითხა ლიზელმა, გოგონა ხან მამას უყურებდა აჭრელებულ კანზე, ხანაც გაზეთს ათვალიერებდა.

— „ჰიტლერმა პოლონეთი აიღო“, — უპასუხა ჰანს ჰუბერმანმა და სკამზე დაეშვა, — Deutschland über alles, — ჩაიჩურჩულა მაგრამ მის ხმაში პატრიოტიზმის ნასახიც არ ისმოდა.

და ისევ ისეთი სახე — აკორდეონის სახე.

ეს მხოლოდ ერთი ომის დასაწყისი იყო.
ლიზელს სხვა ომშიც ვნახავთ.

სწავლის დაწყებიდან დაახლოებით ერთ თვეში, ლიზელი მისი ასაკისთვის შესაფერ კლასში გადაიყვანეს. თქვენ ალბათ ფიქრობთ, — ეს იმიტომ, რომ კითხვა ისწავლაო, — მაგრამ ასე არ იყო. მიუხედავად დაუღალავი მეცადინეობისა, ლიზელი კვლავინდებურად ძნელად ართმევდა თავს ამ საქმეს. ყველგან წინადადებები იყო მიმოფანტული. სიტყვები ასულელებდნენ. გადაყვანის მიზეზი უფრო ის იყო, რომ უმცროსკლასელებს ლიზელი უკვე ხელს უშლიდა სწავლაში. მათ ნაცვლად პასუხობდა კითხვებს, ხმამაღლა იცოდა წამოძახება. რამდენჯერმე

დერეფანში Watschen-ის (წარმოითქმის, როგორც „ვარჩენ“) ღირსი გახდა.

განმარტება

Watschen = ცემა

მასწავლებელმა, რომელიც მონაზონი გახლდათ, ლიზელი კუთხეში მდგარ სკამზე დააყენა და უბრძანა, გაჩუმდიო. ოთახის მეორე ბოლოდან გოგონას რუდი უყურებდა და ხელს უქნევდა, ლიზელმაც ხელის დაქნევითვე უპასუხა და გაღიმება სცადა.

შინ, უკვე კარგა ხანი იყო, *„მესაფლავის ცნობარს“* კითხულობდა მამის დახმარებით. იმ სიტყვებს, რომლებიც არ ესმოდა, მამა წრეს შემოავლებდა ხოლმე და მეორე დღეს გოგონას ისინი სარდაფში ჩაჰქონდა კედელზე გამოსაწერად. ლიზელი ფიქრობდა, ეს საკმარისიაო. არ იყო საკმარისი.

ნოემბრის დასაწყისში სკოლაში ბავშვებს ცოდნას უმოწმებდნენ, ეს კითხვის გაკვეთილებსაც ეხებოდა. ბავშვები დაფასთან დგებოდნენ და იმ ნაწყვეტს კითხულობდნენ, რომელზეც მასწავლებელი მიუთითებდა.

ყველაფერი ყინვიან და მზიან დილას დაიწყო. ბავშვებს თვალები ეწვოდათ. პირქუშ მომკელს, დედა მარიას, შარავანდედი ადგა (სხვათა შორის, ძალიან მომეწონა ეს ადამიანური შედარება ··· პირქუში მომკელი. მე ხომ ცელი ძალიან მიყვარს და მართობს).

მზით განათებულ კლასში ბრმად ამოიკითხეს გვარები:

— ვალდენჰაიმი, ლემანი, შტაინერი.

ბავშვები დაფასთან გავიდნენ და სხვადასხვა სირთულის ტექსტები წაიკითხეს. რუდიმ საოცრად კარგად გაართვა თავი დავალებას.

სანამ ბავშვებს ამოწმებდნენ, ლიზელი იჯდა და მწველ ცდუნებასა და მტანჯველ შიშს ებრძოდა. ძალიან უნდოდა, თავი გამოეცადა, ენახა, რამდენად კარგად შეისწავლა წერა-კითხვა. ნეტავ, თუ დასძლევს ამოცანას? ნეტავ, რუდისა და დანარჩენ ბავშვებს ცოტათი მაინც თუ მიუახლოვდება?

რამდენჯერაც დედა მარია სიას ჩახედავდა, ლიზელი ფერდებში გრძნობდა სიმებივით დაჭიმულ ნერვებს, სიმი

მუცელში იწყებოდა, ადიოდა ზევით და ბაწარივით ეხვეოდა ყელზე.

ტომი მიულერმა საცოდავად ჩაიკითხა ტექსტი. გამოსაძახებელიც აღარავინ დარჩა ლიზელის გარდა.

— ძალიან კარგი, — დააქნია თავი დედა მარიამ და ყურადღებით ჩაათვალიერა სია, — სულ ესაა.

რაო?

— არა!

ხმა ოთახის ბოლოდან გაისმა.

ლიმონისფერთმიანი ბიჭუნა იყო, რომელიც გალეულ მუხლებს ერთმანეთს ახლიდა მერხქვეშ. ხელი ასწია და თქვა:

— დედა მარია, მგონი ლიზელი დაგავიწყდათ.

დედა მარია.

არ მოხიბლა ამ სიტყვებმა.

საქაღალდე მაგიდაზე დააგდო და ამოოხვრისას გამკიცხავი მზერა ესროლა რუდის. თითქმის შეუბღვირა. „რატომ, — ჯავრობდა ის, — რატომ ვერ ვაჩერებ ამ რუდი შტაინერს? რატომ არ შეუძლია, გაჩუმდეს? რატომ, ღმერთო, რატომ?"

— არა, — თქვა ბოლოს ხმამაღლა და პატარა მუცელი სხეულიანად გამოზნიქა, — ვშიშობ, ლიზელი ჯერ ვერ შეძლებს, რუდი, — ოთახში მიმოიხედა, ელოდა, როდის დაუდასტურებდნენ ნათქვამს, — ის მოგვიანებით წამიკითხავს.

გოგონამ ჩაახველა და მშვიდად, მაგრამ გამომწვევად წარმოთქვა:

— მე ახლაც შემიძლია, დედაო, — დანარჩენი ბავშვები დუმდნენ და უქცერდნენ, რამდენიმე მათგანი ბავშვურად აქირქილდა.

მონაზვნისთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— არა, არ შეგიძლია! რას აკეთებ?!

ლიზელი წამოდგა და აუჩქარებელი, მტკიცე ნაბიჯთ გაემართა დაფისკენ. მერე წიგნი აიღო და ალალბედზე გადაშალა.

— მაშ კარგი, — თქვა დედა მარიამ, — თუ ასე გინდა, დაიწყე.

— დიახ, დედაო, — ლიზელმა სწრაფად გახედა რუდის, მერე საკითხავს გადაავლო თვალი.

როცა მზერა გაუსწორა კლასს, ოთახი თითქოს გვერდებში გაიწელა, მერე სწრაფად შეიკუმშა, ბავშვები ერთიანად გასრისა და უცებ, ერთ მშვენიერ წამს, წარმოიდგინა, როგორ უნაკლოდ კითხულობს მთელ გვერდს, სრულყოფილების საოცრებასნაულო განწყობით.

მთავარი სიტყვა

წარმოიდგინა

— აბა, მიდი, ლიზელ! — დაარღვია დუმილი რუდიმ.

წიგნის ქურდმა ისევ სიტყვებს ჩახედა.

მიდი. ამჯერად უხმოდ წარმოთქვა ბიჭმა. მიდი, ლიზელ.

სისხლი ახმაურდა. წინადადებები გაიდლაბნა.

თეთრ ფურცელზე უცხო ენაზე დაწერილი ტექსტივით გაჩნდა, თვალებში ჩამდგარმა ცრემლებმაც ვერ უშველა. სიტყვებს ველარ ხედავდა.

მერე მზე. საშინელი მზე. ისე კაშკაშებდა, ფანჯრებიდან შემოიჭრა, შუშებიდან და თვალებში შეაჭყიტა უმწეო გოგოს. თითქოს სახეში მიახალა:

— შეგიძლია, წიგნები მოიპარო, მაგრამ ერთის წაკითხვასაც ვერ მოახერხებ!

უცებ მიხვდა. იპოვა გამოსავალი.

ჩაისუნთქა, ამოისუნთქა და კითხვა დაიწყო, მაგრამ იმ წიგნიდან არა, წინ რომ ედო, *„მესაფლავის ცნობარიდან“* გაიხსენა ნაწყვეტი. მესამე თავი: *„თოვლის შემთხვევაში“*. მამის წაკითხულიდან ახსოვდა.

„თოვლის შემთხვევაში, — ამბობდა ის, — *უნდა იზრუნოთ კარგ ნიჩაბზე. ღრმად გათხარეთ, არ დაიზაროთ, ზერელედ არ მოეკიდოთ საქმეს,* — გოგონამ ყელში გაჩხერილი ჰაერის ბურთი ისევ გადაყლაპა, — *რა თქმა უნდა, უფრო გაგიადვილდებათ, თუკი საქმეს დღის შედარებით თბილ მონაკვეთში შეუდგებით, როცა...“*

დაასრულა.

წიგნი ხელიდან გამოჰგლიჯეს და უთხრეს:

— ლიზელ, დერეფანში.

ამჯერად ლიზელი მსუბუქად გაილახა, უფრო ის აწუხებდა, რომ დედა მარიას ხელის ყოველ მოქნევაზე, კლასიდან სიცილი ისმოდა. დაინახა კიდეც მწყობრად მიმავალი ბავშვები როგორ იკრიჭებოდნენ. მზის სხივებში ბანაობდნენ. ყველა იცინოდა, რუდის გარდა.

შესვენებაზე დასცინეს კიდეც. ბიჭი მიუახლოვდა, სახელად ლუდვიგ შმაიკლი, ხელში წიგნი ეჭირა:

— ჰეი, ლიზელ, — უთხრა გოგონას, — ამ სიტყვის ამოკითხვა მიჭირს, ხომ არ დამეხმარები? — ათი წლის ბიჭის თვითკმაყოფილებით გაიცინა, — *Dummkopf*, იდიოტო.

დიდი და მოუქნელი ღრუბლები წამოიშალა, ახლა მეტი ბავშვი დასცინოდა და უყურებდა, როგორ ერეოდა ბრაზი.

— ნუ უსმენ, — ურჩია რუდიმ.

— შენთვის ადვილია თქმა. სულელი არ ხარ.

შესვენების ბოლოს დამცინავთა რიცხვმა ცხრამეტს მიაღწია, მეოცედ რომ დასცინეს, ლიზელი აფეთქდა. ისევ შმაიკლი იყო, ახლა მეტად ცდილობდა მის გაბრაზებას.

— მიდი, ლიზელ, — ბიჭმა ლამის ცხვირში ჩასჩარა წიგნი, — დამეხმარე, მიდი.

ლიზელი ნამდვილად დაეხმარა.

წამოდგა, წიგნი გამოართვა და როცა ბიჭმა მხარს უკან მიატრიალა თავი და ბავშვებთან მანჭიაობას მოჰყვა, ლიზელმა წიგნი ძირს მოისროლა, მას კი რაც შეეძლო ძლიერად ამოსცხო ნიხლი საზარდულში.

ალბათ ნარმოგიდგენიათ, როგორ დაიკლაკნებოდა ლუდვიგ შმაიკლი, ის იყო, უნდა ნაქცეულიყო, რომ ახლა ყურში სწვდა.

ბიჭი დაეცა თუ არა, წამოჯდა. წამოჯდა და გააფთრებულმა გოგომ ჯერ სილა გააწნა, მერე დაკაწრა და საბოლოოდ გაანადგურა. ლუდვიგს კანი გაუთბა და დაურბილდა. ლიზელს საშინლად უხეში თითები და ფრჩხილები ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ პატარა იყო.

— ღორო, — გოგონას ხმაც კი კაწრავდა ბიჭს, — ნაგავო, შეგიძლია, დამიმარცვლო „ნაგავო“?

ოჰ, როგორ დაფარა ცა ღრუბლებმა. ქონიანმა, შავმა და ფუმფულა ღრუბლებმა. ერთმანეთზე იწევდნენ, ბოდიშებს იხდიდნენ, ისევ აგრძელებდნენ ძიძგილაობას.

ბავშვები წამში იქ გაჩნდნენ. ასე იზიდავს ჩხუბი. მკლავებისა და ფეხების ქნევა, ყვირილი და წაქეზება გოგონას ირგვლივ სულ უფრო გახშირდა. დაინახეს, როგორ ასწავლა ლიზელ მემინგერმა ლუდვიგ შმაიკლს ჭკუა, „იესო, მარიამ და იოსებ, — ისმოდა გოგონების აკანკალებული ხმა, — მოკლავს!"

ლიზელს არ მოუკლავს ლუდვიგი.

მაგრამ აღარც არაფერი უკლდა.

ფაქტობრივად, ერთადერთი, რამაც გოგო შეაჩერა, ტომი მიულერის მოთამაშე, საცოდავი, მოღიმარი სახე იყო. აალებულმა ლიზელმა მის აბსურდულ ღიმილს რომ მოჰკრა თვალი, ისიც ძირს დააგდო და ცემა დაუწყო.

— რას აკეთებ? — ღმუოდა ტომი და გოგონა მხოლოდ მესამე თუ მეოთხე დარტყმაზე გაჩერდა, ბიჭს სისხლი წასკდა ცხვირიდან.

მუხლებზე მდგარი ლიზელი მძიმედ სუნთქავდა, ესმოდა მის ქვეშ გართხმული მიულერის კვნესა. შემოჯარული ბავშვების სახეებს ცოტა ხანს უცქირა, მერე გამოაცხადა:

— სულელი არ ვარ.

არავინ შეჰკამათებია.

როცა ყველა ბავშვი შებრუნდა კლასში, დედა მარიამ მაშინლა დაინახა, რა მდგომარეობაში იყო ლუდვიგ შმაიკლი და დააპირა, ჩხუბის შედეგები შეეჯამებინა. პირველად ეჭვი რუდიზე და რამდენიმე სხვა ბიჭზე მიიტანა, ეს ბიჭები გამუდმებით ეჩხუბებოდნენ ლუდვიგს.

— ხელები, — უბრძანა მათ, მაგრამ ყველა სუფთა აღმოჩნდა. — არ მჯერა, — ჩაიბუტბუტა, — შეუძლებელია. — რადგან, როცა ლიზელი წინ გამოვიდა და ხელები აჩვენა, ლუდვიგ შმაიკლის კვალი სწორედ მათზე აღმოჩნდა. — დერეფანში, — ბრძანა მან.

იმ დღეს მეორედ გაილახა ლიზელი, მაგრამ ამჯერად გვარიანად, საშუალოზე მეტადაც კი. ისე სასტიკად სცემეს, ყველა დასჯას ერთად უდრიდა. მთელი კვირა ხეირიანად დაჯდომასაც ვერ ახერხებდა. კლასიდან სიცილი აღარ ისმოდა, მაგრამ ახლა იმ დუმილისა უფრო ეშინოდა.

სასწავლო დღის ბოლოს ლიზელი რუდისთან და შტაინერების სხვა ბავშვებთან ერთად წავიდა შინ. ჰიმელ-სტრიტს

რომ მიუახლოვდნენ, გოგონას ათასი ფიქრი აუფუთფუთდა თავში და საკუთარი თავი საოცრად შეეცოდა. ჯერ იყო და, *„მესაფლავის ცნობარის“* კითხვის ჩაფლავება, მერე ოჯახის განადგურება, სიზმრები და დღის შეურაცხყოფა. თხრილში ჩაჯდა და აქვითინდა.

რუდი იქვე იდგა და დასცქეროდა.

წვიმა დაიწყო, მშვენიერი და ძლიერი.

კურტ შტაინერმა შვილს დაუძახა, მაგრამ არც რუდი განძრეულა, არც — ლიზელი. ერთი მტკივანი ადგილით ჩამჯდარიყო თხრილში და წვიმის მსხვილი წვეთები ეცემოდა, მეორე კი გვერდით ედგა და ელოდა.

— რატომ არ მოვკალი? — იკითხა გოგონამ, მაგრამ რუდიმ არც არაფერი უპასუხა და არც არაფერი მოიმოქმედა.

ბოლოს, ტირილს რომ მორჩა და თავისით ნამოდგა ფეხზე, ბიჭმა ხელი მეგობრულად მოხვია და ერთად გაუდგნენ გზას. ამჯერად რუდის კოცნა აღარ მოუთხოვია ლიზელისთვის. მსგავსი არაფერი მომხდარა. თუ გინდათ, შეგიძლიათ, რუდი შეიყვაროთ ამის გამო.

„ოლონდ, მეც არ ამომცხო კვერცხებში წიხლი“ — აი, რაზე ფიქრობდა იმ დროს რუდი, მაგრამ ლიზელს როგორ ეტყოდა. იმ ამბიდან ოთხი წლის შემდეგღა გამოუტყდა ამაში.

რუდი და ლიზელი წვიმაში გაუყვნენ ჰიმელ-სტრიტს.

რუდი გიჟი იყო, მან ხომ სახე გაიმურა და მთელი მსოფლიო დაამარცხა.

ლიზელი კი ნამდვილი წიგნის ქურდი გახლდათ, რომელსაც სიტყვები გაუსხლტა ხელიდან.

მაგრამ დამიჯერეთ, ის სიტყვები უკვე მიიკვლევს გზას ლიზელისკენ. მოვა დრო და მიაღწევს, ლიზელი მათ ღრუბელივით მოიმწყვდევს ხელში და წვიმას გამონურავს.

ნაწილი მეორე

„მხრების აჩეჩა“

მონაწილეობენ:

სიბნელისგან შობილი გოგონა — სიგარეტით მოგვრილი სიხარული — ქალაქში მოხეტიალე — რამდენიმე მკვდარი წერილი — ჰიტლერის დაბადების დღე — 100% წმინდა გერმანული სისხლი — ქურდობის კარიბჭე — და წიგნი კოცონიდან.

სიგნელისგან შობილი გოგონა

სტატისტიკური ინფორმაცია

წიგნის პირველი ქურდობა: 1939 წლის 13 იანვარი
წიგნის მეორე ქურდობა: 1940 წლის 20 აპრილი
შუალედი წიგნების ქურდობებს შორის: 463 დღე

თუ რომელიმე თქვენგანი არასერიოზულად მიუდგება იმ ამბავს, ალბათ იტყვის, განა, რა არის ამისთვის საჭირო კოცონი და ადამიანების ყვირილიო. იმასაც იფიქრებს, მეორე წიგნის მოპარვა რატომლა გაუჭირდებოდა, მერე რა, რომ წიგნი იფერფლებოდა, მეტიც, ნეკნებს უწვავდაო.

აი, რაშია საქმე:

ამჯერად არასერიოზულობა დაუშვებელია.

ალმაცერი მზერის, ზურგშექცევის ან ქურის შემოწმების დრო არ გვაქვს, იმიტომ, რომ წიგნის ქურდმა მეორედ იმიტომ მოიპარა წიგნი, რომ უამრავმა ფაქტორმა აღძრა მასში ეს სურვილი. ქურდობას, როგორც ქმედებას, გართულებებიც მოჰყვება ხოლმე. იმ ამბავმა გოგონაში წიგნის ქურდობის წყურვილი გააღვივა, ჰანს ჰუბერმანი კი იქამდე მიიყვანა, რომ ებრაელი ჩხუბისთავის დასახმარებლად გეგმა შეიმუშავა. როგორც ვხედავ, ერთ ქმედებას მეორე მოსდევს, ისევე, როგორც რისკს რისკი მოჰყვება, სიცოცხლეს — სიცოცხლე, სიკვდილს კი — მეტი სიკვდილი.

შეიძლება ითქვას, ეს ბედისწერა იყო.

ხომ იცით, ვილაც იტყვის, ნაცისტური გერმანია ანტისემიტიზმმა წარმოშვა, ან მეტისმეტად მონდომებულმა ლიდერმა

და სიძულვილით აღსავსე ფანატიკოსმა ერმაო, მაგრამ რაც უნდა იყოს, ამას ვერავინ უარყოფს — გერმანელებს ერთი რამ განსაკუთრებით უყვარდათ: დაწვა.

რას აღარ წვავდნენ: მაღაზიებს, სინაგოგებს, რაიხსტაგებს, სახლებს, პირად ნივთებს, დახოცილ ადამიანებს და, რა თქმა უნდა, წიგნებს. წიგნების დაწვა ძალიან მოსწონდათ და ამით, წიგნის მოყვარულებს შესაძლებლობას აძლევდნენ, ისეთი გამოცემები მიეთვისებინათ, რომელთა შოვნასაც სხვა ვითარებაში ვერაფრით მოახერხებდნენ. ამგვარი მიდრეკილების ხალხს შორის იყო ჩვენი კარგი ნაცნობიც, გალეული გოგონა ლიზელ მემინგერი. ის ოთხას სამოცდასამი დღე ელოდა, მაგრამ ჩიტი ბრდღვნად ღირდა. იმ დღის ბოლოს, რომელიც სავსე იყო მღელვარებით, მშვენიერი საძაგლობებით, დასისხლიანებული ხელისგულითა და საკუთარ ლოყაში ნათავაზები ალიყურით, ლიზელ მემინგერმა წარმატების ისტორია მეორედ მიითვალა. წიგნს „მხრების აჩეჩა" ერქვა. ლურჯი გამოცემა იყო, ყდაზე წითელი წარწერითა და მის ქვეშ წითლადვე მიხატული გუგულით. წარსულის გახსენებისას, ლიზელს არასოდეს შერცხვენია იმ ქურდობისა. პირიქით, იმ ამბის გამო მუცელში სიამაყეც დაუვლიდა ხოლმე. ქურდობის სურვილი ბრაზმა და საშინელმა სიძულვილმა აღუძრა. ეს 20 აპრილს მოხდა, ფიურერის დაბადების დღეს, მაშინ გავარვარებულ ნაკვერჩხალს გამოსტაცა ხელიდან წიგნი და სიბნელისგან შობილი გოგონა გახდა.

რა თქმა უნდა, რატომო, იკითხავთ.

რაზე გაბრაზდა?

რა ხდებოდა ბოლო ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში ისეთი, რომ ასეთ მძაფრ გრძნობებად ამოიფრქვა?

მოკლედ, კითხვებზე პასუხი ჰიმელ-სტრიტზე იწყება და ჯერ ფიურერთან მიდის, მერე ნამდვილი დედის უცნობ ადგილსამყოფელთან და უკან მობრუნებასთან.

ყველა სხვა უბედურების მსგავსად, ეს ამბავიც ბედნიერად დაიწყო.

სიგარეტით მოგვრილი სიხარული

1939 წლის ბოლოსთვის ლიზელი მშვენივრად შეეგუა მოლკინგს. მართალია, ღამეულ ზმანებებში გარდაცვლილ ძმას ისევ ხედავდა და დედაც ენატრებოდა, მაგრამ ახლა ის მაინც იცოდა, თავი რით დაემშვიდებინა.

ლიზელს მამა, ჰანს ჰუბერმანიც უყვარდა და დედობილიც, მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად კალათებით დაატარებდა და ლანძღავდა. უყვარდა და ეზიზღებოდა საუკეთესო მეგობარი, რუდი შტაინერიც, რომელიც ნამდვილად ნორმალური ბიჭი იყო. კლასის წინაშე განცდილი მარცხიც კი უყვარდა, რადგან უკვე წერა-კითხვა ისე გამოასწორა, სრულყოფილებამდე ბევრი აღარაფერი უკლდა. ეს ყველაფერი ლიზელს გარკვეულწილად კმაყოფილებას ჰგვრიდა და იმ მდგომარეობამდე მიჰყავდა, რასაც ბედნიერება ერქვა.

ბედნიერების გასაღები

1. *„მესაფლავის ცნობარის“* დასრულება.
2. დედა მარიას რისხვისგან თავის დაღწევა.
3. ორი წიგნი საშობაო საჩუქრად.

17 დეკემბერი.

ეს თარიღი შესანიშნავად ახსოვდა, ზუსტად ერთი კვირა რჩებოდა შობამდე.

ძილი, როგორც ყოველთვის, საზიზღარმა სიზმარმა დაუფრთხო.

ჰანს ჰუბერმანმა გამოაღვიძა და ხელი მოჰკიდა ოფლში გაწურულ საღამურს.

— მატარებელი? — უჩურჩულა.

ლიზელმა დაუდასტურა.

— მატარებელი.

გოგონამ ღმად ჩაისუნთქა, მოემზადა და *„მესაფლავის ცნობარის“* მეთერთმეტე თავის კითხვას შეუდგა. სამ საათს ბევრი აღარაფერი აკლდა, კითხვა რომ დაასრულეს, ბოლო თავიღა იყო დარჩენილი, *„საფლავის მოვლა“*. მამობილს დაღლილობისგან ვერცხლად გადამდნარი თვალები დასივებოდა და ულვაშები ჩამოშვებოდა. წიგნი დახურა და ძილის შებრუნება სცადა, თუმცა, ვერ მოახერხა. შუქის ჩაქრობიდან წუთიც არ გასულა, ლიზელმა რომ დაილაპარაკა სიბნელეში.

— მამა.

ჰანსმა ყელიდან რალაც ხმა ამოუშვა.

— მამა, გღვიძავს?

— ჰო.

გოგონა წამოიწია და იდაყვებს დაეყრდნო.

— ბარემ დავამთავროთ რა, გთხოვ.

ჰანსმა გრძლად ამოიხვნეშა, ულვაშები გაისწორა და შუქი აანთო, მერე წიგნი გადაშალა და დაიწყო:

— *თავი მეთორმეტე: საფლავის მოვლა.*

ასე იკითხეს გათენებამდე, თან იმ სიტყვებს ინიშნავდნენ და იწერდნენ, ლიზელს რომ არ ესმოდა, ალიონამდე ფურცლავდნენ. მამობილს რამდენჯერმე ლამის ჩაეძინა, თვალები ასტკივდა დაღლილობისგან და თავი ჩაქინდრა, მაგრამ ლიზელმა დაძინება არ დაანება. ამის გამო უხერხულობა არ უგრძნია, არც მალავდა სურვილს, ის ხომ გოგონა იყო, რომელიც მთაზე აპირებდა ასვლას.

ბოლოს, როცა გარეთ სიბნელეს მზის შუქი ოდნავ შეერია, კითხვა დაასრულეს, უკანასკნელი აბზაცი აი, ასე ულერდა:

„ბავარიის მესაფლავეთა ასოციაციის წევრები ვიმედოვნებთ, რომ სრულად მოგაწოდეთ ინფორმაცია, თავი შეგაქცევინეთ და უსაფრთხოების ზომებსა თუ მესაფლავის მოვა-

ლეობებში გაგარკვიეთ. გისურვებთ წარმატებას კარიერასა და დაკრძალვის ხელოვნებაში. იმედი გვაქვს, ეს წიგნი ცოტა მაინც დაგეხმარებათ".

წიგნი რომ დახურეს, თვალი შეავლეს ერთმანეთს. პირველად მამამ დაილაპარაკა.

- - როგორც იქნა, მოვრჩით, არა?

ლიზელი სანახევროდ იყო გახვეული საბანში, ხელში წიგნი ეკავა, უკანა ყდას ათვალიერებდა და ვერცხლისფერ ასოებს უცქერდა. გოგონამ თავი დააქნია, ადრიანი დილის შიმშილს და პირის სიმშრალეს გრძნობდა. ეს არა მხოლოდ დაწყებული საქმის დაგვირგვინებით, არამედ ღამის, როგორც წინაალმდეგობის გადალახვით მოგვრილი დაღლილობის მშვენიერი წუთები იყო.

მამობილმა ხელები გაშალა, თვალები მოხუჭა და გაიზმორა, ისეთი დილა თენდებოდა, ვერ გაბედავდა, წვიმიანი ყოფილიყო. ორივე სამზარეულოში შევიდა, იქ, ფანჯარაზე აკრული ნისლისა და ყინვის მილმა, ჰიმელ-სტრიტის თოვლიან სახურავებზე გაწოლილი ვარდისფერი სინათლის ზოლები მოჩანდა.

— შეხედე ამ ფერებს, — თქვა მამამ. ძნელია, არ მოგეწონოს კაცი, რომელიც ფერებს კი არ ხედავს მხოლოდ, არამედ მათით საუბრობს.

მაშინაც, როცა თოვლი ნარინჯისფერი გახდა, ლიზელს ხელში ჰქონდა წიგნი და მაგრად უჭერდა ხელს. ერთ სახურავზე პატარა ბიჭი იჯდა და ცას უყურებდა.

— ვერნერი ჰქვია, — თქვა გოგონამ. უნებლიეთ წამოსცდა.

— ჰო, — თქვა მამამ.

ბოლო დროს კითხვაში სასკოლო გამოცდა აღარ ჩასტარებიათ და ლიზელიც ნელ-ნელა უფრო თავდაჯერებული გახდა. ერთ დღეს ვილაცის დარჩენილი სახელმძღვანელო აიღო და სცადა, გაეგო, წაკითხვას როგორ შეძლებდა. ყველა სიტყვა ამოიკითხა, მაგრამ კლასელებთან შედარებით, ნელა კითხულობდა და ცოტა არ იყოს, გაჭირვებით. გოგონა მიხვდა, სანახევრო ცოდნა უფრო იოლი იყო, ვიდრე სრულყოფილი. ამ მეორეს დრო სჭირდებოდა.

ერთ შუადღეს საკლასო ოთახის წიგნების თაროდან წიგნის მოპარვის სურვილი გაუჩნდა, მაგრამ, გულახდილად გითხრათ, დედა მარიასგან მორიგი Watschen-ის შიშით გადაიფიქრა, გარდა ამისა, დიდად არ ეხალისებოდა სკოლიდან წიგნის წაღება. ალბათ, ნოემბერში განცდილი მარცხის გამო დაკარგა ინტერესი, მიზეზი ზუსტად არც იცოდა. უბრალოდ, არ უნდოდა და მორჩა.

კლასში ისევ არ იღებდა ხმას.

იმისიც კი ეშინოდა, თავი აქეთ-იქით ეტრიალებინა.

ზამთრიდან მოყოლებული, დედა მარიას მრისხანების მსხვერპლი აღარ გამხდარა, ერჩივნა, ეცქირა, სხვები როგორ გაჰყავდა მწყობრი ნაბიჯებით დერეფანში და „აჯილდოებდა". დასჯილთა ხმების მოსმენაც უსიამოვნო იყო, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ თვითონ კი არა, ვილაც სხვა იდგა იქ, შვებას ჰგვრიდა და ამშვიდებდა.

სწავლა რომ შეწყდა *Weihnachten*-ის[18] გამო, ლიზელმა ისიც კი გაბედა, დედა მარიასთვის ბედნიერი შობა ესურვებინა, სანამ შინისკენ გაუდგებოდა გზას. იცოდა, ჰუბერმანებს ძირითადად, უჭირდათ, ვალებსა და ქირას დროულად ვერ იხდიდნენ და საშობაო საჩუქარს არ ელოდა. საჭმელი კი სადღესასწაულოდ, ალბათ, უკეთესი ექნებოდათ.

შობის წინაღამეს საოცარი რამ მოხდა. შუაღამემდე ეკლესიაში იყო დედასთან, მამასთან, ჰანს-უმცროსთან და ტრუდისთან ერთად, შინ დაბრუნებულს, ნაძვის ხის ქვეშ გაზეთში გახვეული საჩუქარი დახვდა.

— სენტ ნიკოლაუსისგან, — უთხრა მამამ, მაგრამ გოგონა ვერ მოატყუა. ლიზელი ორივეს მოეხვია, დედასაც და მამასაც, მხრებზე ჯერ ისევ თოვლი ეყარა.

ქაღალდის შეკვრაში ორი პატარა წიგნი იდო, პირველს *„ძაღლი ფაუსტი"* ერქვა, მათეუს ოტლებერგის ავტორობით (იმ წიგნს გოგონა ცამეტჯერ წაიკითხავს). შობის წინაღამეს პირველი ოცი გვერდი სამზარეულოს მაგიდასთან ჩამომჯდარმა ჩაამთავრა, სანამ მამა და ჰანს-უმცროსი მისთვის გაუგებარ თემაზე, პოლიტიკაზე კამათობდნენ.

---

[18] *გერმ. საშობაო არდადეგები.*

მოგვიანებით, რომ დაწვნენ, ცოტა კიდევ იკითხეს და ტრადიციულად გახაზეს ის სიტყვები, გოგონამ რომ არ იცოდა, მერე კი კედელზე გამოწერეს. *„ძალი ფაუსტი“* სურათებიანი წიგნი იყო, შიგ ეხატა ლამაზი კულულები, ყურები და გერმანული ნაგაზის კარიკატურები. ნაგაზს დიდი გასაჭირი ადგა — ჭარბად სდიოდა დორბლი და ლაპარაკი შეეძლო.

მეორე წიგნს *„შუქურა“* ერქვა, მისი ავტორი ქალი იყო, ინგრიდ რიპინშტაინი. ის წიგნი პირველზე უფრო მსხვილი იყო და მისი წაკითხვა ლიზელმა მხოლოდ ცხრაჯერ მოახერხა. ამგვარმა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო. ლიზელ მემინგერი კითხვას სრულყოფილად დაეუფლა.

შობიდან სულ რამდენიმე დღე იყო გასული, გოგონამ მამას წიგნების შესახებ რომ ჰკითხა. ოჯახი სამზარეულოში საჭმელს მიირთმევდა. დაინახა, დედამ ბარდის წვნიანით სავსე კოვზი პირისკენ როგორ წაიღო და ამჯობინა, ყურადღება მამაზე გადაეტანა:

— რაღაც მინდა გკითხო.

თავიდან სიჩუმე.

— და რა?

ეს დედამ იკითხა, საჭმლით სანახევროდ გამოვსებული პირით.

— მაინტერესებს, სად იშოვეთ ჩემი წიგნებისთვის ფული?

მამამ კოვზს გაულიმა.

— ნამდვილად გინდა, იცოდე?

— რა თქმა უნდა.

ჰანსმა ჯიბიდან დარჩენილი თამბაქო ამოიღო და შეახვია. ლიზელი უცქერდა და მოუთმენლობა იპყრობდა.

— მეტყვი თუ არა?

მამას გაეცინა.

— ჰოდა, გეუბნები, ბავშვო, — სიგარეტი მაგიდაზე დადო და ახლის შეხვევას შეუდგა, — აი, ასე ვიშოვე.

ამ დროს დედამ ხმაურით დაასრულა წვნიანის ხვრეპა, დააბოყინა და ჰანსის მაგივრად უპასუხა.

— იცი, რა გააკეთა? მთელი თავისი ბინძური თამბაქო შეახვია, ქალაქში გამართულ ბაზრობაზე წაიღო და ვილაც ბოშებს გაუცვალა.

— თითო წიგნში რვა სიგარეტი, — მამამ გამარჯვებული სახით ჩაიდო შეხვეული თამბაქო პირში, მოუკიდა და კვამლში გაეხვია. — მადლობა ღმერთს, რომ სიგარეტი გვაქვს, არა, დედა?

დედამ მხოლოდ საფირმო, ზიზღით აღსავსე მზერა ესროლა და ის სიტყვა მიაყოლა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება მის ლექსიკაში.

— ღორიშვილი.

ლიზელმა მამას თვალი ჩაუკრა და წვნიანის ჭამა დაასრულა. წიგნი, როგორც ყოველთვის, ახლაც გვერდით ედო. არ შეეძლო, არ ეღიარებინა, რომ პასუხმა დააკმაყოფილა.

არც ისე ბევრი ადამიანია, რომელიც იტყოდა, რომ მისი განათლების საფასური სიგარეტებით გადაიხადეს.

მეორე მხრივ, დედამ თქვა, ჰანს ჰუბერმანისგან რა ხეირს უნდა ელოდო, შეეძლო, იმ თამბაქოთი ჩემთვის ახალი კაბა ეყიდა, ან უკეთესი ფეხსაცმელი მოეტანაო.

— მაგრამ არა... — როზამ ნიჟარაში ჩაცალა სიტყვები, — საქმე ჩემზე თუ მიდგა, ურჩევნია, მთელი ყუთი სიგარეტი მოსწიოს და მეზობლებისაც ზედ დააყოლოს, ასე არ არის?

თუმცა, რამდენიმე ღამეში ჰანს ჰუბერმანი შინ კვერცხებით სავსე ყუთით დაბრუნდა.

— მაპატიე, დედილო, — მამამ ყუთი მაგიდაზე დადო, — ფეხსაცმელები ვეღარ ვიშოვე, აღარ ჰქონდათ.

დედას არ დაუჩივლია.

ეგ კი არა, სანამ იმ კვერცხებს დანახშირებამდე წვავდა, მღეროდა კიდეც. როგორც ჩანს, სიგარეტებს დიდი ხალისი შეჰქონდა ოჯახში. ბედნიერი დღეები ჰუბერმანებთან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დასრულდა.

ქალაქში მოხეტიალე

საქმე უკან წავიდა მას მერე, რაც სარეცხმა თანდათან იკლო.

ლიზელი როზა ჰუბერმანთან ერთად არიგებდა მოლკინგში სარეცხს, როცა ერთ დღესაც მუდმივმა კლიენტმა, ერნსტ ფოგელმა შეატყობინა, ამის მერე ველარ შევძლებ, სარეცხის დარეცხვა-დაუთოებაში ფული გადაგიხადოთო.

— ასეთი დროა, — მოიბოდიშა ერნსტმა, — რა უნდა გითხრათ? მდგომარეობა უარესდება. ომი გვაიძულებს, ქამრები შემოვიჭიროთ. — მერე გოგონას შეხედა, — ამ გოგონას აღზრდაში სახელმწიფო, ალბათ, ფულს გიხდით, არა?

ლიზელი შეძრწუნდა, დედას ენა ჩაუვარდა.

ქალს გვერდით ცარიელი ჩანთა ედო.

— წამოდი, ლიზელ.

არა, ეს არ უთქვამს, უბრალოდ, სტაცა ხელი და წაათრია.

ფოგელმა, რომელიც დაახლოებით მეტრი და სამოცდათხუთმეტი სანტიმეტრი იქნებოდა სიმაღლეში და გაქონილი ქოჩორი უსიცოცხლოდ უფრიალებდა შუბლს ზემოთ, რაღაც მიაძახა კიბიდან:

— ვწუხვარ, ფრაუ ჰუბერმან!

ლიზელმა ხელი დაუქნია.

ერნსტმაც იმავეთი უპასუხა.

დედა ლანძღვა-გინებას მოჰყვა.

— ხელს ნუ უქნევ მაგ Arschloch-ს, — უთხრა გოგონას, — დაუჩქარე.

იმ სალამოს, ბანაობისას, დედობილი ისე ხეხავდა ლიზელს, ლამის კანი გააძრო და თან ფოგელს ლანძღავდა, ყოველ ორ

წუთში ნაბიჭვარს ეძახდა. — *„ამ გოგონას აღზრდაში ალბათ სახელმწიფო ფულს გიხდით, არა?“* — ახლა მკერდზე გადავიდა და საპონი წაუსვა, — შენ ხომ ბევრი არ ღირხარ, ღორუკელა, ხომ იცი, რომ ვერ გამამდიდრებ.

ლიზელი იჯდა და უსმენდა.

ინციდენტიდან ერთ კვირაში როზამ ლიზელი სამზარეულოში შეიყვანა.

— მისმინე, ლიზელ, — მაგიდას მიუჯდა, — ეზოში ფეხბურთის თამაშს აჯობებს, რამე სასარგებლო აკეთო, იქნებ ცოტათი მაინც გამოსწორდეს მდგომარეობა.

ლიზელი საკუთარ ხელებს დააცქერდა.

— რა უნდა გავაკეთო, დედა?

— დღეიდან სარეცხს შენ დაარიგებ და მოაგროვებ. მდიდრები რომ დაგინახავენ, უარს აღარ გვეტყვიან მომსახურებაზე. თუ მიკითხავენ, ეტყვი, რომ ავად ვარ, თან ნაღვლიან სახეს მიიღებ. ისეთი გაძვალტყავებული და ფერმკრთალი ხარ, იმედია, შეგიცოდებენ.

— ჰერ ფოგელს არ შევეცოდე.

— ჰო... — დედას აღელვება შეეტყო, — მაგრამ სხვებს შეეცოდები, ნუ მეკამათები.

— დიახ, დედა.

წამით მოეჩვენა, დედობილი მის დამშვიდებას შეეცდებოდა ან მხრებზე მოეფერებოდა.

როზას ასეთი რამ არ შეეძლო.

ამის ნაცვლად წამოდგა, ხის კოვზს დაავლო ხელი და ცხვირთან მიუტანა გოგონას, სჯეროდა, რომ ასე უნდა მოქცეულიყო:

— ქუჩაში რომ გახვალ, სადაც გეტყვი, იქ მიიტან ჩანთებს და მერე პირდაპირ უკან დაბრუნდები, ფული ცოტაც რომ მოგცენ, გამოართვი. მამას არ შეუარო, თუ სამუშაოზე იქნება, არც იმ პატარა ნაბიჭვართან, რუდი შტაინერთან ერთად იხეტიალო, პირდაპირ შინ წამოდი.

— დიახ, დედა.

გადარჩენისთვის ხშირად მხოლოდ ამ ორი სიტყვის თქმა იყო საკმარისი, ან იმის შესრულება, რასაც ეუბნებოდნენ.

იმ დღიდან მოლკინგის ქუჩებში დააბიჯებდა, ღარიბების და მდიდრების სარეცხი მიჰქონდა ან მოჰქონდა. მარტოს ხეტიალი, თავიდან, ცოტა მოსაწყენი ეჩვენა, მაგრამ არ დაუჩივლია. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში პირველად შეძლო, ქალაქში ჩანთებით სიარული: მიუნხენის ქუჩის კუთხეში შეუხვია, ორივე მხარეს გაიხედა, ჩანთა ისე მოიქნია, წრე შემოხაზა — ერთ რევოლუციას უდრიდა, — მერე შიგ ჩაიხედა და შეამოწმა. მადლობა ღმერთს, ტანისამოსსა და თეთრეულს ნაკეცები და ნაოჭები არ დასტყობია. გაილიმა და პირობა დაუდო თავს, ასეთ რამეს აღარ გაიმეორებდა.

მეტიც, ლიზელს სულ უფრო მოსწონდა ეს საქმე. მართალია, შემოსავალს არავინ უყოფდა, მაგრამ სახლიდან გასვლა და დედის გარეშე ხეტიალი ნამდვილ სამოთხედ ეჩვენებოდა. მისკენ არც თითს იშვერდა ვინმე და არც ლანძღავდა. არც ხალხი აშტერდებოდა, როგორც ადრე, როზას განიწმატებისას, რატომ გიჭირავს ჩანთა არასწორადო.

სიმშვიდე და სხვა არაფერი.

გოგონას უკვე მოსწონდა ის ადამიანები, ვისთანაც სარეცხი დაჰქონდა:

პფაფელჰიურვერები, რომლებიც ტანისამოსს ამოწმებდნენ და ამბობდნენ: Ja, ja, sehr gut, sehr gut.[19] ლიზელი ფიქრობდა, ეს ხალხი, ალბათ, ყველაფერს ორჯერ იმეორებსო.

უწყინარი ჰელენა შმიდტი, რომელიც ართრიტისგან დაკრუნჩხული თითებით აწვდიდა ფულს.

ვაინგარტნერები. მათ ულვაშდაწკეპილი კატა ჰყავდათ, რომელიც ყოველთვის თან ახლდა პატრონს კარის გაღებისას. კატას პატარა გებელსს ეძახდნენ, ჰიტლერის მარჯვენა ხელივით.

და ფრაუ ჰერმანი, მერის ცოლი გაჩეჩილი თმით, რომელიც აცახცახებული იდგა ხოლმე უზარმაზარ, გაყინულ ნინკარში. მარად მდუმარე. მარად ეული. ერთი სიტყვაც კი არასოდეს დასცდენია.

ხანდახან რუდიც დაჰყვებოდა ლიზელს.

---

[19] *გერმ. კარგია, ძალიან კარგი.*

— ფული რამდენი გაქვს? — ჰკითხა ერთ დღეს გოგონას. თითქმის ბნელოდა, ჰიმელ-სტრიტზე მიაბიჯებდნენ და ის იყო, მაღაზიას ჩაუარეს, — იცი? ფრაუ დილერს სადღაც საწუნნი კანფეტები ჰქონია გადანახული და თანაც, კარგ ფასად.

— არც იფიქრო, — თქვა ლიზელმა და ფულს ხელი მაგრად მოუჭირა. — რა გენაღვლება, დედაჩემს კი არ უნდა ჩახედო თვალებში.

რუდიმ მხრები აიჩეჩა:

— მაინც ღირდა, გვეცადა.

იანვრის შუა რიცხვებში სკოლის გაკვეთილებზე ყურადღება დაეთმო წერილის შედგენას. მოსწავლეებს ძირითადი წესები აუხსნეს და ორი წერილის დაწერა დაავალეს — მეგობრისთვის და პარალელური კლასელისთვის.

რუდიმ ლიზელს აი, ასეთი ბარათი მისწერა:

„ძვირფასო ლორუკელა!

ისეთივე სუსტი ხარ ფეხბურთში, როგორც ჩვენი ბოლო თამაშისას? იმედი მაქვს, ასეა. მაშ, კიდევ გაგასწრებ სირბილში, ოლიამპიადაზე მოასპარეზე ჯესი ოუენსივით...“

დედა მარიამ წერილი რომ ნახა, მეგობრულად ჰკითხა რუდის.

დედა მარიას შეთავაზება

„მისტერ შტაინერ, დერეფანში გაყვანა ხომ არ მოგენატრათ?“

საჭირო აღარაა იმის თქმა, რომ რუდიმ უარყოფითი პასუხი გასცა, შესაბამისად, ფურცელი დახია და ხელახლა დაიწყო წერა. ამჯერად ვიღაც ლიზელს სწერდა და სთხოვდა, მომწერე, რა გიტაცებსო.

სახლში, საშინაო დავალების შესრულებისას, წერილს რომ ადგენდა, ლიზელმა ჩათვალა, რომ სასაცილო და უაზრობა იქნებოდა, რუდისთვის ან რომელიმე მისნაირი ლორიშვილისთვის მიეწერა წერილი. სარდაფში ჩავიდა და მამას, რომელიც კედელს ღებავდა, რჩევა ჰკითხა.

მამა აქროლადი საღებავის ღრუბელთან ერთად შემობრუნდა:

— Was wuistz? — მართალია, ეს ყველაზე უფრო უხეში გერმანული მიმართვაა, მაგრამ მან უდიდესი კმაყოფილებით წარმოთქვა, — რა გინდა?

— შეიძლება, დედას მივწერო?

პაუზა.

— რად გინდა მისთვის წერილის მიწერა? აკი ყოველდღე ხედავ, — ჰანსი ეშმაკურად იცინოდა, ამას გერმანულად schmunzelling ჰქვია. — განა, ეს საკმარისი არაა?

– ამ დედაზე არ ვამბობ, — გოგონამ ნერწყვი გადაყლაპა.

— ოჰ, — მამა კედლისკენ მიბრუნდა და ღებვა განაგრძო, — კარგი, მესმის. შეგიძლია, იმ ქალის სახელზე დაწერო, აქ რომ მოგიყვანა და დედობილ-მამობილი გაგაცნო, რამდენჯერმე ხომ მოგვაკითხა კიდეც, რა ჰქვია?

— ფრაუ ჰაინრიხი.

— ჰო, მართალია, მას გაუგზავნე, იქნებ მოახერხოს და დედაშენს მიაწვდინოს. — ეს დამაჯერებელი პასუხი არ იყო, თითქოს რალაცას არ უმხელდა ლიზელს. იმ ხანმოკლე ვიზიტებისას ფრაუ ჰაინრიხს სიტყვაც არ დაუძრავს დედაზე.

იმის ნაცვლად, რომ ეკითხა, რაშია საქმეო, ლიზელი დაუყოვნებლივ შეუდგა წერილის წერას და გადაწყვიტა, ის ცუდი წინათგრძნობა ჩაეხშო, თანდათან რომ ერეოდა. წერილს სამი საათი წერდა. სანამ დედას მოლკინგზე, მამასა და აკორდეონზე, რუდი შტაინერის უცნაურ, მაგრამ გულითად საქციელზე, როზა ჰუბერმანის საგმირო საქმეებზე მოუყვებოდა, ექვსჯერ მაინც გადაათეთრა, ისიც აუხსნა, როგორ ამაყობდა, კითხვა და ცოტათი წერაც რომ ისწავლა. მეორე დღეს სამზარეულოს მაგიდის უჯრიდან ამოღებული მარკა წერილს დააკრა და ფრაუ დილერს მისცა გასაგზავნად. მერე კი ელოდა.

იმ ღამით, წერილი რომ დაწერა, ჰანსისა და როზას დიალოგს მოჰკრა ყური.

— დედამისთან რა ესაქმება? — ამბობდა დედობილი. როზას საოცრად მშვიდი და მზრუნველი ხმა ჰქონდა. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს როგორ შეაშფოთებდა ლიზელს. ერჩივნა, ეკამათათ. მოჩურჩულე უფროსებს ნაკლებად ენდობოდა.

— მკითხა, — უპასუხა მამამ, — და უარი ვერ ვუთხარი, ან კი როგორ ვეტყოდი?

— იესო, მარიამ და იოსებ, — ისევ ჩურჩული, — ვერაფრით ივიწყებს. ნეტავ თუ იცის, სად არის? ან რა დამართეს?

ლოგინში ჩაწოლილმა ლიზელმა მუხლებზე შემოიხვია ხელები და მოიკუნტა. დედაზე ფიქრობდა და როზა ჰუბერმანის კითხვებს იმეორებდა:

სად არის?

და რა დამართეს?

ვინ დამართა? ვინ არიან ისინი?

მკვდარი წერილები

ცოტა წინ გადავხტეთ, 1943 წლის სექტემბერში.

თოთხმეტი წლის გოგონა პატარა, მუქყდიან წიგნში ნერს რაღაცას, სულ მთლად გალეულია, მაგრამ ამავე დროს — ძლიერი, მრავლის მომსწრე. მამა გვერდით უზის და ფეხებთან აკორდეონი უდგას.

— იცი, ლიზელ? ლამის იყო, პასუხი მე მოგწერე, დედაშენის სახელით. — ამბობს მამა, მერე კი იმ ფეხს იქავებს, რომელზეც ცოტა ხნის წინ თაბაშირი ედო. — მაგრამ ვერ გავბედე, ვერ შევძელი...

იანვრის ბოლოდან მოყოლებული, მთელი თებერვალი, ლიზელმა რამდენჯერმე რომ შეამოწმა საფოსტო ყუთი და დედისგან საპასუხო ბარათი ვერ იპოვა, მამობილს გული ეტკინა.

— ვწუხვარ, — ეუბნებოდა გოგონას, — არც დღეს მოსულა?

მოგვიანებით ლიზელი მიხვდა, რომ ტყუილად ელოდა პასუხს. დედას რომ შესძლებოდა, დიდი ხნის წინ მიმართვდა სოციალური სამსახურის მუშაკებს და სთხოვდა, ჩემს გოგონასთან ან ჰუბერმანებთან დამაკავშირეთო. მსგავსი არაფერი მომხდარა.

ამ გულისტკენას ერთი ცუდი ამბავი დაემატა. თებერვლის შუა რიცხვებში ლიზელს პფაფელჰიურვერებმა — ჰაიდეს-ტრიტელმა მუდმივმა კლიენტებმა, რომელთაც როზა ტანსაცმელს უუთოებდა ხოლმე, წერილი გადასცეს და უთხრეს,

დედაშენს მიუტანეო. იმ დღეს ორივე ნინკარში იდგა და მელანქოლიურად გამოხატავდა გულისტკივილს:

— უთხარი, რომ ვწუხვართ, უთხარი, რომ ვწუხვართ.

ჰუბერმანების ოჯახისთვის ის ღამე საუკეთესო არ ყოფილა.

ლიზელი დედისთვის მეხუთე წერილის მისაწერად რომ ჩავიდა სარდაფში (იმ დროისთვის მხოლოდ ერთი ჰქონდა გაგზავნილი), იქაც კი ესმოდა, როგორ ბობოქრობდა როზა *Arschlöcher*-ი პფაფელჰიურვერებისა და ტილიანი ერნსტ ფოგელის გამო.

— *Feuer soll'n's brunzen für einen Monat!* — ყვიროდა დედა. თარგმანი: ცეცხლი ჭამონ მთელი თვე!

ლიზელი ნერდა.

დაბადების დღის საჩუქარი არ მიუღია. ფული არ ჰქონდათ და იმ დროისთვის მამას თამბაქოც გამოელია.

— ხომ გითხარი, — გაიშვირა დედამ თითი ჰანსისკენ, — ხომ გითხარი, ორივე წიგნი შობას არ მისცე-მეთქი. განა მომისმინე? რა თქმა უნდა, არა!

— ვიცი, — ჰანსი მშვიდად მიუბრუნდა გოგონას, — ვწუხვარ, ლიზელ, ხომ იცი, შენთვის საჩუქრის ყიდვის საშუალება რომ არ გვაქვს.

ლიზელს დიდად არ ადარდებდა ეს ამბავი, არც უწუწუნია და არც ფეხები უბაკუნებია. უბრალოდ, გადაყლაპა იმედგაცრუება და რისკზე წასვლა გადაწყვიტა — საკუთარი თავისთვის თვითონ უნდა მიეძღვნა საჩუქარი. შეაგროვებდა დედისთვის მიწერილ ყველა წერილს, კონვერტში ჩატენიდა, ცოტას აიღებდა იმ ფულიდან, დარეცხილ-დაუთოებულ სარეცხში რომ აძლევდნენ დედობილს და წერილებს გაგზავნიდა. მერე, რა თქმა უნდა, Watschen-საც დაიმსახურებდა. დედა, ალბათ, სამზარეულოში დასჯიდა, ის კი ხმას არ ამოიღებდა.

სამ დღეში ლიზელმა გეგმა სისრულეში მოიყვანა.

— ფული მაკლია, — დედამ მეოთხედ გადათვალა ლიზელის მიცემული თანხა. გოგონა ქურასთან იდგა, ქურა ცხელი იყო და ლიზელსაც სისხლი აუდუღდა ძარღვებში.

— რა მოხდა, ლიზელ?

იცრუა:

— ალბათ, ჩვეულებრივზე ნაკლები გადამიხადეს.

— დაითვალე?

— დავხარჯე, დედა, — გამოტყდა ბოლოს.

როზა მიუახლოვდა. ეს ცუდის ნიშანი იყო, მეტისმეტად ახლოს იდგა ხის კოვზებთან.

— რაო?

სანამ პასუხს გასცემდა, ლიზელ მემინგერს ღვთის სასჯელივით დაატყდა თავზე ხის კოვზი. წითელი ლაქები ფეხის ანაბეჭდებს ჰგავდა და ეწვოდა. როცა ყველაფერი დასრულდა, გოგონამ იატაკს მოაცილა თვალები, ახედა და სცადა აეხსნა, რა ჩაიდინა.

აჩქარებული გულისცემა და ყვითელი შუქი. თვალები დაახამხამა:

— წერილები გავგზავნე.

სანამ მტვრიან იატაკზე ეგდო, აი, რას გრძნობდა: თითქოს ტანსაცმელი მისგან მოშორებით ეყარა. მხოლოდ ახლა მიხვდა, ტყუილად რომ აღმოჩნდა ამ მდგომარეობაში. დედა აღარასოდეს დაბრუნდებოდა, აღარ შეხვდებოდნენ. ამის აღმოჩენა მორიგი Watschen-ი იყო მისთვის. სხეული საშინლად ეწვოდა. კარგა ხანს არ გაუარა.

თავზე წამომდგარი როზა ჯერ ბუნდოვნად ჩანდა, მერე კი სახე გამოიკვეთა. იდგა ის ტანსრული ქალი, ხელში კომბალივით ეჭირა ხის კოვზი და შვილობილს უყურებდა. უცებ მოლბა, დაიხარა და უთხრა:

— მაპატიე, ლიზელ.

ლიზელი საკმაოდ კარგად იცნობდა როზას და მიხვდა, ცემის გამო არ ებოდიშებოდა.

გოგონას წითელი ლაქები დაუსივდა და კანი ამოებურცა, ასე იწვა მტვერში, ჭუჭყსა და მქრქალ სინათლეში. სუნთქვა დაუმშვიდდა და სახეზე ყვითელი ცრემლი ჩამოუგორდა. იატაკს სხეულის ყველა ნაწილით შეიგრძნობდა, მკლავით, მუხლით, იდაყვით, ლოყით, ფეხის კუნთებით.

იატაკი ცივი იყო, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც ლოყა ედო, მაგრამ განძრევა არ შეეძლო.

დედას ვეღარასოდეს ნახავდა.

დაახლოებით საათი იწვა ასე, სამზარეულოს მაგიდის ქვეშ, სანამ მამა არ მოვიდა და აკორდეონზე არ დაუკრა. მაშინღა წამოჯდა და მოიკეთა.

მერე, როცა იმ ღამის შესახებ დაწერა, აღარც როზა ჰუბერმანს ადანაშაულებდა და აღარც ნამდვილ დედას. ისინი ხომ მხოლოდ გარემოებათა მსხვერპლნი იყვნენ. მხოლოდ ერთი რამ უტრიალებდა გონებაში — ყვითელი ცრემლი. ღამე რომ ყოფილიყო, ცრემლი უფრო მუქი გამოჩნდებოდა.

„იყო კიდეც მუქი", — უთხრა საკუთარ თავს.

და რამდენჯერაც სცადა, ყვითელი შუქით განათებული ის სურათი წარმოედგინა, ვერ მოახერხა. ყველაფერი სიბნელეში იყო ჩაძირული, მხოლოდ სამზარეულოს ცივი, ბნელი იატაკის დანახვას ახერხებდა, მამობილის მუსიკასაც კი სიბნელის ფერი დაკრავდა.

მამობილის მუსიკასაც კი.

უცნაურია, მაგრამ იმ ფიქრებმა შვება უფრო მოჰგვარა, ვიდრე ნაღველი.

სიბნელე. ნათელი.

ნეტავ, რა მნიშვნელობა ჰქონდა.

ღამეულმა ზმანებებმა წიგნის ქურდი გამოაწრთო. ნელ-ნელა მიხვდა, რა ხდებოდა და რა მოხდებოდა მომავალში. სხვა თუ არაფერი, მომავლისთვის გამოაწრთო.

ალბათ ამიტომ, ფიურერის დაბადების დღეს, როცა პასუხი გაეცა კითხვას, თუ რატომ იტანჯებოდა ლიზელის ნამდვილი დედა, გოგონამ შეძლო, ბრაზი და მრისხანება დაეძლია და ყველაფერზე შესაბამისი რეაქცია ჰქონოდა.

ლიზელ მემინგერი მზად იყო.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჰერ ჰიტლერ!

დღეგრძელობას გისურვებთ!

ჰიტლერის დაბადების დღე, 1940

მარტიდან აპრილამდე, მიუხედავად იმისა, რომ იმედი არ ჰქონდა, მაინც ყოველ შუადღეს ამოწმებდა საფოსტო ყუთს. არც იმას დაუბრკოლებია, ჰანსმა ფრაუ ჰაინრიხი რომ მოინვია შინ. ქალმა ჰუბერმანებს აუხსნა, რომ ობოლ ბავშვებზე მეთვალყურეობის განყოფილებიდან კარგა ხანია აღარ დაჰკავშირებიან პაულა მემინგერს. გოგონა თავისას არ იშლიდა, მაგრამ ალბათ ხვდებით, ფოსტის შემოწმებას აზრი აღარ ჰქონდა.

მოლკინგი, გერმანიის სხვა ქალაქების მსგავსად, ჰიტლერის დაბადების დღისთვის ემზადებოდა. იმ წელიწადს ომი ჰიტლერის სასარგებლოდ მიმდინარეოდა და ნაცისტური პარტიის მოლკინგის ფილიალს იუბილეს განსაკუთრებულად აღნიშვნა სურდა. აუცილებლად ჩატარდებოდა აღლუმი, მარშირება, დაუკრავდნენ მუსიკას, იმღერებდნენ. კოცონსაც აუცილებლად დაანთებდნენ.

სანამ ლიზელი მოლკინგის ქუჩებში დარეცხილ-დაუთოებულ ტანსაცმელს დაატარებდა, ხოლო დასარეცხი შინ მიჰქონდა, ნაცისტური პარტიის წევრები საწვავს აგროვებდნენ. ლიზელი რამდენჯერმე გახდა მოწმე, როგორ აკაკუნებდნენ ქალები და კაცები კარზე და ხალხს სთხოვდნენ, ის მასალა მოეგროვებინათ, რომელიც აუცილებლად უნდა განადგურებულიყო.

მამობილმა *„მოლკინგის ექსპრესის“* ასლი მიიტანა შინ, მასში განცხადება იყო დაბეჭდილი: ქალაქის მოედანზე ნა-

ცისტები კოცონის გაჩაღებას აპირებდნენ, მას აუცილებლად დაესწრებოდნენ „ჰიტლერიუგენდის“ ადგილობრივი განყოფილების წევრები. კოცონი ფიურერის დაბადების დღის გარდა, მტრებზე გამარჯვებასა და პირველი მსოფლიო ომის სამარცხვინო ბორკილებისგან თავის დაღწევას ეძღვნებოდა. გაზეთში ეწერა: *„ყველანაირი მასალა, რაც ამ დრომდე შემოგრჩათ: გაზეთები, პლაკატები, წიგნები, დროშები — მტრული პროპაგანდის ნებისმიერი ნიმუში, მიუნხენის ქუჩაზე მდებარე ნაცისტური პარტიის ოფისში მიიტანეთ“.*

შილერის ქუჩაც კი — ყვითელი ვარსკვლავების ქუჩა — რომელიც ცოტა ხანში უნდა განეახლებინათ, უკანასკნელად გაჩხრიკეს, რათა ფიურერის პატივსაცემად კოცონზე დასაწვავი ნივთები ეპოვათ. არც ის გამიკვირდება, პარტიის წევრებს მოსახლეობის მორალურად გამხრწნელი, ათასობით წიგნი და პლაკატი კოცონზე დასაფერფლად, საგანგებოდ დაებეჭდათ.

20 აპრილი დიდებულ დღედ რომ ექციათ, ყველაფერი მოამზადეს. ეს თარიღი კოცონის, მხიარული ყიჟინისა და წიგნის ქურდობის დღედ უნდა ქცეულიყო.

ჰუბერმანების ოჯახი იმ დილას ჩვეულებრივ არ შეხვედრია.

— ეს ღორიშვილი ისევ ფანჯარაში იხედება, — ილანძღებოდა როზა ჰუბერმანი, — ყოველდღე ასეა, — განაგრძობდა ქალი, — ნეტავ რა ჯანდაბას უყურებ?

— ოჰ, — აღტაცებით აღმოხდა მამას, ფანჯრიდან დროშა იყო გადაფენილი. — მოდი ერთი და იმ ქალს შეხედე, — ჰანსმა ჩუმად გახედა უკან მდგარ ლიზელს და გაუცინა, — უნდა გავიდე და დავეწიო. დედილო, ათასჯერ გჯობია, ხომ ხედავ.

— *Schwein!*[20] — როზამ ხის კოვზი მოუქნია ქმარს.

მამობილი ისევ აგრძელებდა ფანჯრიდან წარმოსახვითი ქალისა და გერმანიის ნამდვილი დროშების თვალიერებას.

---

[20] *გერმ. ღორო!*

მოლკინგის ქუჩებში იმ დღეს ყველა ფანჯარა ფიურერისთვის მოერთოთ. ზოგან, მაგალითად, ფრაუ დილერის მაღაზიაში, ფანჯრები დაეკრიალებინათ, სუფთა დროშა გამოეფინათ, სვასტიკა ძვირფასი თვალივით ბრწყინავდა თეთრ-წითელ ზეწარზე. სხვა სახლებიდან დროშები გასაშრობი სარეცხივით გადაეფინათ, მაგრამ რაც მთავარია, ყველა ადგილზე იყო.

ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე ოჯახი აფორიაქდა, ჰუბერმანებმა დროშა ვერ იპოვეს.

— მოგვაკითხავენ, — აფრთხილებდა დედა მამას, — და აუცილებლად წაგვიყვანენ. დროშა უნდა ვიპოვოთ! — საქმეს ისეთი პირი უჩანდა, მამობილი ალბათ სარდაფში ჩავიდოდა და ძველ ზეწარზე დახატავდა დროშას. მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, იპოვეს, განჯინაში იდო, აკორდეონის უკან.

— ეს საშინელი აკორდეონი მთელ ხედს ფარავდა! — დედა ქუსლებზე შემოტრიალდა, — ლიზელ!

გოგონას ფანჯრის თაროზე დროშის დამაგრების პატივი ერგო.

მოგვიანებით, ჰანს-უმცროსი და ტრუდი საოჯახო სადილზე მოვიდნენ. ასე შობას ან აღდგომას იქცეოდნენ ხოლმე (მგონი სწორედ რომ დროა, ისინი გაგაცნოთ).

ტრუდი ან ტრუდელი, როგორც ხშირად ეძახდნენ, მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით მაღალი იყო დედაზე. მოუქნელი, ბატივით სიარულის მანერა როზა ჰუბერმანისგან მემკვიდრეობით ერგო, ისე, დედაზე გამხდარი იყო. ტრუდელი მიუნხენის მდიდრულ ნაწილში შინამოსამსახურედ მუშაობდა, ლიზელისთვის ყოველთვის იმეტებდა ღიმილსა და თბილ სიტყვებს. მას რბილი ტუჩები ჰქონდა. მშვიდი ხმა.

ჰანს-უმცროსს მამისგან თვალები და სიმაღლე დაჰყვა, თუმცა — ისეთი თბილი ვერცხლისფერი არა, როგორც მამას, მის თვალებს ფიურერის კვალი დასტყობოდა. ბიჭი უფრო ფერხორციანი იყო, ქერა აქოჩრილი თმითა და თეთრი საღებავივით უფერული კანით.

მიუნხენიდან და-ძმა ერთად ჩამოვიდა მატარებლით და სულ ცოტა ხანში ოჯახში ადრინდელი კამათი განახლდა.

ჰანს ჰუბერმანისა და მისი ვაჟის დაპირისპირების მოკლე ისტორია

ჰანს-უმცროსის შეხედულებით,
მამამისი იყო ძველი,
დაუძლურებული გერმანიის ნაწილი,
იმ გერმანიისა, რომელიც მასზე ჯირითის უფლებას აძლევ-
და განურჩევლად ყველას, მაშინ, როცა მისი ხალხი იტანჯე-
ბოდა.
უკვე მოზარდმა იცოდა, რომ მამამისს, რომელიც ებრაელ-
თა სახლებს ღებავდა, „ებრაელების მღებავს“ ეძახდნენ.
შემდგომ ინციდენტზე კი სრულად მოგახსენებთ:
ეს იმ დღეს მოხდა, როცა ჰანს-უმცროსმა პარტიაში
შეაბიჯა. ყველამ იცოდა, რომ არავის უნდა გადაეღება ის
ნიშანი, ებრაელთა მაღაზიებზე რომ ხატავდნენ.
ეს ცუდი იქნებოდა გერმანიისთვის და იმისთვისაც, ვინც
ამას ჩაიდენდა.

— უკვე შეხვედი? — ჰანს-უმცროსმა საუბარი სწორედ იქიდან დაიწყო, რაზეც შობას შეჩერდნენ.

— სად?

— იქნებ მიხვდე, — პარტიაში.

— არა. მგონი, დააავიწყდათ კიდეც ჩემი არსებობა.

— იქნებ კიდევ გეცადა? ასე ხომ არ უნდა იჯდე და ელოდო, როდის ჩაგიქროლებს ახალი სამყარო. გადი გარეთ და პარტიაში ჩაეწერე, მიუხედავად წარსულის შეცდომებისა.

— შეცდომები? — მამამ შვილს ახედა, — ცხოვრებაში ბევრი შეცდომა დავუშვი, მაგრამ მათ რიცხვში ნაცისტურ პარტიაზე უარის თქმა არ შედის. განცხადება ჯერ კიდევ იქაა, ხომ იცი, მაგრამ არ დავბრუნდები და არ შევეხვეწები, მიმიღეთ-მეთქი. მე მხოლოდ...

აი, აქ კი დიდი გაუგებრობა მოხდა.

ის ორპირი ქარივით შემოიჭრა ღია ფანჯრიდან, ალბათ მესამე რაიხის ქროლა იყო და ნელ-ნელა ძალას იკრებდა, ან — ევროპის სუნთქვა. რაც უნდა იყოს, ორი წყვილი ლითონის

თვალი თუნუქის ქილებივით შეასკდა ერთმანეთს ჰუბერმანების სამზარეულოში.

— შენ ეს ქვეყანა არასოდეს გადარდებდა, — თქვა ჰანს-უმცროსმა, — ყოველ შემთხვევაში, საკმარისად.

მამას თვალები ჩაულამდა, მაგრამ ამან მისი ვაჟი ვერ შეაჩერა. რატომღაც ლიზელს შეხედა, რომელსაც მაგიდაზე სამი წიგნი ედო და მათი საუბრის განმავლობაში ჩუმად კითხულობდა ერთ-ერთს.

— ეს გოგო კიდევ რა ნაგავს კითხულობს? *Mein Kampf*-ი[21] წააკითხეთ.

ლიზელმა ახედა.

— არ იდარდო, ლიზელ, — უთხრა მამამ, — უბრალოდ, გააგრძელე კითხვა, არც კი იცის, რას ამბობს.

მაგრამ ჰანს-უმცროსს საუბარი არ დაუსრულებია, მამას მიუახლოვდა და უთხრა:

— ან ფიურერის მხარეს უნდა დადგე, ან მისი მოწინააღმდეგე იყო. ვხედავ, რომ მოწინააღმდეგე ხარ. დიდი ხანია, ასეა. — ლიზელი სახეში შესცქეროდა ჰანს-უმცროსს, თვალს არ აშორებდა მის თხელ ტუჩებსა და კბილების ქვედა, უსწორმასწორო რიგს. — რა პათეტიკურია. როგორ შეიძლება, ადამიანი არაფერს აკეთებდეს, როცა მთელი ერი ნაგვისაგან ათავისუფლებს ქვეყანას და დიდებული მომავლისკენ მიემართება.

ტრუდი და დედა ჩუმად ისხდნენ, შეშინებულები. ლიზელიც. ოთახში ბარდის წვნიანის, დამწვრისა და დაპირისპირების სუნი ტრიალებდა.

ყველა მომდევნო სიტყვებს ელოდა.

ეს სიტყვები ვაჟმა წარმოთქვა.

— შე მხდალო! — მერე მამას ზურგი აქცია და სამზარეულოდან ქუჩაში გავარდა.

ჰანსიც მას მიჰყვა, ზღრუბლთან დადგა და მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, აზრი არ ჰქონდა, შვილს გასძახა:

---

[21] *„ჩემი ბრძოლა", ადლოფ ჰიტლერის ავტობიოგრაფიული ნაშრომი, რომელიც 1925-1926 წლებში გამოიცა.*

— მხდალი? მე ვარ მხდალი? — მერე კი ჭიშკარს მივარდა, დაედევნა და შეევედრა, დაბრუნდიო.

დედამ ფანჯარასთან მიირბინა, დროშა ჩამოგლიჯა და ფანჯარა გამოაღო.

როზა, ტრუდი და ლიზელი ერთად იდგნენ და უცქერდნენ, როგორ ცდილობდა მამა, შვილის მოხელთებას. ეხვეოდა და ემუდარებოდა, შეჩერდიო. ხმა არ ესმოდათ, მაგრამ ჰანს-უმცროსის ქცევა სიტყვებზე მეტს ამბობდა. მამა მიმავალ შვილს გაჰყურებდა და რაღაცას ეძახდა ქუჩის ბოლოდან.

— ჰანს! — დაიყვირა ბოლოს დედამ. ტრუდი და ლიზელი მის ხმაზე შეკრთნენ. – დაბრუნდი!

ბიჭი წავიდა.

დიახ. ბიჭი წავიდა. და მინდა, შემეძლოს, ბევრი კარგი რამ მოგითხროთ ახალგაზრდა ჰანს ჰუბერმანზე, მაგრამ არ გამომივა.

ჰიმელ-სტრიტიდან გაუჩინარების მერე, ფიურერის სახელით ის სხვა ისტორიის შუაგულში აღმოჩნდება, ყოველი ნაბიჯი ტრაგიკულად მიაახლოებს რუსეთთან.

სტალინგრადთან.

რამდენიმე ფაქტი სტალინგრადზე

1. 1942-დან 43 წლამდე იმ ქალაქში ყოველ დილით ცა ზეწარივით თეთრი იყო.

2. დღის მანძილზე, როცა სულებს ზეცამდე მივაცილებდი, „ზეწარი“ სისხლით იღებებოდა და იმდენად სავსე და გაბერილი იყო, ლამის მიწას ჩამოსწვდომოდა.

3. საღამოობით ისევ ათეთრებდნენ და წურავდნენ, შემდეგი განთიადისთვის ამზადებდნენ.

4. და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთ დღეს ბრძოლა არ დასრულდა.

ბიჭი რომ წავიდა, ჰანს ჰუბერმანი კიდევ რამდენიმე წუთს იდგა გარეთ. ქუჩა ძალიან გრძელი ჩანდა.

შინ რომ შევიდა, დედამ შეხედა, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს, არც შეგონებებს მოჰყოლია. ეს, როგორც იცით, უჩვეუ-

ლო ამბავი გახლდათ. ალბათ ჩათვალა, ჰანსი ისედაც შეურაცხყოფილია, ერთადერთმა ვაჟმა ხომ მხდალი უწოდაო.

მამა ჭამის შემდეგ ცოტა ხანს ჩუმად იჯდა მაგიდასთან. მართლა ჯაბანი იყო? ნუთუ შვილმა ტყუილად არ შეამკო ასე? რა თქმა უნდა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, თავს ლაჩრად არ მიიჩნევდა. იქნებ ლაჩრობა იმიტომ დასწამა, იმ ომს ცოცხალი რომ გადაურჩა? ნუთუ სიმხდალის ნიშანი იყო შიშის აღიარება? ან — სიცოცხლის სიხარული?

მაგიდა, რომელსაც დასცქეროდა, ჯვარედინად იჩხაპნებოდა მისი ფიქრებით.

— მამა, — დაუძახა ლიზელმა, მაგრამ ჰანსმა არც კი შეხედა, — ნეტავ რის თქმა უნდოდა? რას გულისხმობდა, როცა...

— არაფერია, — უპასუხა მამამ. ხმადაბლა და წყნარად ესაუბრებოდა მაგიდას, — არაფერია, დაივიწყე, ლიზელ. — სანამ გააგრძელებდა, წუთი გავიდა, - არ ემზადები? — მხოლოდ ახლა ახედა გოგონას, — კოცონის საყურებლად არ მიდიხარ?

— დიახ, მამა.

წიგნის ქურდი წავიდა და „ჰიტლერიუგენდელების" უნიფორმა ჩაიცვა. ნახევარ საათში მამა და ლიზელი უკვე იმ ორგანიზაციის შტაბბინისკენ მიემართებოდნენ. იქ ბავშვები ჯგუფებად უნდა დაეყოთ და ქალაქის მთავარ მოედანზე გაეყვანათ.

სიტყვები წარმოითქმებოდა.

კოცონი დაინთებოდა.

წიგნს მოიპარავდნენ.

100% წმინდა გერმანული ოფლი

სანამ გერმანიის ახალგაზრდობა ქალაქის საბჭოს წინ მდებარე მოედნისკენ მწყობრად მიაბიჯებდა, ხალხი ქუჩებში გამოეფინა. ეს იმ იშვიათ შემთხვევათაგანი იყო, როცა ლიზელს დაკარგული დედა და სხვა პრობლემები ცოტა ხნით გადააავიწყდა. ხალხი ტაშს რომ უკრავდა, გული სიამაყით აევსო. ბავშვებმა მშობლებს ხელი წამიერად დაუქნიეს და სვლა განაგრძეს — აკი მკაცრად მიუთითეს შტაბში, წინ იყურეთ და ბრბოსკენ ხელების ქნევა არ დაიწყოთო.

როცა რუდის ჯგუფიც მიუახლოვდა მოედანს და მათ შეჩერება უბრძანეს, უსიამოვნება მოხდა.

ტომი მიულერი.

რაზმის ერთმა ნაწილმა მწყობრი სვლა რომ შეწყვიტა, ტომი მის წინ მდგომ ბიჭს შეასკდა.

— Dummkopf![22] — დაიყვირა ბიჭმა და სანამ შებრუნდებოდა, ძირს დააფურთხა.

— მაპატიე, — თქვა ტომიმ და ხელი გაუწოდა, მთელი სახე უთამაშებდა, — ვერ გავიგონე.

წამიერი გაუგებრობა მომავალი უბედურების შესავალი იყო. ტომისთვის. რუდისთვისაც.

მარშირების ბოლოს „ჰიტლერიუგენდელების“ რაზმებს დაშლის ნება მისცეს, სხვანაირად ბავშვების ერთ ადგილზე გაჩერება შეუძლებელი იყო, რადგან ცეცხლის ალები უკვე მათ თვალებში ირეკლებოდა. ბავშვებმა ერთხმად დაიყვირეს Heil Hitler და სახეტიალოდ წავიდ-წამოვიდნენ. ლიზელი რუ-

[22] *გერმ. იდიოტო!*

დის ეძებდა, მაგრამ ერთნაირ უნიფორმებში გამოწყობილი ბავშვები უწესრიგოდ რომ მიმოიფანტნენ, მისი პოვნა ძალიან გაუჭირდა. ხუთის ნახევრისთვის შედარებით აგრილდა.

ხალხი ხუმრობდა, გათბობა გვჭირდებაო, „კიდევ კარგი, ეს ნაგავი რალაცისთვის მაინც გამოგვადა", — ამბობდნენ ისინი.

დასაწვავ ნივთებს ურიკებით ეზიდებოდნენ, ქალაქის მოედნის შუაგულში აგროვებდნენ და ზემოდან მოტკბო სითხეს ასხამდნენ. წიგნები, ქაღალდები და სხვა ნივთები გროვიდან ცვიოდა, მაგრამ უკან აბრუნებდნენ. შორიდან გროვა ვულკანს ჰგავდა, ან რაღაც გროტესკულ, უცხო სანახაობას, რომელიც, საოცარი შემთხვევითობის წყალობით, ქალაქის შუაგულში გამართულიყო. ეს სანახაობა აუცილებლად უნდა დასრულებულიყო, რაც შეიძლებოდა სწრაფად.

გროვიდან წამოსული სუნი ხალხს მისწვდა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი მოშორებით იდგა. ათას კაცამდე იყო — ქუჩიდან, საბჭოს შენობის კიბეებიდან თუ მოედნის გარშემო მდებარე სახლების სახურავებიდან აკვირდებოდნენ სანახაობას.

ლიზელმა გზის გაკვლევა რომ დააპირა, ტკაცანი მოესმა და იფიქრა, ცეცხლი უკვე გააჩაღესო. არადა, სინამდვილეში იმ ხმას ადამიანები გამოსცემდნენ, ისინი ჩოჩქოლებდნენ და ემზადებოდნენ.

უჩემოდ დაიწყეს!

ლიზელმა იგრძნო, დანაშაულის მომსწრე ხდებოდა. თავად სამი წიგნის პატრონი იყო და ის წიგნები მისთვის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენდა, მაგრამ დაუძლეველი სურვილი ჰქონდა, ენახა, როგორ გაჩაღდებოდა კოცონი. სურვილს ვერაფრით გაუმკლავდა. როგორც მივხვდი, ადამიანებს იზიდავს განადგურების სურათები. ქვიშის სასახლეები, ბანქოს სახლები — აი, რისგან ინყებენ. მოვლენების ესკალაციის უდიდესი ნიჭი აქვთ.

მთავარი ამბის გამოტოვების შიში მაშინ გაუნელდა, როცა ადამიანებს შორის ჭუჭრუტანა იპოვა — დანაშაულის გროვა ჯერ ისევ ხელუხლებელი იყო. ერთად შეგროვილ აკრძალულ ლიტერატურას ადამიანები წიხლებით თელავდნენ, რაღაცას

ასხამდნენ და აფურთხებდნენ კიდეც. გროვა ყველასგან მიტოვებულ ბავშვს აგონებდა, უიღბლოს, გაუბედურებულს, უმწეოს და განწირულს. არავის მოსწონს. თავი დახრილი. ხელები ჯიბეებში. სამუდამოდ. ამინ!

წიგნების ნაგლეჯები და ნაფლეთები გროვიდან ისევ ცვიოდა. ლიზელმა რუდის დაუწყო ძებნა. სად იყო ის ღორიშვილი?

ზემოთ აიხედა, ცა ძირს ჩამოსულიყო.

რამდენჯერაც სცადა, მასზე დაბალი ბავშვის თავზემოთ გაეხედა და რაიმე დაენახა, იმდენჯერ მთელ ხედს ნაცისტური დროშები და უნიფორმები ფარავდა. მცდელობას აზრი არ ჰქონდა. ბრბო ხომ, საერთოდ, ასეთია. ვერ დაძრავ, ვერ დაუძვრები, მისი სუნთქვით უნდა ისუნთქო, სიმღერებს აჰყვე და კოცონს დაელოდო.

შემაღლებულ ადგილას მდგარმა კაცმა სიჩუმე მოითხოვა. ყავისფერი, პრიალა უნიფორმა ეცვა, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა უთოს კვალი. ხალხი დადუმდა.

პირველი სიტყვები: Heil Hitler!

პირველი ქმედება: სალამი ფიურერს.

— მშვენიერი დღეა, — განაგრძო კაცმა, — ეს ბელადის დაბადების დღე არ არის მხოლოდ, ჩვენ კიდევ ერთხელ შევმუსრეთ მტერი. არ მივეცით საშუალება ჩვენი ტვინები მოეწამლა.

ლიზელი ისევ ცდილობდა, გზა გაეკვლია.

— ჩვენ დავამარცხეთ დაავადება, რომელიც ბოლო ოცი წელიწადია, თუ მეტი არა, ვრცელდება მთელ გერმანიაში! — და გადავიდა *Schreierei*-ზე — სრულყოფილ მგზნებარე შეძახილებზე: მოუწოდებდა ბრბოს სიფრთხილისკენ, სიფხიზლისკენ, რათა შესძლებოდათ მზაკვარი მტრის აღმოჩენა და მისგან დიადი სამშობლოს დაცვა. — ზნედაცემულები! კომუნისტები! — ისევ ეს სიტყვა. ძველი სიტყვა. ბნელი ოთახები. კოსტიუმებში გამოწყობილი კაცები. — *Die Juden!* ებრაელები!

შუა ნაწილში ლიზელმა ფარ-ხმალი დაყარა. „კომუნისტმა“ მოსტაცა ფიქრი, აღარ ესმოდა ორატორის სიტყვები, რომლებიც თითქოს გვერდს უვლიდა მას და გარშემომყოფთა გერმა-

ნულ ფეხებს შორის იკარგებოდა. სიტყვების ნიაღვარი. გოგონა — ნიაღვარში. ისევ დაფიქრება იმ სიტყვაზე — *Kommunisten*.

აქამდე BDM-ში ეუბნებოდნენ, გერმანელები უმაღლესი რასის წარმომადგენლები ვართო, მაგრამ პირდაპირ არავინ უხსენებიათ. რა თქმა უნდა, გოგონებმა ებრაელების შესახებაც იცოდნენ, ესმოდათ, რომ სწორედ ისინი ელობებოდნენ წინ გერმანულ იდეალებს. კომუნისტებზე იმ დღემდე არაფერი თქმულა, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა, იმ პოლიტიკური მრწამსის მიმდევრებს სასჯელი არ ასცდებოდათ.

ბრბოსგან თავი უნდა დაეღწია.

მის წინ გაუნძრევლად იდგა გოგონა, რომელსაც თმა შუაზე გადაეყო და ორი ნაწნავი ჩამოეშვა. უცქერდა გოგონას და დახეტიალებდა წარსულის ბნელ ოთახებში, სადაც დედამისი ერთი სიტყვით პასუხობდა შეკითხვებს.

ცხადად დაინახა ყველაფერი:

მოშიმშილე დედა, დაკარგული მამა, Kommunisten.

გარდაცვლილი ძმა.

- ახლა კი ამ ნაგავს, ამ საწამლავს გამოვეთხოვოთ, — და სწორედ იმ დროს, თავბრუდახვეულმა ლიზელ მემინგერმა ზიზღით რომ მიატრიალა თავი და ბრბოსგან გაცლა დააპირა, ქმნილება ყავისფერ ფორმაში შემაღლებული ადგილიდან დაეშვა, ხელქვეითს ჩირაღდანი გამოართვა და იმ უზარმაზარ გროვას, რომლის ფონზეც თავად ჯუჯას ჰგავდა, ცეცხლი ნაუკიდა, თან მთელ ხმაზე დაიყვირა: „Heil Hitler!"

აუდიტორიაც აჰყვა: „Heil Hitler!"

მამაკაცების ჯგუფი შემაღლებული ადგილიდან ჩამოვიდა, გროვას გარს შემოერტყა და გახელებული შეძახილების ფონზე უარესად შეუნთო კოცონს. ხმებმა გოგოს მიღმა გაიკვლია გზა და წმინდა გერმანული ოფლის სუნმა, თავიდან ოდნავ რომ იგრძნობოდა ჰაერში, ირგვლივ ყველაფერი მოიცვა და გაჟღინთა. სიტყვები. ოფლი. და ღიმილი. ღიმილი არ დაგვავიწყდეს.

ამას სახუმარო კომენტარები და „ჰაილ ჰიტლერის" ახალი ტალღა მოჰყვა. დღემდე მაინტერესებს, ვინმემ თვალი, ხელი ან მაჯა ხომ არ დაიზიანა იმ ჭყლეტაში --- რა უნდოდა

ამას, შეცდომით სხვა მხარეს გახედვა, ცუდად შეტრიალება ან მეტისმეტად ახლოს დგომა სხვა ადამიანთან. ვინმე მაინც დაშავდებოდა. პირადად მე შემიძლია გითხრათ, რომ არავინ მომკვდარა, ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად მაინც. მას მერე, რაც მთელი ეს აურზაური დასრულდა, ორმოცი მილიონი სული მაინც ჩავიბარე, მეტაფორულად ვამბობ. მოდით, კოცონს დავუბრუნდები.

ნარინჯისფერი ალი ხელებს უქნევდა ბრბოს და ქაღალდსა და ნაბეჭდ სტრიქონებს ნთქავდა, სიტყვებს გლეჯდა წინადადებებიდან. დამაბრმავებელი, მოგიზგიზე ალის მიღმა, მეორე მხარეს, ყავისფერმუნდირიანებმა და სვასტიკიანებმა ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს. ხალხის დანახვა შეუძლებელი გახდა, უნიფორმებსა და სიმბოლოებს თუ გამოარჩევდი.

კოცონის თავზე ჩიტები ტრიალებდნენ. კამარას კრავდნენ. ალი მანამ იზიდავდა მათ, სანამ მეტისმეტად არ მიუახლოვდებოდნენ. იქნებ ჩიტები კი არა, ადამიანები იყვნენ? რა თქმა უნდა, სიცხეს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

როცა გაქცევა სცადა, ვილაცის ხმა მისწვდა:

— ლიზელ!

როგორც კი ხმა გაიგონა, იცნო. ეს ნამდვილად არ იყო რუდი, თუმცა, ეცნობოდა. მიტრიალდა და გაჰყვა ხმას, მის პატრონამდე რომ მისულიყო.

ო, არა, ლუდვიგ შმაიკლი.

ლუდვიგისგან გესლიან დაცინვას, ხუმრობას ან საუბრის გაბმას ელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, ბიჭმა გოგონა თავისკენ მოქაჩა და დაზიანებული კოჭი აჩვენა, სისხლი სდიოდა, ჭრილობა საშინელი ჩანდა. ქერათმიან ლუდვიგს უმწეო გამოხედვა ჰქონდა. ცხოველური. არა, სინათლისგან შეშინებულ ირემს არ ჰგავდა, არაფერი მსგავსი და ტიპური. იმ ცხოველს მოგაგონებდათ, თავისიანებმა რომ დაკბინეს და მალე გადათელავდნენ კიდეც.

გოგონა როგორლაც დაეხმარა ბიჭს და სუფთა ჰაერზე გაიყვანა.

ორივენი ეკლესიის კიბეზე ჩამოსხდნენ. დაისვენეს და გამოცოცხლდნენ.

შმაიკლმა ხმაურით ამოუშვა ჰაერი ფილტვებიდან, სტვენით გამოატარა ხორხში და დალაპარაკება მოახერხა.

მჯდომარემ ხელი დააფარა ჭრილობას და ლიზელ მემინგერს სახეში შეხედა.

— გმადლობ, — წარმოთქვა უფრო თვალებით, ვიდრე ბაგეებით. ისევ ამოისუნთქა, — და... — ორივეს ის წარმოუდგა თვალწინ, როგორ დასცინოდნენ და სცემდნენ ერთმანეთს სკოლის ეზოში, — მაპატიე... ხომ იცი, რა... — ლიზელმა ისევ ის სიტყვა გაიგონა.

Kommunisten.

მიუხედავად ამისა, ისევ ლუდვიგ შმაიკლზე გადაიტანა ყურადღება:

— მეც მაპატიე.

ახლა ორივე მხოლოდ სუნთქავდა, აღარაფერი უთქვამთ. მათი ამბავი დასრულდა. ლუდვიგ შმაიკლს კოჭიდან ისევ სდიოდა სისხლი.

გოგონას ერთი სიტყვა უტრიალებდა თავში.

ბავშვებისგან მარცხნივ, ხალხი კოცონის ალსა და ცეცხლმოკიდებულ წიგნებს, როგორც გმირებს, შეძახილით ესალმებოდა.

ქურდობის კარიბჭე

გოგონა კიბეზე დარჩა, მამას ელოდა და თან წიგნების დანახშირებულ გვერდებსა და მოფარფატე ფერფლს უცქერდა. დანაღვლიანდა. ნარინჯისფერ-წითელი ღადარი გადაყრილ, ჯოხიან კანფეტებს ჰგავდა. ბრბო დაიშალა, გოგონამ დაინახა, როგორ წავიდნენ (ძალიან კმაყოფილი) ფრაუ დილერი და პფიფიკუსი (თეთრი თმა, ნაცისტური უნიფორმა, დაგლეჯილი ფეხსაცმელი და საზეიმო სტვენა). ქუჩას დაგვიდნენ და მალე ველარავინ მიხვდებოდა, რა დატრიალდა.

თუმცა, თქვენ დამწვრის სუნს იგრძნობდით.

— რას აკეთებ?

ჰანს ჰუბერმანი ეკლესიის კიბეს მიუახლოვდა.

— გამარჯობა, მამა.

— ქალაქის რატუშასთან უნდა დამხვედროდი.

— მაპატიე, მამა.

ჰანსი გოგონას მიუჯდა, ორად მოიკეცა და თმაზე მოჰკიდა ხელი, ურჩი კულული ნაზად გადაუწია ყურზე.

— ლიზელ, რა მოხდა?

ცოტა ხანს ლიზელს ხმა არ ამოუღია.

მართალია, უკვე ყველაფერი იცოდა, მაგრამ რაღაცის გამოთვლას ცდილობდა მაინც.

მცირედი გამოთვლა

სიტყვა „კომუნისტს“ + დიდი კოცონი + მკვდარი წერილების შეკვრა + დედის ტანჯვა + ძმის სიკვდილი = ფიურერს

ფიურერი.

აი, ვინ იყო ის, ვისზეც ჰანს და როზა ჰუბერმანები საუბრობდნენ იმ საღამოს, პირველად რომ მისწერა წერილი დედას. გოგონა ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მაინც უნდა ეკითხა.

— დედაჩემი კომუნისტია? — წინ, სივრცეში მზერა. — სანამ აქ ჩამოვიდოდი, დაკითხვაზე მიჰყავდათ ხოლმე.

ჰანსი წინ წამოიწია და ტყუილის სათქმელად მოემზადა.

— აზრზე არ ვარ, მე ხომ ის არასოდეს მინახავს.

— ფიურერმა წაიყვანა?

ამ შეკითხვამ ორივე განაცვიფრა, მამობილი ფეხზეც კი წამოდგა და ყავისფერპერანგიან კაცებს შეხედა, რომლებიც ფერფლს ნიჩბებით აგროვებდნენ, ნიჩბების მინაზე ხახუნის ხმაც კი ესმოდა. პირზე კიდევ ერთი ტყუილი ეკერა, მაგრამ ვერაფრით იტყოდა. ამის ნაცვლად უპასუხა:

— ჰო, ალბათ.

— ასეც ვიცოდი, — გოგონამ კიბიდან მოისროლა სიტყვები და ბრაზის ისეთი შემოტევა იგრძნო, რომ მუცელი აეწვა.

— მეზიზღება ფიურერი, — თქვა გოგონამ, — მეზიზღება.

და ჰანს ჰუბერმანმა რა ქნა? ან რა თქვა?

დაიხარა, ძალიან მოუნდა, გერი გულში ჩაეკრა.

და ასეც მოიქცა?

იქნებ უთხრა, როგორ წუხდა მისი დედისა და ძმის გამო?

სრულებით არა.

ჰანსმა თვალები დახუჭა, მერე ისევ გაახილა და ლიზელ მემინგერს სილა გააწნა.

— მეორედ არ გაიმეორო! — მშვიდი ხმა ჰქონდა, მაგრამ მკაცრი.

სანამ კიბეზე დამხობილი გოგონა ცახცახებდა, ჰანსი გვერდით მიუჯდა და სახე ხელებში ჩამალა. ადვილი იქნებო-

და ჰანსზე მეთქვა, მხოლოდ და მხოლოდ წელში მოხრილი და კიბეზე ჩამომჯდარი მაღალი კაცია-მეთქი, მაგრამ ასე არ იყო. იმ დროს ლიზელს წარმოდგენაც არ ჰქონდა, მისი მამობილი, ჰანს ჰუბერმანი, გერმანელი მოქალაქისთვის ყველაზე საშიში დილემის წინაშე რომ აღმოჩნდა. მეტიც, ამ დილემაზე უკვე მთელი წელი ფიქრობდა.

— მამა!

ხმასთან ერთად გამოსროლილი გაოცებით სავსე იყო პირამდე, გაოცებას ვერაფრით გაუმკლავდა. უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ არ შეეძლო. მამამ სახიდან ხელები ჩამოიღო და დალაპარაკება გადაწყვიტა.

— ასეთი რამ შეგიძლია, სახლში თქვა, — სერიოზული სახით შეხედა ლიზელს ლოყებზე, — მაგრამ არასოდეს წამოგცდეს ქუჩაში, სკოლაში და BDM-ში, არასოდეს! — ჰანსი წამოდგა, გოგონას მკლავებზე მოჰკიდა ხელი, წამოაყენა და შეანჯღრია. -— გესმის ჩემი?

ლიზელმა ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ამბავი მომავალი ლექციის შესავალი იყო. ჰანს ჰუბერმანის ყველაზე დიდი შიში, წლის ბოლოს, ნოემბრის ერთ ადრიან დილას, ჰიმელ-სტრიტზე ახდება.

— კარგი, — ჰანსმა ხელი გაუშვა გოგოს, — ახლა კი, მოდი, ვცადოთ. — კიბის ბოლოში დადგა, მკლავი ორმოცდახუთ გრადუსზე აღმართა, „ჰაილ ჰიტლერ".

ლიზელიც წამოდგა და იგივე გაიმეორა, თუმცა, მეტისმეტად საცოდავად, „ჰაილ ჰიტლერ".

მშვენიერი სანახაობა იყო: თერთმეტი წლის გოგონა, რომელიც ცდილობდა, მორეოდა ცრემლს, ეკლესიის კიბესთან ფიურერს ესალმებოდა, მამის ზურგს უკან ბნელ ფიგურებს ხმები ლეწავდა და ჩეხდა.

— ისევ მეგობრები ვართ?

დაახლოებით საათის მეოთხედი იქნებოდა გასული, მამას უკვე ზეთისხილის რტო ედო ხელისგულზე — გასახვევი ქაღალდი და სულ ახალი თუთუნი. ლიზელს სიტყვაც არ უთქვამს, მოლუშულმა გამოართვა ისინი და შეხვევას შეუდგა.

ჩუმად ისხდნენ.

მამობილს კვამლის რგოლები ამოსდიოდა მხრიდან.

ათიოდ წუთში ქურდობის კარიბჭე ხმაურით შეიხსნება. ლიზელ მემინგერი ფართოდ გააღებს მას და შეაბიჯებს.

ორი შეკითხვა

ნუთუ, ჭიშკარი ჩაიკეტება?
ნუთუ ინებებს, გოგო უკან გამოუშვას?

მოგვიანებით, ლიზელი აღმოაჩენს, რომ კარგ ქურდს ბევრი რამ მოეთხოვება. შეუმჩნევლობა. ნერვები. სისწრაფე.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ბოლო მოთხოვნაა.

ილბალი.

დაივიწყეთ ათი წუთი.

ჭიშკარი უკვე ღიაა.

ცეცხლის წიგნი

სიბნელე ნაწილ-ნაწილ ჩამოწვა და თუთუნის შეხვევა რომ დაასრულეს, ლიზელი და ჰანს ჰუბერმანი შინისკენ გაუდგნენ გზას. მოედანს რომ მოშორებოდნენ, კოცონთან უნდა ჩაევლოთ, მერე კი შემოვლითი გზით მივიდოდნენ მიუნხენის ქუჩამდე. თუმცა, იქამდე ვერ მიაღწიეს.

საშუალო ასაკის ხურომ, სახელად, ვოლფგანგ ედელმა უხმო.

ის შემაღლებული საფეხურები, რომლებზეც კოცონის დროს ნაცისტი ბობოლები იდგნენ, მისი აგებული იყო და ახლა უნდა დაეშალა.

— ჰანს ჰუბერმანი? — ედელს გრძელი ბაკენბარდები პირამდე ჩასდევდა და ამშვენებდა. სევდიანი ხმა ჰქონდა, — ჰანს!

— ჰეი, ვოლფგანგ! — გასძახა ჰანსმა. ამას ლიზელის გაცნობა და „ჰაილ ჰიტლერ“ მოჰყვა.

„გამარჯობა ლიზელ“.

მომდევნო რამდენიმე წუთი ლიზელი ხუთი მეტრის რადიუსში იდგა, სანამ მამაკაცები საუბრობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ ესმოდა მათი ხმა, დიდ ყურადღებას არ აქცევდა.

— ბევრი სამუშაო გაქვს?

— არა, პირიქით, საქმე ცუდად მიმდის. ხომ იცი, რა სიტუაციაა, თანაც პარტიის წევრი არ ვარ.

— ხომ მითხარი, პარტიაში შევდივარო, ჰანს.

— ვცადე, მაგრამ შეცდომა დავუშვი, ვფიქრობ, ჩემს საკითხს ჯერ კიდევ განიხილავენ.

ლიზელი ფერფლის გორისკენ გაემართა. გორა მაგნიტივით იყო. გონჯივით. ვერ შეძლებდი, ყვითელი ვარსკვლავების ქუჩისა არ იყოს, მისკენ არ გაგეხედა.

ჯერ მისკენ გახედვის სურვილი ვერ დასძლია, მერე კი თვალი ველარ მოაშორა ჩაფერფლილ კოცონს. იდგა და უკვე სიფრთხილეც აღარ ახსოვდა. გორამ მიიზიდა და აფიქრებინა, გარს შემოვუვლიო.

ცა ლიზელის თავზე, ჩვეულებრივ, მიდამოს აბნელებდა, შორს კი, გორაკის მიღმა, სინათლის პატარა სვეტი მოჩანდა.

— Pass auf, Kind, — უთხრა გოგონას ერთმა უნიფორმიანმა, მინიდან ბარით აიღო ფერფლი და ურიკაზე დაყარა. — ფრთხილად, ბავშვო.

ქალაქის საბჭოს შენობასთან ახლოს, განათებულ ადგილას, ჩრდილები იდგნენ და საუბრობდნენ, ალბათ წარმატებით ჩავლილ კოცონს ზეიმობდნენ. ლიზელამდე ხმა მხოლოდ ბგერებად აღწევდა. სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო.

რამდენიმე წუთი გოგონა იმ მამაკაცებს უცქერდა, გროვას რომ ებრძოდნენ ბარით, გვერდებიდან იღებდნენ, ზემოდან მეტი ფერფლი რომ ჩამოყრილიყო. სატვირთოსკენ გარბოდნენ და ბრუნდებოდნენ. სამჯერ მირბენის და მობრუნების მერე გორა დადაბლდა და ფერფლიდან გადარჩენილი ნივთები გამოჩნდა.

ნივთები

ნითელი დროშის ნახევარი, ებრაელი პოეტის ორი
სარეკლამო აფიშა,
სამი წიგნი და
ხის სიმბოლო, რომელზეც
ებრაულად რაღაც ეწერა.

ალბათ ეს ნივთები ნესტიანი იყო ან ცეცხლი საკმარისად დიდხანს არ ენთო და შუაგულამდე ვერ ჩააღწია. რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, ეს ნივთები ფერფლში თრთოდნენ გადარჩენილები.

— სამი წიგნი. — ლიზელმა ჩუმად ჩაილაპარაკა და მამაკაცების ზურგებს გახედა.

— გაინძერით, — თქვა ერთმა, — დაუჩქარეთ, დროზე მოვრჩეთ, შიმშილით ვკვდები.

მამაკაცები სატვირთოსკენ წავიდნენ.

სამმა წიგნმა თავები გამოყო.

ლიზელი მათკენ გაემართა.

კოცონი ჩამქრალიყო, მაგრამ მაინც ისე ცხელოდა, რომ ფერფლის გორასთან მდგარი გოგონა გათბა. ახლოს რომ მივიდა, ხელები დაეწვა კიდეც, მაგრამ მეორედ შეეცადა, რაც შეიძლება სწრაფად ემოქმედა. ხელი სტაცა ყველაზე ახლოს დაგდებულ წიგნს.

წიგნი ცისფერი იყო, კიდეებშემომწვარი, თუმცა, სხვა არაფერი დაზიანებოდა, მისი ყდა თითქოს ასობით მჭიდროდ ჩაწნული ძაფით იყო ნაქსოვი. ქსოვილში კი წითელი ასწვერიანი ჩაემაგრებინათ. ერთადერთი სიტყვა, რომლის წაკითხვის დროც ლიზელს ჰქონდა, „მხრების“ იყო. დანარჩენისთვის ვერ მოიცალა. პრობლემა გაჩნდა. კვამლი.

წიგნი გულში რომ ჩაიხუტა და გაიქცა, ყდას კვამლი ასდიოდა. თავი დახრილი. ნერვების ავადმყოფური სილამაზე ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. თოთხმეტი ნაბიჯი მაინც გადადგა, სანამ ხმას გაიგონებდა.

ხმა უკნიდან შემოესმა.

— ჰეი!

ლიზელი ლამის უკან გაიქცა და წიგნი ფერფლში ჩააგდო, თუმცა, ამას ვერაფრით შეძლებდა. ერთადერთი, რაც მოახერხა — ძახილზე მიტრიალდა.

— აქ რამდენიმე ნივთია, რომელიც არ დამწვარა, — ერთ-ერთი იყო იმ მამაკაცთაგან, გროვას რომ ასუფთავებდნენ. გოგოს კი არა, ქალაქის საბჭოს შენობასთან მდგარ ხალხს უყურებდა.

— ხელახლა დავწვათ! — გაისმა პასუხად, — თვალი არ მოვაშოროთ, სანამ არ ჩაიფერფლება!

— მგონი, ეს ნივთები სველია!

— იესო, მარიამ და იოსებ! რა ვქნა, მე თვითონ დავწვა? — ნაბიჯების ხმა გაისმა, მერი იყო, ნაცისტური უნიფორმა ეცვა.

გოგონა, რომელიც მის ახლოს, გაუნძრევლად იდგა, არც კი შეუმჩნევია.

ფანტაზია

**ეზოში წიგნის ქურდის ქანდაკება დგას.
ხომ არ ფიქრობთ, რომ ქანდაკების დადგმა,
სანამ ადამიანი ცნობილი გახდება,
იშვიათი ამბავია?**

ამოისუნთქა.

სცადა, შიში არ შეემჩნია!

წიგნი ცოტა გაგრილდა და ის უნიფორმის შიგნით ჩააცურა.

თავიდან ესიამოვნა კიდეც, გათბა, მაგრამ როგორც კი ადგილიდან დაიძრა, მეტისმეტი სიმხურვალე იგრძნო.

იმ დროისთვის უკვე მამასთან და ვოლფგანგ ედელთან იყო მისული, წიგნი წვავდა, როგორც ჩანს, ნელ-ნელა იფერფლებოდა.

მამაკაცებმა გოგონასკენ მიიხედეს.

გაულიმა.

როგორც კი ტუჩებიდან ღიმილი მოსწყდა, კიდევ რაღაც იგრძნო. უფრო სწორად — ვილაც. არა, არ მოსჩვენებია, უთვალთვალებდნენ. ვილაც აედევნა, აშკარად. როცა გაბედა და ქალაქის საბჭოს შენობისკენ გაიხედა, ადამიანების ჯგუფისგან განცალკევებით, რამდენიმე მეტრში, ვილაც დაინახა. ორ რამეს მიხვდა:

რამდენიმე ფრაგმენტი შემეცნებისთვის

**1. ჩრდილის იდენტიფიკაცია.
2. ფაქტი, რომ მან ყველაფერი დაინახა.**

ჩრდილს ხელები ქურქის ჯიბეებში ჩაეწყო.

გაფუებული თმა.

სახე რომ ჰქონოდა, მასზე წყენა იქნებოდა ასახული.

— Gott verdammt, — თქვა ლიზელმა ისე ხმადაბლა, მხოლოდ თვითონ რომ გაეგონა, — დასწყევლოს ღმერთმა!

— მზად ვართ?

გასაოცარი საფრთხის გაცნობიერებამდე, რამდენიმე წამით ადრე, მამა ვოლფგანგ ედელს დაემშვიდობა და ლიზელის სახლამდე მისაცილებლად გაემზადა.

— მზად ვარ, — უპასუხა გოგონამ.

მამამ და ლიზელმა დანაშაულის ადგილი დატოვეს, წიგნი მშვენივრად გრძნობდა თავს და ახლა ნამდვილად წვავდა გოგონას. „მხრების აჩეჩა" აღებეჭდა ნეკნებზე. ქალაქის საბჭოს შენობის წინ საეჭვო ფიგურას რომ ჩაუარა, წიგნის ქურდი აცახცახდა.

— მოხდა რამე? — იკითხა მამამ.

— არაფერი.

თუმცა, მოხდა და არაერთი: ლიზელს საყელოდან კვამლი ამოსდიოდა, ოფლი ყელსაბამივით ეკიდა ყელზე, პერანგის შიგნიდან წიგნი სჭამდა.

ნაწილი მესამე

„ჩემი ბრძოლა!“

მონაწილეობენ:

გზა შინისაკენ — განადგურებული ქალი — მებრძოლი — ოინბაზი — ზაფხულის ნიშნები — არიელი მედუქნე — მხვრინავი — ორი თაღლითი — და შაქარლამასავით შურისძიება.

გზა შინისაკენ

„ჩემი ბრძოლა“.

წიგნი, რომელიც თვით ფიურერმა შექმნა.

იმ დროისთვის ეს იყო მესამე მნიშვნელოვანი წიგნი ლიზელ მემინგერისთვის, თუმცა, „ჩემი ბრძოლა“ არ მოუპარავს. წიგნი ჰიმელ-სტრიტის 33 ნომერში ლიზელის ღამეული ზმანებიდან გამორკვევის შემდეგ, დაახლოებით ერთ საათში გაჩნდა, იმ დროისთვის გოგონას ისევ ჩასძინებოდა.

ვინმე ალბათ იფიქრებს, სასწაულია, ეს წიგნი რომ ჰქონდა ლიზელსო.

„ჩემი ბრძოლა“ შინისაკენ გზას იმ ღამით დაადგა, კოცონი რომ დაანთეს.

ჰიმელ-სტრიტამდე უკვე ნახევარი გზა რჩებოდათ, ლიზელმა რომ იგრძნო, მეტს ველარ გაუძლებდა. მოიხარა, უბიდან აკვამლებული ნაქურდალი ამოიღო და დაბნეულმა ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა გასაგრილებლად. როცა შეგრილდა, მამა და გოგო ცოტა ხანს ერთმანეთს უცქერდნენ და ელოდნენ, რომელი დაილაპარაკებდა პირველი.

მამა:

— ეს რა ჯანდაბაა? — ჰანსი გოგოსთან მივიდა და „მხრების აჩეჩა“ გამოჰგლიჯა ხელიდან, ახსნა-განმარტება არ მოუთხოვია, ცხადი იყო, რომ გოგონამ კოცონს მოჰპარა. ის ხომ ჯერ კიდევ ცხელი და ნოტიო, ლურჯი და წითელი იყო — დარცხვენილი — და ჰანს ჰუბერმანმა გადაშალა. ოცდამეთვრამეტე და ოცდამეცხრამეტე გვერდები.

— კიდევ ერთი?

ლიზელმა ნეკნებთან მოიქავა.

დიახ.

კიდევ ერთი.

— როგორც ჩანს, — უთხრა მამამ, — აღარ მჭირდება სიგარეტის გაყიდვა, არა? რადგან სანამ გიყიდი, შეგიძლია მოიპარო.

ლიზელი ჰანსისგან განსხვავებით, დუმდა, იქნებ პირველად მიხვდა, რომ მის მაგივრად ახლა თავად დანაშაული ამბობდა სათქმელს? უდავოდ ასე იყო. მამა სათაურს ჩაუკვირდა, ალბათ დაინტერესდა, რა საფრთხეს წარმოადგენდა ეს წიგნი გერმანელი ხალხის გულისა და გონებისთვის, შემდეგ უკან გაუწოდა გოგონას. რაღაც მოხდა.

— იესო, მარიამ და იოსებ! — თითოეული სიტყვა ერთიმეორეზე მიყოლებით კუთხეებიდან გამოცრა.

დამნაშავეს მეტის ატანა აღარ შეეშლო.

— რაო, მამა? რა მოხდა?

— რა თქმა უნდა.

ჰანს ჰუბერმანი, განცვიფრებული ადამიანების მსგავსად, გაშეშებული იდგა. უნდოდა, მომდევნო სიტყვა წამოეძახა ან სულაც ენაზე კბილი დაეჭირა. მიუხედავად ამისა, მაინც წარმოთქვა რაღაც, ოღონდ ერთი წუთის მერე.

— რა თქმა უნდა.

ამჯერად მაგიდაზე დახეთქებული მუშტივით ძლიერი ხმა ჰქონდა, იდგა კაცი და რაღაცას ხედავდა, ისე სწრაფად აყოლებდა თვალს, თითქოს შორს ვიღაცას უთვალთვალებდა. ლიზელი ვერ ხედავდა, ვის, ამიტომ შეემუდარა:

— კარგი, რა, მამა, რა ხდება? — ანერვიულდა, ნუთუ მამა დედას ეტყოდა წიგნის შესახებ? ადამიანებს ახასიათებთ ასეთი ფიქრები. — დედას უნდა უთხრა?

— რაო?

— ნუთუ ვერ ხვდები, რას გეკითხები, დედას უნდა უთხრა ყველაფერი?

მაღალი ჰანს ჰუბერმანი ისევ იდგა და შორს იცქირებოდა:

— რაზე?

გოგონამ წიგნი აიღო:

— ამაზე, — და ისე აღმართა ზემოთ, თითქოს იარაღი იყო.

მამა განცვიფრდა:

— რატომ უნდა ვუთხრა?

გოგონას ასეთი შეკითხვები სძულდა, ისინი მახინჯ სინამდვილეს აშიშვლებდა და მის ბინძურ, ქურდულ ბუნებაზე მიანიშნებდა.

— რადგან ისევ მოვიპარე.

მამა დაიხარა, ჩამოჯდა, შემდეგ თავი ასწია, ხელი გოგონას დაადო თავზე და უხეში თითებით მიეფერა:

— რა თქმა უნდა, არა, ლიზელ, არ ვეტყვი, ნუ გეშინია.

— მაშ, რას აპირებ?

აი, ეს იყო შეკითხვა.

რა საუცხოო გადაწყვეტილებას შობს მიუნხენის ქუჩის ჩახუთული ჰაერი ჰანს ჰუბერმანის გონებაში?

სანამ ამას მოგითხრობდეთ, ვფიქრობ, ჯერ ის დაგანახვოთ, ჰანსი რომ უყურებდა შორს.

რამ გაუელვა თვალწინ ჰანს ჰუბერმანს

პირველად წიგნებმა: *„მესაფლავის ცნობარი“, „ძაღლი, სახელად ფაუსტი“, „შუქურა“*, დაბოლოს *„მხრების აჩეჩა“*. შემდეგ — სამზარეულომ და გაცხარებულმა ჰანს-უმცროსმა, რომელმაც იქ, სადაც გოგო იჯდა და კითხულობდა, წიგნები დაინახა.

— რა ნაგავს კითხულობს ეს გოგო?

ეს შეკითხვა ვაჟმა სამჯერ გაუმეორა, შემდეგ კი მამას ურჩია, ლიზელს უფრო შესაფერისი ლიტერატურა აკითხეო.

— მომისმინე, ლიზელ, — მამამ ხელი მოხვია გოგონას და თან გაიყოლა, — ეს წიგნი ჩვენი საიდუმლო იყოს, ღამღამობით ვიკითხოთ, ან სარდაფში ჩავიდეთ ხოლმე, როგორც სხვა წიგნების კითხვისას, მაგრამ რაღაცას უნდა შემპირდე.

— რასაც გინდა, შეგპირდები, მამა.

ღამე მშვიდი იყო და წყნარი. ყველაფერი ყურს უგდებდა მათ.

— თუ საიდუმლოს შენახვას შემპირდები, არასოდეს არ უნდა გასცე იგი.

— გპირდები.

— კარგი, წავედით, თუ დავაგვიანებთ, დედა მოგვკლავს, ჩვენ კი ეს არ გვინდა, არა? მერე ხომ წიგნებს ველარ მოიპარავ?

ლიზელს გაეცინა.

გოგონამ მაშინ არ იცოდა და კიდევ დიდი ხანი ვერ გაიგებდა, რომ მომდევნო დღეებში მამინაცვალი რამდენიმე სიგარეტს შეელეოდა ერთი წიგნის სანაცვლოდ, თუმცა, ეს წიგნი გოგონასთვის არ იყო.

ჰანსმა ნაცისტური პარტიის ოფისის კარზე დააკაკუნა მოლკინგში და კიდევ ერთხელ ისარგებლა შემთხვევით, ეკითხა, განიხილეს თუ არა მისი განცხადება, რომელშიც პარტიის წევრობას ითხოვდა. ამ საკითხზე რომ დაიწყო საუბარი, იქაურ თანამშრომლებს უკანასკნელი გროშები და თორმეტ ღერამდე სიგარეტი მისცა, მათ კი, სანაცვლოდ, „ჩემი ბრძოლის“ ნახმარი ეგზემპლარი გამოატანეს.

— მშვიდობაში მოიხმარეთ! — უთხრა პარტიის ერთ-ერთმა წევრმა.

— გმადლობ. — თავი დაუქნია ჰანსმა.

ქუჩაში ისევ ესმოდა ოფისიდან გამოსული ხმები. ერთი ხმა განსაკუთრებით მკაფიოდ ამბობდა: „მას არასოდეს მივიღებთ პატრიაში, „ჩვენი ბრძოლის“ ასობით ეგზემპლარიც რომ შეიძინოს“. დანარჩენები, ჩანს, კვერს უკრავდნენ განცხადებას.

ჰანსს მარჯვენა ხელში წიგნი ეკავა და რაზე აღარ ფიქრობდა — ფულზე საფოსტო გზავნილისთვის, უსიგარეტოდ დარჩენაზე და შვილობილზე, რომელმაც ეს ბრწყინვალე იდეა მიანოდა.

„გმადლობთ“, — გაიმეორა და გამვლელმა, რომელმაც მის სიტყვებს მოჰკრა ყური, ჰკითხა: „რა თქვით?“

ჰანსმა ჩვეულებრივი, გულითადი პასუხი გასცა: „არაფერი, ჩემო კარგო, არაფერი, ჰაილ ჰიტლერ!“ — შემდეგ კი მიუნხენის ქუჩას ჩაუყვა, ხელში ფიურერის წიგნით.

იმ წუთებში ჰანს ჰუბერმანის თავში უამრავი ფიქრი ირეოდა, მას ხომ იდეა მხოლოდ ლიზელმა კი არა, ვაუმაც

მიაწოდა. იქნებ შიშობდა, შეიძლება, შვილი ველარ ვნახოო? მეორე მხრივ, დიდ აღმაფრენას განიცდიდა და არც კი ცდილობდა, წარმოედგინა, რა სირთულეები, საფრთხეები და შეცდომები შეიძლება მოჰყოლოდა ამას. შეუძლებელი იყო, იმ იდეის არშესრულება, თუმცა, განხორციელებას კიდევ რალაც სჭირდებოდა, ჯერჯერობით კი ჰანს ჰუბერმანს მხოლოდ სიამოვნებდა მასზე ფიქრი.

მოდი, შვიდ თვეს მივცემ.
შემდეგ კი მივაკითხავ.
ოჰ, როგორ მივაკითხავ.

მერის ბიბლიოთეკა

აშკარა იყო, ჰიმელ-სტრიტის 33 ნომრისკენ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი მიემართებოდა, მაგრამ ლიზელი ჯერ ამას ვერ ხვდებოდა, მას სხვა სადარდებელი ჰქონდა:

წიგნი მოიპარა.

ვიღაცამ დაინახა.

წიგნების ქურდმა რეაგირება მოახდინა. სათანადო.

ყოველ წუთს, ყოველ საათში დარდობდა, მეტიც, პარანოია შეეყარა. ის დანაშაულის თანამდევია, განსაკუთრებით — ბავშვებში, როცა გამოჭერის ათასნაირი სურათი გელანდება, მაგალითად: ბნელი ხეივნიდან გამოვარდნილი ადამიანები; მასწავლებლები, რომლებმაც შენი ცოდვები იციან და — პოლიციელები, რომლებიც ფოთლის გაშრიალებასა თუ ჭიშკრის გაჭრიალებაზე შენს კართან ჩნდებიან.

ლიზელისთვის სწორედ პარანოია იქცა სასჯელად და კიდევ — მერის სახლში სარეცხის მიტანის შიში. ალბათ ხვდებით, რომ არ ვცდები. ყოველთვის, როცა ლიზელი გრანდ-შტრასეზე გადიოდა, იმ სახლს შეგნებულად უვლიდა გვერდს, სარეცხი ართრიტიანი ჰელენა შმიდტისთვის მიჰქონდა, შემდეგ კატების მოყვარულ ვაინგარტნერების სახლში მიდიოდა, ბურგომისტრ ჰაინს ჰერმანის სახლს კი, სადაც ის მეუღლესთან, ილზასთან ერთად ცხოვრობდა, არ ეკარებოდა.

კიდევ ერთი სწრაფი თარგმანი

ბურგომისტრი = მერი

პირველად შინ რომ დაბრუნდა, ლიზელმა დედას განუცხადა, უბრალოდ, დამავინყდა იქ შევლაო (ასეთი უბადრუკი თავის მართლება არასოდეს მსმენია, სახლი ხომ იმ გორაკზე იდგა, რომელიც მთელ ქალაქს გადაჰყურებდა, როგორ შეიძლებოდა, ვერ შეემჩნია ან დავინყებოდა).

როცა მეორედაც ცარიელი ხელებით დაბრუნდა, მოიტყუა, შინ არავინ დამხვდაო.

— არავინ დაგხვდა? — დედა დაეჭვდა და უნდობლობამ ხის კოვზისკენ წააღებინა ხელი. ერთი მოუქნია ლიზელს და უთხრა:

— ახლავე გაბრუნდი და შინ სარეცხის გარეშე მოსვლა არ გაბედო.

— მართლა? — ეს რუდიმ წარმოთქვა, როცა ლიზელისგან დედის ნათქვამი მოისმინა, — გინდა, გავიქცეთ?

— შიმშილობა მოგვიწევს.

— ისედაც ვშიმშილობთ! — ორივეს გაეცინა.

— არა, — თქვა გოგონამ, — დავალება უნდა შევასრულო.

ბავშვები ფეხით გაუყვნენ ქუჩას, ჩვეულებრივ, ასე იქცეოდნენ, როცა რუდი აცილებდა. ბიჭი ჯენტლმენივითაც კი იქცეოდა და ჩანთის ჩამორთმევას ცდილობდა, მაგრამ ლიზელი ყოველთვის უარობდა. თავში ხის კოვზის ჩარტყმა მხოლოდ მას ელოდა სასჯელად, ამიტომ ჩანთის სწორად დაჭერაზეც თავად იყო პასუხისმგებელი. სხვა უდიერად მოეპყრობოდა, ან დაჭმუჭნიდა სარეცხს, ანდა ცოტათი მაინც შელახავდა. არა, რისკის გაწევა არ ღირდა. გარდა ამისა, რუდის თუ ჩანთის ტარების უფლებას მისცემდა, ის, სამაგიეროდ, კოცნას მოსთხოვდა, არა, ამას ლიზელი ვერ დაუშვებდა. თანაც ლიზელი უკვე მიჩვეული იყო ტვირთის ტარებას, ტომარას ჯერ ერთ მხარზე მოიგდებდა ხოლმე, ასი ნაბიჯის გავლის შემდეგ კი — მეორეზე. რუდი მთელი გზა ლაპარაკობდა ჰიმელ-სტრიტზე გამართულ საფეხბურთო მატჩზე, მამა-

მისის მაღაზიაში მუშაობასა და კიდევ ათას რაღაცაზე, რაც თავში მოსდიოდა. ლიზელი ცდილობდა, მოესმინა, მაგრამ არ გამოსდიოდა, მას მხოლოდ შიშის ხმა ესმოდა, სულ უფრო რომ ძლიერდებოდა გრანდ-შტრასესთან მიახლოებისას.

— რას აკეთებ? განა ეს სახლი არ არის?

ლიზელმა თავის დაქნევით ანიშნა რუდის, მართალი ხარო და სცადა, მერის სახლს ცოტათი მაინც მიახლოებოდა.

— კარგი, წამოდი, — დააჩქარა ბიჭმა, მოლკინგში ბნელდებოდა და მიწიდან სიცივე წამოვიდა. — გაინძერი, ღორუკელა. — რუდი ჭიშკართან დარჩა.

ბილიკი დასრულდა, სახლისკენ კიდევ რვა ნაბიჯი გადადგა და უზარმაზარ კარს მიუახლოვდა, ურჩხულისებურს. თითბრის ჩაქუჩის წინ შედგა და მოილუშა.

— რაღას ელოდები? — დაუძახა რუდიმ.

ლიზელი ქუჩისკენ შებრუნდა, იქნებ როგორმე თავი აერიდებინა ამ საქმისთვის? იქნებ სხვა რამ მოეგონა, დედისთვის თვალებში შეეხედა და ახალი ტყუილი ეთქვა, ოღონდ ისეთი, აქამდე რომ არ მოუფიქრებია?

— მთელი დღე აქ ხომ არ ვიდგებით? — მოისმა შორიდან რუდის ხმა, — რა ჯანდაბას ელოდები?

— იქნებ მოკეტო, შტაინერ! — დაიყვირა, მაგრამ ყვირილი ჩურჩულივით გაისმა.

— რაო?

— მოკეტე-მეთქი, სულელო ღორიშვილო!

ამ სიტყვებზე ისევ კარს შეხედა, თითბრის ჩაქუჩს ხელი ჩასჭიდა და სამჯერ ნელა დააკაკუნა. შიგნიდან ნაბიჯების ხმა მოახლოვდა.

თავიდან ლიზელს ქალისთვის არ შეუხედავს, სარეცხით სავსე იმ ჩანთას შეხედა, ხელში რომ ეკავა, მასზე დატანებულ შესაკრავ ზონარს აკვირდებოდა, ფული მიაწოდეს და სხვა არაფერი. მერის ცოლი, რომელიც ტყუილად არასდროს ლაპარაკობდა, ხალათით იდგა მის წინ და აფუებული თმა უკან შეეკრა, მოკლე კუდად. ოთახიდან ორპირი სიო უბერავდა, რაღაცით მიცვალებულის ამოსუნთქვას ჰგავდა. ისევ სიტყვების გარეშე და ლიზელმა მთელი სიმამაცე მოიკრიბა, მერის ცოლის-

თვის რომ შეეხედა. ქალი საყვედურით არ უმზერდა, ფიქრებით სადღაც, შორს იყო წასული. წამით ლიზელის მიღმა ბიჭი დალანდა, თავი დაუქნია, უკან გაინია და კარი ნელ-ნელა მიხურა.

ლიზელი დიდხანს იდგა მის წინ აღმართულ ხის ზეწართან.

— ჰეი, ლორუკელა! — პასუხი არ იყო, — ლიზელ.

ბოლოს შებრუნდა.

ფრთხილად.

შემდეგ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან, თან რაღაცას ითვლიდა.

არა, ალბათ ამ ქალს არ დაუნახავს, წიგნს რომ იპარავდა. მაშინ ხომ უკვე ბნელოდა. იქნებ ეს სწორედ ის შემთხვევაა, ადამიანი შენ რომ გიყურებს, მაგრამ სულ სხვა რამეს ხედავს ან სულაც სადღაც დაფრინავს.

რაც უნდა ყოფილიყო, ლიზელს არც კი უცდია, ამაზე ფიქრი გაეგრძელებინა. ჩათვალა, რომ ყველაფერი დასრულდა.

შებრუნდა და კიბის საფეხურები ჩვეულებრივ ჩაიარა, მხოლოდ ბოლო სამს გადაახტა.

— წავედით, ლორიშვილო! — თავს გაცინების უფლებაც კი მისცა.

თერთმეტი წლის ასაკში პარანოია მეტისმეტად ძლიერია ხოლმე, შვება კი — ეიფორიული.

პატარ-პატარა შენიშვნები ეიფორიის გასაქარვებლად

ლიზელს არაფერი გამოუვიდა.
მერის ცოლმა მშვენივრად დაინახა ყველაფერი,
მაგრამ, ალბათ, ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა.

გაიარა რამდენიმე კვირამ.

ფეხბურთი ჰიმელ-სტრიტზე.

„მხრების აჩეჩის“ კითხვა ორიდან სამ საათამდე ყოველ ღამით, საშინელი სიზმრის შემდეგ, ან შუადღით, სარდაფში.

კიდევ ერთი სტუმრობა მერის სახლში.

ყველაფერი მშვენივრად იყო.

სანამ.

ლიზელი მეორედ მერის სახლში რუდის გარეშე მივიდა და ხელსაყრელი შემთხვევაც დადგა. სარეცხის წამოღების დღე იყო.

მერის ცოლმა კარი რომ გააღო, ამჯერად ხელში სარეცხით სავსე ჩანთა აღარ ჰქონია. გვერდზე გაიწია და ცარცივით ხელითა და მაჯით ანიშნა გოგოს, შემოდიო.

— სარეცხის წასაღებად მოვედი მხოლოდ, — ლიზელს სისხლი გაეყინა ძარღვებში. ჩამოემტვრა. კიბეზე მდგარი ლამის ნაწილებად დაიშალა. ქალმა პირველად ამოიღო ხმა, ცივი თითი გაიშვირა მისკენ და უთხრა: „Warte — დამელოდე". შემდეგ, როცა დარწმუნდა, გოგონა დამშვიდდაო, სწრაფად შებრუნდა და შევიდა შინ.

„მადლობა ღმერთს, — შვებით ამოისუნთქა ლიზელმა, — იმას გამომიტანს". *იმაში* სარეცხი იგულისხმებოდა.

ამ დროს ქალი დაბრუნდა, მაგრამ ხელში მსგავსი არაფერი ეკავა.

გამოვიდა და ისე დადგა, სული რომ შეგებერა, ნაიქცეოდა. მუცელზე წიგნების კოშკურა ჰქონდა მიხუტებული, ჭიპიდან — მკერდამდე. იმ შემზარავ წინკარში მდგომი, ისეთი დაუცველი ჩანდა. გრძელი, ღია ფერის ნამწამებით და ოდნავ შესამჩნევი, ტკივილიანი გამომეტყველებით იწვევდა, თითქოს ეუბნებოდა, მომყევი და ნახეო.

ლიზელმა გადაწყვიტა, შემიტყუებს, მაწამებს. შეიძლება ოთახში შემიყვანოს, დანთებულ ბუხარში შემაგდოს წიგნებთან ერთად, ან სარდაფში ჩამკეტოს და შიმშილით მომკლასო.

მიუხედავად იმ ფიქრებისა, როგორც ჩანს, წიგნებით ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ოთახში შეჰყვა მერის ცოლს. ნაბიჯი გადადგა თუ არა, ფეხქვეშ ხის იატაკი აუჭრაჭუნდა და უნებურად ბეჭებში მოხარა, ის კი არა, ოლონდ ხის კვნესა აღარ გაეგონა, შეჩერებაც კი დააპირა. მერის ცოლმა მაინც არ დაიშალა თავისი, უბრალოდ, წამით მიიხედა გოგონასკენ და სვლა განაგრძო წაბლისფერი კარისკენ, ამჯერად სახეზე კითხვა აღბეჭდვოდა.

მზად ხარ?

ლიზელმა კისერი ოდნავ წაიგრძელა, თითქოს უნდოდა, დაენახა, რა ხდებოდა იმ კარს მიღმა, გზაზე რომ გადაეღობა. ცხადი იყო, ანიშნებდნენ, გააღეო.

— იესო, მარიამ...

ეს გოგონამ ხმამაღლა წარმოთქვა და სიტყვები ცივი ჰაერითა და წიგნებით სავსე ოთახს მოედო. ყველგან წიგნი იყო! კედლები თაროებს დაეფარა, ისინი წიგნებით გამოეტენათ. როგორ გამოცემას არ ნახავდი იქ, ათასნაირს, სხვადასხვა ფერისას, შავს, წითელს, ნაცრისფერს. სხვადასხვა ზომის წარწერებით. ასეთი მშვენიერი სანახაობა ლიზელ მემინგერს არასოდეს ეხილა.

განცვიფრებულმა გაილიმა.

თურმე ასეთი ოთახი არსებობდა!

სცადა, სახიდან ხელით წაეშალა ღიმილი, მაგრამ მიხვდა, ამას აზრი არ ჰქონდა, იგრძნო, როგორ აათვალიერ-ჩაათვალიერა ქალმა და ბოლოს, მის სახეზე შეაჩერა მზერა.

სახლში იმაზე საშინელი დუმილი გამეფებულიყო, ვიდრე ლიზელს მიაჩნდა შესაძლებლად, ისე იწელებოდა, ცოტაც და დაირღვეოდა. გოგონამ დაარღვია.

— შეიძლება?

სიტყვა ხის ცარიელ, ვრცელ იატაკზე დავარდა. წიგნები რამდენიმე მილის მოშორებით მოჩანდა.

ქალმა თავი დაუქნია.

დიახ, შეიძლება.

ნელ-ნელა ოთახი ისე შეიკუმშა, რომ რამდენიმე პატარა ნაბიჯი და, — წიგნის ქურდი თაროებს მისწვდა. ხელი გადაუსვა პირველ თაროზე დალაგებულ წიგნებს, მათ ხერხემალს ჩაუყვა და თითებით მსუბუქი შარიშური შეიგრძნო. მუსიკალური ინსტრუმენტის ხმასავით ისმოდა, ან მორბენალი ფეხების მელოდიასავით. ახლა ორივე ხელი გადაუსვა წიგნებს, მერე სათითაოდ, ყველა თაროს ჩაურბინა, ჯერ ერთ მხარეს, შემდეგ — მეორე. გაიცინა. ყელიდან ამოსული მაღალი ხმა მთელ ოთახში გაიფანტა და როცა ოთახის შუაგულში გაჩერდა, ხმა მიწყდა. ლიზელი რამდენიმე წუთი კიდევ უცქერდა თაროებს, მათგან მზერა თითებზე გადაჰქონდა, თითებიდან — წიგნებზე.

რამდენ წიგნს შეეხო?

რამდენი წიგნი *შეიგრძნო?*

გოგონამ ისევ ჩაუარა თაროებს. ამჯერად ბევრად უფრო ნელა გადაუსვა ხელისგულები წიგნების რიგს, სათითაოდ რომ ეგრძნო ყველა. ჭალიდან გადმოსული კაშკაშა სინათლის ფონზე ეს ყველაფერი სასწაულს ჰგავდა, მშვენიერი იყო. რამდენჯერმე დააპირა, თაროდან ჩამოეღო რომელიმე გამოცემა, მაგრამ ვერ გაბედა მათი შეწუხება, მეტისმეტად სრულყოფილები იყვნენ.

თავისგან მარცხნივ ისევ დაინახა ქალი, რომელიც დიდ მაგიდასთან იდგა და გულზე წიგნების კოშკურას ისევ იხუტებდა, იდგა და წელში მოხრილს აღფრთოვანება ეტყობოდა სახეზე. ტუჩები ღიმილმა გაუშეშა.

— ხომ არ გინდათ?

ლიზელმა კითხვა აღარ დაასრულა და ის გააკეთა, რასაც ეკითხებოდა — მიუახლოვდა ქალს და ფრთხილად ჩამოართვა წიგნები, შემდეგ კი ოდნავ შეღებულ ფანჯარასთან ახლოს, თაროზე, ცარიელ ადგილას დააწყო. გარედან სიგრილე შემოდიოდა.

ერთი წუთით გაიფიქრა, დავკეტავო, მაგრამ არჩია, ღია დაეტოვებინა, თავის სახლში ხომ არ იყო, ამიტომ ვერ ჩაერეოდა სხვის საქმეში. ამის ნაცვლად, ქალს მიუბრუნდა, ის უკან ედგა. მერის მეუღლეს ღიმილი ახლა თითქოს ჩალურჯებოდა, ხელები კი მოხდენილად ჩამოეშვა ქვემოთ, გოგონასავით.

ახლა რა?

ოთახში უხერხულობამ დაისადგურა და ლიზელმა უკანასკნელად შეავლო თვალი კედელზე ჩარიგებულ წიგნებს, პირზე მომდგარი სიტყვები ბაგეებს მოსწყდა:

— უნდა წავიდე.

მხოლოდ სამი მცდელობის შემდეგ მოახერხა წამოსვლა.

რამდენიმე წუთით დერეფანში შეჩერდა, მაგრამ ქალი არ გაჰყოლია, ისევ მიბრუნდა ოთახისკენ და როცა შეიხედა, მერის მეუღლე მაგიდასთან იჯდა, თვალს არ აშორებდა თაროებზე ჩალაგებული წიგნებიდან ერთ-ერთს. ლიზელმა არჩია, აღარ შეეწუხებინა, გავიდა და დერეფანში სარეცხით სავსე ჩანთა აიღო.

ამჯერად ლიზელმა თავი აარიდა ხის იატაკის დაზიანებულ ნაწილს და დერეფნის კედელს გაუყვა.

ცალ ხელში სარეცხი ჰქონდა, კარი რომ გაიხურა, თითბრის ჩაქუჩმა ყურში გაუწკარუნა და გოგონამ ხელი ნაუსვა ხის კარს. „ასე გააგრძელე", — უთხრა.

თავბრუდახვეული გაუყვა შინისკენ მიმავალ გზას.

წიგნებით სავსე ოთახისა და განცვიფრებული, განადგურებული ქალის სიურრიეალისტური ხატება სდევდა თან, მას შენობებზე ხედავდა, წარმოდგენასავით. დაახლოებით ისე გრძნობდა თავს, როგორც მამა, როცა „ჩემი ბრძოლის" შეძენა განიზრახა. საითაც უნდა გაეხედა, მერის ცოლი იდგა, მკლავებზე დაწყობილი წიგნებით.

კუთხეში რომ შეუხვია, ისევ ის შრიალი იგრძნო თითებში, როგორც თაროზე დალაგებულ წიგნებთან შეხებისას, ღია ფანჯარაც დაინახა, ჭაღის ლამაზი შუქიც, საკუთარი თავიც სახლიდან გამოსვლისას და მიხვდა, რომ სამადლობელი სიტყვები არ უთქვამს.

სიმშვიდე წუხილით და ზიზღით შეეცვალა და გვარიანად შეამკო საკუთარი თავი.

— არაფერი გითქვამს, — აჩქარებით მიაბიჯებდა, მაინც ძლიერად გადაიქნია თავი, — არც კი დამშვიდობებიხარ, მადლობაც არ გადაგიხდია, არც ის შეგინიშნავს, ასეთი ლამაზი სანახაობა პირველად რომ ნახე. არაფერი! — მართალია, წიგნებს იპარავდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ცუდად აღზრდილი ან უხეში გოგონა იყო.

გზა განაგრძო. კიდევ რამდენიმე წუთს ებრძოდა თავს.

მიუნხენის ქუჩას რომ მიუახლოვდა, ყოყმანი დასრულდა.

დაინახა თუ არა აბრა, რომელზეც ეწერა STEINER – SCHNEIDERMEISTER, შებრუნდა და გაიქცა.

აღარ უყოყმანია.

კარზე დააკაკუნა და თითბრის ჩაქუჩით გამოცემულ ექოს მიუგდო ყური.

— Scheisse!

ამჯერად მერის მეუღლე კი არა, თავად მერი იდგა მის წინაშე. სიჩქარეში ლიზელმა სახლის წინ მანქანა ვერ შენიშნა.

ულვაშა, შავ კოსტიუმში გამოწყობილმა კაცმა დაილაპარაკა:

– რით შემიძლია დაგეხმარო?

ლიზელმა ვერაფერი უთხრა, ხმა ვერ ამოიღო, მოიხარა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, მაგრამ ამ დროს, საბედნიეროდ, ქალი გამოჩნდა და ლიზელმა ოდნავ ამოისუნთქა. ილზა ჰერმანი ქმრის უკან, ოდნავ მოშორებით იდგა.

— დამავიწყდა, — თქვა ლიზელმა, თეთრეულით სავსე ჩანთა ასწია და მერის მეუღლეს მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ სუნთქვა უჭირდა, ცდილობდა, სიტყვები მერსა და წინკარს შორის გაეძვრინა და ქალისთვის მიეწვდინა. სუნთქვა იმდენად უჭირდა, რომ სიტყვებს პატარ-პატარა ულუფებად ისროდა, -- დამავიწყდა. უბრალოდ, მინდოდა. მადლობა გადამეხადა.

მერის მეუღლეს ისევ დაულურჯდა ტუჩები, ნამოიწია, სუსტად დაუქნია თავი, ცოტა ხანს დაელოდა და კარი დახურა.

ლიზელი ერთი-ორი წუთი იდგა და შებრუნდა.

კიბის საფეხურებს გაულიმა.

მეგრძოლის გამოჩენა

დროა, შევცვალოთ სცენარი.

აქამდე ყველაფერი მარტივად იყო, მეგობარო, ასე არ ფიქრობ? მოდი, ერთი-ორი წუთით, მოლკინგი დავივიწყოთ, კარგი?

აჯობებს.

თანაც ამბისთვის მნიშვნელოვანია.

ცოტა ვიმოგზაუროთ, საიდუმლო საწყობში შევიხედოთ და ვნახოთ, რა დაგვხვდება.

მოგზაურობა სატანჯველში

თქვენგან მარცხნივ ან იქნებ მარჯვნივაც,
თუნდაც პირდაპირ,
პატარა შავ ოთახს დაინახავთ.
იქ ებრაელი ზის.
ის ნაძირალაა. ის მშიერია.
ის შეშინებულია.
გთხოვთ, თვალი არ მოარიდოთ.

სამხრეთ-დასავლეთით, რამდენიმე ასეულ მილს იქით, შტუტგარტში, წიგნის ქურდისგან, მერის ოჯახისგან და ჰიმელ-სტრიტიდან შორს, სიბნელეში კაცი იჯდა. ყველამ ჩათვალა, რომ ეს საუკეთესო ადგილი იყო. სიბნელეში ებრაელის პოვნა უფრო ძნელია.

ის ჩემოდანზე იჯდა და რაღაცას ელოდა. რამდენი დღე გავიდა, ნეტავ?

რამდენიმე კვირის მშიერი იყო, მისივე პირიდან ამოსული საზიზღარი ჰაერის გარდა არაფერი ეჭამა და ამაოდ ელოდა. ხანდახან ხმები ესმოდა და თითქმის ნატრობდა, კარი შემოეღო ვინმეს, გარეთ გაეთრია, აუტანელ სინათლეში. ახლა ჩემოდნის ტახტზე ჯდომა, ხელებში ნიკაპის ჩარგვა და ბარძაყებში იდაყვების მოქცევა შეეძლო მხოლოდ.

იყო ძილიც, ნაშიმშილარი კაცის ძილი, გაღიზიანება ნახევრად მღვიძარე მდგომარეობის გამო და იატაკი — ტანჯვა.

მტკივან ტერფებს ყურადღებას ნუ მიაქცევ.

არც ფეხისგულები მოიქავო.

ეცადე, ბევრი არ იმოძრაო.

დაე, რადაც უნდა დამიჯდეს, ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის. მალე ალბათ წასვლის დრო მოვა, ტყვიასავით შემოვარდება შუქი და თვალებს ამიფეთქებს. ალბათ უკვე წასვლის დროა. მაშ, გაიღვიძე. ახლავე გაიღვიძე, დასწყევლოს ღმერთმა! გაიღვიძე.

კარი გაიღო და დაიხურა. ვილაც შემოვიდა, მისკენ დაიხარა, ხელებით ჩააფრინდა ტანისამოსის ცივ, ბინძურ ნაკეცებში, შემდეგ ხმა გაისმა.

— მაქს, — ჩასჩურჩულა ვილაცამ, — მაქს, გაიღვიძე.

თვალები ელდანაცემივით არ გაუხელია, არც სილის გარტყმა დასჭირვებია, არც შენჯღრევა — ასეთი რამ ცუდ სიზმარში კი არა, სიზმრიდან გამორკვევისას ხდება ხოლმე. არა, მან თვალები გაახილა და სიბნელის შემდეგ ბინდი დაინახა. ასეთი რეაქცია ჰქონდა სხეულს. წინ წამოიწია, მკლავები გაშალა და ჰაერი ჩაისუნთქა.

ახლა ხმა ამშვიდებდა:

— მაპატიე, ასე რომ დავიგვიანე, მეგონა, მითვალთვალებდნენ, თანაც იმ კაცმაც დაიგვიანა, საიდენტიფიკაციო ბარათი რომ უნდა დაემზადებინა, მაგრამ... - კაცმა შეისვენა, — ახლა ეს ბარათი შენია. მართალია, მაინცდამაინც კარგი ხარისხის ვერაა, მაგრამ იმედი მაქვს, საჭიროების შემთხვევაში დანიშნულების ადგილამდე ჩაგიყვანს. — კაცი დაიხარა და ხელი გაიქნია ჩემოდნისკენ. მეორე ხელში რაღაც მძიმე და

ბრტყელი ეჭირა. — აბა, წამოდექი, — მაქსი დამორჩილდა, წამოდგა და გაიზმორა. გრძნობდა, როგორ დაწვრილებოდა ძვლები, — ბარათი ამაშია, — წიგნი იყო, — რუკა აქ ჩადე და მიმართულებებიც მონიშნე, აი, გასაღებიც, — ყდის შიგნითაა ჩამაგრებული. — კაცმა ტკაცუნით გახსნა ჩემოდნის საკეტი და რამდენადაც შეეძლო, ფრთხილად ჩადო შიგ წიგნი, ბომბივით, — რამდენიმე დღეში დავბრუნდები.

კაცმა პატარა ჩანთაც დაუტოვა — პური, ქონი და სამი პატარა სტაფილო იდო, გვერდით ერთი ბოთლი წყალიც ჩაედგა. ბოდიშების მოხდა არ დაუწყია.

— სულ ესაა, რაც ვიშოვე.

კარი გაიღო. კარი დაიხურა.

ისევ მარტო.

უცებ ხმაც გაიგონა.

სიბნელეში მჯდარი მარტოკაცისთვის ხმები მეტისმეტად მკვეთრი იყო, ყოველ შერხევაზე ესმოდა ნაკეცების ხმა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს ქაღალდის კოსტიუმი ეცვა.

საჭმელი.

მაქსმა პური სამ ნაწილად გაყო და ორი გადადო, იმ ნაჭერს კი, ხელში რომ დაიტოვა, ლამის ჩააფრინდა, ხმაურით უშვებდა გამომშრალი ყელის დერეფანში, ქონი ცივი და მაგარი იყო, სანამ ჩაყლაპა, ყელი ჩაუხეხა, რამდენჯერმე გაეჩხირა კიდეც და ძლივს გადაყლაპა.

შემდეგ სტაფილოები.

ორი ცალი გვერდით გადადო და ხარბად დაუწყო მესამეს ჭამა, გასაოცარი ხმაური იდგა, ფიურერიც კი გაიგონებდა, როგორ ხმას გამოსცემდა მისი პირი ნარინჯისფერი ბოსტნეულის შთანთქმისას, ყოველ ჩაკბეჩაზე ლამის იყო, კბილები ჩაემტვრია, წყლის მოსმისას ეჩვენებოდა, რომ ჩამტვრეულ კბილებს ყლაპავდა. „სხვა დროს, — მისცა რჩევა საკუთარ თავს, — ჯერ წყალი დალიე!“

მოგვიანებით, როცა ცოტა შვება იგრძნო, როცა ხმები მიჩუმდა და სიმამაცე მოიკრიბა, თითებით კბილები მოესინჯა,

ყველა ადგილზე დახვდა, მთელი. გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, მხოლოდ ჩამტვრეული კბილების წარმოდგენა შეეძლო. იმ შეგრძნებამ რამდენიმე საათში გაუარა.

ჩემოდანი გახსნა და წიგნი ამოიღო.

სიბნელეში სათაური ვერ გაარჩია, ასანთის გაკვრა კი მეტისმეტად საშიშ საქმედ ეჩვენებოდა.

დალაპარაკებას ჩურჩულის გემო დაკრავდა.

— გემუდარებით, — თქვა, — გთხოვთ.

იმ კაცს ელაპარაკებოდა, რომელიც არასოდეს ენახა, რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალთან ერთად, მისი სახელიც იცოდა. ჰანს ჰუბერმანი. შემდეგ ისევ დაელაპარაკა მას, შორეულ უცნობს. ისევ რაღაც შეევედრა.

— გთხოვთ.

ზაფხულის ნიშნები

აი, უკვე ყველაფერი იცით.

მშვენივრად ხვდებით, რა ელოდა ჰიმელ-სტრიტს 1940 წლის ბოლოს.

მეც ვიცი.

თქვენც იცით.

თუმცა, ლიზელ მემინგერს ჩვენნაირთა კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ. წიგნის ქურდისთვის იმ წლის ზაფხულმა უბრალოდ ჩაიარა და ოთხი ძირითადი ნაწილისგან თუ ნიშ-ნისგან შედგებოდა. დროდადრო ლიზელი ინტერესდებოდა, რომელი მათგანი იყო, თავისი მნიშვნელობით, უპირატესი.

ნომინანტები კი არიან...

1. ღამლამობით *„მხრების აჩეჩის“* კითხვაში წინსვლა.
2. მერის ბიბლიოთეკის იატაკზე კითხვა.
3. ფეხბურთის თამაში ჰიმელ-სტრიტზე.
4. ქურდობის სხვა შესაძლებლობების ათვისება.

გოგონამ გადაწყვიტა, „მხრების აჩეჩა“ მშვენიერი წიგნიაო. ყოველ ღამით, როცა ცუდი სიზმრისგან გამოფხიზლებული დამშვიდდებოდა, უხაროდა კიდეც, რომ ელვიძა და კითხვა შეეძლო. „კიდევ რამდენიმე გვერდი?“ — ჰკითხავდა მამა და ლიზელიც ეთანხმებოდა. ზოგჯერ, ღამით დაწყებულ თავს მეორე დღეს, სარდაფში ამთავრებდნენ.

თუ რატომ არ მოსწონდა ხელისუფლებას წიგნი, ცხადი იყო. მთავარი გმირი დადებითად წარმოჩენილი ებრაელი

გახლდათ. უპატიებელი შეცდომა. ის იყო მდიდარი კაცი, რომელიც ცხოვრებამ ისე დაღალა, რომ ამქვეყნად რაც უნდა გადახდენოდა თავს, სიხარული თუ მწუხარება, ყველაფერზე მხრებს იჩეჩდა.

მოლკინგური ზაფხულის დასაწყისში ლიზელი და მამა წიგნის იმ ადგილს მიადგნენ, სადაც ებრაელი ამსტერდამში მიემგზავრება საქმეზე, გარეთ კი სიცივისგან თოვლიც კი თრთის. გოგონას ძალიან მოეწონა „თოვლის თრთოლა". — ზუსტად ასეა, როცა ფიფქები ზემოდან მიწაზე ეშვება, — უთხრა ჰანს ჰუბერმანს. გვერდიგვერდ ისხდნენ საწოლზე, მამას ნახევრად ეძინა, ლიზელს კი ფართოდ გაეხილა თვალები.

ხანდახან უცქერდა მძინარეს და იმაზე მეტსა და ნაკლებს იგებდა ჰანსზე, ვიდრე მას წარმოედგინა. ლიზელს ხშირად ესმოდა მამობილ-დედობილის საუბრები სამუშაოს შემცირებასთან დაკავშირებით ან — სევდიანი მსჯელობა ჰანს-უმცროსზე, რომელიც მასთან მისულ მამას სახლში აღარ დახვდა, სხვაგან გადასულიყო, ალბათ ომში წასასვლელად ემზადებოდა.

— *Schlaf gut, Papa,* — ამბობდა გოგონა ამ დროს, — იძინე ტკბილად, — მერე კი ჩუმად ჩამოსრიალდებოდა საწოლიდან, მამას შემოუვლიდა და შუქს აქრობდა.

მომდევნო ნიშანი, როგორც უკვე ვახსენე, მერის ბიბლიოთეკა იყო.

ნიშანი უკეთ რომ დაგიხასიათოთ, გავიხსენებ ივნისის დასასრულის ერთ გრილ საღამოს, როცა რუდი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ბრაზობდა.

ნეტავ, რად მიაჩნდა ლიზელ მემინგერს თავი, რატომ ეუბნებოდა, მარტო ნავიღებ დარეცხილ-დაუთოებულ სარეცხს მერთანო? ნუთუ, ქუჩაში მასთან ერთად სიარული არ სიამოვნებდა?

— წუწუნს მორჩი, ღორიშვილო, — უსაყვედურა გოგონამ, — უბრალოდ, თავს ცუდად ვგრძნობ, შენ კი მატჩი უნდა გამოტოვო.

რუდიმ გოგონას მხარს იქით გაიხედა.

— კარგი, შენი ნებაა. — *Shmunzel* — არსად დაგეკარგოს ეგ შენი ჩანთა, — ბიჭს დრო აღარ დაუკარგავს, გაიქცა, გუნდში ადგილი რომ არ დაეკარგა. ლიზელი ჰიმელ-სტრიტის ბოლომდე რომ მივიდა, მოიხედა და დაინახა, როგორ იდგა რუდი კარში და ხელს უქნევდა.

— ღორიშვილო! — გაიცინა გოგონამ და თავადაც რომ დაუქნია ხელი, მიხვდა, როგორ უპასუხა რუდიმ, ღორუკელაო. ალბათ თერთმეტი წლის ბავშვები ასე გამოხატავენ სიყვარულს.

ლიზელი გრანდ-შტრასესკენ და ქალაქის მერის სახლისკენ გაიქცა.

რა თქმა უნდა, იყო ოფლი და მის წინ გაწოლილი დაჭმუჭნილი შარვლის ტოტების სუნთქვა.

მაგრამ კითხულობდა.

მერის მეუღლე, რომელმაც მეოთხედ შეუშვა გოგონა ბიბლიოთეკაში, მაგიდასთან იჯდა და მხოლოდ უყურებდა წიგნებს. მეორე სტუმრობისას ქალმა ნება დართო ლიზელს, წიგნები გადაეფურცლა, ისიც სათითაოდ მიჰყვა და თორმეტამდე მაინც დაიხვავა ირგვლივ, ზოგი ამოიღლიავებული ჰქონდა, რამდენიმე გვერდით ეწყო, ზოგიც თავისუფალ ხელში ეჭირა, მაღალ გროვად.

იმ დღეს კი ლიზელი გრილ ოთახში იდგა და მუცელი უბუყბუყებდა, მაგრამ დამუნჯებულ, განადგურებულ ქალს ამაზე რეაქციაც არ ჰქონია. ისევ აბაზანის ხალათი ეცვა და მიუხედავად იმისა, რომ გოგონას რამდენჯერმე შეხედა, არცერთხელ არ შეუჩერებია მასზე მზერა. იმას უფრო აქცევდა ყურადღებას, რაც ლიზელის სიახლოვეს იყო ან იმას, რაც იქაურობას აკლდა. ფანჯარა, ფართოდ იყო შეღებული და კვადრატული გრილი პირიდან მძლავრად უშვებდა ჰაერს ოთახში.

ლიზელი იატაკზე იჯდა. წიგნები მის ირგვლივ უწესრიგოდ ეწყო.

ორმოცი წუთის შემდეგ გამოვიდა მერის სახლიდან. ყველა სათაური სათითაოდ დაუბრუნდა ადგილს.

— ნახვამდის, ფრაუ ჰერმან, — ამ სიტყვებზე მერის ცოლს ელდა ეცემოდა ხოლმე, — გმადლობთ, — ამის შემდეგ ქალმა ფული გადაუხადა და ის წავიდა.

ყველა მოძრაობა დამაჯერებელი იყო და წიგნების ქურდი შინისაკენ მირბოდა.

ზაფხული გრძელდებოდა. წიგნებით სავსე ოთახი უფრო და უფრო თბებოდა და სარეცხის ყოველ მიტანაზე იატაკის ჭრაჭუნი ნაკლებად აუტანელი ეჩვენებოდა ლიზელს. იჯდა ხოლმე წიგნების პატარა გროვის შუაგულში და თითოეულიდან რამდენიმე აბზაცს კითხულობდა, თანაც უცნობი სიტყვების დამახსოვრებას ცდილობდა, რათა შემდეგ, შინ მისულს, მამისთვის ეკითხა მათი მნიშვნელობა.

მოგვიანებით, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლიზელი, იმ წიგნების შესახებ დაწერს, ვერც ერთი მათგანის სათაურს ველარ გაიხსენებს. ვერც ერთის.

ალბათ, რომ მოეპარა ისინი, სახელწოდებებსაც არ დაივიწყებდა.

ის კი ახსოვდა, რომ ერთ-ერთი სურათებიანი წიგნის შიდა ყდაზე უხეიროდ იყო მიჯღაბნილი:

ბიჭის სახელი

იოჰან ჰერმანი

ლიზელი ტუჩებს იკვნეტდა, მაინც ვერ მოითმინა. იატაკზე მჯდარი შებრუნდა, აბაზანისხალათიან ქალს გახედა და ჰკითხა:

— იოჰან ჰერმანი ვინ არის?

ქალმა სადღაც, მილმა, გოგონას მუხლებისკენ გაიხედა.

ლიზელმა ბოდიში მოიხადა:

— ძალიან ვნუხვარ. არ უნდა მეკითხა. — ნება მისცა ფრაზას, საკუთარი სიკვდილით მომკვდარიყო.

ქალს სახე არ შესცვლია, უბრალოდ, როგორღაც მოახერხა და დაილაპარაკა:

— ის ახლა აღარაფერია ამ სამყაროში. — აუხსნა ლიზელს, — ის ჩემი...

მოგონებების საქაღალდედან

ოჰ, დიახ, მე ის შესანიშნავად მახსოვს. ცა მოღრუბლული და ფხვიერი მიწასავით ღრმა იყო.
ახალგაზრდა მამაკაცს მავთულხლართი უზარმაზარი ეკლიანი
გვირგვინივით შემოხვეოდა, ნაზად გამოვხსენი მავთულხლართიდან
და ხელში ავიყვანე. მიწიდან ერთად ავმაღლდით
და ერთად მოვიყარეთ მუხლი.
1918 წლის კიდევ ერთი დღე იდგა.

— ყველაფერთან ერთად, — თქვა ქალმა, — გაიყინა, — ქალი ხელებს ისრესდა, შემდეგ გაიმეორა, — დარწმუნებული ვარ, გაიყინა.

მერის მეუღლე ერთ-ერთი იყო საერთაშორისო რაზმიდან. დარწმუნებული ვარ, ადრე სადღაც ნახავდით. მოთხრობებში, ლექსებში, იმ ეკრანზე, ასე რომ გიყვართ ცქერა. ისინი ყველგან არიან და აქაც, პატარა გერმანული ქალაქის ბორცვზე რომ მოხვდნენ, გიკვირთ? ესეც მშვენიერი ადგილია სატანჯველად.

საქმე იმაშია, რომ ილზა ჰერმანმა გადაწყვიტა, ტანჯვა ტრიუმფად ექცია. ტკივილი თავს არ ანებებდა და ქალმაც დაუთმო, გულში ჩაიკრა იგი.

შეეძლო, თავი მოეკლა, სახე ჩამოეხოკა ან თვითგვემის სხვადასხვა ხერხისთვის მიემართა, მაგრამ ის არჩია, რაც, ალბათ, ყველაზე მარტივი იყო — ჭირვეული ამინდის გაძლება. ლიზელმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ქალი ნატრობდა, ზაფხულის დღეები ცივი და ნალექიანი ყოფილიყო. მართალი გითხრათ, მერის მეუღლე ნამდვილად შესაფერის ადგილას ცხოვრობდა.

იმ დღეს, წამოსვლისას, ლიზელმა ძლივს ამოთქვა რამდენიმე სიტყვა. თუ ვთარგმნით, ორი უზარმაზარი სიტყვა გამოვა. ამ სიტყვებს ებრძოდა, მხრებით ატარებდა, შემდეგ კი ილზა ჰერმანს მიუგდო ფეხებთან. მოიშორა, მათ სიმძიმეს ველარ გაუძლო და ისინიც აქეთ-იქით გადაცვივდა. შემდეგ

ერთმანეთს მიუახლოვდა უზარმაზარი, ხმამაღალი და უხერხული სიტყვები.

ორი უზარმაზარი სიტყვა

ბოდიშს გიხდით

მერის მეუღლე ისევ სივრცეში იცქირებოდა, გოგონას მილმა. სახე – სუფთა ფურცელი.

— რატომ? — იკითხა, მაგრამ დრო აღარ იყო, გოგონა ოთახიდან გადიოდა, გასასვლელს უახლოვდებოდა.

ეს სიტყვა რომ გაიგონა, ლიზელი შეჩერდა, მაგრამ გადაწყვიტა, არ მიბრუნებულიყო, უხმაუროდ დაეტოვებინა სახლი და კიბეზე დაეშვა. სანამ გზას გაუდგებოდა, მოლკინგს გადახედა და ძალიან შეეცოდა მერის მეუღლე.

ხანდახან ლიზელი ფიქრობდა, იქნებ ჯობს, მარტო დავტოვო ეს ქალიო, მაგრამ ილზა ჰერმანი მეტისმეტად საინტერესო იყო და წიგნებიც ძალიან იზიდავდა. ოდესღაც სიტყვებმა გოგონა უმწეოდ აქცია, მაგრამ ახლა, ქმრის მაგიდასთან ჩამომჯდარ ილზა ჰერმანის სიახლოვეს, იატაკზე ფეხმორთხმული, საოცარ ძალას გრძნობდა. ასე ხდებოდა ყოველთვის, როცა ლიზელი ახალ სიტყვას ათავსებდა წინადადებაში.

ის გოგონა იყო.

ნაცისტურ გერმანიაში.

რა ბედნიერებაა, საკუთარ თავში სიტყვის ძალა რომ აღმოაჩინა.

და რა საზარელი იქნება (თან, სახალისოც!) რამდენიმე თვეში, თავის აღმოჩენას მთელი სიმძლავრით რომ გამოიყენებს იმ ქალის საპასუხოდ, რომელმაც ულალატა, რა სწრაფად დაავიწყდება მერის ცოლისადმი სიბრალული, და რა უმალ შეეცვლება სხვა გრძნობით.

თუმცა, 1940 წლის ზაფხულში, ლიზელმა არ იცოდა, რა ელოდა. წიგნებით სავსე ოთახში, სადაც ასე უყვარდა სტუმრობა, ჯერ მხოლოდ დარდიან ქალს ხედავდა.

აი, ეს არის ზაფხულის მეორე ნიშანი, მისი მეორე ნაწილი.

ნაწილი მესამე, მადლობა ღმერთს, უფრო მხიარულია — ფეხბურთი ჰიმელ-სტრიტზე.

მოდი, ერთ ეპიზოდს გავითამაშებ:

გზაზე სირბილის ხმა.

ბიჭური, აჩქარებული სუნთქვა.

ყვირილი: „აქეთ! ჩემკენ! Scheisse!"

ბურთის უხეში დახეთქება.

ზაფხული გრძელდებოდა და ჰიმელ-სტრიტზე ამ ყველაფერს გაიგონებდით. ბოდიშებთან ერთად.

მობოდიშება ლიზელ მემინგერისგან მოდიოდა.

ტომი მიულერის მისამართით.

ივლისის დასაწყისისთვის გოგონამ, როგორც იქნა, დაარწმუნა ტომი, რომ მის მოკვლას არ აპირებდა. მას მერე, რაც ნოემბერში სცემა, ტომის მისი ეშინოდა და ჰიმელ-სტრიტის საფეხბურთო შეხვედრებზეც კი, ცდილობდა, რაც შეიძლება, შორს დაეჭირა თავი.

— კაცმა არ იცის, როდის გაგილაწუნებს, — არწმუნებდა რუდის და ლაპარაკისას სახე უთამაშებდა.

ლიზელის დასაცავად აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ყველანაირად ცდილობდა, ბიჭისთვის ის შიში გაენელებინა. ძალიან წუხდა, ლუდვიგ შმაიკლი რომ ადვილად შემოირიგა, უდანაშაულო ტომი მიულერი კი ვერა, გოგონას დანახვაზე ბიჭი ისევ იბუზებოდა.

— აბა მითხარი, როგორ მივმხვდარიყავი, რომ მილიმოდი იმ დღეს? — უმეორებდა გოგონა შეკითხვას.

ტომის მაგივრად რამდენჯერმე კარშიც კი დადგა, სანამ მთელი გუნდი არ შეეკრიბა, მიულერი დააბრუნე ადგილზეო.

— აბა, სწრაფად დატოვე კარი! — უბრძანა ბოლოს ბიჭმა, რომელსაც ჰერალდ მოლენჰაუერი ერქვა. — შენგან ხომ ხეირი არ არის, — ეს მას მერე, რაც ტომიმ გააცურა და გოლი არ გააატანინა. რომ შესძლებოდა, პენალტით დაიჯილდოებდა თავს, მაგრამ ის და ტომი ერთ გუნდში თამაშობდნენ და არ გამოდიოდა.

ლიზელი ისევ ჩაერთო თამაშში და, როგორც წესი, რუდის წაეკიდა. ისინი ხომ ყოველთვის ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ფანდს უგებდნენ, ახელებდნენ. რუდი კომენტატორი იყო:

„ამჯერად მის გაცურებას ეს სულელი ღორუკელა arschgrobbler-ი ვერ შეძლებს. არა, რა, მისი იმედი კაცს ვერ ექნება". როგორც ჩანს, სიამოვნებდა ლიზელისთვის „ტრაკის ჭიის" დაძახება. ბავშვები ერთობიან ასეთი რაღაცებით.

კიდევ ერთი სიამოვნება, რა თქმა უნდა, ქურდობა იყო.

ნაწილი მეოთხე, 1940 წლის ზაფხული.

გულახდილად რომ ვთქვა, ბევრი რამ აერთიანებდა რუდის და ლიზელს, მაგრამ ქურდობა მათ მეგობრობას განსაკუთრებით განამტკიცებდა. ყველაფერი ერთი შემთხვევით დაიწყო. და მას მერე მუდმივი გრძნობა — რუდის შიმშილი — აიძულებდათ, არ გაჩერებულიყვნენ. ბიჭს ყოველთვის შიოდა.

მაშინ, როცა ქვეყანაში თითოეულ ადამიანზე მკაცრად განსაზღვრული რაციონი გაიცემოდა, რუდის მამას საქმე უკან-უკან წაუვიდა (მართალია, ერთი საფრთხე თავიდან აირიდა, ებრაელები კონკურენციას ველარ უწევდნენ, მაგრამ სამაგიეროდ მათი სახით მყიდველებიც დაკარგა). შტაინერებს ძლივს გაჰქონდათ თავი, ჰიმელ-სტრიტის იმ ნაწილში მცხოვრები დანარჩენი ადამიანების მსგავსად, მათაც ვაჭრობა სჭირდებოდათ. ლიზელი თავის წილს დაუთმობდა, მაგრამ თავადაც ძალიან მწირად იკვებებოდა. დედა, ჩვეულებრივ, ბარდის შეჭამანდს აკეთებდა, კვირა ღამით მოამზადებდა ხოლმე და თანაც ერთი-ორი დღე კი არა, მომდევნო შაბათამდე უნდა ჰყოფნოდათ. მერე, მომდევნო კვირას ისევ ამზადებდა. ბარდის წვნიანი, პური, ზოგჯერ კი კარტოფილის ან ხორცის მცირე ულუფა — სულ ეს იყო. შეჭამდი და ვერც დამატებას მოითხოვდი, ვერც დაიჩივლებდი.

თავიდან რას არ იგონებდნენ, ოღონდ შიმშილი დაევიწყებინათ.

რუდი შიმშილს მაშინ ივიწყებდა, როცა ჰიმელ-სტრიტზე ფეხბურთს თამაშობდნენ, როცა და-ძმას ველოსიპედებს ართმევდა და ეგ და ლიზელი ალექსის მაღაზიამდე ერთად მიდიოდნენ ან როცა ლიზელის მამას ესტუმრებოდნენ ხოლმე სამუშაოზე. დღის ბოლოს ჰანსი ჩამოჯდებოდა ბავშვებთან და ანეკდოტებს უყვებოდა.

იშვიათ სიცხეებს თუ დაიჭერდა, გასართობი ემატებოდათ — მდინარე ამპერზე ცურვას სწავლობდნენ. წყალი ჯერ კიდევ ცივი იყო, მაგრამ უარს არ ამბობდნენ ბანაობაზე.

— მოდი, — ახელებდა რუდი, — აი, აქეთ მოდი, სულ არ არის ღრმა, — ლიზელი წყალში უზარმაზარ ხვრელს ვერ ხედავდა, ამიტომ მდინარეში გადამხტარი პირდაპირ ფსკერისკენ მიდიოდა. ერთხელ ძალლურმა ცურვამ უშველა, მაგრამ წყალი გადასცდა სასულეში და კინაღამ გაიგუდა.

— ღორიშვილო! — შეაგინა ბიჭს, ნაპირზე რომ ალასლასდა.

რუდი მოშორებით იდგა, ახსოვდა, რა დღეში ჩააგდო გოგონამ ლუდვიგ შმაიკლი.

— ცურვა უკვე შეგიძლია, არა?

ამ სიტყვებმა ოდნავადაც ვერ გაამხიარულა ლიზელი, ადგა და შინისკენ მწყობრი ნაბიჯით გაუყვა გზას, თმა სახეზე ენებებოდა, ცხვირიდან ცინგლი სდიოდა.

რუდიმ დაუძახა:

— განა ცურვის სწავლებისთვის შენგან კოცნა არ მეკუთვნის?

— ღორიშვილო!

თავხედი!

ეს გარდაუვალი იყო.

სევდის მომგვრელმა ბარდის წვნიანმა და შიმშილმა ლიზელი და რუდი ქურდობამდე მიიყვანა. ეს უფროსმა ბავშვებმა შთააგონეს, ისინი ფერმერებს ჰპარავდნენ ხოლმე მოსავალს. ხილის ქურდები.

ფეხბურთის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ისწავლეს, რომ ყურები უნდა გამოეფხიკათ და არაფერი გამოჰპაროდათ: რუდის სახლის წინკარში, კიბეზე ისხდნენ, და ფრიც ჰამერი შენიშნეს, მათი უფროსი მეგობარი, რომელიც ვაშლს შეექცეოდა. კლარის ჯიშის ვაშლი იყო, ივლისსა და აგვისტოში მწიფს ხოლმე და ბიჭის ხელებში მადისაღმძვრელად გამოიყურებოდა. ქურთუკის ჯიბეებში კიდევ ეწყო ორი-სამი ცალი. ბავშვები მიუჩოჩდნენ.

— სად იშოვე? — ჰკითხა რუდიმ.

ბიჭმა გაიცინა:

— ჩუ! — ვაშლი ამოიღო ჯიბიდან და რუდის გადაუგდო, — აბა, ნახე! — შემდეგ გააფრთხილა, — არ შემიჭამო, იცოდე!

ის ბიჭი მეორედაც რომ ნახეს და შენიშნეს, რომ კარგი ამინდის მიუხედავად, ისევ იმავე, თბილ ქურთუკში იყო გამოწყობილი, ფეხდაფეხ გაჰყვნენ. მდინარე ამპერის ზემო წელამდე სდიეს. იქ ახლოს ხომ მამასთან ერთად ლიზელი კითხვაში სამეცადინოდ დადიოდა.

ბიჭს ხუთი ყმაწვილისგან შემდგარი რაზმი ელოდა, ზოგი აწონილი იყო, ზოგიც დაბალი და გამხდარი.

ასეთი რამდენიმე ჯგუფი მოქმედებდა იმ დროს მოლკინგში და ზოგიერთში ექვსი წლის ბავშვებიც კი შედიოდნენ. იმ კონკრეტულ ბანდას სასიამოვნო გარეგნობის თხუთმეტი წლის დამნაშავე მეთაურობდა, სახელად ართურ ბერგი. მან მიმოიხედა და ორი თერთმეტი წლის ბავშვი დაინახა, რომლებიც მის უკან იდგნენ.

— Und? — იკითხა, — და?

— მშია, — უპასუხა რუდიმ.

— და თან სწრაფი ბიჭია, — დაამატა ლიზელმა.

ბერგმა გოგონას შეხედა.

— შენთვის არ მითხოვია აზრის გამოთქმა, — მოზარდისთვის დამახასიათებელი გარეგნობა ჰქონდა — აყლაყუდა იყო, კისერნაგრძელებული, სახე მუწუკებით დაფარვოდა. — მაგრამ მომწონხართ, — მეგობრულად ესაუბრებოდა ბავშვებს, ჭაბუკურად მჭევრმეტყველებდა, — ეს ხომ ის გოგოა, შენი ძმა რომ მიბეგვა, ანდრე? — ხმებს ამ ბანდამდეც მოეღწია, ასაკობრივი ბარიერები გადაელახა.

ერთმა ბიჭმა დაბლებიდან და გამხდრებიდან, გაჩეჩილი ქერა თმითა და ყინულივით გამჭირვალე კანით, ლიზელს გახედა:

— მგონი ისაა.

რუდიმ კი დაუდასტურა:

— კი, ისაა.

ენდი შმაიკლი გოგონას მიუახლოვდა, შეფიქრიანებულმა აათვალიერ-ჩაათვალიერა, შემდეგ კი სახე ღიმილმა გაუნათა:

— ყოჩაღ შენ, ბავშვო, — გაძვალტყავებულ მხრებზე დაუტყაპუნა და მისი ძვლები ლამის ხელში შეესო, — მე რომ მიმეებეგვა, ჩემებისგან როზგი არ ამცდებოდა. — ართური ახლა რუდის მიუბრუნდა. — შენ კი ჯესი ოუენსი ხარ, არა?

რუდიმ თავი დაუქნია.

— გასაგებია, — თქვა ართურმა, — იდიოტი კი ხარ, მაგრამ გამოგვადგები, წამო.

რუდი და ლიზელი ბავშვებმა თავის რიგებში მიიღეს.

ფერმას რომ მიაღწიეს, ტომარა გადაუგდეს, ართურსაც ჰქონდა აბგა, გაიქცა და რბილ ქოჩორზე გადაისვა ხელი:

— ადრე თუ გიქურდიათ რომელიმეს?

— რა თქმა უნდა, — დაარწმუნა რუდიმ, — სულ არ ვქურდობთ? — მაინცდამაინც დამაჯერებლად არ გამოუვიდა.

ლიზელმა უფრო ბუნებრივად უპასუხა:

— მე ორი წიგნი მოვიპარე, — ამაზე ართურს გაეცინა, სამჯერ მოკლედ დაიფრუტუნა და სახეზე მუწუკებმა პოზიცია შეიცვალა.

— წიგნები არ იჭმება, საყვარელო.

ბავშვებმა გრძელ, უსწორმასწორო რიგად ჩაყოლებული ვაშლის ხეები დაზვერეს, ართურ ბერგმა ბრძანება გასცა:

— პირველ რიგში — დაიწყო, — ღობეებს ერიდეთ, შიგ არ გაეკვეხოთ, თორემ ჩამოგვრჩებით, გესმით? — ბავშვებმა თავი დაუქნიეს, ზოგმა დიახო, უპასუხა. — მეორე: ერთი ხეზე ავიდეს, მეორე დაბლა დარჩეს, ვაშლი ხომ უნდა შეაგროვოს ვინმემ, — ხელები მოიფშვნიტა, სამზადისი ახალისებდა, — მესამე: თუ ვინმე მოგიახლოვდათ, ისე ხმამაღლა დაიყვირეთ, მკვდარი წამოდგეს და ყველანი გავიქცევით, Richtig?

— Richtig. — გაისმა ერთხმად.

ორი დეგიუტანტი ვაშლის ქურდი

ჩურჩული

— ლიზელ, დარწმუნებული ხარ, ამის გაკეთება გინდა?

— ამ მავთულხლართს შეხედე, რუდი, ძალიან მაღალია.

— არა, არა, მოიხედე, ტომარა იქნებ შენ ისროლო, კარგი? აი, ასე.

— კარგი.

— ახლა გადმოდი.

— არ შემიძლია, — ყოყმანი, — რუდი, მე...

— გაინძერი, ღორუკელა!

რუდიმ გოგონა ღობეზე შესვა, ცარიელი ტომარა ღობის იქით გადააგდო და ასე, ერთიმეორეზე მიყოლებით გადაძვრ-

ნენ. რუდიმ გზა უახლოესი ხისკენ გაიკვლია, ზედ აძვრა და ვაშლების ჩამოყრა დაიწყო. ლიზელი ქვემოთ იდგა და ხილს ტომარაში ყრიდა, მაგრამ რომ გაავსო, კიდევ ერთ წინააღმდეგობას გადააწყდნენ.

— ღობეზე როგორ უნდა გადავიტანოთ?

ამ კითხვას პასუხი მაშინ გაეცა, ართურ ბერგი რომ შენიშნეს ღობეზე, საყრდენი ღერძის სიახლოვეს.

— იქ მავთულხლართი უფრო მტკიცეა, — შენიშნა რუდიმ. ტომარა მესერზე გადააგდო, ლიზელი წინ გაუშვა და თავადაც გადაძვრა, ტომრიდან გადაცვენილ ვაშლებს მიჰყვა.

ბავშვების გვერდით ართურ ბერგის მალალი ფეხები მოჩანდა. ბიჭი გახარებული იდგა და უყურებდა.

— ყოჩაღ, — გაისმა მისი ხმა ზემოდან, — სულაც არ გამოგივიდათ ცუდად.

ლიზელი და რუდი, ბავშვებთან ერთად, მდინარესთან რომ დაბრუნდნენ და ხეებში ჩაიმალნენ, ართურმა ტომარა გახსნა და ლიზელს და რუდის თორმეტამდე ვაშლი მისცა.

— მშვენიერია! — შეაფასა ნადავლი.

იმ დღეს ლიზელსა და რუდის შინ დაბრუნებამდე ნახევარი საათი მაინც დასჭირდათ ექვს-ექვსი ვაშლის შთანთქმაზე. თავიდან უნდოდათ, ხილი შინაურებისთვისაც გაეყოთ, მაგრამ ეს სახიფათოდ მიიჩნიეს. ოჯახის წევრებს არ უნდა სცოდნოდათ, სად იშოვეს ხილი. ლიზელმა ისიც კი იფიქრა, მოდი, მამას მაინც ვეტყვიო, მაგრამ არ უნდოდა, ჰანსს ეფიქრა, ხელიდან წასულ დამნაშავეს ვზრდიო. სხვა რა გზა ჰქონდა, როგორმე თავად უნდა აეთვისებინა ეს სიკეთე.

ვაშლები ბოლომდე შეიჭამა იმ ადგილას, სადაც ცურვას სწავლობდნენ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, ასეთ ფუფუნებას მიუჩვევლები იყვნენ და ხვდებოდნენ, შეიძლება გვაწყინოსო.

მაინც ბოლომდე ჭამეს.

— ღორუკელა! — გალანძღა დედამ იმ ღამით, — რატომ გერევა გული?

— ალბათ ბარდის წვნიანმა მაწყინა, — პასუხობდა ლიზელი.

— მართალია, — აჰყვა ფანჯარასთან მდგარი მამა. — ბარდის ბრალი იქნება, მგონი, მეც გული მერევა.

— შენ ვინღა გეკითხება, ღორიშვილო? — თქვა როზამ და სასწრაფოდ მიუბრუნდა ღორუკელას, რომელიც ისევ არწყევდა. — ეს რა არის? ეს რა არის, ბინძურო ღორო?

მაგრამ ლიზელს არაფერი უთქვამს.

„ვაშლები“, — ფიქრობდა თავისთვის ბედნიერი. ვაშლები იყო და საბედნიეროდ, კიდევ ერთხელ აერია გული.

არიელი მედუქნე

ბავშვები ფრაუ დილერის კირით შეთეთრებული დუქნის კედელთან იდგნენ.

ლიზელ მემინგერს პირში კარამელი ედო.

თვალებში მზე ედგა.

მიუხედავად სიძნელეებისა, საუბარიც შეეძლო და კამათიც.

რუდისა და ლიზელის მორიგი საუბარი

— დაუჩქარე, ღორუკელა, უკვე ათია.

— არა, არ არის. ჯერ რვა თუ იქნება, კიდევ ორი ცალი მჭირდება.

— მაშინ დაუჩქარე. ხომ ვამბობდი, დანა წავიღოთ და ორად გადავჭრათ-მეთქი.

— აი, ორიც.

— ნელა, არ გადაყლაპო.

— იდიოტს ვგავარ?

მცირე პაუზა.

— რა მაგარია, არა?

— ნამდვილად, ღორუკელა!

აგვისტოსა და ზაფხულის მიწურულს ბავშვებმა გზაზე ერთი პფენინგი იპოვეს. სრული აღფრთოვანება.

ჟანგიანი ხურდა ფული პირდაპირ ტალახში ეგდო, თანაც — იმ გზაზე, ყოველდღე რომ გადიოდნენ სარეცხით ხელში. უპატრონო, ჟანგიანი ხურდა ფული.

— შეხედე!

რუდი მონეტას დააფრინდა. ფრაუ დილერის დუქანთან რომ მიირბინეს, აღელვებისგან აღარ იცოდნენ, რა ელონათ. ისიც კი არ უფიქრიათ, ერთი პფენინგი რაში უნდა ჰყოფნოდათ. კართან მიცვივდნენ და არიელი მედუქნის წინ შედგნენ. ის ზიზღით უცქერდა მათ.

— გელოდებით, — თქვა ბოლოს ქალმა, თმა უკან შეეკრა, შავ კაბაში კი მგონი, სული ეხუთებოდა. ფიურერის ჩარჩოში ჩასმული ფოტო კედლიდან უთვალთვალებდა შემოსულებს.

— ჰაილ ჰიტლერ! — დაიწყო რუდიმ.

— ჰაილ ჰიტლერ! — უპასუხა დახლის უკან მდგარმა ქალმა და ნელში კიდევ უფრო გასწორდა, — შენ? — მედუქნე ახლა ლიზელს მიუბრუნდა, მანაც მარდად შეაგება თავისი „ჰაილ ჰიტლერ!"

რუდის დიდი დრო არ დასჭირვებია, ჯიბიდან ამოელო მონეტა და დახლზე მტკიცედ დაედო. შემდეგ ბიჭმა თვალებში ჩახედა ფრაუ დილერს და უთხრა:

— კარამელების ნაკრები მოგვეცით — ფრაუ დილერს გაეღიმა, პირში ძლივს რომ ეტეოდა კბილები, სივიწროვისგან გაღუნვოდა კიდეც. მედუქნის მოულოდნელმა სიკეთემ რუდი და ლიზელიც გააღიმა, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა.

ქალი დაიხარა, ხელები აფათურა დახლქვეშ და ისევ ბავშვებს შეხედა.

— აი, — თქვა და ერთადერთი საწუწნი კანფეტი გაუწოდა, — არევა თქვენთვის მომინდვია.

გარეთ გასულმა ბავშვებმა კანფეტი გახსნეს და სცადეს, ორად გაეკბიჩათ, მაგრამ შაქარი ქვასავით იყო, რუდიმაც კი ვერაფერი დააკლო თავისი ბასრი ეშვებით. მოკლედ, გადაწყვიტეს, სათითაოდ ეწუწნათ კანფეტი, სანამ მთლად არ გათავდებოდა. ათჯერ რუდი გაწუწნიდა, ათჯერ ლიზელი, მერე ისევ თავიდან.

— რა მშვენიერია ცხოვრება! — აღმოხდა რუდის, რომელსაც კბილები სულ კანფეტით ჰქონდა გაგლესილი და ლიზელიც დაეთანხმა. ჭამას რომ მორჩნენ, წითლად შეღებილი პირებით გაუყვნენ შინისკენ გზას და თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, იქნებ ხურდა კიდევ ვიპოვოთო.

ბუნებრივია, არაფერიც აღარ უპოვიათ. იღბალი ორჯერ ზედიზედ ხალხს წელიწადშიც არ სწყალობს, არათუ ერთ დღეში.

წითელი პირებითა და ენებით მაინც ბედნიერები მიუყვებოდნენ ჰიმელ-სტრიტს და გზას აკვირდებოდნენ.

დიდებული დღე იყო და ნაცისტური გერმანიაც შესანიშნავ ადგილად ეჩვენებოდათ.

მებრძოლი, გაბრძელება

ახლა ისევ წინ გადავხტეთ, ბრძოლის ცივ ღამეში. წიგნების ქურდს კი მოგვიანებით დავუბრუნდეთ.

სამი ნოემბერი იყო და მას ფეხები მატარებლის იატაკზე ეწყო.

წინ ედო „ჩემი ბრძოლის“ ერთ-ერთი ეგზემპლარი — მისი ხსნა. სულ ოფლიანი ჰქონდა ხელები და მისი ანაბეჭდი წიგნს ეტყობოდა.

გამომცემლობა „წიგნის ქურდი“ ოფიციალურად წარმოგიდგენთ

Mein Kampf

(ჩემი ბრძოლა)

ავტორი ადოლფ ჰიტლერი

მაქს ვანდერბურგის წინ ქალაქ შტუტგარტს დამცინავად გაეშალა ხელები.

აქ არავინ ელოდა, ამიტომ ცდილობდა, არსად გაეხედა, კუჭში კი ძველისძველი პური უქუცმაცდებოდა. რამდენჯერმე წამოინია, რომ დაენახა, როგორ ჩანდა ქალაქი ნაწყვეტებად, შუქებში და შემდეგ, როგორ უჩინარდებოდა სიბნელეში.

„ამაყად იჯექი, — ურჩია თავს, — არ უნდა შეგეტყოს, რომ გეშინია, წიგნი იკითხე, გაიღიმე, ეს ხომ შესანიშნავი წიგნია, უფრო დიდებული არაფერი დაწერილა. ყურადღებას ნუ მიაქცევ იმ ქალს, გვერდით რომ გიზის, უკვე ჩაეძინა, მიდი, მაქს, სულ რამდენიმე საათილა დაგრჩა“.

ისე მოხდა, რომ ბნელ ოთახში კიდევ ერთი სულიერის გამოჩენას დრო დასჭირდა, დაახლოებით კვირა-ნახევარი. მომდევნო კვირაში ისევ ესტუმრნენ, მერე — კიდევ, ბოლოს მაქსს დღეები და საათები აერია. ერთხელ სხვაგანაც გადაიყვანეს, ისიც პატარა საწყობი იყო, მაგრამ — უფრო განათებული, ხშირადაც აკითხავდნენ და საჭმელიც მეტი მოჰქონდათ, დრო კი უცებ გავიდა.

— მალე უნდა გავემგზავრო, — უთხრა მეგობარმა, უოლტერ კაგლერმა, — ხომ იცი, სადაც, ჯარში.

— ვწუხვარ, უოლტერ.

უოლტერ კაგლერმა, ბავშვობის მეგობარმა, ებრაელ მაქსს მხარზე დაადო ხელი:

— უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო, — შემდეგ ჩახედა ებრაულ თვალებში, — თუნდაც, შენს ადგილას ვყოფილიყავი.

ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა გახლდათ. კუთხეში შეკვრა და ბილეთები დაუტოვა, შემდეგ თავისი ხელით გადაშალა „ჩემი ბრძოლა“ და შიგ ბილეთები ჩადო:

— მეცამეტე გვერდზე, — გაელიმა კაგლერს, — ბედნიერი რიცხვია, არა?

— ბედნიერი რიცხვია, — და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

კარი რომ დაიხურა, მაქსმა წიგნი გადაშალა და ბილეთი შეამოწმა. შტუტგარტი–მიუნხენი-პაზინგი. მატარებელი ორი დღის შემდეგ გადიოდა, ღამით, ისეთ დროს, მეორე რეისზე გადაჯდომა რომ მოესწრო, მერე გზას ფეხით გააგრძელებდა, ოთხად გაკეცილი რუკა უკვე ჰქონდა, გასაღები კი ყდის შიდა მხარეს იყო ჩამაგრებული.

მაქსი ნახევარი საათი იჯდა, სანამ ჩანთისკენ გადადგამდა ნაბიჯს და გახსნიდა, საჭმლის გარდა მასში სხვა ნივთებიც ჩაეწყოთ.

უოლტერ კაგლერის საჩუქრის სხვა შიგთავსი

პატარა სამართებელი.
კოვზი — ნივთი, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს სარკეს.
საპარსი კრემი.
მაკრატელი.

მაქსის გასვლისას სარდაფი ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით, რალაცას, იატაკზე.

— ნახვამდის, — ჩაიჩურჩულა.

რაც მაქსმა ბოლოს იმ იატაკზე დაინახა, თმის ბლუჯა იყო კედელთან.

— ნახვამდის.

შენობიდან უკვე ახალი ადამიანი გავიდა, სუფთად გაპარსული და ფაქიზად გადავარცხნილი. ფაქტობრივად, ქუჩაში გერმანელი მიაბიჯებდა. არა, მოითმინეთ — იყო კიდეც გერმანელი. უფრო ზუსტად — ოდესღაც იყო გერმანელი.

კუჭს ერთდროულად სიმაძღრისა და გულისრევის ელექტრონები ულიზიანებდა.

სადგურისკენ წავიდა.

ბილეთი და პირადობის მოწმობა შეუმოწმეს და ახლა მატარებლის ვაგონში იჯდა, პროჟექტორებით განათებული საფრთხის შუაგულში.

— საბუთები.

სწორედ ამ სიტყვის ეშინოდა.

ბაქანზე რომ გაჩერდა, ისე ინერვიულა, გაიფიქრა, მეორედ ამას ველარ გადავიტანო.

აცახცახებული ხელები.

დანაშაულის სუნი. არა, სიმყრალე.

ამის ატანა მართლაც აღარ შეეძლო.

საბედნიეროდ, შემოწმება მალე დამთავრდა, თანაც მხოლოდ ბილეთები მოსთხოვეს და ამის შემდეგ მაქსი ფანჯრიდან დანახული პატარა ქალაქის, შუქისა და ვაგონის ბოლოში მხვრინავი ქალის ამარა დარჩა.

მგზავრობისას, წიგნში იცქირებოდა, თავი ერთხელაც არ აუწევია.

სიტყვები ენის წვერზე ადგა.

უცნაურია, ფურცლებს რომ შლიდა და ერთი თავიდან მეორეზე გადადიოდა, მხოლოდ ორი სიტყვის გემოს გრძნობდა.

Mein Kampf. ჩემი ბრძოლა.

სათაური, ისევ და ისევ სათაური, სანამ მატარებელი გერმანიის ერთი ქალაქიდან მეორისკენ მიემართებოდა.

Mein Kampf.

ვინ წარმოიდგენდა, ეს სიტყვები თუ გადაარჩენდა.

თაღლითები

შეგიძლიათ, არ დამეთანხმოთ, თუ ვიტყვი, ლიზელ მემინგერი თავს კარგად გრძნობდა-მეთქი, თუმცა, მაქს ვანდენბურგთან შედარებით, ასეც იყო. რასაკვირველია, ძმა ლამისაა ხელში ჩააკვდა, დედამ კი მიატოვა.

მაგრამ ებრაელად დაბადებას ყველაფერი ჯობდა.

მაქსის ჩამოსვლას ერთი ცუდი ამბავი უძღოდა წინ, ოჯახმა მორიგი კლიენტი დაკარგა, ამჯერად ვაინგარტნერების ოჯახი. სამზარეულოში კიდევ ერთხელ გაისმა *schimpfen*-ი, ლიზელი კი თავს იმშვიდებდა, კიდევ ორი კლიენტი დაგვრჩა, აქედან ერთ-ერთი მერის ცოლი და მისი წიგნებიაო.

ლიზელის სხვა საქმიანობას რაც შეეხება, ისევ აცარიელებდა მეზობლების კარ-მიდამოს რუდი შტაინერთან ერთად. შემიძლია ვთქვა, რომ დანაშაულებრივ ქმედებებს ხვეწდა.

ართურ ბერგთან და მის მეგობრებთან ერთად ლიზელი და რუდი კიდევ რამდენჯერმე წავიდნენ საქურდლად. უნდოდათ, დაემტკიცებინათ, ჯგუფის წევრობის ღირსები ვართო და თანაც, ქურდობის რეპერტუარის გამრავალფეროვნებას ცდილობდნენ. ერთი ფერმიდან კარტოფილი მოიპარეს, მეორიდან — ხახვი. თუმცა, მთავარ გამარჯვებას მარტოებმა მიაღწიეს.

ქალაქში სეირნობას დიდი უპირატესობა ჰქონდა. ადრე თქვენც გახდით ამის მოწმე. ალბათ გახსოვთ, ბავშვებმა მიწაზე რაღაც რომ იპოვეს.

კიდევ ერთი საქმიანობა, რაც მოსწონდათ, ადამიანების ცქერა იყო, თანაც ერთი და იმავე ადამიანებისა, რომლებიც კვირიდან კვირამდე ერთსა და იმავეს საქმიანობდნენ.

ასეთი იყო მათი სკოლელი ოტო შტარმი. ყოველ პარასკევს ველოსიპედით მიდიოდა ეკლესიაში და პროდუქტები მიჰქონდა მღვდელთან.

ბავშვები ერთი თვე უთვალთვალებდნენ მას და როცა კარგი ამინდები ცუდმა შეცვალა, ოქტომბრის ყინვიან პარასკევს რუდიმ გადაწყვიტა, ოტომ დღეს ეკლესიამდე ვერ უნდა მიაღწიოსო.

— ეს მღვდლები, — უხსნიდა რუდი ლიზელს ქალაქში სეირნობისას, — მაინც ძალიან მსუქნები არიან, ერთი კვირა რომ არაფერი შეჭამონ, რა უჭირთ.

ლიზელს არ შეეძლო, არ დასთანხმებოდა. ჯერ ერთი, ის კათოლიკე იყო, მეორეც, ძალიან შიოდა. მთელი დღე, როგორც ყოველთვის, სარეცხს დაატარებდა. რუდიმ ორი სათლი ცივი წყალი მოზიდა, როგორც თვითონ უნოდა წყალს — მომავალი ყინული.

სანამ ორი საათი დადგებოდა, იმუშავა.

არც უყოყმანია, ისე დაასხა წყალი იმ მოსახვევში, სადაც ოტოს უნდა გაევლო. ლიზელს ეს არ მოეწონა. თავიდან დანაშაულის გრძნობამ შეანუხა, მაგრამ გეგმა იმდენად უზადო იყო, სრულყოფილებამდე ცოტაღა უკლდა. პარასკეობით, ორი საათის შემდეგ ოტო შტარმი მიუნხენის ქუჩისკენ უხვევდა, ველოსიპედის ნინ დამაგრებულ კალათაში კი სურსათი ეწყო. იმ კონკრეტულ პარასკევს მხოლოდ კუთხემდე მივიდა.

გზა მოყინული იყო, მაგრამ რუდიმ ერთი ფენა კიდევ დაამატა და გაიღიმა, ღიმილმა სახე დაუსერა.

— წამოდი, — თქვა შემდეგ, — აი, იმ ბუჩქის უკან.

დაახლოებით თორმეტ წუთში ეშმაკურ ფანდს, ასე ვთქვათ, შედეგი უნდა გამოეღო.

რუდიმ ბუჩქიდან თითი გაიშვირა:

— აი, მოდის.

კრავივით თვლემამორეული ოტო კუთხეს უახლოვდებოდა.

მუხრუჭის გარეშე შევიდა მოსახვევში, ყინულზე მოცურდა და სახით დაერჭო ძირს.

ცოტა ხანში რომ არ გაინძრა, შეშფოთებულმა რუდიმ ლიზელს შეხედა.

— ჯვარცმულო ქრისტე, მგონი მოვკალით!

რუდი ნელა გამოძვრა ბუჩქიდან, კალათა აიღო და ბავშვები გზას გაუდგნენ.

— სუნთქავდა? — იკითხა ლიზელმა, ქუჩას რომ ჩაუყვნენ.

— Keine Ahnung, — თქვა რუდიმ და კალათა ჩაიხუტა. წარმოდგენა არ ჰქონდა.

გორაკიდან დაშვებისას ბავშვებმა დაინახეს, როგორ წამოდგა ოტო, თავი ასწია, შარვლის უბე მოიქექა და კალათას დაუწყო ძებნა.

— სულელი Scheisskopf, — ჩაიცინა რუდიმ და ნადავლს გადაავლო თვალი. პური, დამტვრეული კვერცხები და ერთი დიდი Speck-ი. რუდიმ ქონიანი შაშხი ცხვირთან მიიტანა და სიამოვნებით დაყნოსა.

— მშვენიერია.

მართალია, დიდი იყო ცდუნება, მოპოვებული გამარჯვება არავისთვის გაეზიარებინათ, მაგრამ ართურ ბერგის ერთგულებამ სძლიათ და კემფ-შტრასესკენ გაემართნენ. იქ საცოდავ ქოხმახში მათი მეგობარი ცხოვრობდა. ართურმა ალფრთოვანება ვერ დამალა:

— ვის მოჰპარეთ?

— ოტო შტარმს, — მიუგო რუდიმ.

— ძალიან კარგი, — თავი დააქნია ართურმა, — ვინც უნდა იყოს, მადლობელი ვარ მისი, — მერე ოთახში შებრუნდა და პურის საჭრელი დანით, ტაფითა და ქურთუკით გამოვიდა. სამმა ქურდმა დერეფანი გაიარა.

— სხვებსაც დავუძახოთ, — თქვა ართურმა — მართალია, კრიმინალები ვართ, მაგრამ მთლად არ დაგვიკარგავს სინდისი.

წიგნის ქურდისა არ იყოს, ხანდახან ართურიც ცდილობდა, წარმოსახვითი ზღვრისთვის არ გადაებიჯებინა.

ბავშვებმა რამდენიმე კარზე დააკაკუნეს, ზოგსაც ქუჩიდან დაუძახეს და ართურ ბერგის ხილის ქურდების კონგლომერატი მდინარე ამპერისკენ გაემართა.

მდინარის ნაპირზე ბავშვებმა კოცონი დაანთეს, ის, რაც დამტვრეული კვერცხებისგან დარჩა, შეწვეს, პური და ბეკონი დაჭრეს, შემდეგ კი ხელებისა და დანის დახმარებით ბოლომდე მიირთვეს ოტო შტერნის ნობათი, მღვდლების გარეშე.

მხოლოდ ბოლოს ნაკამათდნენ, კალათას გამო. ბიჭების უმეტესობას მისი დაწვა სურდა, ფრიც ჰამერი და ენდი შმაიკლი ამბობდნენ, შევინახოთო, მაგრამ ართურ ბერგს, რომელსაც მორალის თაობაზე უცნაური შეხედულება ჰქონდა, უკეთესი იდეა დაებადა.

— იქნებ — მიმართა რუდის და ლიზელს, — წახვიდეთ და შტერნს დაუბრუნოთ ნივთი. ჩემი აზრით, მაგ ნაბიჭვარმა ეს მაინც დაიმსახურა ჩვენგან.

— ოჰ, კარგი, რა, ართურ.

— ენდი, შენი ხმა არ გავიგო!

— იესო ქრისტე!

— არც მას სურს შენი ხმის გაგონება!

ბავშვებს გაეცინათ, რუდი შტაინერმა კი კალათა აიღო.

— წავიღებ და საფოსტო ყუთზე ჩამოვუკიდებ.

ოციოდ მეტრი ექნებოდა გავლილი, გოგონა რომ წამოეწია. შინ დააგვიანდებოდა და ამისთვის კარგ დღეს არ დააყრიდნენ, მაგრამ მაინც სურდა, რუდის გაჰყოლოდა შტერნების ფერმამდე, ქალაქის მეორე ბოლოში.

კარგა ხანს მდუმარედ მიაბიჯებდნენ.

— ნანობ? — ჰკითხა ბოლოს ლიზელმა. უკვე შინ ბრუნდებოდნენ.

— რას?

— თვითონაც მშვენივრად იცი.

— ჰო, ვნანობ, მაგრამ მშიოდა და რა მექნა, თანაც, სანაძლეოს ჩამოვალ, ოტო არ იქნებოდა მშიერი. როგორ ფიქრობ, საკმარისი პროდუქტი რომ არ ჰქონდეთ შინ, მღვდლებს წაუღებდნენ?

— ჰო, მაგრამ ცუდად დაეცა.

— არ გამახსენო, — თქვა რუდი შტაინერმა, მაგრამ ღიმილი ვერ შეიკავა.

მომდევნო წლებში რუდი მოპარვის ნაცვლად დააპურებს ხალხს — წინააღმდეგობრივი ადამიანური ბუნების კიდევ ერთი მაგალითი. ბევრი სიკეთე, ბევრი ბოროტება. მხოლოდ წყალი დაამატეთ გასაზავებლად.

იმ ტკბილ-მწარე გამარჯვებიდან ხუთი დღე გავიდა და ართურ ბერგი ისევ გამოჩნდა — ბავშვები საქურდლად გაიწვია. ისინიც სკოლიდან შინ წასვლის ნაცვლად, მიუნხენის ქუჩისკენ გაჰყვნენ. ოთხშაბათი იყო. ართურს უკვე „ჰიტლერიუგენდის" უნიფორმა ეცვა:

— ხვალ შუადღეზე ვაპირებთ საქურდლად წასვლას, გაინტერესებთ, სად?

— სად? — ბავშვებმა თავი ვერ შეიკავეს.

— კარტოფილის ნათესებში.

ოცდაოთხი საათის შემდეგ ლიზელი და რუდი მამაცურად გადააცოცდნენ მავთულის ღობეს და ტომარა გაავსეს.

პრობლემამ მაშინ იჩინა თავი, უკან რომ აპირებდნენ გაბრუნებას.

— იესო! — დაიყვირა ართურმა, — ფერმერი! — ეს სიტყვა მომდევნო ალმოჩნდა, ბავშვები შეშინდნენ. რუდიმ ისე წამოიძახა, თითქოს ნათესების მეპატრონე უკვე უტევდათ. პირი გააღო და სიტყვა გამოუფრინდა, ნაჯახივით ბასრი.

უკან რომ მიიხედეს, დარწმუნდნენ, იარაღშემართული ფერმერი მოსდევდათ.

მთელი ჯგუფი ღობეს გადაევლო და გაიქცა. რუდი ყველაზე შორს იყო მავთულხლართისგან და რაც უნდა სწრაფად ერბინა, მაინც ვერ დაეწეოდა მათ. როგორც იქნა, მიაღწია ღობემდე, მაგრამ მავთულებში ფეხი გაეხლართა.

— ჰეი!

მავთულხლართის ხმა.

ჯგუფი შეჩერდა.

ლიზელი ინსტინქტურად უკან გაიქცა.

— იჩქარე! — დაუძახა ართურმა, მისი ხმა შორიდან ისმოდა, გეგონებოდა, სიტყვა გადაყლაპა, სანამ პირიდან ამოუშვებდა.

თეთრი ცა.

გაქცეული ბავშვები.

ლიზელი ლობესთან მივიდა და შარვალზე მოქაჩა რუდის, რომელსაც შიშისგან თვალები გაჰფართოებოდა.

— სწრაფად, — უთხრა ბიჭმა, — გვიახლოვდება!

ჯერ ისევ ესმოდათ გაქცეული ბავშვების ფეხის ხმა, როცა კიდევ ერთმა ხელმა მოქაჩა რუდის შარვალს. მავთულზე ქსოვილი შერჩა, მაგრამ რუდი გათავისუფლდა, ახლა უკვე შეეძლო გაქცევა.

— აბა, ახლა გაინძერი, — ურჩია ართურმა და ცოტა ხანში ფერმერმაც მიაღწია მავთულხლართამდე, იგინებოდა და სულის მოთქმას ცდილობდა, ნაჯახი თითქოს ფეხზე ჰქონდა მიკრული მთელი ძალით. კარტოფილის ნათესების მეპატრონემ მუქარის სიტყვები დაადევნა გაქცეულებს:

— თქვენ თავს დავაჭერინებ! გიპოვით! გავიგებ, ვინ ხართ!

ამაზე ართურ ბერგმა უპასუხა:

— ოუენსის სახელზე იჩივლე, — ბიჭი გაიქცა, რომ ლიზელს და რუდის დასდევნებოდა, — ჯესი ოუენსის!

ბავშვებმა თავი უსაფრთხოდ რომ იგრძნეს, მიწაზე დაცვივდნენ და სცადეს, ფილტვებში ჰაერი ჩაეშვათ, ამასობაში ართურ ბერგმაც მიირბინა. რუდი თვალებში ვერ უყურებდა მას.

— ასეთი რამ, შეიძლება, ნებისმიერ ჩვენგანს შემთხვეოდა, — თქვა ართურმა, როცა რუდის იმედგაცრუება შენიშნა. ცრუობდა? ბავშვები ამაში დარწმუნებული არ იყვნენ და ვერც ვერასოდეს გაიგებდნენ დანამდვილებით.

რამდენიმე კვირაში ართურ ბერგი კიოლნში გადაიყვანეს. ბავშვებმა ის ერთხელ კიდევ ნახეს გამგზავრებამდე, ლიზელი იმ დღეს დარეცხილი ტანსაცმლით სავსე ჩანთებს დაატარებდა. მიუნხენის ქუჩაზე გასასვლელს რომ მიუახლოვდა, ართურმა გოგონას ყავისფერი ქაღალდი გაუწოდა, რომელშიც თორმეტი ცალი წაბლი მაინც იყო გახვეული და ჩაეცინა.

— ნაცნობებმა გამიხერხეს შემწვარ-მოხრაკულის ინდუსტრიიდან. — მერე ბავშვებს შეატყობინა, მივემგზავრებიო, ბოლო მუწუკებიანი ღიმილი უწილადა და შუბლში სტკიცა

ხელი თითოეულს, — ერთბაშად არ შესანსლოთ, — უთხრა. მას მერე ლიზელსა და რუდის ართური აღარსად უნახავთ.

მე რაც შემეხება, შემიძლია, გითხრათ, სად მოვკარი თვალი.

მოკლე მიძღვნა ართურ ბერგს, რომელიც, ჯერ კიდევ ცოცხალია

კიოლნის ცა ყვითელი იყო, ლპებოდა და კიდეებიდან ფთილები სცვიოდა.
ართური იჯდა, კედელს მიყრდნობილი და ხელში ბავშვი ეკავა. საკუთარი და.
გოგონამ სუნთქვა რომ შეწყვიტა, ართური მასთან დარჩა და ვიგრძენი, რომ რამდენიმე საათი ხელს არ გაუშვებდა.
ჯიბეში ორი მოპარული ვაშლი ედო.

ამჯერად ბავშვები ჭკვიანურად მოიქცნენ, სათითაოდ შეჭამეს რამდენიმე წაბლი და დანარჩენი კარდაკარ ჩამოატარეს გასაყიდად.

— რამდენიმე პფენინგს თუ გაიმეტებთ, — ამბობდა ლიზელი ყოველი სახლის წინ, — წაბლი მაქვს და მოგყიდით. — საბოლოოდ თექვსმეტი მონეტა მოაგროვეს.

— ახლა კი, — გაიკრიჭა რუდი, — შურისძიების დროა.

იმავე შუადღეს ბავშვები ფრაუ დილერთან მივიდნენ, „ჰაილ ჰიტლერით“ მიესალმნენ და დაელოდნენ.

— ისევ კანფეტების ასორტი გნებავთ? — ჩაიცინა ფრაუ დილერმა და ბავშვებმაც თავები დაუქნიეს, შემდეგ ფული დაყარეს დახლზე და ფრაუ დილერმა გაღიმების ნაცვლად პირი დააღო.

— დიახ, ფრაუ დილერ, — თქვეს უნისონში, — კარამელის ნარევი, გეთაყვა.

ჩარჩოში ჩასმული ფიურერი ბავშვებით ამაყობდა.

ტრიუმფი ქარიშხლის წინ.

მებრძოლი, დასასრული

ჩემს ჟონგლიორობას მალე ბოლო მოეღება, ბრძოლას კი — არა. ცალ ხელში ლიზელ მემინგერი მყავს, მეორეში მაქს ვანდენბურგი და ცოტა ხანში ერთმანეთს შემოვკრავ, უბრალოდ, რამდენიმე გვერდი მაცადეთ.

მებრძოლი:

მაქსი ღამით რომ მოეკლათ, ცოცხალი მაინც მოკვდებოდა.

მატარებლით მგზავრობა დასრულდა, იმ ქალმა კი, ვაგონში რომ ხვრინავდა, გზა განაგრძო. ახლა მაქსს ნაბიჯებიღა რჩებოდა გადარჩენამდე.

ნაბიჯები და ფიქრი, კიდევ — ეჭვები.

გონებაში აღბეჭდილ რუკას მიჰყვებოდა, პაზინგიდან მოლკინგამდე.

ქალაქი რომ დაინახა, უკვე ბნელოდა. ფეხები საშინლად სტკიოდა, მაგრამ უკვე იქ იყო — ყველაზე სახიფათო ადგილას. ხელის განვდენაზე.

აღწერილობის მიხედვით იპოვა მიუნხენის ქუჩა და ბილიკს გაუყვა.

ყველაფერი დაძაბულიყო.

ქუჩის ფარნების პრიალა შუშები.

ბნელი, ულიმღამო შენობები.

ქალაქის საბჭოს შენობა ტორებიანი, ასაკისთვის შეუფერებლად ზორბა ახალგაზრდასავით იდგა. ეკლესია კი, რაც უფრო მაღლა მიუყვებოდა მის კედლებს მზერით, მით უფრო უჩინარდებოდა სიბნელეში.

ყველაფერი მას მისჩერებოდა.

აკანკალდა.

საკუთარი თავი გააფრთხილა: „იცოდე, ყურადღებით!“

(გერმანელი ბავშვები ქუჩაში მონეტებს დაეძებდნენ, გერმანელი ებრაელი კი საფრთხის მოლოდინში გაფაციცებული მიაბიჯებდა).

ცამეტი კვლავ ბედნიერ რიცხვად მიაჩნდა და ცდილობდა, ნაბიჯები იქამდე დაეთვალა. ცამეტი ნაბიჯილა დამრჩაო, ეუბნებოდა თავს. ასე გაიმეორა ოთხმოცდაათჯერ მაინც, სანამ ჰიმელ-სტრიტამდე მიაღწევდა.

ცალ ხელში ჩემოდანი ეჭირა.

მეორეში — ისევ „ჩემი ბრძოლა“.

ორივე მძიმე იყო, ორივე ხელი გაოფლილი ჰქონდა.

ახლა ქუჩის ერთ მხარეს შეუხვია და ოცდამეცამეტე სახლისკენ გაემართა. ცდილობდა, ფარად ღიმილი ან ქვითინი აეფარებინა, ან წარმოედგინა, რომ უშიშრად ყოფნა ელოდა მომავალში. თან საკუთარ თავს უმეორებდა, იმედის დრო არ არისო. რა თქმა უნდა, იმედს სულ უფრო უახლოვდებოდა, ცოტაც და ხელით მისწვდებოდა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გულდაჯერებული ყოფილიყო, ფიქრობდა, რას იზამდა ბოლო წუთებში თუ დააკავებდნენ ან კარს სულ სხვა ადამიანი თუ გაულებდა.

რა თქმა უნდა, სინდისიც ქენჯნიდა, ცოდვის შეგრძნება აწუხებდა.

რა მოეხერხებინა ამ გრძნობისთვის?

როგორ შეეძლო, მისულიყო იქ და ადამიანებისთვის ეთხოვა, მისი გულისთვის საკუთარი სიცოცხლე ჩაეგდოთ საფრთხეში? როგორ შეეძლო, ასეთი თავკერძა ყოფილიყო?

ოცდაცამეტი.

ერთმანეთს შეხედეს.

სახლი უფერული იყო, ავადმყოფური შესახედაობის რკინის ჭიშკარი ება და ყავისფერი, ფურთხით დასვრილი კარი.

მაქსმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო. მას არ გაუელვებია, დუნედ და მქრალად იდო ხელისგულზე. წამით მუშტში მოიმწყვდია, ეგონა, ხელიდან ძირს დაეღვენთებოდა. ასე არ მოხდა. ლითონი მტკიცე იყო და ბრტყელი, უჟანგავი კბილანების მთელი კომპლექტით, მაქსი მანამ უჭერდა ხელს, სანამ კბილანები არ შეესო.

ნაწილი მეოთხე

თავთან მდგომი კაცი

მონაწილეობენ:

აკორდეონისტი — სიტყვის კაცი — კარგი გოგო — ებრაელი ჩხუბისთავი — როზას მრისხანება — ლექცია — მძინარე — ავი ზმანებების გაცვლა — და რამდენიმე გვერდი სარდაფიდან.

აკორდეონისტი

(ჰანს ჰუბერმანის ფარული ცხოვრება)

სამზარეულოში ახალგაზრდა მამაკაცი იდგა. ხელში ისე ეკავა გასაღები, თითქოს ხორცზე შეზრდოდა. გამარჯობის მსგავსი არაფერი უთქვამს, არც გემუდარებით, დამეხმარეთო, არაფერი. მხოლოდ ორი შეკითხვა დასვა:

შეკითხვა პირველი

— ჰანს ჰუბერმანი ბრძანდებით?

შეკითხვა მეორე

— აკორდეონზე ისევ უკრავთ?

ჰანსი უხერხულად უცქერდა მის წინაშე მდგარ ადამიანს, ახალგაზრდა კაცის ხმამ სიბნელიდან ისე ამოხეთქა, თითქოს მისგან ესლა დარჩენილიყო.

მამა შეშფოთებული და შეძრწმუნებული მიუახლოვდა.

სამზარეულოში ჩურჩული გაისმა:

— რა თქმა უნდა, ვუკრავ.

ყველაფერი მრავალი წლის წინ მოხდა, პირველ მსოფლიო ომში.

რა უცნაური რამაა ეს ომები.

სავსე სისხლითა და ძალადობით, მაგრამ ასევე ამბებით, რომელთა სილრმესაც ძნელად თუ გაზომავს კაცი. „მარ-

თალია, — ჩაიბურტყუნებენ ადამიანები, — შეგიძლიათ, არ დაგვიჯეროთ, მაგრამ იმ მელამ ჩვენი სიცოცხლე იხსნა". ან: „ჩემგან მარჯვნივ ან მარცხნივ ვინც იდგა, ყველა დაიღუპა, ერთადერთი ვიყავი, ვინც შუბლში ტყვიას გადავურჩი. რატომ მე და არა სხვა?"

ჰანს ჰუბერმანის ამბავიც ამას ჰგავდა. წიგნის ქურდის ჩანაწერებში ამოვიკითხე და მივხვდი, რომ ომში ერთმანეთს ჩავუარეთ, მაგრამ არ შევხვედრივართ. მაშინ უამრავი საქმე მქონდა, ჰანსი კი, ჩემი აზრით, ყველაფერს აკეთებდა, ჩემთან შეხვედრა რომ აერიდებინა.

პირველად გვერდიგვერდ რომ აღმოვჩნდით, ჰანსი ოცდაორი წლისა იყო და ფრანგებს ებრძოდა. დანაყოფის ჯარისკაცთა უმეტესობას ბრძოლა ეხალისებოდა, თუმცა, ჰანსზე ამას ვერ იტყოდი. მაშინ რამდენიმე მებრძოლი წავიყვანე, ჰანს ჰუბერმანსაც მივუახლოვდი, მაგრამ ის მეტისმეტად ილბლიანი აღმოჩნდა. შეიძლება, სიცოცხლეს იმსახურებდა ან სიცოცხლის მიზეზი ჰქონდა.

ჯარში არასოდეს ცდილობდა, თავი გამოედო. ყოველთვის შუაში იდგა, შუაში მიცოცავდა და იარაღსაც მხოლოდ იმისთვის უმიზნებდა მტერს, უფროსობა რომ არ გაებრაზებინა, არც იმ ადამიანებს შორის აღმოჩენილა, პირველს რომ გზავნიდნენ ხოლმე სიკვდილთან პირისპირ შესახვედრად.

მოკლე, მაგრამ საინტერესო შენიშვნა

წლების განმავლობაში მინახავს ბევრი ახალგაზრდა, რომელსაც ეგონა, რომ გაიქცა სხვისკენ. მაგრამ შემცდარა. სინამდვილეში ჩემკენ მორბოდა.

ექვსი თვე გავიდა, რაც ჰანსი საფრანგეთში იბრძოდა და მისი სიცოცხლე ერთი შეხედვით უცნაურმა შემთხვევამ იხსნა. ომის დროს მომხდარ, იმ უაზრო ამბავში დიდი აზრი დევს.

სხვათა შორის, ჰანსი მსოფლიო ომმა მაშინვე განაცვიფრა, როგორც კი ფრონტზე მოხვდა. სერიალივით იყო, დღე დღეს მისდევდა, ღამე ღამეს:

ტყვიების დიალოგი.

ჯარისკაცები დასვენებისას.

ყველაზე ბინძური ანეკდოტები მსოფლიოში.

ცივი ოფლი — ეს პატარა ბოროტი მეგობარი — დაუპატიჟებლად რომ ჩნდება იღლიებსა და შარვალში.

ყველაზე მეტად ჰანსს ბანქოს თამაში უყვარდა. მას ჭადრაკის რამდენიმე პარტიასაც მიაყოლებდა ხოლმე, თუმცა, ორივეს საცოდავად თამაშობდა. და მუსიკა. ყოველთვის მუსიკა.

ის კაცი ჰანსზე ერთი წლით უფროსი იყო, გერმანელი ებრაელი, სახელად ერიკ ვანდენბურგი. მან ასწავლა აკორდეონზე დაკვრა. ისინი იმიტომაც დამეგობრდნენ, რომ ბრძოლის ინტერესი არ ჰქონდათ. თუთუნის მოხვევა ერჩივნათ თოვლსა და ტალახში გორიალს, მაგიდაზე ბანქოს გასრიალება კი — თოფის სროლას. მტკიცე მეგობრობა აზარტულ თამაშებზე, სიგარეტის მოწევასა და მუსიკაზე იყო დაფუძნებული, გადარჩენის ფარულ სურვილს თუ არ ჩავთვლით. ერთი უბედურება, რაც იმ ამბავს მოჰყვა, ისაა, რომ ერიკ ვანდენბურგი გორაკზე იპოვეს დაფლეთილი. თვალები ღია დარჩენოდა, საქორწინო ბეჭედი კი ვიღაცას წაეძრო თითიდან. ხელი დავავლე მის სულს, სხვა დახოცილების სულებთან ერთად და ზემოთ წავიყვანე. გვამებს შორის რძისფერი, ცივი და სუფთა ჰორიზონტი მოჩანდა.

ერიკ ვანდენბურგს მხოლოდ რამდენიმე პირადი ნივთი დარჩა და — ერთი აკორდეონი, რომელზეც მისი თითების ანაბეჭდები იყო. ინსტრუმენტის გარდა ყველაფერი შინ გაგზავნეს, აკორდეონი მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა, ერიკის საწოლზე იდო ხოლმე ბანაკში და საყვედურნარევი მზერით უცქერდა ხალხს, საბოლოოდ საკრავი ერიკის მეგობარს, ჰანს ჰუბერმანს მისცეს. ისე გამოვიდა, რომ იმ დანაყოფიდან ცოცხალი მხოლოდ ის დარჩა.

აი, როგორ გადამირჩა

იმ დღეს ბრძოლაში არ წასულა.

ამისთვის ჰანსი ერიკ ვანდენბურგს უნდა უმადლოდეს, ან, უფრო სწორად, ერიკ ვანდენბურგსა და სერჟანტის კბილის ჯაგრისს.

დილით, სანამ დანაყოფი პოზიციებზე გავიდოდა, სერჟანტმა, სტეფან შნაიდერმა, ყურადღება ითხოვა. ის მებრძოლებს იუმორის გრძნობისა და გზადაგზა მოგონილი ანეკდოტების გამო უყვარდათ, მაგრამ კიდევ უფრო იმიტომ აფასებდნენ, რომ იერიშზე პირველი მიდიოდა და წინ არასდროს არავინ აუფარებია.

ხანდახან სტეფანს მებრძოლების მოსასვენებელ ოთახში უყვარდა შესვლა და ასეთი შეკითხვების დასმა: „პაზინგიდან არის აქ ვინმე?“ „მათემატიკა რომელმა იცით კარგად?“ ან, როგორც ჰანს ჰუბერმანის შემთხვევაში: „ლამაზი კალიგრაფია რომელს გაქვთ?“

მოხალისე, როგორც წესი, არავინ აღმოჩნდებოდა ხოლმე.

იმ დღეს ახალგაზრდა და მონდომებული ჯარისკაცი, ფილიპ შლინკი ამაყად წამოდგა და განაცხადა:

— სერ, მე ვარ პაზინგიდან.

სერჟანტმა კი მაშინვე კბილის ჯაგრისი გაუწოდა და საპირფარეშოს გასახეხად გაგზავნა.

სტეფანმა, ლამაზად რომელი წერთო, რომ იკითხა, ალბათ მიხვდით, რატომ აღარავინ გადმოდგა ნაბიჯი წინ. ყველა ფიქრობდა, ან სრულ ჰიგიენურ გამოკვლევას ჩამიტარებენ, ან ექსცენტრიკული ლეიტენანტი განავალში ამოვლებულ ჩექმებს გამაწმენდინებს, სანამ საბრძოლველად წავაო.

— აბა, მიდით, ხმა ამოიღეთ, — გაეთამაშა შნაიდერი, რომელსაც ზეთით გაპოხილი თმა გადაესვლიპა, თუმცა, ერთგან მაინც წამოჰქოჩროდა. — უსარგებლო ნაბიჭვრებო, ნუთუ ერთიც არ მოიძებნება თქვენში, ნორმალურად წერა რომ შეეძლოს?

შორიდან ქვემეხების ხმა მოისმა.

ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა რეაქცია.

— მისმინეთ, — თქვა შნაიდერმა, — ეს დავალება დანარჩენს არ ჰგავს, მთელი დილა შეიძლება გაგრძელდეს, იქნებ მეტიც, — სერჟანტმა ღიმილი ვერ შეიკავა, — შლინკი საპირფარეშოს რომ ხეხავდა, თქვენ ბანქოს თამაშობდით, ამჯერად ბრძოლაში მიდიხართ.

სიცოცხლე თუ ღირსება.

შნაიდერს იმედი ჰქონდა, ჯარისკაცებიდან ერთს მაინც ეყოფოდა კეთილგონიერება და სიცოცხლეს აირჩევდა.

ერიკ ვანდენბურგმა და ჰანს ჰუბერმანმა ერთმანეთს გადახედეს. ახლა რომელიმე მათგანი წინ თავისი ინიციატივით თუ გადადგამდა ნაბიჯს, დანაყოფის წევრები სიცოცხლეს ჯოჯოხეთად უქცევდნენ. ლაჩარი არავის უყვარს. არადა, ვინმე ხომ უნდა აერჩიათ...

ნაბიჯი წინ ისევ არავის გადაუდგამს, მაგრამ სერჟანტამდე ვილაცის ხმამ მიაღწია, ჩაიჩოქა და წიხლის ამორტყმას დაელოდა. აი, რა ითქვა:

— ჰუბერმანი, სერ! — ხმა ერიკ ვანდენბურგს ეკუთვნოდა. მან, როგორც ჩანს, იფიქრა, ჩემი მეგობრის სიკვდილის დრო ჯერ არ დამდგარაო.

სერჟანტმა ჯარისკაცების წინ სამხედრო ნაბიჯით ჩაიარა.

— ვინ თქვა ეს?

სტეფან შნაიდერს — პატარა კაცს, რომელიც ძალიან სწრაფად საუბრობდა, მოძრაობდა და მოქმედებდა, სიარულის შესანიშნავი მანერა ჰქონდა. სანამ ის ჯარისკაცების ჩამოვლით იყო დაკავებული, ჰანსი უყურებდა და ახალ ამბავს ელოდა. იქნებ რომელიმე მოწყალების და გახდა ავად და ჯარისკაცი იმისთვის სჭირდებოდათ, რომ დაჭრილებისთვის მიეხედა, დაჩირქებულ ჭრილობებზე სახვევი დაედო? იქნებ ათასობით კონვერტი, ჯარისკაცების დალუპვის ცნობით, უნდა გაელოკა და ბეჭედი დაერტყა მათზე?

ხმა ისევ გაისმა და დანარჩენებიც აჰყვნენ:

— ჰუბერმანი, — დაიძახა ერიკმა და დაამატა, — უზადო კალიგრაფია აქვს, სერ, უზადო.

— მაშ, გადაწყდა, — სერჟანტმა პატარა მომრგვალებული პირით ჩაიღიმა. — ჰუბერმან, რჩები.

ანოწილმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა ნაბიჯი წინ გადადგა და იკითხა, რა მევალებაო.

სერჟანტმა ამოიოხრა:

— კაპიტანს ორი დუჟინი წერილი მაინც აქვს დასაწერი, მაგრამ რევმატიზმი თუ ართრიტი აწუხებს და თითები სტკივა. მის მაგივრად უნდა დაწერო.

შეკამათების დრო არ იყო, მით უმეტეს, შლინკს ტუალეტის გახეხვა დაავალეს, პფლეგერი ლამის მოკვდა კონვერტების ლოკვით, ენა ისე გაულურჯდა საბრალოს, გეგონებოდა, ინფექცია შეეჭრაო.

— დიახ, სერ! — თავი დაუქნია ჰანსმა და ყველაფერი ასე დასრულდა. მართალია, სინამდვილეში მის კალიგრაფიას სრულყოფილებამდე ბევრი აკლდა, მაგრამ გაუმართლა და წერილებიც გულმოდგინედ წერა, სანამ დანარჩენები იბრძოდნენ.

დანაყოფის არც ერთი ჯარისკაცი არ დაბრუნებულა უკან. აი, ასე გადამირჩა ჰანს ჰუბერმანი პირველ მსოფლიო ომში.

მეორედ ესენში გადამირჩება, 1943 წელს.

ორი ომი და ორი გადარჩენა.

პირველად — ახალგაზრდობაში. მეორედ — საშუალო ასაკში.

ბევრი ვერ დაიკვეხნის, იღბალმა ისე გამიღიმა, სიკვდილს ორჯერ გადავურჩიო.

ჰანსმა აკორდეონი მთელი ომის განმავლობაში თან ატარა.

ბოლოს, შტუტგარტში, ომიდან დაბრუნებულმა, ერიკ ვანდენბურგის სახლამდე რომ ჩააღწია, მისმა ცოლმა უთხრა, შეგიძლიათ, თქვენთვის დაიტოვოთ ინსტრუმენტიო. ვანდენბურგების პატარა ბინა აკორდეონებით იყო ისედაც სავსე და კიდევ ერთის დანახვამ ქალი გააღიზიანა, დანარჩენი ინსტრუმენტებიც წარსულს ახსენებდა. ისიც, ქმარივით, მუსიკის პედაგოგი იყო.

— ერიკმა მასწავლა დაკვრა, — ამცნო ჰანსმა, თითქოს ეს ახალი ამბავი ქვრივს რამეში დაეხმარებოდა.

იქნებ დაეხმარა კიდეც, რადგან განადგურებულმა ქალმა სთხოვა, თუ შეგიძლიათ, დაუკარითო და როგორც კი ჰანსმა ერიკის საყვარელი მელოდია, „ცისფერი დუნაის ვალსი“ წამოიწყო, ვანდენბურგის ქვრივი აქვითინდა.

— იცით, — აუხსნა ჰანსმა, — მან მე სიკვდილს გადამარჩინა, — ოთახი ცუდად განათებული და დახუთული იყო. — ის... თუ ოდესმე რამე დაგჭირდებათ... — ჰუბერმანმა ქალს ფურცლის ნაგლეჯი დაუდო მაგიდაზე, ზედ სახელი და მისამართი ეწერა, — მღებავი ვარ პროფესიით, შემიძლია, ბინა უფასოდ შეგიღებოთ, როცა მოისურვებთ. — იცოდა, ამ სიტყვების თქმას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც შესთავაზა.

ქალმა ქაღალდის ფურცელი აიღო, ცოტა ხანში კი პატარა ბავშვი შემობაჯბაჯდა ოთახში და დედას კალთაში ჩაუჯდა.

— ეს მაქსია, — თქვა ქალმა, ბიჭუნა მეტისმეტად პატარა და მორცხვი ჩანდა, რამე რომ ეთქვა, გამხდარი იყო და რბილი თმა ჰქონდა. დიდი მუქი თვალებით უყურებდა უცხო მამაკაცს, რომელიც პირქუშ ოთახში კიდევ ერთ მელოდიას უკრავდა. ბავშვი ხან ჰანსს უცქერდა, ხანაც — ატირებულ დედას, მის თვალებს სულ სხვა მელოდია შეეფერებოდა. რა მოწყენილობა იდგა სახლში.

წამოვიდა.

— ჩემთვის არასოდეს გითქვამს, — მიმართა გარდაცვლილ ერიკ ვანდენბურგს და შტუტგარტის ცას, — ვაჟი თუ გყავდა.

და თავის გადასაქნევად წუთიერი შეჩერების შემდეგ, ჰანსი მიუნხენში დაბრუნდა და იფიქრა, რომ იმ დედა-შვილის შესახებ ველარასოდეს ვერაფერს გაიგებდა. რა იცოდა, ერიკის ოჯახს მისი დახმარება — ოღონდ არა სახლის შეღებვა — თუ დასჭირდებოდა, თანაც, ოცი წლის შემდეგ.

ომიდან დაბუნებულს რამდენიმე კვირაში სამუშაო გამოუჩნდა. თბილ თვეებში ენერგიულად ღებავდა, ზამთარში კი როზას ეუბნებოდა:

— მართალია, ვერ ვიტყვი, საქმეს ველარ ავუდივარ-მეთქი, მაგრამ უმუშევრობასაც არ ვუჩივი.

ასე გაგრძელდა ათი წელი და იქნებ, ცოტა მეტიც.

შემდეგ გაჩნდნენ ჰანსი-უმცროსი და ტრუდი. წამოიზარდნენ და მამას სამუშაოზეც კი სტუმრობდნენ ხოლმე, კედლისთვის საღებავი რომ წაეცხოთ ან ჯაგრისები გაეწმინდათ.

ჰიტლერმა რომ ძალა მოიკრიბა 1933 წელს, ჰანსს ღებვის ბიზნესი ცოტა არ იყოს, ჩაუვარდა. უმრავლესობის მსგავსად, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი არ გამხდარა. გადაწყვეტილებამდე ბევრი იფიქრა.

ჰანს ჰუბერმანის ფიქრის მდინარეება

პოლიტიკაში ღრმად განსწავლული არ იყო, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პატიოსანი ადამიანი გახლდათ,
ებრაელმა ერთხელ სიკვდილისგან იხსნა და ამას ვერ დაივიწყებდა, მტრულად განწყობილი ადამიანების პარტიას ვერ შეუერთდებოდა. ალექს შტაინერის მსგავსად, მისი კლიენტების უმეტესობა ებრაელი იყო და მათი უმრავლესობისა არ იყოს, ჰანსსაც სჯეროდა, ეს სიძულვილი დიდხანს ვერ გასტანსო, ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა, ჰიტლერისთვის მხარი არ დაეჭირა.
მართალი გითხრათ, საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო.

ებრაელების დევნა დაიწყო თუ არა, ჰანსს სამუშაო მოაკლდა, თავიდან ეს დიდად არ დასტყობია მის ოჯახს, მაგრამ ცოტა ხანში კლიენტები თითქმის დაკარგა, გეგონებოდა, ნაცისტურმა ჰაერმა შთანთქაო.

ერთხელ ჰანსი თავის ერთგულ კლიენტს, ჰერბერტ ბოლინგერს გადააწყდა მიუნხენ-შტრასეზე, კაცს, რომელსაც ნახევარსფეროსებური წელი ჰქონდა და Hochdeutsch-ზე[23] საუბრობდა (ჰამბურგელი იყო). თავიდან ჰერბერტმა თავის ღიპს მზერა აარიდა და მიწას დააშტერდა, თავი რომ ასწია, ჰანსი

[23] *სალიტერატურო გერმანული.*

მიხვდა, იმ შეკითხვის გამო უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ადამიანი. ჰანსს ის არ უნდა ეკითხა, მაგრამ ამოუფრინდა სიტყვები პირიდან:

— რა ხდება, ჰერბერტ? ისე სწრაფად ვკარგავ კლიენტებს, დათვლას ვერ ვასწრებ.

ბოლინგერს თავი აღარ აურიდებია პასუხისთვის, წელში გასწორდა და უთხრა.

— ჰანს, შენ რა, წევრი არა ხარ?

— რის წევრი? — იკითხა ჰანსმა, თუმცა, მშვენივრად ხვდებოდა, რას გულისხმობდა ეს კაცი.

— გეყოფა, ჰანს, — განაგრძო ბოლინგერმა, — ნუ მაიძულებ, დაგიმარცვლო.

მაღალმა მღებავმა ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

გავიდა წლები და ებრაელებს მთელ ქვეყანაში დაუწყეს დევნა, 1937 წლის გაზაფხულზე კი, ჰანს ჰუბერმანი, მართალია, სირცხვილის გრძნობით, მაგრამ დანებდა, განცხადება შეიტანა ნაცისტური პარტიის წევრობაზე.

მიუნხენ-შტრასეზე განაცხადის ფორმა რომ შეავსო, ჰანსი გარეთ გავიდა და დაინახა, როგორ ესროლა ოთხმა კაცმა აგური კლაიმანის ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინას. მოლკინგში ებრაელების სულ რამდენიმე მოქმედი მაღაზიაღა დარჩენილიყო იმ დროისთვის და — ისიც მათ შორის. შიგნით დაბალი მამაკაცი ფუსფუსებდა და ფეხებთან დაყრილ ნამსხვრევებს გვიდა, შენობის კარზე ვილაცას მდოგვისფერი ვარსკვლავი მიემაგრებინა, გვერდით კი უსწორმასწორო ასოებით მიეჯღაბნა „ებრაელი ნაძირალა“, მაღაზიაში ფუსფუსი მინელდა, შემდეგ საერთოდ მიწყდა.

ჰანსი მიუახლოვდა და თავი შეყო კარში:

— ხომ არ დაგეხმაროთ?

მისტერ კლაიმანმა შეხედა, ხელში უმწეოდ ეჭირა მტვრიანი ცოცხი.

— არა, ჰანს, წადი აქედან, გთხოვ.

ჰანსმა ჯოელ კლაიმანს გასულ წელს შეუღება სახლი და ახსოვდა, სამი შვილი რომ ჰყავდა, თუმცა, მათი სახელები ვეღარ გაიხსენა.

— ხვალ მოვალ, — თქვა შემდეგ, — და კარს გადაგიღებავ.

ასეც მოიქცა.

ეს ჰანსის ორი დიდი შეცდომიდან მეორე გახლდათ.

პირველი კი პირდაპირ იმ ინციდენტის შემდეგ დაუშვა: პარტიის შენობაში დაბრუნდა და მუშტი სთხლიშა ჯერ შენობის კარს, შემდეგ ფანჯარას. შუშის მსხვრევის ხმა კი გაისმა, მაგრამ არავინ გამოვარდნილა ოფისიდან, ყველა შინ წასულიყო. პარტიის შენობიდან გამოსული უკანასკნელი წევრი იმ დროს მიუნხენის ქუჩას მიუყვებოდა, მან მსხვრევის ხმა გაიგონა და მლებავიც შენიშნა.

ის უკან დაბრუნდა და იკითხა, რა მოხდაო.

— ველარ შემოვალ პარტიაში, — განაცხადა ჰანსმა.

— რატომ? — თავზარი დაეცა კაცს.

ჰანსმა მარჯვენა ხელის თითებზე დაიხედა, ნერწყვი გადაყლაპა და იგრძნო, შეცდომას ლითონის აბის გემო როგორ დაჰკრავდა.

— დაივიწყეთ, — თქვა და შინისკენ წავიდა.

კაცმა სიტყვები დაადევნა უკან:

— კარგად დაფიქრდით, ჰერ ჰუბერმან, და გადაწყვეტილებას რომ მიიღებთ, შეგვატყობინეთ.

ჰანსს აღარაფერი შეუტყობინებია მათთვის.

მეორე დილით, შეპირებისამებრ, ჩვეულებრივზე ადრე ადგა, თუმცა, არც მეტისმეტად. კლაიმანის ტანსაცმლის მაღაზიის კარი ჯერ კიდევ დილის ნამით იყო დაცვარული, ჰანსმა ის გაამშრალა, სცადა, მაქსიმალურად ზუსტი ფერი მიეღო და საღებავის სქელი ფენით დაფარა.

ამ დროს გვერდით ვილაცამ ჩაუარა.

— ჰაილ ჰიტლერ! — უთხრა ჰანსს.

— ჰაილ ჰიტლერ! — უპასუხა მანაც.

სამი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტი

1. კაცი, გვერდით რომ ჩაუარა, როლფ ფიშერი იყო, მოლკინგელ ნაცისტთაგან ერთ-ერთი პირველი.
2. თექვსმეტიოდე საათში მაღაზიის კარს მორიგი ლაქა დააჩნდა.
3. ჰანს ჰუბერმანი ღირსად არ ჩათვალეს, ნაცისტურ პარტიაში მიეღოთ, ყოველ შემთხვევაში, იმ ჯერზე მაინც.

მომდევნო წელს ჰანსი თავს იღბლიან კაცად თვლიდა იმის გამო, რომ წევრობაზე შეტანილი განცხადება ოფისიდან ოფიციალურად არ გაუტანია. სხვებს პარტიაში პირდაპირ იღებდნენ, ჰანსი კი პარტიის წევრობის მომლოდინეთა სიაში ჩაწერეს, რადგან საეჭვო პიროვნებად მიაჩნდათ.

1938 წლის ბოლოსთვის, როცა გერმანელებმა „ბროლის ღამეს“[24] ებრაელების საყოველთაო დევნა მოაწყვეს, გესტაპოც[25] გამოჩნდა, მათ ქალაქში სახლები გაჩხრიკეს და ჰანს ჰუბერმანი იმ იღბლიანებს შორის აღმოჩნდა, რომლებსაც საეჭვო ვერაფერი უპოვეს.

ჰანსის ოჯახს ნება დართეს, თავისივე სახლში ცხოვრება გაეგრძელებინა.

ჰუბერმანები ალბათ იმან გადაარჩინა, რომ ხალხმა იცოდა, ჰანსი პარტიის წევრობას ელოდა, თანაც, კომპეტენტური ხელოსანი გახლდათ.

იყო კიდევ ერთი რამ, რასაც ჰანს ჰუბერმანი გადარჩენას უმადლოდა.

აკორდეონის წყალობით გადაურჩა ტოტალურ დევნას. მიუნხენში მღებავებს კიდევ იპოვიდა კაცი, მაგრამ ერიკ ვანდენბურგის სწავლების მოკლე კურსმა და მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში პირადმა პრაქტიკამ შედეგი გამოიღო — მოლკინგში ჰანსივით ვერავინ უკრავდა. მართა-

---

[24] *1938 წლის 9-10 ნოემბრის ღამე. ებრაელთა სინაგოგებისა და მაღაზიების მასობრივი რბევა, „ბროლის ღამე“ იმის გამო ეწოდა, რომ მეორე დილით გერმანიის ქალაქების ქუჩები შუშების ნამსხვრევებით იყო სავსე.*

[25] *საიდუმლო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში (1933-1945 წწ).*

ლია, დაკვრის მისეული სტილი მთლად სრულყოფილი არ იყო, მაგრამ ძალიან თბილად ასრულებდა სიმღერებს, შეცდომები კი თავისებურ ეშხს მატებდა.

თუ საჭირო იყო, ჰანსი „ჰაილ ჰიტლერზეც“ იძლეოდა პასუხს და აუცილებლობის შემთხვევაში, დროშასაც გამოფენდა ხოლმე ფანჯრიდან. მაშ, სხვა რა პრობლემა უნდა ჰქონოდა?

1939 წლის 16 ივნისს კი (ეს თარიღი ღრმად აღმებეჭდა მეხსიერებაში), ჰიმელ-სტრიტზე, ლიზელის გამოჩენიდან ექვს თვეში, ისეთი რამ მოხდა, ჰანს ჰუბერმანის ცხოვრება რომ შეცვალა.

ერთ-ერთი იმ დღეთაგანი იყო, სამუშაო რომ ჰქონდა.

ჰანსმა საღებავით სავსე ურიკა გააჩერა. აშკარად ვილაც მისდევდა.

სამუშაო ადგილს რომ მიაღწია, ახალგაზრდა უცნობი მიუახლოვდა, ქერათმიანი, მაღალი და სერიოზული.

ერთმანეთს შეხედეს.

— ჰანს ჰუბერმანი ხართ?

ჰანსმა თავი ერთადერთხელ დაუქნია და ფუნჯს დასწვდა.

— გახლავართ.

— შემთხვევით, აკორდეონზე ხომ არ უკრავთ?

ამჯერად ჰანმა ფუნჯს ხელი უშვა და იქ დატოვა, სადაც იდო.

უცნობმა ნიკაპი მოიქავა, ისევ ჰანსს შეხედა და ძალიან ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ უთხრა:

— სიტყვის კაცი ხართ?

ჰანსმა საღებავის ორი ქილა აიღო და უცნობს ჩამოჯდომა შესთავაზა.

სანამ მიპატიჟებას მიიღებდა, ახალგაზრდამ ხელი გაუწოდა და გაეცნო:

— მე კაგლერი ვარ, უოლტერი მქვია, შტუტგარტიდან.

ასე ისხდნენ, დაახლოებით თხუთმეტი წუთი მაინც. ისაუბრეს და საბოლოოდ შეთანხმდნენ ღამეულ შეხვედრაზე.

კარგი გოგო

1940 წლის ნოემბერში, ჰიმელ-სტრიტის 33-ნომერ სახლის სამზარეულოში რომ შეაბიჯა, მაქს ვანდენბურგი ოცდაოთხი წლისა იქნებოდა. სამოსის სიმძიმისგან წელში მოხრილიყო. კაცს ეგონებოდა, დაღლილობისგან საცაა ორად გადატყდებაო. წინკარში იდგა აკანკალებული და დაბნეული.

— აკორდეონზე ისევ უკრავთ?

სინამდვილეში კი, გულისხმობდა: „ისევ მზად ხართ, დამეხმაროთ?“

ლიზელის მამამ კარი გააღო, შემდეგ ფრთხილად მიმოიხედა და დაბრუნდა. განაჩენი ასე ულერდა:

— არავინ ჩანს.

ებრაელმა მაქს ვანდენბურგმა თვალები დახუჭა და დაიხარა, კიდევ ერთი ნაბიჯი რომ გადაედგა უსაფრთხო ადგილისკენ, ამაზე ფიქრიც სასაცილოდ ეჩვენებოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. დაე, მოსახდენი მომხდარიყო.

ჰანსმა შეამოწმა, ფარდები კარგად ეფარა, ერთი ჭუჭრუტანაც არ უნდა დარჩენილიყო, მაქსმა ველარ გაძლო, ძირს ჩაჯდა და ხელები გულზე დაიკრიფა.

სიბნელემ ჩაიკრა გულში.

თითებზე ჩემოდნის, ლითონის, „ჩემი ბრძოლისა“ და გადარჩენის სუნი ასდიოდა.

თავი რომ ასწია, მხოლოდ მაშინ შენიშნა დერეფნიდან შემომავალი სინათლის სხივი და პიჟამაში გამოწყობილი გოგონა.

— მამა.

ჩახმახივით შემართული მაქსი ფეხზე წამოდგა, ირგვლივ სიბნელე დასივდა და დაიბერა.

— ყველაფერი კარგადაა, ლიზელ, — უთხრა მამამ, — საწოლში დაბრუნდი.

გოგონა ცოტა ხანს შეყოვნდა, შემდეგ ზანტად გაემართა საწოლისკენ. სანამ დაწვებოდა, შეჩერდა და კიდევ ერთხელ შეხედა სამზარეულოში მდგარ უცნობს, მაგიდაზე დადებულ წიგნსაც მოჰკრა თვალი.

— ნუ გეშინია, — მოესმა გოგონას მამის ჩურჩული, — კარგი გოგოა.

ლიზელს რამდენიმე საათი ეღვიძა, თვალებდაჭყეტილი იწვა ლოგინში და სამზარეულოდან გამოსულ მშვიდ საუბარს უსმენდა.

კიდევ ერთი მოულოდნელობა.

ებრაელი ჩხუბისთავის მოკლე ისტორია

მაქს ვანდენბურგი 1916 წელს დაიბადა.

შტუტგარტში გაიზარდა.

ახალგაზრდობაში ხელჩართულ ჩხუბზე მეტად არაფერი უყვარდა.

პირველად რომ იჩხუბა გაძვალტყავებულმა, ცოცხის ტარივით ნვრილმა ბიჭმა, თერთმეტი წლისა იყო.

ვენზელ გრაბერი.

აი, ვის ეჩხუბა.

გრაბერების ბავშვს ბევრი ლაპარაკი უყვარდა და მავთულივით ხვეული თმა ჰქონდა.

სათამაშო მოედანი საჩხუბრად იწვევდა და არც ერთს არ უცდია, უარი ეთქვა.

ჩემპიონებივით იბრძოდნენ.

რამდენიმე წუთს.

სანახაობა უკვე საინტერესო რომ გახდა საცქერლად, ბიჭებს საყელოებში სწვდნენ და გააშველეს.

ყურადღებიანი მშობლები.

მაქსს ტუჩიდან წვრილ ნაკადად სდიოდა სისხლი, გემო გაუსინჯა და მოეწონა.

მამა რომ დაეცა ბრძოლის ველზე, მტრის ყუმბარამ მისი სხეულის ნაწილები ბალახით დაფარულ გორაკზე რომ მოფანტა, დაახლოებით ორი წლის იქნებოდა.

ცხრა წლისა რომ შესრულდა, დედამ საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი, მუსიკალური სტუდია, ბინის ნახევარ ფართს

რომ იკავებდა, გაყიდა და შვილთან ერთად მაქსის ბიძასთან გადასახლდა.

მაქსი ექვს ბიძაშვილთან ერთად იზრდებოდა, მათ პატარა უყვარდათ, მაგრამ ხან ეჩხუბებოდნენ, ხანაც აქეზებდნენ. უფროს ბიძაშვილთან, ისააკთან ჩხუბი შესანიშნავი ვარჯიში იყო მუშტი-კრივში, თუმცა, თითქმის ყოველ ღამით მარცხდებოდა.

ცამეტი წლისას კიდევ ერთი ტრაგედია შეემთხვა, ბიძა გარდაეცვალა.

სავარაუდოდ, ბიძა მაქსივით თავქარიანი არ ყოფილა, ის ადამიანების იმ ტიპს განეკუთვნებოდა, რომლებიც მცირე საფასურის სანაცვლოდ მშვიდად შრომობენ. მდიდარი არ გახლდათ, სხვისი ქონების მითვისება არ უყვარდა და იცით, რისგან მოკვდა? მუცლის ღრუში რაღაც წანაზარდი გაუჩნდა, რომელიც მთელ სხეულს უწამლავდა.

ოჯახის წევრები ავადმყოფის ლოგინს შემოუსხდნენ და მდუმარედ უცქერდნენ კაპიტულაციას.

მაქს ვანდენბურგი, რომელიც იმ დროისათვის მუშტმაგარი, შავთვალა, ბასრკბილება მოზარდი გახლდათ, დანაკარგმა დაანაღვლიანა, იმედი გაუცრუა და გააბრაზა კიდეც. იდგა, უცქერდა, როგორ ქრებოდა ნელ-ნელა ბიძამისი და ფიქრობდა, მე ასე არ მოვკვდებიო.

კაცს ისეთი სახე ჰქონდა, მიმილო.

სულ მთლად ყვითელი და გამჭირვალე გამხდარიყო. მიუხედავად ძლიერი აგებულებისა — გრძელი, ძლიერი ყბა, ამოყრილი ლავინის ძვლები და ორმოსავით ჩაღრმავებული თვალები. იმდენად წყნარად იწვა, მაქსს სურვილი გაუჩნდა, ეკითხა:

— რატომ არ იბრძვით? სადაა თქვენი ნებისყოფა?

ცამეტი წლის მაქსი მეტისმეტად მკაცრად განსჯიდა ბიძას, მას ხომ ჩემთვის ჯერ არ ჩაეხედა თვალებში.

ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად იდგა ავადმყოფის საწოლთან და უცქერდა, როგორ კვდებოდა.

სიცოცხლისა და სიკვდილის უსაფრთხო შერწყმა.

ფანჯრებიდან ნაცრისფერ-ნარინჯისფერი შუქი შემოდიოდა, ზაფხულის მზედაკრული კანის ფერი.

მაქსის ბიძამ შვება იგრძნო, როგორც კი სული ამოუშვა სხეულიდან.

— სიკვდილი როგორც კი მომიახლოვდება, — აღთქმა დადო ბიჭმა, — მუშტი მოხვდება სახეში.

პირადად მე ძალიან მომწონს ეს. მომწონს გულუბრყვილო გამბედაობა.

დიახ.

ძალიან მომეწონა.

იმ დღიდან მაქსმა რეგულარულად დაიწყო ჩხუბი.

თავქარიანი მეგობრები და მტრები სტებელ-სტრიტზე მდებარე პატარა მოედანზე იყრიდნენ თავს და დაბნელებისთანავე ჩხუბს იწყებდნენ. სუფთა სისხლის გერმანელები, უცნაური ებრაელი და ბიჭები აღმოსავლეთიდან. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი ჩაებმებოდა ბრძოლაში. გარდა კარგი მუშტი-კრივისა, სად შეიძლება, მოზარდმა ჭარბი ენერგია დახარჯოს. მტრებსაც კი ერთი ნაბიჯი აშორებდათ მეგობრობამდე.

მაქსს პატარა ნრეში, უცნობებთან ჩხუბი უყვარდა.

გაურკვეველი შედეგის ტკბილ-მწარე გემო.

გამარჯვება თუ მარცხი.

მუცელში ისე უტრიალებდა ყველაფერი, ისეთი განწყობა ჰქონდა, ველარ ითმენდა, ხსნა მხოლოდ ხელჩართულ ბრძოლასა და მონინააღმდეგის ცემაში იყო. იმ ბიჭებს არ ჰგავდა, დიდხანს რომ ფიქრობენ და მერე გადადიან მოქმედებაზე.

წარსულს გადახედა და ერთ რამეს მიხვდა: ყველაზე მეტად მეხუთე ბრძოლა მოსწონდა. მაღალ, უხეშ, გრძელფეხება ბავშვს, უოლტერ კაგლერს ერკინებოდა, ორივე თხუთმეტი წლისა იყო მაშინ. უოლტერთან წინა ოთხი ორთაბრძოლა წაგებული ჰქონდა, მაგრამ ამჯერად გული სხვას ეუბნებოდა, პირში გამარჯვების სისხლის გემოს გრძნობდა და ერთდროულად, შეშინებულიც იყო და აღელვებულიც.

ბიჭები, როგორც ყოველთვის, მჭიდრო წრედ შემორტყმოდნენ მოჩხუბრებს. მოედანი ტალახიანი იყო. მონინააღმდეგეები ღიმილით უცქერდნენ ერთმანეთს სახეში. ჭუჭყიან

თითებში ფულებჩაბლუჯული მაყურებლები ისე ამხნევებდნენ მხიარული შეძახილებით, ჩხუბის გარდა აღარაფერი დარჩენოდათ.

ღმერთო, შიშისა და სიხარულის რა მშვენიერი კომბინაცია იყო.

დაძაბულობისგან მოჩხუბრები წამიერად გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს, დაჭიმული სახეები ჰქონდათ, გაფართოებული თვალები. ერთმანეთს აკვირდებოდნენ.

ერთ-ორ წუთში შეაფასეს რა ძალები, ერთმანეთს მიუახლოვდნენ, რისკზე წავიდნენ · ქუჩის ჩხუბი იყო, ერთსაათიანი შერკინება ხომ არა, მთელ დღეს ვერ დაკარგავდნენ.

— მიდი, მაქს! — ისე დაუძახა მეგობარმა, არც კი ამოუსუნთქავს, — მიდი, ებრაელო, მიდი, მაქსი-ტაქსი, დაარტყი, დაარტყი, დაარტყი!

მაქსი — ტანმორჩილი ბიჭი ფაფუკი თმით, გატეხილი ცხვირითა და უძირო თვალებით, მოწინააღმდეგეზე მთელი თავით დაბალი იყო, დახვენილი ჩხუბი არ ეხერხებოდა, წელში მოხრილი წინ და უკან იქნევდა მუშტებს და სახეში ურტყამდა კაგლერს.

კაგლერი მოწინააღმდეგეზე ძლიერიც იყო და მოხერხებულიც, ამიტომ ჯერ ისევ ფეხზე იდგა და ლოყებსა და ნიკაპში უმიზნებდა.

მაქსი ბრძოლას აგრძელებდა.

მართალია, სახეში მოქნეულ მუშტებს ძნელად იგერიებდა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, ტუჩები უკვე შელებილი ჰქონდა და ცოტა ხანში სისხლი კბილებზეც მიახმებოდა.

ძირს რომ დაეცა, ღრიალი შემოესმა, მაყურებელი ფულს აფრიალებდა.

მაქსი წამოდგა.

ისევ წააქციეს, მაგრამ სანამ ტაქტიკას შეიცვლიდა, უოლტერ კაგლერი იმაზე მეტად მიუახლოვდა, ვიდრე თვითონ სურდა. რაკი ასე მოხდა, მაქსს შეეძლო, მოკლე ძლიერი დარტყმა ეგემებინა სახეში. დაარტყა კიდეც პირდაპირ ცხვირში.

კაგლერს თვალებში დაუბნელდა, უკან გადაქანდა, მაქსმა ამით ისარგებლა, მარჯვნიდან უთავაზა, შემდეგ ნეკნში ჩაა-

ზილა მუშტი და ნიკაპში ამორტყმით დააგვირგვინა. უოლტერ კაგლერი მიწაზე დაეცა და ქერა თმა გაიჭუჭყიანა, ფეხები ლათინური V-სავით გაშალა და მიუხედავად იმისა, რომ არ ტიროდა, ბროლივით ცრემლები აჩნდა კანზე. ცრემლები ძლიერმა დარტყმამ დააყრევინა.

წრე ითვლიდა.

ასე ყასიდად იცოდნენ დათვლა. ხმები და ციფრები.

ჩხუბის დასრულების შემდეგ დამარცხებული ხელს ააწევინებდა გამარჯვებულს. კაგლერიც, წამოდგა თუ არა, მდუმარედ მიუახლოვდა მაქს ვანდენბურგს და მისი ხელი აღმართა.

— გმადლობ, — უთხრა მაქსმა.

კაგლერი გაფრთხილებით შემოიფარგლა:

— სხვა დროს, იცოდე, მოგკლავ.

მომდევნო წლებში მაქს ვანდენბურგმა და უოლტერ კაგლერმა კიდევ თოთხმეტჯერ იჩხუბეს. უოლტერი მუდამ ცდილობდა, მაქსის პირველი გამარჯვების გამო შური ეძია, მაქსი კი დარწმუნებული იყო, ერთხელ მაინც ისევ დაუდგებოდა დიდებული წამი. საბოლოო ანგარიში მაინც ასეთი იყო: 10-3, უოლტერის სასარგებლოდ.

ასე ჩხუბობდნენ 1933 წლამდე, იმ წელს ჩვიდმეტისანი შესრულდნენ.

ნაძალადევი პატივისცემა დიდებულ მეგობრობაში გადაიზარდა და ერთმანეთისთვის თავ-პირის დამტვრევის სურვილმა გაუარათ.

ორივე მუშაობდა, სანამ 1935 წელს მაქსი დანარჩენ ებრაელებთან ერთად, იედერმანის მექანიკური ქარხნიდან არ გააძევეს. ეს ამბავი პირდაპირ უკავშირდებოდა ნურემბერგის კანონს[26], რომელიც ებრაელებს გერმანიის მოქალაქეობას უკრძალავდა, გერმანელებს კი — ებრაელებზე დაქორწინებას.

— იესო, — თქვა ერთ საღამოს უოლტერმა, როცა იმ პატარა ქუჩის კუთხეში შეუხვიეს, სადაც ადრე ჩხუბობდნენ ხოლ-

[26] *ანტისემიტური კანონების კრებული, რომელიც ნაცისტურ გერმანიაში 1935 წელს გამოიცა.*

მე, — რა დრო იყო, არა? მსგავსი სისულელე არასოდეს მსმენია, — და მაქსს პერანგზე ამოქარგულ ვარსკვლავზე გაჰკრა ხელი — ახლა რომ გვინდოდეს, ჩხუბის ნებასაც, ალბათ, აღარავინ დაგვრთავდა.

მაქსი არ დაეთანხმა:

— რას ამბობ, მართალია, ებრაელს ცოლად ვეღარ მოიყვან, მაგრამ ჯერ არავის დაუკანონებია, მათთან ჩხუბი არ შეიძლებაო.

უოლტერს გაეღიმა:

— პირიქით, ალბათ ამისთვის დაგვაჯილდოებენ კიდეც, რა თქმა უნდა, თუ დაგამარცხებთ.

მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე ბიჭები ერთმანეთს დროდადრო თუ შეხვდებოდნენ.

მაქსს, დანარჩენ ებრაელებთან ერთად, ხან ერთი ადგილიდან აძევებდნენ, ხანაც მეორიდან, მაშინ, როცა უოლტერს პოლიგრაფიულ ფირმაში სტაბილური სამსახური ჰქონდა.

თუ იმ ადამიანს მიეკუთვნებით, რომელსაც პირადი ცხოვრება აინტერესებს, გეტყვით, იმ წლებში მაქსს რამდენიმე შეყვარებული ჰყავდა. ერთს ტანია ერქვა, მეორეს ჰილდა. დიდი ხნის ურთიერთობა არც ერთთან არ ჰქონია, ამის დრო არ იყო, სამსახური უნდა ეშოვა. სხვაგვარად, რას შესთავაზებდა გოგონებს? 1938 წელს ხალხს წარმოდგენაც არ შეეძლო, უფრო მძიმე დროს თუ მოესწრებოდნენ ოდესმე.

შემდეგ 9 ნოემბერიც დადგა, „კრისტალნახტი“ — ბროლის ღამე.

იმ ღამემ მაქს ვანდენბურგის თანატოლი ბევრი ებრაელის ცხოვრება შეინირა, მაქსი კი დაარწმუნა, რომ უნდა გაქცეულიყო. მაშინ ის ოცდაორი წლისა გახლდათ.

პრივილეგირებული ებრაელების დიდი ნაწილის სახლები მინასთან რომ გაასწორეს, სწორედ მაშინ გაისმა კაკუნი ვანდენბურგების კარზე. მაქსი მამიდასთან, დედასთან, ბიძაშვილებთან და მათ ბავშვებთან ერთად საერთო ოთახში იყო.

— Aufmachen!

ოჯახის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს, ცდუნება დიდი იყო, უნდოდათ, სხვა ოთახებში მიმოფანტულიყვნენ, მაგრამ წინათგრძნობა უცნაური რამაა, ვერც კი გაინძრნენ.

ისევ: „გაალეთ!“

ისააკი წამოდგა და კართან მივიდა. ხე გაცოცხლებულიყო და დარტყმისგან ჯერ ისევ ცახცახებდა. შიშისგან გაშიშვლებულ სახეებში ჩახედა ოჯახის წევრებს, ურდული გადასწია და კარი გააღო.

ასეც ფიქრობდნენ, ნაცისტი იყო, უნიფორმაში გამოწყობილი.

— არასოდეს!

აი, რა დაიყვირა მაქსმა პირველად.

დედას და მასთან ყველაზე ახლოს მდგარ სარას — ბიძაშვილებიდან ერთ-ერთს, ჩაჰკიდა ხელი:

— არ წამოგყვები, ყველას ერთად თუ არ წაგვიყვან, მარტო მე არ წამოგყვები.

ცრუობდა.

ოჯახის დანარჩენმა წევრებმაც რომ უბიძგეს, წინ გადადგა ნაბიჯი, შვება იგრძნო და ლამის გული აერია. არა, ეს შვება არაფერში სჭირებოდა. ნეტავ, როგორ შეეძლო? ნეტავ, როგორ გაბედა?

გაბედა.

— თან არაფერი წამოიღო, — უთხრა უოლტერმა, — იმით წამოდი, რაც გაცვია, დანარჩენს მე მოგაწვდი.

— მაქს, — დედა ეძახდა. ქალმა უჯრიდან ქაღალდის ძველი ნაგლეჯი ამოიღო და ქურთუკის ჯიბეში ჩაუტენა, — თუ ოდესმე... — შემდეგ უკანასკნელად მოჰკიდა ხელი იდაყვში, — ეს შეიძლება შენი უკანასკნელი იმედი აღმოჩნდეს.

მაქსმა სახეში ჩახედა ასაკოვან დედას და მაგრად აკოცა ტუჩებზე.

— წამოდი, — უოლტერმა სახელოში მოქაჩა, ოჯახის წევრებმა კი დამშვიდობება დაიწყეს, ფული და რამდენიმე ფასეული ნივთი გაატანეს, — ქაოსია, ქაოსში კი ვინ იცის, რა გამოგადგება.

ისე წავიდნენ, უკან აღარ მიუხედავთ.

ეს სულ ტანჯავდა მაქსს.

ნეტავ მიეხედა და უკანასკნელად შეეთვალიერებინა შინ დარჩენილი ოჯახის წევრები, მაშინ იქნებ ასე ძალიან აღარ შეეწუხებინა დანაშაულის გრძნობას.

უკანასკნელად ეთქვა „ნახვამდის“.

უკანასკნელად ჩაეხედა თვალებში.

წასვლა და სხვა არაფერი.

ორი წელი ცარიელ საწყობში იმალებოდა, იმ შენობაში, სადაც წინა წლებში ვოლტერი მუშაობდა. საჭმელი ძალიან ცოტა ჰქონდა, ეჭვი კი — ბევრი. გადარჩენილი მეზობლები — ფულიანი ებრაელები ემიგრაციაში წავიდნენ. უფულო ებრაელებიც ცდილობდნენ გაქცევას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. მაქსის ოჯახი იმ უკანასკნელთა შორის იყო.

ვოლტერი შეძლებისდაგვარად აკითხავდა მათ. ამონმებდა, როგორ იყვნენ, მაგრამ ისე, რომ არავის გაეგო. ერთ შუადღეს, ისევ რომ მიაკითხა მაქსის ოჯახს, კარი სულ სხვამ გაუღო.

მაქსმა ეს ამბავი რომ გაიგო, თითქოს ვიღაცამ დაჭმუჭნა, შეცდომებით სავსე, უვარგის ფურცელს დაამსგავსა. ნაგავს.

იქიდან მოყოლებული, სულ ცდილობდა, გასწორებულიყო, გაშლილიყო. თავი ეზიზღებოდა, მაგრამ არც მადლიერებას ივინყებდა. გაანადგურეს, მაგრამ ბოლომდე ნაკუწებად ვერ აქციეს.

1939 წლის შუაში, მიმალვიდან ექვსი თვე რომ გავიდა, მეგობრებმა გადაწყვიტეს, რაღაც ახალი მოეფიქრებინათ და ის ფურცელი გადაიკითხეს, დედამ მაქსს რომ გადასცა დეზერტირობამდე. დიახ, ასე იყო, არ გაქცეულა, იდეზერტირა. ახლა ასე თვლიდა და მიუხედავად ამბის გროტესკულობისა, შვებას გრძნობდა.

ჩვენ უკვე ვიცით, რა ეწერა ფურცლის იმ ნაგლეჯზე:

სახელი, მისამართი

ჰანს ჰუბერმანი
მოლკინგი
ჰიმელ-სტრიტის 33

— საქმე გაუარესდა, — უთხრა ვოლტერმა მაქსს, — ახლა ნებისმიერ დროს შეიძლება, მოგაგნონ, — ბევრ რამეს მალავდა სიბნელე, — არც კი ვიცით, რა გელოდება, იქნებ მეც და-

მიჭირონ, შენ კი ახალი სამალავი გჭირდება. სხვას ვერავის ვთხოვ, მოგაკითხოს და დაგეხმაროს, მეშინია, ჩამიშვებენ, — ერთი გამოსავალი დარჩა, — წავალ და იმ კაცის ამბავს ვიკითხავ, თუ ნაცისტი აღმოჩნდა, რაც უფრო სავარაუდოა, უბრალოდ, უკან გამოვბრუნდები. ბოლოს და ბოლოს, გვეცოდინება, რომ მისი იმედი არ უნდა გვქონდეს, richtig?

მაქსმა უკანასკნელი პფენინგი მისცა მეგობარს მოლკინგში გასამგზავრებლად.

რამდენიმე კვირაში უოლტერი უკან დაბრუნდა, ერთმანეთს გადაეხვივნენ, ვანდენბურგმა მძიმედ ამოისუნთქა და ჰკითხა:

— რაო?

ვოლტერმა თავი დაუქნია:

— საქმე მშვენივრადაა, დედა რომ გიყვებოდა, ისევ იმ, მამაშენის აკორდეონზე უკრავს, ნაცისტური პარტიის წევრი არ გამხდარა, ფული მომცა — ამ სიტყვებამდე მაქსს ჰანს ჰუბერმანი მხოლოდ თვისებათა ჩამონათვალად წარმოედგინა, — საკმაოდ ღარიბია, დაქორწინებულია და სახლში პატარა ბავშვი ჰყავს. — ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გაამახვილებინა ყურადღება, — რამდენი წლისაა?

— ათი წლის. ყველაფერი ერთად არ გამოდის.

— ჰო, თანაც ბავშვებს დიდი პირები აქვთ.

— არა უშავს, მაინც ბედმა გაგვილიმა.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ, დუმილი მაქსმა დაარღვია.

— ალბათ უკვე ვეზიზღები, არა?

— არა მგონია, წამოსასვლელი ფულიც კი მომცა და დაამატა, პირობა პირობაა.

ერთ კვირაში წერილი მოვიდა, ჰანსი სწერდა უოლტერ კაგლერს, ყველანაირად ვეცდები, საჭირო ნივთები მოგანოდოთ და დაგეხმაროთო, კონვერტში მოლკინგისა და დიდი მიუნხენის ერთგვერდიანი რუკა იდო და პაზინგიდან (ყველაზე საიმედო სარკინიგზო სადგურიდან) ჰუბერმანების ჭიშკრამდე გასავლელი მარშრუტის ზუსტი სქემა. ყველაზე დამაჯერებელი კი წერილის ბოლოს მიწერილი ორი სიტყვა იყო:

„ფრთხილად იყავი!“

1940 წლის მაისის შუა რიცხვებში *„ჩემი ბრძოლაც“* მიიღეს, რომლის შიდა ყდაში გასაღები იყო ჩამალული.

ეს კაცი გენიოსიაო, გადაწყვიტა მაქსმა, მაგრამ ისევ აკანკალებდა, როგორც კი წარმოიდგენდა მიუნხენამდე გასავლელ გზას, რა თქმა უნდა, გეგმაში ჩართული თანამზრახველის მსგავსად, ისიც ნატრობდა, ნეტავ, საერთოდ არ დამჭირდეს ეს მოგზაურობაო.

თუმცა, ნატვრა ყოველთვის არ სრულდება.

განსაკუთრებით, ნაცისტურ გერმანიაში.

ისევ გავიდა დრო.

ომი ძალას იკრებდა.

მაქსი ახლა სხვა ცარიელ ოთახში ემალებოდა სამყაროს.

სანამ ის არ მოხდა, რაც გარდაუვალი იყო.

უოლტერს აცნობეს, რომ პოლონეთში გზავნიდნენ, გერმანიის სათავეში მოსული ხელისუფლება ცდილობდა, თანაბრად ეჩვენებინა ძალა პოლონელებისა და ებრაელებისთვის, ისინი ხომ, ნაცისტების აზრით, ერთმანეთზე უარესები იყვნენ.

დრო მოვიდა.

დრო მოვიდა და მაქსი მიუნხენისა და მოლკინგისკენ გზას დაადგა. ახლა კი უცნობი ადამიანების სამზარეულოში იჯდა და დახმარებას ითხოვდა, თანაც თავს იდანაშაულებდა, დიდ უბედურებაში რომ გახვია ისინი.

ჰანს ჰუბერმანმა თავი დაუკრა, გაეცნო და სიბნელეში ყავა მოუდუღა.

გოგონა დიდი ხნის წინ გავიდა ოთახიდან, მაგრამ ახლა სხვა ადამიანის ფეხის ხმა მოესმა. და აი ისიც, თვით მოულოდნელობა.

სიბნელეში სამივენი ცალ-ცალკე იდგნენ და ერთმანეთს უცქერდნენ. მხოლოდ ქალმა დაილაპარაკა.

როზას მრისხანება

ლიზელი დაძინებას აპირებდა, ნამდვილად როზა ჰუბერმანის ხმა რომ შემოესმა სამზარეულოდან, შეკრთა და გამოფხიზლდა.

— Was ist los? რა მოხდა?

წარმოიდგინა განრისხებული როზას ტირადა და ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ოთახში მოძრაობის და სკამის გაწევის ხმა მოესმა.

ათი წუთი ითმენდა და იტანჯებოდა, შემდეგ დერეფნისკენ წავიდა და ნანახმა გააოცა. როზა ჰუბერმანი მაქს ვანდენბურგს ზურგს უკან ედგა და უცქერდა, როგორ ხმაურით ყლაპავდა ის ბარდის საზიზღარ შეჭამანდს. მაგიდაზე დადგმული სანთლის ალი არც კი ირხეოდა.

დედობილი სამარესავით დუმდა.

ნერვიულობდა.

გამარჯვებულის გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ იმის გამო არა, რომ ადამიანი გადაარჩინა სასჯელს, თითქოს უნდოდა, ეთქვა, — „ხედავთ? არ იწუნებს შეჭამანდს“. დედობილი ხან წვნიანს უცქერდა, ხან ებრაელს, ხანაც ისევ წვნიანს.

შემდეგ ისევ დაილაპარაკა, სტუმარს ჰკითხა, ხომ არ დაგიმატოო.

მაქსმა უარი უთხრა, ნიჟარას მივარდა და გული აერია. ზურგი უცახცახებდა და ხელები გაეშალა, თითებით ლითონის რაღაც ნივთი ჩაებლუჯა.

— იესო, მარიამ და იოსებ, — ბურტყუნებდა როზა, — ესეც...

მაქსი შემობრუნდა და ბოდიში მოიხადა. სრიალა, მოკლე სიტყვები აღმოხდა, რომლებიც მჟავას დაერბილებინა.

— მაპატიეთ, მგონი ზედმეტი მომივიდა, კუჭი გადაჩვეულია, დიდი ხანია, რაც... ალბათ ვერ ავიტანე ამდენი...

— გაიწი, — უბრძანა როზამ და ოთახის დასუფთავება დაიწყო.

დალაგებას რომ მორჩა, დაინახა, მაგიდასთან ჩამომჯდარ მაქსს მოწყენილი სახე ჰქონდა. ჰანსი მის პირდაპირ იჯდა და ხელები შეშის ნაჭერზე დაეწყო.

ლიზელი დერეფნიდან ხედავდა უცნობის მოწყენილ სახეს, მის უკან მდგარ დედას სახეზე დარდი აღბეჭდვოდა.

გოგონამ დედობილ-მამობილი შეათვალიერა.

ვინ იყო ეს ხალხი?

ლიზელის ლექცია

მართლაც, ნეტავ რა ხალხი იყო ჰანს და როზა ჰუბერმანები? ნამდვილად ძნელი სათქმელია. როგორი ადამიანები იყვნენ? გულუბრყვილოები თუ არანორმალურები?

მარტივია მხოლოდ იმის თქმა, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ისინი.

ჰანს და როზა ჰუბერმანების მდგომარეობა

ნამდვილად არასაიმედო.
ფაქტობრივად, სახიფათო.

ნაციზმის დაბადების დღეს, დილით ადრე, ებრაელი რომ გამოჩენილიყო თქვენს საცხოვრებელში, თავს საოცრად უხერხულად იგრძნობდით, სხვადასხვა გრძნობა დაგეუფლებოდათ: გაღიზიანება, შფოთი, შიში. თითოეულს თავისი ადგილი ექნებოდა და საბოლოოდ, იმ საზიზღარ ეჭვს შობდა, რომელიც ლოდინს აუტანელს ხდის. შიში ყველგან აღწევს და დიდი თვალები აქვს.

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ მიუხედავად სიბნელეში შობილი დამაბრმავებელი შიშისა, ისტერიკაში არ ჩავარდნილან.

დედამ ლიზელს უბრძანა, ოთახიდან გასულიყო.

— Bett, Saumensch! — ქალს მშვიდი, მაგრამ მტკიცე ხმა ჰქონდა, რაც ნამდვილად უჩვეულო ამბავი იყო. — ლოგინში, ღორუკელა!

რამდენიმე წუთში მამა შევიდა გოგოსთან და ცარიელ ლოგინზე გადასაფარებელი გადასწია.

— Alles gut, Liese?! ყველაფერი კარგადაა?

— დიახ, მამა.

— ალბათ ნახე, სტუმარი რომ გვეწვია, — ლიზელი სიბნელეში მხოლოდ ჰანსის მაღალ ფიგურას არჩევდა, — ამაღამ ჩვენთან დაიძინებს.

— დიახ, მამა.

ცოტა ხანში მაქს ვანდენბურგი უხმაუროდ შევიდა ოთახში. ის კაცი არც კი სუნთქავდა, არ ინძრეოდა, კარის ზღურბლიდან საწოლამდე მაინც მიაღწია და საბნის ქვეშ შეძვრა.

— ყველაფერი რიგზეა?

ისევ მამის ხმა იყო, ამჯერად მაქსს ეკითხებოდა.

ბიჭის პასუხი ამოფრინდა და ლაქასავით მიეკრო ჭერს, ალბათ იმიტომ, რომ რცხვენოდა.

— დიახ, გმადლობ, — დასძინა, როცა მამამ ჩვეული ადგილი დაიკავა ლიზელის საწოლზე. — გმადლობ.

ერთი საათი გავიდა, სანამ ლიზელს ჩაეძინებოდა.

დიდხანს და ღრმად ეძინა.

მეორე დილით, ცხრის ნახევარზე, ხელის შეხებამ გამოაღვიძა.

ხმამ აუწყა, დღეს სკოლაში არ წახვალო. ცხადია, ავად იყო.

ბოლომდე რომ გამოფხიზლდა, — მეზობლად მდგარ საწოლზე უცნობი დაინახა, თავზე საბანი ჰქონდა ნაფარებული, გვერდზე გადაყოფილი თმა მოუჩანდა და ჩქამსაც არ გამოსცემდა, ალბათ ბევრი ევარჯიშა, უჩუმრად ძილი რომ ესწავლა. ლიზელმა ფრთხილად ჩაუარა მის საწოლს და მამას გაჰყვა დერეფანში.

პირველად დაინახა, როგორ თვლემდნენ სამზარეულო და დედა.

ფიქრში ჩაძირული, პირველყოფილი დუმილი იდგა, თუმცა, სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა და ლიზელმა შვება იგრძნო.

ოთახში მხოლოდ საუზმობის ხმა ისმოდა.

დედა მაგიდას მიუჯდა და დღის წესრიგი გააცნო ოჯახის წევრებს:

— ლიზელ, მისმინე, მამა დღეს შენთვის რაღაცის თქმას აპირებს, — საქმე სერიოზულად იყო, დედას ღორუკელაც კი არ უწოდებია. თვითკონტროლის კონკრეტული მაგალითი. — გაყევი და მოუსმინე, გასაგებია?

გოგონა ლუკმას ყლაპავდა.

— გასაგებია, ღორუკელა?

ასე ჯობდა.

ლიზელმა თავი დაუქნია.

საძინებელში ისევ რომ შევიდა და ტანსაცმელი აიღო, ლოგინში მწოლიარე სხეული შეირხა და მოიკუნტა, ახლა მორივით კი არ იდო, ლათინური Z-ს ფორმა მიიღო. ერთი კუთხიდან მეორემდე გაწვა, ზიგზაგისებურად.

გოგონა დაღლილ შუქში მის სახეს არჩევდა, კვერცხის ნაჭუჭისფერკანიან მაქსს პირი გაეღო, ნიკაპსა და ყბებზე წვერი ამოსვლოდა, ყურები მაგარი და ბრტყელი ჰქონდა, ცხვირი კი პატარა და მრუდე.

— ლიზელ!

მიიხედა.

— დაუჩქარე!

ლიზელმა დაუჩქარა, აბაზანაში შევიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და დერეფანში რომ გამოვიდა, მიხვდა, შორს არ აპირებდნენ წასვლას. მამა სარდაფში ჩასასვლელ კართან იდგა, ძლივს შესამჩნევად იღიმებოდა და ხელში ანთებული ლამპა ეკავა.

სთხოვა, კომფორტულად მოკალათებულიყო ბიაზის გროვასა და საღებავის სუნში. კედლებზე ის სიტყვები დაინახა, წარსულში რომ სწავლობდა.

— რაღაც მინდა გითხრა.

ბიაზის ერთმეტრიან გროვაზე მოკალათდა, მამა კი საღებავის თხუთმეტლიტრიან თუნუქის ქილაზე ჩამოჯდა. რამდენიმე წუთი სიტყვებს ეძებდა, მერე თვალები მოიფშვნიტა.

— ლიზელ, — თქვა წყნარად, — დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა და აქამდე არაფერი მიამბია

შენთვის არც ჩემზე და არც იმ კაცზე, მაღლა სართულზე რომ სძინავს.

ჰანსი ბოლთას სცემდა სარდაფის ერთი ბოლოდან მეორე-მდე, ლამპის შუქი მის ჩრდილს ადიდებდა.

სიარულს რომ მორჩა, მის უკან ჩრდილიც შეჩერდა და თვალთვალი დაუწყო. ვილაც ყოველთვის უთვალთვალებ-დათ.

— ჩემი აკორდეონი ხომ იცი? — თქვა და ამბის თხრობას შეუდგა.

ჯერ პირველ მსოფლიო ომზე მოუყვა და ერიკ ვანდენბურ-გი გააცნო, შემდეგ მის ცოლთან სტუმრობა გაიხსენა:

— ბავშვი, იმ დღეს რომ შემოვიდა ოთახში, სწორედ ის კა-ცია, მაღლა რომ სძინავს, Verstehst? გასაგებია?

წიგნის ქურდი იჯდა და უსმენდა ჰანს ჰუბერმანის მონა-თხრობს.

მამა ერთი საათი მაინც ჰყვებოდა, ბოლოს დადგა ჭეშმა-რიტების წუთი, ლექციის ყველაზე აუცილებელი და მთავარი ნაწილი.

— ლიზელ, იცოდე, კარგად უნდა მომისმინო, — მამამ გო-გონას ხელი გაუწოდა და წამოაყენა.

ორივენი კედელს უცქერდნენ.

მუქი ჩრდილები და სიტყვების სავარჯიშო.

მამობილს მტკიცედ ეჭირა ლიზელის თითები.

— ფიურერის დაბადების დღე გახსოვს? შინ რომ ვბრუნ-დებოდით, კოცონის ღამეს? გახსოვს, რას შემპირდი?

გოგონამ თავი დაუქნია კედელს და თქვა:

— შეგპირდი, რომ საიდუმლოს შეგინახავდი.

— მართალი ხარ, — ჩაკიდებული ხელების ჩრდილებს შო-რის კედელზე წარწერილი სიტყვები გაფანტულიყო. მხრებსა თუ თავებზე ესხდნენ ლიზელსა და მამობილს, მკლავებზე ეკიდნენ.

— ლიზელ, იცოდე, იმ კაცის შესახებ ვინმეს თუ მოუყვე-ბი, დიდ ხათაბალაში გავეხვევით, — დანის პირზე გადიოდა: თან უნდა შეეშინებინა გოგონა, სამარესავით უტყვი რომ ყო-

ფილიყო, თანაც უნდა დაემშვიდებინა, რომ არ ენერვიულა. მიუბრუნდა და ლითონის თვალებით შეხედა, მათში სასოწარკვეთაც ჩანდა და სიმშვიდეც. — სხვა თუ არაფერი, მე და დედაშენს დაგვიჭერენ, — ძალიან განიცდიდა, არ უნდოდა, მეტისმეტად დაეფრთხო, მაგრამ საფრთხე რომ ანონ-დანონა, მიხვდა, ჯობდა ცოტა გადაემლაშებინა, ვიდრე მარილი დაეკლო. ლიზელი ბოლომდე უნდა ჩასწვდომოდა საქმის ვითარებას.

სანამ საუბარს დაასრულებდა, ჰანს ჰუბერმანმა ლიზელ მემინგერს შეხედა და დარწმუნდა, რომ ის ყურადღებით ისმენდა. და ჩამოუთვალა, რა შეიძლება მოჰყოლოდა საიდუმლოს გაცემას:

— იცოდე, იმ კაცის შესახებ თუ ვინმეს უამბობ...

მასწავლებელს.

რუდის.

მნიშვნელობა არ აქვს, ვის.

დაისჯები.

— ...პირველ რიგში, ყველა წიგნს ნაგართმევ და სათითაოდ დავწვავ, — ეს სასტიკი განაჩენი გახლდათ, — ქურაში შევაგდებ ან ბუხარში, — გამოდის, ტირანივით უნდა მოქცეულიყო, მაგრამ სხვაგვარად არ გამოდიოდა, — გასაგებია?

შეძრწუნებამ გოგონას სულში ხვრელი გააჩინა — სწორი და დახვეწილი.

ცრემლები წამოუვიდა.

— დიახ, მამა.

— შემდეგ, — ჰანსი დაიძაბა, ცდილობდა, სიმკაცრე შეენარჩუნებინა, — შენს თავს წაგვართმევენ და აქედან წაგიყვანენ. გინდა ეს?

— Nein[27] — უკვე ძალიან ტიროდა.

— კარგი, — ჰანსმა კიდევ უფრო მოუჭირა თითებზე, — ამ ახალგაზრდას წაიყვანენ და ალბათ მე და დედასაც ზედ მიგვაყოლებენ, უკან ველარასოდეს, ველარასოდეს დავბრუნდებით.

---

[27] *გერმ. არა.*

ამან იმოქმედა.

ლიზელი ისე აქვითინდა, რომ მამას მოუნდა, გულში მაგრად ჩაეკრა, თუმცა, ასე არ მოქცეულა, ამის ნაცვლად თავი დახარა და თვალებში ჩახედა, შემდეგ კი ყველაზე ჩუმად აი, ეს უთხრა:

— *Verstehst du mich?* — გესმის ჩემი?

ლიზელმა თავი დაუქნია, მწარედ ტიროდა, განადგურებული და ნამსხვრევებად ქცეული. ახლა კი ჩაიკრა გულში საღებავის სუნით გაჟღენთილ და ნავთის ლამპის შუქით განათებულ სარდაფში.

— ყველაფერი გავიგე, მამა, ნამდვილად გავიგე.

გოგონას ხმა მამის სხეულმა ჩაახშო, ასე იდგნენ რამდენიმე წუთს, ლიზელს სუნთქვა ეკვროდა, მამა კი ზურგზე უსვამდა ხელს.

მაღლა რომ ავიდნენ, სამზარეულოში, მხოლოდ სევდიანი დედა დახვდათ.

ჰანსი და ლიზელი დაინახა თუ არა, წამოდგა, ლიზელს შეხედა და თვალებზე შემშრალი ცრემლები შენიშნა. გულში ჩაიკრა.

— Alles gut, Saumensch?[28]

პასუხი აღარ იყო საჭირო.

ყველაფერი კარგად იყო.

მაგრამ ყველაფერი ცუდადაც იყო.

---

[28] *გერმ. ყველაფერი რიგზეა, ღორუკელავ?*

მძინარე

მაქს ვანდენბურგს სამი დღე ეძინა.

ლიზელი დროდადრო უცქერდა ჩაძინებულს. ალბათ ფიქრობთ, მესამე დღეს უკვე ჩვევად ექცეოდა შემოწმება, სუნთქავდა თუ არა ბიჭი. გარკვეული ნიშნებით იმასაც ხვდებოდა, ცოცხალი იყო თუ არა – - ტუჩების მოძრაობით, მოხშირებული წვერით, თმის ბლუჯით, რომელიც ოდნავ უტოკავდა, ლოგინში შერხევით.

ხშირად, თავზე რომ ადგა, ფიქრობდა, ეს-ესაა, გაიღვიძაო, სტუმარი ხანდახან თვალს ახელდა და უყურებდა მოთვალთვალეს. აზრი, რომ შეიძლება, გამოეჭირათ, გოგონას, ერთდროულად, აწუხებდა კიდეც და ინტერესითაც ავსებდა. ეშინოდა და თან გასაღვიძებლად იწვევდა. მხოლოდ მაშინ ტოვებდა ოთახს იმედგაცრუებული, როცა დედა დაუძახებდა. გული სწყდებოდა, რომ მაქსს შეიძლება სწორედ მის არყოფნაში გაღვიძებოდა.

ხანდახან, ძილში, მაქსი ლაპარაკობდა კიდეც.

აი, იმ სახელების ჩამონათვალი, რომელსაც ლუღლუღებდა. მთელი სია:

ისააკი. მამიდა რუთი. დედა. სარა. უოლტერი. ჰიტლერი.

ოჯახის წევრები, მეგობარი, მტერი.

ყველა საბანში ჰყავდა გამომწყვდეული და ხანდახან საკუთარ თავსაც კი ებრძოდა. „Nein", ჩურჩულებდა, ერთხელ შვიდჯერ მაინც გაიმეორა „არა".

ლიზელმა რაღაც მსგავსება უკვე იპოვა უცნობსა და საკუთარ თავს შორის. ორივე ჰიტლერის აგიტაციამ მიიყვანა ჰი-

მელ-სტრიტზე. ორივე ცუდ სიზმრებს ხედავდა.

დრო რომ მოვიდა, სტუმარს საშინლად დეზორიენტირებულს გაელვიძა.

თვალები გაახილა, წამოჯდა, მარჯვნივ გაიხედა და პირი გააღო:

— ჰეი!

ხმის ნაგლეჯი მოსწყდა ბაგეებს.

მისკენ დახრილი გოგოს სახე უკულმა რომ დაინახა, ვერ იცნო, შეწუხდა და მეხსიერება დაძაბა. უნდოდა, ზუსტად გაეხსენებინა, სად იყო და იქ როდის მოხვდა. რამდენიმე წამში მოახერხა, თავი მოექექა (შრიალი გაისმა) და გოგოს შეხედა. ფრაგმენტულად მოძრაობდა. გახელილი თვალები კი, რაკი ისინი გაახილა, თაფლისფერი და ჭაობივით ღრმა ჰქონდა. ფართო და დიდი.

ლიზელმა უნებლიეთ უკან დაიხია.

მეტისმეტად ნელა.

უცნობმა წამოიწია და ლოგინით გამთბარი ხელი დაადო ხელზე.

— გთხოვ.

ხმაც კი თითებით ჩაებღაუჭა გოგონას, ხორცში ჩაესო.

— მამა! — ხმამაღალი.

— გემუდარები! — რბილი.

გვიანი შუადღე იდგა, ნაცრისფერი და მკრთალი, თუმცა, ოთახში მხოლოდ ჭუჭყისფერი შუქი შემოდიოდა. მხოლოდ ასე შეეძლო ქსოვილს, რომლისგანაც ფარდები შეეკერათ. თუ ოპტიმისტები ხართ, შეგიძლიათ, შუქი ბრინჯაოსფრად წარმოიდგინოთ.

მამა რომ შემოვიდა, ჯერ კარის ზღურბლთან დადგა, მაქს ვანდენბურგის ლიზელზე ჩაბღაუჭებული ხელი და სასონარკვეთილი სახე დაინახა. ერთიც და მეორეც გოგოს ხელზე ირეკლებოდა.

— ვხედავ, უკვე გაიცანით ერთმანეთი, — თქვა.

მაქსს თითები ნელ-ნელა გაუცივდა.

ცუდი სიზმრების გაცვლა

მაქს ვანდენბურგმა პირობა დადო, რომ ლიზელის ოთახში აღარასოდეს დაიძინებდა. ნეტავ, რაზე ფიქრობდა იმ პირველ ღამეს? ამაზე ფიქრიც კი კლავდა.

ასე იმსჯელა: ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ ჩამოსვლისას გიჟივით იყო. მისთვის ერთადერთ შესაფერის ადგილს სარდაფი ნარმოადგენს. სიცივესა და მარტოობას გაუძლებს, ის ხომ ებრაელია და მისი ადგილი სარდაფშია, მხოლოდ ასე თუ გადარჩება.

— ძალიან ვწუხვარ, — აღიარა ჰანსთან და როზასთან, როცა სარდაფის საფეხურებს ჩაუყვა, — დღეიდან აქ ვიქნები, ხმასაც არ გავიღებ, დავდუმდები.

ჰანსი და როზა ხვდებოდნენ, რა არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ ძალიან ციოდა, აღარ შეჰკამათებიან, საბნები ჩაზიდეს და ნავთის ლამპა დაუდგეს. როზამ გააფრთხილა, საჭმელი მწირად გვექნებაო, მაქსმა კი მგზნებარედ მიუგო, ნამცეცებითაც დავკმაყოფილდები ან იმით, რასაც სხვა პირს არ დააკარებსო.

— არა, არა, — დაარწმუნა როზამ, — ყველანაირად ვეცდები, ნორმალურად გამოგკვებო.

ლიზელის საძინებელში მდგარი ცარიელი საწოლიდან ლეიბი აიღეს და სარდაფში ჩაიტანეს, მის ნაცვლად ბიაზის ნაჭრები დააწყვეს, მშვენიერი გაცვლა გამოვიდა.

ქვემოთ რომ ჩავიდნენ, ჰანსმა და მაქსმა ლეიბი კიბის ქვეშ დააგეს, გვერდებზე კი ბიაზის კედელი ამოუშენეს. საკმაოდ მაღალი გამოვიდა, სამკუთხა შესასვლელიც შეინილბა, ყოველ

შემთხვევაში, კედლების გაწევაც შეიძლებოდა, თუკი მაქსი სუფთა ჰაერის ჩაყლაპვას მოისურვებდა.

მამამ მოიბოდიშა:

— საცოდავი სამალავი გამოგვივიდა, მაგრამ...

— სულ არაფერს ხომ მაინც სჯობს, — დაარწმუნა მაქსმა, — იმაზე უკეთესია, ვიდრე ვიმსახურებ, გმადლობ.

კიდევ რამდენიმე სალებავის ქილა და ჰანსმა მაქსის სამალავი კუთხეში მიყრილ ნაგვის გროვას დაამსგავსა, ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ თუ ვინმე იმ ქილებს გადააადგილებდა და ბიაზის ერთ ან ორ ნაჭერს გადასწევდა, უმალვე იყნოსავდა ებრაელს.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საკმარისია, — თქვა ჰანსმა.

— საკმარისი იქნება, — მაქსი სამალავში შებობღდა, შემდეგ გაიმეორა, — დიდი მადლობა, დიდი მადლობა.

დიდი მადლობა.

მაქსს ვანდენბურგის ლექსიკონში ეს ორი ყველაზე საბრალო სიტყვა მოიძებნებოდა, რომლებსაც ზოგჯერ „ძალიან ვწუხვარ"-ით ანაცვლებდა. მუდმივად იმეორებდა. თითქოს ცდილობდა, დანაშაულის გრძნობა ჩაეხშო საკუთარ არსებაში.

ნეტავ, ახალგაღვიძებულზე რამდენჯერ მონდომებია სარდაფიდან ამოსვლა და იმ სახლის სამუდამოდ დატოვება? ალბათ, უამრავჯერ.

თუმცა, ყოველთვის ახშობდა ტკივილნარევ სურვილს.

და ეს უარესი იყო.

ოჰ, როგორ უნდოდა წასვლა, ღმერთო, როგორ უნდოდა (ყოველ შემთხვევაში, სურდა, რომ ნდომებოდა), მაგრამ იცოდა, შეუძლებელი იყო. იქ ყოფნა, ხომ, ოჯახის მიტოვებისა და შტუტგარტში, ერთგული მეგობრის საფარქვეშ მალვისგან არაფრით განსხვავდებოდა.

სიცოცხლისათვის.

სიცოცხლე სიცოცხლე იყო.

მისი საფასური სირცხვილი და სინდისის ქენჯნა გახლდათ.

პირველ დღეებში სარდაფში ჩასული ლიზელი სრულებით არ იმჩნევდა მაქსს, დაივიწყა მისი არსებობა, მისი თმის შრიალი, ცივი, სრიალა თითები.

ნატანჯი ყოფა.

დედა და მამა.

ისინი უჩვეულოდ დასერიოზულდნენ, ხშირად ვერ ახერხებდნენ შეთანხმებას.

მსჯელობდნენ, სად შეიძლებოდა, მაქსი გადაეყვანათ.

— ნეტავ სად?

კითხვაზე პასუხი არ ჰქონდათ.

იმ კონკრეტულ სიტუაციაში მეგობრები ველარაფერში დაეხმარებოდნენ, ხელფეხშეკრულნი იყვნენ. მაქს ვანდენბურგი ვერსად წავიდოდა. მხოლოდ მათი იმედილა ჰქონდა, ჰანს და როზა ჰუბერმანების. ლიზელს არასოდეს ენახა, დედობილ-მამობილს ასე ხშირად ეცქირათ ერთმანეთისთვის თვალებში ან ასეთი სერიოზულები ყოფილიყვნენ.

ჰანსსა და როზას მაქსთან საქმელი ჩაჰქონდათ და კიდევ, ცარიელი საღებავის ქილა ექსკრემენტებისთვის. შემდეგ ჰანსი ქილას რამდენადაც შეეძლო, ფრთხილად ცლიდა და იმედოვნებდა, კიდევ იშოვიდა სამღებრო სამუშაოს. როზა თბილი წყლით სავსე სათლებს უზიდავდა დასაბანად. ებრაელი ბინძური იყო.

ყოველთვის, ლიზელის გარეთ გასვლისას, ნოემბრის ცივი ჰაერი იჭრებოდა ოთახში.

უხვად მოდიოდა წვიმის წვეთები.

ქუჩაში მძიმედ ეცემოდა მკვდარი ფოთლები.

ცოტა ხანში წიგნის ქურდსაც მოუნია სარდაფში ჩასვლამ.

აიძულეს.

ყოყმანით რომ ჩაუყვა კიბის საფეხურებს, მიხვდა, აზრი არ ჰქონდა, მაქსისთვის ეთქვა, მოვდივარო, ის ხომ ფეხის ხმის გაგონებისთანავე წამოხტებოდა ლოგინიდან.

სარდაფის შუაგულში დადგა, დაელოდა და მოეჩვენა, რომ უზარმაზარ მტვრიან ველზე იყო, მოსავალს, ბიაზის ნაჭრებს, მზეს ეთამაშებოდა.

მაქსი რომ გამოვიდა, ხელში *„ჩემი ბრძოლა“* ეჭირა, ჰუბერმანებთან ჩამოსვლისას ჰანსს შესთავაზა, დაიბრუნეთ თქვენი წიგნიო, მაგრამ მან უპასუხა, შენთვის დაიტოვეო.

ბუნებრივია, ლიზელი, რომელსაც მაქსთან ჩატანილი სადილი ჯერ ისევ ხელში ეკავა, წიგნს თვალს ვერ აშორებდა. ის წიგნი

„გერმანელ გოგონათა ლიგაშიც“ რამდენჯერმე ჰქონდა ნანახი, მაგრამ არ წაუკითხავთ, არც მეცადინეობისას გამოუყენებიათ. მხოლოდ ზოგჯერ თუ ეტყოდნენ ხოლმე, რა მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენდა „ჩემი ბრძოლა“. მის მნიშვნელობაზე ესაუბრებოდნენ და ჰპირდებოდნენ, როცა წამოიზრდებით და „ჰიტლერიუგენდის“ უფროსკლასელთა დივიზიაში გადახვალთ, მაშინ გექნებათ მისი წაკითხვის საშუალებაო.

მაქსმა იგრძნო, გოგონა რომ წიგნით დაინტერესდა, გადაშალა და თვალიერება დაიწყო.

— კარ... --- ჩაიჩურჩულა გოგონამ.

ხმა უცნაურად ჩაიწნა, დაიგრიხა და დაუსხლტა პირიდან.

ებრაელმა თავი ნამოსწია და მიუახლოვდა:

— Bitte? მაპატიეთ.

გოგონამ ბარდის წვნიანი მიაწოდა და ზედა სართულზე დაბრუნდა გაწითლებული, აჩქარებული და გასულელებული.

— კარგი წიგნია?

აბაზანაში, სარკის წინაც წაივარჯიშა ამ ფრაზის წარმოთქმაში. შარდის სუნი ასდიოდა. მაქსმა გოგონას ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე მოშარდა. „So ein G'stank. რა მყრალი სუნია“, — გაიფიქრა.

მხოლოდ საკუთარ შარდს ასდის კარგი სუნი.

კოჭლობით ჩაიარა დღეებმა.

ყოველ ღამით, სანამ ჩაეძინებოდა, მამობილ-დედობილის ხმა ესმოდა სამზარეულოდან. იმაზე მსჯელობდნენ, რა გააკეთეს, რას აკეთებდნენ და მომავალში რა უნდა ექნათ. ამასთან, ლიზელს მაქსის სახებაც არ ტოვებდა — მუდმივად გულნატკენი, მადლიერებით აღსავსე გამომეტყველება და ჭაობისებური თვალები.

სამზარეულოდან მხოლოდ ერთხელ მოესმა კამათის ხმა.

მამა.

— ვიცი!

ისე ხმამაღლა მოუვიდა, ნაჩქარევად გადავიდა ჩურჩულზე.

— აუცილებლად უნდა წავიდე ხოლმე, კვირაში რამდენჯერმე მაინც. სულ სახლში ხომ არ ვიქნები, ფული გვჭირდება და დაკვრას თავს თუ დავანებებ, დაეჭვდებიან კიდეც, დაინ-

ტერესდებიან, რატომ აღარ ვუკრავ. გასულ კვირას ვუთხარი, თითქოს შენ იყავი ავად, მაგრამ ცხოვრება ძველებურად უნდა გავაგრძელოთ.

სწორედ ეს იყო უბედურება.

ჰუბერმანების ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. არადა, ისე უნდა მოქცეულიყვნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

წარმოიდგინეთ, გაღიმება სილის გარტყმის შემდეგ. მერე კი ჩათვალეთ, რომ ასე იქცევით ოცდაოთხი საათი დღეღამეში.

მათ ხომ ებრაელი შეიფარეს.

დღეები კვირებად იქცა და ბოლოს ოჯახიც შეეჩვია ასე არსებობას. ყველაფერი ომის, სიტყვის შესრულებისა და ერთი უბრალო აკორდეონის ბრალი იყო. თანაც სულ რაღაც ნახევარ წელიწადში ჰუბერმანებმა საკუთარი ვაჟი დაკარგეს და მისი ადგილი ოჯახში მეტისმეტად სახიფათო შემცვლელმა დაიკავა.

ლიზელს ყველაზე მეტად დედის ხასიათის ცვლილება აშფოთებდა. გარდა იმისა, რომ როზა ზუსტად ანაწილებდა საკვებს, შეძლებისდაგვარად ცდილობდა, ლაგამი ამოედო ენისთვის. მუყაოსებური სახე გაუნაზდა კიდეც. ერთი რამ გამოაშკარავდა:

როზა ჰუბერმანის თვისება

გაჭირვების ჟამს შესანიშნავად ეჭირა თავი.

მაშინაც, ჰიმელ-სტრიტზე მაქსის დასახლებიდან ერთ თვეში, ართრიტიანმა ჰელენა შმიდტმა სარეცხის რეცხვა-დაუთოებაზე უარი რომ შეუთვალა ლიზელის პირით, როზა ჩუმად მიუჯდა მაგიდას და ჯამი მიუწია გოგოს:

— დღეს კარგი შეჭამანდი გამომივიდა.

საშინელი შეჭამანდი იყო.

ყოველ დილით ლიზელი სკოლაში, ფეხბურთის სათამაშოდ ან დარჩენილი კლიენტების ჩამოსავლელად სანამ წავიდოდა, როზა წყნარად ეუბნებოდა:

— დაიმახსოვრე, ლიზელ... — შემდეგ კი პირზე თითს მიიდებდა. ლიზელი თავს უქნევდა და დედაც აქებდა, — კარგი გოგო ხარ, ღორუკელა, ახლა შეგიძლია, წახვიდე.

მამა და, ახლა, დედაც არ ცდებოდნენ, ლიზელი მართლაც კარგი გოგო იყო, სადაც უნდა წასულიყო, ენას კბილს მაგრად აჭერდა და საიდუმლოს სულ უფრო ღრმად იმარხავდა გულში.

ქალაქში ძველებურად დახეტიალებდა რუდისთან ერთად და მის ლაყბობას უსმენდა. ხანდახან მეგობრები ერთმანეთს „ჰიტლერიუგენდელების“ შესახებ შეხედულებებს უზიარებდნენ. სწორედ მაშინ ახსენა რუდიმ პირველად სადისტი ახალგაზრდა ლიდერი ფრანც დოიჩერი. ან დოიჩერზე ჰყვებოდა, ანდა ძველ ფირფიტას ატრიალებდა — იმ გოლს იხსენებდა, ბოლოს რომ გაიტანა ჰიმელ-სტრიტის სტადიონზე.

— მახსოვს, — არწმუნებდა ლიზელი, — მეც ხომ იქ ვიყავი.

— მერე რა?

— რა და დავინახე, ღორიშვილო.

— მე რა ვიცი? ერთადერთი, ის მახსოვს, რომ ძირს ეგდე და ჩემგან ატალახებულ მიწას ლოკავდი.

სწორედ რუდი დაეხმარა, შეენარჩუნებინა სიფხიზლე და არ გაგიჟებულიყო. დაეხმარა თავისი სულელური საუბრებით, ლიმონისფერი თმითა და თავხედობით.

მისგან სულ სხვა მუხტი მოდიოდა — იმედის. გეგონებოდა, სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა ხუმრობა, დაუსრულებელი გოლები ფეხბურთში, ეშმაკობა და უაზრო ლაყბობაო.

ლიზელის ცხოვრებაში მერის ცოლის ადგილიც დარჩა და მერის ბიბლიოთეკაში წიგნის კითხვისაც.

მართალია, ოთახში ყოველი სტუმრობის შემდეგ სულ უფრო და უფრო ციოდა, მაგრამ ლიზელს სიამოვნებაზე უარის თქმა არ შეეძლო, დაიწყობდა წინ წიგნებს და თითოეულიდან პატარ-პატარა ნაწყვეტებს კითხულობდა. ასე იქცეოდა მანამ, სანამ ერთ შუადღეს ის წიგნი არ იპოვა, რომლის ადგილზე დაბრუნებაც აღარ მოუნდა. წიგნს *„სტვენია“* ერქვა. პირველ რიგში იმიტომ დაინტერესდა, რომ ჰიმელსტრიტელი სტვენია

პფიფიკუსი წარმოუდგა თვალწინ. კარგად ახსოვდა, როგორ დააბიჯებდა პალტოში გახვეული, ახსოვდა მისი გამოჩენაც ფიურერის დაბადების დღეს, კოცონზე.

წიგნი იწყებოდა მკვლელობით. დანით. ვენის ქუჩაზე. წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიიდან ოდნავ მოშორებით.

ნაწყვეტი „სტვენიადან“

ქუჩაში, სისხლის გუბეში იწვა, უცნაური მელოდია ჩაესმოდა. გაახსენდა დანა, მისი გაყრა, გამოძრობა და ღიმილი. სტვენიამ გაქცევისას, როგორც ყოველთვის, ბნელ სასიკვდილო ღამეს გაუღიმა...

ლიზელს ვერ გაერჩია, ურჟოლას ფანჯრიდან შემოსული სიცივე ჰგვრიდა თუ წიგნში ამოკითხული სიტყვები. ყოველთვის, როცა მერის ოჯახში დარეცხილი ტანსაცმელი მიჰქონდა ან გასარეცხი მოჰქონდა, სამ გვერდს კითხულობდა და მაშინაც ცახცახებდა, თუმცა, ასე ვეღარ გაგრძელდებოდა.

გოგონას მსგავსად ვეღარც მაქს ვანდენბურგი უძლებდა სიცივეს. არა, ჩივილი არ შეეძლო, ამის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ დღითი დღე უარესად გრძნობდა თავს.

როგორც აღმოჩნდა, მისი ხსნა კითხვასა და წერაში იყო და კიდევ — წიგნში, სახელწოდებით *„მხრების აჩეჩა“*.

— ლიზელ, — თქვა ჰანსმა ერთ საღამოს, — გამომყევი.

მაქსის ჩამოსვლის შემდეგ ლიზელი და მამა კითხვაში მეცადინეობას იშვიათად ახერხებდნენ. ჰანსი მიხვდა, რომ დრო იყო, სწავლა განეახლებინათ.

— Na komm, მოდი, მოდი. არ მინდა, ჩამორჩე. წიგნი აიღე. *„მხრების აჩეჩაზე“* რას იტყვი?

ლიზელის სიმშვიდე ერთმა გარემოებამ დაარღვია: წიგნით ხელში რომ დაბრუნდა, მამამ ანიშნა, ძველ სამუშაო ოთახში, სარდაფში ჩამომყევიო.

— მაგრამ მამა, — უთხრა გოგონამ, — ჩვენ ხომ არ შეგვიძლია.

— რაო? ქვემოთ ურჩხული გველოდება?

დეკემბრის დასაწყისი იყო და დღისითაც ყინავდა. რაც უფრო დაბლა ეშვებოდნენ, მით უფრო მტრულად ხვდებოდათ სარდაფი.

— მეტისმეტად ცივა, მამა.

— მაგრამ ეს ადრე არასოდეს განუხებდა.

— დიახ, თუმცა, ადრე ასე საშინლად არ ციოდა.

ქვემოთ რომ ჩავიდნენ, მამამ მაქსს ჩასჩურჩულა:

— ლამპას ხომ არ გვათხოვებ, გეთაყვა?

ბიაზის ნაჭრები და საღებავის ქილები შეირხა და ლიზელსა და მამას შიგნიდან ლამპა გამოაწოდეს. ლამპის ალს რომ შეხედა, ჰანსმა თავი გადააქნია და რამდენიმე სიტყვაც დააყოლა:

— Es ist ja Wahnsinn, net? რა სიგიჟეა, არა? — სანამ ხელი ბიაზის კედლის შესწორებას მოასწრებდა, ჰანსმა დაიჭირა, — შენც გამოდი, მაქს, გთხოვ.

ისევ შეირხა ბიაზის საფარი, გადაიწია და მაქს ვანდენბურგის გამხდარი სხეული და სახე გამოჩნდა. ნოტიო შუქში დგომისას დისკომფორტს განიცდიდა, ცახცახებდა.

ჰანსმა მკლავზე მოჰკიდა ხელი, თავისკენ რომ მიეზიდა.

— იესო, მარიამ და იოსებ, აქ შენი გაჩერება აღარ შეიძლება, სასიკვდილოდ გაითოშები. — შემდეგ გოგონას მიუბრუნდა, — ლიზელ, ვარცლი აავსე წყლით, ოღონდ მეტისმეტად ცხელი არ მოგივიდეს, დაელოდე, სანამ ოდნავ შეგრილდება.

ლიზელი გაიქცა.

— იესო, მარიამ და იოსებ.

დერეფანთან მისულს ისევ მოესმა ეს სიტყვები.

სანამ მაქსი ერთპინტიან[29] აბაზანაში იჯდა, ლიზელი აბაზანის კარს აყურადებდა. წარმოედგინა, როგორ ასდიოდა ორთქლი მაქსის აისბერგივით გაყინულ სხეულს თბილი წყლის გადავლებისას. დედობილ-მამობილი იმ ოთახში კამათობდნენ, საძინებელსაც რომ წარმოადგენდა და საერთო ოთახსაც, კამათმა კულმინაციას მიაღწია და მათი ხმები დერეფნის კედელს მიეხალა.

— დამიჯერე, იქ მოკვდება!

---

[29] *პინტი. მასის საზომი ერთეული. დაახ. 0,586 ლიტრი, აქ: ძალიან პატარა.*

— ჰო, მაგრამ ვინმემ რომ დაინახოს?

— არა, არა, მხოლოდ ღამით ამოვიყვანოთ, დღისით ყველაფერს ღიას ვტოვებთ, არაფერს ვმალავთ, თანაც ამ ოთახში უფრო ხშირად ვართ, ვიდრე სამზარეულოში. შემოსასვლელს ცოტა მოვაშოროთ.

დუმილი.

შემდეგ დედის ხმა:

— კარგი, კარგი, მართალი ხარ.

— თუ ფსონი ებრაელზე უნდა დავდოთ, — თქვა მამამ ცოტა ხნის შემდეგ, — უმჯობესია ეს ცოცხალი ებრაელი იყოს, — და იმ წუთიდან ახალი რუტინა იშვა.

ყოველ ღამით, დედობილ-მამობილის ოთახში ცეცხლი დაინთებოდა თუ არა, მაქსი ჩუმად ადიოდა ზემოთ, კუთხეში ჯდებოდა შეცბუნებული და მოკრუნჩხული, ამ ადამიანების სიკეთე აოცებდა. გადარჩენის საფასურად ტანჯვა, შემდეგ შვება და სითბოს სიკაშკაშე.

მჭიდროდ ჩამოფარებულ ფარდებში იატაკზე ეძინა, ბალიში კი თავზე ედო, სანამ ცეცხლი ნელ-ნელა ქრებოდა და ნაკვერჩხლები იფერფლებოდა.

დილით ისევ სარდაფში ბრუნდებოდა.

სოროში შემძვრალი ებრაელი ვირთხა.

შობა მოვიდა და ჰაერში დამატებითი საფრთხის სუნი დატრილადა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჰანს-უმცროსი არ ჩამოვიდა (ეს, ერთდროულად, ღვთის წყალობაც იყო და მეტისმეტი იმედგაცრუებაც), მაგრამ ტრუდი ჩვეულებრივ ეწვია შინაურებს და ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.

სიმშვიდის ხარისხი

მაქსი სარდაფში დარჩა.
ტრუდი ჩამოვიდა და
ისე დაბრუნდა უკან, ეჭვი
არაფერზე გასჩენია.

გადაწყდა, რომ მიუხედავად მშვიდი ხასიათისა, ტრუდიც არ იყო სანდო.

— ვისაც საჭიროა, იმას ვენდობით, — წამოიწყო მამამ, — მხოლოდ ჩვენ სამს.

შობას მოჰყვა დამატებითი საკვები და მაქსისთვის ბოდიშის მოხდა იმის გამო, რომ ეს ყველაფერი მის რელიგიასთან კავშირში არ იყო, მაგრამ რიტუალი აუცილებლად უნდა შეესრულებინათ.

მაქსს არ დაუჩივლია.

რა უფლება ჰქონდა?

ყველას აუხსნა, მართალია სისხლით, აღზრდით ებრაელი ვარ, მაგრამ ახლა ეს მხოლოდ უილბლობასა და განადგურებას მიქადისო.

ბიჭმა შემთხვევით ისარგებლა და ჰუბერმანებს უთხრა:

— ვწუხვარ, თქვენი ვაჟი რომ არ ჩამოვიდა საშობაოდ.

ამაზე მამობილმა უპასუხა:

— არის რაღაც, რასაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, რაც უნდა იყოს, თავადაც გეცოდინება, ახალგაზრდა მამაკაცია, ყმაწვილი. ყმაწვილებს კი უფლება აქვთ, გაჯიუტდნენ.

საუბარი აქ დასრულდა.

ბუხრის წინ გატარებულ პირველ რამდენიმე კვირას მაქსი დუმდა.

ახლა, როცა კვირაში ერთხელ, ნორმალურად იბანდა, ლიზელმა შენიშნა, რომ თმა დაწნული ბუდესავით კი აღარ ჰქონდა, ბუმბულივით გაუხდა. მას ჯერ ისევ რცხვენოდა უცნობის, ამიტომ აღმოჩენა მამობილს გაუზიარა ჩურჩულით:

— თმა ბუმბულს მიუგავს.

— რაო? — ბუხარში დანთებული ცეცხლი სიტყვებს ნთქავდა.

— გითხარი, — ჩასჩურჩულა ისევ ცოტა უფრო ახლოს დახრილმა, — თმა ბუმბულივით აქვს-მეთქი.

ჰანს ჰუბერმანმა გაიხედა და გოგონას თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

დარწმუნებული ვარ, იმ დროს ინატრა, ნეტავ ლიზელისნაირი თვალი მქონდესო. არც ერთი და არც მეორე მიმხვდარა, მაქსმა რომ ყველა სიტყვა გაიგონა.

ერთხელ მაქსმა *„ჩემი ბრძოლა“* აიტანა ზემოთ, ცეცხლის შუქზე დაიწყო მისი კითხვა და შინაარსს ჩაუკვირდა. იმ დღეს მესამედ დაინახა ლიზელმა ის წიგნი და გაბედა, ეკითხა:

— კარგი... წიგნია?

მაქსმა საკითხავს თვალი მოაშორა, თითები მუშტად შეკრა, შემდეგ ისევ გაშალა, როგორც იქნა, გაუმკლავდა ბრაზს, გოგონასთვის რომ გაელიმა, ბუმბულივით თმა გადაიქნია და შემდეგ ისევ თვალებზე ჩამოიყარა.

— საუკეთესო წიგნია, რაც კი ოდესმე დაწერილა, — ჯერ ჰანსს შეხედა, შემდეგ ლიზელს, — მან მე სიკვდილს გადამარჩინა.

გოგონა ახლოს მიჩოჩდა და ფეხი ფეხზე გადაიდო, შემდეგ კი მშვიდად ჰკითხა:

— როგორ?

აი, ამ ფრაზიდან დაიწყო საერთო ოთახში ამბების თხრობა ღამღამობით, თანაც ისე ხმამაღლა, რომ ყველას გაეგონა. ოჯახის წინაშე ებრაელი ჩხუბისთავის ცხოვრება იხატებოდა. ხანდახან მაქს ვანდენბურგის სიტყვებში იუმორი ჟღერდა, ხან ისე მონოტონურად ჰყვებოდა, თითქოს ქვას მექანიკურად უხახუნებდა ლოდზე, ამბავი ზოგან ძალიან ღრმა იყო, ზოგან ზედმეტად გაწელილი, ზოგან კი წყდებოდა კიდეც. ღრმა სინანულიც ჟღერდა, ალაგ-ალაგ ხუმრობითაც იყო გაზავებული და მაქსის კომენტარებიც არ აკლდა.

— ჯვარცმულო იესო! — მაქს ვანდენბურგის ამბის მოსმენისას ყველაზე ხშირად ეს სიტყვები ისმოდა და შემდეგ შეკითხვები მოჰყვებოდა ხოლმე.

აი, ასეთი შეკითხვები

რამდენი ხანი იყავი ოთახში?
სად არის ახლა უოლტერ კაგლერი?
იცი, რა დაემართათ შენი ოჯახის წევრებს?
სად იმოგზაურა მხვრინავმა?
ათით სამი — მოწინააღმდეგის სასარგებლოდ?!
კი მაგრამ, ჩხუბს რატომღა აგრძელებდი?

როცა ლიზელი თავის ცხოვრებას გადახედავს, აღმოაჩენს, რომ ყველაზე ნათელ მოგონებად საერთო ოთახში გატარებული ის ღამეები აღბეჭდვია. ისევ დაინახავს მაქსის ცეცხლით

განათებულ, კვერცხის ნაჭუჭისფერ სახეს და მისი სიტყვების ადამიანურ გემოსაც იგრძნობს.

გადარჩენის კერძს ის ულუფებად აწვდიდა გოგოს, თავის თავს ნაჭრებად უდებდა თეფშზე.

— როგორი თავკერძა ვარ, — და იდაყვი აიფარა სახეზე, — ოჯახის მიტოვება, აქ ჩამოსვლა, თქვენი საფრთხეში ჩაგდება. — ყველაფერი ამოთქვა და მოიბოდიშა, — ძალიან ვწუხვარ, გჯერათ ჩემი? მართლაც ძალიან, ძალიან ვწუხვარ, რო...

მკლავზე ცეცხლის ალი იგრძნო და უკან გასწია.

როზა, ჰანსი და ლიზელი მდუმარედ უცქერდნენ. შემდეგ მამა წამოდგა, მიუახლოვდა და გვერდით ჩამოუჯდა.

— დაგეწვა?

ერთ საღამოს ჰანსი, მაქსი და ლიზელი ბუხრის წინ ისხდნენ, დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა, მაქსი ისევ *„ჩემს ბრძოლას“* კითხულობდა.

— იცი, რა? — თქვა ჰანსმა და ცეცხლისკენ დაიხარა, — ლიზელსაც ეხერხება კითხვა, — მაქსმა წიგნი დაბლა დასწია, — თანაც უფრო ბევრი საერთო აქვს შენთან, ვიდრე წარმოგიდგენია, — მამობილმა გაიხედა, დარწმუნდა, როზა არ უსმენდათ და განაგრძო, — ამასაც ძალიან უყვარს ხელჩართული ჩხუბი.

— მამა! — ლიზელი ცოტა ხანში ცხოვრების მეთერთმეტე წელს ასრულებდა და ისევ ცოცხის ტარივით წვრილი იყო. განადგურებული კედელს მიეყრდნო, — არასოდეს მიჩხუბია!

— ჩუ, — გაეცინა მამას, ანიშნა, გაჩუმდიო, მისკენ გადაიხარა და მიმართა, — მაშ, იმაზე რაღას იტყვი, ლუდვიგ შმაიკლი რომ მიბეგვე, ჰა?

— არასოდეს... — გამოიჭირეს და აზრი აღარ ჰქონდა უარყოფას, — შენ როგორ გაიგე ეს ამბავი?

— მამამისი შემხვდა „კნოლერში“.

ლიზელმა სახე ხელებში ჩამალა, შემდეგ ახედა და მთავარი კითხვა დაუსვა:

— დედას უთხარი?

— ხუმრობ? — ჰანსმა თვალი ჩაუკრა მაქსს და გოგონას გადაუჩურჩულა, — შენ ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, არა?

იმ ღამით მამამ რამდენიმე თვის შემდეგ პირველად დაუკრა აკორდეონი. ნახევარი საათი უკრავდა, შემდეგ კი მაქსს მიმართა:

— შენ თუ ისწავლე დაკვრა?

კუთხეში მიმჯდარი სახე ცეცხლის ალს უცქერდა:

— ვსწავლობდი, — მრავლისმეტყველი პაუზა გააკეთა მაქსმა, — ცხრა წლამდე. მერე დედამ მუსიკალური სტუდია გაყიდა და მოსწავლეები დაითხოვა. ერთადერთი ინსტრუმენტი დატოვა სახლში, მაგრამ უარი ვუთხარი სწავლაზე და თავი დამანება. სულელი ვიყავი.

— არა, — თქვა ჰანსმა, — ბიჭი იყავი.

იმ ღამეებში ლიზელ მემინგერმა და მაქს ვანდენბურგმა კიდევ ერთი საერთო აღმოაჩინეს. ორივეს ცუდი სიზმრები ჰქონდა და ეღვიძებოდა. ერთს — კივილით და ზეწარში ჩასველებით, მეორეს — მხრჩოლავ ბუხართან, ჰაერის უკმარისობისგან.

ზოგჯერ, თუ ლიზელი მამასთან ერთად ღამის სამ საათამდე კითხულობდა, მაქსის გაღვიძების მომსწრე ხდებოდა. „ისიც შენსავით ხედავს სიზმრებს", — იტყოდა ჰანსი.

ერთ დღეს ლიზელმა გაღიზიანებული მაქსის ხმა რომ გაიგონა, გადაწყვიტა, ლოგინიდან წამომდგარიყო, ებრაელი სტუმრის მონათხრობიდან გამომდინარე, დაახლოებით ხვდებოდა, რას ხედავდა იგი, თუმცა, ზუსტად არ შეეძლო, განესაზღვრა, მონათხრობის რომელი ნაწილი სტუმრობდა ძილში.

ლიზელმა ჩუმად გაიარა დერეფანი და საერთო ოთახში, საძინებელში შევიდა.

— მაქს!

გაისმა ნამძინარევ ყელში მოგუდული, ნაზი ჩურჩული.

თავიდან მაქსმა პასუხი არ გასცა, მაგრამ მალე წამოდგა და სიბნელეში ოთახი მოათვალიერა.

მამა ჯერ კიდევ ლიზელის საძინებელში რჩებოდა, გოგონა ბუხრის გვერდით ჩამოჯდა. ბუხრის უკან ხმამაღლა ეძინა დედას, ის თავისუფლად აჯობებდა იმ მხვრინავ ქალს, მაქსთან ერთად რომ მგზავრობდა მატარებელში.

ბუხარში ცეცხლისგან აღარაფერი დარჩა, გარდა კვამლისა, რომელიც მკვდარი იყო და იმავდროულად, მომაკვდავიც. ხმები დილითაც ისმოდა.

სიზმრების გაცვლა

გოგო: მითხარი, რას ხედავ, როცა ასეთი სიზმრები გესიზმრება?
ებრაელი: ვხედავ, როგორ ვიხედები უკან და ხელის ქნევით ვემშვიდობები.
გოგო: მეც ვხედავ საშინელ სიზმრებს.
ებრაელი: შენ რაღა გესიზმრება?
გოგო: მატარებელი და ჩემი გარდაცვლილი ძმა.
ებრაელი: ძმა?
გოგო: აქ რომ მოვდიოდით, მაშინ გარდაიცვალა, გზაში.
გოგონა და ებრაელი ერთად: Ja — ჰო.

სიამოვნებით გეტყოდით, ამ გაზიარების მერე არც ლიზელს და არც მაქსს აღარ უნახავთ ცუდი სიზმრები-მეთქი, სიამოვნებით გეტყოდით, მაგრამ ტყუილი გამომივიდოდა. ავი ზმანებები ყოველ ღამით სტუმრობდა ორივეს, მეტოქე გუნდის მოთამაშესავით, რომელზეც ხმები დადის, ტრავმა მიიღო ან ავად გახდაო, ის კი თამაშზე მაინც ცხადდება, სხვებთან ერთად ხურდება და ასპარეზობს. ან მატარებელივით, რომელიც განრიგის მიხედვით უახლოვდება ღამეულ ბაქანს და თან თოკზე გამობმულ უამრავ მოგონებას მოათრევს, უხეიროდ მოარახრახებს.

ერთადერთი ის შეიცვალა, რომ ლიზელმა მამობილს უთხრა, უკვე საკმარისად გავიზარდე, სიზმრებს თავადვე რომ გავუმკლავდეო. მამას თითქოს წამიერად გული ეტკინა, მაგრამ როგორც ყოველთვის, უცებ იპოვა საჭირო სიტყვები.

— ძალიან კარგი, მადლობა ღმერთს, — თქვა და სანამ წარმოთქმას დაასრულებდა, ჩაეცინა, — ბოლოს და ბოლოს, ნორმალურად მაინც გამოვიძინებ, ეს სკამი პირდაპირ მკლავდა, — მამამ ხელი მოხვია გოგონას და ორივე სამზარეულოსკენ გაემართა.

გარეთ ლიზელი ისევ ახერხებდა გამოსადეგი ნივთების პოვნას. ერთ შუადღეს, შინ რომ ბრუნდებოდა დარეცხილი

სამოსის ცარიელი ჩანთით, გაზეთი შენიშნა, ნაგვის ურნიდან გადმოვარდნილიყო. *„მოლკინგის ექსპრესის“* ყოველკვირეული გამოცემის ნომერი აღმოჩნდა. აიღო და მაქსს აჩუქა:

— ვიფიქრე, კროსვორდის შევსება გესიამოვნებოდა დროის გასაყვანად.

მაქსმა გოგონას ეს ჟესტი დაუფასა, თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა ნომერი, რამდენიმე საათის შემდეგ კი შევსებული კროსვორდი აჩვენა, რომელსაც მხოლოდ ერთი სწორი პასუხილა აკლდა.

— ეს წყეული მეჩვიდმეტე ნომერი შვეულად.

1941 წლის თებერვალში, თორმეტი წლის რომ გახდა, ლიზელმა კიდევ ერთი ძველი წიგნი მიიღო საჩუქრად და ძალიან მადლობელი იყო, წიგნს *„ტალახის კაცი“* ერქვა და უცნაურ მამა-შვილზე ყვებოდა. გოგონა დედობილ-მამობილს ჩაეხუტა, მაქსი უხერხულად ატუზულიყო კუთხეში.

— Alles Gute zum Geburtstag, — მაქსმა ძლივს შესამჩნევად გაიღიმა, — ბედნიერ დაბადების დღეს გისურვებ! — ხელები ჯიბეებში ელაგა, — არ ვიცოდი, დაბადების დღე თუ გქონდა, თანაც არაფერი მაქვს, რომ გაჩუქო, „ჩემს ბრძოლას“ თუ არ ჩავთვლით. მასში კი ისეთი პროპაგანდაა ახალგაზრდა გერმანელი გოგოსთვის. ეს იგივეა, კრავმა დანა მიაწოდოს ყასაბს.

ოთახში უხერხული დუმილი ჩამოწვა.

დედობილ-მამობილი შეწუხდა.

მაქსი ისეთი მარტოსული ჩანდა.

ლიზელმა ნერწყვი გადაყლაპა. მივიდა და მოეხვია:

— გმადლობ, მაქს.

თავიდან მაქსი ჩვეულებრივად იდგა, შემდეგ კი, გოგონა რომ მოეხვია, თავადაც ასწია ხელები და ფრთხილად დაადო მხრებზე.

მოგვიანებით მიხვდა ლიზელი, მაქსს ვანდენბურგს რომ უმწეო გამომეტყველება გაუხდა, მოგვიანებითვე აღმოაჩინა, რომ იმავე წუთს გადაწყვიტა, გოგოსთვის რაღაც მიეცა, სამაგიეროდ.

ხშირად წარმომიდგენია, როგორ ინვა მაქსი იმ ღამით ლოგინში თვალგახელილი და ფიქრობდა, რა შეეძლო, შეეთავაზებინა ლიზელისთვის.

ადრესატმა ქაღალდზე შესრულებული საჩუქარი დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მიიღო.

დილით ადრე მიუტანა მაქსმა, სანამ იმ ბეტონის კიბეებს ჩაუყვებოდა, რომელსაც ის ეგრეთ წოდებულ სახლში ჩაჰყავდა.

გვერდები სარდაფიდან

დაახლოებით ერთი კვირა ყველა ცდილობდა, ლიზელი სარდაფში არ ჩასულიყო, დედა და მამა დაჟინებით ითხოვდნენ, სადილს ჩვენ ჩავუტანთ მაქსსო.

— არა, ღორუკელა, — ეუბნებოდა დედა ყოველთვის, როცა კი გოგონა თავს გამოიდებდა. ათას რამეს იმიზეზებდა. — იქნებ ამის ნაცვლად რამე სასარგებლო გაგეკეთებინა, ვთქვათ, უთოობა დაგესრულებინა? შენ რა, გგონია დარეცხილი სამოსის ტარება ქალაქში განსაკუთრებული საქმეა? აბა, გაუთოება სცადე! — გესლიანი ქალის რეპუტაცია თუ გაქვს, ნებისმიერი მიზეზი გამოდგება მიზნის მისაღწევად, როზას შემთხვევაში ეს ხერხი ნამდვილად ამართლებდა.

იმ კვირის განმავლობაში მაქსმა „ჩემი ბრძოლიდან" რამდენიმე გვერდის ამოჭრა და თეთრად გადაღებვა მოასწრო, შემდეგ სარდაფის ერთი ბოლოდან მეორემდე გაჭიმულ თოკზე სარეცხის სამაგრებით ჩამოკიდა. ფურცლები რომ გაშრა, ყველაზე ძნელ საქმეს შეუდგა. მართალია, განათლება საკმარისი ჰქონდა, ჩანაფიქრი რომ სისრულეში მოეყვანა, მაგრამ არც მწერალი იყო და არც მხატვარი. მიუხედავად ამისა, გონებაში ყველა სიტყვა ჩამოაყალიბა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანა გამშრალი საღებავისგან ამობურცულ ფურცლებზე, პატარა სახატავი ფუნჯითა და შავი საღებავით: *„თავთან მდგომი კაცი"*.

კარგად რომ გამოთვალა, მიხვდა, ცამეტი ფურცელი დასჭირდებოდა წიგნის შესაქმნელად, მაგრამ ორმოცი გადაღება, გაითვალისწინა, რომ ორი იმდენი, შეიძლებოდა, მუ-

შაობის პროცესში გაჰფუჭებოდა. *„მოლკინგის ექსპრესის“* გვერდებზე ესკიზებს აკეთებდა და მანამ ამუშავებდა, სანამ წარმატებას არ მიაღწევდა. მუშაობისას ყურში გოგონას სიტყვები ჩაესმოდა: „თმა, — იმეორებდა ლიზელი, — ბუმბულს მიუგავს“.

მუშაობა რომ დაასრულა, დანით დახვრიტა გვერდები და თასმით აკინძა, შედეგად ცამეტფურცლიანი, აი, ასეთი ბროშურა მიიღო:

გვერდები სარდაფიდან:

All my life,

I've been scared

of men standing over me

მთელი ცხოვრება მეშინოდა თავთან მდგომი კაცების.

I suppose my first standover man was my father,



but he vanished before I could remember him.

ალბათ, თავთან მდგომი პირველი კაცი მამაჩემი იყო, მაგრამ ისე გაუჩინარდა, დამახსოვრებაც ვერ მოვასწარი.

For some reason, when I was a boy, I liked to fight. A lot of the time, I lost. Another boy, sometimes with blood falling from his nose, would be standing over me.

ბიჭობაში, რატომღაც, ჩხუბი მიყვარდა. თუმცა, უფრო ხშირად, მე მცემდნენ. თავზე სხვა ბიჭი მადგა ხოლმე, რომელსაც ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

Many years later, I needed to hide. I tried not to sleep because I was afraid of who might be there when I woke up.

წლების წინ დამალვა მომიხდა. ვცდილობდი, არ დამეძინა, იმის მეშინოდა, ვინც ძილისას, შესაძლოა, ოთახში დამხვედროდა, მაგრამ იღბლიანი ვყოფილვარ, ასეთ დროს ყოველთვის მეგობარი აღმოჩნდებოდა ხოლმე ჩემ გვერდით.

მიმალვაში მყოფს სულ ერთი და იგივე ადამიანი მესიზმრებოდა, ყველაზე რთული კი მის საპოვნელად წამოწყებული მოგზაურობა აღმოჩნდა.

იღბალი დამეხმარა, ბევრიც ვიარე და ვიპოვე ის.

I slept there for a long time.
Three days, they told me...
and what did I find when
I woke up? Not a man, but
someone else, standing over me.



იმ კაცთან დიდხანს მეძინა, როგორც მითხრეს, სამი დღე-ღამე. და იცი, რა აღმოვაჩინე გაღვიძებისას? კაცის ნაცვლად სხვა ვინმე მედგა თავთან.

დრო რომ გავიდა, მე და გოგონა მივხვდით, ბევრი საერთო გვქონდა: მატარებელი, სიზმრები, ჩხუბი.

But there is
one strange thing.

The girl says
I look like something
else.

მაგრამ ერთი უცნაური ამბავი გავიგე. გოგონა ამბობს, რომ რალაცას ვგავარ.

Now I live in a basement.
Bad dreams still live in
my sleep.

One night, after my usual
nightmare, a shadow stood above
me. She said, "Tell me what you
dream of." So I did.

ახლა სარდაფში ვცხოვრობ, მაგრამ ძილში ისევ ვხედავ ცუდ სიზმრებს. ერთ ღამეს, მორიგი საშინელი სიზმრისგან გამოღვიძებულმა, ჩემს თავთან მდგარი ჩრდილი დავინახე, მითხრა: „მომიყევი, რა დაგესიზმრა". მეც დავთანხმდი და მოვუყევი.



In return, she explained what her own dreams were made of.

სანაცვლოდ, მანაც მიამბო, რა ხდებოდა მის სიზმრებში.

Now I think we are friends, this girl and me. On her birthday, it was she who gave a gift - to me.

It makes me understand that the best standover man I've ever known is not a man at all...

ახლა, ვფიქრობ, გოგონა და მე მეგობრები ვართ. საკუთარ დაბადების დღეზე მან საჩუქარი მომიძღვნა და მივხვდი, ჩემს თავთან მდგომი საუკეთესო კაცი, სინამდვილეში, კაცი სულაც არ არის...



ძვირფასი
ძვირფასი
ძვირ
ძვირფას
განთიადი
წყალი
მოძრაობა
განთიადი
განთიადი

თებერვლის ბოლოს, ლიზელს ადრიანად რომ გაეღვიძა, ადამიანის ფიგურა, მაქსისთვის დამახასიათებელი, უხმაურო ჩრდილი საძინებელში შესულიყო.

ლიზელი ბნელში ათვალიერებდა ოთახს და ბუნდოვნად ხედავდა, მამაკაცი რომ უახლოვდებოდა.

— ჰეი!

პასუხი არ იყო.

საწოლთან რომ მივიდა და ფურცლები იატაკზე, წინდების გვერდით დააწყო, არაფერი ისმოდა, ნაბიჯების თითქმის შეუმჩნეველ ხმას თუ არ ჩათვლის კაცი. ფურცლები ატკაცუნდა. სულ ოდნავ. ერთს კიდე ჩაეკეცა.

— ჰეი!

ამჯერად პასუხი მოჰყვა ლიზელის შეძახილს.

ზუსტად ვერ მიხვდა, საიდან მოდიოდა სიტყვები, მაგრამ მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარია, გოგონამდე მიაღწია და მის საწოლთან ჩაიმუხლა.

— დაბადების დღის დაგვიანებული საჩუქარია. დილით ნახე. ღამე მშვიდობისა!

ლიზელი ძილისა და სიფხიზლის ზღვარზე იყო და აღარ იცოდა, მაქსი დაესიზმრა, თუ ნამდვილად შევიდა მის ოთახში.

დილით, როცა გაიღვიძა და ლოგინიდან გადმოძვრა, იატაკზე ჩამომსხდარი ფურცლები დაინახა, დაიხარა, აიღო და კარგა ხანს უსმენდა, როგორ შრაშუნებდნენ მის ხელებში.

მთელი ცხოვრება მეშინოდა თავთან მდგომი კაცების.

გვერდებს რომ შლიდა, ისინი ისე ხმაურობდნენ, თითქოს ხელს უშლიდნენ დაწერილ ამბავს.

...სამი დღე-ღამე... და იცი, რა აღმოვაჩინე გაღვიძებისას?

„ჩემი ბრძოლის“ წაშლილ გვერდებს გადაშლისას ხმა უნყდებოდათ და საღებავის ფენის ქვეშ იხრჩობოდნენ.

...და მივხვდი, თავთან მდგომი საუკეთესო კაცი, სინამდვილეში, კაცი სულაც არ არის.

ლიზელმა სამჯერ წაიკითხა და დაათვალიერა მაქს ვანდენბურგის საჩუქარი, თან ყოველი წაკითხვისას სხვადასხვა ფუნჯის ნაკვალევს ან სიტყვას პოულობდა. მესამედაც რომ ჩაიკითხა, რამდენადაც შეეძლო, ჩუმად წამოდგა საწოლიდან

და დედობილ-მამობილის ოთახში შევიდა. ცეცხლის გვერდით გამოყოფილი ადგილი ცარიელი იყო.

ცოტა რომ დაფიქრდა, მიხვდა, უფრო ხელსაყრელი და მეტიც, იდეალური იქნებოდა, მადლობას ამ გვერდებისთვის იქ თუ გადაუხდიდა მაქსს, სადაც ისინი შექმნა.

სარდაფის კიბეებს ჩაუყვა, კედელზე ნარმოსახვითი ფოტო დაინახა, ჩარჩოში ჩასმული. იდუმალი წყნარი ღიმილით.

სულ რამდენიმე მეტრი იყო, მაგრამ ფარივით აღმართული ბიაზისა და საღებავის ქილების გამო მაქს ვანდენბურგამდე მისასვლელ ბილიკს საკმაოდ დიდხანს მიუყვებოდა. გოგონამ კედლისკენ მისწია ქაღალდები და სამალავში რომ შეეხედა, ვიწრო ხვრელი გააკეთა.

პირველი, რაც დაინახა, მაქსის მხარი იყო და ძლივს გაატია ხელი სივიწროვეში, მას რომ შეხებოდა. ტანსაცმელი გაყინული ჰქონდა. არ გაღვიძებია.

მაქსის სუნთქვას გრძნობდა და ხედავდა, როგორ უმოძრავებდა მხარი სუნთქვისას. ცოტა ხანს უცქირა, შემდეგ დაჯდა და კედელს მიეყრდნო.

ძილით გაჟღენთილ ჰაერს სუნთქავდა.

კიბის გვერდით, კედელზე, სავარჯიშო სიტყვები ბატიფეხურად ეწერა, უსწორმასწოროდ, ბავშვურად და საყვარლად. უცქერდნენ, მხარდამხარ როგორ ეძინათ დამალულ ებრაელსა და გოგონას.

გვერდიგვერდ სუნთქავდა გერმანული და ებრაული ფილტვები.

კედელთან *„თავთან მდგომი კაცი“* უტყვი და კმაყოფილი იჯდა და ფეხებთან ულიტინებდა ლიზელს, მშვენიერი მუნივით.

ნაწილი მეხუთე

„სტვენია“

მონაწილეობენ:

წყალზე მოტივტივე ნიგნი — აზარტული მოთამაშეები — პატარა მოჩვენება — ორი ვარცხნილობა — რუდის ახალგაზრდობა — ხელმოცარულები და ესკიზები — „სტვენია“ და რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი — სამი სისულელე — და ფეხებმოყინული, შეშინებული ბიჭი.

წყალზე მოტივტივე წიგნი

(ნაწილი პირველი)

წიგნს მდინარე ამპერი მიატივტივებდა.

ბიჭი ჩახტა, მარჯვენა ხელით სნვდა და დაიჭირა.

ჩაიცინა.

დეკემბრის გაყინულ წყალში წელამდე იდგა.

— კოცნაზე რას იტყვი, ღორუკელა? — თქვა.

ჰაერი ირგვლივ მომხიბლავად, მედიდურად და გულისამრევად ცივი იყო, რომ არაფერი ვთქვათ ბეტონივით წყალზე, ფეხის თითებიდან წელამდე სულ უფრო რომ მკვრივდებოდა.

კოცნაზე რას იტყვი?

კოცნაზე რას იტყვი?

საბრალო რუდი.

მოკლე განცხადება რუდი შტაინერის შესახებ

არ დაუმსახურებია, ასე მომკვდარიყო

თქვენეულ ვერსიაში წიგნის ფურცლების სველი კიდეები ბიჭს თითებზე ისევ ეკრობა. ხედავთ მოცახცახე ქერა ქოჩორს, წინ გარბიხართ და თვლით, რომ იმავე დღეს რუდი ჰიპოთერმიით გარდაიცვლება. არა, ასე არ მომხდარა, ასეთი მოგონებები უბრალოდ, მახსენებს, რომ რუდი არ იმსახურებდა აღსასრულს, რომელიც სულ ორ წელიწადში დაუდგა.

ბევრის თვალსაზრისით, ისეთი ბიჭის წაყვანა, რუდი რომ იყო, ძარცვას ჰგავს, იმდენი სიცოცხლეა მასში, იმდენი რამ, რისთვისაც ცხოვრება ღირს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აღსასრულისას დანახული ის საშინელი ნანგრევებიც მოეწონა და დასივებული ცაც. მის უსიცოცხლო სხეულთან მუხლებზე დაშვებული წიგნის ქურდის დანახვა რომ შესძლებოდა, ატირდებოდა, გადმობრუნდებოდა და გაულიმებდა. გაიხარებდა, რომ ეგრძნო, როგორ აკოცა გოგონამ მტვრიან, ჭურვის ნამსხვრევისგან გაპობილ ტუჩებზე.

დიახ, მე ეს ვიცი.

სიბნელეში მფეთქავი გულით ვგრძნობ და დარწმუნებული ვარ, ნამდვილად გაიხარებდა.

ხედავთ?

სიკვდილსაც აქვს გული.

აზარტული მოთამაშეები

(შვიდწახნაგიანი კამათელი)

რა თქმა უნდა, უხეში ვარ, მხოლოდ წიგნის კი არა, ამ ნაწილის დასასრულსაც ვაფუჭებ, წინასწარ გიამბეთ ორი ამბავი, რადგან ჩემს ინტერესებში არ შედის, თხრობა მისტიკური გავხადო. მისტიციზმი მოსაწყენია. თრგუნავს. მე ხომ ვიცი, რა მოხდება. ჰოდა, თქვენც იცოდეთ. ის თაღლითური სვლები მიზიდავს, მაღიზიანებს, მაოცებს და მაინტერესებს, აქამდე რომ მოგვიყვანა.

ბევრი რამეა იქ ისეთი, რაზეც უნდა დავფიქრდე.

კიდევ ბევრი მაქვს მოსათხრობი.

ცხადია, არსებობს წიგნი, რომელსაც „სტვენია" ჰქვია და რომელიც აუცილებლად უნდა განვიხილოთ, ამასთან, უნდა ვნახოთ, როგორ ჩამოჰყვა ის მდინარე ამპერს 1941 წლის საშობაოდ.

ჯერ ამაში უნდა გავერკვეთ, თქვენ როგორ ფიქრობთ?

მოვილაპარაკეთ.

მაშ, ასე.

ყველაფერი თამაშით დაიწყო. კამათელს თუ აგორებ, შინ ებრაელს თუ მალავ, აი, როგორ წაგივა ცხოვრება, აი, რა მოხდება.

● ორი ვარცხნილობა: 1941 წლის აპრილის შუა რიცხვები

ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა.

ჰანს და როზა ჰუბერმანები საერთო ოთახში კამათობდნენ, თუმცა, ჩვეულებრივზე უფრო ხმადაბლა. ლიზელი, როგორც წესი, მხოლოდ დამკვირვებელი გახლდათ.

დავა წინაღამეს სარდაფში დაიწყო, სადაც ჰანსი და მაქსი საღებავის ქილებს, სიტყვებსა და ბიაზის ნაჭრებს შორის ისხდნენ. მაქსმა ჰანსს სთხოვა, იქნებ როზამ თმა ცოტათი მაინც შემაჭრასო.

— თვალებში მეფხატება უკვე, — თქვა.

რაზეც ჰანსმა უპასუხა:

— ვნახავ, რის გაკეთება შემიძლია.

როზა უჯრებს ჩხრეკდა და ათას ხარახურასთან ერთად, ჰანსს სიტყვებსაც ესროდა:

— სად წავიდა ის წყეული მაკრატელი?

— ქვედა უჯრა გამოსწიე.

— მანდ უკვე მოვძებნე.

— იქნებ ვერ დაინახე?

— ბრმას ვგავარ? — ქალმა თავი ასწია და დაიღრიალა, — ლიზელ!

— აქ ვარ!

ჰანსი მოიკუნტა:

— დასწყევლოს ღმერთმა, ქალო, ნუ დამაყრუე!

— გაჩუმდი, ღორიშვილო! — როზა ჩხრეკას აგრძელებდა და ისევ გოგონას მიმართავდა.

— ლიზელ, მაკრატელი სად წავიდა? — თუმცა, არც ლიზელმა იცოდა. — ღორუკელა, მთლად უმაქნისი ხარ, არა?

— თავი დაანებე.

ელასტიკურთმიანმა ქალმა და ვერცხლისთვალება კაცმა კიდევ რამდენიმე სიტყვა გაცვალეს, თუმცა როზას უჯრა არ მიაჯახუნებია.

— მაინც არასწორად შევჭრი, უამრავ შეცდომას დავუშვებ.

— შეცდომას? — კაცი იფიქრებდა, მამა ახლა თმას დაიგლეჯსო, მან კი ისე დაუწია ხმას, ჩურჩულითღა წარმოთქვა, — ნეტავ, ვინ ოხერი დაინახავს?

ის იყო, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ ზღურბლზე მაქს ვანდენბურგის ბუმბულივით თავი გამოჩნდა. ის ზრდილად,

უხერხულად აინურა. ხელში საკუთარი მაკრატელი ეკავა, რომელიც ჰანსს ან როზას კი არა, თორმეტი წლის გოგოს გაუწოდა. ლიზელი ყველაზე მშვიდი ვარიანტი იყო. ტუჩები ჯერ უხმაუროდ აამოძრავა, შემდეგ კი ჰკითხა:

— შემჭრი?

ლიზელმა მაკრატელი გამოართვა და გახსნა, ზოგან ყანგი მოსდებოდა, ზოგანაც პრიალებდა. გოგონა მამას მიუბრუნდა და როცა მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, სარდაფში ჩაჰყვა მაქსს.

ებრაელი საღებავის ქილებზე ჩამოჯდა. მხრებზე ბიაზის ნაჭერი მოიხვია:

— რამდენიც გინდა, იმდენი შეცდომა დაუშვი, — უთხრა გოგონას.

მამამ კიბის საფეხურზე მოიკალათა.

ლიზელმა მაქს ვანდენბურგის თმის პირველ ბლუჯას მოჰკიდა ხელი.

ბუმბულივით კულულებს რომ ჭრიდა, მაკრატლის ხმას უსმენდა, თმის ღერებთან შეხებისას ლითონის პირები წკარუნის ნაცვლად ღრჭიალებდა.

ზოგან ირიბად შეჭრა, ზოგან უწორმასწოროდ, საქმე მოამთავრა, მაღლა ავიდა, ხელში თმით და ღუმელი გამოკვება. იდგა და უყურებდა, როგორ იწვოდა თმა: ნარინჯისფერ-წითელი ფერი ედებოდა, იხვეოდა და ქრებოდა.

მაქსი ისევ ზღურბლთან იდგა, ამჯერად, სარდაფის საფეხურებთან.

— გმადლობ, ლიზელ, — მაღალი, ხრინწიანი ხმა ჰქონდა, დამალული ღიმილი ჟღერდა მასში.

თქვა თუ არა, ისევ მიწის ქვეშ გაუჩინარდა.

გაზეთი: მაისის დასაწყისი

„ჩემს სარდაფში ებრაელია".

„ჩემს სარდაფში ებრაელია".

ლიზელ მემინგერი ბურგომისტრის წიგნებით სავსე ოთახში იჯდა და ეს სიტყვები ჩაესმოდა. სარეცხით სავსე ჩანთა გვერდით ედო, მერის ცოლის მოჩვენებასავით ფიგურა მაგიდაზე დახრილიყო. მის წინ ჩამომჯდარი ლიზელი „სტვენიას"

კითხულობდა, ოცდამეორე-ოცდამესამე გვერდებს. მერე აიხედა. წარმოიდგინა, რომ დგება, ფრთხილად უახლოვდება ქალის აფუებულ თმას და გვერდიდან ყურში ჩასჩურჩულებს:

„ჩემს სარდაფში ებრაელია“.

კალთაში წიგნი თრთოდა, საიდუმლო ენის წვერზე უტრიალებდა. იქ კომფორტულად გრძნობდა თავს, ფეხი ფეხზე გადაედო.

— შინ უნდა წავიდე, — ახლა ნამდვილად დაილაპარაკა. ხელები უკანკალებდა. მიუხედავად იმისა, რომ შორს მზე ანათებდა, ღია ფანჯრიდან მაინც უბერავდა სიო და წვიმის წვეთებს ნახერხივით აყრიდა.

ლიზელმა წიგნი ადგილზე დააბრუნა, მერის ცოლის სკამმა გაიხმაურა და ქალი გოგოს მიუახლოვდა. ბოლოს ყოველთვის ასე ხდებოდა. დარდის ნაოჭების შეერთების ადგილები წამით დასივდა, როცა ქალმა წიგნი ჩამოიღო და გოგონას გაუწოდა.

ლიზელი განზე გადგა.

— არა, — თქვა მან, — გმადლობთ. შინ საკმაოდ მაქვს წიგნები, სხვა დროს იყოს. ახლა მამასთან ერთად ხელახლა ვკითხულობ ერთ-ერთს. ხომ გახსოვთ, იმ ღამით, კოცონიდან რომ მოვიპარე.

მერის ცოლმა თავი დაუქნია. ლიზელ მემინგერზე ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: ის არასოდეს ქურდობდა უმიზეზოდ, იპარავდა მხოლოდ იმ წიგნებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია. უკვე საკმაოდ დაუგროვდა. *„ტალახის კაცი“* ოთხჯერ გადაიკითხა და ახლა *„მხრების აჩეჩას“* მიუბრუნდა. ძილის წინ კი *„მესაფლავის ცნობარის“* გადაშლა უყვარდა, მასში საგულდაგულოდ ჩაემალა *„თავთან მდგომი კაცი“*, ხმაურიან ფურცლებს ფრთხილად ფურცლავდა.

— ნახვამდის, ფრაუ ჰერმან.

გოგონა ბიბლიოთეკიდან გავიდა, ფიცრის იატაკიანი დერეფანი გაიარა და ურჩხულივით კარს მიადგა. უკვე ჩვეულებად ჰქონდა ქცეული კიბის საფეხურთან შეჩერება და მოლკინგისთვის თვალის შევლება. იმ შუადღეს ქალაქი ყვითელ ნისლში იყო გახვეული, ნისლი ნებიერა ცხოველივით ეფერებოდა სახლების სახურავებს და აბაზანის ქაფივით ავსებდა ქუჩებს.

მიუნხენის ქუჩაზე წიგნის ქურდი ქოლგებს შეფარებულ მამაკაცებსა და ქალებს გვერდს უქცევდა. საწვიმარში გახვეული გოგონა მოურიდებლად, დაქოქილივით ჩხრეკდა ნაგვის ურნებს.

— აი, ისიც!

ლიზელმა სპილენძისფერ ღრუბლებს გაუღიმა, სანამ გახარებული დასწვდებოდა დაჭმუჭნილ გაზეთს, რომლის პირველ და ბოლო გვერდებზე შავი საღებავი გადღაბნილიყო. მიუხედავად ამისა, მაინც დასწვდა, ფაქიზად გაკეცა და ამოიიღლიავა. ბოლო რამდენიმე თვე, ხუთშაბათობით ასე იქცეოდა.

ხუთშაბათი ლიზელ მემინგერისთვის უკვე ერთადერთი დღე იყო, როცა სარეცხის ტარება უწევდა და ყველანაირად ცდილობდა, ამ საქმიდან ესარგებლა. *„მოლკინგის ექსპრესის“* ან რომელიმე სხვა გაზეთის ნომრის პოვნას წარმატებად მიიჩნევდა, და არ შეეძლო, ამის გამო გამარჯვებულად არ ეგრძნო თავი. გაზეთში კროსვორდიც თუ შეუვსებელი იყო, ამას რა ჯობდა. შინ მიჰქონდა, კარს მოიხურავდა და მაქს ვანდენბურგთან ჩარბოდა.

— კროსვორდია? — ჰკითხავდა ის.

— ცარიელი.

— შესანიშნავია.

ებრაელი გაიღიმებდა, გაზეთს გამოართმევდა და სუსტად განათებულ სარდაფში კითხვას იწყებდა. ლიზელი ხშირად აკვირდებოდა, როგორ ყურადღებით კითხულობდა გაზეთს, როგორ ავსებდა კროსვორდს ან როგორ ცდილობდა, ხელახლა გადაევლო თვალი.

დათბა თუ არა, მაქსი თითქმის მთელ დროს ქვემოთ ატარებდა, დღისით სარდაფის კარი ღია ჰქონდათ, დღის შუქს რომ ჩაელწია დერეფნიდან. მართალია, დერეფანი დიდად ვერ ბანაობდა მზის სხივებში, მაგრამ სიტუაციას ხომ შეძლებისდაგვარად უნდა მოერგო — სულ არაფერს სუსტი სინათლე ხომ სჯობდა, თანაც ეკონომიის გაწევაც აუცილებელი იყო, ნავთი, მართალია, ჯერ კიდევ მოეპოვებოდათ ჰუბერმანებს, მაგრამ მის მოხმარებას მინიმუმამდე თუ დაიყვანდნენ, უკეთესი იქნებოდა.

ლიზელი ჩვეულებრივ, ბიაზის ნაჭრებზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და სანამ მაქსი კროსვორდს ავსებდა და კითხულობდა, ერთმანეთისგან სულ რამდენიმე მეტრი აშორებდათ, იშვიათად საუბრობდნენ და სარდაფში მხოლოდ ფურცლის შრიალი ისმოდა. ხშირად გოგონა სკოლაში წასვლის წინ მაქსს საკითხავად რომელიმე წიგნს უტოვებდა. თუ ჰანს ჰუბერმანსა და ერიკ ვანდენბურგს მუსიკა აერთიანებდა, მაქსსა და ლიზელს სიტყვების შეგროვება აახლოვებდა ერთმანეთთან.

— გამარჯობა, მაქს.

— გაგიმარჯოს, ლიზელ.

დასხდებოდნენ და კითხულობდნენ.

ხანდახან ლიზელი მაქსს უყურებდა. გადაწყვიტა, რომ მისი პორტრეტის დამახასიათებელი ნიშანი იყო ფერმკრთალი გულმოდგინება. კრემისფერი კანი. ჭაობის სიღრმე თვალებში. დეზერტირის სუნთქვა, უსასოობამდე უხმაურო. მხოლოდ მკერდის მოძრაობა გასცემდა, რომ ცოცხალი იყო.

ლიზელი სულ უფრო ხშირად ხუჭავდა თვალებს და მაქსს სთხოვდა, ის სიტყვები გამოეკითხა მისთვის, რომლებიც ჯერ ისევ ეშლებოდა და თუ კვლავ დაუსხლტებოდნენ ხელიდან, ილანძღებოდა. შემდეგ წამოდგებოდა და კედელზე გამოწერდა თორმეტ-თორმეტჯერ მაინც. მაქს ვანდენბურგს და ლიზელ მემინგერს მუდმივად სალებავისა და ცემენტის სუნი ასდიოდათ.

— ნახვამდის, მაქს.

— ნახვამდის, ლიზელ.

გოგონა ლოგინში ფხიზლობდა, სარდაფში დარჩენილ მაქსს წარმოიდგენდა ხოლმე, იმ ღამეულ ჩვენებებში ბიჭს ყოველთვის ფეხებამდე შემოსილს ეძინა. თითქოს ისევ გაქცევას ლამობდა. და ცალი თვალი ღია ჰქონდა.

მეტეოროლოგი: მაისის შუა რიცხვები

ლიზელმა კარი და პირი ერთდროულად გააღო, ჰიმელსტრიტზე მისმა გუნდმა რუდის გუნდი დაამარცხა ანგარიშით 6-1. სამზარეულოში შევარდა და დედობილ-მამობილს ამცნო, გოლი გავიტანეო, შემდეგ კი სარდაფში ჩაირბინა. იქ მაქსს დეტალურად აღუწერა ყველაფერი, ბიჭმა გაზეთი გადადო, მოუსმინა და გოგონასთან ერთად იცინა.

გოლის ისტორიას რომ მორჩა, სარდაფში რამდენიმეწუთიანი დუმილი ჩამოწვა, სანამ მაქსმა თავი არ ასწია და თქვა:

— ლიზელ, შეგიძლია, რალაც გააკეთო ჩემთვის?

ლიზელი ჯერ ისევ ჰიმელ-სტრიტზე მოპოვებული გამარჯვებით იყო აღელვებული და უცებ წამოხტა ბიაზის ნაჭრებიდან. არაფერი უთქვამს, მაგრამ მოძრაობაზე ეტყობოდა, მზად იყო, მაქსის ნებისმიერი თხოვნა შეესრულებინა.

— გოლის შესახებ კი მიამბე, მაგრამ არ ვიცი, როგორი დღეა, მზიან ამინდში გაიტანე გოლი თუ ღრუბლიანში. — მაქსმა ხელი გადაისვა მოკლედ შეჭრილ თმაზე და ჭაობივით თვალებით უმარტივესი თხოვნა წარმოთქვა. — შეგიძლია, ახვიდე, გარეთ გაიხედო და მითხრა, როგორი ამინდია?

ბუნებრივია, ლიზელი ნაჩქარევად აუყვა კიბეს, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ფურთხით დალაქავებული კარისკენ, ადგილზე მოტრიალდა და ცას დააკვირდა.

სარდაფში დაბრუნებულმა თქვა:

— დღეს ცა ლურჯია, მაქს. დიდი გრძელი ღრუბელი თოკივითაა ზედ გადაჭიმული და ბოლოში ყვითელი, ნახვრეტივით მზე მოჩანს.

მაქსი მიხვდა, ამინდს ასე მხოლოდ ბავშვი თუ აღწერდა. კედელზე გრძელი, კარგად გაჭიმული თოკი დახატა, ბოლოში კი — დაღვენთილი ყვითელი მზე, ისეთი, რომ მასში ჩაყვინთვასაც მოისურვებდი. თოკივით ღრუბელს ორი ფიგურაც მიახატა, გამხდარი გოგონასი და ჩამომხმარი ებრაელის, გაშლილი ხელებით ინარჩუნებდნენ წონასწორობას და დაღვენთილი მზისკენ მიდიოდნენ.

სურათს ქვეშ შემდეგი წინადადება მიაწერა:

მაქს ვანდენბურგის მიერ კედელზე მინერილი ათი სიტყვა

ორშაბათი იდგა და ისინი, დაჭიმულ თოკზე შემდგარნი, პირდაპირ მზისკენ მიაბიჯებდნენ.

მოკრივე: მაისის ბოლო

მაქსს ვანდენბურგს ცივი ბეტონი და იმ ბეტონზე გასატარებელი თავზე საყრელი დრო ჰქონდა.

ბოროტი წუთები.

სასჯელად ქცეული საათები.

მლვიძარების საათებში ხელი აღემართა მაქსზე და ულმობლად აწვალებდა. დრო ღიმილით უჭერდა ხელს, ღამის გაესრისა და შემდეგ ცოცხალს ტოვებდა. რა უდიდესი ბოროტებაა — ცოცხალი დატოვო ვიღაც.

დღეში ერთხელ მაინც ჰანს ჰუბერმანი ჩაუყვებოდა სარდაფის კიბეს მაქსთან სასაუბროდ, ზოგჯერ როზას ჩაჰქონდა პურის მორჩენილი ნატეხი, მაგრამ ებრაელს სიცოცხლისადმი ინტერესი მხოლოდ ლიზელის მოსვლისას უჩნდებოდა. თავიდან ცდილობდა, წინ აღსდგომოდა ამას, მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო რთული იყო. ლიზელი გამოჩენისთანავე ამინდზე იწყებდა მოყოლას: ცა ხან მოწმენდილი იყო, ხან მუყაოს ღრუბლებით დაფარული, ხანაც მზე, როგორც ღმერთი, განისვენებდა ხოლმე ზედ, გვარიანად ნასადილევი.

მარტოდ დარჩენილი მაქსის ყველაზე მკაფიო შეგრძნება გაუჩინარება გახლდათ. ტანსაცმელი ერთიანად ნაცრისფერი ეცვა, შარვალი, შალის ჯემპრი და ქურთუკი, რომელიც ტანზე ადნებოდა. თავიდანვე იმ ფერის იყო თუ არა სამოსი, არავინ იცოდა. ხშირად ამოწმებდა, კანი ხომ არ მექერცლებაო და გრძნობდა, თითქოს თანდათან ქრებოდა.

აუცილებლად სჭირდებოდა რამდენიმე ახალი ამოცანა, ამიტომ ვარჯიშებით დაიწყო. ჯერ აზიდვებს აკეთებდა, მუცლით წვებოდა სარდაფის ცივ იატაკზე და ზემოთ-ქვემოთ იწეოდა. ეგონა, ხელები გადაემტვრეოდა იდაყვებთან, თან ეშინოდა, საგულედან ამომხტარი გული პათეტიკურად არ დავარდნოდა მინაზე. სიყმაწვილეში, შტუტგარტში, შეეძლო, ორმოცდაათჯერ მაინც აზიდულიყო ზედიზედ, ახლა კი ოცდაოთხი წლის ასაკში, ჩვეულ წონაზე დაახლოებით თხუთმეტი ფუნტით[30] ნაკლები რომ იყო, ათამდეც ვერ ადიოდა. ერთი კვირის შემდეგ იმდენი შეძლო, სამჯერ გაიმეორა თექვსმეტ-თექვსმეტჯერ აზიდვის ციკლი, პრესის ვარჯიში კი ოცდაორჯერ შეასრულა. როცა დაამთავრა და სარდაფის კედელს მიეყრდნო, მეგობარ საღებავის ქილებთან ერთად, პულსის ცემას კბილებში გრძნობდა, კუნთები კი გაჰქვავებოდა.

---

[30] *საზომი ერთეული: 1 ფუნტი-0,453 კგ.*

დროდადრო მაქსი ფიქრობდა, საერთოდ ღირს თუ არა ამ აზიდვების კეთებაო, გულისცემა რომ მოუწესრიგდებოდა და სხეული სასიცოცხლო ფუნქციებს აღიდგენდა, ლამპას აქრობდა და ჩაბნელებულ სარდაფში იდგა.

ოცდაოთხი წლისა იყო და ისევ შეეძლო, ეფანტაზიორა.

„ლურჯ კუთხეში, — კომენტატორობდა ჩუმად, — მსოფლიო ჩემპიონი დგას, არიული შედეგრი, ფიურერი. — ამოისუნთქებდა და შემობრუნდებოდა, — წითელ კუთხეში კი ვირთხისსახიანი ებრაელი მოწინააღმდეგე — მაქს ვანდენბურგი“.

მაქსის ჩანაფიქრი თანდათან ხორცს ისხამდა.

შუქი ჩაქრებოდა თუ არა, რინგზე ადიოდა, ბრბო კი გარეთ იდგა და დუდუნებდა — რა სასწაული ხმა აქვს ერთდროულად რამდენიმე ადამიანის საუბარს. როგორ შეიძლება, ერთხმად ლაპარაკობდნენ? რინგი უზადო იყო, შესანიშნავი საფრითა და თოკებით. თოკებში თასმები, გასამსხვილებლად, უნაკლოდ ჩაეწნათ. დარბაზში სიგარეტისა და ლუდის სუნი იგრძნობოდა.

მოპირდაპირე მხარეს, თანმხლებ პირებთან ერთად, ადოლფ ჰიტლერი იდგა წითელ-თეთრი ხალათით, რომლის ზურგზეც შავი სვასტიკა იყო ამომწვარი, ფეხები გამოეყო, სახეზე ულვაში თითქოს მიექსოვა, მწვრთნელი, გებელსი, ყურში ჩასჩურჩულებდა სიტყვებს, ფეხებს ერთმანეთს უნაცვლებდა და იღიმებოდა. წამყვანმა მისი მიღწევები რომ ჩამოთვალა და აღტკინებულმა ბრბომ აპლოდისმენტები შეაგება, — ჰიტლერმა ხმამაღლა გაიცინა.

— დაუმარცხებელო! — შესძახა წამყვანმა რინგზე, — გერმანული იდეის მტრებისა და ებრაელების მოწინააღმდეგევ! ჰერ ფიურერ, მოგესალმებით! — შეაჯამა ბოლოს.

ქაოსი ბრბოში.

შემდეგ, ხალხი რომ დამშვიდდა, მოწინააღმდეგე გამოჩნდა. წამყვანმა მაქსისკენ გადადგა ნაბიჯი, რომელიც მარტო იდგა თავის კუთხეში, არც ხალათი ეცვა და არც ამალა ახლდა. ეული ებრაელი იყო ბინძური სუნთქვით, მოშიშვლებული მკერდით და დაღლილი ხელ-ფეხით. რა თქმა უნდა, ნაცრისფერი ტრუსი ეცვა, ფეხებს ისიც უნაცვლებდა ერთმანეთს, მაგრამ ენერგიას ზოგავდა, სპორტდარბაზში დიდხანს ივარჯიშა, შესაბამის წონით კატეგორიაში რომ მოხვედრილიყო.

— მონინააღმდეგე, — წაიმღერა კონფერანსიემ და საჭირო ეფექტის მოსახდენად პაუზა გააკეთა, — ებრაული სისხლი-საა! — ბრბომ ვამპირებივით ამოიგმინა. — იწონის...

სიტყვის დასასრული აღარავის გაუგონია, ბრბო ახმაურდა, მაქსი კი ხალათშემოძარცულ მონინააღმდეგეს უცქერდა, რომელიც რინგის შუაში გამოსულიყო წესების მოსასმენად და ხელებს იქნევდა.

— Guten Tag, Herr Hitler[31] — თავი დაუქნია მაქსმა, მაგრამ ფიურერმა მხოლოდ ყვითელი კბილები აჩვენა და ისევ ტუჩებში ჩამალა.

— ჯენტლმენებო, — დაიწყო შავ შარვალსა და ცისფერ მაისურში გამოწყობილმა მსაჯმა, რომელსაც ყელზე ბაფთა ემაგრა. — ჩვენ სუფთა და კარგი ორთაბრძოლის ნახვა გვსურს, — შემდეგ მხოლოდ ფიურერს მიმართა, — რასაკვირველია, სანამ თქვენ, ჰერ ჰიტლერ, წაგებისკენ არ წაიყვანთ ბრძოლას. თუ ეს მოხდა, დიდი სიამოვნებით დავხუჭავ თვალს თქვენ მიერ გამოყენებულ ნებისმიერ აკრძალულ ილეთზე, ოღონდ კი ეს მყრალი და ბილნი ებრაელი მიწასთან გაასწორეთ. — მსაჯმა დიდი პატივისცემით დაუკრა თავი ჰიტლერს და ჰკითხა, — ყველაფერი გასაგებია?

ფიურერმა პირველი სიტყვა თქვა:

— ნამდვილად!

მაქსი მსაჯმა მხოლოდ გააფრთხილა:

— რაც შეგეხება შენ, ჩემო ებრაელო მეგობარო, ეცადე, ფრთხილად იყო, ძალიან ფრთხილად.

ამის მერე მონინააღმდეგეები ისევ თავიანთ კუთხეებს დაუბრუნდნენ.

ხანმოკლე სიჩუმე.

გონგის ხმა.

შეტევა პირველმა ფიურერმა წამოიწყო, გაძვალტყავებული ფეხების უხერხული მოძრაობით მივარდა მაქსს და მაგრად ჩაარტყა სახეში. ბრბო ირხეოდა, ყურებში ისევ გონგის ხმა ჩაესმოდა და კმაყოფილების ღიმილს რინგის თოკებს შორის აძვრენდა. პირიდან ჰიტლერს სუნთქვის კვამლი ამოს-

[31] *გერმ. დილა მშვიდობისა, ჰერ ჰიტლერ.*

დიოდა, მუშტებს უშენდა მაქსს და ხან ტუჩებში ახვედრებდა, ხან ცხვირში, ხანაც ნიკაპში. მაქსი საკუთარ კუთხეს ვერ გასცდა, სასჯელის ასარიდებლად ხელები გაიწვდინა, მაგრამ ფიურერმა ახლა ბარძაყებში, თირკმლებსა და ფილტვებში დაუშინა მუშტები. და თვალები! ოჰ, ეს ფიურერის თვალები! რა საუცხოოდ თაფლისფერი ჰქონდა, ებრაელივით, და რა მტკიცე გადაწყვეტილება იკითხებოდა მათში! მაქსი წუთით გაირინდა, აფრიალებულ ხელთათმანებს მილმა ბრბოს მზერას გადააწყდა.

მხოლოდ ერთი რაუნდი იყო, მაგრამ რამდენიმე საათი გაგრძელდა და, ძირითადად, არაფერი შეცვლილა.

ფიურერი ისევ ურტყამდა მოკრივის ტომარას — ებრაელს.

მის ფეხებთან დაღვრილი ებრაული სისხლი თეთრ ცაზე მოფენილ წითელ საწვიმარ ღრუბლებს ჰგავდა.

თანდათან მუხლები მოუდუნდა, ყვრიმალის ძვლები ასტკივდა, ფიურერის კმაყოფილი სახე გაფერმკრთალდა, გაილია. გამოფიტული, ნაცემი და დამტვრეული ებრაელი რინგზე დაეცა.

ჯერ ღრიალი.

შემდეგ დუმილი.

მსაჯმა დათვლა დაიწყო, ოქროს კბილი ჰქონდა და ჯაგარი — ცხვირის ნესტოებში.

ნელ-ნელა მაქს ვანდენბურგი, ებრაელი, ფეხზე წამოდგა და გასწორდა. ხმა უწყდებოდა. გამოწვევა. „მოდით, ფიურერ", — თქვა და როგორც კი ადოლფ ჰიტლერმა ებრაულ ნახევარზე გადადგა ნაბიჯი, ებრაელმა კუთხეში მიიმწყვდია მოწინააღმდეგე. შემდეგ შვიდჯერ მოუქნია მუშტი და შვიდჯერვე ერთ ადგილს დაუმიზნა.

ულვაშს.

მეშვიდე დარტყმა მაქსმა მიზანს ააცილა, ფიურერს მუშტი ნიკაპში მოხვდა, გადაქანდა, თოკებს დაეჯახა და მუხლებზე დაეცა. ამჯერად მსაჯს დათვლა არ დაუწყია. კუთხეს იყო შეფარებული. აუდიტორია ლუდს დაეწაფა. მუხლებზე დაცემულმა ფიურერმა საკუთარ სისხლს გემო გაუსინჯა და თმა მარჯვნიდან მარცხნივ გადაიწია, შემდეგ ფეხზე წამოდგა მრავალათასიანი ბრბოს გასახარად, ოდნავ წინ გადადგა ნა-

ბიჯი და უცნაურობა მოიმოქმედა. ებრაელს ზურგი აქცია და მოკრივის ხელთათმანი გაიხადა.

ბრბო განცვიფრდა.

— ნებდება, — ჩაიჩურჩულა ვილაცამ, მაგრამ იმავე წუთს ადოლფ ჰიტლერი რინგის თოკებთან მივიდა და არენას მიმართა:

— ჩემო გერმანელო ძმებო, ამ საღამოს თქვენ რაღაცის შემსწრე გახდით, არა? — გულგაღეღილმა ფიურერმა გამარჯვებული კაცის მზერით გახედა მაქსს და ხელი გაიშვირა მისკენ, — ხედავთ ამ სახეს, იმაზე უფრო ავსა და ძლევამოსილს, ვიდრე წარმოგვედგინა? ხედავთ?

— დიახ, ფიურერ, — გაისმა ერთხმად.

— ხომ ხედავთ, რომ მტერმა გზა გამონახა? საზიზღარი გზა. მან ჯავშანი გაარღვია და ცხადია, მარტო ვერ შეებრძოლები! — სიტყვები ძვირფასი ქვებივით გადმოუცვივდა პირიდან, — შეხედეთ! კარგად დააკვირდით! — ხალხმა დასისხლიანებულ მაქს ვანდენბურგს შეხედა, — სანამ ჩვენ ვსაუბრობთ, ის თქვენს სამეზობლოშიც შეაღწევს, თქვენი მეზობლის კარზე დააკაკუნებს, მის ადგილას დასახლდება. ის... — ჰიტლერმა ზიზღით სავსე მზერა შეაგება ებრაელს, — მალე დაგიპყრობთ და თქვენს გასტრონომში, დახლის უკან წამოიჭიმება, ჩიბუხს გააბოლებს. ცოტა ხანში კი, ვერც მიხვდებით, ისე დაიწყებთ მის სასარგებლოდ, მინიმალური გასამრჯელოს ფასად მუშაობას, თვითონ კი დამძიმებული ჯიბეებით ივლის. ასე მარტივად დანებდებით და ამის უფლებას მისცემთ? იმ ლიდერებს მიჰბაძავთ, წარსულში თქვენს მიწებს რომ არიგებდნენ რამდენიმე ხელმოწერის სანაცვლოდ? ასე უმნეოდ გინდათ იდგეთ და უმზიროთ, რა ხდება? თუ... — აქ ფიურერმა რინგის ერთი თოკი მაღლა ასწია, — რინგზე გადმოხვალთ და ჩემთან ერთად შეებრძოლებით?

მაქსი აკანკალდა, შიშმა დაუარა.

ადოლფმა ბოლო მოუღო.

— გადმოხვალთ და ეცდებით, ერთად დავამარცხოთ მტერი?

ჰიმელ-სტრიტის ნომერ 33 სახლის სარდაფში მაქს ვანდენბურგი მთელი ერის მუშტების გემოს გრძნობდა. სათითაოდ

გადადიოდნენ რინგზე მის საცემრად. სისხლი ადინეს, ტანჯეს. მილიონობით იყვნენ და მაქსმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა წამოსადგომად. ბოლო, ვინც თოკზე გადაძვრა, გოგონა იყო, ნელა გადაჭრა რინგი და მაქსმა დაინახა, როგორ ჩამოუგორდა ლოყაზე ცრემლი. მარჯვენა ხელში გაზეთი ეჭირა.

— კროსვორდი მოგიტანე, — თქვა ნაზად, — შეუვსებელია, — თქვა და გაუწოდა.

სიბნელე.

და არაფერი სიბნელის გარდა.

სარდაფის გარდა. ებრაელის გარდა.

ახალი სიზმარი: რამდენიმე ღამის შემდეგ

შუადღე იდგა. ლიზელმა სარდაფის კიბის საფეხურები ჩაიარა. მაქსი აზიდვებს აკეთებდა.

გოგონა ცოტა ხანს ჩუმად უცქერდა, მაქსი ვერაფერს მიხვდა, შემდეგ კი, გვერდით რომ ჩამოუჯდა, ნამოდგა და კედელს მიეყრდნო:

— გითხარი ახალი სიზმარი რომ დამჩემდა? — ლიზელი შებრუნდა, მისი სახე რომ დაენახა. — მაგრამ იმ სიზმარს მაშინ ვხედავ, როცა მლვიძავს, — მაქსმა ჩამქრალი ნავთის ლამპა აჩვენა, — ზოგჯერ შუქს ვაქრობ ხოლმე, შემდეგ აქ ვდგავარ და ველოდები.

— რას ელოდები?

მაქსმა შეუსწორა:

— რას არა, ვის.

თავიდან ლიზელს არაფერი უთქვამს. დრო სჭირდებოდა, კითხვის დასაბრუნებლად:

— ვის ელოდები?

მაქსი არ განძრეულა:

— ფიურერს, — წარმოთქვა სრულიად მშრალად, — აი, რატომ ვვარჯიშობ.

— აზიდვებს გულისხმობ?

— დიახ, — ბიჭი ბეტონის საფეხურებს აუყვა, — ყოველ ღამით, სიბნელეში, ფიურერი ეშვება ამ კიბეზე, საათობით ვერკინებით ერთმანეთს.

— და ვინ იმარჯვებს?

მაქსი აპირებდა, ეთქვა, არავინო, მაგრამ შემდეგ საღებავების ქილები, ბიაზის ნაჭრები და გაზეთების მზარდი გროვა მოხვდა თვალში. მაქსი სიტყვებს, გრძელ ღრუბელსა და კედელზე დახატულ ფიგურებს დააკვირდა.

– მე.

თითქოს ხელისგული გაშალა, სიტყვები გადმოყარა და ისევ შეკრა.

გერმანიაში, მიუნხენში, სარდაფში, მინაზე ორი ადამიანი იდგა და საუბრობდა. ანეკდოტის დასაწყისს ჰგავს, არა?

„მოკლედ, სარდაფში გერმანელი და ებრაელი სხედან და...“

თუმცა, ანეკდოტი არ იყო.

მღებავები: ივნისის დასაწყისი

მაქსმა კიდევ ერთი რამ მოიფიქრა „ჩემი ბრძოლის“ დარჩენილ გვერდებთან დაკავშირებით. ფრთხილად ამოხია წიგნიდან სათითაოდ ყველა გვერდი და იატაკზე დააწყო, საღებავის სქელი ფენით რომ დაეფარა. შემდეგ გააშრო და ისევ ყდაში ჩასვა. ერთ დღეს სკოლიდან რომ დაბრუნდა, ლიზელმა მაქსი, როზა და მამა დაინახა, ისინი გვერდებს ღებავდნენ. რამდენიმე ფურცელი უკვე სარეცხის სარჭებით ეკიდა თოკზე გასაშრობად, „თავთან მდგომი კაცის“ ფურცლების მსგავსად.

გოგონას გამოჩენისთანავე სამივემ ერთდროულად ასწია თავი და ერთხმად ალაპარაკდა:

— გამარჯობა, ლიზელ.

— ფუნჯი აიღე, ლიზელ.

— კარგ დროს მოხვედი, ღორუკელა, სად იყავი?

ლიზელმა ფუნჯის აღებისთანავე მაქს ვანდენბურგისა და ფიურერის ორთაბრძოლაზე დაიწყო ფიქრი, ზუსტად ისე, როგორც ებრაელმა აღუწერა.

ჩვენება სარდაფში, 1941 წლის ივნისი

მუშტი-კრივი. კედლებზე გადაცოცებული ბრბო. მაქსისა და ფიურერის სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება კიბის გვერდით. ფიურერს ულვაში და მარჯვენა მხარეს გადაწეული თმა სისხლში აქვს ამოსვრილი.

— მოდი, ფიურერ,

— ამბობს ებრაელი და თავისკენ იხმობს,

— მოდი.

ჩვენება რომ გაქრა და პირველი გვერდის შეღებვა დაასრულა, მამამ თვალი ჩაუკრა, დედამ კი გამოლანძღა, უსწორმასწოროდ ნუ უსვამ საღებავსო. მაქსმა სათითაოდ შეამოწმა ფურცლები, ალბათ გუნებაში გეგმავდა, რა მოეთავსებინა ზედ.

თვეების შემდეგ ის ამ წიგნს მართლაც დააწერს ყდაზე ახალ სათაურს და კიდევ ერთ ილუსტრირებულ მოთხრობას მოათავსებს მასში.

იმ შუადღეს, ჰიმელ-სტრიტის ნომერ 33 სახლის საიდუმლო სარდაფში, ჰუბერმანები, ლიზელ მემინგერი და მაქს ვანდენბურგი *„სიტყვის მბერტყავის“* გვერდებს ამზადებდნენ.

კამათლის გაგორება: 24 ივნისი

და აი, შვიდიანიც დაჯდა. გერმანიის რუსეთში შეჭრის მეორე დღეს, სამი დღით ადრე, სანამ ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი სამხედრო ძალებს გააერთიანებდნენ.

შვიდიანი.

აგორებთ, ხედავთ, როგორ მოდის და ხვდებით, რომ ჩვეულებრივი კამათელი არ უნდა იყოს. აცხადებთ, ცუდის ნიშანიაო, მაგრამ ამოვიდა და რაღას იზამთ. ოთახში შეგაქვთ. მაგიდა თქვენს სუნთქვას გრძნობს. ებრაელი თქვენს ჯიბეში თავიდანვე ყარდა. ლაქად დაგაჩნდათ სახელოს გადანაკეცზე. და კამათელს რომ აგორებდით, იცოდით შვიდიანი რომ ამოვიდოდა. ისიც — შვიდიანი, ცუდს რომ გიქადით. კამათელი ჩერდება. სათითაოდ გიცქერთ თვალებში, იდუმალი და საძაგელი, ზურგს აქცევთ, მას კი უკვე თქვენს მკერდზე მოუკალათებია.

უბრალოდ, ილბალმა გაქციათ ზურგი.

ამასლა ამბობთ.

საშიში არაფერია.

ცდილობთ, თავი დაირწმუნოთ, რადგან გულის სიღრმეში იცით, რომ ეს პატარა ქვა თქვენი მომავლის მაცნეა. ებრაელს მალავთ. მაშ, უნდა გადაიხადოთ კიდეც საფასური. გინდათ თუ არა, სხვა გზა არ არის.

მოგვიანებით, ამ ამბების გახსენებისას, ლიზელი თავს დაირწმუნებს, ცუდი არაფერი მომხდარაო. ალბათ იმიტომ, რომ სანამ სარდაფში მოთხრობის წერას შეუდგებოდა, უკვე ბევრი რამ გადახდენოდა თავს. ლიზელი ასე იმსჯელებს: მერმა უარი რომ უთხრა როზას სარეცხის დარეცხვაზე, სულაც არ იყო დიდი უბედურება. იმ ამბავს ებრაელის დამალვასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ყველაფერი ომის ბრალი იყო. თუმცა, თავიდან ფიქრობდა, სწორედ ამისთვის ვისჯებითო.

ყველაფერი ოცდაოთხ ივნისამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო.

ლიზელმა, ჩვეულებისამებრ, მიუნხენის ქუჩაზე ნაგვიდან გაზეთი ამოქექა მაქს ვანდენბურგისთვის და იღლიაში ამოიჩარა. ლიზელის მისვლისთანავე მაქსი კითხვას შეუდგა, პირველივე გვერდს დახედა თუ არა, გოგონას მიუბრუნდა, მოწინავე გვერდზე განთავსებული სურათი აჩვენა და ჰკითხა:

— ეს ის კაცი არ არის, ვისთანაც სარეცხი დაგაქვს?

ლიზელი მოშორდა კედელს, სადაც მაქსის ნახატის — თოკივით გაბმული ღრუბლისა და დაღვენთილი მზის გვერდით, სიტყვა „კამათი“ ექვსჯერ ჰქონდა გამოწერილი.

მაქსმა გოგონას გაზეთი გაუწოდა.

— ის არის.

გოგონამ სტატიის კითხვა განაგრძო. ჰაინც ჰერმანი, ქალაქის მერი წერდა, მოლკინგელებმა, სხვა შეგნებული გერმანელების მსგავსად, ადეკვატური ზომები უნდა მივიღოთ და უფრო ძნელი დროებისთვის მოვემზადოთო. „ვინ იცის, რას ფიქრობს მტერი ან როგორ ეცდება ჩვენს დასუსტებას...“

ერთ კვირაში მერის სიტყვებმა საზიზღარი ნაყოფი გამოიღო.

ლიზელი, როგორც ყოველთვის, გრანდ-შტრასეზე მივიდა და მერის ბიბლიოთეკის იატაკზე მოკალათებულმა „სტვენიას“ კითხვა განაგრძო. მერის ცოლს უცნაური არაფერი ეტყობოდა (ან მოდი, გულახდილები ვიყოთ, არაფერი გამოუმჟღავნებია), სანამ წასვლის დრო არ მოვიდა.

ამჯერად ლიზელს „სტვენიას“ წაღება რომ შესთავაზა, დაიჟინა კიდეც, აუცილებლად უნდა გამომართვაო:

— გთხოვ, — ლამის ემუდარებოდა. წიგნი მაგრად ჰქონდა ხელში ჩაბღუჯული. — გემუდარები, წაიღე.

ლიზელი შეძრა ქალის უცნაურმა საქციელმა და მიხვდა, იმედს რომ ვეღარ გაუცრუებდა, ამიტომ ნაცრისფერყდიანმა, ფურცლებგაყვითლებულმა წიგნმა მის ხელში გადაინაცვლა და გოგო დერეფანს გაუყვა. სარეცხის შესახებ კითხვის დასმა რომ დააპირა, ხალათში გახვეულმა ქალმა უკანასკნელად შეავლო მას დარდიანი მზერა, კამოდის უჯრა გამოსწია, კონვერტი ამოიღო და ხანგრძლივი დუმილისაგან ჩახრინწული ხმით ამოახველა სიტყვები:

— ძალიან ვწუხვარ, ეს დედას გადაეცი.

ლიზელმა სუნთქვა შეიკრა.

უცებ მიხვდა, ფეხსაცმელში მომწყვდეულმა ფეხმა სიცარიელე რომ იგრძნო. ყელში რალაცამ შეუღლტინა. აცახცახდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა, წერილის გამოსართმევად ხელი გაუწოდა ქალს და ბიბლიოთეკის საათის ხმაც გაიგონა. წარბშეკრული გოგონა მიხვდა, საათი, ჩვეულებრივ, მელოდიურად რომ არ წიკწიკებდა და ჩაქუჩივით უკაკუნებდა ყურში. სამარის გათხრის ხმას ჰგავდა. ნეტავ, ჩამიტანოს მინამო, გაიფიქრა, სიკვდილი ინატრა. სხვები რომ ამბობდნენ უარს სარეცხის დარეცხვაზე, ასე არ სტკიოდა ხოლმე გული, მაგრამ მხოლოდ მერი, ბიბლიოთეკა და მერის ცოლილა შემორჩნენ. უკანასკნელი იმედიც დაკარგა. ეს ღალატი ყველაზე მტკივნეული იყო ლიზელისთვის.

როგორ შეეხედა დედისთვის?

როზას ის რამდენიმე გროში ბევრ რამეში ადგებოდა, შეეძლო, დამატებით ერთი მუჭა ფქვილი ან ქონის ნაჭერი ეყიდა.

ილზა ჰერმანი თავადაც სიკვდილს ნატრობდა, ერთი სული ჰქონდა, გოგონა გაესტუმრებინა. ლიზელმა მისი ეს სურვილი

ერთ ჟესტში ამოიკითხა — როცა მჭიდროდ შემოიჭირა ქამარი. მწუხარება ნებას არ აძლევდა, გოგონასკენ გადაედგა ნაბიჯი, ეტყობოდა, ძალიან უნდოდა, ყველაფერი მალე დამთავრებულიყო.

— დედას უთხარი, — ხმა ცოტა დაეწმინდა და ერთ წინადადებას მეორე მიაყოლა, — ჩვენც ძალიან ვწუხვართ, — თქვა და გოგონას კარისკენ გაუძღვა.

ლიზელს ახლა მხრებზე დააწვა იმ ახალი ამბის მთელი სიმძიმე. საბოლოო უარით გამოწვეული ტკივილი.

„რა გამოვიდა, — ეკითხებოდა ქალს გულში, — გარეთ მაგდებთ?"

როგორც იქნა, ხელი მოჰკიდა ცარიელ ჩანთას და კარისკენ გაემართა. გარეთ რომ აღმოჩნდა, შებრუნდა, იმ დღეს უკვე მეორედ შეავლო უკანასკნელი მზერა, ველური სიამაყით აღსავსე თვალები შეაგება ილზა ჰერმანს.

— Danke schön[32] — თქვა და ილზამ უსარგებლო, ნატანჯი ღიმილი გაიმეტა პასუხად.

— თუ ოდესმე საკითხავად დააპირებ ჩვენთან შემოვლას, ძალიან მესიამოვნება. — ცრუობდა (ან იქნებ თავზარდაცემულ გოგოს ასე მოეჩვენა).

ლიზელი იმ წუთებში შესასვლელი კარის სიდიდემ გააოცა. რამხელა სივრცე იყო. რაში სჭირდებოდა ხალხს ამხელა ადგილი კარისთვის?

რუდი რომ იქ ყოფილიყო, იდიოტი ხარო, ეტყოდა ლიზელს, ამ კარიდან ხომ ნივთებიც შეაქვთ სახლშიო.

— ნახვამდის, — თქვა გოგონამ და კარი ნელ-ნელა, გაჭირვებით დაიხურა.

ლიზელი არ მიდიოდა.

დიდხანს იჯდა კიბის საფეხურზე და მოლკინგს გადაჰყურებდა. გარეთ არც ციოდა, არც ცხელოდა, ქალაქი კი სუფთა და მდუმარე იყო.

შუშის ქილაში მოთავსებული მოლკინგი.

გოგონამ წერილი გახსნა. მერი ჰაინც ჰერმანი დიპლომატიურად ხსნიდა, რატომ ამბობდა უარს როზა ჰერმანის მომ-

[32] *გერმ. გმადლობთ.*

სახურებაზე, წერდა, მაშინ, როცა სხვას მოვუწოდებ, ძნელი დროისთვის მოემზადონ, ჩემი მხრიდან ფარისევლობა იქნებოდა ამ ფუფუნებით სარგებლობაო.

ბოლოს წამოდგა და შინისაკენ გაემართა, მაგრამ STEINER-SCHNEIDERMEISTER-ის აბრა რომ დაინახა მიუნხენის ქუჩაზე, შედგა. მოწყენილობის ნაცვლად ახლა ბრაზი მოერია. „რა ნაბიჭვარია მერი, — ჩაიჩურჩულა, — და რა საცოდავია მისი ცოლი. — სწორედ რთული დროების გამო უნდა ემუშავა როზას, მაგრამ არაო, უარი უთხრეს. რაც უნდა იყოს, — გაიფიქრა ბოლოს, — ღირსები არიან, დადგნენ და თავად რეცხონ და აუთოონ ნორმალური, ღარიბი ადამიანებივით".

„სტვენია" მაგრად ჩაბღუჯა ხელში.

„აი, თურმე რატომ მაჩუქე წიგნი, — თქვა გოგონამ, — შეგეცოდე და გინდოდა, თავი უკეთ გეგრძნო".

ადრეც რომ სთავაზობდა ილზა ამ წიგნს, არაფრად ჩააგდო და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ადრე: შეტრიალდა და გრანდ-შტრასეს რვა ნომერში მდებარე სახლისკენ წავიდა. ცდუნებამ სძლია, მოუნდა, ერბინა, მაგრამ გადაიფიქრა, ძალები უნდა დაეზოგა სიტყვებისთვის.

სახლთან მისულს, მერი შინ რომ არ დახვდა, იმედი გაუცრუვდა, მანქანა კოხტად არ ეყენა გზის მხარეს. ალბათ ეს კარგიც იყო, სხვანაირად, ვერ გეტყვით, რას უზამდა ლიზელი, რომელიც იმწუთას მდიდრების წინააღმდეგ ბრძოლას ღარიბების სახელით იწყებდა.

კიბის ორ საფეხურს ერთად რომ გადაახტა, კართან აღმოჩნდა და ისე ძლიერად დააკაკუნა, ხელი ეტკინა, ტკივილის პაწაწინა ნაფლეთებმა სიამოვნებაც კი მიანიჭა.

ცხადია, მერის ცოლმა ისევ რომ დაინახა გოგონა, განცვიფრდა. ფუმფულა თმა ოდნავ სველი ჰქონდა და ლიზელს, ჩვეულებრივ, უფერულ სახეზე მრისხანების ნიშნები რომ შეამჩნია, ნაოჭები გაუფართოვდა. პირი გააღო, მაგრამ ვერაფერი თქვა, ეს კი ლიზელს ძალიანაც აწყობდა, ახლა მას უნდა ესაუბრა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ წიგნით მომისყიდით? — მიუხედავად იმისა, რომ ხმა უკანკალებდა, სიტყვები ილზას ყელში სწვდა. ბრაზმა აამღვრია და სულიერი მხნეობა დაუკარგა,

მაგრამ მოახერხა, უფრო მეტი თქვა. ილზა ჰერმანმა ცრემლი მოიწმინდა თვალებიდან.

— ეს ღორული წიგნი მომეცით და გინდათ, მათქმევინოთ, რომ ყველაფერი კარგადაა, მაშინ, როცა დედასთან უნდა მივიდე და ვამცნო, ბოლო ოჯახმაც უარი გვითხრა-მეთქი? თქვენ კი ამ უზარმაზარ სახლში ისხდეთ?

მერის ცოლს მკლავები.

ჩამოეკიდა.

სახე აუპრიალდა.

ლიზელი კი არ ჩერდებოდა, პირდაპირ თვალებში უმიზნებდა სიტყვებს.

— თქვენ და თქვენი ქმარი აქ ხართ წამოჭიმული, — ღვარძლით ივსებოდა, იმაზე უფრო გესლიანი და ბოროტი იყო, ვიდრე წარმოედგინა.

სიტყვებით დაკოდვა.

დიახ, სიტყვების ბოროტმოქმედება.

საკუთარ არსებაში აღმოაჩინა ადგილი, საიდანაც ამ სიტყვებს გამოიხმობდა და ილზა ჰერმანს ესროდა.

— დადგა დრო, როცა — მიახალა ქალს, — საკუთარი აყროლებული ტანსაცმელი თავად უნდა რეცხოთ. დროა, ის ფაქტიც აღიაროთ, ვაჟი რომ მკვდარი გყავთ, ის ხომ მოკლეს! ოცი წლის წინ გაგუდეს და ნაწილ-ნაწილ აკუწეს! ან იქნებ სასიკვდილოდ გაითოშა? რაც უნდა მომხდარიყო, მკვდარია! მკვდარია, თქვენ კი საცოდავად ზიხართ საკუთარ სახლში და იტანჯებით. ფიქრობთ, მხოლოდ თქვენ გრძნობთ თავს ასე საშინლად?

იმავე წუთს.

ძმა ამოუდგა გვერდით.

სთხოვდა, გაჩუმდიო, მაგრამ ისიც მკვდარი იყო და აზრი არ ჰქონდა მის მოსმენას.

მატარებელში მოკვდა.

თოვლში დამარხეს.

ლიზელმა თვალებში ჩახედა, მაგრამ თავი ვერ გააჩუმა.

ჯერ არ იყო დრო.

— ეს წიგნი, — გააგრძელა, ბიჭი კი კიბიდან დააგორა და დაამტვრია, — სულაც არ მჭირდება, — ხმას ცოტა დაუწია,

მაგრამ ისევ მწარედ ლაპარაკობდა. „სტვენია" პრიალა ფეხებთან მიუგდო ქალს და გაიგონა, როგორ დაეცა წიგნი ბეტონზე.

— არ მჭირდება თქვენი საცოდავი წიგნი.

თავისი თქვა და გაჩუმდა.

ყელი დაიცარიელა, სიტყვები აღარ ამოსდიოდა.

მუხლებზე შემოხვეული ძმა გაუჩინარდა.

უიმედო პაუზა. მერის ცოლი დაიხარა და წიგნი აიღო. ნაცემს და დაჭმუჭნილს ჰგავდა, აღარ იღიმებოდა. ლიზელი სახეში უცქერდა. ქალს ცხვირიდან სისხლი წასკდა და ტუჩები დაუსვარა. თვალები ჩაუშავდა. ჭრილობებით მთელი სხეული დაეფარა, იარები გაეხსნა. სიტყვებისგან იყო დაშავებული. ლიზელის სიტყვებისგან.

წელში მოხრილი ილზა, წიგნით ხელში, გაიმართა და სცადა, კიდევ მოებოდიშებინა, მაგრამ სიტყვები ახლაც ვერ ამოუშვა პირიდან.

„სილა გამაწანი, — ფიქრობდა ლიზელი, — მიდი, გამარტყი".

ილზა ჰერმანს სილა არ გაურტყამს. უკან დაიხია, თავისი ლამაზი სახლის ბინძურ ჰაერს შეერწყა, ლიზელი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მარტო, კიბის მოაჯირს ჩაბღაუჭებული. ეშინოდა ქალაქისკენ მიბრუნება, რადგან იცოდა, რომ დაინახავდა, როგორ დაიმსხვრა შუშის ქილა, რომელშიც მოლკინგი იყო გამომწყვდეული და ეს გაახარებდა.

ყველაფრისთვის ბოლო რომ მოელო, სახლის ჭიშკარს მიახლოებულმა კიდევ ერთხელ გადაიკითხა წერილი, რაც შეიძლებოდა, მაგრად დაჭმუჭნა და ქვასავით ესროლა კარს. არ ვიცი, რისი იმედი ჰქონდა წიგნის ქურდს, მაგრამ ქაღალდის ბურთი ხის მსხვილ ნაჭერს მოხვდა, უკან, კიბის საფეხურებისკენ გადმოვარდა და გოგონას ფეხებთან დაეცა.

— ასეც ვიცოდი, — განაცხადა გოგომ, ფეხი გაჰკრა და ბალახში მოისროლა წერილი, — აზრი არ ჰქონდა.

შინ რომ შევიდა, წარმოიდგინა, რა დაემართებოდა ქაღალდს წვიმაში და თავდაყირა როგორ დადგებოდა შეწებებულ ქილაში ხელახლა გამომწყვდეული მოლკინგიც. ცხადად ხედავდა, როგორ გაიდღაბნებოდა ასოები, სანამ მთლად არ გადარეცხავდა წვიმა. მხოლოდ ქაღალდი. მხოლოდ მიწა.

სამზარეულოში, თითქოს ჯიბრზე, როზა დახვდა.

— აბა, — თქვა დედამ, — სარეცხი სად არის?

— დღეს სარეცხი არ ჰქონდათ, — უთხრა ლიზელმა.

როზა სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა. მიხვდა. თითქოს უცებ დაბერდა. ლიზელმა წარმოიდგინა, როგორი იქნებოდა როზა გაშლილი და მხრებზე დაფენილი თმით. ელასტიკური თმის ნაცრისფერი პირსახოცი.

— აბა, იქ ამდენ ხანს რალას აკეთებდი, პატარა ლორუკელა? — მშრალად უთხრა. ვერ მოასწრო, პირში შხამის დაგუბება.

— ჩემი ბრალია, — უპასუხა ლიზელმა, — მხოლოდ ჩემი. შეურაცხყოფა მივაყენე მერის ცოლს, ვუთხარი, მკვდარ ვაჟს ნულარ დასტირი-მეთქი, საცოდავი ვუწოდე, ამიტომაც გითხრეს უარი მომსახურებაზე. — გოგონა ხის კოვზებისკენ გაემართა, ხელი მოხვია მთელ დასტას და დედას წინ დაულაგა, — აარჩიე, რომელი გინდა.

როზამ ამოარჩია, მაგრამ არ გამოიყენა.

— არ მჯერა შენი.

ლიზელი დარდსა და გაოცებას შორის იხლიჩებოდა. ცხოვრებაში პირველად სურდა, კუთვნილი Watschen მიელო, მაგრამ არ სჯიდნენ!

— ჩემი ბრალია.

— არა, არ არის, — თქვა დედამ და ლიზელს ცხიმიან, დაუბანელ თმაზე ხელი გადაუსვა, — ვიცი, რომ ასეთ რამეს არ ეტყოდი.

— ვუთხარი!

— კარგი, შეიძლება უთხარი კიდეც.

ლიზელი ოთახიდან რომ გავიდა, გაიგონა, როგორ ჩააწყო დედამ ხის კოვზები ლითონის ქილაში, მაგრამ საძინებლამდე რომ მიაღწია, ქილის მიწაზე დახეთქების ხმა შემოესმა.

მოგვიანებით, სარდაფში რომ ჩავიდა, მაქსი დაინახა, ის სიბნელეში იდგა და როგორც ჩანს, ისევ ფიურერთან ხელჩართულ ჩხუბში იყო გართული.

— მაქს! — შუქი აინთო. კუთხეში მოტივტივე წითელი მონეტა. — შეგიძლია, აზიდვების გაკეთება მასწავლო?

მაქსმა აჩვენა, როგორ უნდა ევარჯიშა და რამდენჯერმე ხელიც მიაშველა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სუსტი იყო, ლიზელი მშვენივრად ფლობდა სხეულს. არც კი დაუთვლია, რამდენი აზიდვა გააკეთა იმ საღამოს, სუსტად განათებულ სარდაფში, თუმცა, მომდევნო რამდენიმე დღე ყველა კუნთი სტკიოდა. მაქსმა უთხრა, გეყო, ბევრი მოგვიდაო, მაგრამ მაინც აგრძელებდა ვარჯიშს.

ძილის წინ ის და მამა კითხვას შეუდგნენ და ჰანსმა ლიზელს უგუნებობა შეატყო. იმ თვეში პირველად მოახერხა, გოგონას გვერდით ყოფილიყო, ამან ლიზელი ოდნავ დაამშვიდა. ჰანს ჰუბერმანმა ყოველთვის იცოდა, რა ეთქვა მისთვის ან როდის დაეტოვებინა მარტო. ალბათ ლიზელი ერთადერთი იყო, ვისიც ჰანსს ბოლომდე ესმოდა.

— სარეცხი? — იკითხა მამამ.

ლიზელმა თავი დაუქნია.

მამას უკვე ორი დღე იყო, წვერი არ გაეპარსა და ყოველ ორ-სამ წუთში ისვამდა ზედ ხელს. ვერცხლის თვალები ბრტყელი, მშვიდი და ოდნავ თბილი ჰქონდა, როგორც ყოველთვის, როცა საქმე ლიზელს ეხებოდა.

მამას ნელ-ნელა კითხვაში ჩაეძინა. მაშინ ლიზელმა ხმამაღლა თქვა ის, რისი თქმაც ძალიან დიდი ხანი იყო, სურდა.

— მამა, — ჩაიჩურჩულა, — მგონი ჯოჯოხეთისკენ მივექანები.

ფეხები გაუთბა, მაგრამ მუხლები ჯერ ისევ ცივი ჰქონდა.

გაახსენდა ის ღამე, ლოგინში რომ ჩაისველა, მამობილმა კი ზეწრები დაურეცხა და ანბანი ასწავლა. გოგონას სუნთქვამ საბანს გადაუარა, მივიდა და წვერით დაფარულ ლოყაზე აკოცა ჰანსს.

— გასაპარსი ხარ, — თქვა.

— სულაც არ მიექანები ჯოჯოხეთში, — უპასუხა მამამ.

ლიზელი რამდენიმე წუთს სახეში შესცქეროდა, შემდეგ ლოგინში ჩაწვა, ჰანსს მიეყრდნო და ასე ერთად ჩაეძინათ საღამოს, მიუნხენში, გერმანული შვიდწახნაგიანი კამათლის გაგორებისას.

რუდის სიყმაწვილე

ბოლოს და ბოლოს, მოუწია თხოვნის შესრულებამ. იცოდა ბიჭმა, როგორ გაეტანა თავისი.

რუდი შტაინერის პორტრეტი: 1941 წლის ივლისი

ტალახი ზოლებად აქვს სახეზე. ყელსახვევი, როგორც დიდი ხნის წინ გაჩერებული საათის ქანქარა. ლამპისშუქისფერი, ლიმონისფერი თმა აჩეჩილი და ნაღვლიანი, სულელური ღიმილი სახეზე.

კიბიდან რამდენიმე მეტრში იდგა და მხიარულად, დარნმუნებით ამბობდა.

— *Alles ist Scheisse!* — განაცხადა, — ყველაფერი განავალია!

1941 წლის პირველ ნახევარში, სანამ ლიზელი მაქს ვანდენბურგს სარდაფში მალავდა, გაზეთებს იპარავდა და მერის ცოლს ლანძღავდა, რუდის ახალი პირადი ცხოვრება ჰქონდა „ჰიტლერიუგენდში". თებერვლის დასაწყისში იმაზე უარეს დღეში ბრუნდებოდა ხოლმე შეკრებებიდან, ვიდრე წასვილსას იყო. შინ მიმავალს გვერდს იმავე მდგომარეობაში მყოფი ტომი მიულერი უმშვენებდა. ბიჭების პრობლემა სამი ნაწილისგან შედგებოდა.

სამნაწილიანი პრობლემა

1. ტომი მიულერის ყურები.
2. ფრანც დოიჩერი — „ჰიტლერიუგენდის“ მრისხანე ლიდერი.
3. რუდი, რომელსაც არ შეეძლო, სხვის საქმეში არ ჩარეულიყო.

ნეტავ, ტომი მიულერი ექვსი წლის წინ, მიუნხენის ისტორიაში ყველაზე ცივ დღეს, შვიდი საათით არ დაკარგულიყო. მაშინ არც ყურში შეეჭრებოდა ინფექცია და არც ნერვი დაუზიანდებოდა, ასე რომ უშლიდა ხელს „ჰიტლერიუგენდის“ შეკრებებზე მარშირებისას. დამიჯერეთ, ეს სულაც არ იყო კარგი.

თავიდან ტომის წამიერ ჩამორჩენას დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ თვეები გადიოდა და მიულერს სულ უფრო ატყდებოდა თავს „ჰიტლერიუგენდელი“ ლიდერების რისხვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მარშირებას ეხებოდა. გახსოვთ, წინა წელს ჰიტლერის დაბადების დღემ როგორ ჩაიარა?

თანდათან ტომის დაავადება ურთულდებოდა და ცოტა ხანში სმენის პრობლემამაც იჩინა თავი, მარშირებისას კარგად არ ესმოდა, რა ბრძანებებს გასცემდა ლიდერი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად გადიოდნენ წვრთნას, დარბაზში, გარეთ, თოვლში, ტალახსა თუ წვიმაში.

ბრძანების მიხედვით, ყველა ერთდროულად უნდა შეჩერებულიყო:

— თითების ერთი გატკაცუნება! — ეუბნებოდნენ ლიდერები, — აი, რის გაგონება სურს ფიურერს, ყველა უნდა გაერთიანდეთ, ერთ გუნდად იქცეთ!

შემდეგ ტომი.

ჩემი აზრით, მარცხენა ყურის ბრალი იყო. სმენა სწორედ იმ ყურში აკლდა და როდესაც დანარჩენებს ხმამაღალმა ბრძანებამ Halt![33] ყურის ბარაბნები დაუხეთქა, დაბნეული ტომი ისევ განაგრძობდა სასაცილოდ სვლას. თვალის დახამხამებაში სალაფავივით აირია მწყობრად მოსიარულე ბავშვების მწკრივი.

[33] *გერმ. სდექ!*

ერთ მშვენიერ შაბათ დღეს, ივლისის დასაწყისში, ოთხის ნახევრის შემდეგ, როცა ტომიმ უკვე მერამდენედ ჩაშალა მარშირების თავგანწირული მცდელობა, ფრანც დოიჩერს (რა შესანიშნავი გვარია თინეიჯერი ნაცისტისთვის) ნერვებმა უმტყუნა.

— Muller du Affe![34] — სქელი ქერა თმა მასაჟს უკეთებდა თავზე, სიტყვები კი ტომის ჩააფრინდა სახეში, — ჰეი, მაიმუნო, რა გემართება?

ტომი შეშინებული მოიხარა წელში, მარცხენა ლოყა აუთამაშდა შეშლილივით და სასაცილოდ გაუმრუდდა. კაცს ეგონებოდა, მხოლოდ გამარჯვებულის თავმომწონე ღიმილი კი არ დასთამაშებს სახეზე, ზღვარგადასულ მხიარულებასაც ველარ უმკლავდებაო. ფრანც დოიჩერი ამას როგორ მოითმენდა, ღია ფერის თვალებით ადგილზე დაადუღა საბრალო.

— აბა, რას იტყვი?

ტომის უარესად აუთამაშდა ლოყა, უფრო სწრაფად და უფრო მკვეთრად.

— დამცინი?

— „ჰაილ", — საცოდავად დაიღრიჭა ტომი და სასოწარკვეთილმა სცადა, „ჰიტლერიც" მიეყოლებინა, მაგრამ არ გამოუვიდა.

ამ დროს რუდიმ გადადგა წინ ნაბიჯი, თავი ასწია და ფრანც დოიჩერს ჩახედა თვალებში:

— პრობლემა აქვს, სერ.

— ვხედავ!

— ყური სტკივა და არ ესმის, — დაასრულა რუდიმ.

— გასაგებია, — დოიჩერმა ხელები მოიფშვნიტა, — ორივე ექვს-ექვს წრეს დაარტყამთ მოედანს, — ბიჭები დამორჩილდნენ, მაგრამ საკმარისად სწრაფად ვერ ირბინეს, — Schnell! დაუჩქარეთ! — დაადევნა გზად ლიდერმა.

მოედანს ექვსჯერ რომ შემოურბინეს, ახალი ბრძანება მიიღეს: „სირბილი! ძირს! ადგომა! ძირს!" ასე აწვალა დოიჩერმა თხუთმეტ წუთზე მეტხანს, შემდეგ კი ისევ უბრძანა, ძირსო, ალბათ იმ დღეს უკანასკნელად.

რუდიმ ფეხებზე დაიხედა.

ქვემოდან ატალახებულმა გუბემ შეჰღიმა.

---

[34] *გერმ. მიულერ – მაიმუნო!*

„რას მომჩერებიხარ?" — თითქოს ეკითხებოდა ბიჭს.

— ძირს! — ისევ გაისმა ფრანცის ბრძანება.

რუდი ტალახს გადაახტა და მუცელზე დაეცა.

— წამოდექი! — გაელიმა ფრანცს, — ერთი ნაბიჯით უკან! — ბიჭებმა ბრძანება შეასრულეს, — ძირს!

ბრძანება გასაგები იყო და რუდიმაც შეასრულა, ტალახში ჩაყვინთა, სუნთქვა შეიკრა და ის იყო, ყური დაადო მიწას, წვრთნაც დასრულდა.

— Vielen Dank, meine Herren, — წარმოთქვა ზრდილობიანად ფრანც დოიჩერმა, — დიდი მადლობა, ჯენტლმენებო!

რუდიმ ჩაიჩოქა, ყურებიდან ტალახი გამოიბერტყა და ტომის გახედა.

მიულერს თვალები დაეხუჭა და სახე ისევ უთამაშებდა.

იმ დღეს ჰიმელ-სტრიტზე რომ დაბრუნდნენ, ლიზელი კლასობანას თამაშობდა რამდენიმე მასზე უმცროს ბავშვთან ერთად, გერმანელ გოგონათა ლიგის უნიფორმაში გამოწყობილი. ორ მელანქოლიურ ფიგურას მოჰკრა თვალი, მისკენ მიაბიჯებდნენ. ერთ-ერთმა დაუძახა.

ბავშვები შტაინერების ბეტონის ყუთივით სახლის ზღურბლთან შეხვდნენ ერთმანეთს და რუდიმ იმდღევანდელი ამბავი უამბო ლიზელს.

ათ წუთში ლიზელი ჩამოჯდა.

თერთმეტ წუთში ტომიმ, რომელიც გოგონას გვერდით იჯდა, თქვა:

— ყველაფერი ჩემი ბრალია. — მაგრამ რუდიმ წინადადებასა და ლიმილს შორის ხელი აიქნია და თითებით გახაზა ტალახის ზოლი. — ჩემი... — ისევ სცადა ტომიმ, მაგრამ ამჯერად რუდიმ დროულად შეაწყვეტინა და ანიშნა, გაჩუმდიო:

— ტომი, გთხოვ, — რუდის სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა, ლიზელს მანამდე არასოდეს ენახა, ადამიანი ასეთი საცოდავი და, იმავდროულად, ასეთი მხნე გამომეტყველებით, — იჯექი წყნარად, სახე ათამაშე ან სხვა რამით დაკავდი. — შემდეგ კი თხრობა განაგრძო.

თან ბოლთას სცემდა.

ყელსახვევს ჭმუჭნიდა.

სიტყვები ლიზელისკენ მიექანებოდა და ბეტონის საფეხურზე ეცემოდა.

— ჰოდა, იმ დოიჩერმა, — ენერგიულად შეაჯამა ბოლოს ბიჭმა, — ბოლო მოგვიღო, არა, ტომი?

ტომიმ თავი დაუქნია, სახე აათამაშა და მიუხედავად იმისა, რომ საჭირო აღარ იყო, მაინც თქვა:

— ჩემი ბრალი იყო.

— ტომი, რა გითხარი?

— როდის?

— ახლა! გთხოვე, გაჩუმდი-მეთქი.

— კარგი, რუდი.

ცოტა ხანში ტომი საცოდავად რომ წაფრატუნდა შინისკენ, რუდიმ ახალი ტაქტიკა მოსინჯა ლიზელთან.

სიბრალული.

კიბის საფეხურზე მჯდარმა ჯერ ფორმაზე მიმხმარი ტალახი შეითვალიერა, შემდეგ კი უმწეოდ შეხედა ლიზელს.

— რას იტყვი, ღორუკელა?

— რაზე?

— თვითონაც მშვენივრად იცი.

ლიზელმა, ჩვეულებისამებრ, უპასუხა:

— ღორიშვილო, — გაიცინა და სახლისკენ გადადგა ნაბიჯი. ტალახისა და სიბრალულის ნაზავი, რა თქმა უნდა, ცოტა აბნევდა, მაგრამ ეს სხვა იყო, რუდი შტაინერის კოცნა კი – სხვა.

კიბეზე ჩამომჯდარმა რუდიმ ნაღვლიანად გაიღიმა, თმა მოიქექა და გოგონას გასძახა:

— ერთ დღეს, — გააფრთხილა, — ერთ დღესაც, ლიზელ!

ორ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ, სარდაფში მჯდარ ლიზელს, დილაობით, ხშირად წერაში გართულსაც კი, ტკივილამდე უნდებოდა მეზობელთან გადასულიყო და რუდი ენახა. ხვდებოდა, სწორედ „ჰიტლერიუგენდში“ გატარებულმა დღეებმა გაუჩინა ორივეს დანაშაულის სურვილი.

ჩვეული წვიმიანი დღეების მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს, გამოზაფხულდა მოლკინგში, კლარის ჯიშის ვაშლი ალბათ უკვე მწიფდა. წინ ახალი ქურდობები ელოდათ.

ხელმოცარულები

ქურდობის დრო რომ დადგა, ლიზელი და რუდი ფიქრობდნენ, რაც მეტი ვიქნებით, მით უკეთესად ვიქურდებთო. ენდი შმაიკლმა ისინი მდინარესთან მიიწვია შეხვედრაზე. სხვა საკითხებთან ერთად, დღის წესრიგში ხილის ქურდობის გეგმაც შედიოდა.

— წინამძღოლი ახლა შენ ხარ? — ჰკითხა რუდიმ ენდის, მაგრამ მან იმედგაცრუებულმა გააქნია თავი, უარის ნიშნად. ეტყობოდა, გული სწყდებოდა. — არა, — ცივი, უმწიფარი ხმა უჩვეულოდ დაუთბა, — სხვა აირჩიეს.

ახალი ართურ ბერგი

ქარისგან აწეწილი თმა და ღრუბელივით დანისლული თვალები ჰქონდა, ერთი მცირენლოვანი დამნაშავე გახლდათ, რომელსაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე, უბრალოდ, ქურდობა სიამოვნებდა. ვიქტორი ერქვა, გვარად ხემელი იყო.

ქურდობის სხვადასხვა დარგში მოღვაწე ადამიანებისგან განსხვავებით, ვიქტორ ხემელს არაფერი აკლდა. მოლკინგის საუკეთესო ნაწილში ცხოვრობდა, გორაკზე წამოჭიმულ ვილაში, რომელსაც მას შემდეგ დაეპატრონნენ, რაც ებრაელები გაასახლეს. ფულიც ჰქონდა, სიგარეტიც, მაგრამ მეტი სურდა.

— მეტი რომ მსურს, ეს სულაც არ არის დანაშაული, — განაცხადა და ბიჭებით გარშემორტყმული, ბალახზე გადაწვა.

— მეტის სურვილი ჩვენი, გერმანელების ფუნდამენტური უფლებაა, გახსოვთ, რა თქვა ფიურერმა? — თქვა და თვითონვე უპასუხა რიტორიკულ შეკითხვას, — „ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ ის, რაც გვეკუთვნის!“

ერთი შეხედვით, ვიქტორ ხემელი ჩვეულებრივი ბაქია თინეიჯერი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ლაპარაკში ქარიზმატული ხდებოდა, თითქოს აგულიანებდა ბავშვებს, მომყევითო.

ლიზელი და რუდი მდინარის პირას დაბანაკებულ ჯგუფს რომ მიუახლოვდნენ, კიდევ ერთ შეკითხვას მოჰკრეს ყური:

— აბა, სად დაეთრევა ის ორი გზააბნეული, ტრაბახით რომ ამიკელით? უკვე ხუთის ათი წუთია.

— ჩემს საათზე ჯერ არ არის ეგ დრო.

ვიქტორ ხემელმა იდაყვებზე ნამოიწია.

— საათი არ გიკეთია.

— საკუთარი საათი რომ გამაჩნდეს და მდიდარი ვიყო, აქ რატომ მოვიდოდი?

ახალგაზრდა ლიდერი ახლა მთლიანად წამოიმართა და გალიმებისას სწორი თეთრი კბილები გამოაჩინა, შემდეგ კი მზერა გოგონაზე შეაჩერა.

— ეს პატარა ბოზი ვინღაა? — ლიზელი, რომელიც შეჩვეული იყო სიტყვიერ შეურაცხყოფას, ვიქტორს პირდაპირ ნისლგადაკრულ თვალებში ჩააცქერდა.

— შარშან, — დაიწყო ჩამოთვლა, — სულ ცოტა, სამასი ვაშლი და რამდენიმე ათეული კარტოფილი მოვიპარე, მავთულხლართიან ღობეზე გადასვლა ცოტა კი მიჭირს, მაგრამ ამათგან ტოლს არავის ვუდებ.

— მართალს ამბობ?

— დიახ, — ნარბიც არ შეუხრია და ნაბიჯით არ დაუხევია უკან, — ერთადერთი, რასაც ვითხოვთ, მცირე წილია ნაქურდლიდან, რამდენიმე ვაშლი ან ნარჩენები ჩემთვის და ჩემი მეგობრისთვის.

— ჰოო, ვფიქრობ, ამის მოგვარება შეიძლება, — ვიქტორმა სიგარეტს მოუკიდა, მოქაჩა და სცადა, ლიზელისთვის შეებოლებინა სახეში.

ლიზელს არც კი დაუხველებია.

ჯგუფი იგივე იყო, რაც წინა წელს, მხოლოდ წინამძღოლი შეიცვალა. ლიზელს აინტერესებდა, ბიჭებიდან რატომ არც ერთმა არ აიღო ხელში მართვის სადავეები, მაგრამ სათითაოდ რომ ჩახედა ყველას თვალებში, მიხვდა, ისინი არ გამოდგებოდნენ ამ საქმისთვის, მართალია, უკან არ დაიხევდნენ, მაგრამ ბრძანება სხვას უნდა გაეცა, ისინი კი შეასრულებდნენ, ბრძანების გაცემა ვიქტორ ხემელს მშვენივრად გამოსდიოდა. მოკლედ, შესანიშნავი მიკროსამყარო შეიქმნეს.

წამით ლიზელმა ართურ ბერგის გამოჩენა ინატრა, მაგრამ იქნებ მასაც დაეთმო პირველობა ხემელისთვის? ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, ერთი რამ ზუსტად იცოდა, ართურ ბერგში ტირანიის ნასახი არ იყო, მაშინ, როცა ახალ ლიდერს ეს საკმარისზე მეტი ჰქონდა. გასულ წელს ხიდან რომ ვერ ჩამოსულიყო, ძალიანაც რომ გაეწიათ წინააღმდეგობა ჯგუფის დანარჩენ წევრებს, ართური მის გამოსახსნელად დაბრუნდებოდა, წელს კი, დარწმუნებული იყო, ვიქტორ ხემელი მსგავს სიტუაციაში უკან არც კი მიიხედავდა.

ხემელი იდგა და აყლაყუდა ბიჭსა თუ გაძვალტყავებულ გოგონას ათვალიერებდა:

— მაშ, გინდათ ჩემთან ერთად საქურდლად წამოსვლა?

რას კარგავდნენ? თავი დაუქნიეს.

ვიქტორმა ნაბიჯი წინ გადადგა და რუდის ქოჩორში სტაცა ხელი და მოქაჩა:

— ხმამაღლა!

— რა თქმა უნდა, მინდა. — თქვა რუდიმ, სანამ წინამძღოლი ქოჩორში ჩავლებულ ხელს ჰკრავდა და გაუშვებდა.

— შენ?

— მეც, — ლიზელმა სწრაფად უპასუხა, რუდივით რომ არ მოჰქცეოდა ვიქტორი.

ხემელს გაეცინა, სიგარეტი ფეხსაცმლის ქუსლით გასრისა, ღრმად ჩაისუნთქა და მკერდი მოიფხანა:

— ჩემო ჯენტლმენებო, ჩემო ბოზანდარა, მაშინ დროა, საშოვარზე წავიდეთ.

ჯგუფის წევრები დანინაურდნენ, რუდი და ლიზელი, ჩვეულებისამებრ, უკან გაჰყვნენ.

— მოგწონს? — ჩასჩურჩულა რუდიმ.

— შენ?

რუდი ნამით შეყოყმანდა:

— ჩემი აზრით, ნამდვილი ნაბიჭვარია.

— მეც ასე ვფიქრობ.

ბავშვები თანდათან შორდებოდნენ მეგობრებს.

— წამო, — თქვა რუდიმ, — თორემ მთლად ჩამოვრჩით.

რამდენიმე მილი რომ გაიარეს, პატარა ფერმა გამოჩნდა. იმან, რაც იქ ნახეს, თავზარი დასცათ. ბავშვებს ეგონათ, ხილით დახუნძლული ხეები დახვდებოდათ, არადა, გაქუცულ ტოტებს ვაშლების რამდენიმე საცოდავი მწკრივილა შერჩენოდა. იქნებ იმ წელს ცუდი მოსავალი მოვიდა ან ცუდი დრო შეარჩიეს საქურდლად.

საღამოსკენ ნადავლის გაყოფა დაიწყეს, ლიზელს და რუდის მხოლოდ ერთი საცოდავი ვაშლი ერგოთ. მართალია, ბევრი ვერაფერი იგდეს ხელთ, მაგრამ ვიქტორიც კარგი წუწურაქი აღმოჩნდა.

— ეს რა არის? — იკითხა რუდიმ, იმ ერთადერთი ვაშლით ხელში.

ვიქტორმა ზედ არ შეხედა.

— ეს რა არის? — სიტყვები მხრებს ასცდა და წინ გადაცვივდა.

— ერთი ტილიანი ვაშლი?

— აჰა, — ვაშლი ბავშვების ფეხებთან ნაკბეჩი მხრით დაეცა, — ესეც თქვენ გქონდეთ.

რუდი გაცხარდა:

— ეშმაკმა დალახვროს, ათი მილი იმ ერთ-ნახევარი გალეული ვაშლისთვის გამოვიარეთ, ლიზელ?

ლიზელმა პასუხი არ გასცა.

დრო არ ჰქონდა, სანამ რამის თქმას მოასწრებდა, ვიქტორ ხემელი რუდის ზურგზე მოექცა, მუხლები მკლავებზე დააჭირა და ხელები ყელზე შემოხვია. ვაშლები განა ვინმე სხვამ, ენდი შმაიკლმა აიღო ვიქტორის ბრძანებით.

— სტკივა! — თქვა ლიზელმა.

— მართლა? — გაელიმა ვიქტორს. ლიზელს სძულდა ეს ღიმილი.

— არა, არ მტკივა! — რუდის წითელ ნაკადთან ერთად წასკდა სიტყვები, ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

ვიქტორმა კიდევ უფრო მაგრად დააჭირა მუხლები რუდის, შემდეგ კი გადააბიჯა და უდარდელად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

— ადექი, ბიჭო, — მიმართა და რუდიმაც ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო, ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს. ხემელი ისევ მიუახლოვდა, სახეში ჩახედა, რბილად მოუთათუნა ხელი მხარზე, გაიცინა და ჩასჩურჩულა, — თუ არ გინდა, სისხლი შადრევანივით ნაგსკდეს, გირჩევ, გამეცალე, ბიჭუნავ, — შემდეგ ლიზელს შეხედა, — და ეს პატარა ბოზიც წაათრიე.

არავინ განძრეულა.

— აბა, რაღას ელოდები?

ლიზელმა ხელი ჩაჰკიდა რუდის და წავიდნენ. თუმცა, მანამდე რუდი უკანასკნელად შებრუნდა და ვიქტორ ხემელის ფეხებთან სისხლში არეული ნერწყვი დააფურთხა. ამ საქციელს ფინალური შენიშვნა მოჰყვა:

ვიქტორ ხემელის პატარა მუქარა რუდი შტაინერის მიმართ

— ამაზე მოგვიანებით აგებ პასუხს, მეგობარო.

რაც გინდათ, ის თქვით ვიქტორ ხემელზე, მაგრამ დამიჯერეთ, არც მოთმინება აკლდა, არც მეხსიერებას უჩიოდა. დაახლოებით ხუთი თვე დასჭირდა, მუქარა სისრულეში მოეყვანა.

ესკიზები

1941 წლის ზაფხული რუდის და ლიზელს კედელივით შემოერტყა გარს, მაქს ვანდენბურგის ცხოვრებაში კი წერითა და ხატვით შეიჭრა. სარდაფში მარტო რომ რჩებოდა, სიტყვები მის გარშემო დაფრინავდა, ჩვენება ხელიდან ელვრებოდა, უვარდებოდა და კოჭლობით მიდიოდა სადღაც.

გადაღებილი წიგნი.

ფანქრების შეკვრა.

ფიქრებით გამოტენილი თავი.

მარტივი თავსატეხივით ააწყო.

თავიდან მაქსს განზრახული ჰქონდა, საკუთარი ისტორია მოეთხრო, გადმოეცა ყველაფერი, რაც თავს გადახდა და რამაც ჰიმელ-სტრიტზე მდებარე სარდაფამდე მიიყვანა, მაგრამ სულ სხვა რამ შექმნა. ფიქრები შეკრიბა, მათი ფურცელზე გადატანა არჩია და არ შემცდარა, ამბავი იმაზე უფრო რეალური გამოუვიდა, ვიდრე ის წერილები, ოჯახს და თავის მეგობარ უოლტერ კაგლერს რომ სწერდა, მით უმეტეს, იცოდა, ადრესატამდე ვერასოდეს მიაღწევდნენ.

„ჩემი ბრძოლის“ წაბილწული გვერდები ესკიზების სერიად იქცა, სადაც გვერდიდან გვერდზე ის მოვლენები იყო შეჯამებული, რომლებმაც მაქსის ცხოვრება შეცვალა. რამდენიმე ესკიზს წუთები დასჭირდა, დანარჩენს საათები. მაქსმა გადაწყვიტა, წიგნს რომ დავასრულებ, ლიზელს მივცემ, იქამდე გაიზრდება და იმედი მაქვს, ამ აბდაუბდის აზრს ჩასწვდებაო.

პირველ შეღებილ ფურცელზე რომ მოსინჯა ფანქარი, მას შემდეგ წიგნს დახურულს ინახავდა, ხშირად ძილისას გვერდით ედო და ხელსაც არ უშვებდა.

ერთ შუადღეს, აზიდვები და პრესის ვარჯიშები რომ გააკეთა, კედელზე მიყრდნობილს ჩაეძინა. სარდაფში ჩამავალმა ლიზელმა უცებ ვანდენბურგის გვერდით წამოსკუპული ნიგნი დაინახა, დაიხარა და ხელი მოჰკიდა, შემდეგ კი დააკვირდა, მაქსი ხომ არ იღვიძებსო. არა, არ გაულვიძია, იჯდა იატაკზე, თავი და მხრები კედელზე მიეყრდო და არ ინძრეოდა. ლიზელმა სუნთქვაც კი შეიკრა, წიგნი გადაშალა და რამდენიმე გვერდს გადახედა.

Not the Führer- the conductor!

ფიურერი კი არა — დირიჟორი!

განა, მშვენიერი დღე არ არის!

ნანახით შეშინებულმა ლიზელმა წიგნი ზუსტად იქ დადო, სადაც იპოვა, მაქსის ფეხებთან.

ხმის გაგონებამ განაცვიფრა.

— Danke schön, — შემოესმა და უკან რომ მიიხედა იმის გასარკვევად, თუ ვის ეკუთვნოდა ხმა, ებრაელის ტუჩებზე კმაყოფილება შენიშნა.

— ღმერთო, დიდებულო! — სუნთქვა შეეკრა ლიზელს, — როგორ შემაშინე, მაქს!

მაქსს ისევ დაეძინა, კიბეზე ამავალმა გოგონამ კი ის, რაც წარმოთქვა, ფიქრებად გაიყოლა უკან.

„როგორ შემაშინე, მაქს“.

„სტვენია“ და ფეხსაცმელი

ზაფხულის ბოლოდან გვიან შემოდგომამდე ასეთი თანამიმდევრობა იყო: რუდი მთელი ძალებით ცდილობდა თავი გაეტანა „ჰიტლერიუგენდში“. მაქსი აზიდვებს აკეთებდა და ესკიზებს ხატავდა. ლიზელი გაზეთებს დაეძებდა და სარდაფის კედლებზე სიტყვებს წერდა.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ყველანაირ თანამიმდევრობას ოდესმე რამე აუცილებლად დაარღვევს, ერთხელაც ყველაფერი აირევა, გზიდან გადავა. ამ შემთხვევაში ცვლილებები რუდიმ განაპირობა. რუდიმ და ცოტა ხნის წინ ნაკელმოყრილმა მიწამ.

ოქტომბრის ბოლომდე თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. ჭუჭყიანი ბიჭი ჰიმელ-სტრიტზე მიაბიჯებდა. რამდენიმე წუთში ოჯახში ელოდნენ, ამიტომ იძულებული გახდა, ეცრუა, „ჰიტლერიუგენდში“ ჩვენი დანაყოფი დამატებით ავარჯიშეს მინდორშიო. მშობლები იმასაც ფიქრობდნენ, ამ ამბის მოყოლისას რუდი გაიცინებსო, მაგრამ იმ დღეს ბიჭს არც ტყუილების თქმის თავი ჰქონდა, არც სიცილის.

იმ ოთხშაბათს ლიზელი დააკვირდა და აღმოაჩინა, რომ რუდი შტაინერს პერანგი აღარ ეცვა, თანაც გაცოფებული იყო.

— რა მოხდა? — ჰკითხა გოგონამ, ბიჭმა ფეხათრევით რომ აუარა გვერდი.

რუდიმ უკან დაიხია და ლიზელს პერანგი გაუწოდა:

— დაყნოსე, — უთხრა.

— რაო?

— დაყრუვდი? გითხარი, დაყნოსე-მეთქი.

ლიზელი უხალისოდ დაიხარა და ყავისფერი პერანგიდან საძაგელი სუნი ეცა:

— იესო, მარიამ და იოსებ! ეს რა...

ბიჭმა თავი დაუქნია:

— ნიკაპზეც მაცხია! ბედმა გამიღიმა, რომ არ გადავყლაპე!

— იესო, მარიამ და იოსებ!

— „ჰიტლერიუგენდის" მინდორს ნაკელი მოაყარეს, — რუდიმ კიდევ ერთხელ უგულოდ და ზიზღით შეავლო თვალი პერანგს, — მგონი ძროხისაა.

— აი, იმან, რა ჰქვია? დოიჩერმა იცოდა, რომ მინდორზე ნაკელი იყო მოყრილი?

— თქვა, არ ვიცოდიო, მაგრამ იცინოდა.

— იესო, მარიამ და...

— რამდენჯერ უნდა გაიმეორო? საკმარისია.

რუდის იმწუთას გამარჯვება სჭირდებოდა. ვიქტორ ხემელთან შეტაკებისას დამარცხდა, „ჰიტლერიუგენდში" პრობლემას პრობლემა ემატებოდა. აუცილებლად უნდა მოეპოვებინა თუნდაც პატარა წარმატება, მზადაც იყო და თავისას მიაღწევდა კიდეც.

ბიჭმა შინისაკენ განაგრძო გზა, მაგრამ ბეტონის კიბემდე რომ მივიდა, გადაიფიქრა, ნელი, მტკიცე ნაბიჯებით დაბრუნდა გოგოსთან.

— იცი, რა გამამხიარულებდა? — თქვა ფრთხლად და წყნარად.

ლიზელი შეცბა:

— შენ რა, ფიქრობ, რომ ასეთ დღეში მყოფს...

რუდის იმედი გაუცრუვდა:

— არა, მაგას არა, — ამოიოხრა და ლიზელს მიუახლოვდა, — სხვა რამეს ვგულისხმობდი, — ცოტა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ სულ ოდნავ ასწია თავი, — შემომხედე, ბინძური ვარ, ძროხის ნაკელის თუ ძაღლის განავლის სუნი ამდის, თვითონ მიხვდები, და როგორც ყოველთვის, მგელივით მშია, — რუდიმ შეისვენა, — გამარჯვება მჭირდება, ლიზელ, გულახდილად ვამბობ.

ლიზელმა ეს იცოდა.

საშინელი სიმყრალე რომ არა, უფრო ახლოს მივიდოდა მეგობართან.

ქურდობა.

რაღაც უნდა მოეპარათ.

არა.

ის უნდა დაებრუნებინათ, რაც მათ მოჰპარეს. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა იქნებოდა, მაგრამ რაც შეიძლება მალე უნდა მიეღწიათ საწადლისთვის.

— ამჯერად მხოლოდ მე და შენ ვიქურდოთ, — შესთავაზა რუდიმ, — არც ხემელი გვჭირდება, არც შმაიკლი, მხოლოდ მე და შენ.

ლიზელმა ვერ შეძლო თავის დაჭერა. ხელები ექავებოდა, ფართოდ გაიღიმა და პულსიც აუჩქარდა:

— მშვენიერი წინადადებაა!

— თანახმა ხარ, არა? — დიდი მცდელობის მიუხედავად, რუდიმაც ვერ შეძლო ნაკელით მოთხვრილი ღიმილის შეკავება, — ხვალ?

ლიზელმა თავი დაუქნია:

— ხვალ.

იდეალური გეგმა იყო, ერთი გარემოება რომ არა.

არ იცოდნენ, საიდან დაეწყოთ.

ხილი გამოირიცხა, რუდიმ ხახვსა და კარტოფილზეც ცხვირი აიბზუა, ოტო შტერნისა და მისი სურსათით სავსე ველოსიპედის ხელმეორედ გაძარცვას თავიდანვე გადაუსვეს ხაზი. ერთხელ რაც ჩაიდინეს, ისიც ამორალური საქციელი იყო, მეორედ კი მთლად უნამუსობა იქნებოდა.

— აბა, სად ჯანდაბაში წავიდეთ? — იკითხა რუდიმ.

— მე რა ვიცი, იდეა შენია და...

— გამოდის, შენ ცოტა მაინც არ უნდა გაანძრიო ტვინი? ყველაფერს მე ხომ ვერ მოვიფიქრებ.

— ნეტავ, საერთოდ თუ შეგიძლია ფიქრი.

ასე კამათობდნენ და თან ქალაქიდან გადიოდნენ, გარეუბანს რომ მიაღწიეს, პირველი ფერმა დაინახეს, სადაც ხეები გაძვალტყავებულ ქანდაკებებს ჰგავდა, ნაცრისფერი ტოტე-

ბი ჰქონდა. ბავშვებმა ტოტებს შორის ცარიელ ცის ნაგლეჯებს მოჰკრეს თვალი.

რუდიმ გადააფურთხა.

მოლკინგში დაბრუნებისას ისევ ბჭობდნენ.

— ფრაუ დილერზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა?

— იქნებ „ჰაილ ჰიტლერით" თუ მივესალმებით, რამე ავწაპნოთ დუქანში.

ერთ საათზე მეტი იქნებოდა, რაც მიუნხენის ქუჩაზე დაბორიალებდნენ და დღის შუქი თანდათან რომ გაფერმკრთალდა, ლამის ხელი აიღეს გეგმაზე.

— სისულელეა, — თქვა რუდიმ, — არადა, ახლა უფრო მეტად მშია, ვიდრე ოდესმე, ღმერთმანი, პირდაპირ შიმშილით ვკვდები. — ბიჭმა თერთმეტი ნაბიჯი გადადგა, სანამ შეჩერდებოდა და უკან მიიხედავდა, — რა მოგივიდა? — ჰკითხა გოგონას, რომელიც ერთ ადგილას გაშეშებულიყო, როგორც ჩანს, თავში რაღაც აზრი მოუვიდა.

ნეტავ აქამდე რატომ ვერ მოიფიქრა?

— რა ხდება? — რუდი მოუთმენლობამ შეიპყრო, — ღორუკელა, რა დაგემართა?

ლიზელი ამ დროს ცდილობდა, გადაწყვეტილება მიელო, ღირდა კი, ეთქვა, რაზეც ფიქრობდა? ღირდა კი, იმ ადამიანზე შური ეძია? ნუთუ შეიძლებოდა, ვინმეს ასეთი სიძულვილი?

საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა, მაგრამ რუდი რომ დაეწია, ნაბიჯი შეანელა, ცდილობდა, დრო მოეგო და გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

ბოლოს და ბოლოს, დანაშაულის გრძნობა ისედაც აწუხებდა, მინაში ჩაყრილი თესლი კი მუქფოთლებიან ყვავილად იქცა. ლიზელმა კარგად აწონ-დაწონა, შეძლებდა თუ არა, ჩანაფიქრი განეხორციელებინა და გზაჯვარედინთან შედგა.

— მე ვიცი ერთი ადგილი.

ბავშვებმა მდინარე გადაიარეს და გორაკს აუყვნენ.

გრანდ-შტრასეზე შესასვლელი კარი თვალისმომჭრელად პრიალებდა, სახლის სახურავზე კრამიტი იდეალურად დავარცხნილ ქოჩორს ჰგავდა, კედლისა და ფანჯრებისთვის მა-

ნიკიური გაეკეთებინათ, საკვამურები კი ცოტა ხანში კვამლის რგოლებს გამოუშვებდა.

რუდი ადგილს მიეჯაჭვა:

— მერის სახლი?

ლიზელმა მთელი სერიოზულობით დაუქნია თავი, მცირე პაუზა გააკეთა და უთხრა:

— მათ ხომ დედა გაათავისუფლეს.

სახლისკენ რომ წავიდნენ, რუდიმ ჰკითხა, ღვთის გულისათვის, მითხარი, შიგნით როგორ უნდა შევიდეთო, მაგრამ ლიზელმა იცოდა:

— ადგილის ცოდნა... — უპასუხა რუდის, — ადგილის... — მაგრამ როგორც კი ბიბლიოთეკის ფანჯარას მოჰკრეს თვალი, ელდა ეცათ, დაკეტილი იყო.

— აჰა! — თქვა რუდიმ.

ლიზელი ნელა შეტრიალდა და უკან დაბრუნდა:

— დღეს არა, — უთხრა ბიჭს.

რუდიმ გაიცინა.

— ვიცოდი, — დაედევნა გოგონას, — ვიცოდი, ბინძურო ღორუკელა, გასაღების გარეშე სახლში რომ ვერ შეაღწევდი.

— დარწმუნებული ხარ? — ლიზელმა ნაბიჯს აუჩქარა და სცადა, რუდის კომენტარისთვის ყურადღება არ მიექცია, — უბრალოდ, სჯობს, ხელსაყრელ დროს დაველოდოთ.

გოგონა ცდილობდა, დახურული ფანჯრის დანახვით გამოწვეული კმაყოფილება დაემალა და თავს იდანაშაულებდა: „რატომ, ლიზელ, რატომ გაბრაზდი, მერის ოჯახმა დედას უარი რომ უთხრა მომსახურებაზე? რატომ არ გააჩუმე ენა? როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც წივილ-კივილი აუტეხე, თავი ხელში აიყვანა, აღარ კანკალებს გაყინულ ოთახში და ფანჯრებიც სამუდამოდ ამოქოლა. სულელო ღორუკელა!"

ერთი კვირის შემდეგ კი, უკვე მეხუთედ რომ აუყვნენ მოლკინგის ფერდობს, ის დახვდათ, რასაც კარგა ხანი იყო, ელოდნენ.

ღია ფანჯარა ჰაერს ისრუტავდა.

ბავშვებსაც ეს უნდოდათ.

პირველი რუდი შეჩერდა, ლიზელს ნეკნებზე ხელი დაუტყაპუნა და ჰკითხა:

— ფანჯარა ღიაა, არა? — პირიდან აღფრთოვანება ამოუვიდა და მკლავი გადახვია მხარზე.

— **Jawohl** — უპასუხა გოგონამ, — ნამდვილად!

გულს ცეცხლის ალი მოედო.

წინა რამდენიმე მოსვლაზე, ფანჯარა მჭიდროდ მიხურული რომ ხვდებოდათ, ლიზელი იმედგაცრუებას მძვინვარე შვებით ნიღბავდა. ნუთუ, ჰქონდა იმის თავი, ფანჯარაში გადამძვრალიყო? ან რატომ აპირებდა გადაძრომას, რუდისთვის? საჭმლისთვის?

არა, აი, რაში მდგომარეობდა საძაგელი სიმართლე:

საჭმელი სულაც არ ანალვლებდა, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო ამის აღიარება, რუდი გეგმის მეორეხარისხოვან ნაწილს წარმოადგენდა. ლიზელს „სტვენია“ სურდა, წიგნი, რომელსაც მარტოსულ, საცოდავ მოხუც ქალს ვერ გამოართმევდა. მოპარვა უფრო მისაღებად მიაჩნდა. მოპარვა სულ სხვა მნიშვნელობას იძენდა ამ შემთხვევაში. მოპარვა, ნიშნავდა დამსახურებას.

შუქი ნაირ-ნაირ ფერად იღვრებოდა.

უზარმაზარი, მოვლილი სახლი იზიდავდა ბავშვებს. თავში კი ათასგვარი ფიქრი უტრიალებდათ.

— შეჭამდი რამეს? — ჰკითხა რუდიმ.

— სიამოვნებით, — უპასუხა ლიზელმა, — წიგნს.

— შეხედე, ზედა სართულიდან შუქი გამოდის.

— ვხედავ.

— ისევ გშია, ღორუკელა?

ბავშვებს ნერვიულად ეცინებოდათ, სანამ გადაწყვეტდნენ, რომელი დარჩებოდა სათვალთვალოდ და რომელი შევიდოდა სახლში.

რუდი, როგორც ამ ოპერაციის მამრი მონაწილე, თვლიდა, რომ აგრესორი თავად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცხადია, ლიზელი უკეთ იცნობდა სახლს, ამიტომ სწორედ ის გადაძვრებოდა. ამასთან, ზუსტად იცოდა, ფანჯრის იქით რისი ნახვა შეიძლებოდა.

— მე უნდა შევიდე, — თქვა გოგომ და თვალები მაგრად დახუჭა.

ლიზელმა თავს ძალა დაატანა, მერი და მისი ცოლი რომ წარმოედგინა, გაიხსენა, როგორ თანდათან დაუმეგობრდა

ილზა ჰერმანს, რომელმაც საბოლოოდ ფეხქვეშ გათელა მისი გრძნობები. ამან შედეგი გამოიღო და მთელი ოჯახი შესძულდა.

ბავშვებმა ქუჩა დაზვერეს, ჩუმად შეავიდნენ ეზოში და პირველი სართულის ფანჯრის ქვეშ დადგნენ თავდახრილები. სუნთქვა გაუხშირდათ.

— ახლა კი, — შესთავაზა რუდიმ, — ფეხსაცმელები გაიხადე და მომანოდე, ასე უფრო უხმაუროდ გადაძვრები.

ლიზელს უარი არ უთქვამს, თასმები შეიხსნა და მიწაზე დატოვა, აიწია თუ არა, რუდიმ ფრთხილად შეაღო ფანჯარა ისე, ლიზელი ადვილად რომ გადამძვრალიყო. ფანჯრის ჭრიალი ბავშვებს დაბლა დაშვებული თვითმფრინავის ღმუილად მოესმათ.

ლიზელი ლავარდანზე ავიდა, ოთახში გადაძვრა და მიხვდა, ფეხსაცმლის გახდა შესანიშნავი აზრი რომ იყო. ფეხები ძირს რომ დადგა, ხის იატაკმა მოსალოდნელზე უფრო ხმამაღლა დაიჭრიალა, დაშვებისას ფეხისგულები ეტკინა და წინდის ნაკერები შეესო.

ოთახში ყველაფერი ისე იყო, როგორც ადრე.

ბუნდოვნად განათებულ მტვრიან ოთახში გოგონამ ნოსტალგია იგრძნო და მხრები აიჩეჩა, შემდეგ წინ წავიდა და სცადა, თვალი შეეჩვია სიბნელისთვის.

— რა ხდება? — დაიჩურჩულა გარედან რუდიმ, მაგრამ გოგონამ ხელით ანიშნა *Halt's Maul*, ჩუმად იყავიო.

— საჭმელი, — შეახსენა ბიჭმა, — თუ შეგიძლია საჭმელიც მოძებნე და სიგარეტიც.

ლიზელის გონებაში ერთსაც და მეორესაც უკანასკნელი ადგილი ეკავა, გოგონა შინ იყო, მერის ყველანაირი ფორმისა და შინაარსის წიგნებს შორის, რომელთაც ვერცხლისფერი და ოქროსფერი შრიფტები ამშვენებდა. ფურცლების სუნი ეცა, ეგ კი არა, იმ სიტყვების გემოც კი შეიგრძნო, მის გარშემო რომ შემოჯარულიყვნენ. ფეხებმა პირდაპირ ხელმარჯვნივ მდებარე კედელთან მიიყვანა. ზუსტად იცოდა, სად იდო ის, რაც სჭირდებოდა, „სტვენია“, მაგრამ წიგნი თაროზე აღარ აღმოჩნდა, მის ადგილას სიცარიელე დახვდა.

ზემოდან ფეხის ხმა გაიგონა.

— შუქი! — დაიჩურჩულა რუდიმ, სიტყვამ ღია ფანჯარაში შეაღწია, — შუქი ჩაქრა!

— Scheisse!

— ქვემოთ ჩამოდიან!

დრო გაიწელა, გადაწყვეტილების მიღების უსასრულო წამი. ლიზელმა თვალები მოავლო ოთახს და მერის მაგიდაზე წამოსკუპული, მოთმინებით აღსავსე „სტვენია“ დაინახა.

— იჩქარე, — გააფრთხილა რუდიმ, მაგრამ ძალიან მკაფიოდ და მშვიდად, ლიზელი მაგიდისკენ გაემართა, წიგნი აიღო და ფრთხილად დაიწყო ფანჯრიდან გადაძრომა, ჯერ თავი გაყო, შემდეგ ძირს ჩაცოცდა და მიწა რომ შეიგრძნო ფეხქვეშ, კოჭი იტკინა.

— წამოდი, — შეემუდარა რუდი, — გავიქცეთ, გავიქცეთ, Schnell!

კუთხემდე რომ მივიდნენ და მიუნხენის ქუჩისა და მდინარისკენ რომ გაუხვიეს, ლიზელი შეჩერდა, დაიხარა და სულის მოთქმა სცადა. სხეული შუაზე ჰქონდა გაკეცილი, ნახევრად გაყინული ჰაერით ავსებოდა პირი, ყურებში კი გულისცემა ესმოდა.

რუდიც ასეთივე დღეში იყო.

ბიჭმა თვალი შეავლო მეგობარს, შენიშნა, იღლიაში წიგნი რომ გამოებნია და დალაპარაკება სცადა.

— რა წიგნია? — ამოღერღა, როგორც იქნა.

ცოტაც და მთლად დაბნელდებოდა. ლიზელი ქოშინებდა, ყელში ჰაერი გაუდნა:

— სულ ესაა, რაც ვნახე.

საუბედუროდ, რუდის შესანიშნავი ყნოსვა ჰქონდა. სიცრუე იგრძნო. თავი მაღლა ასწია და გოგონას ყველაფერი პირდაპირ უთხრა:

— საჭმლისთვის არ გადამძვრალხარ სახლში, არა? რაც გინდოდა, ის წამოიღე.

ლიზელი მხრებში გასწორდა, მაგრამ უცებ რაღაც გაახსენდა და წამოაზიდა.

ფეხსაცმელი.

გოგონამ რუდის ჯერ ფეხებზე დახედა, შემდეგ ხელებზე, ბოლოს კი მიწას მოავლო თვალი.

— რაო, — იკითხა რუდიმ, — რა მოხდა?

— ღორიშვილო, — დაადანაშაულა მეგობარი, — ჩემი ფეხსაცმელი სად არის? — რუდი გაფითრდა და გოგონას ეჭვის ნასახიც აღარ დარჩა. — სახლთან დაგვრჩა, არა?

სასოწარკვეთილმა რუდიმ მიმოიხედა და ინატრა, ნეტავ წამომელოო, წარმოიდგინა კიდეც, როგორ აიღო მიწიდან, მაგრამ ფეხსაცმელი არსად ჩანდა, ალბათ უქმად, უფრო მეტიც, მამხილებლად ეყარა გრანდ-შტრასეს რვა ნომერში მდებარე სახლთან.

— Dummkopf! — გამოილანძღა თავი და ყურში ითხლიშა ხელი, დარცხვენით დასცქეროდა ლიზელის წინდების ავბედით ჩრდილს, — იდიოტი! — დიდხანს აღარ უფიქრია, დამაჯერებლად თქვა — დამელოდე, — და კუთხეში გაუჩინარდა.

— არ დაგიჭირონ, — მიაძახა ლიზელმა, მაგრამ ბიჭს არ გაუგონია.

რუდის წასვლის შემდეგ წუთები ძალიან ნელა გადიოდა.

საბოლოოდ ჩამოწვა სიბნელე და ლიზელი დარწმუნებული იყო, შინ მისულს Watschen-ი არ ასცდებოდა.

— იჩქარე, — ბუტბუტებდა გოგონა, მაგრამ რუდი არსად ჩანდა. ლიზელმა სწრაფად მომავალი პოლიციის მანქანის სირენის ხმა წარმოიდგინა.

ისევ არაფერი.

მხოლოდ მაშინ, ნოტიო, ჭუჭყიანი წინდების ამარა რომ მიუახლოვდა ორი ქუჩის გასაყარს, მისკენ საქმიანად მომავალი რუდი დაინახა, გამარჯვებულის გამომეტყველებით. ბიჭი ფართოდ იღიმებოდა, ყველა კბილი მოუჩანდა და ხელით ფეხსაცმელს მოაქანავებდა.

— ლამის მომკლეს, — თქვა, — მაგრამ მაინც წამოვიღე, — მდინარე რომ გადაჭრეს, ფეხსაცმელი ლიზელს გაუწოდა, მან კი ძირს დაყარა.

გზად რომ შეისვენეს და ჩამოსხდნენ, მაშინღა შეხედა საუკეთესო მეგობარს:

— გმადლობ.

რუდიმ თავი დაუკრა:

— არაფრის, — შემდეგ კი მაინც სცადა თავისი. — როგორც ვხედავ, აზრი აღარ აქვს კოცნის თხოვნას, არა?

— იმ ფეხსაცმლის მოტანისთვის, რომელიც დაგრჩა?

— სამართლიანი განაჩენია, — რუდიმ ხელები ასწია, გზას დაადგა და საუბარი განაგრძო, ლიზელმა მხოლოდ უკანასკნელ სიტყვებს მოჰკრა ყური, — ისე, მგონი, აღარც მე მსურს, გაკოცო, იქნებ ამ ფეხსაცმელივით მყრალი სუნი გაქვს პირში.

— მეზიზღები, — გამოუცხადა. იმედი ჰქონდა, თავს ხელში აიყვანდა და პირზე მომდგარ ლიმილს შეიკავებდა.

ჰიმელ-სტრიტზე რუდიმ წიგნი წაართვა, ფარნის შუქზე წაიკითხა სათაური და იკითხა, რის შესახებ იყო.

ოცნებებში წასულმა ლიზელმა უპასუხა:

— მხოლოდ მკვლელობაზე.

— სულ ეგაა?

— პოლიციელზეც, რომელიც მკვლელის დაჭერას ცდილობს.

რუდიმ უკან გაუწოდა:

— ამაზე გამახსენდა, შინ რომ დავბრუნდებით, ჩვენც იგივე გველის, შენ განსაკუთრებით.

— მე რატომ?

— ხომ იცი, დედა...

— რაო? — ლიზელმა იმ უფლებით ისარგებლა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს გააჩნია, ვისაც ოჯახი ჰყავს. თვითონ შეეძლო, რამდენიც უნდოდა, ეწუწუნა და გაელანძღა ოჯახის წევრები, მაგრამ სხვას ამის უფლებას არ მისცემდა, ყველაფერს დაივიწყებდა და ლმობიერებას გამოიჩენდა. — რა სჭირს დედას?

რუდიმ უკან დაიხია:

— მაპატიე, ღორუკელა, გულშიც არ გამივლია, შეურაცხყოფა მომეყენებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ბნელოდა, ლიზელმა დაინახა, როგორ გაზრდილიყო რუდი, სახე დაჰგრძელებოდა, თმის ქერა ზვინი ჩამუქებოდა, ნაკვთები კი შეცვლოდა, თუმცა, ერთი რამ არასოდეს შეიცვლებოდა: შეუძლებელი იყო, რუდიზე დიდხანს ყოფილიყო გაბრაზებული.

— ამ საღამოს რამე ნორმალური კერძი თუ გაქვთ შინ? — ჰკითხა რუდიმ.

— მეეჭვება.

— ჩვენთანაც ასეა, ვწუხვარ, წიგნების ჭამა რომ არ შეგიძლია, მგონი ართურ ბერგმა გითხრა ერთხელ რაღაც მსგავსი, გახსოვს?

დანარჩენი გზა ძველი, კარგი დღეების გახსენებაში გალიეს, ლიზელი ხშირ-ხშირად დაჰყურებდა „სტვენიას“ ნაცრისფერ ყდასა და შავად ამოტვიფრულ წარწერას.

სანამ თავიანთ სახლებში შევიდოდნენ, რუდი წამით შეჩერდა, დაემშვიდობა:

— ნახვამდის, ლორუკელა, — და გაიცინა, — ნახვამდის, წიგნის ქურდო.

ლიზელი პირველად შეამკეს ამ სახელით. თავს გამოუტყდა, რომ მოეწონა.

ჩვენ ხომ ვიცით, ადრეც რომ მოუპარავს წიგნები, მაგრამ 1941 წლის ოქტომბერში ოფიციალურად იქურდა. იმ ღამით ლიზელ მემინგერი წიგნის ჭეშმარიტი ქურდი გახდა.

სისულელის სამი აქტი რუდი შტაინერის შესრულებით

რუდი შტაინერი, ჭეშმარიტი გენიოსი

1. ადგილობრივ ბაყალ მამერს ყველაზე დიდი კარტოფილი მოჰპარა.

2. მიუნხენის ქუჩაზე ფრანც დოიჩერს წაეჩხუბა.

3. „ჰიტლერიუგენდის" შეკრებებზე აღარ იარა.

რუდის სისულელის პირველი აქტი სიხარბემ განაპირობა. 1941 წლის ნოემბრის შუა რიცხვებისთვის დამახასიათებელი, მოწყენილი დღე იდგა.

თავიდან ისე მოხერხებულად გაძვრა ტალონებიანი ქალების რიგში, ისეთი შესაშური ოსტატობით, რომ, გავბედავ და ვიტყვი, კრიმინალური გენიოსი გეგონებოდათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც კი შეამჩნიეს, თუმცა, შემდეგ ის დასწვდა ყველაზე დიდ კარტოფილს, რომელზეც რიგში მდგარ რამდენიმე ადამიანსაც დაედგა თვალი და ყველამ დაინახა, როგორ წაიღო ხელი კარტოფილისკენ ცამეტი წლის ბიჭმა.

მძიმენონიანი ჰელგების[35] გუნდმა თითი გაიშვირა ქურდისკენ და თომას მანერიც გამძვინვარებული მივარდა ჭუჭყიანი ბოსტნეულის გროვას.

— Meine Erdäpfel — ჩემი მიწავაშლები![36]

---

[35] *ქალის სახელი, პოპულარული გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის დროს. დღეს ამ სახელს უხეში ქალების სინონიმად იყენებენ.*

[36] *ინგლისელები და გერმანელები კარტოფილს მიწავაშლადაც მოიხსენიებენ.*

კარტოფილი რუდის ისევ ორი ხელით ეჭირა (ცალი ხელით ვერ მოერია), როცა ქალები მოჭიდავეების გუნდივით შემოერტყნენ გარს, სასწრაფოდ რაღაც უნდა ეთქვა!

— ჩემი ოჯახი, — დაიწყო ახსნა, ცხვირიდან წვრილად ჩამოუვიდა ცინგლი და გადაწყვიტა, არ მოეწმინდა, — შიმშილობს, დას ახალი პალტო სჭირდება, ძველი მოჰპარეს.

მამერი სულელი არ იყო, რუდის საყელოში სწვდა და უთხრა:

— რა, კარტოფილი უნდა ჩააცვა?

— არა, ბატონო, — ბიჭმა ცერად ახედა მის შემპყრობელს, მამერი კასრივით კაცი იყო და ორი, ნატყვიარის მსგავსი ხვრელიდან იცქირებოდა, პირში კბილები ისე მჭიდროდ ესხა, გულშემატკივრებით გადაჭედილი სტადიონი გეგონებოდათ — სამი კვირის წინ პალტოს საყიდლად ყველაფერი გავყიდეთ, რაც გაგვაჩნდა, და ახლა საჭმელი აღარაფერი გვაქვს.

ბაყალი ცალი ხელით რუდის აკავებდა, მეორეით კარტოფილი ჩაებღუჯა, უცებ გაიხედა და შიშის მომგვრელი სიტყვა გასძახა ცოლს:

— Polizei!

— არა, — შეევედრა რუდი, — გემუდარებით, — მოგვიანებით ის ლიზელს ეტყვის, წამითაც არ შემშინებიაო, არადა, დარწმუნებული ვარ, იმწუთას ლამის გული გაუსკდა. — ოღონდ პოლიცია არა, გთხოვთ, პოლიცია არ გამოიძახოთ!

— Polizei! — ბიჭი იკლაკნებოდა და მუშტებს იქნევდა ჰაერში, მაგრამ მამერს ფეხიც არ მოუცვლია.

იმ სალამოს რიგში სკოლის მასწავლებელიც იდგა, ჰერ ლინკი, ის პედაგოგების იმ მცირე ნაწილს განეკუთვნებოდა, არც მღვდელი რომ იყო და არც მონაზონი. რუდიმ დაინახა და თვალებით შეევედრა.

— ჰერ ლინკ, — ეს უკანასკნელი შანსი აუცილებლად უნდა გამოეყენებინა, — ჰერ ლინკ, უთხარით, გთხოვთ, უთხარით, როგორი ღარიბი ვარ.

ბაყალმა კითხვით სავსე მზერა მიაპყრო მასწავლებელს.

ჰერ ლინკმა წინ გადადგა ნაბიჯი და თქვა:

— დიახ, ჰერ მამერ, ეს ბიჭი ნამდვილად ღარიბია, ჰიმელსტრიტელი, — ამ სიტყვებზე ბრბო, რომელიც ქალებისგან

შედგებოდა, აჩურჩულდა, ყველამ იცოდა, ჰიმელ-სტრიტი იდეალური ადგილი რომ არ იყო მოლკინგში და იქ შედარებით ხელმოკლე ხალხი ცხოვრობდა.

— რვა და-ძმა ჰყავს.

რვა!

რუდის ღიმილის შეკავება მოუხდა, ჯერ ისევ ტყვეობაში რჩებოდა, მაგრამ მასწავლებელმა იცრუა, როგორღაც მოახერხა და შტაინერების ოჯახს სამი ბავშვი დაამატა.

— ხშირად სკოლაში რომ მოდის, ნასაუზმევიც კი არ არის ხოლმე, — ქალების ბრბო ისევ ახმაურდა, სიტუაციას, თითქოს, საღებავის ახალი ფენა გადაუსვეს, მეტი ემოცია და გამომსახველობა რომ მიეცათ.

— გამოდის, უფლება აქვს, ჩემი კარტოფილი მოიპაროს?

— თანაც, ყველაზე დიდი! — წამოიძახა ერთ-ერთმა ქალმა.

— გაჩუმდით, ფრაუ მეცინ, — გააფრთხილა მამერმა და ისიც უმალ დადუმდა.

თავიდან ყველას ყურადღება ქეჩოში ხელწავლებული რუდისკენ იყო მიპყრობილი, შემდეგ კი ერთი საგნიდან მეორეზე გადავიდა, ბიჭიდან კარტოფილზე, კარტოფილიდან კი მამერზე, საყვარელი საგნიდან — ყველაზე შეუხედავ მამაკაცზე. არავინ იცის, რამ გადააწყვეტინა ბაყალს, რუდის სასარგებლოდ გამოეტანა განაჩენი.

ბიჭის საცოდავმა სახემ?

ჰერ ლინკის ავტორიტეტმა?

ფრაუ მეცინის განცხადებამ?

რაც უნდა ყოფილიყო, მამერმა კარტოფილი უკან, გროვაზე დააგდო, რუდის ხელი უშვა, გემრიელად ამოჰკრა პანლური წაღამოცმული მარჯვენა ფეხით და დააყოლა:

— აქ აღარ დაგინახო!

რუდი მოშორებით იდგა, უყურებდა, როგორ მიუახლოვდა მამერი დახლს, მორიგი მომხმარებლისთვის პროდუქტი და მისი ულუფა სარკაზმი რომ შეეთავაზებინა.

— ძალიან მაინტერესებს, რომელ კარტოფილს აირჩევთ, — თქვა და ცალი თვალი ბიჭისკენ გააპარა.

რუდისთვის ეს მორიგი დამარცხება იყო.

სისულელის მომდევნო აქტი ისეთივე საფრთხის შემცველი გახლდათ, თუმცა, სულ სხვა მიზეზის გამო, რუდის ის ჩალურჯებულ თვალს, გაბზარულ ნეკნსა და ახალ ვარცხნილობას დაუტოვებს სამახსოვროდ.

„ჰიტლერიუგენდის" შეკრებებზე ტომი მიულერს ისევ პრობლემები ჰქონდა, ფრანც დოიჩერი კი ელოდა, როდის ჩაერეოდა რუდი. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია.

სანამ დანარჩენები შენობაში იყვნენ და ტაქტიკას სწავლობდნენ, მან რუდი და ტომი საკმაოდ დატვირთა ფიზმომზადებით, ბიჭები დარბოდნენ და ფანჯრებში ბავშვების გამთბარ თავებსა და მხრებს ხედავდნენ.

ცოტა ხანში, სასჯელი რომ მოიხადეს და ჯგუფს შეუერთდნენ, ისევ დაევალათ სამწყობრო ვარჯიში. როცა რუდი კუთხეში მოკალათდა და სახელოებიდან ჩამოფერთხილი ტალახი ფანჯარას მიაყარა, ფრანცმა „ჰიტლერიუგენდელების" საყვარელი შეკითხვა დაუსვა:

— როდის დაიბადა ჩვენი ფიურერი, ადოლფ ჰიტლერი?

რუდიმ ახედა:

— მაპატიეთ, რაო?

შეკითხვა გაუმეორეს და ძალიან სულელმა რუდი შტაინერმა, რომელმაც მშვენივრად იცოდა ჰიტლერი 1889 წლის 20 აპრილს რომ იყო დაბადებული, ქრისტეს შობის თარიღი უპასუხა, მეტი დამაჯერებლობისთვის ბეთლემიც კი ახსენა.

ფრანცმა ხელები მოიფშვნიტა.

ეს ცუდის ნიშანი იყო.

დოიჩერი რუდის მიუახლოვდა, უბრძანა, მოედანზე დაბრუნდი და კიდევ რამდენიმე წრე დაარტყი მინდორსო.

რუდი მარტო დარბოდა და თითო წრის დასრულების შემდეგ ფრანცი ფიურერის დაბადების თარიღს ეკითხებოდა, შვიდჯერ მაინც შემოურბინა რუდიმ მოედანს და ბოლოს სწორი პასუხი გასცა.

მთავარი უბედურება იმ შეკრებიდან რამდენიმე დღეში მოხდა.

მიუნხენის ქუჩაზე რუდიმ დოიჩერი შენიშნა, რამდენიმე მეგობართან ერთად რომ მიაბიჯებდა და მიხვდა, რომ ძალიან

მოუნდა, მისთვის ქვა ესროლა. გაიფიქრებთ, ეს რა ჯანდაბამ მოაფიქრაო, მე კი ვერაფერს გეტყვით, ალბათ უნდოდა, ერთი სისულელისთვის მეორე დაემატებინა. ასე იყო თუ ისე, ფრანც დოიჩერის დანახვამ რუდის თვითგანადგურებისკენ უბიძგა.

ფრანცს ქვა ზურგში მოხვდა, თუმცა, არც ისე ძლიერად, როგორც რუდი ისურვებდა. დოიჩერმა მოიხედა და, — ლიზელი, ტომი და ტომის უმცროსი და, კრისტინა რომ დაინახა რუდის გვერდით, თავი ბედნიერად იგრძნო.

— მოდი, გავიქცეთ, — შეევედრა ლიზელი, მაგრამ რუდის ფეხი არ მოუცვლია.

— ახლაც „ჰიტლერიუგენდში" ხომ არ ვართ, — უთხრა გოგონას.

ცოტა ხანში უფროსი ბიჭებიც მოვიდნენ. ლიზელი მეგობრის გვერდით იდგა, სახემოთამაშე ტომისა და კოხტა კრისტინასთან ერთად.

— ბატონო შტაინერ, — მიმართა ფრანცმა, სანამ ხელს სტაცებდა და ქვაფენილზე დაანარცხებდა.

რუდი წამოდგა, ამან უფრო გააცოფა დოიჩერი, მეორედაც დაანარცხა და მუხლით დააწვა ნეკნებზე.

რუდი ისევ რომ წამოდგა, უფროსმა ბიჭებმა დოიჩერს დასცინეს, ეს ამბავი სულაც არ აღმოჩნდა ხელსაყრელი შტაინერისთვის.

— ჭკუა ვერაფრით ასწავლე, არა? — ჰკითხა ფრანცს ყველაზე მაღალმა, რომელსაც ცასავით ცივი ცისფერი თვალები ჰქონდა. დოიჩერსაც მეტი რა უნდოდა, მტკიცედ გადაწყვიტა, რუდი მიწაზე გართხმული დაეტოვებინა.

რუდიმ სცადა მუცელში ჩაეზილა წიხლი დოიჩერისთვის, მაგრამ ააცილა, უკვე დიდი ბრბო შემოერტყათ გარს, მაშინვე მარცხენა თვალის საშინელი წვა იგრძნო, ნაპერწკლები გადმოყარა და ვერც კი მიხვდა, როგორ აღმოჩნდა ისევ მიწაზე გართხმული, დოიჩერმა იმავე ადგილას დააჭირა მუხლი და იმწუთშივე იგრძნო, როგორ ჩაულურჯდა, ჩაუყვითლდა და ჩაუშავდა ნატკენი თვალი. გამამხნევებელი ტკივილის სამი ფენა.

კიდევ უფრო გაზრდილი ბრბო შემჭიდროვდა, რომ ენახა, როგორ წამოდგებოდა რუდი, ის კი ველარ წამოიმართა, ამ-

ჯერად ცივ, სველ მინაზე დარჩა და იგრძნო, როგორ დაუნესტიანდა სამოსი.

რუდის თვალი ჯერ ისევ ეწვოდა და საკმაოდ გვიან შენიშნა, როგორ ამოიღო ჯიბიდან ფრანცმა ახალთახალი ჯაყვა, თითქოს მზად იყო, დახრილიყო და თმაზე დაესვა მსხვერპლისთვის.

— არა! — შესძახა ლიზელმა, მაგრამ მაღალმა ბიჭმა ის უკან დასნია, მერე ყურთან მიუტანა სახე და თითქოს, ღრმა და ძველი სიტყვები უთხრა:

— ნუ ნერვიულობ, — დაარწმუნა, — ვერაფერს დაუშავებს, სად აქვს მაგის თავი.

შეცდა.

ფრანცმა მოხერხებულად მოიკალათა რუდიზე, დაიხარა და ჩასჩურჩულა:

— როდის დაიბადა ჩვენი ფიურერი? — ყველა სიტყვა გარკვევით წარმოთქვა და სათითაოდ ჩაულაგა ყურში, — მიდი, მითხარი, როდის დაიბადა? შენ ხომ ეს შეგიძლია. ყველაფერი კარგადაა, ნუ გეშინია.

და რუდი?

რა უპასუხა მან?

წინდახედულება გამოიჩინა თუ უფრო ღრმად გადაეშვა სისულელეების მორევში?

შტაინერმა ბედნიერი სახით შეხედა ფრანც დოიჩერს ღია ცისფერ თვალებში და უპასუხა:

— აღდგომის შემდგომ ორშაბათს.

ორიოდ წამიც და დანა დაადვეს თავზე. ეს ლიზელის ცხოვრებაში მეორე თმის შეჭრა იყო. ებრაელს თმა ჟანგიანი მაკრატლით შესჭრა, ახლა საუკეთესო მეგობარს პრიალა დანით ალამაზებდნენ. ლიზელის ნაცნობებს შორის ახალ ვარცხნილობაში ფულის გადამხდელი არავინ იყო.

რაც შეეხება რუდის: იმ წელინადს ტალახი ყლაპა, ნაკელის აბაზანები მიიღო, ლამის მცირეწლოვან დამნაშავედ შერაცხეს და ახლა, დესერტად, მიუნხენის ქუჩაზე საჯაროდ შეურაცხყოფდნენ.

ქოჩორი ადვილად მიჰყვა დანას, თუმცა, ხანდახან ურჩი თმის ღერები დანისპირს არ ნებდებოდა და ფრანცი ძირიანად

გლეჯდა მათ. რუდი ცახცახებდა, ჩალურჯებული თვალი უარესად უფეთქავდა, ნეკნები უსაშველოდ სტკიოდა.

— ათას რვაას ოთხმოცდა ცხრა წლის ოცი აპრილი, — ნაუკითხა ლექცია ფრანცმა და თავის კოჰორტთან ერთად გაუჩინარდა, მხოლოდ ლიზელი, ტომი და კრისტინა დარჩნენ მეგობრის გვერდით.

რუდი ჩუმად იწვა მიწაზე, რომელიც სულ უფრო იჟლინთებოდა ნესტით.

სისულელის რიგით მესამე აქტის მოყოლაღა დაგვრჩა — „ჰიტლერიუგენდის" შეკრებების გაცდენა.

რუდის არ შეუნყვეტია იქ სიარული, უნდოდა, დოიჩერისთვის ეჩვენებინა, შენი არ მეშინიაო, მაგრამ რამდენიმე კვირაში უარი თქვა იმ ორგანიზაციის წევრობაზე.

ამაყად გამოეწყობოდა ხოლმე უნიფორმაში, ჰიმელ-სტრიტზე ჩაირბენდა და ერთგულ ტომისთან ერთად „ჰიტლერიუგენდის" შეკრებებზე მისვლის ნაცვლად, ქალაქიდან გადიოდა, ისინი ამპერს მიუყვებოდნენ, კენჭებს ასრიალებდნენ მდინარის ზედაპირზე ან უზარმაზარ ლოდებს ყრიდნენ წყალში — მოკლედ, უქმად დაყიალებდნენ. სანამ პირველი წერილი მივიდოდა შტაინერებთან, რუდი ცდილობდა, უნიფორმა ისე ამოესვარა ტალახში, რომ დედას ეჭვი არაფერში შეეპაროდა. მაგრამ აი, შტაინერების ოჯახმა წერილი მიიღო და რუდის საშინელი ყვირილი შემოესმა სამზარეულოდან.

თავიდან მშობლებმა დააშინეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, შემდეგ შეევედრნენ. ისევ უარზე იდგა.

საბოლოოდ, მხოლოდ სხვა დივიზიაში გადაყვანის შესაძლებლობამ დააყენა რუდი სწორ გზაზე. შტაინერებს გაუმართლათ: მათი ვაჟი დროულად რომ არ გამოცხადებულიყო ორგანიზაციაში, გაცდენებისთვის მშობლებს დააჯარიმებდნენ. უფროსმა ძმამ, კურტმა, ჰკითხა, ხომ არ გინდა, საავიაციო დანაყოფში გადმოხვიდეო, იმ დივიზიაში დიდ ყურადღებას უთმობდნენ თვითმფრინავებისა და ფრენის შესწავლას, ბავშვებს, ძირითადად, საჰაერო ხომალდების მოდელებს ამზადებინებდნენ და რაც მთავარია, იქ ფრანც დოიჩერი არ იყო. რუდი ამ წინადადებას დათანხმდა და ტომიც შეუერთდა.

შტაინერის ცხოვრებაში იდიოტურ ქცევას პირველად მოჰყვა სასიკეთო შედეგი.

ახალ დანაყოფში ფიურერის შესახებ ცნობილ შეკითხვას რომ დაუსვამენ, რუდი ღიმილით უპასუხებს:

— 1889 წლის 20 აპრილი, — და მაშინვე სულ სხვა რიცხვს ჩასჩურჩულებს ტომის: ბეთჰოვენის, მოცარტის ან შტრაუსის დაბადების თარიღს. კომპოზიტორების ბიოგრაფიები სკოლიდან იცოდნენ, სადაც, თავისი სისულელის მიუხედავად, რუდი კარგად სწავლობდა.

წყალზე მოტივტივე წიგნი

(ნაწილი მეორე)

დეკემბრის დასაწყისში, როგორც იქნა, რუდიმ გაიმარჯვა, თუმცა, ერთობ უჩვეულოდ.

ცივი, მაგრამ მშვიდი დღე იყო, თოვას აპირებდა.

სკოლის შემდეგ რუდი და ლიზელი ალექს შტაინერის მაღაზიის ნინ შეჩერდნენ და სანამ სახლებში წავიდოდნენ, ძველი მეგობარი, ფრანც დოიჩერი დაინახეს, ის ქუჩის კუთხისკენ მიემართებოდა. ლიზელს იმ დღეებში „სტვენია“ თან დაჰქონდა, სიამოვნებდა, წიგნი რომ ეკავა, პრიალა ყუას ან ბასრ ნაპირებს რომ უსვამდა ხელს. ფრანცს პირველად სწორედ მან მოჰკრა თვალი.

— შეხედე, — აჩვენა რუდის. დოიჩერი, სხვა „ჰიტლერიუგენდელ“ მეთაურთან ერთად, მათკენ მიხეტიალებდა.

რუდი მოიკუნტა და ხელით მოისინჯა ჩალურჯებული თვალი, რომელიც უკვე უშუშდებოდა:

— ოღონდ ახლა არა, — თვალი მოავლო ქუჩებს, — ეკლესიისკენ გავუხვიოთ, მდინარეს ჩავუყვეთ და მოკლეზე მოვჭრათ.

ლიზელს არაფერი უთქვამს, მხოლოდ უკან გაჰყვა. ბავშვებმა წარმატებით დააღწიეს თავი რუდის მტარვალს, სხვა ბილიკს გაუყვნენ.

თავიდან ვერაფერი იეჭვეს.

ანთებულსიგარეტიანი ბიჭების ჯგუფმა, მართალია, ხიდი გადმოჭრა, მაგრამ განა, აუცილებლად ნაცნობები უნდა ყოფილიყვნენ? სამწუხაროდ, ასე იყო. უკან დახევას აზრი აღარ ჰქონდა, დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთი რომ იცნეს.

— ოჰ, არა, მგონი დაგვინახეს!

ვიქტორ ხემელმა გაიღიმა.

თავაზიანად საუბრობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ განსაკუთრებით საშიში იყო.

— ოჰო, ეს ხომ რუდი შტაინერია, თავის პატარა ბოზთან ერთად! — ბიჭი პირდაპირ ლიზელისკენ წავიდა და ხელიდან გამოჰგლიჯა „სტვენია“. — რას კითხულობ?

— ეს ჩვენი საქმეა, — შეეპასუხა რუდი, — შენ არავინ გკითხავს, წიგნი დაგვიბრუნე!

— „სტვენია“ — მიუბრუნდა ვიქტორი ლიზელს, — კარგია?

გოგონამ ხმა ჩაიწმინდა:

— ცუდი არ არის, — მიუგო, მაგრამ ვიქტორს თვალებზე შეატყო, წიგნი შესანიშნავ ნადავლად რომ ჩათვალა.

— იცი, რას გეტყვი? — განუცხადა გოგონას, — ორმოცდაათი მარკა მომეცი და დაგიბრუნებ.

— ორმოცდაათი მარკა! — ეს ენდი შმაიკლი იყო, — მოიცა, რა, ვიქტორ, ამ ფასად კაცი ათას წიგნს იყიდის!

— შენ გკითხე რამე?

ენდი გაჩუმდა და ხმაურით დამუწა პირი.

ლიზელმა სცადა, გულგრილი სახე მიელო:

— შენთვის დამითმია, უკვე წავიკითხე.

— როგორ მთავრდება?

ჯანდაბა!

ბოლომდე ჯერ არ იყო ჩასული.

ლიზელი შეყოყმანდა და ვიქტორ ხემელი იმწუთასვე მიუხვდა.

რუდიმ დახმარება სცადა:

— თავი დაანებე, ვიქტორ, რას ერჩი? მითხარი და ყველაფერს შეგისრულებ, — უფროსმა ბიჭმა რუდი მოიშორა, წიგნიანი ხელი მაღლა აღმართა და შეუსნორა: — არა, რასაც მინდა, იმას ვიზამ! — შემდეგ კი მდინარისკენ გაემართა. ყველა უკან გაჰყვა, ზოგი მისეირნობდა, ზოგი გარბოდა, ზოგიც შეეწინააღმდეგა, სხვამ კი შეაგულიანა.

ყველაფერი სწრაფად და მშვიდად მოხდა, დამცინავი, მეგობრული ტონით დაისვა შეკითხვა.

— მითხარი, — თქვა ვიქტორმა, — ვინ გახდა ბერლინის ოლიმპიური ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში? — სახეში შეხედა რუდის და ხელი გაავარჯიშა, — რა გვარი იყო? დასწყევლოს ღმერთმა, ენის წვერზე მადგას. მგონი ამერიკელი უნდა იყოს, კარპენტერი თუ რაღაც ამდაგვარი.

რუდი:

— გთხოვ!

წყალი გადმოვარდა.

ვიქტორ ხემელმა ბრუნი გააკეთა.

წიგნი მოხდენილად გაუფრინდა ხელიდან. გადაიშალა, ფურცლები აშრიალდა და ჰაერში გაიყინა. შემდეგ, თითქოს, დინებამ გაიტაცაო, მოწყდა, მდინარეში ჩავარდა და ტაატით გაჰყვა წყალს.

ვიქტორმა თავი გააქნია:

— სიმაღლე არ მეყო, დიდი ვერაფერი ნასროლი გამომივიდა, — ისევ გაილიმა, — მაგრამ მაინც არა უშავდა, არა?

ლიზელი და რუდი მისი სიცილის მოსასმენად არ გაჩერებულან. შტაინერმა მარდად ჩაირბინა მდინარის ნაპირი და სცადა, დაენახა, წიგნი საით მიჰქონდა მდინარეს.

— ხედავ? — გასძახა ლიზელმა.

რუდი გარბოდა.

ცოტა ხანს ნაპირს მიუყვებოდა და ცდილობდა, ეპოვა.

— აქ არის! — შეჩერდა, ხელი გაიშვირა, გაიქცა, რომ დასწეოდა, პალტო მოისროლა და შუა წყალში გადაეშვა.

ლიზელმა სვლა შეანელა, დაინახა, როგორი მტკივნეული იყო რუდის თითოეული ნაბიჯი. მტანჯველი სიცივე.

ახლოს რომ მივიდა, დაინახა, მდინარემ წიგნი ბიჭის გვერდით რომ ჩაატარა, რუდიმ სწრაფად მოუსვა და წყლით გაჟღენთილ მუყაოსა და ქაღალდის აგურს მისწვდა.

— სტვენია! — დაიყვირა რუდიმ. მართალია, იმ დღეს მდინარე ამპერი ერთადერთ წიგნს მიატივტივებდა, მაინც მოუნდა, სათაურის ხმამაღლა დაძახება.

ერთი საინტერესო რამ უნდა აღვნიშნო, უსაშველოდ ცივი წყლიდან რუდი იმწუთასვე არ ამოსულა. „სტვენია“ დაიჭირა და ერთი-ორი წუთით კიდევ დარჩა მდინარეში. არ აუხსნია,

მაგრამ ვფიქრობ, გოგონა შესანიშნავად მიხვდა ამ საქციელის ორმაგ მოტივს:

რუდი შტაინერის გაყინვის ორი მოტივი

რამდენიმეთვიანი მარცხის შემდეგ ეს გამარჯვებით ტკბობის ერთადერთი შანსი იყო.
თავდაუზოგავი საქციელი ხელს აძლევდა, ლიზელისთვის ჩვეული რამ ეთხოვა და ნუთუ, ამ შესაძლებლობას ხელიდან გაუშვებდა?

— კოცნაზე რას იტყვი, ლორუკელა?

კიდევ რამდენიმე წამს იდგა წელამდე წყალში, სანამ ნაპირზე ამოვიდოდა და გოგონას წიგნს გაუწვდიდა. შარვალი სხეულზე ეკვროდა, მაგრამ არ გაჩერებულა, ვფიქრობ, შეეშინდა. რუდი შტაინერს წიგნის ქურდის კოცნისა შეეშინდა. ალბათ ძალიან დიდხანს ელოდა. ალბათ მართლაც ძალიან უყვარდა. ისე ძალიან, რომ ამის შემდეგ აღარასოდეს ინატრებდა გოგონას ტუჩებს და მათი გემოს გაუსინჯავად ჩავიდოდა სამარეში.

ნაწილი მეექვსე

სიზმრების დამტარებელი

მონაწილეობენ:

სიკვდილის დღიური — თოვლის პაპა — ცამეტი საჩუქარი — მორიგი წიგნი — ებრაელის გვამი საზარელ სიზმარში — გაზეთების ცა — სტუმარი — „შმუნცელერი" — და გამოსათხოვარი ამბორი მოწამლულ ლოყებზე.

სიკვდილის დღიური: 1942 წელი

ის წელი მთელ ეპოქას უდრიდა. ისე როგორც 79, 1346 და კიდევ ბევრი წელი. ცელი რას მიშველიდა, დასწყევლოს ღმერთმა, ცოცხი ან შვაბრა უფრო მომიხდებოდა. და კიდევ, შვებულება.

სიმართლის ნაგლეჯი

ნამგალი თუ ცელი სულაც არ დამაქვს.
შავი, კაპიუშონიანი მოსასხამიც
მხოლოდ მაშინ მაცვია, როცა ცივა.
არც ისეთი ჩონჩხისებური სახე მაქვს,
თქვენ რომ გელანდებათ შორიდან.
გაინტერესებთ, სინამდვილეში როგორი ვარ?
დაგეხმარებით. სანამ თხრობას ვაგრძელებ,
სარკე იპოვეთ.

ასე მგონია, მეტისმეტად ეგოისტურად ვიქცევი, ვყვები და ვყვები, ვყვები და ვყვები ჩემს თავზე, ჩემს მოგზაურობაზე, 42-ში ნანახზე. თუმცა, მეორე მხრივ, თქვენთვის, ადამიანებისთვის, ეგოიზმი უცხო ხილი არ უნდა იყოს.

საქმე ის არის, რომ მინდა აგიხსნათ, რა ხდებოდა.

ის მოვლენები ლიზელ მემინგერზეც აისახება მომავალში, ომი ჰიმელ-სტრიტს მიუახლოვდება და მეც მას დავედევნები.

იმ წელიწადს წრეზე რამდენჯერმე მომიწია წასვლამ, პოლონეთიდან რუსეთში, რუსეთიდან აფრიკაში და უკან. ალბათ შემედავებით, მეტყვით, ყოველ წელს ასეაო, მაგრამ ადამიანთა მოდგმას ხანდახან ჭირვეულობა სჩვევია. სხეულებისა და მათგან თავდაღწეული სულების რაოდენობა მეტისმეტად იზრდება. რამდენიმე ბომბი, გაზის კამერა ან ტყვიამფრქვი და — ყველაფერი დამთავრებულია. თუ ამათაც ვერ მიიყვანეს საქმე ბოლომდე, სახლებიდან ხომ მაინც გამოყრიან ადამიანებს. ყველგან უსახლკაროებს ვაწყდები. უკან მომდევენ, სანამ ნანგრევებად ქცეული ქალაქების ქუჩებში დავეხეტები. მევედრებიან, წაგვიყვანეო, ვერ ხვდებიან, ძალიან დაკავებული რომ ვარ. თქვენი დროც მოვა-მეთქი, ვარწმუნებ და ვცდილობ, უკან არ მივიხედო. ხანდახან მინდა, ვუთხრა: „ხომ ხედავთ, მოცლა არა მაქვს!" — მაგრამ ყოველთვის ვჩუმდები, მხოლოდ საკუთარ თავს შევჩივი. მუშაობას ვაგრძელებ და წლებთან ერთად სულები და სხეულები კი არ მატულობს, მრავლდება.

1942 წლის მოკლე მიმოხილვა

1. სასოწარკვეთილი ებრაელები — მათი სულები კალთაში მისვენია და ორთქლადენილი საკვამურების გვერდით ვზივარ სახურავზე.

2. რუსი ჯარისკაცები: ისინი მწირი აღჭურვილობით იყვნენ, იმედი ჰქონდათ, ბრძოლის ველზე დაცემული ამხანაგების იარაღს გამოიყენებდნენ.

3. კენჭებსა და სილაში მოფანტული, წყლით გაჟღენთილი გვამები საფრანგეთის სანაპიროზე.

შემეძლო, გამეგრძელებინა, მაგრამ ვთვლი, რომ სამი მაგალითი საკმარისია, სამი მაგალითი, სხვა თუ არაფერი, ფერფლის გემოს გაგრძნობინებთ, რაც იმ წლებში ჩემი არსებობის განმსაზღვრელია.

უამრავი ადამიანი.

უამრავი ფერი.

ისინი მექანიზმივით მუშაობს ჩემში. გონებას მიწამლავს. ვხედავ, სხეულები ერთმანეთზე აწყვია. ნაძერწი ჰაერი. გაქ-

ვავებული წებოს ჰორიზონტი. ადამიანების ხელით შექმნილი ცა, დაჩხვლეტილი, მჟონავი. შავი გულივით მფეთქავი, რბილი, ნახშირისფერი ღრუბლები.

და მერე.

სიკვდილი.

მათ შორის რომ მიიკვლევს გზას.

გარეგნულად აუმღვრეველი, მშვიდი.

შინაგანად ძალაწართმეული, მხნეობადაკარგული, განადგურებული.

გამოგიტყდებით (ვიცი, რომ მეტისმეტად ბევრს ვწუწუნებ), ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავი იმ ელდისგან, რუსეთში რომ მივიღე, როცა სტალინმა, ეგრეთ წოდებული „მეორე რევოლუციის“ სახელით საკუთარი ხალხი ამოხოცა.

შემდეგ ჰიტლერი.

ამბობენ, ომი სიკვდილის საუკეთესო მეგობარიაო, მაგრამ მე საპირისპიროს დაგიმტკიცებთ, ჩემთვის ის ახალი უფროსია, რომელიც შეუძლებელს გთხოვს. თავზე გადგას და ერთსა და იმავეს გიმეორებს: „გააკეთე, შეასრულე“. შენ თავდაუზოგავად მუშაობ, ბრძანებას ასრულებ, ის კი, მადლობის ნაცვლად, მეტს გთხოვს. ვცდილობ, მიმოფანტული მარგალიტები გავიხსენო, ხანდახან გზად რომ მხვდებოდა. ამბების ბიბლიოთეკაში ვიქექები.

აი, ვიპოვე კიდეც, ერთი.

იმ ამბების ნახევარი უკვე კარგად მოგეხსენებათ, ახლა გამომყევით და დანარჩენსაც წარმოგიდგენთ — წიგნის ქურდის მეორე ნახევარს.

თავადაც არ იცის, როგორ ემზადება იმ ამბებისთვის, სულ ცოტა ხნის წინ რომ გიყვებოდით. თქვენც გელოდებათ.

ყველგან თოვლს აგროვებს და სარდაფში მიაქვს. გაყინული წყლით გოგონას დანახვა, ვისაც გინდა, იმას გააღიმებს, მაგრამ არც არავის დაავიწყდება.

აი, უყურეთ.

თოვლის პაპა

ლიზელ მემინგერისთვის 1942 წელი აი, ასე დაიწყო:

ცამეტი წლის გახდა. მკერდი ჯერაც არ დასტყობოდა, არც სისხლი დასდენოდა. ახალგაზრდამ სარდაფიდან მის ლოგინში გადაინაცვლა.

პ და პ

როგორ აღმოჩნდა მაქს ვანდენბურგი ლიზელის საწოლში? წაიქცა.

განსხვავებული ვერსიები არსებობდა, მაგრამ როზა ჰუბერმანმა გამოაცხადა, გასული შობის შედეგს ვიმკითო. ოცდაოთხი დეკემბერი ცივი და მშიერი გამოდგა, მაგრამ ერთი დადებითი მხარეც ჰქონდა: ჰუბერმანებს სტუმრები არ ჰყოლიათ. ჰანს-უმცროსი რუსებს ებრძოდა და იმავდროულად ოჯახთან ურთიერთობასაც თავს არიდებდა, ტრუდიმ შობამდე მხოლოდ ორიოდე საათით შეუარა დედ-მამას, უქმეებზე იმ ოჯახთან ერთად უნდა დაესვენა, რომელთანაც მუშაობდა. გერმანიის სრულიად განსხვავებული კლასის არდადეგებზე.

შობის წინაღამეს ლიზელმა ორივე ხელით აიღო თოვლი და მაქსს ჩაუტანა, — თვალები დახუჭე, — უთხრა, — ხელები გამომიწოდე, — თოვლი ჩაუდო თუ არა, მაქსს გააჟრჟოლა და გაეცინა, მაგრამ თვალები არ გაუხელია, მაშინვე პირისკენ გაიქანა, გემო გაუსინჯა, ტუჩებზე დაიდნო.

— ეს დღევანდელი ამინდის პროგნოზია?
ლიზელი გვერდით ამოუდგა.
ნაზად შეახო ხელი მკლავზე.
მან თოვლი ისევ პირთან მიიტანა.
— გმადლობ, ლიზელ.

ეს შობის საუკეთესო დღესასწაულის დასაწყისი იყო: ცოტა საჭმელი. არავითარი საჩუქრები. მაგრამ თოვლის პაპა სარდაფში.

ლიზელმა პირველი ორი მუჭა თოვლი შინ რომ შეიტანა, ისევ გარეთ გავიდა და დარწმუნდა, რომ არავინ იყო, შემდეგ რაც ხელში მოხვდა — ყველა სათლი თუ ქვაბი ეზოში გაზიდა და სამყაროს ვიწრო ზოლის, ჰიმელ-სტრიტის თოვლით გაავსო. კარგად რომ გამოტენა, სათითაოდ ჩაიტანა სარდაფში.

მართალი გითხრათ, პირველი გუნდა ლიზელმა ესროლა მაქსს, მანაც დააგუნდავა თოვლი და პირდაპირ მუცელში მოარტყა, ერთი ჰანს ჰუბერმანსაც დაუმიზნა, როცა ის სარდაფის კიბეზე ეშვებოდა.

— Arschloch! — დაიყვირა მამამ, — ლიზელ, მეც მომეცი თოვლით სავსე სათლი! — რამდენიმე წუთით ყველაფერი დაავიწყდათ, აღარც ყვირილი ისმოდა, აღარც გადაძახილი, მაგრამ ცოტა მაინც იცინეს, ბოლოს და ბოლოს, ადამიანები იყვნენ და სახლში გუნდაობდნენ.

მამამ თოვლით სავსე ქვაბებს გახედა, — დანარჩენს რა ვუყოთ?

— თოვლის პაპა გავაკეთოთ! — უპასუხა ლიზელმა, — თოვლის პაპა უნდა გავაკეთოთ!

მამამ როზას უხმო.

შორიდან პასუხი მოისმა;

— რა გინდა, ღორიშვილო?

— ჩამოდი!

კიბის თავში როზას გამოჩენისთანავე ჰანს ჰუბერმანმა, სიცოცხლის ფასად, ყველაზე ლამაზი გუნდა ესროლა ცოლს, მაგრამ ააცილა და თოვლი კედელს მიეფშვნა. დედას საბაბი მიეცა, ისე ილანძღებოდა, ერთიც არ ამოუსუნთქავს, შემდეგ

კი ოჯახის წევრებს შეუერთდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ღილებიც მოიტანა თვალებისა და ცხვირის გასაკეთებლად, ღიმილისთვის თოკის ნაგლეჯი გაიმეტა, ქუდი დაახურა, კაშნე მოახვია და ორფუტიანი თოვლის პაპაც მზად იყო.

— ნამცეცაა! — თქვა მაქსმა.

— რომ დადნება, რა უნდა ვქნათ? — იკითხა ლიზელმა.

როზას პასუხი მზად ჰქონდა:

— სასწრაფოდ იატაკს მოწმენდ, ღორუკელა!

მამა არ დაეთანხმა:

— არ გადნება, — ხელები მოიფშვნიტა და ორთქლი გამოუშვა, — აქ ხომ საშინლად ყინავს.

მაინც დადნა. თუმცა, შობის იმ ღამეს, დაძინებამდე, ჰუბერმანების წარმოდგენაში თოვლის პაპა ჯერ ისევ სარდაფში იდგა. შეჰყურებდნენ, ყურში აკორდეონის ხმა ჩაესმოდათ, ლიზელი კი მაქსის იმ სიტყვებზე ფიქრობდა, ბუხართან დარჩენილმა გამომშვიდობებისას რომ უთხრა.

მაქს ვანდენბურგის საშობაო მილოცვა

ხშირად ვნატრობ, ლიზელ, რომ ყველაფერი მალე დასრულდეს, მაგრამ მერე შენ მოდიხარ და რაღაც ისეთს აკეთებ. მაგალითად, სარდაფში თოვლის პაპა ჩამოგაქვს.

საუბედუროდ, ის ღამე მაქსის ჯანმრთელობაზე აისახა. თავიდან ტიპური, თითქოს უწყინარი ნიშნები გამოაჩნდა, მუდმივად ამცივნებდა და ხელისგულები უოფლიანდებოდა, სულ უფრო ხშირად ხედავდა ფიურერთან კრივს, მაგრამ ცოტა ხანში აზიდვებისა და ბუქნების გაკეთება რომ გაუჭირდა, შეშფოთდა. რაც უნდა ახლოს მჯდარიყო ცეცხლთან, მაინც ცუდად გრძნობდა თავს, წონაში დღითი დღე იკლებდა და ფეხზე დგომაც გაუჭირდა, ძველებურად ველარ ვარჯიშობდა, ერთი აზიდვის შემდეგ, სარდაფის ცივ იატაკზე ლოყამიდებული რჩებოდა.

იანვარში კიდევ არა უშავდა, ფეხზე მაინც იდგა, მაგრამ თებერვლის დასაწყისში ძალიან დაუძლურდა. ცეცხლის პირას ჩამომჯდარი ძლივს ახერხებდა გამოფხიზლებას, გვია-

ნობამდე ეძინა, სახე ელრიცებოდა, ყვრიმალები შეუშუპდა. როცა ეკითხებოდნენ, როგორ ხარო, პასუხობდა, კარგადო.

თებერვლის შუა რიცხვებში, რამდენიმე დღით ადრე, სანამ ლიზელი ცამეტი წლისა გახდებოდა, ბუხართან მისულს მუხლები მოეკვეთა და კინალამ ცეცხლში ჩავარდა.

— ჰანს! — დაიჩურჩულა, დაიკრუნჩხა, ჩაიკეცა და თავი აკორდეონის ბუდეს მიარტყა.

იმავე წუთს ხის კოვზი წვნიანში ჩავარდა და როზა ჰუბერმანი მაქსის გვერდით გაჩნდა, თავი წამოაწევინა ბიჭს და ლიზელს უბრძანა:

— რას დგახარ, წადი, საბნები აიღე და შენს ლოგინზე დადე... — შემდეგ მამის ჯერი დადგა, — მომეხმარე, წამოვაყენოთ და ლიზელის ოთახში გავიყვანოთ, Schnell!

მამას სახე დაეჭიმა დაძაბულობისგან, ნაცრისფერი თვალებით შეხედა მაქსს, მივიდა და წამოაყენა. ბავშვივით მსუბუქი იყო.

— აქ ხომ არ ჩავაწვინოთ, ჩვენს ლოგინში?

როზამ ამაზე, როგორც ჩანს, უკვე იფიქრა:

— არა, აქ ფარდები უნდა გადავწიოთ ხოლმე დილით, რამე რომ არ იეჭვონ.

— კარგი აზრია, — ჰანსმა ხელში ატაატებული მაქსი გაიყვანა.

ლიზელს საბნები ეკავა, იდგა და უყურებდა.

დაკიდებულ ფეხებს და ჩამოგდებულ თმას დერეფანში. ცალი ფეხსაცმელი გასძვრა.

— გაინძერი!

დედამ ოთახისკენ უბიძგა და თვითონაც ბაჯბაჯით გაჰყვა უკან.

ლოგინში ჩააწვინეს, გაახვიეს და ცხვირამდე ჩამალეს საბნებში.

— დედა, — ლიზელმა თავი ვერ მოუყარა სიტყვებს.

— რაო? — როზა ჰუბერმანს ისე მჭიდროდ ჰქონდა შეკრული თმა, გოგოს შესაშინებლად საკმარისი იყო. შეკითხვა რომ გაიმეორა, თითქოს უარესად გადაეტკიცა თმა. — რაო, ლიზელ?

წინ გადადგა ნაბიჯი, კითხვა დასვა და შიშით დაელოდა პასუხს:

— ცოცხალია?

შეკრული თმა დაეთანხმა.

როზა მიუბრუნდა და მტკიცედ უთხრა:

— ახლა მომისმინე, ლიზელ, ეს კაცი სახლში იმისთვის არ შემომიშვია, რომ ვუყურო, როგორ ჩამაკვდება ხელში. გასაგებია?

ლიზელმა თავი დაუქნია.

— ახლა წადი.

დერეფანში მამამ გულში ჩაიკრა.

გოგონას ეს ძალიან სჭირდებოდა.

მოგვიანებით გაიგონა, როგორ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ჰანსი და როზა. მათთან დაძინება დედამ აიძულა, სარდაფიდან ამოტანილ ლეიბზე (თავიდან ეჭვობდნენ, გადამდები არ იყოსო, შემდეგ გადაწყვიტეს, რომ საშიში არაფერი იყო, მაქსს ვირუსი არ ჰქონდა. ლეიბი ამოიტანეს და ზეწარი გადააფარეს).

დედამ ჩათვალა, ლიზელს სძინავსო და აზრი გაანდო ქმარს.

— ის წყეული თოვლის პაპა, — ჩაიჩურჩულა, — სანაძლეოს ჩამოვალ, ყველაფერი იმ საღამოდან დაიწყო, იმ სიცივეში თოვლი და ყინული მოვინდომეთ.

მამამ ფილოსოფიურად განსაჯა:

— როზა, ყველაფერი ადოლფით დაიწყო, — თქვა და წამოიწია, — უნდა შევიდე, ვნახო, როგორ არის.

იმ ღამით ჰუბერმანებმა მაქსი შვიდჯერ ინახულეს.

მაქს ვანდენბურგის მნახველთა აღრიცხვა

ჰანს ჰუბერმანი: 2
როზა ჰუბერმანი: 2
ლიზელ მემინგერი: 3

დილით ლიზელმა მაქსის ნახატებიანი წიგნი ამოიტანა სარდაფიდან და ტუმბოზე დადო. შარშან გადაშალა და შეეშინდა, ახლა კი მოწიწებით ინახავდა დახურულს.

მამა რომ შემოვიდა, მისკენ არც გაუხედავს, მაქს ვანდენბურგს ესაუბრებოდა, კედელთან მდგარი:

— რატომ ჩამოვიტანე ის თოვლი? — კითხვას უსვამდა საკუთარ თავს, — ყველაფერი იმ დღიდან დაიწყო, მამა, არა? — ხელები ისე დაიჭირა, თითქოს ლოცვას აპირებდა, — რატომ გავაკეთეთ თოვლის პაპა?

მამა ურყევად იდგა თავის აზრზე:

— საჭირო იყო, ლიზელ!

ლიზელი საათობით იჯდა ხოლმე ოთახში, მაქსს ეძინა და კანკალებდა.

— არ მოკვდე, — ჩურჩულებდა, — გემუდარები, მაქს, არ მოკვდე.

მაქსი მეორე თოვლის პაპა იყო, რომელიც ლიზელის თვალწინ ჩამოდნა. პარადოქსია. რაც უფრო სციოდა ვანდენბურგს, მით უფრო დნებოდა.

ცამეტი საჩუქარი

ეს მაქსის ხელმეორედ ჩამოსვლას ჰგავდა.

ბუმბული ისევ ბუდედ ექცა. მშვიდი სახე გაუუხეშდა. ლიზელისთვის ეს საკმარისი მტკიცებულება იყო. მაქსი არ მომკვდარა.

პირველი რამდენიმე დღე გვერდით ეჯდა და ელაპარაკებოდა. დაბადების დღეზე უთხრა, უზარმაზარი ტორტი მელოდება სამზარეულოში, გაიღვიძეო.

მაქსს არ გაულვიძია.

არც ტორტი იყო სამზარეულოში.

ნაწყვეტი გვიანი ღამიდან

მოგვიანებით მივხვდი, რომ იმ დღეებში მეც ვიყავი ჰიმელ-სტრიტის 33-ნომერში. ალბათ ის იშვიათი წამი იდგა, როცა გოგონა გვერდით არ ეჯდა, რადგან მხოლოდ მწოლიარე მამაკაცი დავინახე. ჩავიმუხლე. ვცადე, ხელები შემეცურებინა საბანში. შემდეგ სასიცოცხლო იმპულსი ვიგრძენი — ვიღაც მთელი ძალით ცდილობდა, თავიდან მოვეშორებინე.

უკან დავიხიე, მაინც ბევრი საქმე მქონდა და მესიამოვნა, პატარა ბნელ ოთახში წინააღმდეგობა რომ გამიწიეს. ისიც კი შევძელი, წასვლამდე ცოტა ხანს, მშვიდად, თვალებდახუჭული ვმდგარიყავი.

მეხუთე დღეს მაქსმა სულ რამდენიმე წამით გაახილა თვალები, თუმცა, ოჯახის წევრები ამ ამბავმა ძალიან ააღელ-

ვა. ბიჭმა ერთადერთი, რისი დანახვაც მოასწრო (თანაც ისე ახლოს, რომ შეეშინდა), როზა ჰუბერმანი იყო, რომელმაც სასწრაფოდ ჩასჩარა წვნიანით სავსე კოვზი პირში:

— არ დაფიქრდე, უბრალოდ, გადაყლაპე.

წვნიანის თეფში დედამ ლიზელს რომ მიაწოდა, გოგომ მაქსის სახის დანახვა სცადა, მაგრამ დამპურებლის ზურგი ეფარებოდა.

— ისევ ღვიძავს?

როზა შემობრუნდა, პასუხი არ გაუცია.

დაახლოებით ერთ კვირაში მაქსს მეორედ გაელვიძა, ამჯერად ოთახში ლიზელი და მამა იყვნენ. ორივე მწოლიარე სხეულს უცქერდა, ამ დროს კვნესა მოესმათ. არ ვიცი, რამდენად შესაძლებელი იყო, მაგრამ ჰანსი გადაქანდა და სკამიდან გადავარდა.

— შეხედე, — სუნთქვა შეეკრა ლიზელს, — იფხიზლე, მაქს, იფხიზლე!

ბიჭმა თვალი წამით შეავლო გოგონას, მაგრამ ვერ იცნო, ისე ათვალიერებდა, თითქოს ამოცანა იყო და ამოხსნას ლამობდა. შემდეგ გაითიშა.

— მამა, რა მოხდა?

ჰანსი სკამზე მოიცელა.

მოგვიანებით კი გოგონას შესთავაზა, მაქსისთვის წიგნები ეკითხა.

— მიდი, ლიზელ, შენ ხომ უკვე მშვენივრად კითხულობ, თუმცა, ჩემთვის გამოცანად რჩება, ეს წიგნი საიდან გაჩნდა შენთან.

— ხომ გითხარი, მამა, სკოლაში მომცა ერთ-ერთმა მონაზონმა.

მამობილმა, თითქოს უკან დაიხიაო, გაასავსავა ხელები:

— ვიცი, ვიცი, — შემდეგ ამოიოხრა, — უბრალოდ... — ცდილობდა, ფრთხილად შეერჩია სიტყვები, — ეცადე, არ დაგიჭირონ. — ამას ამბობდა კაცი, რომელმაც ებრაელი მოიტაცა.

იმ დღიდან ლიზელი ხმამაღლა უკითხავდა „სტვენიას" მაქსს, რომელიც მის საწოლზე იწვა. გეგმის განხორციელებაში მხოლოდ ერთი რამ უშლიდა ხელს, იმ თავების გამოტოვება

უწევდა, რომელთა გვერდებიც ერთმანეთს იყო შენებებული, ჯერ კარგად არ გამშრალიყო. გოგონა არ შეეპუა, თითქმის ბოლომდე ჩაიკითხა, მეოთხედიღა დარჩა. „სტვენიაში“ სამას ოთხმოცდათექვსმეტი გვერდი იყო.

სკოლიდან იმ იმედით მოიჩქაროდა ხოლმე, რომ მაქსი უკეთ დახვდებოდა:

— გაიღვიძა? ჭამა რამე?

— გადი ეზოში, — ევედრებოდა დედა, — გული ნუ გამიწვრილე ლაპარაკით, გადი, გადი და ღვთის გულისათვის, ფეხბურთი ითამაშე!

— დიახ, დედა, — ის იყო, კარი უნდა გაეღო, — მაგრამ თუ გონს მოვა, დამიძახე, კარგი? რამე მოიფიქრე, თუ გინდა, გამომლანძღე, თითქოს რამე დამეშავებინოს, გვარიანად შემამკე, არ ინერვიულო, ყველა დაიჯერებს.

ამაზე როზასაც კი გაეღიმა, დოინჯი შემოიყარა და ლიზელს უთხრა, ჯერ კიდევ არ ხარ ისეთი დიდი, ამ სიტყვებისთვის რომ არ დაგსაჯოო:

— გოლიც გაიტანე, — დაემუქრა, — თორემ სახლში არ შემოგიშვებ.

— რა თქმა უნდა, დედა.

— ორი გოლი გაიტანე, ღორუკელა!

— კარგი, დედა.

— და პასუხს ნულარ მიბრუნებ!

ლიზელმა გაითვალისწინა და ეზოში გავარდა, ტალახში ამოვლებულ ქუჩაში რუდის რომ დაჰპირისპირებოდა.

— კარგ დროს მოხვედი, ტრაკის ჭია, — ჩვეულებისამებრ მიესალმა რუდი, როცა ლიზელმა თამაშში ჩართვა სცადა, — სად იყავი?

ნახევარ საათში ბურთი ჰიმელ-სტრიტისთვის იშვიათმა ხილმა, მანქანამ გახეთქა, ლიზელმა კი მაქს ვანდენბურგისთვის პირველი საჩუქარი იშოვა, გაღიზიანებული ბავშვები ცოტა ხანს ბჭობდნენ, შემდეგ კი სათითაოდ გაიკრიფნენ შინ და ცივ, მეჭეჭივით მიწაზე მიაგდეს სათამაშოდ უვარგისი ნივთი. ბურთს უზარმაზარი, პირივით ხვრელი გასჩენოდა.

— გინდა? — ჰკითხა ლიზელმა რუდის.

— რაში მჭირდება ნეხვივით გაჭყლეტილი, ხომ ხედავ, აღარ გაიბერება.

— გინდა აიღო?

— არა, გმადლობ, — რუდიმ ისე გაჰკრა სათამაშოს ფეხი, თითქოს მკვდარი ცხოველი ყოფილიყო, ან — მომაკვდავი.

შინ მიმავალმა ლიზელმა ბურთი აიღო და ამოიიღლიავა, ამასობაში რუდის ხმა დაეწია:

— ჰეი, ღორუკელა, — ლიზელი შეჩერდა, — ღორუკელა!

— რა გინდა? — გული მოულბა.

— სახლში უბორბლებო ველოსიპედი მაქვს, თუ გინდა, ისიც შენი იყოს.

— ეგ შენი ველოსიპედი ერთ ადგილას...

და უკანასკნელი, რაც ქუჩის იმ ნაწილში გაისმა, იმ ღორიშვილის, რუდი შტაინერის სიცილი იყო.

შინ დაბრუნებული ლიზელი საძინებელში შევიდა, ბურთი აიღო და მაქსს ფეხებთან დაუდო.

— მაპატიე, — უთხრა, — ბევრი არაფერია, მაგრამ რომ გაიღვიძებ, მის შესახებ, მოგიყვები, რა ნაცრისფერი შუადღე იყო და როგორ გადაუარა მანქანამ სათამაშოს. შემდეგ კაცი გადმოხტა და ჯერ დაგვიყვირა, შემდეგ გზა იკითხა, თავხედი.

— გაიღვიძე! — უნდოდა მთელი ხმით ეყვირა ან შეენჯღრია მაქსი, მაგრამ ვერ გაბედა.

ისღა დარჩენოდა, გამსკდარი, აქერცლილი ბურთისთვის ეცქირა. პირველი საჩუქარი მრავალთა შორის.

საჩუქრები №2-5

ერთი ლენტი, ერთი გირჩა, ერთი ღილი, ერთიც ქვა.

ფეხბურთის თამაშმა ერთი რამ ასწავლა.

მიდიოდა თუ მოდიოდა, ლიზელი სკოლის გზაზე ეძებდა გადაყრილ ნივთებს, მომაკვდავ კაცს რომ გამოადგებოდა. თავიდან უკვირდა, ამას ასეთ დიდ მნიშვნელობას რატომ ვანიჭებო, როგორ შეიძლებოდა უვარგის საგნებს ვინმესთვის

სიამოვნება მიენიჭებინა? თხრილიდან ამოღებულ ლენტს, ჩამოვარდნილ გირჩას, საკლასო ოთახის კედელთან შემთხვევით აღმოჩენილ ღილს, მდინარიდან ამოღებულ ბრტყელ, მრგვალ ქვას. სხვა თუ არაფერი, მაქსი იგრძნობდა, რომ ლიზელი ზრუნავს მასზე, თანაც, მისი გონზე მოსვლის შემდეგ, ეს კარგი სასაუბრო თემა იყო.

ოთახში მარტო დარჩენილი, რეპეტიციას გადიოდა:

— ეს რა ნივთებია? — იკითხავდა მაქსი, — საიდან მოზიდე ეს ნაგავი?

— ნაგავი? — გოგონა თავის წარმოდგენებში საწოლის კიდეზე იჯდა.

— ეს ნაგავი არ არის, მაქს, ნივთებია, რომლებმაც გონს უნდა მოგიყვანოს.

საჩუქრები №6-9

ერთი ბუმბული, ორი გაზეთი, კარამელის შესაფუთი. ღრუბელი.

ბუმბული საყვარლად გამოიყურებოდა და მიუნხენ-შტრასეზე, ეკლესიის ჭიშკრის ანჯამაში ირიბად იყო გაჩხერილი, ლიზელი საშველად მივარდა, მარცხენა მხარე სუფთად ჰქონდა დავარცხნილი, მარჯვენა კი კოხტა კიდეებიან, დაკბილულ სამკუთხედებად უჩანდა. მისი აღწერა სხვანაირად შეუძლებელი იყო.

გაზეთები სანაგვე ურნის ცივი სილრმეებიდან ამოიღო (მეტს ვერაფერს დავამატებ), კარამელის ქაღალდი კი, გათხელებული და შელახული, სკოლის სიახლოვეს იპოვა. მზეზე რომ გახედა, ფეხსაცმლის ანაბეჭდიც იპოვა ზედ.

შემდეგ ღრუბელი.

როგორ შეიძლება, ვინმეს ცის ნაგლეჯი აჩუქო?

თებერვლის ბოლოს ლიზელი მიუნხენის ქუჩაზე იდგა და ერთადერთ გოლიათ ღრუბელს უცქერდა, რომელიც თეთრი ურჩხულივით ეკიდა გორაკის თავზე. პირდაპირ მთიდან გამოძვრა. მზე ჩასული იყო და მის ნაცვლად ქალაქს ნაცრისფერგულიანი თეთრი მხეცი დასცქეროდა.

— ხედავ? — უთხრა მამას.

ჰანსმა თავი ასწია და იგრძნო, რაც უნდა ეთქვა:

— მაქსს უნდა აჩუქო. იქნებ დანარჩენი ნივთებივით დაუდო ტუმბოზე.

ლიზელი მამას უცქერდა განცვიფრებული:

— მაგრამ, როგორ?

ჰანსმა ფრთხილად გადაუსვა თითები თავზე:

— დაიმახსოვრე, შემდეგ კი დაწერე.

— უზარმაზარი თეთრი მხეცივით იყო, — თქვა საწოლთან ფხიზლად ჩამომჯდარმა, — და მთიდან გამოძვრა.

რამდენიმე შესწორებისა და დამატების შემდეგ წინადადება მზად იყო, ლიზელი მიხვდა, თავი გაართვა საქმეს. წარმოიდგინა, როგორ გადასცემდა ნანახს საბანში გახვეულ მაქსს, ქაღალდის ნაგლეჯზე ჩაწერა, ტუმბოზე დადო და ქვით დაამაგრა.

საჩუქრები №10-13

ერთი სათამაშო ჯარისკაცი.
ერთი არაჩვეულებრივი ფოთოლი.
„სტვენიას“ დასრულება.
დარდის ნაგლეჯი.

სათამაშო ჯარისკაცი ტალახში იყო ჩაფლული, ტომი მიულერის სახლთან ახლოს. დაკაწრულსა და გათელილს, მიუხედავად დაზიანებისა, ჯერ კიდევ შეეძლო სწორად დგომა. ლიზელისთვის ეს საკმარისი იყო.

ნეკერჩხლის ფოთოლი გახლდათ და სკოლაში იპოვა, ცოცხების შესანახ კარადაში, სათლებსა და მტვერსაწმენდებს შორის, ოდნავშეღებული კარიდან დაინახა. ფოთოლი ხმელი იყო, გახუხული პურივით მაგარი, ზედაპირზე ბორცვები და ხეობები ეხატა. გაურკვეველია, როგორ მოხვდა ის სკოლის დერეფანში, იქიდან კი კარადაში. ყუნწიან ნახევარ ვარსკვლავს ჰგავდა. ლიზელმა აიღო და თითებით დაატრიალა.

ფოთოლი, დანარჩენი ნივთებივით, ტუმბოზე არ დაუდვია, ფარდაზე მიამაგრა, სანამ „სტვენიას“ დარჩენილი ოცდათოთხმეტი გვერდის კითხვას შეუდგებოდა.

იმ შუადღეს არც უსადილია, არც საპირფარეშოში გასულა, წყალიც კი არ დაულევია. ჯერ კიდევ სკოლაში დაუდო აღთქმა საკუთარ თავს, დღეს დავასრულებ წიგნის კითხვას, მაქს ვანდენბურგი კი მომისმენს და გონს მოვაო.

მამა იატაკზე იჯდა კუთხეში, როგორც ყოველთვის, უმუშევარი. საბედნიეროდ, მოგვიანებით „კნოლერში" მოუწევს წასვლა თავისი აკორდეონით. ნიკაპი მუხლებზე დაედო და გოგონას უსმენდა. როგორი გაჭირვებით ასწავლა ანბანი. ლიზელი ამაყად კითხულობდა, წიგნის უკანასკნელი, შიშის მომგვრელი სიტყვები გადმოულაგა მაქს ვანდენბურგს:

„სტვენიას" დასასრული

... იმ დილით მატარებლის სარკმლები ვენის ნისლიანმა ჰაერმა დაბურა, სანამ ადამიანები სამუშაოდ მიიჩქაროდნენ, მკვლელმა მხიარული მელოდია დაუსტვინა, ბილეთი იყიდა, ზრდილობიანად მიესალმა ახალგაზრდა მგზავრებს და კონდუქტორს, ადგილი დაუთმო ხნიერ ქალბატონს და საუბარი გაუბა აზარტულ მოთამაშეს, რომელიც ამერიკულ ცხენებზე უყვებოდა. სტვენიას ლაპარაკი უყვარდა, ადამიანებს ხშირად ასულელებდა და ნდობას იმსახურებდა. მაშინაც ელაპარაკებოდა, როცა კლავდა, აწამებდა და დანას უტრიალებდა მუცელში... ერთადერთი, მაშინ ვერ ახერხებდა სიტყვის თქმას, როცა უსტვენდა, ასე კი მკვლელობის ჩადენის შემდეგ იქცეოდა.

— როგორ ფიქრობთ, ნომერი მეშვიდე გაასწრებს დანარჩენებს?

— რა თქმა უნდა, — გაეღიმა მოთამაშეს. ნდობა მოპოვებული იყო.

— უკნიდან მიეპარება და ყველას ჩამოიტოვებს! — ყვიროდა მამაკაცი, მატარებლის ხმაური რომ გადაეფარა.

*— რაკი ასე დარწმუნებული ხართ... — თავმომწონედ გაეღიმა სტვენიას. შემდეგ კი იმაზე დაიწყო ფიქრი, მალე იპოვიდნენ თუ არა ახალთახალ **BMW**-ში ინსპექტორის გვამს.*

— იესო, მარიამ და იოსებ, — ჰანსმა ვერაფერი მოუხერხა ხმაში გაჟღერებულ ეჭვს, — ეს მონაზონმა მოგცა? — მამა წამოდგა, წასვლა დააპირა და გოგონას შუბლზე ეამბორა, — ნახვამდის, ლიზელ, „კნოლერში“ მელოდებიან.

— ნახვამდის, მამა!

— ლიზელ! — გოგონამ დედას წაუყრუა. — მოდი, შეჭამე რამე!

ამჯერად იძულებული გახდა, ეპასუხა:

— მოვდივარ, დედა. — სინამდვილეში მაქსს უფრო მიმართავდა, მიუახლოვდა და დასრულებული წიგნი ტუმბოზე დაუდო, სხვა ნივთების გვერდით. სანამ თავს დასტრიალებდა, თავი ვერ შეიკავა, — მიდი, რა, მაქს! — ჩასჩურჩულა. ზურგს უკან დედის ნაბიჯებმაც ვერ შეაჩერა, ჩუმად არ ატირებულიყო და ვერც ის მოახერხა, წამწამებიდან ჩამოსული მარილიანი წყლის წვეთები მაქს ვანდენბურგის სახეზე არ დაელვარა.

დედამ ოთახიდან გაიყვანა.

მის უზარმაზარ მკლავებში ჩაეფლო.

— ვიცი, — უთხრა ლიზელს.

იცოდა.

სუფთა ჰაერი, ძველი ღამეული ზმანება და რა მოვუხერხოთ ებრაელის გვამს

მდინარე ამპერზე რომ იყვნენ წასულები, ლიზელმა რუდის უთხრა, კიდევ ერთი წიგნი უნდა წამოვიღო მერის სახლიდანო. *„სტვენია“, „თავთან მდგომი კაცით“* ჩაანაცვლა და რამდენჯერმე წაუკითხა მაქსს ლოგინზე ჩამომჯდარმა, თუმცა, მის წაკითხვას სულ რამდენიმე წუთი სჭირდებოდა. *„მხრების აჩეჩის“* გადაკითხვაც სცადა, *„მესაფლავის ცნობარისაც“*, მაგრამ რაღაც სხვა სურდა, ახალი წიგნი მჭირდებაო, ფიქრობდა.

— ის წიგნი წაიკითხე?

— რა თქმა უნდა.

რუდიმ ქვა ისროლა წყალში:

— მოგეწონა?

— რა თქმა უნდა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... — რუდიმ სცადა, კიდევ ერთი ქვა ამოეჩიჩქნა მიწიდან, მაგრამ თითი გაიჭრა.

— მოგიხდება.

— ღორუკელა!

თუ კაცი საუბარს ასრულებს სიტყვებით, როგორიცაა „ღორუკელა“, „ღორიშვილი“ ან „Arschloch“-ი, გამოდის, საუბარში დაგამარცხა.

ქურდობისთვის შესანიშნავი პირობები ჰქონდათ, მარტის დასაწყისის მოღრუბლული შუადღე იდგა, ტემპერატურა კი

ნულს ზემოთ სულ რამდენიმე გრადუსი იყო — ასეთ ამინდში უფრო ნაკლები ხალხი გამოდიოდა გარეთ, ვიდრე ათგრადუსიან ყინვაში. იშვიათად თუ მოჰკრავდით ვინმეს თვალს ქუჩაში. ნაცრისფერი, ფანქრის ბურბუშელასავით წვიმა მოდიოდა.

— მივდივართ?

— ველოსიპედები, — უთხრა რუდიმ, — შეგიძლია, ჩვენებიდან აირჩიო ერთ-ერთი.

ამჯერად რუდის ძალიან უნდოდა, თვითონ გადამძვრალიყო ფანჯარაში.

— დღეს ჩემი ჯერია, — თქვა და თითები ველოსიპედის საჭეზე მიეყინა.

ლიზელმა სწრაფად მოისაზრა:

— იცი რა, რუდი, მგონი, არ ღირს. ყველა შინ არის, თანაც ბნელა, შენნაირი იდიოტი იქ რამეს შეასკდება.

— დიდი მადლობა, — ასეთ ხასიათზე როცა იყო, რუდის დაშოშმინება ძალიან ძნელი გახლდათ.

— გადასახტომიცაა, შენ რომ გგონია, იმაზე მაღალი.

— როგორ ფიქრობ, მე ვერ გადავხტები?

ლიზელი პედლებზე შედგა:

— როგორ არა.

ხიდი გადაიარეს და გრანდ-შტრასეზე მიმავალ, გველივით დაკლაკნილ ბილიკს აუყვნენ. ფანჯარა ღია დახვდათ.

უწინდელივით დაზვერეს სახლი. დაბლა სართულზე იმ ადგილიდან, სადაც სამზარეულო უნდა ყოფილიყო, სუსტი შუქი გამოდიოდა და ვიღაცის ლანდი მოძრაობდა.

— მოდი, კიდევ ერთ ნრეზე წავიდეთ, — თქვა რუდიმ, — კარგია, ველოსიპედებით რომ ვართ, არა?

— იცოდე, ეგეც არ დაგრჩეს, უკან დაბრუნებას რომ დავაპირებთ.

— რა სასაცილოა, ღორუკელა! მგონი ეს ველოსიპედი შენს აყროლებულ ფეხსაცმელზე ოდნავ დიდია.

დაახლოებით თხუთმეტი წუთი ისეირნეს, მაგრამ რომ დაბრუნდნენ, მერის ცოლი ისევ ქვემოთ დახვდათ, ბიბლიოთეკასთან მეტისმეტად ახლოს. როგორ ბედავდა ეს ქალი სამ-

ზარეულოში ტრიალს! რუდისთვის მთავარი სამიზნე ნამდვილად სამზარეულო იქნებოდა. შევიდოდა, იმდენ საჭმელს გამოზიდავდა, რამდენსაც მოერეოდა, შემდეგ კი, თუ დრო დარჩებოდა (მხოლოდ — თუ...), წიგნს ჩაიჩურთავდა შარვალში. იმას, რომელიც ხელში მოხვდებოდა.

თუმცა, რუდის ერთი სისუსტე ჰქონდა, მოუთმენელი იყო:

— ვაგვიანებთ, — თქვა და გზა განაგრძო, — მოდიხარ?

ლიზელი არ მიდიოდა.

საფიქრალი არაფერი იყო, ჟანგიანი ველოსიპედი იმიტომ კი არ ატარა, შინ წიგნის გარეშე დაბრუნებულიყო, თხრილში მიანვინა სახელურებით, მეზობელს გახედა და ფანჯრისკენ გაემართა. სწრაფად მიაბიჯებდა, თუმცა, ძალიანაც არ ჩქარობდა. ფეხსაცმელი ისე გაიხადა, ხელი არ მიუშველებია.

შემდეგ ხელით ხეს ჩაეჭიდა და ოთახში გადაძვრა.

ამჯერად უფრო უსაფრთხოდ იგრძნო თავი, რამდენიმე წუთი ოთახი ათვალიერა, მიმზიდველ სათაურს ეძებდა. რამდენჯერმე თითქოს შეარჩია, მერე იფიქრა, ერთის ნაცვლად მეტი ხომ არ წავიღოო, მაგრამ გადაიფიქრა, არ უნდოდა წესის დარღვევა. ასაღები იყო ერთადერთი წიგნი. თაროები შეისწავლა და ლოდინი დაიწყო. ფანჯარაში სულ უფრო ბნელდებოდა, ირგვლივ მტვრისა და ქურდობის სუნი იდგა. დაინახა.

წითელი წიგნი იყო, ყდაზე შავი წარწერით, *Der Traum Träger — „სიზმრების დამტარებელი“*, გაახსენდა მაქს ვანდენბურგი და მისი სიზმრები. დანაშაულის გრძნობა. გადარჩენა. ოჯახის მიტოვება. ფიურერთან ბრძოლა. თავისი ზმანებაც წარმოუდგა: მატარებელში გარდაცვლილი ძმა, რომელიც ერთხელ კიბეზე მდგარს გამოეცხადა, და აქაც, სწორედ ამ ოთახში შემოსვლამდე დაინახა, მუხლდასისხლიანებული, მაგრამ ჰკრა ხელი და მოიშორა.

ერთი ამოისუნთქა, წიგნი გამოაცურა, იღლიაში ამოიჩარა, ფანჯრიდან გადაძვრა.

რუდის ხელში ეკავა მისი ფეხსაცმელი, ველოსიპედიც მზად ჰქონდა, ლიზელმა ჩაიცვა და ველოსიპედს მოახტა.

— იესო, მარიამ და იოსებ, მემინგერ! — ადრე მემინგერი არასოდეს დაუძახია ლიზელისთვის, — სუფთა მთვარეული ხარ, იცი?

ლიზელი დაეთანხმა, თან ჯოჯოხეთური სისწრაფით ატრიალებდა პედლებს:

— ვიცი!

ხიდთან რომ მივიდნენ, რუდიმ შუადღის თავგადასავალი შეაჯამა.

— მგონი, სრულ ჭკუაზე ვერ არიან — თქვა, — ან ძალიან უყვართ სუფთა ჰაერი.

მცირე მინიშნება

იქნებ ქალს, რომელიც გრანდ-შტრასეზე ცხოვრობს, ახალი მიზეზი აქვს ბიბლიოთეკის ფანჯრების ღიად დასატოვებლად. მგონი, ჩემში ცინიზმი ლაპარაკობს, ან იმედი, ან ორივე ერთად.

ლიზელ მემინგერმა *„სიზმრების დამტარებელი“* ქურთუკში ჩამალა და შინ მივიდა თუ არა, კითხვას შეუდგა, საწოლის გვერდით, სკამზე ჩამოჯდა, გადაშალა და აბუტბუტდა.

— ახალია, მაქს, შენ მოგიტანე, — შემდეგ კითხვა დაიწყო, — *„ნაწილი პირველი: ნამდვილად შესაფერი დრო იყო: სიზმრების დამტარებელი რომ დაიბადა, მთელ ქალაქს ეძინა...“*

ლიზელი ყოველდღე ორ-ორ თავს კითხულობდა. ერთს დილით, სკოლაში წასვლის წინ, მეორეს კი – შინ მიბრუნებული.

იმ რამდენიმე ღამეში, ვერაფრით რომ ვერ იძინებდა, მესამე თავის ნახევრამდეც კი მივიდა. ზოგჯერ ჩათვლემდა, სკამიანად გადაქანდებოდა და ლოგინის კიდეზე ეცემოდა.

კითხვა ლიზელის მისიად იქცა.

„სიზმრების დამტარებლის“ სიტყვებს ისე ანვდიდა მაქსს, თითქოს ამით ასაზრდოებდა ჭაბუკს.

სამშაბათს მოეჩვენა, რომ მაქსი ამოძრავდა. შეეძლო, დაეფიცა, თვალებიც გაახილაო, მაგრამ თუ ეს მართლა მოხდა, ალბათ ნამიერად. ან შეიძლება, რაზეც ფიქრობდა, ის წარმოიდგინა.

მარტის შუა რიცხვებში ებრაელს წყლულები გაუჩნდა კანზე.

როზა ჰუბერმანმა, შესანიშნავმა ქალმა გაჭირვების ჟამს, ერთ შუადღეს სამზარეულოში ტრიალისას კინალამ ფარ-ხმალი დაყარა, ხმას აუწია და დაიწყო. ლიზელმა კითხვა შეწყვიტა, ჩუმად გაემართა დერეფნისკენ, ოთახს მიუახლოვდა, მაგრამ კარგად ვერ გაარჩია დედის სიტყვები. შემდეგ, ყველაფერი კარგად გაიგონა და ძალიანაც ინანა. მოსმენილმა შეაძრწუნა, არადა, რეალობასთან ახლოს იყო.

დედის სიტყვები

რა მოხდება, გონს რომ არ მოვიდეს?
ჰანს, რომ მოკვდეს, რა გვეშველება?
მითხარი, ღვთის გულისათვის, გვამს რა მოვუხერხოთ?
ისეთი სუნი აუვა, გავიგუდებით...
სახლიდან ვერ გავიტანთ, ქუჩაში ვერ ჩავატარებთ და ხალხს ვერ ვეტყვით:
„თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ვიპოვეთ ამ დილით სარდაფში“...
გაგვასახლებენ...

როზა სრულ სიმართლეს ამბობდა.

ებრაელის გვამი დიდი პრობლემა იყო. მაქსი თუ გადარჩებოდა, ამით მარტო მას კი არა, ჰუბერმანებსაც ეშველებოდათ. მამაც კი დაძაბული იყო, არადა, სხვა დროს სულ ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას.

— მისმინე, — თქვა მშვიდი ხმით, მაგრამ მძიმედ, — თუ ასე მოხდა, თუ მაქსი მოკვდა, გამოსავალი უნდა მოვნახოთ. — ლიზელს შეეძლო, დაეფიცა, რომ გაიგონა, ჰანსმა ძლივს რომ გადაყლაპა ნერწყვი, თითქოს რაღაც გადასცდა სასულეში. — ჩემი ორთვალა, ბიაზის ნაჭრები.

ლიზელი სამზარეულოში შევიდა.

— ახლა არა, ლიზელ, — დაილაპარაკა მამამ, არც კი შეუხედავს, ამოტრიალებულ კოვზში იხედებოდა, დანაოჭებულ სახეს ითვალიერებდა, იდაყვებით მაგიდას ეყრდნობოდა.

წიგნის ქურდმა უკან არ დაიხია, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, დაჯდა, ცივი ხელები დაისვა ტანსაცმლის სახელოებზე და პირიდან სიტყვები გადმოუცვივდა.

— ის ჯერ არ მომკვდარა, — სიტყვები მაგიდაზე დაიყარა და შუაში მოიკალათა. ოთახში მყოფი სამივე ადამიანი მათ უცქერდა. სანახევრო იმედებმა ვერ გაბედეს გაზრდა. ჯერ არ მომკვდარა. ჯერ არ მომკვდარა.

პირველმა როზა ჰუბერმანმა ამოიღო ხმა:

— ვის შია?

სადილობის დრო ერთადერთი იყო, მაქსის ავადმყოფობამ რომ ვერ აზარალა.

უარი არავის უთქვამს, სამზარეულოს მაგიდას მიუსხდნენ, ჩვეულებრივზე მეტი პური, წვნიანი და კარტოფილი რომ ეჭამათ.

გულში ყველა ამაზე ფიქრობდა, მაგრამ არც ერთი არ იღებდა ხმას.

იმავე ღამით, რამდენიმე საათის შემდეგ, ლიზელს გაელვიძა და იფიქრა, ნეტავ, რატომ მომეწურა გულიო (ეს ფრაზა „სიზმრების დამტარებლიდან" ესწავლა, ის წიგნი, შეიძლება ითქვას, რადიკალურად განსხვავდებოდა „სტვენიასგან", მიტოვებულ ბავშვზე იყო, რომელსაც მღვდლობა სურდა). გოგონა წამოჯდა და მთელი ძალით ჩაისუნთქა ღამის ჰაერი.

— ლიზელ! — მამა მეორე გვერდზე გადმობრუნდა, — რა მოხდა?

— არაფერი, მამა, ყველაფერი კარგადაა, — მაგრამ დაასრულა თუ არა წინადადება, იმ წუთშივე გაახსენდა, რა დაესიზმრა.

ერთი პატარა ხილვა

ეს სიზმარიც ისე იწყება, როგორც დანარჩენი.
მატარებელი ჩვეულებრივ მიქრის, ძმა კი ისევ
ხშირ-ხშირად ახველებს.
თუმცა, ამჯერად იატაკს აღარ უყურებს.
გოგონა ნელა იხრება. ნიკაპზე ჰკიდებს ხელს, სახეს უწევს
და მაქს ვანდენბურგს, მის ფართოდ გახელილ თვალებს
ხედავს. ის ლიზელს მიშტერებია.
ბუმბული იატაკზე ეცემა.
სხეული, თავის შესაბამისად, უფრო დიდია.
მატარებელი კივის.

— ლიზელ!

— ხომ გითხარი, ყველაფერი კარგადაა.

აკანკალებული, ლეიბიდან ჩამოცოცდა, შიშისგან გახევებული გავიდა დერეფანში და მაქსისკენ გაემართა. რამდენიმე წუთის განმავლობაში გვერდით ედგა, შემდეგ, ცოტა რომ დამშვიდდა, ეცადა, სიზმარი აეხსნა. იქნებ ის მაქსის სიკვდილს მოასწავებდა? ან იქნებ შუადღისას სამზარეულოში მოსმენილი ჩარჩა გულში? ნუთუ მაქსმა ძმის ადგილი დაიკავა? თუ ასეა, როგორ შეძლო საკუთარი სისხლი და ხორცი ასე ადვილად მოეგლიჯა მკერდიდან? იქნებ გულის სილრმეში უნდა, რომ მაქსი მოკვდეს. ბოლოს და ბოლოს, თუკი ვერნერი აღარ არის, დაე, ამ ებრაელმაც მისი ხვედრი გაიზიაროს.

— ნუთუ ამას ფიქრობდი? — ჩაიჩურჩულა სანოლის ნინ მდგარმა, — არა! — ვერ დაიჯერებდა. სიბნელე რომ გაიფანტა და საწოლის გვერდით მდგარ ტუმბოზე სხვადასხვა ფორმის, დიდ-პატარა ნივთების მოხაზულობა გაარჩია, ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცდა. საჩუქრები.

— გაიღვიძე, — თქვა.

მაქსს არ გაუღვიძია.

კიდევ რვა დღე არ გაიღვიძებს.

საკლასო ოთახის კარზე კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით, — დაიძახა ფრაუ ოლენდრიხმა.

კარი გაიღო და გაოცებულმა ბავშვებმა ზღურბლთან მდგარი როზა ჰუბერმანი დაინახეს. ერთმა-ორმა ამოიოხრა. კამოდივით ქალი, პომადიანი, ირონიული ღიმილით და ქლორივით თვალებით. ნამდვილი ლეგენდა. როზას საუკეთესო სამოსი ჩაეცვა, მაგრამ თმა, ელასტიკური ნაცრისფერი კულულების პირსახოცი, ასწეწოდა.

ცხადია, მასწავლებელსაც შეეშინდა:

— ფრაუ ჰუბერმან... — შეშფოთებულმა ქალმა კლასს თვალი მოავლო.

— ლიზელ!

ლიზელმა რუდის შეხედა, წამოდგა და უხერხულობის ასაცილებლად რამდენადაც შეეძლო, სწრაფად გავიდა, კარი გაიხურეს და დერეფანში რომ აღმოჩნდნენ, როზამ სულ სხვანაირად შეხედა ლიზელს.

— რა მოხდა, დედა?

ქალი მიტრიალდა:

— დედას მოგცემ მე შენ, პატარა ღორუკელა! — სწრაფად წარმოთქმულმა სიტყვებმა ლიზელს მთლად ბოლო მოუღო. — ჩემი სავარცხელი! — კარს მიღმა სიცილის ხმა მოისმა, მაგრამ წამშივე შეწყდა.

— დედა!

როზას მკაცრი სახე ჰქონდა, მაგრამ იღიმებოდა:

— სად ჯანდაბაში წაიღე ჩემი სავარცხელი, სულელო ღორუკელა? პატარა ქურდო, ათასჯერ გითხარი, თავი დაანებე-მეთქი, მაგრამ განა მისმენ, რა თქმა უნდა, არა!

ტირადა დაახლოებით ერთ წუთს გაგრძელდა, ლიზელი სასოწარკვეთილი ცდილობდა, გაეხსენებინა, სად იდო სავარცხელი. როზამ უეცრად შეწყვიტა დამუნათება და რამდენიმე წამით მიუახლოვდა ლიზელს, მისი ჩურჩულის გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო:

— შენ ხომ მთხოვე, მიყვირე და ყველა დაიჯერებსო, — ქალმა მიმოიხედა და ხმა თითქოს ნემსის ყუნწში გააძვრინა, — გონს მოვიდა, ლიზელ, გაიღვიძა. — ჯიბიდან დედამ დაფხაჭნილი სათამაშო ჯარისკაცი ამოიღო, — მითხრა, ეს ყველაზე მეტად მომეწონაო, — სათამაშო ხელებში ჩაუდო გოგონას და გაუღიმა. სანამ ლიზელი რამის თქმას მოასწრებდა,

როზა საუბარს მორჩა: — მიპასუხე! გაიხსენე, სად დადე ჩემი სავარცხელი!

— ცოცხალია, — გაიფიქრა ლიზელმა, — მაპატიე, დედა, არ მახსოვს, სად დავდე... მე...

— უქნარავ! — თქვა ქალმა, თავი დაუქნია გოგოს და წავიდა.

ლიზელი რამდენიმე წუთს იდგა უზარმაზარ დერეფანში და ხელისგულზე დადებულ ჯარისკაცს დაჰყურებდა. ინსტინქტი კარნახობდა, ახლავე შინ გაიქეცი, მაგრამ გონებამ ამის საშუალება არ მისცა. შელახული სათამაშო ჯიბეში ჩაიდო და საკლასო ოთახში დაბრუნდა.

ყველა ელოდა.

— სულელი ძროხა! — ჩაიჩურჩულა გოგონამ და სული ძლივს მოითქვა.

ბავშვებს ისევ გაეცინათ, ფრაუ ოლენდრიხს კი – არა!

— რა თქვი?

ლიზელი ისეთ ამაღლებულ განწყობაზე იყო, უკან დახევა არც უცდია.

— მე ვთქვი, — თქვა სახეგაბრწყინებულმა, — სულელი ძროხა! — და იმავე წამს იგრძნო, როგორ გააწნა მასწავლებელმა სილა.

— დედაზე როგორ ამბობ ასეთ რამეს! — მასწავლებლის სიტყვებმა სათანადო გავლენა ვერ მოახდინა ლიზელზე, იდგა და ღიმილის შეკავებას ცდილობდა. ბოლოს და ბოლოს, სხვაზე ნაკლებად როდი ეხერხებოდა მოეთმენა warchen-ი.

— ახლა კი წაბრძანდი და შენს ადგილას დაჯექი!

— დიახ, ფრაუ ოლენდრიხ.

რუდიმ, რომელიც გვერდით ეჯდა, გაბედა და გამოელაპარაკა.

— იესო, მარიამ და იოსებ! — ჩასჩურჩულა გოგონას, — ხუთი თითი გამჩნევია სახეზე, ხუთივე თითი!

— მშვენიერია! — თქვა ლიზელმა, რადგან მაქსი ცოცხალი იყო.

იმ შუადღეს, შინ რომ დაბრუნდა, მაქსი ლოგინზე დახვდა წამომჯდარი, კალთაში ჩაფუშული ბურთი ედო, წვერწა-

მოზრდილ სახეს იქავებდა და ცდილობდა, ჭაობივით თვალები არ დაეხუჭა. საჩუქრების გვერდით ცარიელი ჯამი იდგა.

ერთმანეთს არც კი მისალმებიან.

ეს მათ ძალებს აღემატებოდა.

კარმა დაიჭრიალა, გოგონა შევიდა, წინ დაუდგა ავადმყოფს და ჯამს შეხედა.

— დედამ ძალით ჩაგასხა პირში, არა?

დაღლილმა და კმაყოფილმა მაქსმა თავი დაუქნია:

— თუმცა, გემრიელი იყო.

— დედას წვნიანი? მართლა?

მაქსს გაღიმება არ გამოუვიდა:

— დიდი მადლობა საჩუქრებისთვის. — ოდნავ გააღო პირი, — გმადლობ ღრუბლისთვის, მამამ ყველაფერი ამიხსნა.

ერთი საათის შემდეგ ლიზელმა სცადა, სიმართლე ეთქვა:

— მაქს, რომ მომკვდარიყავი, არ ვიცოდით, რა უნდა გვეღონა. ჩვენ...

მაქსს დიდი დრო არ დასჭირვებია, რომ ეპასუხა:

— რას გულისხმობ — გვამის სახლიდან გატანა რომ გაგიჭირდებოდათ?

— მაპატიე.

— არა, — მაქსს სულაც არ სწყენია, — მესმის, — სცადა, დაჩუტული ბურთით ეთამაშა, — სწორად მოიქეცით, ამაზეც რომ იფიქრეთ, ასეთ სიტუაციაში მკვდარი ებრაელი ცოცხალზე არანაკლებ საშიშია, მეტად თუ არა.

— სიზმარიც ვნახე, — ლიზელმა დაწვრილებით მოუყვა ნანახი, თან ხელში ჯარისკაცი ჰქონდა ჩაბღუჯული, ის იყო, ისევ ბოდიში უნდა მოეხადა, მაქსმა შეაწყვეტინა:

— ლიზელ, — შეხედა გოგონას, — ნუ მებოდიშები, პატიებას მე უნდა გთხოვდეთ, — თვალი მოავლო ნივთებს, რომელიც ლიზელმა აჩუქა, — შეხედე ამ საჩუქრებს, — ღილი აიღო ხელში, — როზამ მითხრა, რომ დღეში ორჯერ მიკითხავდი, ხანდახან მეტჯერაც. — მაქსი ახლა ისე უყურებდა ფარდებს, თითქოს ხედავდა, რა იყო მათ მიღმა, შემდეგ უფრო წამოიწია ლოგინზე, ძალა მოიკრიბა, კიდევ რამდენიმე წინადადება რომ ეთქვა, სახეზე ფერმა გადაჰკრა და გოგონას გამოუტყდა, — ლიზელ, დაძინების მეშინია.

ლიზელმა მტკიცედ მიუგო:

— მაშინ წაგიკითხავ და როგორც კი თვლემა მოგერევა, შეგაფხიზლებ, წიგნს დავხურავ და იმდენ ხანს განჯლრევ, სანამ არ გაიღვიძებ.

იმ შუადღიდან დაღამებამდე უკითხავდა ლიზელი მაქს ვანდენბურგს. ჭაბუკი ლოგინზე იყო წამომჯდარი და თითოეულ სიტყვას ისრუტავდა, სანამ ათ საათს არ გადაშორდა. ლიზელმა ცოტა შეისვენა, წიგნიდან თავი აიღო და დაინახა, მაქსს ჩასძინებოდა. განერვიულებულმა გამოაღვიძა.

ამის შემდეგ კიდევ სამჯერ ჩაეძინა მაქსს, ორჯერ გოგონამ გამოაფხიზლა.

მომდევნო ოთხი დღე მაქსი ისევ ლიზელის საწოლში იღვიძებდა, ბუხრის გვერდით, შემდეგ კი, აპრილის შუა რიცხვებისთვის, გამოკეთდა, სარდაფში ჩავიდა, წვერი გაიპარსა და წონაც აღიდგინა.

ლიზელი შინაგანად დიდ შვებას გრძნობდა.

გარეთ კი სამყარო იწყებდა რყევას. მარტის ბოლოს ლუბეკი დაიბომბა, შემდეგი კიოლნი იყო და კიდევ რამდენიმე გერმანული ქალაქი, მათ შორის მიუნხენიც.

დიახ, უფროსი თავთან მედგა.

— გააკეთე! შეასრულე!

ციდან ბომბები ცვიოდა და მე მათ ნაკვალევზე დავდიოდი.

სიკვდილის დღიურები: კიოლნი

30 მაისის დაცემული საათები.

დარწმუნებული ვარ, ლიზელ მემინგერს ღრმად ეძინა, თვითმფრინავებმა ათასობით ბომბი რომ ჩამოყარეს კიოლნში.

რაც შემეხება მე, დაახლოებით ხუთი ათასი ადამიანი ნავიყვანე, შეიძლება, ცოტა მეტი. ორმოცდაათი ათასი უსახლკარო კი ნამსხვრევებსა და მოჩვენებად ქცეულ ადამიანებს შორის დაეხეტებოდა და ცდილობდა, გაეგო, ვინ სად იყო, ან რომელი დანგრეული სახლი ვის ეკუთვნოდა.

ხუთი ათასი სული.

ჩემოდნებივით მეკავა ან მხრებზე ვიკიდებდი, მხოლოდ ბავშვებს ვიწვენდი მკლავებზე. როცა დავასრულე, ცა ცეცხლმოკიდებული გაზეთივით ყვითელი იყო, ახლოს თუ მივიდოდი, სიტყვებს, სათაურებსა და კომენტარებსაც კი გავარჩევდი, ომის მიმდინარეობას რომ ეხებოდა. როგორ მინდოდა, ის გაზეთივით ცა ჩამომეხია, დამეჭმუჭნა და გადამეგდო. მაგრამ მკლავები მტკიოდა და თავს უფლებას ვერ მივცემდი, თითები დამწვოდა. კიდევ ბევრი საქმე მქონდა გასაკეთებელი.

ალბათ ხვდებით, რომ ბევრი მყისიერად მოკვდა. დანარჩენმა ცოტა დიდხანს გაძლო. რამდენიმე ადგილას მიწევდა მისვლა, სხვადასხვა ცა უნდა მენახა და სულები შემეგროვებინა, მაგრამ კიოლნში, უკანასკნელი თვითმფრინავების

კვალდაკვალ რომ დავბრუნდი, წარმოუდგენელ სანახაობას გადავაწყდი.

მოზარდი გოგონას დანახშირებული სული მიმქონდა ხელით, როცა უკვე გოგირდისფერ ცას ავხედე გამშრალმა. ახლომახლო ათიოდე წლის გოგონების ჯგუფს მოვკარი თვალი, ერთი მათგანი ყვიროდა:

— ეს რა არის? — ხელები ზემოთ გაეწვდინა და თითებს იშვერდა შავი ობიექტისკენ, ზემოდან რომ ვარდებოდა. თავიდან შავ, მოფარფატე ბუმბულს თუ ფერფლს ჰგავდა. შემდეგ გადიდდა. იმავე გოგონამ, რომელსაც წითური თმა და ჭორფლით დაფარული სახე ჰქონდა, უფრო დამაჯერებლად იკითხა, — ეს რა არის?

— ალბათ გვამია, — ივარაუდა მეორემ, რომელსაც შუაში უსწორმასწოროდ გადაყოფილი შავი თმა და ნაწნავები ამშვენებდა.

— არა, კიდევ ერთი ბომბია!

ბომბის კვალობაზე მეტისმეტად ნელა ეშვებოდა დედამიწაზე.

ახალგაზრდა სული ისევ ჩუმად ინვოდა ჩემს მკლავებში, რამდენიმე ასეული მეტრი გავიარე მასთან ერთად, იმ გოგონებივით მეც ცას მივჩერებოდი, ხელში აყვანილი განაწამები მოზარდისთვის სახეში ცქერა ყველაზე ნაკლებად მსურდა. ლამაზი გოგო იყო. წინ კი მხოლოდ სიკვდილი ელოდა.

ცოცხლად დარჩენილი იმ პატარა გოგონებივით, მეც ცუდ დროს მომესმა ვილაცის ხმა. გაბრაზებული მამა შინ უხმობდა ბავშვებს. წითურმა წინააღმდეგობა გაუწია, სახეზე წერტილებივით ჭორფლი დაუგრძელდა და მძიმეებს დაემსგავსა.

— მოიცა, რა, მამა, ნახე!

კაცმა რამდენიმე მოკლე ნაბიჯი გადადგა და უცებ მიხვდა, რა ვარდებოდა ძირს.

— საწვავი!

— რა?

— საწვავი, — გაიმეორა მამამ, — უფრო სწორად, საწვავის ავზი. — მელოტი კაცი იყო, დაკონკილი სამოსი ეცვა. — საწვავი გამოიყენეს და ცარიელ კონტეინერებს ყრიან, შეხედეთ, აი, კიდევ ერთი.

— და კიდევ!

ბავშვები ბავშვები არიან, რამდენიმე წუთში გულმოდგინედ შეუდგნენ ჩამოყრილი ავზების ძებნას.

ჩამოვარდნისას პირველმა ყრუდ დაიგრუხუნა.

— შეიძლება, ავიღოთ, მამა?

— არა, — მამას თავზარი დასცა დაბომბვამ, მწუხარე იყო. — არ შეიძლება!

— რატომ?

— წავალ, მამაჩემს ვკითხავ, იქნებ ნება დამრთოს, ავიღო, — თქვა მეორე გოგონამ.

— მეც.

ბავშვების ჯგუფი კიოლნის ნანგრევებში მტრის თვითმფრინავებიდან ჩამოყრილ საწვავის ცარიელ ავზებს აგროვებდა, მე კი, ჩვეულებისამებრ, ადამიანებს ვუყრიდი თავს. დავიღალე, არადა, ჯერ ნახევარი საქმეც არ მქონდა დასრულებული.

სტუმარი

ბავშვებმა ჰიმელ-სტრიტზე გამართული საფეხბურთო მატჩებისთვის ახალი ბურთი იშოვეს, ეს კარგი სიახლე იყო, მეორე ამბავი კი ცოტა შემაშფოთებელი აღმოჩნდა — ქუჩაში ნაცისტური პარტიის დანაყოფი მოდიოდა.

მთელ მოლკინგს მოსდებოდნენ, ქუჩიდან ქუჩაში გადადიოდნენ, სახლიდან სახლში, ახლა კი ფრაუ დილერის მაღაზიის წინ იდგნენ და სანამ საქმეს შეუდგებოდნენ, ნაჩქარევად ეწეოდნენ სიგარეტს.

მოლკინგში უკვე ჰქონდათ საჰაერო თავდასხმებისაგან თავშესაფრები, მაგრამ გადაწყდა, რომ კიოლნის დაბომბვის შემდეგ რამდენიმეს დამატება არ აწყენდათ. NSDMP-ს წევრები სახლებს ამონმებდნენ, თავშესაფრებისთვის გამოსადეგი სარდაფები რომ შეერჩიათ.

ბავშვები შორიდან აკვირდებოდნენ ინსპექციას.

ხედავდნენ, როგორ უშვებდა ნაცისტების ხროვა სიგარეტის კვამლს.

ლიზელი ეზოში გამოვიდა და რუდისა და ტომისკენ გაემართა. ჰერალდ მოლენჰაუერი ბურთის დაუფლებას ცდილობდა.

— რა ხდება?

რუდიმ ჯიბეებში ჩაინყო ხელები:

— პარტია. — ბიჭი ჩუმად აკვირდებოდა, როგორ ირჯებოდა მისი მეგობარი, ფრაუ ჰოლცაპფელის გალავნიდან ბურთი გამოეგორებინა. — სახლებსა და კორპუსებს ამოწმებენ.

ლიზელს პირი გაუშრა:

— რატომ?

— შენ რა, არაფერი იცი? უთხარი, ტომი.

ტომი დაიბნა:

— მე რა ვიცი.

— მოკლედ, აზრზე არ ხართ, რა! თავშესაფრებისთვის სარდაფებს არჩევენ.

— რაო? სარდაფებს?

— არა, სხვენებს. რა თქმა უნდა, სარდაფებს. იესო, მარიამ და იოსებ, ლიზელ, რა დაგემართა? ცუდად ხარ?

ბურთი დაიბრუნეს.

— რუდი!

ბიჭი სათამაშოდ გაიქცა, ლიზელი კი გაშეშებული იდგა. როგორ შესულიყო სახლში ისე, რომ არავის გასჩენოდა ეჭვი? ფრაუ დილერის მაღაზიის წინ კვამლი გაიფანტა. მამაკაცების მომცრო ჯგუფი დაიშალა. გოგონა საშინელმა შიშმა მოიცვა. ყელი და პირი. ჰაერი ქვიშად იქცა. „იფიქრე, — თავს ძალას ატანდა ლიზელი. — მიდი, ლიზელ, იფიქრე, იფიქრე!"

რუდიმ გოლი გაიტანა.

შორიდან მილოცვები გაისმა.

— იფიქრე, ლიზელ...

მოიფიქრა!

„მშვენიერია, — გაივლო გულში, — მაგრამ უნდა ვეცადო, კარგად გავითამაშო!"

ნაცისტები ქუჩას მიუყვებოდნენ და ზოგიერთ კარზე LSR-ს აწერდნენ. ბურთი ჰაერში აიჭრა და ერთი მოზრდილი ბიჭის, კლაუს ბერგის ფეხებთან დავარდა.

LSR
Luftschutzraum:
ბომბსაფარი

ბიჭი ბურთს დაეუფლა, მოტრიალდა და ამ დროს ლიზელიც მიიჭრა ბურთთან — ბავშვები ისეთი ძალით შეასკდნენ ერთმანეთს, თამაში ავტომატურად შეწყდა. ბურთი გვერდზე გადაგორდა, მოთამაშეები დაედევნენ, ლიზელმა ცალი ხელი ნატკენ მუხლზე მიიდო, მეორე კი — თავზე. კლაუს

ბერგი მხოლოდ მარჯვენა წვივს იტკივებდა, იმანჭებოდა და ილანძღებოდა:

— სად არის? — გადააფურთხა, — მოვკლავ!

მკვლელობა არა.

უარესი მოხდა.

პარტიის ერთი გულკეთილი წევრი ინციდენტს შეესწრო, ჯგუფს გამოეყო და მოთამაშეებთან მივიდა:

— რა მოხდა? — იკითხა.

— ნამდვილი შეშლილია! — კლაუსმა თითი გაიშვირა ლიზელისკენ და კაცს ანიშნა, დაეხმარეთო, ისიც დაიხარა და ლიზელის ცხვირწინ თამბაქოს კვამლით გაჟღენთილი ქვიშიანი გორაკი წამოიმართა.

— არა მგონია, თამაშის გაგრძელება შეძლო, ჩემო გოგონა, — უთხრა კაცმა, — სად ცხოვრობ?

— მშვენივრად ვარ, — მიუგო ლიზელმა, — თავს ჩემითაც მივხედავ. — უბრალოდ, შემეშვით! შემეშვით-მეთქი!

აქ რუდიც გამოჩნდა, მარადიული არამკითხე მოამბე. ნუთუ არ შეეძლო, სხვის საქმეში ერთხელ მაინც არ ჩარეულიყო?

— რუდი, — უთხრა ლიზელმა, — თამაში გააგრძელე, დამიჯერე, ჩემითაც მშვენივრად წავალ შინ.

— არა, არა, — უკან არ დაიხია შტაინერმა, რა ჯიუტი ვინმე ბრძანდებოდა! — ორი წუთის საქმეა.

ლიზელმა ისევ დაძაბა გონება და ისევ მოიფიქრა. რუდიმ ხელი მოჰკიდა, წამოყენება სცადა, ის კი ისევ ზურგით დაეცა ძირს:

— მამა! — თქვა და დაინახა, რომ ცა სარკესავით მოწმენდილი იყო, ულრუბლო, — რუდი, შეგიძლია, მამაჩემს დაუძახო?

— აქ დარჩი, — თქვა რუდიმ და მარჯვნივ მდგარ ტომის გასძახა, — ტომი, ყურადღება მიაქციე, კარგი? არ წამოდგეს!

— კარგი, რუდი!

ტომი მაშინვე საქმეს შეუდგა. გოგონას მიუახლოვდა, სახე აუთამაშდა და სცადა, არ გაღიმებოდა, ლიზელი ამ დროს პარტიის წევრს არ აშორებდა თვალს.

ერთი წუთში ჰანს ჰუბერმანი მშვიდად დაადგა თავს.

— მამა!

ჰანსს იმედგაცრუების ღიმილი აუთამაშდა პირზე:

— სულ მეშინოდა, რომ დაეცემოდი.

წამოაყენა და შინ შეიყვანა. თამაში გრძელდებოდა, ნაცისტები კი უკვე სულ რამდენიმე სახლის მოშორებით იდგნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კარზე დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოხედა.

რუდიმ ჰანსს დაუძახა:

— დახმარება ხომ არ გჭირდებათ, ჰერ ჰუბერმან?

— არა, არა, თამაში განაგრძეთ, ჰერ შტაინერ! — „ჰერ შტაინერ". შეუძლებელია, ჰანს ჰუბერმანი არ შეგიყვარდეს.

შინ შევიდა თუ არა, ლიზელმა ახალი ამბავი ამცნო თავისიანებს, ეცადა, ოქროს შუალედი ეპოვა დუმილსა და სასოწარკვეთას შორის:

— მამა!

— ნუ ლაპარაკობ!

— პარტია. — დაიჩურჩულა გოგონამ. მამა შეჩერდა, კარს მიუახლოვდა და ქუჩას გახედა, — სარდაფებს ამოწმებენ, თავშესაფრებად რომ აქციონ.

ჰანსმა სკამზე დასვა:

— ჩემი ჭკვიანი გოგო! — თქვა და როზას უხმო.

სულ ერთი წუთი ჰქონდათ გეგმის შესამუშავებლად. აწეწილ-დაწეწილი ფიქრები.

— ლიზელის ოთახში ხომ არ შევიყვანოთ? — თქვა დედამ.

— საწოლის ქვეშ დავმალოთ?

— კი, მაგრამ ოთახიც რომ გაჩხრიკონ?

— უკეთესი გეგმა გაქვს?

შესწორება: წუთი აღარ ჰქონდათ.

ჰიმელ-სტრიტის ნომერ 33 სახლის კარზე შვიდჯერ დააკაკუნეს. უკვე გვიანი იყო, ვინმე სადმე რომ გადაეყვანათ.

ხმა.

— გააღეთ!

ერთმანეთზე შეხლილი გულისფეთქვა. არითმია. ლიზელმა სცადა, თავისი გული შეეჭამა. გემომ ვერაფრით ანუგეშა.

როზამ დაიჩურჩულა:

— იესო, მარიამ და იოსებ...

მამობილი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, სარდაფის კართან მივარდა და კიბიდან გადასძახა მაქსს, ფრთხილად ყოფილიყო, მერე შემობრუნდა და სწრაფად და შეუსვენებლივ წარმოთქვა:

— მისმინეთ, ოინების დრო აღარ გვაქვს, შეგვეძლო, ათასი სხვადასხვა ხერხი მოგვეფიქრებინა, მაგრამ ახლა ერთი გზაღა დაგვრჩა. — ჰანსმა თვალი შეავლო კარს და ნათქვამი შეაჯამა:

— არაფერი მოვიმოქმედოთ.

ეს ის არ იყო, რასაც როზა ელოდა, ქალს თვალები გაუფართოვდა.

— არაფერი? ხომ არ გაგიჟდი?

კარზე ისევ გაისმა კაკუნი.

მამა გამკაცრდა:

— არაფერი-მეთქი! არც კი ჩავყვებით ქვემოთ, მთელი სამყარო ფეხებზე გვკიდია!

ყველაფერი შენელდა ირგვლივ.

როზა მიუხვდა.

დაძაბულობისგან გაქვავებული გაემართა კარის გასაღებად.

— ლიზელ, — მამის ხმამ გული გაუსერა გოგონას, — უბრალოდ დამშვიდდი, verstehst?

— დიახ, მამა!

გოგონამ სცადა, ყურადღება დასისხლიანებულ მუხლზე გადაეტანა.

— ჰო!

კარში ჩამდგარი როზა სტუმრებს ეკითხებოდა, რამ შეგაწუხათო და სწორედ მაშინ, პარტიის კეთილმა წევრმა ლიზელი შენიშნა.

— შეშლილო ფეხბურთელო! — გაუცინა გოგონას, — მუხლი როგორ გაქვს?

ნაცისტური პარტიის წევრებზე ხალხს სულ სხვა წარმოდგენა აქვს, არადა, ეს კაცი ძალიან ხალისიანი ვინმე იყო, გოგონას მიუახლოვდა და ნატკენ ფეხს შეავლო თვალი.

„ნეტავ თუ ხვდება რამეს? — გაიფიქრა ლიზელმა, — იქნებ იყნოსა, ებრაელს რომ ვმალავთ?"

მამამ ნიჟარიდან სველი ნაჭერი ამოიღო, გაწურა და ლიზელს დაადო მუხლზე.

— გენვის? — მშვიდი და მზრუნველი ვერცხლის თვალები ჰქონდა, სულ ადვილად შეიძლებოდა, მათში ჩამდგარი შიში, ნატკენი ფეხისთვის დაებრალებინათ.

როზამ სამზარეულოდან გამოსძახა:

— რატომ უარესად არ იტკინა, ჭკუას მაინც ისწავლიდა!

პარტიის წევრი იდგა და იცინოდა:

— არა მგონია, ამ ბავშვმა ასე ისწავლოს ჭკუა, ფრაუ...

— ჰუბერმანი. — შემობაჯბაჯდა მუყაო.

— ...ფრაუ ჰუბერმან, დამიჯერეთ, იქით ასწავლის ჭკუას... — კაცმა ლიზელს გაულიმა, — ...იმ ბიჭებს. ასე არ არის, გოგონი?

მამობილმა ნაჭრით შეუხვია იარა და ლიზელი პასუხის ნაცვლად ტკივილისგან დაილმანჭა. ისევ ჰანსმა დაილაპარაკა, ჩუმად მოუბოდიშა გოგონას.

შემდეგ უხერხული დუმილი ჩამოვარდა და პარტიის წევრს გაახსენდა, რისთვის იყო მოსული:

— წინააღმდეგი თუ არა ხართ, — უთხრა ჰუბერმანებს, — თქვენს სარდაფს შევამოწმებ, სულ ერთი-ორი წუთი დამჭირდება, ვნახავ, თავშესაფრად გამოდგება თუ არა.

მამა უკანასკნელად შეეხო მუხლს:

— ლიზელ, გვარიანად დაგილურჯდება ფეხი. — შემდეგ კი სარდაფში ჩასასვლელი გზა ასწავლა კაცს, — რა თქმა უნდა, პირველი კარია, მარჯვნივ, მაპატიეთ, ცოტა არეულია იქაურობა.

— ეგ არაფერი, დღეს ისეთი სარდაფები ვნახე, ვერაფრით გამაკვირვებთ. ეს კარია?

— დიახ.

ყველაზე გრძელი სამი წუთი ჰუბერმანების ცხოვრებაში

მამა მაგიდასთან იჯდა, როზა კუთხეში ლოცულობდა და უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს.
ლიზელი თუხთუხებდა: მუხლი, გულმკერდი, ხელის კუნთები.
ვეჭვობ, რომელიმე მათგანს იმაზე ეფიქრა, რას იზამდნენ, შემოწმების შემდეგ მათი სარდაფი თავშესაფრად ვარგისი თუ აღმოჩნდებოდა.
ახლა მთავარი იყო, გადარჩენილიყვნენ.

სამივე ჩუმად უგდებდა ყურს ნაცისტის ნაბიჯების ხმას. ქვემოდან საზომი ლენტის შრიალი ისმოდა. ლიზელმა ვერაფრით ამოიგდო თავიდან მაქს ვანდენბურგზე ფიქრი, ის ხომ ალბათ ახლა კიბის ქვეშ იჯდა და გულში თავისი ნახატებიანი წიგნი ჰქონდა ჩახუტებული.

მამა წამოდგა, კიდევ ერთი აზრი მოუვიდა თავში.

დერეფნისკენ გაემართა და სტუმარს ჩასძახა:

— ყველაფერი რიგზეა?

— ალბათ კიდევ ერთი წუთი დამჭირდება!

— ყავას ან ჩაის ხომ არ ინებებთ?

— არა, გმადლობთ!

ჰანსი რომ დაბრუნდა, ლიზელს უბრძანა, წიგნი მოიტანეო, როზა კი სადილის მზადებას შეუდგა. მამის აზრით, ყველაზე უარესი ის იქნებოდა, გულხელდაკრეფილი მსხდარიყვნენ და ენერვიულათ.

— მიდი, - უთხრა ხმამაღლა, — ლიზელ, გაინძერი, მერერა, რომ მუხლი გტკივა, ამბობდი, ამ წიგნის კითხვა დღეს უნდა დავასრულოო!

ლიზელმა ძალა მოიკრიბა:

— დიახ, მამა!

— მაშ, რაღას ელოდები? — ლიზელი მიხვდა, მამამ გაჭირვებით ჩაუკრა თვალი.

დერეფანში კინაღამ დაეჯახა პარტიის წევრს.

— მამა გეჩხუბება, არა? ეგ არაფერი, მეც ვუჯავრდები ხოლმე შვილებს.

შემდეგ ორივემ თავის საქმეს მიხედა, ლიზელი ოთახში შევიდა, კარი მიხურა და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მტკივნეული იყო, მუხლებზე დაეშვა.

თავიდან გაიგონა, რა განაჩენი გამოუტანეს სარდაფს: აღმოჩნდა, რომ თავშესაფრისთვის ძალიან დაბალი იყო. შემდეგ გამოსამშვიდობებელი სიტყვებიც მოესმა დერეფნიდან, მას მიმართავდნენ:

— ნახვამდის, შეშლილო ფეხბურთელო!

გოგონა გამოერკვა:

— Auf Wiedersehen! ნახვამდის!

„სიზმრების დამტარებელი" ხელში ჩაადნა.

მამის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც კი პარტიის წევრი წავიდა, როზა ქურასთან ჩამოდნა. დედობილ-მამობილმა ლიზელს მოჰკიდა ხელი და სარდაფში ჩავიდნენ, ლამაზად დალაგებული ბიაზის ნაჭრები და საღებავის ქილები რომ გაეწიათ. მაქს ვანდენბურგი კიბის ქვეშ იჯდა და დანასავით მოემარჯვებინა ჟანგიანი მაკრატელი. იღლიები სულ სველი ჰქონდა, სიტყვები წყლულებივით მოსწყდა ბაგეებიდან.

— გამოყენებას არ ვაპირებდი. — თქვა მშვიდად, — მე... — ჟანგისგან დასვრილი ხელები შუბლზე მიიდო, — ...მაპატიეთ, ასე რომ განერვიულეთ.

მამამ სიგარეტს მოუკიდა. როზამ მაკრატელი გამოართვა.

— მთავარია, რომ შენც ცოცხალი ხარ და ჩვენც.

რაღა დროს ბოდიშის მოხდა იყო.

„შმუნცელერი"[37]

ერთი წუთის შემდეგ კარზე ისევ გაისმა კაკუნი.

— ღმერთო, დიდებულო, კიდევ!

ისევ შიშმა აიტანა. მაქსი გადამალეს.

როზა სარდაფის კიბეს ბაჯბაჯით აუყვა, მაგრამ კარი რომ გააღო, ნაცისტი კი არა, არც მეტი, არც ნაკლები, რუდი დაინახა, ყვითელთავა, მოლიმარი ბიჭი.

---

[37] *მომდინარეობს გერმანული სიტყვიდან* schmunzeln *— ჩაცინება.*

— მინდოდა მენახა, ლიზელი როგორ არის.

ხმა გაიგონა თუ არა, ლიზელი კიბეს აუყვა:

— ამას მე მივხედავ!

— თაყვანისმცემელმა მოაკითხა, — აუხსნა მამამ საღებავის ქილებს და კვამლის კიდევ ერთი რგოლი გამოუშვა.

— სულაც არ არის ჩემი თაყვანისმცემელი, — შეეკამათა ლიზელი, მაგრამ არ გაღიზიანებულა, ამხელა განსაცდელის გადატანის შემდეგ ეს შეუძლებელიც იყო. — იმიტომ მივდივარ, დედა რომ არ აყვირდეს.

— ლიზელ!

— გესმით? — გოგონა კიბის მეხუთე საფეხურზე იდგა.

კარამდე რომ მივიდა, რუდიმ ფეხი ფეხს მოუნაცვლა.

— მინდოდა, მენახა... — გაჩერდა, — რა სუნია, — ჰაერი შეიყნოსა, — სიგარეტს ეწეოდი?

— ოჰ, მამის გვერდით ვიჯექი!

— გაქვთ სიგარეტი? გავყიდდით.

ლიზელი ამის ხასიათზე არ იყო, ხმადაბლა ლაპარაკობდა, დედას რომ არ გაეგონა.

— მამას არ ვპარავ ხოლმე.

— სხვაგან უკან არ იხევ.

— იქნებ უფრო აუწიო ხმას!

რუდიმ ჩაიცინა:

— ხედავ, რა დაგმართა ქურდობამ? სულ ნერვიულობ.

— თორემ შენ არაფერი მოგიპარავს!

— მომიპარავს, მაგრამ შენ პირდაპირ ყარხარ ქურდობის სუნად, — რუდიმ აფრები აუშვა. — იქნებ სულაც სიგარეტის კი არა, დანაშაულის სუნი აგდის, — რუდი გოგონას მიუახლოვდა და გაიღიმა, — აბაზანა უნდა მიიღო! — შემდეგ ტომი მიულერს გასძახა, — ტომი, მოდი, შენც დაყნოსე!

— რაო, რას ამბობ? — როგორ უნდა გქონოდა კაცს ტომის იმედი! — არაფერი მესმის!

რუდიმ თავით ანიშნა ლიზელზე:

— დიდი უვარგისი ვინმეა!

ლიზელმა მიაძახა:

— მოშორდი აქაურობას, ღორიშვილო, ახლა ყველაზე ნაკლებად შენ მჭირდები, — და კარი დახურა.

თავისი საქციელით უზომოდ კმაყოფილი რუდი ქუჩას დაუბრუნდა, მაგრამ საფოსტო ყუთს რომ მიუახლოვდა, გაახსენდა, რის გაგებას აპირებდა და მიტრიალდა:

— Alles gut, ღორუკელა? ნატკენ მუხლზე გეკითხები.

ივნისი. გერმანია. ცოტაც და ირგვლივ ყველაფერი განადგურდება.

ლიზელმა ეს არ იცის. მის სარდაფში დამალულ ებრაელს ვერ მიაგნეს. დედობილ-მამობილი არსად წაუყვანიათ. და ამ ყველაფერში ლომის წილი მას მიუძღვის.

— ყველაფერი კარგადაა, — უთხრა გოგონამ რუდის და ნატკენზე სიტყვაც აღარ დაუძრავს.

შესანიშნავად გრძნობდა თავს.

სიკვდილის დღიური: პარიზელები

ზაფხული დადგა.
წიგნის ქურდს საქმეები მშვენივრად მისდიოდა.
ჩემთვის ცა ებრაელების ფერი იყო.

როცა მათი სხეულები ნანგრევებიდან გამოძრომას აღარ ცდილობდნენ, სულები ამბოხს იწყებდნენ. ფრჩხილები კაწრავდნენ ხეებს, ზოგიერთი სასოწარკვეთისგან შიგ ესობოდა. სულები კი პირდაპირ მკლავებში მივარდებოდნენ, შემდეგ ერთად ვცდილობდით საშხაპეებიდან ამოძრომას, სახურავებზე ასვლას და მარადისობის საიმედო სივრცეს ვუერთდებოდით. შეუწყვეტლად მამარაგებდნენ, წუთობით. ერთი საშხაპიდან, მეორიდან.

არასოდეს დამავიწყდება პირველი დღე აუშვიცში, ან მაუთაუზენში. იქაც, მაუთაუზენში, ხშირად მაღალი ხევის ძირში ვნახულობდი მათ, ვინც ვერ გაიქცა. მათი დალეწილი სხეულები და დაფლეთილი, სათუთი გულები ირგვლივ ეყარა. და მაინც, ასეთი სიკვდილი სჯობდა გაზით გაგუდვას. რამდენიმე იმ დროს დავიჭირე, ხევში რომ გადაფრინდა. ვფიქრობდი, გადავარჩინე-მეთქი, სანამ მათი არსების დარჩენილი ნაწილი, ხორციელი გარსი, ძირს დაენარცხებოდა. ფუყე კაკალივით მსუბუქები იყვნენ. იმ ადგილებში კვამლიანი ცა იყო, კვამლის სუნი იდგა და მაინც ციოდა.

რომ მახსენდება, ახლაც მაკანკალებს. ვცდილობ, ამოვშალო მეხსიერებიდან.

თბილ სულს ვუბერავ ხელებს, იქნებ გამითბეს.

მაგრამ ძნელია გათბე, როცა სულები ჯერ ისევ ცახცახებენ.

— ღმერთო!

ამაზე რომ ვფიქრობ, სულ მის სახელს ვახსენებ:

— ღმერთო!

ორჯერ წარმოვთქვამ.

მინდა, ყველაფერს ჩავწვდე. „მაგრამ ეს შენ არ გეხება, — ვპასუხობ საკუთარ თავს, — ღმერთი არასოდეს არაფერს ამბობს, გგონიათ, მარტო თქვენ არ გპასუხობთ კითხვებზე?"

„შენი საქმეა"... — და აქ ვწყვეტ საკუთარი თავის მოსმენას, დამღალა უკვე. ასეთ ფიქრებს რომ მივეცემი ხოლმე, ერთიანად მეცლება ძალა, არადა, სად მაქვს იმის ფუფუნება, დავიღალო. საქმე მელოდება, რადგან მართალია, მთელი მსოფლიოსთვის არა, მაგრამ დიდი უმრავლესობისთვის ასეა — სიკვდილი არასოდეს იგვიანებს, და თუ მაინც ასე მოხდა — მხოლოდ ცოტა ხნით.

1942 წლის 23 ივნისს ფრანგი ებრაელები პოლონეთის მინაზე გერმანულ სატუსაღოში მოხვდნენ. პირველი, რომელიც თან წავიყვანე, კართან ახლოს იდგა, თავში ათასი აზრი უტრიალებდა, ნაბიჯი გადადგა, ნელა. ძალიან ნელა.

დამიჯერეთ, იმ დღეს თითოეული სული ჩვილივით ავიტატე, რამდენიმეს ნატანჯ, მოწამლულ ლოყაზეც ვაკოცე, მოვუსმინე უკანასკნელ, სულისშემძვრელ კივილს, ფრანგულ სიტყვებს, ვუცქირე სიყვარულის ხილვებს და შიშისაგან გავათავისუფლე ისინი.

ყველა წავიყვანე და მივხვდი, რომ ყურადღების სხვა რამეზე გადატანა მჭირდებოდა. განადგურებულმა ზემოთ ავიხედე, ვერცხლისფერი ცისკენ, რომელიც უცბად განაცრისფრდა და წვიმის ფერი დაედო. ღრუბლებიც კი სხვაგან ცდილობდნენ გახედვას.

ზოგჯერ მინდოდა, წარმომედგინა, რა შეიძლება ყოფილიყო იმ ღრუბლებს მიღმა და კითხვის დასმაც არ მჭირდებოდა, იქ მზის ქერა დალალები იქნებოდა, უსასრულობა და გიგანტური ცისფერი თვალი.

ისინი ფრანგები იყვნენ. ისინი ებრაელები იყვნენ. ისინი თქვენ იყავით.

ნაწილი მეშვიდე

დუდენის ლექსიკონი და თეზაურუსი[38]

მონაწილეობენ:

შამპანური და აკორდეონები — ტრილოგია — რამდენიმე სირენა — ცის გამტაცებელი — შეთავაზება — გრძელი გზა დაჰაუმდე — სიმშვიდე — იდიოტი — რამდენიმე მოსასხამიანი კაცი.

[38] *ამა თუ იმ ენის ლექსიკის სრული მარაგი, სრული ლექსიკონი.*

შამპანური და აკორდეონები

1942 წლის ზაფხულში ქალაქი მოლკინგი გარდუვალობისთვის ემზადებოდა. ჯერ კიდევ იყვნენ ისეთები, რომლებსაც არ უნდოდათ დაეჯერებინათ, მიუნხენის განაპირას მდებარე პატარა დასახლება სამიზნედ რომ შეიძლებოდა ქცეულიყო, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხვდებოდა, დაიბომბებოდნენ, უბრალოდ, არ იცოდნენ, როდის. ღამით ფანჯრების შენიღბვა დაიწყეს, თავშესაფრები ზუსტად მონიშნეს, უკვე იცოდნენ, სად იყო უახლოესი სარდაფი თუ ბომბსაფარი.

ჰანს ჰუბერმანს კი ამ რთულმა დროებამ ცოტა სული მოათქმევინა. უილბლობის ჟამს ბედმა გაულიმა და სამღებრო სამუშაოები გაუჩნდა. დარაბებიანი სახლების მეპატრონეები სასოწარკვეთილნი ცდილობდნენ, დახმარება მღებავისთვის ეთხოვათ, უბრალოდ, ერთი პრობლემა გაჩნდა, როგორც წესი, შავი საღებავი მხოლოდ გასაზავებლად გამოიყენებოდა, მისი მეშვეობით სხვა ფერებს ამუქებდნენ, მარაგი მალე ამოიწურა და შოვნა გაძნელდა. თუმცა, ჰანსი კარგი ხელოსანი იყო, კარგ ხელოსანს კი მოხერხება არ აკლია, მან ნახშირის მტვერი გამოიყენა ფერის გასაზავებლად, მასალა უფრო იაფიც დაუჯდა და მოლკინგის სხვადასხვა ნაწილში ბევრი ფანჯარა დაუმალა მტრის თვალს.

მუშაობისას ხანდახან მამას ლიზელიც თან ახლდა ხოლმე.

ქალაქში დაატარებდნენ საღებავების ქილებით დატვირთულ ორთვალას, ზოგიერთ ქუჩაში შიმშილის სუნი სცემდათ, ზოგან კი მდიდრებს ხედავდნენ და თავებს დანანებით იქნევდნენ. ბევრჯერ, შინ მიმავლებს, ქალები დაედევნებოდნენ,

რომლებსაც არაფერი გააჩნდათ ბავშვებისა და სილარიბის გარდა და ემუდარებოდნენ, მათი დარაბებიც შეეღებათ.

– ფრაუ ჰალა, ვწუხვარ, მაგრამ შავი საღებავი აღარ დამრჩა, — იტყოდა ჰანსი, მაგრამ ცოტას რომ გაივლიდა, ნებდებოდა. მაღალი მამაკაცი გრძელ ქუჩაში. — ხვალ, — შეჰპირდებოდა, — პირველ რიგში შეგიღებავთ, — მეორე დილით კი, მზის ამოსვლისთანავე, სრულიად უსასყიდლოდ, ანდა ორცხობილისა თუ ჭიქა თბილი ჩაის სანაცვლოდ იწყებდა მუშაობას. წინა ღამით ეპოვა ცისფერი, მწვანე თუ კრემისფერი საღებავის გაშავების ახალი ხერხი.

ჰანსი არასოდეს ურჩევდა იმ ადამიანებს, ფანჯრები სათადარიგო საბნებით შეენიღბათ, კარგად იცოდა, ზამთარში აუცილებლად დასჭირდებოდათ. ცნობილია, რომ საქმეს ხანდახან ნახევარი ღერი სიგარეტის ფასად შეუდგებოდა ხოლმე. იჯდა სახლის წინ, კიბეზე და კლიენტთან ერთად ეწეოდა საზიარო ღერს. სანამ მომდევნო სახლის დარაბების ღებვას შეუდგებოდა, საუბრისას, კვამლთან ერთად, სიცილის ხმა ადიოდა ცაში.

ლიზელ მემინგერმა წერა რომ დაიწყო, კარგად მახსოვს, როგორ აღწერა ის ზაფხული. ათწლეულების მანძილზე სიტყვები გაფერმკრთალდა, მოსასხამის ერთი ჯიბიდან მეორეში გადატანამ ქაღალდიც გაცვითა, მაგრამ შეუძლებელია, რამდენიმე წინადადების დავიწყება ოდესმე შევძლო:

მაგალითისთვის, გოგონას დაწერილი რამდენიმე სიტყვა.

ის ზაფხული ახალი დასაწყისი იყო. ახალი დასასრული.

უკან რომ მივიხედავ, მახსენდება ჩემი საღებავიანი, სრიალა ხელები, მამის ფეხის ხმა მიუნხენის ქუჩაზე და ვიცი, რომ 1942 წლის ზაფხულის ნაწილი მხოლოდ ერთ კაცს ეკუთვნოდა.

აბა, სხვა ვინ შეასრულებდა სამღებრო სამუშაოებს ნახევარი ღერი სიგარეტის ფასად? მხოლოდ მამა.

ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო და
მე ის მიყვარდა.

ყოველდღე, მუშაობისას ჰანსი ლიზელს თავის ამბებს უყვებოდა. დიდ ომზე, უბადრუკ ხელწერაზე, სიკვდილისგან რომ იხსნა და იმ დღეზე, დედა რომ გაიცნო, ამბობდა, ოდესღაც ლამაზი იყო და ძალიან მშვიდი საუბარი იცოდაო.

— ვიცი, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს წმინდა წყლის სიმართლეა.

ყოველდღე უყვებოდა და ლიზელიც პატიობდა, ხანდახან, ერთსა და იმავეს თუ იმეორებდა.

სხვა დროს ოცნებაში წასულ ლიზელს მამა ფუნჯს მსუბუქად შეახებდა ხოლმე პირდაპირ თვალებს შორის, თუ სწორად ვერ გათვლიდა და ცოტა მეტ საღებავს ამოიღებდა, გოგოს წვრილად ჩამოუვიდოდა ხოლმე ცხვირზე. ისიც იცინოდა და ცდილობდა, სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ჰანს ჰუბერმანის მოხელთება ძნელი იყო, მუშაობისას საოცარი გამოცოცხლება იცოდა.

საჭმელად ან დასალევად რომ შეისვენებდნენ ხოლმე, ჰანსი აკორდეონს უკრავდა და ლიზელსაც ყველაზე კარგად ეს დაამახსოვრდა. ყოველ დილით, სანამ მამა დატვირთულ ორთვალას მიაგორებდა, ლიზელს ინსტრუმენტი მიჰქონდა.

— უმუსიკოდ დარჩენას მირჩევნია, საღებავი დამრჩეს შინ, — ეტყოდა ხოლმე გოგონას.

შესვენებაზე პურის ნაჭერს მოუჭრიდა და ზედ სასურსათო ბარათით ნაყიდ ჯემის ნარჩენებს უსვამდა ან ხორცის ციცქნა ნაჭერს ადებდა. ერთად ილუკმებოდნენ, ისხდნენ საღებავების ქილებზე, პირგამოტენილები, ჯერ ისევ უკანასკნელ ლუკმას ღეჭავდნენ, ჰანსი კი უკვე თითებს იწმენდდა და აკორდეონის ყუთს ხსნიდა.

ჰანსს სამუშაო ტანსაცმლის ნაკეცებში პურის ნამცეცები რჩებოდა, საღებავით დალაქავებულ თითებს ათამაშებდა ღილაკებსა თუ კლავიშებზე, ნოტებს იღებდა და მკლავების მოძრაობით ინსტრუმენტში საჭირო ჰაერს ჰბერავდა, რომ აეხმიანებინა.

ლიზელი მამას ყოველთვის გვერდით ეჯდა, მზის გრძელფეხება შუქში, ხელებს მუხლებზე შემოიხვევდა, უნდოდა, ის დღე არასოდეს დასრულებულიყო და იმედგაცრუებული ხვდებოდა სიბნელის ჩამოწოლას.

ღებვაზე მეტად, ლიზელს ფერების შერევა აინტერესებდა, ადამიანების უმეტესობის მსგავსად, მასაც ეგონა, მამა საღებავების ან რკინა-კავეულის მაღაზიასთან მიაგორებდა ორთვალას და საჭირო ფერს შეიძენდა. არ იცოდა, საღებავებს მყარ აგურებად რომ ყიდდნენ. ხელოსნები იმ აგურებზე შამპანურის ბოთლს გადაატარებდნენ ხოლმე და ფშვნიდნენ (ჰანსმა აუხსნა, შამპანურის ბოთლი იდეალურია ამ საქმისთვის, ის უფრო სქელი შუშისგან მზადდება, ვიდრე ჩვეულებრივი ღვინის ბოთლიო), შემდეგ კი წყალს, ცარცსა და წებოს უმატებდნენ. აღარაფერს ვამბობ ფერის დაყენების რთულ პროცესზე.

ხელობის დეტალების გაცნობამ გოგონას მამის მიმართ პატივისცემა გაუღრმავა. ერთად დაპურებასა და მუსიკის მოსმენას არაფერი სჯობდა, მაგრამ ისიც ძალიან ახარებდა, ჰანსი პროფესიონალი რომ აღმოჩნდა, საქმის კარგად ცოდნას რა შეედრებოდა.

ერთ შუადღეს, მიუნხენის ქუჩაზე, შედარებით მდიდრულ უბანში მუშაობდნენ. რამდენიმე დღის წინ მამამ ფერების შეზავების საიდუმლო გაუმხილა.

სადილობისას ჰანსმა ლიზელს დაუძახა, სახლში შემოდიო; ის იყო, სხვა სამუშაოს შესასრულებლად უნდა წასულიყვნენ, მამის უჩვეულოდ მაღალი ხმა რომ მოესმა.

სამზარეულოში შეუძღვნენ, სადაც ორი ხნიერი ქალი და ერთი მამაკაცი დახვეწილ, მეტისმეტად კულტურულ სკამებზე ისხდნენ. ქალბატონებს გემოვნებით ეცვათ, მამაკაცს კი თეთრი თმა და გაბურძგნილი ბაკენბარდები ამშვენებდა. მაგიდაზე მაღალი ჭიქები იდგა, მათში შუშხუნა სითხე ესხა.

— აბა, — წარმოთქვა მამაკაცმა, — გთხოვთ!

მასპინძელმა ჭიქა აიღო და დანარჩენებმაც მას მიჰბაძეს. თბილი შუადღე იდგა. ლიზელი, ცოტა არ იყოს, ჭიქის სიგრილემ შეაშფოთა, მამას გახედა ნებართვის ასაღებად. ჰანსმა გაიცინა და უთხრა:

— Prost, Mädel, — გაგიმარჯოს, გოგონი! — ჭიქები მიუჭახუნეს. როგორც კი სასმისი პირთან მიიტანა, შამპანურის შუშხუნა, გულისამრევად ტკბილმა გემომ მაშინვე ენაზე უკბინა, რეფლექსმა აიძულა, გადმოეფურთხებინა და დაი-

ნახა, ქაფიანი სითხე ჰანსს სამუშაო ტანსაცმელზე წვრილად რომ ჩამოუვიდა. ამას ოთახში მყოფთა მოკრძალებული სიცილი მოჰყვა, ჰანსმა ლიზელი გაამხნევა, ხელახლა მოესვა ერთი ყლუპი. როგორც იქნა, გადაყლაპა, დარღვეული წესის დიდებული გემოთი დატკბა, თავი შესანიშნავად იგრძნო, ენაზე დაგროვებული ბუშტები გადაყლაპა და მათაც კუჭი დაუჩხვლიტა. სხვა ოჯახისკენ რომ მიდიოდნენ სამუშაოდ, გოგონა ისევ გრძნობდა ქინძისთავებისა და ნემსების სითბოს.

მამამ, რომელიც ორთვალას მიაგორებდა, ლიზელს უთხრა, გამომიცხადეს, ფული არ გვაქვსო.

— და შენ შამპანური მოსთხოვე?

— რატომაც არა? — ჰანსმა გოგონას შეხედა. ასეთი ვერცხლისფერი თვალები არასოდეს ჰქონია. — არ მინდოდა, გეფიქრა, რომ შამპანურის ბოთლები მხოლოდ საღებავის დასაფშვნელად გამოდგება, — შემდეგ გააფრთხილა, — იცოდე, დედას არაფერი უთხრა, კარგი?

— მაქსს რომ ვუთხრა, შეიძლება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

სარდაფში, თავისი ცხოვრების შესახებ წერა რომ დაიწყო, ლიზელმა ფიცი დადო, შამპანურს აღარასოდეს დავლევო, რადგან მას აღარასოდეს ექნებოდა ისეთი გემო, როგორც ივლისის იმ თბილ შუადღეს.

აკორდეონის ამბავიც ასე იყო.

გოგონას ბევრჯერ უნდოდა, მამისთვის ეთქვა, დაკვრა ესწავლებინა მისთვის, მაგრამ ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს. ალბათ ინტუიციით გრძნობდა, რომ ჰანს ჰუბერმანივით დაკვრას ვერასოდეს შეძლებდა. დარწმუნებული იყავით, ის მსოფლიოს საუკეთესო აკორდეონისტებსაც კი ერჩივნა, რადგან ისინი არასოდეს დაუკრავდნენ ასე ლაღად, მთელი ყურადღებით და პირშიც არასოდეს ექნებოდათ გაჩრილი სამღებრო სამუშაოების საფასურად მიღებული სიგარეტი, არასოდეს შეეშლებოდათ ნოტი და მის გამოსასწორებლად სამნოტიან სიცილს არ მიაყოლებდნენ ზედ. ისინი მამასავით დაკვრას ვერ შეძლებდნენ.

სარდაფში ჩასულს და ჩაძინებულს დროდადრო აკორდეონის ხმა ჩაესმოდა ყურში და გამოღვიძებული, ენაზე ისევ გრძნობდა შამპანურისგან დატოვებულ ტკბილ წვას.

ზოგჯერ, კედელს მიყრდნობილი, ნატრობდა, ერთხელაც შეხებოდა ცხვირზე მამის თბილი, საღებავიანი თითი ან მისი ზუმფარის ქაღალდივით უხეში ხელები დაენახა.

ნეტავ ძველებურად უდარდელი ყოფილიყო და ისევ შეეგრძნო სიყვარული, რომელსაც უწინ ბოლომდე ვერ აღიქვამდა და სიცილსა და პურზე ნასმული ჯემის სუნში ერეოდა.

ის იყო საუკეთესო დრო მის ცხოვრებაში.

მაგრამ იმავე დროს ბომბების ხალიჩების დროც გახლდათ.

არ შეგეშალოთ.

თამამი და კაშკაშა ბედნიერების ტრილოგია, ზაფხულიდან შემოდგომამდე გასტანს და უცებ დასრულდება. სიკაშკაშეს ტანჯვა შეცვლის.

ძნელბედობა ახლოვდებოდა.

მწყობრი სვლით.

დუდენის ლექსიკონი, მნიშვნელობა №1

Zufriedenheit — ბედნიერება:

ნაწარმოებია სიტყვისგან ბედნიერი — სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდა.

აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები: სიხარული, კმაყოფილება, ილბალი, წარმატება.

ტრილოგია

ლიზელი რომ მუშაობდა, რუდი დარბოდა.

„ჰუბერტის ოვალს“ წრეს არტყამდა, კორპუსებს გარს ურბენდა, ჰიმელ-სტრიტიდან ფრაუ დილერის მაღაზიამდე განურჩევლად ყველას ეჯიბრებოდა და სხვადასხვანაირ ფორას აძლევდა.

იშვიათად, როცა ლიზელი დედას სამზარეულოში ეხმარებოდა ხოლმე, როზა ფანჯრიდან იხედებოდა და ამბობდა:

— იმ პატარა ლორიშვილმა, ნეტავ, ამჯერად რაღა მოიფიქრა, რას დარბის აქეთ-იქით?

ლიზელი ფანჯარას უახლოვდებოდა:

— კიდევ კარგი, შავად რომ აღარ აქვს სახე შელებილი.

— ესეც საქმეა, არა?

რუდის მიზნები

აგვისტოს შუა რიცხვებში „ჰიტლერიუგენდელების“ ფესტივალი ტარდებოდა, რუდის ოთხი გამარჯვება სჭირდებოდა — ათასხუთასმეტრიან, ოთხასმეტრიან, ორასმეტრიან და, რა თქმა უნდა, ასმეტრიან დისტანციებზე.

ბიჭს „ჰიტლერიუგენდის“ დივიზიის ახალი ლიდერები მოსწონდა, სურდა, მათთვის ესიამოვნებინა და ძველი მეგობრისთვის,

ფრანც დოიჩერისთვისაც ეჩვენებინა,

რა შეეძლო.

— ოთხი ოქროს მედალი, — უთხრა ერთ დღეს ლიზელს, ერთად რომ ურბენდნენ „ჰუბერტის ოვალს“ — ჯესი ოუენსივით, ოცდათექვსმეტი წლის ოლიმპიადაზე.

— ისევ მაგ ოუენსზე გეკეტება ჭკუა?

რუდიმ ფეხი შეუწყო სუნთქვას:

— არა, მაგრამ მაინც კარგი იქნებოდა, არა? აი, მაშინ ვაჩვენებდი სეირს იმ ნაბიჭვრებს, გიჟად რომ მთვლიან, მიხვდებოდნენ, სულელი რომ არ ვარ.

— მაგრამ, ნამდვილად შეძლებ ოთხივე შეჯიბრების მოგებას?

ბავშვებმა სირბილი ცოტა შეანელეს და ბილიკის ბოლოში შეჩერდნენ, რუდიმ დოინჯი შემოიყარა:

— უნდა შევძლო.

შტაინერი ექვსი კვირა ვარჯიშობდა, აგვისტოს შუა რიცხვებში კი, შეჯიბრების დღე რომ დადგა, უღრუბლო ცაზე მცხუნვარე მზე ანათებდა. ბალახი „ჰიტლერიუგენდელებმა“, მათმა მშობლებმა და ყავისფერპერანგიანმა ლიდერებმა გადათელეს.

რუდი შტაინერი შესანიშნავ ფორმაში იყო.

— შეხედე, — აჩვენა ლიზელს, — აი, დოიჩერიც.

ჯგუფებად მდგარ ბრბოში სტანდარტული „ჰიტლერიუგენდელის“ განსახიერება, ქერა ლიდერი, ორ ნევრს მითითებებს აძლევდა, ისინიც თავს უქნევდნენ და დროდადრო განზე იწევდნენ. ერთმა მზისგან თვალის მოსაჩრდილებლად ისე ასწია ხელი, თითქოს ესალმებოდა.

— გინდა, მიესალმო? — ჰკითხა ლიზელმა.

— არა, გმადლობ, მოგვიანებით.

როცა გავიმარჯვებ.

რუდის ხმამაღლა არაფერი უთქვამს, მაგრამ ეს სიტყვები სადღაც, რუდის ცისფერ თვალებსა და დოიჩერის მითითებებისთვის აღმართულ მარჯვენას შორის დაეკიდა.

ჯერ იყო სავალდებულო მარში სტადიონის გარშემო.

ჰიმნი.

„ჰაილ ჰიტლერ!“

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა დაწყება.

რუდის ასაკობრივ კატეგორიას ათას ხუთასი მეტრის გასარბენად რომ უხმეს, ლიზელმა მეგობარს გერმანული ჩვეულებისამებრ უსურვა წარმატება:

— Hals und Beinbruch, Saukerl.

კისერიც გიტეხია, ლორიშვილოო, უთხრა.

ბიჭები წრიული მოედნის ბოლოში განლაგდნენ.

ზოგი კუნთებს ავარჯიშებდა, ზოგიც ყურადღების მოკრებას ცდილობდა, დანარჩენები კი მხოლოდ იმიტომ იდგნენ, რომ ვალდებულები იყვნენ.

ლიზელის გვერდით რუდის დედა, ბარბრა იჯდა უმცროს შვილებთან ერთად, თხელი საბანი ბავშვებით და მოგლეჯილი ბალახით იყო მოფენილი.

— ხედავთ რუდის? — ჰკითხა ქალმა მათ, — მარცხენა მხრიდან პირველი დგას. — ბარბრა შტაინერი კეთილი ქალი იყო, თმა ყოველთვის ისე ჰქონდა, თითქოს ის-ის იყო, დაევარცხნა.

— აბა, სად? — თქვა ერთ-ერთმა გოგონამ, ალბათ ბეტინამ, ნაბოლარამ. — საერთოდ ვერ ვხედავ.

— აი, ბოლოში დგას. მანდ არა, იქით.

ოჯახის წევრები ჯერ კიდევ რუდის ამოცნობას ცდილობდნენ შეჯიბრების მონაწილეებში, როცა სასტარტო პისტოლეტის ხმა გაისმა და კვამლი ავარდა. უმცროსი შტაინერები ღობეს მისცვივდნენ.

პირველ წრეზე შვიდი ბიჭი ლიდერობდა, მეორეზე ხუთი, უკანასკნელზე კი — ოთხი. უკანასკნელი წრის გარდა რუდი სულ მეოთხე იყო. მარჯვნივ მდგარმა კაცმა თქვა, საუკეთესო ის ბიჭია, მეორე რომ მირბისო. ის ბიჭი ყველაზე მაღალი გახლდათ.

— მოიცადე, — უთხრა დაბნეულ ცოლს, — ბოლო ორასი მეტრი რომ დარჩება, ყველას გაასწრებს.

შეცდა.

ვეება, ყავისფერპერანგიანმა მოხელემ მოასპარეზეებს აუწყა, ბოლო წრე დაგრჩათო. სურსათის რაციონის შემცირებას მასზე სრულებით არ ემოქმედა. მერე კი, ლიდერების ჯგუფმა ხაზი რომ გადაკვეთა, უცებ დაიყვირა. ამასობაში

მეორემ კი არა, მეოთხე მორბენალმა გაასწრო დანარჩენებს და თანაც, მთელი ორასი მეტრით.

რუდი წარმოუდგენლად სწრაფად გარბოდა.

უკან არც კი მიუხედავს.

დაჭიმული თოკივით იწელებოდა მანძილი რუდისა და გამარჯვების სხვა კანდიდატებს შორის და სანამ ის შეუსვენებლივ მიიწევდა წინ, ჩამორჩენილმა სამმა მორბენალმა ერთმანეთს დაუწყო მუჯლუგუნების კვრა. წინ მხოლოდ ქერა თმა და სივრცე იყო. რუდიმ საფინიშო ხაზი რომ გადაკვეთა, არ შეჩერებულა, არც ხელი აღუმართავს, არც წელში მოხრილა სულის მოსათქმელად, უბრალოდ, კიდევ გაირბინა ოციოდე მეტრი და სხვათა შორის გახედა დანარჩენებს, რომ დაენახა, როგორ მივიდოდნენ ფინიშამდე.

ოჯახისკენ რომ გაემართა, ჯერ თავის ლიდერებს გადაეყარა, შემდეგ კი ფრანც დოიჩერს. ბიჭებმა თავი დაუკრეს ერთმანეთს.

— შტაინერ.

— დოიჩერ.

— გამოდის, ტყუილად არ გარტყმევინებდი წრეებს მოედნის გარშემო, არა?

— ალბათ.

რუდი არ გაილიმებდა, სანამ ოთხივე დისტანციას არ მოიგებდა.

ცნობისათვის, რამდენიმე ფაქტი

რუდი ამის შემდეგ მარტო კარგ მოსწავლედ კი არა, ნიჭიერ ათლეტადაც აღიარეს.

ლიზელმა ოთხასმეტრიან დისტანციაზე ირბინა და მეშვიდე მივიდა ფინიშთან, შემდეგ ორასმეტრიანშიც მიიღო მონაწილეობა, ამჯერად მეოთხე გახლდათ. სირბილისას ერთადერთი, რასაც ხედავდა, გოგონების მუხლებს ქვედა მყესები და მოქანავე ნაწნავები იყო. სიგრძეზე ხტომისას, შედეგზე მეტად ფეხებზე მიყრილმა სილამ გაახარა, ვერც ბირთვის კვრაში იმარჯვა. დღეს რუდის დღეაო, მიხვდა.

ოთხასმეტრიან დისტანციაზე რუდი პირველივე წუთიდან ლიდერობდა, ორასმეტრიან დისტანციაზე კი მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა.

— დაიღალე? — ჰკითხა ლიზელმა, როცა საღამოვდებოდა.

— რა თქმა უნდა, არა, — ბიჭი მძიმედ სუნთქავდა და მუხლებს იზელდა, — რას ამბობ, ღორუკელა? რა ჯანდაბა გინდა?

ასმეტრიანი დისტანცია რომ გამოაცხადეს, რუდი ნელა წამოდგა ფეხზე და ბილიკისკენ მიმავალი მოზარდების ჯგუფს შეუერთდა. ამჯერად ლიზელი უკან გაჰყვა:

— ჰეი, რუდი! — მაისურის სახელოზე მოქაჩა ბიჭს, — წარმატებას გისურვებ!

— არ დავღლილვარ! — უთხრა რუდიმ.

— ვიცი.

რუდიმ თვალი ჩაუკრა.

დაღლილი იყო.

შესარჩევ შეჯიბრებაში რუდიმ ტემპი შეანელა და მეორე მივიდა ფინიშთან, ათი წუთის შემდეგ კი ფინალიც გამოცხადდა. ამჯერად ლიზელს ორი ბიჭი მეტისმეტად ძლიერებად მოეჩვენა და გულმა უგრძნო, რუდი შეჯიბრებას ველარ მოიგებდა. ტომი მიულერი, რომელიც შესარჩევ შეჯიბრებაში ბოლოდან მეორე აღმოჩნდა, გოგონას გვერდით იდგა ლობესთან.

— გაიმარჯვებს, — ამცნო ლიზელს.

— ვიცი.

რუდიმ ვერ გაიმარჯვა.

ფინალისტები სასტარტო ხაზზე რომ განლაგდნენ, რუდი მუხლებზე დაეშვა და ხელებით მიწის თხრა დაიწყო. ვეება ყავისფერპერანგიანს დრო უქმად არ დაუკარგავს, მიუახლოვდა და უბრძანა, შეწყვიტეო. ლიზელმა მამაკაცის მაღლა აღმართულ თითს მოჰკრა თვალი და დაინახა, როგორ ჩამოიფშვნა რუდის ხელებიდან მიწა.

როგორც კი შეჯიბრების დაწყება გამოცხადდა, ლიზელი ლობეს აეკრა, ერთმა ბიჭმა არასწორად აიღო სტარტი, პისტოლეტი ორჯერ გაისროლეს. ეს რუდი გახლდათ. ყავის-

ფერპერანგიანმა ისევ რაღაც უთხრა და მანაც თავი დაუქნია. კიდევ ერთხელ თუ აიღებდა ფალსტარტს, მოედნიდან გააძევებდნენ.

ლიზელი მთელი ყურადღებით უცქერდა სტარტის აღების მეორე მცდელობას და თვალებს არ დაუჯერა. ისევ ფალსტარტი. ისევ ის ათლეტი. იდეალური რბოლა წარმოიდგინა, რომელშიც რუდი თავიდან ჩამორჩებოდა, ბოლო ათ მეტრზე კი დაწინაურდებოდა. სინამდვილეში აი, რა მოხდა: რუდიმ დისკვალიფიკაცია მიიღო, მოედნიდან გაიყვანეს, დანარჩენები კი სარბენლად მოემზადნენ, დამწკრივდნენ და ერთმანეთს დაედევნენ.

მოჟანგისფრო-ყავისფერთმიანმა ბიჭმა, რომელსაც უზარმაზარი ნაბიჯები ჰქონდა, ხუთმეტრიანი სხვაობით მოიგო შეჯიბრება.

რუდი დარჩა.

მოგვიანებით, დღის ბოლოს, მზე რომ გაეცალა ჰიმელსტრიტს, ლიზელი მეგობართან ერთად ჩამოჯდა ტროტუარზე. ბავშვები ყველაფერს განიხილავდნენ დაწყებული იმით, თუ რა სახე ჰქონდა ფრანც დოიჩერს რუდის გამარჯვებისას, დამთავრებული იმ თერთმეტი წლის გოგონას დამარცხებით ბირთვის კვრაში და მისი ისტერიკით.

სანამ შინ წავიდოდნენ, რუდის ხმა გაიწელა და გოგონამდე სიმართლე მიიტანა. სიმართლე ცოტა ხნით მხარზე შემოაჯდა ლიზელს, მერე კი ყურში შეუძვრა.

რუდის ხმა

განგებ მოვიქეცი ასე.

ლიზელმა აღიარება მოისმინა და ბუნებრივი კითხვა დასვა:

— რატომ, რუდი, რატომ?

დოინჯშემოყრილ რუდის არ უპასუხია, უბრალოდ, გაუღიმა და დინჯი, გამართული ნაბიჯით გაემართა სახლისკენ. ამის შესახებ მეტად აღარ უსაუბრიათ.

ლიზელს ხშირად უნდოდა, ჩასძიებოდა, მისი პასუხი აინტერესებდა. იქნებ სამი მედალიც საკმარისი იყო იმისთვის,

რომ დაემტკიცებინა, რაც სურდა. ან იქნებ ფინალურ ასპარეზობაში დამარცხება არ უნდოდა. საბოლოოდ მოზარდის შინაგანმა ხმამ, აი, რა ახსნა მოუძებნა რუდის საქციელს:

„იმიტომ, რომ ის ჯესი ოუენსი არ არის".

იმ საღამოს, ლიზელი წასასვლელად რომ წამოდგა, ტროტუარზე სამი იმიტირებული ოქროს მედალი დაინახა. გოგონამ შტაინერების კარზე დააკაკუნა და ბიჭს მედლები გაუწოდა:

— ესენი დაგრჩა.

— არა, არ დამრჩენია, — ბიჭმა კარი მიხურა და ლიზელმა მედლები შინ წაიღო, შემდეგ კი სარდაფში ჩაიტანა და მაქსს თავისი მეგობრის, რუდი შტაინერის ამბავს მოუყვა.

— ნამდვილი შტერია, — დაასკვნა გოგომ.

— ცხადია, — დაეთანხმა მაქსი, მაგრამ ვეჭვობ, თავს ისულელებს.

შემდეგ მაქსი და ლიზელი საქმეს შეუდგნენ, მაქსი ჩანახატებს აკეთებდა წიგნში, ლიზელი კი „ოცნებების დამტარებელს" კითხულობდა. უკვე ამთავრებდა, იმ ადგილამდე მივიდა, სადაც უცნობ ელეგანტურ ქალთან შეხვედრით მოხიბლული ახალგაზრდა მღვდელი საკუთარი რწმენის სიმტკიცეზე დაფიქრდება.

ლიზელმა ამობრუნებული წიგნი კალთაში ჩაიდო, მაქსმა ჰკითხა, რამდენ ხანში დაამთავრებ კითხვასო.

— დიდი-დიდი, რამდენიმე დღეში.

— შემდეგ ახალი უნდა დაიწყო?

წიგნის ქურდმა სარდაფის ჭერს ახედა:

— ალბათ, მაქს, შემდეგ წიგნი დახურა და ზურგით მიესვენა კედელს, — თუ ბედი გამიღიმებს.

შემდეგი წიგნი

ალბათ ფიქრობთ, რომ ის დუდენის ლექსიკონი და თეზაურუსია, მაგრამ ასე არ არის.

არა, ლექსიკონი ამ პატარა ტრილოგიის ბოლოში გამოჩნდება, ჯერ კი მხოლოდ მეორე ნაწილზე ვართ, სადაც ლიზელი *„ოცნებების დამტარებლის"* კითხვას ასრულებს და წიგნი,

რომელსაც *„სიმღერა ბნელში“* ჰქვია, ისევ მერის სახლიდან მოაქვს. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ამჯერად, ქალაქის ზემო ნაწილში მარტო მიდის, რუდის გარეშე.

მზითა და აქაფებული ღრუბლებით მდიდარი დღე იყო.

მერის ბიბლიოთეკაში ლიზელი იდგა თითებში სიხარბითა და ტუჩებზე წიგნების სათაურებით. თავს იმ დღეს საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა, თითებით ეხებოდა თაროებზე ჩარიგებულ წიგნებს (ოთახში პირველი ვიზიტის მოკლე გამეორება) და ჩურჩულით იმეორებდა სათაურებს:

„ალუბლის ხის ქვეშ“.

„მეათე ლეინტენანტი“.

რასაკვირველია, სათაურებიდან ბევრმა აცდუნა, მაგრამ ერთი-ორი წუთი რომ დაჰყო ოთახში, არჩევანი მოთხრობაზე *„სიმღერა ბნელში“* შეაჩერა, ალბათ უფრო იმიტომ, რომ გამოცემას მწვანე ყდა ჰქონდა, შინ ასეთი ფერის წიგნი ჯერ არ მიუტანია. ყდაზე თეთრი წარწერები იყო, სათაურსა და ავტორის სახელს შორის კი პატარა ფლეიტა ეხატა. გოგონა წიგნიანად გადაცოცდა ფანჯრიდან და მადლობა თქვა.

რუდის არყოფნის გამო სიცარიელეს კი გრძნობდა, მაგრამ წიგნის ქურდი იმ დილით, რატომღაც, მარტოც ძალიან ბედნიერი იყო.

როგორც კი გორაკიდან დაეშვა, ლიზელი საქმეს შეუდგა, მდინარე ამპერს ჩაუყვა წიგნის საკითხავად ადგილი რომ შეერჩია და იქ ჩამოჯდა, სადაც არც ვიქტორ ხემელის ბანდას გადაეყრებოდა, არც ართურ ბერგისას. არავინ მისულა, არავის შეუწყვეტინებია კითხვა, ოთხი პატარა თავი წაიკითხა და ბედნიერი იყო.

ერთდროულად სიამოვნებასაც გრძნობდა და კმაყოფილებასაც.

ოსტატურად ჩადენილი ქურდობის გამო.

ერთი კვირის შემდეგ ბედნიერების ტრილოგია დასრულდა.

აგვისტოს იმ უკანასკნელ დღეს გოგონამ საჩუქარი მიიღო, უფრო სწორად, შენიშნა.

მზე გადაიწვერა, ლიზელი კრისტინა მიულერს უყურებდა, რომელიც სახტუნაოთი თამაშობდა ჰიმელ-სტრიტზე, სწო-

რედ იმ დროს რუდი შტაინერმა ძმის ველოსიპედი გაუჩერა ფეხებთან.

— დრო გაქვს? — ჰკითხა.

— რისთვის? — მხრები აიჩეჩა ლიზელმა.

— გირჩევნია, გამომყვე, — რუდი ჩამოხტა და სახლში შევიდა მეორე ველოსიპედის გამოსაყვანად. ლიზელი უცქერდა, როგორ ტრიალებდა პედალი მის წინ.

გრანდ-შტრასეს რომ მიუახლოვდნენ, რუდი შეჩერდა და გოგონას დაელოდა.

— აბა, — ჰკითხა ლიზელმა, — რა ხდება?

რუდიმ ხელი გაიშვირა:

— დააკვირდი!

ბავშვებმა ცისფერი ნაძვის უკან კარგი ადგილი შეარჩიეს დასაკვირვებლად. ლიზელმა ჩხვლეტია ტოტებიდან ჯერ დაკეტილი ფანჯარა შენიშნა, შემდეგ კი შუშაზე მიყუდებული საგანი.

— ეს?

რუდიმ თავი დაუქნია.

კარგა ხანს იდავეს, სანამ გადაწყვეტდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. საგანი უბრალოდ იდო იმ ადგილას და თუ ხაფანგი გახლდათ? უნდა მოეფიქრებინათ, ულირდათ თუ არა მასში გაბმა.

ფუმფულა ცისფერ ტოტებს შორის მდგარმა ლიზელმა თქვა:

— წიგნის ქურდი უკან არ დაიხევს!

შემდეგ ველოსიპედი დააყენა, ქუჩას გახედა და ეზოში შევიდა. ღრუბლების ჩრდილები დაბინდულ ბალახში ჩამარხულიყო. ნეტავ, ორმოები იყო, რომელშიც ჩავარდებოდი, თუ შესქელებული სიბნელის ლაქები, რომელიც დაგმალავდა? გოგონამ წარმოიდგინა, რომ ერთ-ერთ ორმოში ჩავარდა და ბოროტი მერის კლანჭებში აღმოჩნდა. ფიქრებმა ყურადღება გაუფანტა და იმაზე მალე აღმოჩნდა ფანჯარასთან, ვიდრე ვარაუდობდა.

ყველაფერი ისე იყო, როგორც „სტვენიას“ მოპარვისას.

ნერვები ხელებს ულოკავდნენ.

ოფლი წვრილ ხაზებად ჩამოსდიოდა იღლიებიდან.

თავი რომ ასწია, სათაური გაარჩია: *„დუდენის ლექსიკონი და თეზაურუსი“*. სასწრაფოდ მიუბრუნდა რუდის და ტუჩებით უხმოდ უთხრა:

— ლექსიკონია. — რუდიმ მხრები აიჩეჩა და ხელი ჩაიქნია.

გოგონა თანამიმდევრულად მუშაობდა, ჯერ ფანჯარა ასწია, დაინტერესდა, როგორ ჩანდა ეს ყველაფერი შიგნიდან, წარმოიდგინა საქურდლად აღმართული ხელი, რომელიც ცდილობს, ფანჯარა ისე შეაღოს, რომ წიგნი გარეთ გადავარდეს. მოჭრილ ხესავით ნელა გადავარდეს.

გამოუვიდა.

მყუდროება არ დაურღვევია, ჩქამი არ გაუღია.

წიგნი პირდაპირ მისკენ რომ გადაქანდა, თავისუფალი ხელი დასტაცა, ფანჯრის დახურვაც კი მოახერხა ჩუმად და მოხერხებულად, შებრუნდა და გზა გაიკვლია ღრუბლების ორმოებში.

— მშვენიერია! — უთხრა რუდიმ და ველოსიპედი შესთავაზა.

— გმადლობ.

მოსახვევისკენ გაემართნენ და იქამდე არმისულებმა უკვე იგრძნეს იმ დღის მნიშვნელობა. ლიზელმა იცოდა. ისევ ის შეგრძნება დაეუფლა. თითქოს ვილაც უყურებდა, მისი შინაგანი ხმა პედლებს ატრიალებდა. ორი წრე.

შეხედე ფანჯარას. ფანჯარას შეხედე.

დანებდა.

აქავებული კანივით, ფრჩხილებს რომ ითხოვს, დაუძლეველი სურვილი იგრძნო, შეჩერებულიყო.

ფეხები მიწაზე ჩამოდგა, სახე მერის სახლისკენ მიაბრუნა, ბიბლიოთეკის ფანჯარას გახედა და დაინახა. რასაკვირველია. უნდა მიმხვდარიყო, ასეც იქნებოდა. თუმცა, მერის ცოლი რომ შენიშნა, მაინც თავზარი დაეცა. გამჭირვალე იყო, მაგრამ ნამდვილად იქ იდგა. როგორც ყოველთვის, აჩეჩილი თმით, დარდიანი თვალებით, გამოკვეთილი პირით და გამომეტყველებით.

ძალიან ნელა ასწია ხელი და წიგნის ქურდს შეუმჩნევლად დაუქნია.

თავზარდაცემულ ლიზელს სიტყვაც არ უთქვამს რუდისთვის, არც საკუთარი თავისთვის. უბრალოდ, ველოსიპედზე თავი შეიმაგრა და ხელი ასწია ილზა ჰერმანისთვის პასუხად.

დუდენის ლექსიკონი, მნიშვნელობა №2

Verzeihung *— პატიება:*

მდგომარეობა, როცა ბრაზს, მტრობას, გულისწყრომას აღარ გრძნობ.

აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები: გამართლება, მიტევება, შეწყალება.

გზად ბავშვები ხიდთან შეჩერდნენ და მძიმე შავი წიგნი გადაშალეს. ფურცვლისას რუდი წერილს გადააწყდა, აიღო და ნელა შეხედა წიგნის ქურდს.

— შენს სახელზეა.

წვიმა წამოვიდა.

ლიზელმა ბარათი გამოართვა.

წერილი

ძვირფასო ლიზელ!

ვიცი, მიგაჩნივარ საცოდავ და საძაგელ ქალად (ეს სიტყვები თუ არ იცი, ლექსიკონში ნახე), მაგრამ უნდა გითხრა, რომ ისეთი სულელიც არ ვარ, ბიბლიოთეკაში შენი კვალი ვერ შემემჩნია. პირველი წიგნი რომ გაქრა, ვიფიქრე, სხვაგან გადავდე-მეთქი, მერე იატაკზე ვიღაცის ნაფეხურები შევნიშნე და ყველაფერს ნათელი მოეფინა.

გამეღიმა.

გამიხარდა, ის რომ წაიღე, რაც გეკუთვნოდა, თუმცა, ჩავთვალე, რომ ყველაფერი ამით დამთავრდა. აი, აქ შევცდი.

უკან რომ დაბრუნდი, ალბათ უნდა გავბრაზებულიყავი, მაგრამ არ გავბრაზებულვარ. ბოლოს რომ მოხვედი, ხმაც კი გავიგონე, მაგრამ გადავწყვიტე, თავი დამენებებინა. ყოველ მოსვლაზე თითო წიგნი მიგაქვს და ალბათ, სანამ

ყველას წაიღებ, ათასჯერ მაინც მოგიწევს მოსვლა. იმედი მაქვს, ერთ დღეს კარზე დამიკაკუნებ და უფრო ცივილიზებული ფორმით შეხვალ ბიბლიოთეკაში.

ისევ გიმეორებ, ძალიან ვნუხვარ, შენი დედობილის მომსახურებით რომ ველარ ვსარგებლობ.

დაბოლოს, იმედი მაქვს, თეზაურუსი და ლექსიკონი მოპარული წიგნების წაკითხვაში დაგეხმარება.

გულწრფელად შენი

ილზა ჰერმანი.

— მოდი, შინ წავიდეთ, — შესთავაზა რუდიმ, მაგრამ ლიზელი არ განძრეულა.

— შეგიძლია, დამელოდო ათი წუთი?

— რა თქმა უნდა.

ლიზელი გრანდ-შტრასეს რვა ნომერში დაბრუნდა და ნაცნობ ადგილას, შესასვლელთან ჩამოჯდა. წიგნი რუდის ჰქონდა, მას კი წერილი ეკავა ხელში და სანამ ხელით სრესდა ქაღალდს, საფეხურები მის ფეხქვეშ უფრო მაგრდებოდა. გოგონამ ოთხჯერ სცადა კარზე დაკაკუნება, მაგრამ ვერ მოახერხა, მხოლოდ თითის ბალიშები მსუბუქად შეახო თბილ ხეს.

ისევ იპოვა ძმამ.

კიბის ბოლო საფეხურზე იდგა გამთელებული მუხლით და ეუბნებოდა:

— მიდი, ლიზელ, დააკაკუნე.

მერის სახლიდან მეორედ რომ გამოიქცა, შორს, ხიდზე რუდის სილუეტი დაინახა. თმას ქარი უფრიალებდა. ფეხები პირდაპირ დაცურავდა პედლებზე.

ლიზელ მემინგერი — დამნაშავე.

მაგრამ არა იმიტომ, რომ რამდენიმე წიგნი მოიპარა ფანჯრიდან სახლში გადამძვრალმა.

„უნდა დამეკაკუნებინა“ — ფიქრობდა, და მიუხედავად იმისა, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა, ბავშვურად იცინოდა.

სანამ შინ მივიდოდა, სცადა, საკუთარი თავისთვის რაღაც ეთქვა.

„ლიზელ, ამ ბედნიერებას არ იმსახურებ, არა!“

ნუთუ შეიძლება ადამიანმა ბედნიერება მოიპაროს? თუ ეს ადამიანური ბუნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ჯოჯოხეთური ოინია?

ლიზელმა ფიქრები მოიშორა, ხიდი გადაკვეთა, რუდისთან მივიდა და წიგნის გამორთმევა არ დავიწყებია.

ჟანგიანი ველოსიპედებით მიდიოდნენ შინისკენ.

ზაფხულიდან შემოდგომამდე და მშვიდი ღამიდან მიუნხენის დაბომბვის ხმაურიან სუნთქვამდე რამდენიმე მილი გაიარეს.

სირენების ხმა

ჰანსმა იმ თანხით, რაც ზაფხულზე შეაგროვა, ძველი რადიო იყიდა და შინ მიიტანა.

— ასე, — უთხრა ოჯახის წევრებს, — სირენების კივილამდე გავიგებთ დაბომბვის დაწყებას, გუგულის ხმას გააჟღერებენ და გამოაცხადებენ, რომელ რეგიონებს ელით საფრთხე.

მამამ რადიო სამზარეულოს მაგიდაზე დადგა და ჩართო, შემდეგ კი სცადა, სარდაფშიც აემუშავებინა, მაქსს რომ მოესმინა, მაგრამ იქ მხოლოდ შიშინი და წამყვანების ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა გაისმა.

სექტემბერში ვერაფერსაც ვერ მოუსმინეს, რადგან ეძინათ. რადიო კი ან ცუდად მუშაობდა, ან სირენების კივილი შთანთქავდა ხმას.

ჩაძინებულ ლიზელს ხელი ნაზად დაადვეს მხარზე.

ამას შეშინებული მამის ხმა მოჰყვა.

— ლიზელ, გაიღვიძე, უნდა წავიდეთ.

ახალგამოღვიძებული გოგონა დაიბნა, მამის სახე ვერ გაარჩია, ერთადერთი, რასაც კარგად ხედავდა, ხმა იყო.

დერეფანში უცებ გაჩერდნენ.

— დამელოდეთ, — თქვა როზამ.

სიბნელეში სამივემ სარდაფში ჩაირბინა.

ლამპა ენთო.

მაქსი საღებავების ქილებიდან და ბიაზის ნაჭრების გროვიდან გამომძვრალიყო, დაღლილი სახე ჰქონდა და ნერვიულად ჩაევლო ხელი შარვლისთვის:

— წასვლის დროა, არა?

ჰანსი მიუახლოვდა:

— ჰო, წასვლის დროა. შემდეგ ხელი ჩამოართვა მაქსს და ზურგზეც დაუტყაპუნა, — რომ დავბრუნდებით, ისევ გნახავთ, კარგი?

— რა თქმა უნდა.

როზა და ლიზელი ჩაეხუტნენ.

— ნახვამდის, მაქს.

განგაშამდე ერთი კვირით ადრე იმაზე მსჯელობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, სარდაფში დარჩენილიყვნენ თუ მაქსის გარეშე გადასულიყვნენ ფიდლერებთან, რომლებიც გზის ჩაყოლებაზე ცხოვრობდნენ. მაშინ მაქსმა ყველა დაარწმუნა:

— ეს სარდაფი თავშესაფრისთვის საკმარისად ღრმა არ აღმოჩნდა, მე კი არ მინდა, უარეს საფრთხეში ჩაგაგდოთ.

ჰანსს სხვა გზა არ ჰქონდა, თავი დაუქნია:

— სირცხვილია, თან რომ ვერ მიგვყავხარ!

— რაცაა, ეგაა!

გარეთ სახლებს განგაშის ხმები დასტრიალებდა, ადამიანები სახლებიდან გამორბოდნენ და თავზარდაცემულნი ეხლებოდნენ ერთმანეთს.

ღამე ზემოდან დაჰყურებდა მათ და ისინიც, ხანდახან საპასუხო მზერას აგებებდნენ, ცაზე გადავლილი თუნუქის თვითმფრინავები რომ დაენახათ.

ჰიმელ-სტრიტზე ხალხის პროცესია უწესრიგოდ მიაბიჯებდა. თითოეულს თან მიჰქონდა ის, რაც ყველაზე მეტად ეძვირფასებოდა. ზოგისთვის ეს ჩვილი ბავშვი იყო, სხვისთვის — საოჯახო ალბომი ან ზარდახშა. ლიზელს იღლიაში წიგნები ამოედო, ფრაუ ჰოლცაპფელი კი ძლივს მიათრევდა ჩემოდანს, თვალები გადმოეკარკლა და მოკლე-მოკლე ნაბიჯებს დგამდა.

მამა, რომელსაც ყველაფერი დავიწყებოდა, თვით აკორდეონიც კი, ქალს საშველად მივარდა და ჩემოდანი ხელიდან გამოჰგლიჯა:

— იესო, მარიამ და იოსებ, კი მაგრამ რა გიდევს ამ ჩემოდანში, გრდემლი? — ჰკითხა. ფრაუ ჰოლცაპფელი ჰანსს აედევნა და გაუსწრო:

— აუცილებელი ნივთები!

ფიდლერები ჰუბერმანებისგან ექვსი სახლის გამოტოვებით ცხოვრობდნენ, ოჯახში ოთხი წევრი იყო, ყველას ხორბლისფერი თმა და ნამდვილი გერმანული თვალები ჰქონდა. რაც მთავარია, ისინი მშვენიერი, ღრმა სარდაფის პატრონები გახლდნენ.

თავშესაფარში ოცდაორი ადამიანი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოთავსდა: შტაინერები, ფრაუ ჰოლცაპფელი, პფიფიკუსი, ახალგაზრდა მამაკაცი და ჯენსონების ოჯახი.

როზა ჰუბერმანმა და ფრაუ ჰოლცაპფელმა ჩათვალეს, რომ საჭირო იყო, საზოგადოების სიმშვიდე, ამიტომ თავი ერთმანეთისგან შორს ეჭირათ, თუმცა, არის ხოლმე გარემოებები, წვრილმან კამათზე მაღლა რომ დგას.

ჭერში გლობუსივით მრგვალი ნათურა ეკიდა, ნესტიან ოთახში ციოდა, კედლების ხორკლიანი ზედაპირი ზურგებში ჩხვლეტდათ, ისინი კი იდგნენ და საუბრობდნენ. სირენების კივილი ყრუდ ისმოდა, მათი ხმა საიდანლაც მაინც აღწევდა შიგნით, ეს გარემოება აეჭვებდათ, რომ თავშესაფარი საიმედო იყო, ყოველ შემთხვევაში, საჰაერო თავდასხმის დასრულების მაუწყებელ სამ სიგნალს ხომ მაინც გაიგონებდნენ. Luftschutzwart-ი — საჰაერო თავდასხმების მეთვალყურე აღარ დასჭირდებოდათ.

რუდიმ მალე მოძებნა ლიზელი და გვერდით ამოუდგა. თმა ჭერისკენ ჰქონდა აშვერილი.

— რა შესანიშნავია, არა?

ლიზელმა ვერ მოითმინა, სარკაზმი არ გაერია ხმაში:

— ჰო, აბა, რა!

— ოჰ, კარგი რა, ლიზელ, რა გემართება, აბა, ცუდი რა უნდა მოხდეს, იმის გარდა, რომ მინასთან გავსწორდეთ, ცოცხლად დავიწვათ ან... რა შეიძლება კიდევ დაგვემართოს დაბომბვისგან?

ლიზელმა ირგვლივ მიმოიხედა და სახეები შეათვალიერა, იმ ადამიანების სია შეადგინა, რომლებსაც ყველაზე მეტად ეშინოდათ:

შავი სია

1. ფრაუ ჰოლცაპფელი
2. მისტერ ფიდლერი
3. ახალგაზრდა მამაკაცი

ფრაუ ჰოლცაპფელს თვალები გადმოკარკლოდა, მავთულივით წვრილი სხეულით წინ გადახრილიყო და პირი დამრგვალებოდა; ჰერ ფიდლერი დაკავებული იყო, ხალხს ხშირ-ხშირად ეკითხებოდა, თავს როგორ გრძნობთო; ახალგაზრდა მამაკაცი, როლფ შულცი, კუთხეში იდგა, მდუმარედ ესაუბრებოდა ჰაერს, რაღაცაზე ედავებოდა, ხელები ჯიბეში ჰქონდა ჩაცემენტებული; როზა ოდნავ შესამჩნევად, ნაზად ირწეოდა.

— ლიზელ, — ჩაიჩურჩულა, — მოდი აქ, — და ხელი ხელზე მოუჭირა, რაღაცას მღეროდა, მაგრამ ისე ჩუმად, ლიზელი ვერაფერს არჩევდა, ნოტები სუნთქვასთან ერთად იბადებოდა და ბაგეებზევე კვდებოდა. მათ გვერდით მამა იდგა მშვიდად და უმოძრაოდ, ერთხელ კი ლიზელს თბილი ხელი დაადო გრილ თავზე, თითქოს ამ ჟესტით უნდოდა ეთქვა, იცოცხლეო. მართალი გახლდათ. მათგან მარცხნივ ალექს და ბარბრა შტაინერები იდგნენ ყველაზე უმცროს შვილებთან, ბეტინასა და ემასთან ერთად, ორივე გოგო მარჯვენა ფეხზე აჰკვროდა დედას, უფროსი ბიჭი, კურტი, ჭეშმარიტი „ჰიტლერიუგენდელივით“ წინ იცქირებოდა, ხელი კი კარენისთვის, შვიდი წლის, მაგრამ ტანად ნამცეცა დისთვის ჩაეჭიდა, ათი წლის ანა-მარია ცემენტის კედლის რბილ ზედაპირს ეთამაშებოდა. შტაინერების გვერდით პფიფიკუსი და ჯენსონების ოჯახი მოკალათებულიყო.

პფიფიკუსი თავს იკავებდა სტვენისგან.

წვერმოშვებულ მისტერ ჯენსონს მაგრად ჩაეჭიდა ხელი ცოლისთვის, მათი ორი ბავშვი ცდილობდა, მდუმარება არ დაერღვია, მოულოდნელად ცოტა კი აფუსფუსდნენ, მაგრამ წაკამათებამდე არ მივიდა საქმე.

ათი წუთი ან ცოტა მეტი რომ გავიდა, სარდაფში ძალიან შესამჩნევი გახდა უმოძრაობა. ადამიანები მჭიდროდ იდგნენ, მხოლოდ ფეხს ინაცვლებდნენ, სიმძიმე გადაჰქონდათ ერთი-

დან მეორეზე, მდუმარება ბორკილებივით ედოთ სახეებზე, ერთმანეთს უცქერდნენ და ელოდნენ.

დუდენის ლექსიკონი, მნიშვნელობა №3

Angst — შიში

უსიამოვნო, ხშირად ძლიერი ემოცია, რომელსაც საფრთხის წინათგრძნობა ან გაცნობიერება ბადებს. აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები: ტერორი, შეძრწუნება, შფოთი, განგაში.

ამბობდნენ, სხვა თავშესაფრებში Deutschland über Alles-ს მღეროდნენ ან კამათობდნენ და საკუთარი სუნთქვით ჰაერს ახშობდნენო. ასეთი რამ ფიდლერის თავშესაფარში არ მომხდარა, იქ მხოლოდ შიში, წინათგრძნობა და როზა ჰუბერმანის მუყაოს ტუჩებზე დამკვდარი სიმღერა იყო.

ცოტა ხნით ადრე, სანამ სირენები განგაშის დასასრულს აუწყებდნენ, ალექს შტაინერმა, კაცმა უმოძრაო, ხის სახით, ბავშვები დაიყოლია, დედის ფეხს მოშორებოდნენ, შემდეგ კი თავისუფალი ხელი კურტს ჩაჰკიდა, რომელსაც ისევ მხნედ ეჭირა თავი და წინ იხედებოდა.

კურტი, თავის მხრივ, დას ჩაეჭიდა, მალე სარდაფში გერმანელების ჯგუფმა უსწორმასწორო წრე შეჰკრა.

ცივი ხელები თბილ ხელებს გადაედნო და ზოგმა ერთმანეთის პულსის ცემა იგრძნო. ფერმკრთალი, გაუხეშებული კანით გადასცა გვერდით მდგომს. რამდენიმემ თვალები დახუჭა აღსასრულის ან რეიდის დასასრულის მოლოდინში.

ნეტავ, ეს ადამიანები უკეთეს ხვედრს იმსახურებდნენ?

რამდენი მათგანი, შთაგონებული ჰიტლერის მზერით, წინადადებებით, შენიშვნებითა და ოპუსით სდევნიდა სხვას? უნდა ეგო თუ არა პასუხი როზა ჰუბერმანს, რომელიც შინ ებრაელს მალავდა? ან ჰანსს? სიკვდილს იმსახურებდნენ ისინი? ბავშვები?

ძალიან მაინტერესებს პასუხები ამ კითხვებზე, თუმცა, ნებას არ მივცემ ცდუნებას, მძლიოს. ერთი რამ ზუსტად ვიცი, იმ ადამიანებმა იმ დღეს ჩემი სუნთქვა იგრძნეს, თვით ყველაზე

პატარა ბავშვებმაც კი. მე მათ საკუთარი თავი შევთავაზე. რჩევა ვიყავი. მინიშნება ვიყავი. წარმოსახვით სამზარეულოსა და დერეფანში ვფხაკუნებდი.

წიგნის ქურდის სიტყვები რომ წავიკითხე, შემეცოდნენ ის ადამიანები, თუმცა, არც ისე ძალიან, როგორც სხვადასხვა ბანაკიდან ერთიანად ახვეტილი მათი თანამოძმენი. ასე ხშირად მემართება ხოლმე. სარდაფებში ჩამალული გერმანელები ნამდვილად საბრალონი იყვნენ, მაგრამ მათ გადარჩენის შანსი მაინც ჰქონდათ. ის სარდაფები ხომ აბანოები არ იყო, სადაც ძალით შეყრიდნენ ქიმიური შხაპის მისაღებად. მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ, ეცოცხლათ.

უსწორმასწორო წრეში ნელ-ნელა ჟონავდა წუთები.

ლიზელს რუდისთვის და დედისთვის ჩაეჭიდა ხელი.

მხოლოდ ერთი ფიქრი ჰგვრიდა ნაღველს.

მაქსი.

როგორ გადარჩებოდა, ბომბებს ჰიმელ-სტრიტზე თუ ჩამოაგდებდნენ?

გოგონამ ფიდლერის სარდაფი დაათვალიერა, ის უფრო მყარი და ღრმა იყო, ვიდრე ჰიმელ-სტრიტის 33-ნომერში მდებარე მათი სახლი.

მდუმარედ ჩაეკითხა მამას.

შენც მასზე ფიქრობ?

არ ვიცი, ჰანსმა მდუმარე კითხვა გაიგონა თუ არა, მაგრამ გოგონას სწრაფად დაუქნია თავი. და ორიოდ წუთში სირენამ სამჯერ დაიყვირა, დროებითი მშვიდობა ამცნო.

ხალხმა შვებით ამოისუნთქა ჰიმელ-სტრიტის 45-ნომერში.

ზოგმა თვალები დახუჭა და ისევ გაახილა.

სიგარეტი ჩამოატარეს წრეზე.

ის იყო, რუდი შტაინერის ტუჩებში უნდა მოხვედრილიყო, მამამისმა რომ სტაცა ხელი:

— შენ არა, ჯესი ოუენს!

ბავშვები მშობლებს ჩაეხუტნენ და დიდი დრო დასჭირდათ, სანამ ბოლომდე მიხვდებოდნენ, რომ გადარჩნენ, რომ სიცოცხლეს აგრძელებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ აუყვნენ ჰერბერტ ფიდლერის სამზარეულოსკენ ამავალ კიბეს.

გარეთ ადამიანების პროცესია მდუმარედ მიიკვლევდა გზას, ბევრი ცას აჰყურებდა და მადლობას უხდიდა ღმერთს გადარჩენისთვის.

ჰუბერმანები შინ რომ დაბრუნდნენ, პირდაპირ სარდაფისკენ გაემართნენ, მაგრამ მაქსი არსად ჩანდა, ლამპა ისევ დაბალზე იყო ჩაწეული და ნარინჯისფრად ანათებდა, ებრაელი არსად იყო, არც მისი ხმა ისმოდა.

— მაქს!

— გაქრა!

— მაქს, აქ ხარ?

— აქ ვარ!

ეგონათ, ხმა ბიაზის ნაჭრებისა და საღებავების ქილებით ამოშენებული კედლიდან მოდიოდა, მაგრამ ლიზელმა პირველმა დაინახა მაქსი იმ კედლის წინ. განაწამები სახე საღებავითა და ქსოვილით შეენიღბა, შეძრწუნებული თვალები და ტუჩები ჰქონდა.

ახლოს რომ მივიდნენ, მაქსმა ისევ დაილაპარაკა:

— ვერ შევძელი, თავი შემეკავებინა.

როზა ჩამოჯდა და თვალებში ჩახედა:

— რას გულისხმობ, მაქს?

— მე... — ვანდენბურგი თავს ებრძოდა, პასუხი რომ გაეცა, — ყველაფერი რომ მიწყნარდა, დერეფანში გავედი, საერთო ოთახში ფარდა ოდნავ გადაწეული იყო. შემეძლო, გარეთ გამეხედა. მხოლოდ რამდენიმე წამით გავიხედე.

მაქსს უკვე ოცდაორი თვე გარე სამყარო არ ენახა.

არც გაბრაზება. არც საყვედური.

— და რა დაინახე?

უდიდესი დარდით და უდიდესი განცვიფრებით აღსავსე მაქსმა თავი ასწია.

— ვარსკვლავები... თვალები ამიწვეს.

ოთხნი.

ორი ფეხზე იდგა. ორიც იჯდა.

ოთხივემ რაღაც ნახა იმ საღამოს. ეს მათი სარდაფი იყო. მათი ნამდვილი შიში. მაქსმა თავი ხელში აიყვანა და ნაჭრე-

ბის გროვიდან გამოვიდა, მშვიდობიანი ღამე უსურვა ყველას, მაგრამ კიბის ქვეშ არ შემძვრალა. ლიზელი დილამდე მასთან დარჩა, დედის ნებართვით, გათენებამდე უკითხა „სიმღერა ბნელში“, ის კი თავის ნახატებიან წიგნს ჩაჰკირკიტებდა.

„ჰიმელ-სტრიტის ფანჯრიდან რომ გავიხედე, ვარსკვლავებმა კოკონი დამინთეს თვალებში“. ჩაწერა მაქსმა.

ცის გამტაცებელი

მოგვიანებით გაირკვა, რომ ცრუ განგაში იყო. მოლკინგელები თვითმფრინავებს რომ დალოდებოდნენ, მთელ ღამეს გაათენებდნენ. ალბათ ამის ბრალი გახლდათ, რადიოთი გუგულის ხმა რომ არ გადმოუცია. „მოლკინგის ექსპრესი“ წერდა, მორიგე მეზენიტე ზედმეტად აღელდაო, საბრალო, იფიცებოდა, თვითმფრინავების ხმაური მომესმა, თვალიც მოვკარი ჰორიზონტზე და განგაში ამიტომ ავტეხეო.

— იქნებ განზრახ მოიქცა ასე, — შენიშნა ჰანს ჰუბერმანმა, — აბა, ვის სიამოვნებს სათვალთვალო კოშკში ჯდომა და ბომბდამშენებისთვის ტყვიამფრქვევის ჯერის მიშვება?

მაქსმა სარდაფში გაზეთის კითხვა განაგრძო და სტატიის ბოლოში ამოიკითხა, ეს წარმოსახვის უცნაური ნიჭით დაჯილდოებული მოხელე სამსახურიდან გაათავისუფლესო. ალბათ სხვა საქმეს დაავალებდნენ.

— წარმატებებს ვუსურვებ, — თქვა მაქსმა, ჩანს, სანამ კროსვორდის შევსებაზე გადავიდოდა, იმ ჭაბუკს თანაუგრძნო კიდეც.

მომდევნო რეიდი ნამდვილი იყო.

19 სექტემბრის ღამეს გუგულის ძახილიც მოისმა რადიოდან და ბოხმა, ჭკუის დამრიგებლურმა ხმამაც ამცნო, მოლკინგი ბომბდამშენების სავარაუდო სამიზნეაო.

ჰიმელ-სტრიტი ისევ ხალხით გადაიჭედა, მამობილს კი ისევ დარჩა აკორდეონი. როზამ შეახსენა, წამოიღეო, მაგრამ უარი უთხრა:

— პირველად არ წამოვიღე, — აუხსნა ცოლს, — და ცოცხლები ვართ.

ომი ლოგიკასა და ცრურწმენას შორის ადვილად შლის ზღვარს.

ფიდლერის სარდაფში მიმავალთ ავი წინათგრძნობა აცილებდათ.

— დღეს მგონი ნამდვილი განგაშია, — თქვა მისტერ ფიდლერმა და ბავშვებიც უცებ მიხვდნენ, მათ მშობლებს ამჯერად უფრო მეტად რომ ეშინოდათ. ამაზე ერთ-ერთს მყისიერი რეაქცია ჰქონდა, ყველაზე პატარამ ტირილი მორთო, სარდაფი კი ამ დროს თითქოს შეზანზარდა.

თავშესაფარშიც ისმოდა ბომბების ხმა და წნევა ისე აწვებოდა ჭერს, თითქოს სურდა, მინასთან გაესწორებინა. ჩაკბიჩეს მოლკინგის დაცარიელებული ქუჩები.

როზა გამწარებით უჭერდა ლიზელს ხელს ხელზე.

ატირებული ბავშვების ხმა იჩქმიტებოდა და მუშტებს უშენდა ჰაერს.

რუდიც კი ჯოხივით გაშეშებული იდგა, სახეზე გულგრილობის ნიღაბი აეფარებინა და დაძაბულობას დაძაბულობითვე უპირისპირდებოდა. მკლავები და იდაყვები ადგილის მოსაპოვებლად იბრძოდა. ახალგაზრდებმა პატარა ბავშვების დაშოშმინება სცადეს. დანარჩენები ამაოდ იმშვიდებდნენ თავს.

— ამ ბავშვს მოაკეტინეთ! — მოითხოვა ფრაუ ჰოლცაპფელმა, მაგრამ მისი წინადადება თავშესაფრის თბილმა ქაოსმა შთანთქა. პატარებს თვალებიდან ჭუჭყიანი ცრემლები ჩამოუგორდათ. ადამიანებით სავსე მოთუხთუხე ქვაბში ღამის ჰაერს იღლიებიდან გამოსული ოფლისა და ჭუჭყიანი ტანსაცმლის სუნი შეერია.

ლიზელს, მიუხედავად იმისა, რომ დედის გვერდით იდგა, მაინც დაყვირებამ მოუწია.

— დედა! — და ისევ, — დედა, ხელი მეტკინა!

— რაო?

— ხელი-მეთქი!

როზამ გოგონა გაათავისუფლა, ლიზელმა კი წიგნი გადაშალა, თავი რომ დაემშვიდებინა და სარდაფში ატეხილი ხმაური გადაეფარა.

წიგნების გროვის თავზე „სტვენია“ იდო, ლიზელმა ხმამაღლა წაიკითხა სათაური, ყურადღება უფრო ადვილად რომ მოეკრიბა. პირველი აბზაცი ცარიელ ხმად ჩაესმა ყურში.

— რა თქვი? — დაიღრიალა დედამ, მაგრამ ლიზელმა ყურადღება არ მიაქცია, პირველი გვერდის კითხვა განაგრძო.

მეორე გვერდი რომ გადაშალა, რუდიმ შენიშნა, ყურადღებით მოისმინა ლიზელის წაკითხული, მუჯლუგუნი გაჰკრა და-ძმას და ანიშნა, დანარჩენებიც გააჩუმეთო. ჰანს ჰუბერმანი ლიზელს მიუახლოვდა, გაჩუმდითო, დაიძახა და მალე ხალხით გადაჭედილ სარდაფში სიჩუმე სისხლისგან დაიცალა. ლიზელი მესამე გვერდის კითხვას რომ შეუდგა, მის გარდა ყველა დადუმებულიყო.

გოგონამ თავის მაღლა აწევა ვერ გაბედა, მაგრამ იგრძნო, როგორ მიშტერებოდა რამდენიმე წყვილი შეშინებული თვალი, სანამ სიტყვებს მარცვლავდა და შემდეგ ხმამაღლა აყოლებდა სუნთქვას. ხმა ნოტებს გამოსცემდა. ეს იყო ჩემი აკორდეონიო, იტყვის მოგვიანებით.

გადაფურცვლის ხმა მსმენელებს ორად ჭრიდა.

ლიზელი კითხვას განაგრძობდა.

ყველაზე პატარები მისმა ხმამ დაამშვიდა, დანარჩენებმა კი ცხადად დაინახეს, როგორ მირბოდა სტვენია დანაშაულის ადგილისკენ. ლიზელი ვერ ხედავდა ამას. წიგნის ქურდი მხოლოდ სიტყვებს გრძნობდა, ქალალდზე გამორიყულ, ნაცემ, ძირს გართხმულ სხეულებს, გოგონას მათზე ადვილად რომ გადაევლო.

სადღაც, ნერტილსა და მომდევნო, თავკიდურ ასოსთან ერთად მაქსიც ჩნდებოდა, ახსენდებოდა, როგორ უკითხავდა, სანამ ავად იყო. ნეტავ სარდაფში დარჩა? აინტერესებდა ლიზელს, თუ ისევ სურს, ცას გამოსტაცოს პატარა ნაგლეჯი?

მშვენიერი ფიქრი

ერთი წიგნს იპარავდა.
მეორე — ცას.

ყველა ელოდა, როდის შეირყეოდა მიწა.

ეს გარდაუვალი იყო, მაგრამ ახლა, ამ გოგონაზე მაინც გადაჰქონდათ ყურადღება. ერთმა პატარა ბიჭუნამ წამოტირება

დააპირა, მაგრამ ლიზელმა იმ წუთშივე შეწყვიტა კითხვა, მამას თუ რუდის გამოაჯავრა, თვალი ჩაუკრა პატარას და ისევ დაუბრუნდა წიგნს.

მხოლოდ მაშინ შეაწყვეტინა კითხვა ვილაცამ, სირენებმა რეიდის დასრულება რომ ამცნეს:

— გადავრჩით, — თქვა მისტერ ჯენსონმა.

— ჩუ! — უთხრა ფრაუ ჰოლცაპფელმა.

ლიზელმა აიხედა:

— თავის დამთავრებამდე მხოლოდ ორი გვერდი დარჩა, — თქვა და აუჩქარებლად განაგრძო კითხვა. მხოლოდ სიტყვები.

დუდენის ლექსიკონი, მნიშვნელობა №4

***Wort** — სიტყვა*

ენის გააზრებული ნაწილი /დაპირება/ შენიშვნა, მონოლოგი ან დიალოგი.

აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები: ტერმინი, სახელი, გამოთქმა.

დიდებმა პატივისცემის ნიშნად დუმილი შეინარჩუნეს და ლიზელმაც „სტვენიას“ პირველი თავი დაასრულა.

კიბეზე რომ ადიოდნენ, ბავშვებმა ლიზელს ჩაურბინეს, მაგრამ დიდები, თვით ფრაუ ჰოლცაპფელი, თვით პფიფიკუსიც კი (როგორ შეეფერებოდა ეს სახელი ნაკითხულ წიგნს), მადლობას უხდიდნენ, ყურადღება სხვა რამეზე რომ გადააატანინა, თან შინისაკენ მიიჩქაროდნენ, უნდოდათ, ენახათ, ჰიმელ-სტრიტი უვნებლად გადარჩა თუ არა.

ქუჩა არ დანგრეულა.

ომზე ერთადერთი რამ მიანიშნებდა: მტვრის ღრუბელი ალმოსავლეთიდან დასავლეთით რომ მიცურავდა, ფანჯრებში იხედებოდა და ცდილობდა ნაპრალები ეპოვა სახლებში შესაღწევად, თანდათან გაიზარდა, მთელი ქუჩა მოიცვა და მოქალაქეების კოლონა მოჩვენებას დაამსგავსა.

ცოტა ხანში ისინი აღარ ჩანდნენ.

ჩანთებმოკიდებულ ხმებად გადაიქცნენ.

შინ მამამ ყველაფერი უამბო მაქსს:

— ნისლი და ფერფლი იყო ირგვლივ, მგონი ცოტა ადრე გამოგვიყვანეს თავშესაფრიდან, — ჰანსმა როზას შეხედა, — ხომ არ გავიდე? იქნებ იქ, სადაც ბომბები ჩამოვარდა, ჩემი დახმარება დასჭირდეთ?

როზა წინადადებამ ვერ მოხიბლა:

— ნუ ხარ იდიოტი, მტვრით გაიგუდები. არა, არა, ლორიშვილო, დარჩი! — ქალს რაღაც აზრმა გაუელვა თავში, სერიოზული სახით შეხედა ჰანსს, სახე სიამაყემ გაუფერადა, — დარჩი და ლიზელის ამბავი მოუყევი, — როზამ ოდნავ აუწია ხმას, — წიგნზე უთხარი.

მაქსი სმენად იქცა.

— „სტვენია" — ამცნო როზამ, — თავი პირველი, — და სიტყვასიტყვით უამბო, რა მოხდა თავშესაფარში.

ლიზელი სარდაფის კუთხეში იდგა, მაქსი უყურებდა და ხელს ისვამდა ყბაზე. პირადად მე, ვფიქრობ, სწორედ იმ დროს მიხვდა, ვინ უნდა დაეხატა თავისი წიგნის ახალ ფურცელზე:

„სიტყვის მბერტყავი".

წარმოიდგინა, როგორ კითხულობდა თავშესაფარში, ალბათ ისიც დაინახა, როგორ სიზუსტით გადასცემდა სიტყვებს, თუმცა, როგორც ყოველთვის, ჰიტლერის აჩრდილიც არ გამორჩენია, მისი ნაბიჯების ხმაც კი გაიგონა, იგრძნო, როგორ უახლოვდებოდა ჰიმელ-სტრიტის სარდაფს.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მაქსი მზად იყო, რაღაც ეთქვა, მაგრამ ლიზელმა დაასწრო.

— ამაღამ ახედე ცას?

— არა, — მაქსმა კედელს შეხედა და ხელით აჩვენა. ყველამ დაინახა მისი ერთი წლის წინანდელი ნახატი და წარწერა: თოკი და ჩამოღვენთილი მზე, — მხოლოდ ამას ვუყურებდი, — მეტი აღარაფერი უთქვამს, ფიქრებში წავიდა.

მაქსზე, ჰანსსა და როზაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ვიცი, ლიზელ მემინგერი მაშინ რაზე ფიქრობდა: თუ ბომბები ოდესმე ჩამოვარდებოდა ჰიმელ-სტრიტზე, გადარჩენის ყველაზე ნაკლები შანსი მაქსს ჰქონდა, და თანაც, მარტოობაში მოუწევდა სიკვდილი.

ფრაუ ჰოლცაპფელის წინადადება

დილით ქალაქში ზარალი დათვალეს. მსხვერპლი არ იყო, მაგრამ ორი კორპუსის ნანგრევებისგან პირამიდა აღიმართა, რუდის საყვარელი „ჰიტლერიუგენდის“ დივიზიის ადგილას კი ვილაცას კოვზით უზარმაზარი თასი ამოეთხარა, მას რკალად შემორტყმოდა მოლკინგის მოსახლეობის ნახევარი, ადამიანები სილრმეს უზომავდნენ ორმოს და თავშესაფრების სილრმესთან ადარებდნენ, გოგო-ბიჭების ნაწილი კი მასში ფურთხებით ერთობოდა.

რუდი ლიზელის გვერდით იდგა:

— ალბათ ისევ ამოავსებენ.

მომდევნო რამდენიმე კვირის მანძილზე რეიდები აღარ გამეორებულა და ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა, თუმცა, ორი ამბავი მოსათხრობად ღირს:

ოქტომბრის ორი მოვლენა

1. ფრაუ ჰოლცაპფელის ხელები.
2. ებრაელების მსვლელობა.

მას ცილისმწამებლური ნაოჭები ჰქონდა, ხმა კი, ისეთი, თითქოს ჯოხს გირტყამდა.

სიმართლე ითქვას, ჰუბერმანებს ბედმა გაუღიმა — თვალი მოჰკრეს მისაღები ოთახის ფანჯრიდან ფრაუ ჰოლცაპფელს. გაბედულად დააკაკუნა კარზე, რაც ნიშნავდა, რომ სერიოზული საქმე ჰქონდა.

ლიზელმა ის სიტყვები გაიგონა, რისიც ასე ძალიან ეშინოდა.

— გადი, კარი გაულე, — უთხრა დედამ და გოგონა, რომელმაც მშვენივრად იცოდა, შეკამათებას აზრი არ ჰქონდა, დავალების შესასრულებლად გაემართა.

— დედა შინაა? — იკითხა ორმოცდაათწლოვანი მავთულისგან დამზადებულმა ფრაუ ჰოლცაპფელმა. ზღურბლთან იდგა, უკან იხედებოდა და ხშირ-ხშირად ათვალიერებდა ქუჩას, — შინაა-მეთქი ეგ შენი დედა ღორი?

ლიზელი შებრუნდა და როზას გასძახა.

დუდენის ლექსიკონი, მნიშვნელობა №5

Gelegenheit — შესაძლებლობა

პროგრესის ან წინსვლის შანსი

აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები: პერსპექტივა, ხელსაყრელი შემთხვევა.

როზა ლიზელს ამოუდგა უკან:

— რა ჯანდაბა გინდა აქ? ახლა სამზარეულოს იატაკზე გინდა, დამიფურთხო?

ფრაუ ჰოლცაპფელს ოდნავაც არ დაუხევია უკან:

— ასე ხვდები ყველას, ვინც შენს კარზე აკაკუნებს? რა G'sindel[39] ხარ!

ლიზელი უყურებდა. არ გაუმართლა, ორ ქალს შორის მოხვდა, ლამის იყო, გაესრისათ. როზამ გოგონა გვერდზე გასწია.

— ბოლოს და ბოლოს, არ მეტყვი, რატომ მოხვედი?

ფრაუ ჰოლცაპფელმა კიდევ ერთხელ გახედა ქუჩას, შემდეგ კი როზას მიუბრუნდა:

— რაღაც მინდა, შემოგთავაზოთ.

დედამ ფეხი მოინაცვლა.

— მართლა?

— შენ არა, — ქალმა ხმას აუწია, როზას გასცდა და ლიზელს მიაწვდინა, — შენ!

— მაშინ რაღას მეძახდი?

---

[39] *გერმ. მავნე, პარაზიტი.*

— შენგან ნებართვა უნდა ავიღო.

„ოჰ, ღვთისმშობელო მარიამ! — გაიფიქრა ლიზელმა, — ესლა მაკლდა! რა ჯანდაბა უნდა ფრაუ ჰოლცაპფელს ჩემგან?"

— ის წიგნი მომეწონა, თავშესაფარში რომ ნაგვიკითხე.

არა, „სტვენიას" ეს ქალი ვერ ეღირსებოდა, ლიზელი ამაში დარწმუნებული იყო.

— დიახ.

— მინდოდა, თავშესაფარში მომესმინა მისი გაგრძელება, მაგრამ ჯერჯერობით, მგონი, საფრთხე აღარ გველის. — ფრაუ ჰოლცაპფელმა მხრები შეარხია, ზურგში გაყრილი მავთული გაისწორა. — მინდა, ჩემთან გადმოხვიდე და წამიკითხო.

— რა თავხედი ხარ, ჰოლცაპფელ! — როზას ვერ გადაეწყვიტა, გაბრაზებულიყო თუ არა, — იქნებ ფიქრობ...

— თქვენს კარს აღარ შევაფურთხებ ხოლმე, — და ჩემს წილ ყავას დაგითმობთ.

როზამ გაბრაზება არჩია:

— ფქვილსაც?

— რაო, ებრაელი ხომ არ ხარ? მხოლოდ — ყავას. ფქვილზე შეგიძლია სხვას გაურიგდე.

შეთანხმდნენ.

თუმცა, გოგონას ჯერ არაფერი გადაეწყვიტა.

— კარგი.

— დედა!

— გაჩუმდი, ლორუკელა, ნადი და წიგნი მოიტანე, — დედამ ისევ შეხედა ფრაუ ჰოლცაპფელს. — რომელი დღეები გაწყობს?

— ორშაბათი და პარასკევი. ოთხ საათზე. დღესაც გამომყვეს, თანაც ახლავე.

ლიზელი ფრაუ ჰოლცაპფელს აედევნა, ქალი მწყობრი ნაბიჯით მიდიოდა მეზობელი სახლისკენ, ტყუპისცალივით რომ ჰგავდა ჰუბერმანების საცხოვრებელს, თუმცა, ოდნავ დიდი იყო.

გოგონა სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა, ფრაუ ჰოლცაპფელმა მის მოპირდაპირედ დაიკავა ადგილი, სახით ფანჯრისაკენ:

— დაიწყე.

— თავი მეორე?

— არა, მერვე. რა თქმა უნდა, მეორე! ჰე, დაიწყე ახლა, სანამ გამიგდიხარ!

— დიახ, ფრაუ ჰოლცაპფელ!

— შეეშვი ზედმეტ ლაპარაკს, იცოდე, უბრალოდ, წიგნი გადაშალე, მთელი დღე კი არ მცალია!

„ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა ლიზელი, — აი, როგორ დავისაჯე ქურდობისთვის, ცოდვებმა მიწია!“

გოგონა ორმოცდახუთი წუთი კითხულობდა და როცა ერთი თავი დაასრულა, მაგიდაზე ყავის შეკვრა დაინახა.

— გმადლობ, — უთხრა ქალმა, — კარგი მოთხრობაა, — შემდეგ კი ქურას მიუბრუნდა და კარტოფილის გათლას შეუდგა, უკან აღარც მიუხედავს, ისე უთხრა ლიზელს, — შენ რა, ისევ აქ ხარ?

ლიზელი მიხვდა, რომ წასვლის დრო იყო:

— Danke schön, ფრაუ ჰოლცაპფელ!

კართან რომ მივიდა, სამხედრო ფორმაში გამონყობილი ორი ახალგაზრდის ჩარჩოში ჩასმული სურათი დაინახა, „ჰაილ ჰიტლერო“, აღმოხდა და ხელი აღმართა.

— ჰო, — ფრაუ ჰოლცაპფელი ამაყობდა და თან ეშინოდა, — ორი ვაჟი რუსეთში იბრძვის, „ჰაილ ჰიტლერ“! — თქვა, წყალი ქურაზე დადგა ასადუღებლად, იკადრა და ლიზელი კარამდეც კი მიაცილა. — Bis morgen?

მეორე დღე პარასკევი იყო.

— დიახ, ფრაუ ჰოლცაპფელ, ხვალამდე!

ლიზელმა გამოთვალა, რომ მოლკინგში ებრაელების მსვლელობამდე კიდევ ოთხჯერ მოუხდა ფრაუ ჰოლცაპფელთან წიგნის წასაკითხად გადასვლა.

ებრაელები დაჰაუში მიჰყავდათ, საკონცენტრაციოდ.

„სულ ორი კვირა გამოვიდა“ — დაწერს გოგონა სარდაფში, — *„ორი კვირა სამყაროს შესაცვლელად, თოთხმეტი დღე — გასანადგურებლად“.*

გრძელი გზა დაჰაუმდე

ამბობდნენ, სატვირთო მანქანა გაფუჭდაო, მაგრამ გარწმუნებთ, რომ საქმე ამაში არ იყო, იქ ვიყავი.

ოკეანესავით ცა, თეთრჩაჩიანი ღრუბლები.

ერთი კი არა, მაშინ რამდენიმე მანქანა უნდა გაფუჭებულიყო, არადა, სამივე სატვირთო ერთდროულად ხომ არ მოიშლებოდა.

ჯარისკაცებმა საქმელად და სიგარეტის მოსაწევად რომ შეისვენეს და მუჯლუგუნების კვრით წინ გაიგდეს ებრაელები, ერთ-ერთ ტყვეს შიმშილისა და დაუძლურებისგან გული წაუვიდა. აზრზე არ ვარ, საიდან მოდიოდა ის კოლონა, მაგრამ ყველაფერი ალბათ მოლკინგიდან სამი მილის დაშორებით მაინც მოხდა, დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკამდე უამრავი ნაბიჯი აშორებდათ.

საქარე მინიდან გადავძვერი სატვირთოში, ავადმყოფი მოვძებნე და შემდეგ უკნიდან გადავხტი. გაძვალტყავებული სული ჰქონდა, წვერიც კი ბორკილებად ეკიდა. ხმაურით დავხტი ხრეშზე, ჯარისკაცებსა და ტუსაღებს ხმა არ გაუგონიათ. ჩემი სუნი კი ეცათ.

მახსენდება, რომ იმ სატვირთოს ძარაში ბევრი ნატვრა მოვისმინე, შინაგანი ხმები მიხმობდა.

— რატომ ის და არა მე?

— მადლობა ღმერთს, არ მომაკითხა.

ჯარისკაცები თავის საქმეებზე ლაპარაკობდნენ, მეთაურმა სიგარეტის ნამწვი ძირს დააგდო, ფეხსაცმლით გასრისა და თავის ხალხს კვამლიანი კითხვა დაუსვა:

— უკანასკნელად როდის გამოვიყვანეთ ის ვირთხები სუფთა ჰაერზე?

პირველმა ლეინტენანტმა ჩაახველა:

— არ აწყენდათ, ხომ იცი.
— თუ ასეა, დრო გვაქვს, არა?
— ჩვენ დრო ყოველთვის გვაქვს, სერ!
— თანაც მშვენიერი დღეა მსვლელობისთვის, არ მეთანხმები?
— დიახ, სერ.
— მაშ, რას ელოდები?

ლიზელი ჰიმელ-სტრიტზე ფეხბურთს თამაშობდა, როცა ხმაური მოესმა. ორი ბიჭი ბურთის დაუფლებას ცდილობდა მოედანზე და უცებ ყველაფერი გაირინდა. ტომი მიულერმაც კი რაღაც იგრძნო.

— რა ხდება? — იკითხა მეკარემ.

მოახლოებული ფეხის ხმისა და მეთაურების ბრძანებების გაგონებაზე ყველა იქით შებრუნდა.

— ნახირია? — იკითხა რუდიმ, — თუმცა, მგონი ძროხები ასეთ ხმას არ გამოსცემენ.

ბავშვებით სავსე ქუჩა თავიდან ნელა დაიძრა ფრაუ დილერის მაღაზიისკენ, მაგნიტივით მიიზიდა ხმამ, დროდადრო ხმამაღალი ყვირილი ისმოდა.

მიუნხენის ქუჩის კუთხეში მდებარე მაღალჭერიანი ბინიდან მოხუცი ქალბატონის უბედურების მომასწავებელმა ყვირილმა ყველაფერს ფარდა ახადა. ფანჯარაში მისი სახე, სველი თვალებითა და დაღებული პირით, თეთრი ბაირაღივით მოჩანდა. ჭაღარა იყო. მუქი, მუქი ცისფერი თვალები ჰქონდა. მისი ხმა თვითმკვლელივით დაენარცხა ლიზელის ფეხებთან.

— Die Juden, ებრაელები! — დაიძახა.

დუდენის ლექსიკონი, მნიშვნელობა №6

Elend — მწუხარება
მძიმე ტანჯვა, უბედურება, ვარამი.
აზრობრივად ახლოს მდგომი სიტყვები:
ტკივილი, წამება, სასოწარკვეთა, წუხილი,
გულგატეხილობა.

ქუჩას, სადაც ადრე უკვე ჩაევლო ებრაელების კრებულსა და სხვა დამნაშავეებს, ხალხი შეემატა. იქნებ სასიკვდი-

ლო ბანაკების არსებობას ასაიდუმლოებდნენ კიდეც, მაგრამ დაჰაუს მსგავსი შრომითი ბანაკების მიღწევებს დროდადრო მაინც ასაჯაროებდნენ.

მოშორებით, ქუჩის მეორე მხარეს, ლიზელმა მამაკაცი დაინახა საღებავებიანი ორთვალათი, მორბოდა და ხელს უხერხულად ისვამდა თმაზე.

— გაიხედე, — ხელი გაიშვირა გოგონამ, — მამა!

ორივემ გზა გადაჭრა და ებრაელებს მიუახლოვდა, მაგრამ ჰანს ჰუბერმანმა მათი იქიდან გაყვანა სცადა.

— ლიზელ, — თქვა მან, — იქნებ...

თუმცა მიხვდა, გოგონამ დარჩენა გადაწყვიტა. და ისედაც, ალბათ იყო რაღაც, რაც ლიზელს უნდა ენახა. შემოდგომის გრილ დღეს ჰანსი გოგონას გვერდით ამოუდგა და ხმა აღარ ამოუღია.

სამივენი მიუნხენის ქუჩაზე იდგნენ და მსვლელობას უყურებდნენ.

სხვები მათ წინ და უკან ირეოდნენ.

უცქერდნენ, როგორ მიედინებოდნენ გზაზე ებრაელები, სხვადასხვაფერად. წიგნის ქურდმა ასე აღწერა ისინი, მაგრამ არ ვიცი, სინამდვილეში რას წარმოადგენდნენ, უამრავი მათგანი მალე დაიღუპა. ისე მეგებებოდნენ, როგორც უკანასკნელ ჭეშმარიტ მეგობარს, კვამლივით ძვლები ჰქონდათ, სულს ზურგით მიათრევდნენ.

ბოლოს, სრულად რომ წარდგნენ ჩემ წინაშე, მიწა იძრა მათი ნაბიჯებისგან. დამშეულ თავის ქალებში უზარმაზარი თვალები აჯდათ. და ჭუჭყით. ჭუჭყით ამოჰქოლოდათ. ჯარისკაცები ხელს რომ ჰკრავდნენ, მუხლები ეკეცებოდათ. ძლივს გადადგამდნენ რამდენიმე ნაბიჯს და შემდეგ ისევ მილასლასებდნენ..

ჰანსი მოსეირეთა თავზემოდან აკვირდებოდა მსვლელობას. დარწმუნებული ვარ, ვერცხლის თვალებით იყურებოდა, დაძაბული. ლიზელი ხან ღიობებიდან ხედავდა ებრაელებს, ხანაც ვიღაცის მხარზემოდან.

დაუძლურებული ქალებისა და მამაკაცების მწუხარე სახეები შველას კი არ ითხოვდნენ მათგან — აზრადაც არ მოსვლიათ — ახსნას ელოდნენ. რაღაცით მაინც რომ დამშვიდებულიყვნენ.

ფეხს ძლივს აშორებდნენ მიწას.

დავითის ვარსკვლავი ემაგრათ პერანგებზე, მწუხარება განუშორებლად სდევდათ, თითქოს მათი დანიშნულება ეს იყო. „ნუ დაივიწყებ შენს მწუხარებას“...[40] - ზოგიერთს მწუხარება ვაზივით შემოხვეოდა.

გვერდით ჯარისკაცები მიჰყვებოდნენ და აჩქარებდნენ, უბრძანებდნენ, კვნესა შეეწყვიტათ, ზოგი მათგანი ჯერ კიდევ პირტიტველა იყო. ფიურერი ჩაჰბუდებოდათ თვალებში.

ლიზელი უცქერდა იმ ყველაფერს და ფიქრობდა, ყველაზე საბრალო ცოცხალი სულები არიანო. ასეც დაწერა. ძალაგამოცლილებს სახეები ტანჯვისგან დაჰგრძელებოდათ. წინ მიდიოდნენ და შიმშილი ჭამდათ, რამდენიმე მიწას დაჰყურებდა, მზერა რომ მოერიდებინა ქუჩაში გამოსული ადამიანებისთვის, ზოგი ვედრებით ჩაჰყურებდა თვალებში მათ, ვინც ამ საჯარო შეურაცხყოფას, სიკვდილის პრელუდიას უყურებდა, დანარჩენები კი მუდარით სთხოვდნენ ვილაცას, ნებისმიერს, გადმოედგა ნაბიჯი და მკლავებზე დაესვენებინა.

ფეხი არავის მოუცვლია ადგილიდან.

ვილაც სიამაყით უცქერდა მსვლელობას, ვილაც სირცხვილით, მაგრამ არავის უცდია, ხელი შეეშალა ჯარისკაცებისთვის, ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც.

დროდადრო ქალი ან მამაკაცი — არა, რა ქალი და მამაკაცი, ისინი ხომ ებრაელები იყვნენ — ლიზელს პოულობდა ბრბოში, იმედგაცრუებული უცქერდა და წიგნის ქურდი მხოლოდ საპასუხო მზერას აგებებდა იმ ტკივილით სავსე გრძელ წამს, სანამ არ ჩაივლიდნენ. გოგონას მხოლოდ იმის იმედი ჰქონდა, საბრალოები მიხვდებოდნენ, როგორი დარდი აღბეჭდვოდა სახეზე, გაიგებდნენ, რამდენად გულწრფელი და ღრმა იყო მისი განცდა.

— ერთი თქვენიანი სარდაფში მყავს, — უნდოდა ეთქვა, — თოვლის პაპა ერთად გავაკეთეთ! ავად რომ იყო, ცამეტი საჩუქარი მივუძღვენი!

თუმცა, არაფერი უთქვამს.

რა აზრი ჰქონდა?

---

[40] *ძვ. აღთქმა, იობ., 11,16*

იცოდა, იმ ხალხს ვერაფრით უშველიდა, ვერ გადაარჩენდა და რამდენიმე წუთში დაინახავდა, რა დღეში ჩააგდებდნენ მას, ვინც მათ დახმარებას შეეცდებოდა.

უცებ, სხვებზე უფროსმა კაცმა დაარღვია მწკრივი.

წვერი ჰქონდა და დახეული სამოსი ეცვა.

თვალები აგონიის ფერი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გამხდარი იყო, მეტისმეტად უმძიმდა ნაბიჯის გადადგმა.

რამდენჯერმე დაეცა.

სახით მიესრისა გზას.

ასეთ დროს თავზე ყოველთვის ჯარისკაცი ადგა, — Steh' auf, ადექი! — ეძახდა.

კაცი ცალ მუხლს დაეყრდნო და წამოდგომა სცადა. ძლივს განაგრძო სვლა.

ყოველთვის, როცა მწკრივს უბრუნდებოდა, წონასწორობას კარგავდა და ისევ ეცემოდა მიწაზე, მის უკან მთელი საატვირთო მანქანა ხალხი მოდიოდა, ცოტაც და ფეხს წამოჰრავდნენ, ან გადაუვლიდნენ.

აუტანელი საცქერი იყო, როგორ ცდილობდა, მტკივანი, აცახცახებული მკლავების დამორჩილებას და კიდევ ერთხელ წამოდგომას, სხვებმა ისევ უკან დაიხიეს, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა რომ მოეხერხებინა.

მკვდარი იყო.

მოხუცი უკვე მკვდარი იყო.

სულ ხუთი წუთი მიეცით, გერმანულ თხრილში ჩავარდება და მოკვდება. ხელი არავინ შეუშალოს, იდგნენ და უცქირონ.

შემდეგ ერთი ადამიანი.

ჰანს ჰუბერმანი.

ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა.

სულთმობრძავი კაცი მის გვერდით რომ აღმოჩნდა, მამამ მჭიდროდ ჩაკიდებული ხელი უცებ გაუშვა ლიზელს. გოგონამ იგრძნო, როგორ მოხვდა ფეხზე საკუთარი ხელისგული.

მამა საღებავებით დატვირთულ ორთვალასთან მივიდა და რაღაც ამოიღო.

შემდეგ ხალხი გასწია და გზაზე გავიდა.

ებრაელი მის წინ იდგა, დაცინვის ახალ ტალღას ელოდა, მაგრამ ამის ნაცვლად სხვებთან ერთად დაინახა, როგორ მოხდა სასწაული — ჰანს ჰუბერმანმა პურის ძვირფასი ნაჭერი გაუწოდა მას.

პური ერთი ხელიდან მეორეში რომ გადავიდა, მოხუც ებრაელს ფეხი მოეკვეთა, მუხლებზე დაეცა, წვივებზე მოხვია ხელი ჰანსს და თავდახრილმა მადლობა გადაუხადა.

ლიზელი უყურებდა.

ცრემლები ედგა თვალებში, მაგრამ მაინც დაინახა, ისევ რომ წაიბორძიკა კაცმა, მამა უკან გასწია და ატირდა.

დანარჩენმა ებრაელებმა გვერდით ჩაუარეს, ყველამ დაინახა ეს პატარა, ფუჭი სასწაული. ადამიანები წყალივით მიედინებოდნენ, იმ დღეს ძალიან ცოტამ მიაღწია ოკეანემდე, სადაც თეთრი ჩაჩები დაურიგეს.

ჯარისკაცი სწრაფად მიუახლოვდა დანაშაულის ადგილს, მუხლზე დაჩოქილ ებრაელს და ჰანსს შეხედა, შემდეგ ბრბოს მზერით დაახევინა უკან. ბევრი აღარ უფიქრია, როზგი ამოიძრო ქამრიდან და დაიწყო.

ებრაელი ექვსჯერ გაროზგეს, ზურგზე, თავსა და ფეხებში ურტყეს, — ბინძურო! ღორო! — ყურიდან სისხლი წამოუვიდა. შემდეგ მამის ჯერი დადგა.

ლიზელისთვის ახლა სხვას ჩაეჭიდა ხელი. შეშინებულმა გვერდით რომ მიიხედა, რუდი შტაინერი დაინახა, ის ჩუმად ყლაპავდა ნერწყვს, სანამ ჰანს ჰუბერმანს სცემდნენ. როზგის ხმისგან ლიზელი ცუდად გახდა, წარმოიდგინა, რომ ჰანსს ბზარები გაუჩნდა სხეულზე. ოთხჯერ დაარტყეს, სანამ ისიც არ დაეცა.

მოხუცი ებრაელი უკანასკნელად წამოდგა ფეხზე, გზა განაგრძო და უკან მიიხედა. გამოსათხოვარი, ნაღვლიანი მზერა შეაგება მამაკაცს, რომელიც ახლა თავადაც დაჩოქილი იდგა, ზურგზე ოთხი ცეცხლოვანი ზოლი გასჩენოდა და საშინლად სტკიოდა მუხლები. სხვა თუ არაფერი, ის კაცი ადამიანივით მაინც კვდებოდა ან — იმ ფიქრით, რომ ადამიანი იყო.

მე?

დარწმუნებული არ ვარ, რომ კარგია.

როცა ლიზელი და რუდი ჰანსთან მივიდნენ და წამოაყენეს, ხმები მოესმათ. სიტყვები და მზის შუქი. აი, ასე დაამახსოვრდა გოგონას ყველაფერი. შუქი გზას დასთამაშებდა, სიტყვები კი ტალღებივით ეხლებოდა ზურგზე. იქაურობას ცოტა რომ მოშორდნენ, გზაზე დაგდებული პური დაინახეს, რუდიმ სცადა, აელო, მაგრამ გვერდით ჩავლილმა ებრაელმა გამოჰგლიჯა ხელიდან, მის უკან მომავალმა ორმა თანამოძმემ კი მისი წართმევა სცადა, სანამ ისევ დაადგებოდნენ დაჰაუს გზას.

ვერცხლის თვალები ჩაქოლეს.

ორთვალა გადააბრუნეს, იქიდან საღებავები გადმოცვივდა და ქუჩაზე გაგორდა.

ჰანსს „ებრაელთმოყვარე" ეძახეს.

თუმცა, რამდენიმეს ხმა არ ამოუღია, წამოდგომაში ეხმარებოდა.

ჰანს ჰუბერმანი წინ გადაიხარა, ხელებით მიეყრდნო სახლის კედელს, უცებ მიხვდა, რა ჩაიდინა.

თვალწინ წარმოუდგა საშინელი სურათი.

ჰიმელ-სტრიტის 33, სარდაფი.

პანიკური ფიქრები ჩასუნთქვებსა და ამოსუნთქვებს შორის გაიჩხირა.

ახლა ჩვენთან მოვლენ. აუცილებლად მოვლენ.

ოჰ, იესო, ოჰ, ჯვარცმულო იესო!

გოგონას შეხედა და თვალები დახუჭა.

— მამა, იტკინე რამე?

პასუხის ნაცვლად ლიზელს შეკითხვა მოესმა.

— ნეტავ რაზე ვფიქრობდი? — ჰანსმა უფრო მაგრად დახუჭა თვალები და ისევ გაახილა. სამუშაო ხალათი დასვროდა, ხელებზე საღებავი და სისხლი ეცხო. ნამცეცებიც. როგორ განსხვავდებოდა ისინი ზაფხულის პურისგან. — ოჰ, ღმერთო, ლიზელ, რა ჩავიდინე?

დიახ.

უნდა დავეთანხმო.

რა ჩაიდინა მამამ?

სიმშვიდე

მაქს ვანდენბურგი იმ ღამით, თერთმეტი საათის შემდეგ, ჰიმელ-სტრიტზე გავიდა, თან სურსათითა და თბილი სამოსით სავსე ჩემოდანი მიჰქონდა. ფილტვებით გერმანულ ჰაერს ისუნთქავდა. ყვითელი ვარსკვლავები ენთო ცაზე. ფრაუ დილერის მაღაზიისკენ სანამ გაუხვევდა, უკანასკნელად შეავლო თვალი 33-ნომერ სახლს. მაქსი ვერ არჩევდა ფიგურებს სამზარეულოს ფანჯარაში, მაგრამ გოგონა ხედავდა მას. ლიზელმა ხელი დაუქნია, მაქსმა — აღარ.

ლიზელი ისევ გრძნობდა მისი ტუჩების შეხებას შუბლზე, გამომშვიდობების სუნი სცემდა.

— რაღაც დაგიტოვე, — უთხრა, — მაგრამ არ მოგცემენ, სანამ მზად არ იქნები.

წავიდა.

მაქს!

უკან აღარ მოუხედავს.

ოთახიდან გავიდა და ჩუმად გაიხურა კარი.

დერეფანი ბუტბუტებდა.

წავიდა.

გოგონა სამზარეულოში რომ შებრუნდა, დედობილ-მამობილი წელში მოხრილი დაინახა, დაყენებული სახეებით. ასე იდგნენ მარადისობის მთელი ოცდაათი წამი.

დუდენის ლექსიკონი, მნიშვნელობა №7

***Schweigen** — დუმილი*

ბგერის ან ხმის არარსებობა.

აზრობრივად ახლოს მდგომი სიტყვები: სიჩუმე, მდუმარება, მშვიდობა

რა სრულყოფილი სიტყვაა.

მშვიდობა.

გერმანელი ებრაელი სადღაც, მიუნხენის მახლობლად, სიბნელეში მიიკვლევდა გზას. ოთხ დღეში (იმ შემთხვევაში, თუ არ აიყვანდნენ) ჰანს ჰუბერმანთან ჰქონდა დათქმული შეხვედრა მდინარესთან, ჩატეხილ ხიდთან, მდინარესა და ხეებს შორის.

ჰანსი მივა, მაგრამ მხოლოდ ხუთი წუთით.

ოთხი დღის შემდეგ ერთადერთი, რასაც ხის ძირას, ქვის ქვეშ იპოვის, პატარა ბარათია, ერთწინადადებიანი.

მაქს ვანდენბურგის უკანასკნელი სიტყვები

საკმარისია, რაც ჩემთვის გააკეთეთ.

ახლა ჰიმელ-სტრიტის 33-ნომერში ისეთი სიჩუმე იდგა, როგორც არასდროს და არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ დუდენის ლექსიკონი თავიდან ბოლომდე მცდარია, განსაკუთრებით აზრობრივად დაკავშირებულ სიტყვებში:

დუმილი არც სიჩუმე იყო, არც მდუმარება და, მით უმეტეს, არც მშვიდობა.

იდიოტი და კაცები ლაბადებში

მსვლელობის ღამეს სამზარეულოში იდიოტი იჯდა, ჰოლ-ცაპფელის მწარე ყავას ყლუპავდა და საოცრად უნდოდა სი-გარეტის მოწევა. ის გესტაპოელებს, პოლიციას, ვინ იცის, ვის აღარ ელოდა, გრძნობდა, აყვანას იმსახურებდა. როზამ უბრძანა, წადი, დაწექიო. გოგონა უსაქმოდ დახეტიალებდა შესასვლელთან. ჰანსმა ორივე გაისტუმრა დასაძინებლად და მთელი ღამე ლოდინში გაატარა ხელებში თავჩარგულმა.

არავინ მისულა.

დროის ყოველი მონაკვეთი ხმაურის, კაკუნისა და მუქარის სიტყვების მოლოდინით იყო სავსე.

არ მიაკითხეს.

მხოლოდ საკუთარი ხმა ესმოდა.

„რა ჩავიდინე?" — ჩურჩულებდა ისევ.

„ღმერთო, როგორ მინდა, სიგარეტი", — არადა, თამბაქო, უკვე კარგა ხანი იყო, აღარ ჰქონდა.

ლიზელს რამდენჯერმე მოესმა გამეორებული სიტყვები და ძლივს შეიკავა თავი, ზღურბლისთვის არ გადაებიჯებინა. მამის დამშვიდება უნდოდა, მაგრამ ასე განადგურებული არასოდეს ენახა ადამიანი. ნუგეშისმცემელიც არავინ ჰყავდა გვერდით. მაქსი წავიდა და ამაში ჰანს ჰუბერმანს მიუძღოდა ბრალი.

სამზარეულოს განჯინას დანაშაულის ფორმა ჰქონდა, დასვრილი ხელები კი ჰანსს ახსენებდა, რა ჩაიდინა. ალბათ ოფლიანი აქვსო, ფიქრობდა ლიზელი, თავადაც მაჯები დას-ველებოდა.

გოგონა ოთახში ლოცულობდა.

მუხლებზე დაშვებული, ხელებდაწყობილი და ლეიბზე შუბლმიდებული.

„გემუდარები, ღმერთო, მაქსი გადაარჩინე, გემუდარები, ღმერთო“.

ატკივებული მუხლები.

გაყინული ტერფები.

ინათა თუ არა, გაელვიძა და სამზარეულოში შევიდა. იქ მამას ეძინა, თავი მაგიდაზე ედო და ტუჩის კუთხეში ნერწყვი ჩამოსვლოდა.

ოთახში ყავის სურნელი იდგა, ჰანს ჰუბერმანის სულელური სიკეთე კი ჰაერში იყო გამოკიდებული, სახლის მისამართივით ან ნომერივით. რამდენჯერმე გაიმეორებს და გაჩერდება.

გოგონას პირველი მცდელობა, მამა გაელვიძებინა, ფუჭი აღმოჩნდა, მაგრამ მხრებზე მეორედ რომ შეეხო, ელდანაცემმა ჰანსმა თავი წამოსწია მაგიდიდან.

— მოვიდნენ?

— არა, მამა, მე ვარ.

ჭიქიდან ყავის უკანასკნელი უგემური გუბე მოსვა, ხვანჩი შეხტა და დაეშვა, — აქამდე უნდა მოსულიყვნენ, სად არიან, ლიზელ?

რა შეურაცხმყოფელი იყო.

აქამდე უნდა მისულიყვნენ, სახლი გაეჩხრიკათ, ებრაელთმოყვარეობის ან ღალატის სამხილი ეპოვათ. გამოდის, მაქსი ტყუილად წავიდა, შეეძლო, ისევ გაეთია ღამე სარდაფში და წიგნი ნახატებით გაევსო.

— რა იცოდი, რომ არ მოვიდოდნენ, მამა.

— ის უნდა მცოდნოდა, რომ არ ღირდა იმ კაცისთვის პურის მიცემა, უბრალოდ, არ დავფიქრებულვარ.

— მამა, ცუდი არაფერი ჩაგიდენია.

— არ მჯერა.

ჰანსი წამოდგა, სამზარეულოს კარს მიუახლოვდა და შეაღო.

ტკივილი და შეურაცხყოფა რომ არა, შესანიშნავი დილა იდგა.

ოთხი დღე რომ გავიდა, მამა მდინარე ამპერს ჩაუყვა, პატარა ბარათი მოიტანა შინ და სამზარეულოს მაგიდაზე დადო.

კიდევ ერთი კვირა ჰანს ჰუბერმანი სასჯელს ელოდა. იარები ზურგზე ნელ-ნელა შუშდებოდა და ისიც დროის უმეტეს ნაწილს ხეტიალში ატარებდა. ფრაუ დილერმა ფეხებთან დაუფურთხა, ფრაუ ჰოლცაპფელმა პირობა არ გატეხა, ჰუბერმანების კარს აღარ აფურთხებდა, მაგრამ ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა.

— ვიცოდი, — ლანძღავდა ჰანსს მაღაზიის მეპატრონე, — ბინძური ებრაელთმოყვარე რომ იყავი.

ჰანსი ვერაფერს ამჩნევდა, მაინც აგრძელებდა სვლას, ლიზელი ხშირად პოულობდა ამპერზე გადებულ ხიდდთან, იდაყვები მოაჯირზე ედო და სხეულით წყლისკენ იყო გადახრილი. გვერდით ბავშვები ჩაურბენდნენ ხოლმე ხმაურით და ფეხების ტყაპატყუპით ან ველოსიპედით ჩაუვლიდნენ, ის კი ყურადღებას არ აქცევდა.

დუდენის ლექსიკონი, მნიშვნელობა №8

Nachtrauern — დანანება:

დარდი, რომელსაც ავსებს წუხილი, იმედგაცრუება, დანაკარგი.

აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები: სინანული, შემუსვრილობა, ნაღველი, გლოვა.

— ხედავ ხოლმე — ჰკითხა ერთ დღეს ხიდზე მდგარმა ჰანსმა ლიზელს, — წყალში?

მდინარე არც ისე სწრაფად მიედინებოდა.

ლიზელი მართლაც ხედავდა წყალზე მაქს ვანდენბურგის სახის ნაკვთებს, ბუშბულივით თმას და ასე შემდეგ...

— იცი? ის ფიურერს ერკინებოდა ხოლმე ჩვენს სარდაფში.

— იესო, მარიამ და იოსებ, — მამამ ხელები მოუჭირა ხინვიან ხეს, — რა იდიოტი ვარ!

არა, მამა.

შენ, უბრალოდ, ადამიანი ხარ.

ეს სიტყვები გოგონას ერთი წლის შემდეგ მოუვა თავში, სარდაფში წერისას და მერე სულ ინანებს, რომ მაშინვე არ მოაფიქრდა.

— სულელი ვარ. და კეთილიც. — უთხრა ჰანს ჰუბერმანმა შვილობილს, — ეს კი მსოფლიოში ყველაზე დიდ იდიოტად მაქცევს. ხომ გესმის, მინდა, რომ მომაკითხონ და წამიყვანონ, ლოდინს ყველაფერი ჯობს!

ჰანს ჰუბერმანს გამართლება სურდა, მიზეზი სჭირდებოდა, რომ დარწმუნებულიყო, ვანდენბურგი ტყუილად არ გავუშვი სახლიდანო.

ბოლოს, სამი კვირა რომ ელოდა, იფიქრა, ამის დროც დადგაო.

უკვე გვიანი იყო.

ლიზელი ფრაუ ჰოლცაპფელისგან ბრუნდებოდა, ორი გრძელლაბადიანი კაცი რომ დაინახა და შინ შევარდა.

— მამა, მამა! — გოგონამ სამზარეულოს მაგიდა კინალამ გადააბრუნა, — მამა, მოგაკითხეს!

პირველად დედობილმა გამოხედა:

— რა გაყვირებს, ღორუკელა? ვინ არიან?

— გესტაპო!

— ჰანს!

მამა უკვე გარეთ გადიოდა მისასალმებლად. ლიზელს უნდოდა, გაჰყოლოდა, მაგრამ როზამ უკან დააბრუნა და ფანჯრიდან უთვალთვალებდნენ.

ჰანსი ჭიშკარს მიუახლოვდა. ნერვიულობდა.

დედამ მაგრად მოუჭირა ლიზელს ხელი ხელზე.

ლაბადიანებმა ჩაიარეს.

მამამ ახლა ფანჯრიდან გადახედა და შეშფოთებულმა გააყოლა თვალი, როცა მათ ჭიშკარს ჩაუარეს. ბოლოს დაუძახა:

— ჰეი! აქ ვარ, თქვენ ხომ ჩემი წაყვანა გინდათ, მე აქ ვცხოვრობ.

ლაბადიანი კაცები წამით შეჩერდნენ, რვეულში ჩაიხედეს და უთხრეს:

— არა, არა, საუბედუროდ, თქვენ არ გამოგვადგებით, უკვე ხანდაზმული ხართ. — დაბალი და ბოხი ხმები ჰქონდათ.

შემდეგ გზა განაგრძეს, შორს არ წასულან, 35-ნომერ სახლთან შეჩერდნენ და ღია ჭიშკარში შეაბიჯეს.

— ფრაუ შტაინერი გვინდოდა! — თქვეს, კარი რომ გაიღო.

— დიახ, მე გახლავართ.

— მოვედით, რომ რაღაც გაცნობოთ.

შტაინერების ფეხსაცმლის ყუთივით სახლის წინ მდგარი ლაბადიანი კაცები შეფუთულ სვეტებს ჰგავდნენ.

რატომღაც რუდი იკითხეს.

მათ რუდი სჭირდებოდათ.

ნაწილი მერვე

სიტყვის მბერტყავი

მონაწილეობენ:

დომინო და სიბნელე — ფიქრები შიშველ რუდიზე — სასჯელი — სიტყვის კაცის ცოლი — შემგროვებელი — პურის მჭამელები — სანთლები ტყეში — დამალული ნახატებიანი წიგნი — და ანარქისტის კოსტიუმების კოლექცია.

დომინო და სიბნელე

რუდის უმცროსი დების სიტყვებით, სამზარეულოში ორი ურჩხული იდგა. მათი ხმები თანამიმდევრულად ეხლებოდა კარს, ამ დროს კარს მიღმა შტაინერების სამი ბავშვი დომინოს თამაშობდა. დანარჩენ სამს არაფერი ესმოდა, რადიოს უსმენდნენ საძინებელში. რუდის იმედი ჰქონდა, ეს ვიზიტი გასულ კვირას სკოლაში მომხდარ ამბავთან დაკავშირებული არ იყო. მომხდარის შესახებ ბიჭს არც ლიზელისთვის უთქვამს რამე, არც შინაურებისთვის.

ნაცრისფერი შუადღე, სკოლის პატარა შენობა

მწკრივში სამი ბიჭი იდგა, საგულდაგულოდ სწავლობდნენ მათ პირად საქმეებსა და სხეულებს.

დომინოს მეოთხე ხელიც რომ ითამაშეს, რუდიმ ქვები საერთო ოთახის იატაკზე სხვადასხვაგვარად განალაგა და, ჩვეულებისამებრ, მწკრივებს შორის გასასვლელი დატოვა, ყალთაბანდ და-ძმებს რომ არ დაეშალათ, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე.

— რუდი, დავშალო მწკრივები?

— არა.

— მე რომ დავშალო?

— არა, ყველა ერთად დავშლით.

რუდის სამ მწკრივად ჰქონდა დალაგებული ქვები, ისინი შუაგულში მდგარ დომინოს კოშკისკენ მიემართებოდა. ერთად დააკვირდებოდნენ, როგორ დაიშლებოდა დიდი სიფრთხილით აშენებული დომინოს დერეფნები და განადგურების მშვენიერება გააღიმებდათ.

სამზარეულოში ხმას აუწიეს, ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის მიეწვდინათ. წინადადებები ერთი ადამიანისკენ იყო მიმართული, ის იქამდე დუმდა.

— არა, — ამბობდა ქალი და შემდეგ იმეორებდა, — არა! — ამას საპასუხოდ, არგუმენტების სეტყვა მოჰყვა, მაგრამ ქალმა ისევ გააჩუმა ყველა და ხმას აუწია, — გემუდარებით, — ბარბრა შტაინერი ვედრებაზე გადავიდა, — ოღონდ ჩემი ბიჭი არა!

— სანთელი ავანთოთ, რუდი?

მამა ხშირად იქცეოდა ასე: შუქს გამორთავდა და ყველანი სანთლის შუქზე უყურებდნენ, როგორ იშლებოდა დომინოს მწკრივი, ასე უფრო დიდებული სანახავი იყო.

ბიჭს ფეხები სტკიოდა:

— მოიცათ, ასანთს ვიპოვი.

ელექტროჩამრთველი კართან იყო.

რუდი ჩუმად მიუახლოვდა მას, ცალ ხელში ასანთით, მეორეში — სანთლით.

კარს იქით, სამი მამაკაცი და ერთი ქალი საცაა მოთმინებას დაკარგავდნენ.

— საუკეთესო ქულები აქვს კლასში, — თქვა ერთ-ერთმა ურჩხულმა ყრუდ და მშრალად, — რომ არაფერი ვთქვათ მის ათლეტურ მონაცემებზე. დასწყევლოს ღმერთმა, რაში დასჭირდა იმ თამაშებზე სამ რბოლაში გამარჯვება?

დოიჩერი.

ეშმაკსაც ნაულია ფრანც დოიჩერი!

მაგრამ შემდეგ რუდი მიხვდა.

ფრანც დოიჩერის კი არა, თავისი ბრალი იყო. უნდოდა, მხოლოდ ყოფილი მწვალებლისთვის ეჩვენებინა, რა შეეძლო, მაგრამ ყველას აჩვენა. ახლა ის ყველა სამზარეულოში იყო.

ბიჭმა სანთელი აანთო და შუქი ჩააქრო.

— მზად ხართ?

— მაგრამ მე ვიცი, იქ რა ხდება, — შეუძლებელი იყო, შეშლოდა მამამისის ძარღვიანი ხმა.

— მიდი, რა, რუდი, დაუჩქარე!

— დიახ, მაგრამ კარგად გამიგეთ, ჰერ შტაინერ, დიდი მიზნების მიღწევა გვსურს, თქვენი ვაჟის შესაძლებლობებზე დაფიქრდით. ეს ხომ ნამდვილად პრივილეგიაა.

— რუდი, სანთელი წვეთავს.

ბიჭმა ხელი აუქნია ბავშვებს და ალექს შტაინერის სიტყვებს დაელოდა. მანაც დაილაპარაკა.

— თოვლში ფეხშიშველა სირბილი და ათმეტრიანი ბაქნიდან სამი ფუტი სიღრმის წყალში ჩახტომა პრივილეგიაა?

რუდის ისევ ყური ჰქონდა მიდებული კარზე, ხელში ადნებოდა ცვილი.

— ეგ ხომ ჭორია, — დაბალ, საქმიან და მშრალ ხმას ყველაფერზე ჰქონდა პასუხი, — ჩვენი სკოლა პირველია ქვეყანაში, მსოფლიო მნიშვნელობისაა, გერმანელი მოქალაქეების ელიტურ ჯგუფს ვაყალიბებთ.

რუდის მეტის მოსმენა აღარ შეეძლო.

ხელიდან მოიშორა ცვილი და კარიდან შემოსული სინათლის ნვრილი ზოლის დახმარებით დაბრუნდა უკან, ოთახში, და მოწყვეტით დაჯდა. მეტისმეტად მკვეთრი მოძრაობისგან სანთელიც ჩაქრა. ჩამობნელდა, მხოლოდ თეთრი შუქი ეცემოდა სამკუთხედად სამზარეულოს შეღებული კარიდან.

ბიჭმა კიდევ ერთხელ გაჰკრა ასანთს და სანთელი აანთო. ალისა და ნახშირის მოტკბო სუნი დადგა.

რუდიმ და დებმა სათითაოდ ჰკრეს ხელი დომინოს მწკრივებს და უყურებდნენ, როგორ დაემხო შუაგულში მდგარი კოშკი. გოგონები გამხიარულდნენ.

ოთახში კურტი შემოვიდა, უფროსი ძმა.

— გვამებს ჰგვანან, — თქვა.

— რაო?

რუდიმ ბნელ სახეში შეხედა, მაგრამ კურტმა არ უპასუხა, კამათს მიაყურადა.

— რა ხდება?

ერთ-ერთმა დამ უპასუხა, ნაბოლარა ბეტინამ. ის სულ ხუთი წლისა იყო:

— ორი ურჩხულია მოსული რუდის წასაყვანად.

ისევ ადამიანის შვილი. უფროსებზე ბევრად საზრიანი.

მოგვიანებით, ლაბადიანი კაცები რომ წავიდნენ, ორმა ბიჭმა, ერთმა ჩვიდმეტისამ, მეორემ თოთხმეტისამ, მხნეობა მოიკრიბა და სამზარეულოში გავიდა.

შესასვლელ კართან იდგნენ, შუქი თვალებს სჭრიდათ.

ისევ კურტმა დაიწყო:

— რუდის წაყვანას აპირებენ?

დედას მაგიდაზე ეწყო ხელები.

ალექს შტაინერმა დამძიმებული თავი ასწია.

მახვილი ნაკვთები ეტყობოდა სახეზე.

გახევებული ხელით გაისწორა შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი და რამდენჯერმე სცადა დალაპარაკება.

— მამა!

მაგრამ რუდი მამისკენ არ წასულა, სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა და დედას გახედა, რომელიც ხელისგულებს დასცქეროდა.

ალექს და ბარბრა შტაინერები არაფერს იტყვიან, სანამ ბავშვები მეზობელ ოთახში დომინოს კოშკის დაშლას უყურებენ. ნეტავ, რუდი მაინც შეჩერებულიყო კართან რამდენიმე წუთით და მოესმინა.

მომდევნო კვირას ბიჭი თავს ეუბნებოდა, უფრო სწორად, ნანობდა, რატომ არ მოუსმინა დიალოგს იმ საღამოს, უფრო ადრე რატომ არ შევიდა სამზარეულოში.

„წავალ, — იტყოდა, — გემუდარებით, გამიშვით, მზად ვარ“.

ასე რომ მოქცეულიყო, ყველაფერი შეიცვლებოდა.

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

1. ალექს შტაინერი ჰანს ჰუბერმანივით არ დაისჯებოდა.
2. რუდი წავიდოდა იმ სკოლაში.
3. და ალბათ გადარჩებოდა.

თუმცა, ავმა ბედისწერამ რუდი შტაინერს საშუალება არ მისცა, სამზარეულოში შესულიყო და შემთხვევა გამოეყენებინა.

ის დებსა და დომინოს დაუბრუნდა.

დაჯდა.

რუდი შტაინერი არსად წასულა.

ფიქრები შიშველ რუდიზე

იქ ქალი იყო.

კუთხეში იდგა.

ისეთი სქელი ნაწნავი, მას რომ ჰქონდა, რუდის აქამდე არ-სად ენახა, ზურგზე ჰქონდა ჩაშვებული, მაგრამ დროდადრო, თავს რომ გადაიქნევდა, ნაწნავი კარგად ნაკვები ცხოველი-ვით ესვენებოდა მის უზარმაზარ მკერდზე. იმ ქალს ფაქტო-ბრივად, ყველაფერი უსაშველოდ დიდი ჰქონდა, ტუჩებიც, ფეხებიც, ჩანიკნიკებული კბილებიც. მსუყე, მბრძანებლური ხმით საუბრობდა. დროის უქმად ხარჯვას არ აპირებდა:

— Komm, — მიმართა ბავშვებს, — მოდით, აქ დადექით.

ექიმი კი, მისგან განსხვავებით, გაქუცულ მღრღნელს ჩამო-ჰგავდა. პატარა იყო, მარდი, სკოლის ვიწრო დერეფანში საქ-მიანად, მანერულად დაძვრებოდა, თან გაცივებული გახლდათ.

ძნელი სათქმელი იყო, როცა უთხრეს, გაიხადეთო, სამი ბიჭი-დან რომელი უფრო ძნელად დამორჩილდა ბრძანებას. პირველი ხან ასაკოვან მასწავლებელს უყურებდა, ხან უზარმაზარ მედდას, ხანაც ჩია ექიმს. შუაში მდგარი მხოლოდ საკუთარ ფეხებს დას-ჩერებოდა, ხოლო მესამე მარცხენა კუთხეში იდგა და ღმერთს მადლობას სნირავდა, ბნელი ხეივნის ნაცვლად, სკოლის შენობა-ში რომ იმყოფებოდა. რუდის აზრით, მედდა ყველაზე საშიში იყო.

— აბა, ვინ იქნება პირველი? — იკითხა მან.

ჰერ ჰეკენსტალერმა, ზედამხედველმა მასწავლებელმა, გასცა პასუხი, ის უფრო შავი კოსტიუმი იყო, ვიდრე მამაკაცი, სახე კი არა, ულვაში ჰქონდა. მასწავლებელმა ბიჭებს გადაა-ვლო თვალი და სწრაფად გააკეთა არჩევანი.

— შვარცი.

უბედურმა იურგენ შვარცმა სკოლის ფორმა შეიხსნა და უხერხულად გაიხადა, მხოლოდ ფეხსაცმლის და საცვლების ანაბარა დადგა ოთახში, უბედურ, გერმანულ სახეზე ვედრება აღბეჭდვოდა.

— ფეხსაცმელი? — იკითხა ჰერ ჰეკენსტალერმა.

ბიჭმა ფეხსაცმელიც გაიხადა და ორივე წინდაც.

— Und die Unterhosen,— თქვა მედდამ, — საცვლებიც!

რუდიმ და მესამე ბიჭმა, ოლაფ შპიგელმაც დაიწყეს გახდა, მაგრამ ჯერ შორს იყვნენ იმ საცოდავ მდგომარეობამდე, რომელშიც იურგენ შვარცი იმყოფებოდა. ბიჭი კანკალებდა. ერთი წლით უმცროსი იყო დანარჩენებზე, მაგრამ უფრო მაღალი. საცვალიც რომ ჩაიხადა და დედიშობილა დადგა ცივ, პატარა ოთახში, საოცრად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, სრულიად დაკარგა საკუთარი თავის პატივისცემა.

მედდა გულზე ხელებდაწყობილი იდგა და დაჟინებით აკვირდებოდა.

ჰეკენსტალერმა დანარჩენებს უბრძანა, გაინძერითო.

ექიმმა სკალპი მოიქავა და დაახველა, გაცივება ბოლოს უღებდა.

ცივ იატაკზე მდგარი დედიშობილა ბიჭები გულდასმით გამოიკვლიეს. სამივეს შიშველი სარცხვინლები ხელებით დაეფარა და ცახცახებდა, როგორც მომავალი.

ექიმი ხველებასა და ხიხინს შორის სინჯავდა ბიჭებს.

— ჩაისუნთქეთ, — ცხვირის სრუტუნი.

— ამოისუნთქეთ, — ისევ სრუტუნი.

— მკლავები ასწიეთ, — ხველა, — გითხარით, მკლავები ასწიეთ-მეთქი, — ხველის საზარელი შეტევა.

როგორც ადამიანებს ახასიათებთ ხოლმე, ბიჭები ხშირ-ხშირად იხედებოდნენ ერთმანეთისკენ, ურთიერთთანაგრძნობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ სულ ტყუილად. სამივემ მოიშორა ხელი სარცხვინელიდან და მაღლა ასწია. რუდი, რაღაც, ვერ გრძნობდა, რომ უმაღლესი რასის წარმომადგენელი იყო.

— ჩვენ დიდი წარმატებები გვაქვს, — ამცნო მედდამ მასწავლებელს, — ახალი მომავლის შექმნაში. ახალი კლასი

ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული, სხვებზე მაღლა მდგომი გერმანელებისგან უნდა შედგებოდეს, ოფიცერთა კლასად უნდა ჩამოყალიბდეს.

საუბედუროდ, ქალს ქადაგების შემოკლება მოუხდა, რადგან ექიმს ხველის ახალი შეტევა დაეწყო, მოიკეცა და ძირს დაყრილი ტანსაცმლისკენ დაიხარა. საბრალომ, ცრემლები გადმოყარა და რუდი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო.

ახალი კლასი? მათი მსგავსი?

კიდევ კარგი, ჭკუა იხმარა და ხმამაღლა არაფერი თქვა.

გამოკვლევა დასრულდა და ბიჭმა პირველად წარმოთქვა „ჰაილ ჰიტლერ!" შიშვლად. შემდეგ კი ბილწმა აზრმა გაუელვა თავში,— სულაც არ გამოვიდა ცუდადო.

თავმოყვარეობაშელახულ ბიჭებს ჩაცმის უფლება მისცეს და ოთახიდან რომ გაისტუმრეს, ბავშვებს მოესმათ, როგორ განიხილავდნენ მათ კანდიდატურებს.

— უფრო დიდები არიან, ვიდრე ჩვეულებრივ ვიყვანთ, — თქვა ექიმმა, — თუმცა, ვფიქრობ, ორი მათგანი გამოგვადგება.

მედდა დაეთანხმა.

— პირველი და მესამე.

სამი ბიჭი იდგა გარეთ.

პირველი და მესამე.

— პირველი შენ იყავი, შვარც, — თქვა რუდიმ, შემდეგ კი ოლაფს ჰკითხა, მესამე ვინლა იყო?

შპიგელმა გამოითვალა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რას გულისხმობდა მედდა „მესამეში" — მწკრივის თუ შემონმების თანამიმდევრობას, მთავარია, თვითონ რა სურდა:

— მგონი, შენ იყავი.

— შპიგელ, ნეხვო, მესამე შენ იყავი!

მცირედი გარანტია

ლაბადიანმა კაცებმა იცოდნენ, ვინ იყო მესამე.

ჰიმელ-სტრიტზე ლაბადიანების სტუმრობიდან მეორე დღეს რუდი ლიზელთან ერთად კიბის საფეხურზე ჩამოჯდა,

ხელი ჩაიქნია და მთელ საგას მოჰყვა, დეტალების ჩათვლით. დანებდა და დაწვრილებით უამბო რა მოხდა, როცა კლასიდან გაიყვანეს. საზარელი მედდისა და იურგენ შვარცის სახეების აღწერისას იცინეს კიდეც, თუმცა, ამბავი უმეტესად შემაშფოთებელი იყო, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც სამზარეულოდან გამომავალ ხმებსა და დომინოს გვამებივით ქვებზე იყო მოთხრობილი.

რუდის ნაამბობზე ფიქრი ლიზელმა რამდენიმე დღე თავიდან ვეღარ ამოიგდო.

სულ იმ სამი ბიჭის ან გულახდილად რომ გითხრათ, რუდის გამოკვლევა ახსენდებოდა.

ლოგინში რომ ჩაწვებოდა, მაქსი ენატრებოდა, ფიქრობდა, სად იყო იმწუთას, ლოცულობდა მისი სიცოცხლისთვის, მაგრამ ხანდახან ამ ყველაფერს რუდი გადაფარავდა ხოლმე.

სრულიად შიშველი იდგა სიბნელეში და ალმური ასდიოდა.

ეს სურათი ძალიან აშინებდა გოგოს, განსაკუთრებით, როცა ბიჭი ხელს იშორებდა სარცხვინელიდან. ამის წარმოდგენა უხერხულობას ჰგვრიდა, მაგრამ რატომღაც ფიქრს ვერ წყვეტდა.

სასჯელი

ფაშისტურ გერმანიაში სურსათის ბარათების გაცემაზე სასჯელი არ მოქმედებდა, თუმცა, სასჯელს ყველა მიიღებდა დამსახურებისამებრ. ზოგიერთისთვის სასჯელი იყო ომის დროს უცხო მიწაზე სიკვდილი. ზოგისთვის სიღარიბე და ომის შემდეგ გაჩენილი სირცხვილის გრძნობა, როდესაც მთელ ევროპაში ექვსი მილიონი აღმოაჩინეს. უმეტესობა ხედავდა, ახლოვდებოდა მათი დასჯის დრო, მაგრამ ძალიან ცოტა ხვდებოდა მას სიხარულით. ერთ-ერთი ჰანს ჰუბერმანი გახლდათ.

თქვენ ხომ არ დახმარებიხართ ქუჩაში ებრაელს.

თქვენი სარდაფი ხომ სამალავი არ გამხდარა.

ჰანსის სასჯელი თავიდან სინდისი გახლდათ. სარდაფიდან მაქსის უნებურად ამოყვანა ძალიან აწუხებდა. ლიზელი ხედავდა, როგორ იჯდა მამა მაგიდასთან და ლუკმა არ გადასდიოდა ყელში, ან მდინარე ამპერზე გადებული ხიდიდან როგორ უყურებდა წყალს. აკორდეონზე აღარ უკრავდა. უსასოო ვერცხლის თვალები უმოძრაო გაუხდა. საშინელება იყო, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი გახლდათ.

ნოემბრის პირველ რიცხვებში, ოთხშაბათ დღეს ნამდვილი სასჯელი ფოსტით მოვიდა. თავიდან, რომ დახედავდი, თითქოს ბარათს კარგი ამბავი ჰქონდა.

ქალალდი სამზარეულოში

სიამოვნებით გვინდა გაცნობოთ, რომ თქვენი თხოვნა, გერმანელ მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის რიგებში მიღების თაობაზე, დაკმაყოფილებულია.

— ნაცისტურ პარტიაში? — იკითხა როზამ, — მეგონა, არ უნდოდათ შენი მიღება.

— ჰო, არ უნდოდათ.

მამა ჩამოჯდა და კიდევ ერთხელ გადაიკითხა წერილი.

ღალატისთვის, ებრაელის დახმარებისთვის, ან რამე მსგავსისთვის გადასახლებას არ უპირებდნენ, პირიქით, ჰანს ჰუბერმანი დააჯილდოეს. ყოველ შემთხვევაში, ბევრი ასე ჩათვლიდა. ნუთუ ეს შესაძლებელი იყო?

— ამას ალბათ კიდევ მოჰყვება რაღაც.

მოჰყვა კიდეც.

პარასკევს შეტყობინება მიიღეს, ჰანს ჰუბერმანი გერმანულ არმიაშია გაწვეულიო. პარტიის წევრი ბედნიერი უნდა იყოს, ომის მსვლელობაში საკუთარ წვლილს თუ შეიტანსო, ეწერა ქალალდზე. არ იქნებოდა ბედნიერი და ამისთვის პასუხს მოსთხოვდნენ.

ლიზელი ახალი დაბრუნებული იყო ფრაუ ჰოლცაპფელისგან. სამზარეულოში წვნიანის ორთქლს ჰაერთან ერთად ჰანს და როზა ჰუბერმანების სახეებიც დაემძიმებინა. მამა იჯდა, დედა თავზე ადგა, წვნიანი კი, ცოტაც და ამოშრებოდა.

— ღმერთო, რუსეთში მაინც არ გამიშვან, — თქვა მამამ.

— დედა, წვნიანი!

— რაო?

ლიზელი ქურას მივარდა და ქვაბი გადმოდგა.

— წვნიანი, — გადაარჩინა სადილი და დედობილ-მამობილს შეხედა, მოჩვენებებს ჰგავდნენ — მამა, რა მოხდა?

ჰანსმა წერილი გაუწოდა, გოგონამ თვალი გადააავლო და ხელები აუკანკალდა, სიტყვები ძალით ჩაეტენათ ფურცელში.

ლიზელ მემინგერის ფანტაზიის შინაარსი

ჭურვებისგან დანგრეულ სამზარეულოში, სადღაც, ქურასთან ახლოს, ეული, დაძველებული საბეჭდი მანქანა მოჩანს.

ის შორეულ, თითქმის ცარიელ ოთახში დგას. კლავიშები გახუნებია, ცარიელი ფურცელი ისევ ისე დევს, როგორც ჩადეს და მოთმინებით ელოდება. ფანჯრიდან დაბერილ ნიავზე ფურცელი ოდნავ ირხევა. შესვენება ყავით დასრულებულია. ადამიანის სიმაღლის ქაღალდის დასტები დაუდევრად მიყრდნობია კარს.

ცოტაც და,
სიგარეტს გააბოლებს.

ასეთი ეჩვენა ლიზელს საბეჭდი მანქანა, როცა ის, მოგვიანებით, წერას შეუდგა. აინტერესებდა, რამდენი ისეთი წერილი გაიგზავნა მთელი გერმანიის მასშტაბით ჰანს ჰუბერმანებისა და ალექს შტაინერების დასასჯელად. რამდენი წერილი გაიგზავნა ადამიანებთან, რომლებიც უმწეოებს დაეხმარნენ ან უარი თქვეს, საკუთარი შვილები სახლიდან გაეშვათ.

ეს გერმანიის არმიაში მზარდი სასოწარკვეთის ნიშანი გახლდათ.

რუსეთთან ომს აგებდნენ.

ის გერმანულ ქალაქებს ბომბავდა.

მეტი ადამიანი სჭირდებოდათ, ათას მიზეზს იგონებდნენ მათ გასაწვევად და უმეტეს შემთხვევაში, ყველაზე შავ სამუშაოს ყველაზე საცოდავებს აკეთებინებდნენ.

ლიზელმა, ყურადღებით რომ ათვალიერებდა წერილს, მრგვალ ასოებთან დახვრეტილი ქაღალდიდან ხის მაგიდაც დაინახა. ისეთი სიტყვები, როგორიც „სავალდებულო“ და „მოვალეობა“ იყო, გამოკვეთილად ჩაებეჭდათ. პირი ნერწყვით აევსო. ცოტაც და გული აერეოდა:

— ეს რა არის?

მამამ მშვიდად გასცა პასუხი:

— ვფიქრობდი, რომ კითხვა გასწავლე, ჩემო გოგონა, — თუმცა, სიტყვებს არც გაბრაზება ეტყობოდა, არც სარკაზმი, ხმაც სახესავით ცარიელი ჰქონდა.

ლიზელმა ახლა დედას შეხედა.

როზას მარჯვენა თვალის ქვეშ პატარა ნაპრალი გაუჩნდა და წუთში მუყაოს სახე გაეხა. შუაში კი არა, ცოტა გვერდულად. მისი ნახევი ლოყიდან იწყებოდა, რკალს ქმნიდა და ნიკაპთან მთავრდებოდა.

20 წუთის შემდეგ: გოგონა ჰიმელ-სტრიტზე

ზემოთ იხედება, ჩურჩულებს : „ცა დღეს ძალიან მშვიდია, მაქს, ღრუბლები კი ისეთი რბილი და ნაღვლიანი, რომ... — შორს იხედება, ხელებს გულზე იკრეფს, მამაზე ფიქრობს, რომელიც ომში მიდის და მერე მჭიდროდ ეხვევა ქურთუკში, — ცივა, მაქს, ძალიან ცივა“.

ხუთი დღის შემდეგ, როცა ლიზელი, ჩვეულებრივ, ამინდზე დაკვირვებას განაგრძობდა, ცა ველარ დაინახა.

ბარბრა შტაინერი მათ მეზობლად სახლის წინ იჯდა, კიბეზე. ფაქიზად დავარცხნილი თმით. სიგარეტს ეწეოდა და კანკალებდა. ლიზელი მისკენ გაემართა, მაგრამ კურტის გამო შეჩერდა. ბიჭი გარეთ გამოვიდა და დედას მიუჯდა გვერდით, გოგო რომ დაინახა, დაუძახა.

— მოდი, ლიზელ, რუდი ახლავე გამოვა.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ლიზელმა გზა განაგრძო.

ბარბრა ეწეოდა.

სიგარეტზე ფერფლი დაგროვილიყო, ცოტაც და დავარდებოდა.

კურტმა გამოართვა, ფერფლს სული შეუბერა და დაუბრუნდა.

მოწევას რომ მორჩა, ქალმა ზემოთ აიხედა და ფაქიზად დავარცხნილ თმაზე ხელი გადაისვა.

— მამაჩვენიც მიდის, — თქვა კურტმა.

დუმილი ჩამოწვა.

ბავშვების გუნდი ბურთს დასდევდა ფრაუ დილერის მაღაზიასთან ახლოს.

— როდესაც მოვლენ და შვილებიდან ერთ-ერთის წაყვანას გთხოვენ, — თქვა ბარბრა შტაინერმა ისე, რომ არავისთვის მიუმართავს — ალბათ, უნდა დათანხმდე!

სიტყვის კაცის ცოლი

სარდაფი, დილის ცხრა საათი

დამშვიდობებამდე ხუთი საათია დარჩენილი:
— ლიზელ, მე სხვის აკორდეონზე ვუკრავდი, — ჰანსმა თვალები დახუჭა, — მთელი დარბაზი სმენად იყო ქცეული.

წინა ზაფხულს დალეულ ჭიქა შამპანურს თუ არ ჩავთვლით, მთელი ათი წელი იყო, ჰანს ჰუბერმანს წვეთი არ დაელია. მერე კი სანვრთნელ ბაზაზე გამგზავრების წინა ღამე დადგა.

ჰანსი და ალექს შტაინერი ერთად წავიდნენ „კნოლერში“ შუადღისას, გვიანობამდე დარჩნენ, ყურად არ იღეს ცოლების გაფრთხილება და გვარიანად გამოთვრნენ, თანაც „კნოლერის“ მეპატრონე, დიტერ ვესტჰაიმერი უფასო სასმლით გაუმასპინძლდა.

სანამ შედარებით ფხიზელი იყო, ჰანსი სცენაზე მიიწვიეს, აკორდეონზე დასაკრავად, მანაც, გარემოებების შესაბამისად, სახელგატეხილი სიმღერა, „მძიმე კვირადღე“ შეასრულა, თვითმკვლელთა უნგრული ჰიმნი[41]. მთელი გულით გადმოსცა იმ კომპოზიციაში ჩადებული დარდი და დამსწრე საზოგადოება სმენად იქცა.

---

[41] *უნგრელი კომპოზიტორისა და პიანისტის, რეჟო შერეშის (1899-1968წწ.) სიმღერა „მძიმე კვირადღე“ 1932 წელს დაიწერა. მას თვითმკვლელთა ჰიმნს უწოდებენ, რადგან ისტორიას არ ახსოვს სხვა სიმღერა, რომელსაც ამდენი თვითმკვლელობა უკავშირდებოდეს. არხზე BBC 66 წლის მანძილზე აკრძალული იყო ამ კომპოზიციის ეთერში გაშვება.*

ლიზელმა ცხადად წარმოიდგინა ის სცენა, ხმა: გამოტეხილი პირები. კედლებზე ქაფშერჩენილი ცარიელი კათხები. ამოოხვრა. და სიმღერაც დამთავრდა. ხალხმა ტაში დაუკრა. ლუდით სავსე პირებმა მამას უკან, ბარისკენ უხმეს.

უკან რომ დაბრუნდნენ, ჰანსმა გასაღები ვერ მოარგო კარს და რამდენჯერმე დააკაკუნა.

— როზა!

კარი შეეშალა.

ფრაუ ჰოლცაპფელი ამ ამბავმა დიდად ვერ აღაფრთოვანა.

— ღორო! სახლი შეგეშალა, — გასაღების ჭუჭრუტანაში გააძვრინა სიტყვები, — გვერდითა სახლია შენი, ღორიშვილო!

— გმადლობ, ფრაუ ჰოლცაპფელ!

— ხომ იცი, ეგ მადლობა სად უნდა წაიღო, იდიოტო!

— უკაცრავად, რა ბრძანეთ?

— სახლში წადი-მეთქი!

— გმადლობ, ფრაუ ჰოლცაპფელ!

— ვერ გაიგე, რა გითხარი მადლობასთან დაკავშირებით?

— რა მითხარით?

(საოცარია, რა მიიღება სარდაფში გამართული საუბრებისა და საზიზღარ ქალთან სამზარეულოში გამართული კითხვის სეანსების შერწყმით!)

— დამეკარგე-მეთქი!

ბოლოს, როგორც იქნა, სახლამდე მიაღწია, მაგრამ დასაძინებლად კი არ წავიდა, ლიზელის ოთახში შევიდა. კარის ზღურბლზე მთვრალი იდგა და უყურებდა, როგორ ეძინა გოგონას. მან კი უცებ გაიღვიძა და იფიქრა, მაქსი დაბრუნდაო.

— შენ ხარ? — იკითხა.

— არა, — მიუგო ჰანსმა, მშვენივრად მიხვდა, რა გაიფიქრა ლიზელმა, — მე ვარ, მამა!

შემდეგ ჰანსი ოთახიდან გავიდა და ლიზელმა გაიგონა, როგორ ჩაუყვა სარდაფში ჩამავალ კიბეს.

როზა დიდი მონდომებით ხვრინავდა სასტუმრო ოთახში.

დილით, დაახლოებით ცხრა საათისთვის, სამზარეულოში, დედამ გოგონას უბრძანა:

— წადი, სათლი მომიტანე, — შემდეგ ჭურჭელი ცივი წყლით გაავსო და სარდაფში ჩავიდა. ლიზელი უკან გაჰყვა და ამაოდ ეცადა, ხელი შეეშალა, — დედა, არ გინდა!

— არ მინდა? — გახედა ქალმა კიბიდან, — რამე ხომ არ გამომრჩა, ღორუკელა? ახლა აქ შენ იძლევი ბრძანებებს?

ორივე გახევდა.

გოგონას პასუხი აღარ გაუცია.

— ასეც ვიცოდი.

სვლა განაგრძეს და ჰანსი ბიაზის ნაჭრების ლოგინთან ახლოს იპოვეს, ალბათ იფიქრა, მაქსის ლეიბზე დაწოლას არ ვიმსახურებო.

— აბა, ვნახოთ, — როზამ სათლი ასწია, — ცოცხალია თუ არა!

— იესო, მარიამ და იოსებ!

ოვალური ფორმის წყლის ლაქამ დერეფნიდან ჰანსის გულმკერდსა და თავზე გადაინაცვლა, თმა ერთ მხარეს მიეწება, წამწამებიდან კი წვეთები ჩამოუვიდა.

— რას მერჩი?

— ბებერო ლოთო!

— იესო...

ტანსაცმელს უცნაური ორთქლი აუვიდა. ჩანდა, ჰანსს სველი ცემენტით სავსე ტომარასავით გადაჰკიდებოდა მხარზე ნაბახუსევი.

როზამ სათლი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა:

— კიდევ კარგი, ომში რომ მიდიხარ, — თქვა, თითი ჰაერში აღმართა და სულაც არ შეშინებია, ისე დაუქნია, — თორემ ჩემი ხელით მოგკლავდი, ხომ იცი?

მამამ წყლის ნაკადი მოიწმინდა ყელიდან:

— ეს რაღა საჭირო იყო?

— იყო, იყო, — ქალი კიბეს აუყვა, — იცოდე, ხუთ წუთში თუ არ ამოხვალ, კიდევ გადაგავლებ ერთ სათლ წყალს.

მამასთან, სარდაფში დარჩენილი ლიზელი საქმეს შეუდგა და ბიაზის ნაჭრებით აწმინდა წყალი იატაკიდან.

მამამ დაილაპარაკა, სველი ხელით ანიშნა გოგონას, გაჩერდიო, შემდეგ კი ხელი მოჰკიდა ხელზე:

— ლიზელ, — დაჟინებით ჩააცქერდა სახეში, — როგორ ფიქრობ, ცოცხალია?

ლიზელი ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

ბიაზის სველი ნაჭრებიდან წყალი ჩამოდიოდა და მუხლზე ეღვრებოდა.

— იმედი მაქვს, მამა!

ეს სიტყვები სულელობად მოეჩვენა, მეტისმეტად მარტივ პასუხად, მაგრამ დიდი არჩევანი არ ჰქონდა.

რაღაც უფრო აზრიანი რომ ეთქვა, მამას დახმარებოდა და მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა, — დაიხარა და თითი იატაკზე დარჩენილ პატარა გუბეში ჩაყო.

— Guten morgen, მამა!

ჰანსმა პასუხად თვალი ჩაუკრა.

თუმცა, ეს სულაც არ ჰგავდა სხვა თვალის ჩაკვრებს, უფრო მოუხერხებელი და მძიმე გამოდგა, მაქსზე ფიქრისა და ნაბახუსევის გამო.

ჰანსი ჩამოჯდა, გაიხსენა წინა ღამით მომხდარი, გოგონას აკორდეონისა და ფრაუ ჰოლცაპფელის შესახებ უამბო.

სამზარეულო: დღის პირველი საათი

დამშვიდობებამდე ორი საათია დარჩენილი:
— არ წახვიდე, მამა, გთხოვ. — გოგონას კოვზიანი ხელი უკანკალებს, — ჯერ მაქსი დავკარგეთ, შენს დაკარგვას ველარ ავიტანთ.
პასუხად ნაბახუსევი კაცი იდაყვით ეყრდნობა მაგიდას და მარჯვენა თვალს იფარავს: — უკვე თითქმის ქალი ხარ, ლიზელ, — ლამისაა, ატირდეს, მაგრამ თავს იკავებს, — დედას მიხედე, კარგი?
გოგონა ძლივს უქნევს თავს
თანხმობის ნიშნად:
— დიახ, მამა!

ჰანსმა ნაბახუსევისა და კოსტიუმის ამარა დატოვა ჰიმელ-სტრიტი.

ალექს შტაინერი კიდევ ოთხი დღე დარჩა შინ, სადგურზე ჰანსის გამგზავრებამდე ერთი საათით ადრე მივიდა და კეთილი სურვილებით გააცილა. შტაინერების მთელი ოჯახი

იქ იყო. ყველა ხელებს უქნევდა. ბარბრა გადაეხვია და გადაკოცნა:

— ცოცხალი დაგვიბრუნდი.

— დიახ, ბარბრა, — უპასუხა დამაჯერებლად, — რა თქმა უნდა, დავბრუნდები, — გაცინებაც კი მოახერხა, — უბრალოდ, ომია. ადრეც ხომ გადავრჩი.

ჰიმელ-სტრიტზე რომ გაიარეს, მეზობელი, მავთულივით წვრილი ქალი გამოვიდა და ტროტუარზე დადგა.

— ნახვამდის, ფრაუ ჰოლცაპფელ, ბოდიშს გიხდით წუხანდელის გამო.

— ნახვამდის, ჰანს, ლოთო ლორიშვილო, — მაგრამ სიტყვებში მეგობრული ნოტიც გაურია, — მალე დაგვიბრუნდი!

— დიახ, ფრაუ ჰოლცაპფელ, გმადლობთ.

ქალი ცოტა გაეთამაშა კიდეც:

— ხომ იცი, სად უნდა წაიღო ეგ მადლობა!

სანამ ლიზელი ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა მამას, კუთხეში, მაღაზიის ვიტრინიდან ფრაუ დილერი ფხიზლად ადევნებდა მათ თვალს. მიუნხენის ქუჩიდან სადგურის ბაქნამდე ლიზელს ხელი არ გაუშვია ჰანსისთვის. მატარებელი უკვე ჩამომდგარი იყო.

ბაქანზე.

პირველი როზა მოეხვია.

უსიტყვოდ.

თავი ქმრის მკერდში ჩარგო, მერე გაეცალა.

შემდეგ გოგონა.

— მამა!

არაფერი.

— არ წახვიდე, მამა, არ წახვიდე, დაე, მოგაკითხონ, თუ დარჩი, მაგრამ არ წახვიდე, გემუდარები, არ წახვიდე!

— მამა!

მატარებლის სადგური: დღის სამი საათი

აღარც საათები დამშვიდობებამდე, აღარც წამები. მამა ეხვევა, უნდა, რამე უთხრას, უნდა, ყველაფერი უთხრას, მხარს იქით გადაულაპარაკებს:

— აკორდეონს მიმიხედავ, ლიზელ? გადავწყვიტე, თან არ წავიღო, — შემდეგ პოულობს იმ სიტყვებს, რისი თქმაც სინამდვილეში სურს, — თუ ისევ მოეწყო რეიდები, თავშესაფარში კითხვა განაგრძე.

გოგონამ იგრძნო, მკერდი რომ გაეზარდა, სტკივა, მამა ნეკნებზე რომ იკრავს.

— დიახ, მამა! — კოსტიუმის ქსოვილს აკვირდება ერთ მილიმეტრში, — რომ დაბრუნდები, ხომ დაუკრავ?

ჰანს ჰუბერმანმა ქალიშვილს გაუღიმა, მატარებელი კი გასასვლელად მოემზადა. ხელი გაიშვირა, ნაზად შეეხო გოგონას სახეს:

— გპირდები, — თქვა და ვაგონში ავიდა.

ეშელონი დაიძრა, ისინი კი ისევ ერთმანეთს უყურებდნენ.

ლიზელი და როზა ხელს უქნევდნენ.

ჰანს ჰუბერმანი თანდათან დაპატარავდა, ხელს უკვე ცარიელ ჰაერში იქნევდა.

ბაქანზე ხალხი შეთხელდა და ბოლოს კამოდივით ქალისა და ცამეტი წლის გოგონას მეტი აღარავინ დარჩა.

მომდევნო რამდენიმე კვირაში, სანამ ჰანს ჰუბერმანი და ალექს შტაინერი სხვადასხვა საწვრთნელ ბანაკებში იმყოფებოდნენ, ჰიმელ-სტრიტი თითქოს გაიბერა. რუდი სულ სხვანაირი გახდა, აღარ ლაპარაკობდა, დედაც შეიცვალა, აღარ ილანძღებოდა. ლიზელი გრძნობდა შედეგს: წიგნის ქურდობის სურვილი აღარ ჰქონდა. თუმცა, თავს აჯერებდა, ამან იქნებ გამამხიარულოს კიდეცო.

ალექს შტაინერის გამგზავრებიდან თერთმეტ დღეში რუდიმ გადაწყვიტა, საკმარისიაო, ჭიშკარს მიაშურა და ლიზელის კარზე დააკაკუნა.

— Kommst? მოდიხარ?

— Ja.

ლიზელს არ აინტერესებდა, საით მიდიოდა რუდი ან რას გეგმავდა, მაგრამ გოგოს გარეშე არსად წამსვლელი არ იყო. ბავშვები ჰიმელ-სტრიტზე გავიდნენ, მიუნხენის ქუჩას ჩაუყვნენ და ერთად დატოვეს მოლკინგი.

დაახლოებით ერთ საათში ლიზელმა მნიშვნელოვანი კითხვა დასვა. იქამდე მხოლოდ რუდის უყურებდა, მის მტკიცე გამომეტყველებას, გვერდებზე მიკრულ მის მკლავებს და მუშტად შეკრულ, ჯიბეში ჩაწყობილ ხელებს.

— სად მივდივართ?

— ნუთუ ვერ ხვდები?

გოგონა ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა.

— მართალი გითხრა, ვერა!

— უნდა ვიპოვო.

— მამაშენი?

— დიახ, — რუდი დაფიქრდა, — თუმცა, არა, ვფიქრობ, მის ნაცვლად ფიურერი უნდა მოვძებნო.

აჩქარებული ნაბიჯები.

— რატომ?

რუდი შეჩერდა:

— იმიტომ, რომ მისი მოკვლა მინდა, — ადგილზეც კი დატრიალდა და მთელ სამყაროს მიმართა: — გესმის ჩემი, ნაბიჭვარო? — დაიყვირა, — ფიურერის მოკვლა მინდა!

გზა განაგრძეს და კიდევ რამდენიმე მილი გაიარეს. შემდეგ ლიზელს უკან დაბრუნების სურვილი გაუჩნდა:

— მალე დაბნელდება, რუდი.

ბიჭი სვლას განაგრძობდა:

— მერე რა?

— შინ ვბრუნდები.

რუდი შეჩერდა და ისე უყურებდა გოგოს, თითქოს ის ღალატს უპირებდა, — აბა რა, წიგნის ქურდო, აქ დამტოვე, სანაძლეოს ჩამოვდივარ, გზის ბოლოს ტილიანი წიგნი რომ გეგულებოდეს, გამომყვებოდი. არა?

ცოტა ხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ლიზელს მალევე გაუჩნდა ლაპარაკის სურვილი:

— ფიქრობ, მარტო შენ ხარ ასეთ დღეში, ღორიშვილო? — შებრუნდა, — და მხოლოდ შენ დაკარგე მამა?

— ეს რას ნიშნავს?

ლიზელი წამით შეჩერდა დასათვლელად.

დედა. ძმა. მაქს ვანდენბურგი. ჰანს ჰუბერმანი. აღარავინ ჰყავდა გვერდით. და ღვიძლი მამა ხომ არასოდეს ენახა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ შინ მივდივარ.

თხუთმეტი წუთი ლიზელი მარტო მიაბიჯებდა შინისკენ, მაგრამ მალე აქოშინებული და ლოყებაწითლებული რუდიც დაეწია. ერთი საათის განმავლობაში აღარ დაულაპარაკიათ, უბრალოდ, ერთად ბრუნდებოდნენ სახლებში, ატკივებული ფეხებითა და დაღლილი გულებით.

წიგნში, *„სიმღერა ბნელში“*, ერთი თავი იყო, *„დაღლილი გულები“* ერქვა. რომანტიკულმა გოგონამ ერთგულება შეჰფიცა ჭაბუკს, რომელიც შემდეგ მის საუკეთესო მეგობართან ერთად გაიქცა. ლიზელი დარწმუნებული იყო, ის ამბავი მეთერთმეტე თავში იქნებოდა აღწერილი, სწორედ იქ ამბობდა გოგონა, *„ოჰ, როგორ დამეღალა გულიო“*, სამლოცველოში იჯდა და დღიურს წერდა.

„არა, — ფიქრობდა ლიზელი და თან შინ მიდიოდა, — დაღლილი ჩემი გულია ახლა“.

ცამეტი წლის გული არ უნდა იყოს დაღლილი.

მოლკინგს რომ მიუახლოვდნენ, ლიზელმა რამდენიმე სიტყვა თქვა, „ჰუბერტის ოვალის“ დანახვისას, — გახსოვს, ერთმანეთს სირბილში რომ შევეჯიბრეთ, რუდი?

— რა თქმა უნდა. მეც ეგ გამახსენდა ახლა, ორივე რომ დავეცით.

— მითხარი, განავალში ვარ ამოსვრილიო.

— არა, იქ მხოლოდ ტალახში ამოვევლე — რუდი უკვე ნამდვილად გამხიარულდა, — განავალში „ჰიტლერიუგენდში“ ამოვისვარე, აგერია, ღორუკელა!

— არაფერიც არ ამერია, ის გავიმეორე, რაც თვითონ თქვი მაშინ.

— მომხდარი და ნათქვამი სულ სხვადასხვა რამეა, განსაკუთრებით შენს შემთხვევაში, რუდი.

ასე უკეთესი იყო.

ისევ მიუნხენის ქუჩას რომ გაუყვნენ, რუდიმ მამამისის მაღაზიის ვიტრინაში ჩაიხედა. ალექსი სანამ გაემგზავრებოდა, ბარბრასთან ერთად განიხილავდა, მაღაზიისთვის რა მოეხერხებინათ, მის არყოფნაში ემუშავა თუ არა. საკითხი უარყოფითად გადაწყდა, ბოლო დროს შეკვეთებმა ისედაც იკლო, თანაც შეიძლებოდა, პარტიელებიც გამოჩენილიყვნენ. აგიტატორებს დიდად არ ხიბლავდათ ასეთი ბიზნესი. არმიისთვისაც უნდა გადაეხადათ ფული.

რიგებს შორის კოსტიუმები ეკიდა, მანეკენები კი სასაცილო პოზებში იდგნენ.

— მგონი იმ ერთს მოსწონხარ, — თქვა ლიზელმა ცოტა ხნის შემდეგ, ასე შეახსენა რუდის, წასვლის დრო მოვიდაო.

ჰიმელ-სტრიტის ტროტუარზე როზა ჰუბერმანი და ბარბრა შტაინერი ერთად იდგნენ.

— ოჰ, მარიამ, — თქვა ლიზელმა, — განერვიულებულნი ჩანან?

— გაგიჟებულები არიან.

მიუახლოვდნენ თუ არა, მშობლემბა კითხვები დააყარეს:

— სად ჯანდაბაში იყავით? — და ამის მსგავსი. ბრაზმა, ბუნებრივია, მალე გადაუარათ და შვებით ამოისუნთქეს.

ბარბრამ პასუხი მოითხოვა:

— აბა, რუდი!

ლიზელმა მის ნაცვლად უპასუხა:

— ფიურერს კლავდა, — რუდი ბედნიერი ჩანდა, ძალიან ნასიამოვნები.

— ნახვამდის, ლიზელ.

რამდენიმე საათის შემდეგ სასტუმრო ოთახიდან ხმაური მოისმა და ლიზელის საწოლამდე მიაღწია. გაეღვიძა, ჩუმად იწვა, რა არ წარმოიდგინა — მოჩვენებები, მამა, მძარცველები, მაქსი. კარის გაღებისა და დახურვის ხმას გაურკვე-

ველი დუმილი მოჰყვა. დუმილი კი ყოველთვის უდიდესი ცდუნებაა.

არ გაინძრე.

ლიზელმა გუნებაში ბევრჯერ გაივლო ეს ფიქრი, მაგრამ ვერ მოითმინა.

ფეხებმა იატაკი ააჭრიალა.

ჰაერმა პიჟამას სახელოები შეისუნთქა.

გოგონა დერეფნის სიბნელეში მიდიოდა იმ მიმართულებით, საიდანაც დუმილამდე ხმაური ისმოდა, სასტუმრო ოთახში შემომავალი მთვარის სახიფათო შუქისკენ. შეჩერდა, წვივებისა და ფეხის თითების სიშიშვლე შეიგრძნო და გაიხედა.

სიბნელისთვის რომ შეეგუებინა თვალები, მოსალოდნელზე მეტი დასჭირდა, მაგრამ შემდეგ როზა ჰუბერმანი დაინახა, რომელიც საწოლის კიდეზე იჯდა და ქმრის აკორდეონს გულში იხუტებდა. თითები კლავიშებზე ედო, მაგრამ არ ამოძრავებდა, გეგონებოდა, არც კი სუნთქავსო.

ამ სანახაობამ გოგონას დერეფნისკენ უბიძგა.

მხატვრული სახე

როზა აკორდეონით.
მთვარის შუქი სიბნელეში.
1,55 სმ × ინსტრუმენტი × დუმილი.

ლიზელი იდგა და უყურებდა.

რამდენიმე წუთმა გაიარა. წიგნის ქურდს საოცარი სურვილი გაუჩნდა, აკორდეონის ხმა გაეგონა, მაგრამ არ ესმოდა. კლავიშებს არავინ ახმაურებდა. არც საბერველი სუნთქავდა. მხოლოდ მთვარის შუქი ადგა ფარდას გრძელ დალალად და კიდევ, იქ როზა იყო.

აკორდეონი ისევ გულში ჰქონდა ჩახუტებული, თავი რომ დახარა, კალთაში ჩაუცურდა. ლიზელი უყურებდა. იცოდა, დედობილი რამდენიმე დღე სხეულზე აკორდეონის ანაბეჭდით რომ ივლიდა. ისიც იცოდა, რომ უდიდესი სილამაზის მოწმე გახდა და გადაწყვიტა, ხელი არ შეეშალა.

ლოგინში დაბრუნდა და დედისა და მდუმარე მუსიკის წარმოდგენაზე ჩაეძინა. მოგვიანებით, ჩვეულმა ზმანებამ რომ გააღვიძა და დერეფანში გავიდა, როზა ისევ იქ დახვდა, აკორდეონიც.

ღუზასავით ექაჩებოდა ინსტრუმენტი. სხეული იძირებოდა. ქალი მიცვალებულს ჰგავდა.

ასეთ მდგომარეობაში სუნთქვა შეუძლებელი უნდა იყოსო, გაიფიქრა ლიზელმა, მაგრამ რომ მიუახლოვდა, გაიგონა.

დედა ისევ ხვრინავდა.

„რა საჭიროა საბერველი, — გაიფიქრა ისევ, — როცა ასეთი ფილტვები გაქვს ადამიანს?"

ბოლოს და ბოლოს, ლოგინში რომ ჩაწვა, როზა ჰუბერმანისა და აკორდეონის სახება არ ამოსდიოდა თვალებიდან. წიგნის ქურდს თვალები გახელილი ჰქონდა. ელოდა, ძილი როდის წაიღებდა.

შემგროვებელი

ფრონტზე არც ჰანს ჰუბერმანი გაუშვიათ, არც ალექს შტაინერი.

ალექსი ავსტრიაში გაგზავნეს, ვენის გარეუბანში მდებარე ჰოსპიტალში, იქ კი, რაკი მკერავი გახლდათ, ის საქმე დაავალეს, რაც პროფესიას ახსენებდა. უნიფორმებით, წინდებითა და პერანგებით დატვირთული ორთვალები ყოველკვირა მოდიოდა, ის კი ყველაფერს, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა, საკერებლებს ადებდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამოსი მხოლოდ საცვლებად ან რუსეთში, ტანჯულ ჯარისკაცებთან გასაგზავნად სჭირდებოდათ.

ჰანსი, ბედის ირონიით, ჯერ შტუტგარტში გაუშვეს, შემდეგ ესენში. ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი მოვალეობა დააკისრეს შიდა ფრონტზე. LSE-ში ჩარიცხეს.

აუცილებელი ახსნა-განმარტება

LSE -
Luftwaffen Sondereinheit
საჰაერო ძალების სპეციალური დანაყოფი

LSE-ში საჰაერო თავდასხმებისას ხმელეთზე ყოფნა, ხანძრის ჩაქრობა, კედლების ბჯენების გამაგრება და დაბომბვისას ნანგრევებში მოყოლილების გადარჩენა ევალებოდა. ჰანსი მალე აღმოაჩენს, რომ ამ აბრევიატურას სხვა განმარტებაც აქვს. დანაყოფში პირველივე დღეს ეტყვიან, სინამდ-

ვილეში Leichen Sammlereinheit-ი ხარო, გვამების შემგროვებელი.

ჩავიდა თუ არა, ჰანსი დაახლოებით მიხვდა, იმ ადამიანებმა ის ხვედრი რით დაიმსახურეს, მისი დანაყოფის წევრები კი იმაზე მსჯელობდნენ, თუ რა დააშავა ჰანსმა ასეთი. მეთაურმა, სერჟანტმა, ბორის შიპერმა, პირდაპირ ჰკითხა და ჰანსმაც, პურის, ებრაელებისა და გაროზგვის ამბავი რომ უამბო, მრგვალსახიან სამხედროს სიცილი აუტყდა:

— ბედი გქონია, ცოცხალი რომ გადარჩი, — თვალებიც მრგვალი ჰქონდა, მუდმივად დაღლილი, მტვრითა და კვამლით ატკივებული, ხშირ-ხშირად ისრესდა ხოლმე. — არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენ აქ მტერს ვერ ვხედავთ.

ჰანსიც აპირებდა კითხვის დასმას, როცა უკნიდან ხმა მიუახლოვდა, რომელსაც ზედ ახალგაზრდა კაცის თხელი სახე მიჰკერებოდა და გესლიანად იღიმებოდა. მას რეინჰოლდ ცუკერი ერქვა:

— ჩვენს შემთხვევაში, — თქვა მან, — მტერი არც გორაკს იქითაა, არც გარკვეული მიმართულებით არის ჩასაფრებული, ის ყველგან არის. — კაცს იმ წერილისკენ გაექცა მზერა, რომელსაც ჰანსი წერდა, — აი, ნახავ.

რამდენიმე გადარეული თვის შემდეგ რეინჰოლდ ცუკერი მოკვდება. მას ჰანს ჰუბერმანის ადგილი გამოასალმებს სიცოცხლეს.

ომი გერმანიაში ძალას იკრებდა და ჰანსი მიხვდა, მისი ცვლა ყოველდღე ერთნაირად რომ იწყებოდა. დანაყოფის წევრებს სატვირთო მანქანაში უყრიდნენ თავს და, მოკლედ რომ ვთქვათ, ეუბნებოდნენ, რა დაინგრა მათი შესვენების საათებში, რა შეიძლება კიდევ დანგრეულიყო და ვინ ვისთან იმუშავებდა.

მაშინაც კი, როცა საჰაერო თავდასხმები არ იყო, უამრავი საქმე ჰქონდათ. სატვირთოთი დადიოდნენ და დანგრეულ ქალაქს ასუფთავებდნენ. ნელში მოხრილი თორმეტი მამაკაცი ზემოთ-ქვემოთ ხტოდა, სანამ ავტომობილი უსწორმასწორო გზაზე მიჯაყჯაყებდა.

თავიდანვე გადანაწილდა ადგილები, იცოდნენ, ვინ სად ჯდებოდა.

რეინჰოლდ ცუკერი მარცხენა რიგის შუაში იჯდა.

ჰანს ჰუბერმანი კი უკან მოთავსდა, სადაც დღის სინათლე აღწევდა. მან სწრაფად ისწავლა იმ ნაგვის აცილება, მანქანიდან რომ ისროდნენ ხოლმე. სამაგიეროდ, განსაკუთრებულ პატივით ეპყრობოდა სიგარეტის იმ ნამწვებს, ჯერ კიდევ მოკიდებულნი რომ ჩაუქროლებდა წინ.

შინ გაგზავნილი წერილის სრული ტექსტი

ძვირფასო როზა და ლიზელ
აქ ყველაფერი მშვენივრადაა.
იმედი მაქვს, თქვენც კარგად ხართ.
სიყვარულით, მამა.

ნოემბრის ბოლოს ჰანსმა პირველად გაიგო ნამდვილი საჰაერო თავდასხმის კვამლის გემო.

სატვირთო მანქანა ნანგრევებს შორის გაიჭედა, ირგვლივ ყველა დარბოდა და ყვიროდა, ხანძარი ბობოქრობდა და შენობების ნანგრევებისგან ყორღანები აღმართულიყო. კორპუსები გადაიხარა. კვამლიანი ჭურვები ასანთებივით ეყარა მიწაზე და ფილტვებს უვსებდა ქალაქს.

ჰანს ჰუბერმანი ოთხკაციან ჯგუფში იყო, მწკრივის თავში სერჟანტი ბორის შიპერი იდგა. მკლავები კვამლში გაუჩინარებოდა. უკან კესლერი, შემდეგ კი ბრუნენვეგი მიჰყვებოდნენ. ჰანსი ბოლოში იდგა. სერჟანტი შლანგით ცეცხლს აქრობდა. ორი კაცი სერჟანტისკენ უშვერდა წყლის ჭავლს, ჰუბერმანი კი სამივეს ერთად რწყავდა.

უკან რაღაც შენობამ დაიკვნესა და შეირხა.

შემდეგ კი ჰანსის ქუსლებიდან რამდენიმე მეტრში ჩამოიქცა. ახალთახალი ცემენტის სუნი დადგა და კედლის ბათქაში ზედ დაეყარა ჯარისკაცებს.

— Gott verdammt, Hubermann![42] ხმა ცეცხლის ალს დაუძვრა ხელიდან. მას უკან მიჰყვა სამი ჯარისკაცი. ყელი კვამლით ამოვსებოდათ. კუთხემდე რომ მივიდნენ და ნანგრე-

[42] *გერმ. დასწყევლოს ღმერთმა, ჰუბერმან!*

ვებს თავი დააღწიეს, შენობიდან ავარდნილი მტვრის ბუღი დაედევნათ. თეთრი იყო და თბილი. ფეხდაფეხ მიჰყვებოდათ.

შედარებით უსაფრთხო ადგილას რომ აღმოჩნდნენ, ხველა და გინება ატეხეს. სერჟანტი ისევ იმეორებდა ზემოთქმულს:

-- დასწყევლოს ღმერთმა, ჰუბერმან. — თან ტუჩებზე ისვამდა ხელს, მტვერი რომ მოეცილებინა.

— ეს რა ჯანდაბა იყო?

— ჩემ უკან ჩამოინგრა.

— ეს ხომ უშენოდაც ვიცი. მაღალი იყო? ალბათ ათსართულიანი.

-- არა, სერ, ჩემი აზრით, ორსართულიანი კორპუსი უნდა ყოფილიყო.

— იესო, — ხველის შეტევა, — მარიამ და იოსებ! — სერჟანტმა სცადა, უპეებიდან ოფლი და მტვერი მოეშორებინა. — იქ, ალბათ, ბევრს ვერავის ვიპოვით.

ერთ-ერთმა ჯარისკაცმაც მოიფშვნიტა სახე და თქვა:

— ღვთის გულისათვის, ერთხელ მაინც შევესწრო ლუდხანის ჩამონგრევას. ვკვდები, ისე მინდა ლუდი.

ყველამ თავები გადააქნია.

ყველამ იგრძნო, როგორ ჩაუქრო ლუდმა ყელში დანთებული ცეცხლი და კვამლიანი საყლაპავი ჩაუწმინდა. ლამაზი, მაგრამ აუხდენელი ოცნება იყო. შესანიშნავად იცოდნენ, ქუჩებში ლუდი კი არა, რძიანი კოქტეილები და ფაფა რომ მოედინებოდა.

ოთხივე ნაცრისფერ-თეთრ მტვერში იყო ამოვლებული. წელში რომ გაიმართნენ და მუშაობა განაგრძეს, უნიფორმა მხოლოდ წვრილ ნაკეცებში მოუჩანდათ.

სერჟანტი ბრუნენვეგს მიუახლოვდა და ჩამოფერთხა. სულ ოდნავ.

— ასე უკეთესია, ოდნავ გამტვერილხარ, მეგობარო. — ბრუნენვეგმა გაიცინა, სერჟანტი კი ახალწვეულს მიუბრუნდა. — ამჯერად შენ წახვალ წინ, ჰუბერმან.

ცეცხლს რამდენიმე საათის განმავლობაში აქრობდნენ, შემდეგ კი, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გამოძებნეს, შენობა რომ მდგარიყო. ზოგ შემთხვევაში, გვერდებგამონგრეული

სახლები იდაყვებს ეყრდნობოდა. ეს საქმე ჰანს ჰუბერმანს განსაკუთრებით კარგად ეხერხებოდა, უხაროდა კიდეც, თუ ხანძრისგან გადარჩენილ სვეტს ან ბეტონის ნამტვრევს იპოვიდა, იდაყვს რომ გამოადგებოდა საყრდენად.

ხელები დახეთქოდა, პირი ქვიშით ჰქონდა ამოვსებული, ორივე ტუჩზე ნოტიო, წებოვან მტვერს გრძნობდა, სამოსზე კი არც ერთი ჯიბე, არც ერთი ძაფი და უნიფორმის ნაკეცი არ დარჩენოდა, ჰაერით სავსე უთხელესი აპკით რომ არ ყოფილიყო დაფარული.

დროდადრო ნისლში მოხეტიალეებს ხვდებოდნენ. ისინი, ძირითადად, ერთ სიტყვას წარმოთქვამდნენ. სახელს.

ეს სახელი ზოგჯერ ვოლფგანგი იყო.

— ჩემი ვოლფგანგი ხომ არ გინახავთ?

ხელების ანაბეჭდებს ტოვებდნენ ჰანსის ქურთუკზე.

— შტეფანი!

— ჰანსი!

— გუსტელ! გუსტელ შტობოი!

ხმაური რომ მინელდებოდა, დანგრეულ ქუჩებში მაინც ისმოდა გადაძახილი, რომელსაც ფერფლიანი ჩახუტება ან მწუხარებით მუხლის მოყრა მოჰყვებოდა. სახელები ყოველ საათში უფრო და უფრო მეტი გროვდებოდა, იმ ტკბილ-მწარე ზმანებებივით, რომელთაც ახდენა ეწერა.

ყველა საფრთხე გაერთიანდა. მტვერი, კვამლი და ცეცხლის ბობოქარი ალი. დაშავებული ადამიანები. ადამიანთა უმეტესობის მსგავსად, ჰანსს დავიწყების ხელოვნება უნდა აეთვისებინა.

— როგორ ხარ, ჰუბერმან? — ეკითხებოდა დროდადრო სერჟანტი.

მხარს უკან ცეცხლი ამოსდგომოდა.

ჰანსი უხერხულად უქნევდა თავს მეწყვილეს.

შუა მორიგეობისას მოხუც კაცს გადააწყდნენ, რომელიც უმწეოდ დალასლასებდა ქუჩაში. ჰანსმა შენობის გამაგრება რომ დაასრულა, იგრძნო, უკან რომ ედგა ბერიკაცი და მშვიდად ელოდა, მისთვის როდის მოიცლიდა. სახეზე სისხლის ლაქები ემჩნეოდა, კისერზეც ჩამოსდიოდა ხაზებად. თეთრი

პერანგი ეცვა მუქი წითელი საყელოთი, ფეხი კი, თითქოს, გვერდით ჰქონდა მიყუდებული.

— იქნებ მეც მომცეთ საყრდენი, ახალგაზრდავ.

ჰანსმა მოხუცი ხელში აიყვანა და ნისლიდან გამოვიდნენ.

სევდიანი შენიშვნა

ვესტუმრე იმ პატარა ქალაქის ქუჩას, კაცი ჯერ კიდევ ჰანს ჰუბერმანს ჰყავდა ატატებული. ცა ნაცრისფერში გადადიოდა, მოლურჯო ბედაურივით.

სანამ კაცი ცემენტის მტვრით გადათეთრებულ ბალახზე არ დააწვინა, ჰანსი ვერაფერს მიხვდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

ჰანსმა მხოლოდ ხელი გაიშვირა.

— ოჰ, — ხელი ჰკრა ამხანაგმა, — ბოლოს და ბოლოს, მიეჩვიე, ჰუბერმან.

ცვლის დასასრულამდე ჰანსი თავდაუზოგავად მუშაობდა, ცდილობდა, შორიდან ექოსავით მომავალი გადაძახილებისთვის ყურადღება არ მიექცია.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ შენობიდან გამორბოდა, უკან სერჟანტი მისდევდა ორ ამხანაგთან ერთად, მიწაზე არ იხედებოდა და ფეხი წამოჰკრა რალაცას. მაშინღა მიხვდა, რას წამოედო, როცა მის უკან შეფერხდნენ.

გვამი პირდაღმა ეგდო მიწაზე.

მტვრისა და ნაფშვენების საბანში გახვეულს ყურებზე ხელი ჰქონდა აფარებული.

ბიჭი იყო.

ალბათ ასე თერთმეტი-თორმეტი წლის.

ცოტა მოშორებით, ქუჩაში, ქალი დაინახეს, რომელიც რუდოლფს ეძახდა. ნისლში ოთხ ჯარისკაცს გადააწყდა, სუსტი სხეული ჰქონდა, დარდისგან მოხრილიყო.

— ჩემი ბიჭი ხომ არ გინახავთ?

— რამდენი წლისა იქნება? — ჰკითხა სერჟანტმა.

— თორმეტის.

ოჰ, იესო, ოჰ, ჯვარცმულო იესო!

ყველამ ეს გაიფიქრა, მაგრამ სერჟანტმა ვერ შეძლო, სიმართლე ეთქვა, ან მიესწავლებინა.

ქალმა გზა რომ განაგრძო, ბორის შიპერმა მიაბრუნა:

— იქიდან მოვდივართ, — დაარწმუნა, — არა მგონია, იქ იპოვოთ.

მოხრილი ქალი ისევ ებღაუჭებოდა იმედს, ხან აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა, ხანაც გარბოდა და მხარს იქით იძახდა:

— რუდი!

ჰანს ჰუბერმანს სხვა რუდი გაახსენდა, ჰიმელსტრიტელი. „გემუდარები, — შესთხოვა ცას, რომელსაც ვერ ხედავდა, — რუდი დაიფარე". და ფიქრებით ლიზელთან, როზასთან, შტაინერებთან და მაქსთან გადაინაცვლა.

დანარჩენ ამხანაგებთან რომ მიბრუნდნენ, ძირს დაეშვა და გულაღმა დაწვა.

— რა ხდებოდა? — ჰკითხა ვილაცამ.

მამას ფილტვები ცით ჰქონდა სავსე.

რამდენიმე საათის შემდეგ დაიბანა, ჭამა და გულის არევა რომ მოასწრო, სცადა, დეტალური წერილი დაეწერა და შინ გაეგზავნა, მაგრამ ხელები ვერ დაიმორჩილა და მოკლე ბარათი შეადგინა. „დანარჩენს, თუ შევძელი, შინ დაბრუნებული მოვუყვებიო", — გაიფიქრა.

„ძვირფასო როზა და ლიზელ"... — დაიწყო.

დიდი დრო დასჭირდა, ეს ოთხი სიტყვა რომ დაეწერა.

პურის მჭამელები

ის წელი მოლკინგში გრძელი და მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა და როგორც იქნა, დასასრულს მიუახლოვდა.

ლიზელმა 1942 წლის ბოლო რამდენიმე თვე სულ მათზე ფიქრში გააატარა, ვისაც სამ უნუგეშო კაცს უწოდებდა. აინტერესებდა, სად იყვნენ და რას აკეთებდნენ.

ერთ შუადღეს აკორდეონი ამოიღო ყუთიდან და ნაჭრით გააპრიალა. სანამ ჩადებდა, მხოლოდ ერთხელ, ის ნაბიჯი გადადგა, რაც დედამ ვერ შეძლო, თითები კლავიშებს დაადო და საბერველს ჩაჰბერა. როზა მართალი იყო. ოთახი ასე უფრო ცარიელი გამოჩნდა.

რუდის სადაც კი შეხვდებოდა, ეკითხებოდა, მამაშენისგან რამე თუ ისმისო. ხანდახან ბიჭი დეტალურად მოუთხრობდა ხოლმე ალექს შტაინერის წერილის შინაარსს. მასთან შედარებით, ჰანსის გამოგზავნილმა ერთმა წერილმა იმედი გაუცრუა.

მაქსზე ფიქრისას კი მხოლოდ ფანტაზიას მოუხმობდა.

დიდი ოპტიმიზმით წარმოიდგენდა უკაცრიელ ქუჩაში მიმავალს. დროდადრო კი ხედავდა, როგორ შედიოდა სადღაც პირადობის ყალბი ბარათით, ატყუებდა, ვისი მოტყუებაც არ იყო რთული და უსაფრთხოდ გრძნობდა თავს.

ყველგან ეს სამი კაცი ეჩვენებოდა.

მამას სკოლის სარკმელში ხედავდა. მაქსი ხშირად ბუხრის გვერდით იჯდა, ალექს შტაინერი კი, მიუნხენის ქუჩაზე რუდისთან ერთად ველოსიპედით სეირნობისას, მაღაზიაში ხვდებოდა.

— შეხედე იმ კოსტიუმებს, — ეტყოდა ხოლმე რუდი და სახესა და ხელებს შუშას ადებდა, — რა უქმად ცდება.

უცნაურია, მაგრამ ლიზელისთვის საყვარელ გართობათ იქცა ფრაუ ჰოლცაპფელთან სტუმრობა. ახლა კითხვის საათები ოთხშაბათობითაც ჰქონდათ. დაასრულეს წყლისგან დასველებულ-შემოკლებული „სტვენია“ და ახლა „სიზმრების დამტარებელს“ კითხულობდნენ. მოხუცი ქალი ხანდახან ჩაიზე ან წვნიანზე პატიჟებდა ლიზელს. მისი კერძი ნამდვილად ჯობდა დედის ნახელავს, ნაკლებად წყალწყალა იყო.

ოქტომბერ-დეკემბერში ებრაელების ჯერ ერთი მსვლელობა იყო, შემდეგ – მეორე. წინა შემთხვევის მსგავსად, ლიზელი ისევ გავიდა მიუნხენის ქუჩაზე, ამჯერად სურდა, ენახა, მათ შორის მაქს ვანდენბურგი ხომ არ ერია. ვერ ხვდებოდა, ორიდან რა უფრო სურდა — ენახა მაქსი და დარწმუნებულიყო, რომ ცოცხალია, თუ არ ენახა და ათასი წარმოსახვიდან ყველაზე სასურველი ამოერჩია — თავისუფალი მაქსი.

დეკემბრის შუა რიცხვებში მიუნხენის ქუჩაზე ისევ ჩაატარეს დაჰაუსკენ მიმავალი ებრაელები და სხვა ავაზაკები. მსვლელობა ნომერი სამი.

რუდიმ საქმიანად ჩაიარა ჰიმელ-სტრიტი და სახლი ნომერი 35-დან პატარა ჩანთითა და ორი ველოსიპედით დაბრუნდა.

— წავედით, ღორუკელა?

რუდის ჩანთის შიგთავსი

მეოთხედებად დატეხილი ექვსი ნაჭერი პური

დაჰაუსკენ მსვლელობას ბავშვებმა ველოსიპედებით ჩაუარეს და გზის ცარიელ ნაწილზე გავიდნენ. რუდიმ ლიზელს ჩანთა გაუწოდა.

— მუჭით ამოიღე.

— დარწმუნებული არ ვარ, რომ კარგი აზრია.

ბიჭმა ხელისგულზე დაიყარა პურის ნატეხები:

— მამაშენმა ხომ გააკეთა ეს.

როგორ შეჰკამათებოდა? ეს ნაბიჯი გაწკეპვლადაც ღირდა.

— თუ ვიჩქარებთ, ვერ დაგვიჭერენ, — რუდიმ პური დაყარა გზაზე, — ცოტა სწრაფად, ლორუკელა.

ლიზელი თავს ველარ იკავებდა. სანამ მისი საუკეთესო მეგობარი, რუდი შტაინერი, პურის ნაჭრებს ფანტავდა გზაზე, ილიმებოდა. როცა დაასრულეს, ველოსიპედებს დაავლეს ხელი და ნაძვის ხეებში მიიმალნენ.

გზა ცივი და სწორი იყო. დიდი დრო გავიდა, სანამ ჯარისკაცები და ებრაელები გამოჩნდებოდნენ.

ხის ჩრდილებში ლიზელი ბიჭს უყურებდა. როგორ შეიცვალა ყველაფერი. ხილის ქურდებიდან დამპურებლებად იქცნენ. რუდის ჩამუქებული ქერა თმა სანთელს მიუგავდა. გოგონამ მისი მუცლის ხმაური გაიგონა, არადა, სხვას ანვდიდა ლუკმას.

ნუთუ ეს იყო გერმანია?

ნუთუ ეს იყო ნაცისტური გერმანია?

პირველ ჯარისკაცს პური არ დაუნახავს, არ შიოდა, ებრაელმა კი შენიშნა.

ჭუჭყიანი ხელი გაიწვდინა, ნატეხი აიღო და აცახცახებულმა ჩაიტენა პირში.

ნეტავ მაქსი ხომ არ არის? გაიფიქრა ლიზელმა.

კარგად ვერ ხედავდა და წინ წაინია.

ჰეი! — მკვდრისფერი დაედო რუდის, — არ გაინძრე, თუ გიპოვეს და მიხვდნენ, რომ პური ჩვენ დავყარეთ, ისტორიას ჩავბარდებით.

ლიზელი მაინც წინ მიიწევდა.

ახლა უფრო მეტი ებრაელი იხრებოდა ძირს და პურს იღებდა, წიგნის ქურდი კი სათითაოდ აკვირდებოდა მათ. მაქს ვანდენბურგი იქ არ იყო. თუმცა, სიხარულმა დიდხანს არ გასტანა.

ერთმა ჯარისკაცმა შენიშნა, როგორ გაიწვდინა ტუსაღმა ხელი გზიდან პურის ასაღებად და გოგონა შეკრთა. ყველას უბრძანეს, შეჩერდითო. გზა დაათვალიერეს. ტუსაღები რაც შეიძლებოდა სწრაფად და ჩუმად ღეჭავდნენ ლუკმას და თან ყლაპავდნენ.

ჯარისკაცმა რამდენიმე ნატეხი პური აიღო და გზის ორივე მხარე მოათვალიერა. ტუსაღები უყურებდნენ.

— შეხედეთ, იქ!

ერთ-ერთი ჯარისკაცი ხეს ამოფარებული გოგონასკენ წავიდა. შემდეგ კი ბიჭიც შენიშნა. ბავშვები გაიქცნენ.

სხვადასხვა მიმართულება აირჩიეს, მაღალჭერიან ტყეში გარბოდნენ.

— არ გაჩერდე, ლიზელ!

— ველოსიპედებს რა ვუყოთ?

— Scheiss drauf! მიმიფურთხებია! რას დავეძებ!

ასიოდე მეტრი რომ გაირბინეს, ჯარისკაცის აჩქარებული სუნთქვა უფრო ახლოს მოესმათ, ლიზელი მოემზადა, ელოდა, რომ ხელს სტაცებდნენ.

ბედმა გაულიმა.

მხოლოდ ჩექმა მოხვდა უკანალში და ერთი მუჭა სიტყვები.

— გაიქეცი, პატარა გოგო, აქ რა გესაქმება! — ლიზელი გაიქცა და რამდენიმე მილი არ გაჩერებულა. ტოტებმა მკლავები დაუსერა. გირჩები გაუგორდა ფეხქვეშ და ნაძვის ხის წიწვები აუხმიანდა ფილტვებში.

დაახლოებით ორმოცდახუთი წუთი მაინც გავიდა, სანამ უკან დაბრუნებოდა და ჟანგიან ველოსიპედებთან მდგარ რუდის დაინახავდა. პურის დარჩენილი ნატეხები შეეგროვებინა და უგემურ, ხმელ ულუფას ღეჭავდა.

— ხომ გითხარი, ძალიან ახლოს არ მიხვიდე-მეთქი, — უთხრა.

ლიზელმა უკანალი მიუშვირა:

— ფეხის ანაბეჭდი მეტყობა?

დამალული ნახატებიანი წიგნი

შობამდე რამდენიმე დღით ადრე კიდევ ერთი საჰაერო თავდასხმა მოეწყო, თუმცა, მოლკინგში არაფერი დაზიანებულა. რადიოთი გადმოცემული ახალი ამბების მიხედვით, ბომბების უმეტესობა დაუსახლებელ ადგილებში ჩავარდა.

ფიდლერების თავშესაფრის ბინადრების იმდღევანდელი რეაქცია განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ყველამ რომ მოიყარა თავი, დასხდნენ და ჩუმად დაიწყეს ლოდინი. ლიზელს უყურებდნენ, იმედი ჰქონდათ, წაიკითხავდა.

გოგონას ხმამაღლა ჩაესმა ყურში მამის ხმა.

— საჰაერო თავდასხმა თუ იქნება, წიგნის კითხვა განაგრძე თავშესაფარში.

ლიზელი ყოყმანობდა, დარწმუნებული არ იყო, ნამდვილად სურდათ თუ არა მისი მოსმენა.

რუდიმ ყველას მაგივრად დაილაპარაკა:

— წაიკითხე, ღორუკელა!

გოგონამ წიგნი გადაშალა და სიტყვებმა იქ მსხდომი ადამიანებისკენ გაიკვლია გზა.

ლიზელი — მას შემდეგ, რაც სირენებმა რეიდის დასრულება ამცნეს და ხალხს მიწის ზედაპირზე ამოსვლის ნებართვა მისცეს — დედასთან ერთად იჯდა სამზარეულოში.

როზა ჰუბერმანს შეფიქრიანებული სახე ჰქონდა, დიდი დრო არ დასჭირვებია გადაწყვეტილების მისაღებად, დანა აიღო და ოთახიდან გავიდა.

— მომყევი, — უთხრა ლიზელს.

სასტუმრო ოთახში შევიდა, ლეიბის კიდიდან ზენარი გადასწია, იმ ადგილას ლეიბი განაკერი იყო, თუმცა, ვერაფერს შეატყობდი. როზამ ფრთხილად გაარღვია ნაკერი და შიგ იდაყვამდე შეყო ხელი. უკან რომ გამოიღო, მაქს ვანდენბურგის ნახატებიანი წიგნი ეკავა.

— მითხრა, მაშინ მომეცა, როცა მზად იქნებოდი, — თქვა ქალმა, — ჯერ ვიფიქრე დაბადების დღეზე გადავცემ-მეთქი, მაგრამ ბოლოს, საშობაოდ გადავწყვიტე. — იდგა როზა ჰუბერმანი უცნაური სახით. მისი გამომეტყველება სიამაყისგან კი არა, ალბათ, უფრო მოგონებების სიხშირისა და სიმძიმისგან შედგებოდა. — ვფიქრობ, შენ ამისთვის ყოველთვის მზად იყავი, ლიზელ, იმ წუთიდანვე შეიძლებოდა მოცემა, ჩვენი ჭიშკრის კარი პირველად რომ შემოალე.

წიგნმა ხელიდან ხელში გადაინაცვლა.

აი, ასეთი ყდა ჰქონდა:

სიტყვის მბერტყავი

ფიქრების მომცრო კრებული ლიზელ მემინგერისთვის

ლიზელს რბილად ეკავა ხელში წიგნი. დედას უცქერდა.

— გმადლობ, დედა, — თქვა და ჩაეხუტა.

დიდი სურვილი ჰქონდა როზა ჰუბერმანისთვის ეთქვა, მიყვარხარო. სირცხვილია, რომ ვერ შეძლო.

გოგოს უნდოდა, ძველებურად, სარდაფში წაეკითხა წიგნი, მაგრამ დედამ გადაარწმუნა.

— მაქსი ხომ იქ გახდა ავად, — უთხრა, — იცოდე, გოგონი, შენ არ მოგცემ ავად გახდობის ნებას.

სამზარეულოში შეუდგა კითხვას.

ქურაში წითელი და ყვითელი ნაპრალები.

„სიტყვის მბერტყავი“.

თვალი გადაავლო უთვალავ ესკიზს, ამბავსა და წარწერებიან ნახატს. რუდი ფიცარნაგზე იდგა, სამი ოქროს მედალი

ეკიდა კისერზე, ქვეშ კი აი, ეს ჰქონდა მიწერილი: *ლიმონისფერი თმა.* თოვლის კაციც იყო და ცამეტი საჩუქრის სიაც, სარდაფში ან ბუხრის გვერდით გატარებულ უთვალავ ღამეზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

რა თქმა უნდა, ბევრი ფიქრი, ესკიზი და სიზმარი შტუტგარტს, გერმანიასა და ფიურერს უკავშირდებოდა. მაქსის ოჯახის წევრებიც ეხატა, ბოლოში ცდუნებისთვის ვერ გაეძლო და ყველა ჩამოეთვალა, ეს აუცილებელი იყო.

შემდეგ 117-ე გვერდი მოდიოდა.

სწორედ იქ ჩნდებოდა *„სიტყვის მბერტყავი“.*

იგავი თუ ზღაპარი გახლდათ, ლიზელმა ზუსტი სახელი ვერ დაარქვა. რამდენიმე დღის მერეც, დუდენის ლექსიკონში რომ ნახა ორივე სიტყვის განმარტება, — ვერ ამოირჩია.

წინა გვერდზე მცირედი შენიშვნა იყო მიწერილი.

გვერდი 116

ლიზელ, ცოტაც და გადავშლიდი ამ ნაწერსს, ჩავთვალე, რომ ასეთი ამბისთვის მეტისმეტად დიდი იყავი, თუმცა, იქნებ შენხელებისთვისაც გამოდგეს.
შენზე, წიგნებსა და სიტყვებზე რომ ვფიქრობდი, უცნაური მოთხრობა მომაფიქრდა.
იმედია, რამეში მაინც გამოგადგება.

გოგონამ გვერდი გადაფურცლა.

იყო და ისა იყო ისა, იყო ერთი ბაყაისა ყაკა, რომელმაც გადაწყვიტა, ცხოვრებაში ხაბი მნიშვნელოვანი დეფიცი გადალაბინებინა.

თმა, ყველასგან განსხვავებული, ხაბარისბარი მხარეს გადაეყო.

ბაყაისა, უკანაყარი ფიურერის ულოვაში მიეგზავნა.

და ერთ დღეს ხაბყარი ემპოა.



ბალიგაბარა დილანს დანიშნულება, ფიქრობდა, გეგმავდა და ბარმოიდგინა, რომელ ჩაეგდო ხელში ხაბყარი. ერთ დღესაც შესანიშნავი ბარი მიუვიდა თავში, იდეალური გეგმა მოფიქრა. დიდა დანანა, რომელიც შვილთან ერთად მიდიოდა ქუჩაში. მშობელი შვილს იმდენ ხანს ირიგებდა ყაყას, ხანამ ის ააყარა, მაგრამ მერე დაუყვავა, დაამშვიდა და გაალიმა ყიდეა.

ბალიგაბარა ქალის მივარა და გადაეხვია.

– ხიყვენი! – გაიკვირა.

– რა?

თუმცა, ბარსული ირეკის გაუკია დელიბათვის.

ყაკა უკვე წასულიყო.

დიას, ფიურერმა გადაწყვიტა, ხაბყარი ხიყვენი ემპოა. "თოფს ერთხელაც კა ის გაკიბარი, – გაიფიქრა გულში, – ის დამეკარდება„. ბრაქენებ ის ხრეოდა, ხელიელი ნაბდვილად ის იყო და ამას ვერ დაუყარეგთ. გეგმის ბარეული ნაწილის მიხედვით, ხიყვენი, შეძლებისდაგვარად, ხაბმობლის თითქმის მთელი ირეალზე უნდა გაეკრეველებინა, დეფეცა.

დღისით და ღამით თესლა და მოჰყავდა.

უკვერდა, რომელ იბრდებოდა, და ის, ერთხელაც, ხიყვის ყეენი ამრალდა და გერმანია ხიყვენის ქვეყნად იქცა.

ხანამ ხიყვენი იბრდებოდა, ბალიგაბარა ფიურერმა ხ�ა თესლაც ჩაყარა – ხიმბოლოების თესლი. ცოცხა და, ისაც გაიზრდება.

დრო მივიდა. ფიურერიც მზად იყო.

მან თავის დიდებული გულში მიიბარა ადამიანები, ყეენი დაურეფილი ერთი მუჯა, ყველაზე ეკანო და მარანჯი ხიყვენით ისმო ისინი. მივიდნენ ყიდეა.

ფიუნერმა ხელი ყინვიერზე მოთავსა და იმ მანქანის ქვეშ გაიყვანა, რომელიც ათიოდ წუთში ასანი ხიკვიცლითი ავსებდა მათ, ხიყვავებს შეინბერავდა. დრო უკანასკნელებილა და მათ იკილნენ ყველაფერი, რაი ცოდნაც სჭირდებილათ.

დაანიშნიხეს.

შემდეგ ხიმბილიები მოაკვეს და ყველა ბედნიერი იყო.

მალე ხაყვარელი მანიხ ხიყვავებსა და ხიმბილიებზე მიიხოვნა გაიბარდა, წყეკ იბრდებილა და მის მოხვალელად ხელი ყოფრი მეკი ადამანი იყო ხაქირი. რამდენიმე მათგანს ხეზე აკიკება დაავალეს, ქვემოთ მიგრივალი თანხამიძმეებისთვის ხიყვავები რომ ჩაეყარათ. შეგრივალი ხიყვავებით ფიუნერის ხალიის ნარჩენებს ყვებავდნენ. არავერი ვიქვათ მათზე, ვინც ეყან ბრუნდებილა და დამაყენებს ითხოვდა.

მათ, ვინც ხეებზე დაკოკვადა, ხიყვის მბერეყავს ეძახდნენ.

ხიყვის მბერეყავთა მორის ხაუკეთესი ის იყო, ვინც მისი ნამდვილი ძალა იკილა. ასეთი ადამიანები ყველაზე მალლა ადიოდნენ ხეზე. მათ მორის ერთი ბაყარა, გამხდარი გოგონა იყო. ის რეგონში ხაუკეთესო ხიყვის მბერეყავად ითვლებილა, რადგან იკილა, მათ გარეშე რა უმნეი არანერა იყო ადამიანი. ნორმალურ ამიყიმ აკიკა ყველაზე მალლა. თავად ჭქონდა ამის ხერხი, ხიყვავებს წყერილი ულავდა.

თუმცა, ერთ დღეს ყაყს გაადაწყდა, რომელთაკ ანერად იგდებდნენ იმ ქვეყანაში, რომელშიკ დაიბადა. დამეგობრდნენ. რიკა ყაყი ავად გახდა, ხიყვის მბერეყავს თვალთაგან იბილი ცრემლი მოსწყდა და მას დაეცა ხახეზე. ის ცრემლი "მეგობრობისგან„ ამ ერთადერთი ხიყვისგან, იყო მექმნილი. გაქვავდა და თეხლად იქცა. გოგონამ ეი ის ადგილი დათესა დანარჩენ ხეებს მორის. ყოველდღე რწყავდა.

თავლას ჩრდილი მიმსლელა, მაგრამ ეს-ეთი შეაღლილ, ხიდაკვების დაბერებულის მერე, გოგონამ ნათელი შეამოწმა და ბაღჩის ყელისაკენ დანახა ამიბრალელი. ლილასს ალგა და უკვერილა.

ხე ლილი ლილ იბრალებილა და ბოლოს, ყველაზე მაღალ ხედ იქცა ცაში. ყველა მის ხანახავად მოდიოდა, ჩუჩულებდნენ და ელოდნენ... ფიფინერს.

განრისებულმა ფიფინერმა ხის დაყოვნებლივ მოჭრა ბრძანა. მაშინ ხიდაკვის მბერებულმა ბრიბოში გზა გაიკაფა და მუხლებზე დაეცა მის წინაშე.

– გემუდარები, – შეჭალალადა, – არ მოჭრა ჩემი ხე!

თუმცა, ფიფინერზე ამან არ იმოქმედა. გამონაყოლიის დაშვების უფლებას ვერ მისცემდა თავს. ხიდაკვის მბერებულმა წაითრიეს, ფიფინერმა კი თავის მარჯვენა ხელის უხმო და უბრძანა:

– ნაჯახი, გეთაყვა!

ამ დროს ხიდაკვის მბერებულმა თავი გალთავისუფლა, გაიქცა, ხეზე ავიდა და ხანამ ფიფინერი ნაჯახს უბიდამდა ხეს, მის უენწერობაში მიექცა. ადამიანთა ხმები და ნაჯახის დარტყმის ხმა ერთად ესმოდა, გვერდით ჩაფრინეს ლარიბლებმა, რომელიც თეთრმა ურჩხულებმა ნაჩქარევი გულებით. ხიდაკვის მბერებულმა შეშინდა, მაგრამ ეიუდინა, არ ნებდებოდა. ელოდა, რიდის დაეცემოდა ხე.



მაგრამ ხე ადგილიდან არ დაძრულა.

ეამრავმა ხალამ გაიარა, ფიფინერის ნაჯახს წეთითაც არ არ დაუხვენია, მაგრამ ხეს ეთი ნაფიდიც ვერ ააცალა. იგი დარჩა, ლამის გული წაუვიდა და სხვას ებრძანა, განაგრძეთ.

გავიდა დღეები.

ყვირები.

ან თოხმოცდამეთექვსმეცე ჯარისკაცმაც არ ვერანაერი დაუალო ხიდაკვის მბერებულის ხეს.

– ნეფეკ რას ყვრს, – ეუოთხებოდნენ ადამიანები ერთმანეთის, – ან რიგორ ხერხავს?

მათ არ იცოდნენ, რომ ხიდუკის მბერავებს სხვა ხიდუკის მბერავები აშენებდნენ ხაჯვებს, გიგონა კი მათ ახალგაზდა ქალდა ყოფილიყვნენ ჩადოოდა ხოლმე.

მოთოვა. ინვრმა. ნელინასლის დარიები ერთმანეთის ენახვლებოდა. ხიდუკის მბერავი კი ისევ ხეზე რჩებოდა. უკანასკნელი ნაჯახიანი კაციც დანებდა და ახალა:

– ხიდუკის მბერავო, შეგიძლია, ჩამოხვიდე, ამ ხეს ვერავინ ნაჯაკვეს!

ხიდუკის მბერავმა, რომელმაც ძლივს გიგონა კაცის ნათქვამი, ჩუჩულით გასცა პასუხი და ყოფებლად ჩასწილდა.

– არა, გმადლობ, – თქვა, რადგან იცოდა, თვითონ იყო იმ ხის ხაკრდენი.

ირავინ იცოდა, რამდენ ხანს დარჩებოდა მასზე, მაგრამ ერთი შუადღეს ახალი ნაჯახიანი კაცი გამოჩნდა ქალაქში. მეფარმაცად მძიმე ჩანთა ეკავა. თვალებს მოთრევდა. ფენებს ძლივს ადგამდა დაღლილობისგან.

– ხე, – ეკითხებოდა ხალხს, – ხე ხად არის?

მაყურებლები უკან დაედევნენ. კაცი მივიდა, ხის ყენნერი ლრიუბლებმა დაფარა. ხიდუკის მბერავს ეხმოდა, რიგორ ეძახდა ხალხი, ახალი ნაჯახიანი კაცი მივიდა, ბოლო რომ მოუტოს შენს ხეზე მორიგებობანი.

– რაკ უნდა მოხდეს, – ამბობდნენ ადამიანები, – მარცხ არ ჩამოვა.

მათ არ იცოდნენ, ვინ იყო ის ნაჯახიანი კაცი, თუმცა, მიხვდნენ, რომ კაკან არ დარეკილა.

ჩანთა გასხნა და ნაჯახზე ბევრად ბაგრარ ნიკოთი ამოიღო. ადამიანებს ხიკილი აუყვანთ.

– ამ ძველი ჩექმები რიგიანი ყინლა წაგიყვანია ხე! – ეუბნებოდნენ ყველა.

ახალგაზრდამ არ მოისმინა და რამდენიმე ლაფუსმანიც აძოლა ჩანთიდან. სამი წყალი ბრიში ჩაღალი და ერთ-ერთის ხელში ჩაფლეფა ს

– ბრლა არ შეუნუკვეწოთ – ეუსსნა გიგომ.

– არც ამას, – ასალგაზრდამ იმ წიწს შესედა, რომელზეც ხელი ჭქონდა ჩავლებული. შეეძლებელი იყო, შეჭყამთებილი.

წყე რომ ითვალიერეს და ისაუბრეს, ქვემოთ ჩამოხვლა დაიწყეს, ხაბნები და ხაწმლის ნარჩენებიც წამოიღეს.

ხალხი თვალს არ უჯერებდა: რიგორც კი ხიწყვის მბერწყავმა და ასალგაზრდამ მიწაზე ფესი დადგეს, ხეს ნაკაფის ნაფლეკები, დალეფილებული ადგილები დაეწყო. ვარკვა გადასყლა და მიწა შეერეყა.

– ეცემა! – დაიყვირა ასალგაზრდა ქალმა, – ხე ეცემა! – ის მაინალი იყო. ხიწყვის მბერწყავს ხე, მრავალი მილის ხიმაღლის ხე ნელ-ნელა ეცემოდა. მიწას შეეხო და დაიკვნესა. ხმაყარი შეერეყა და რიცა ყველაფერი, რიგორც იყო, დასრულდა, ხე წყის შეაგულში ეგდო ნაქცეული. თავლაფფლად შეეძლო ამ წყის გასადგურება, მაგრამ ამის ნაცვლად ნარიფერი ბილიკი გაეკაფა.

ხიწყვის მბერწყავი და ასალგაზრდა ყაკი ნაქცეული ხეს გაუყვნენ. გზას მიაკვლევდნენ წიწებში. აკან რომ მიახედეს, ნახეს, რიგორ დაყბრუნდნენ ხერეს მაყურებლები თავ-თავიანთ ადგილებს, ეკა-იქ, წყეში მიმოიფანფლნენ.

გზად რამდენჯერმე შეჩერდნენ მიხასმენად – ეჩვენებინათ, რომ ხიწყვის მბერწყავს ხიდან ხმა და ხიწყვები მოახმოდა.



ლიზელი დიდხანს იჯდა სამზარეულოს მაგიდასთან და ფიქრობდა, რომელი იყო იმ ტყეში მაქს ვანდენბურგი. ნათელში გაეხვია. ჩაეძინა. დედამ აიძულა, ლოგინში ჩაწოლილიყო, დამორჩილდა და გულზე დაიდო ნახატებიანი წიგნი.

რამდენიმე საათის შემდეგ, გაეღვიძა თუ არა, პასუხი გასცა საკუთარი თავისთვის დასმულ შეკითხვას:

— რა თქმა უნდა, - ჩაიჩურჩულა, — რა თქმა უნდა, ვიცი, სად არის ის, — და ისევ დაიძინა.

ის ხე დაესიზმრა.

ანარქისტის კოსტიუმების კოლექცია

ჰიმელ-სტრიტი. ნომერი 35. 24 დეკემბერი

სანამ მამები შინ არ იმყოფებოდნენ, შტაინერებმა როზა და ტრუდი ჰუბერმანები, ლიზელთან ერთად, თავისთან მიიწვიეს.
მივიდნენ თუ არა სტუმრად, რუდი დაინახეს, რომელიც თავისი სამოსის მნიშვნელობას ხსნიდა.
ბიჭმა ლიზელს შეხედა და
პირი სულ ოდნავ
უფრო ფართოდ გააღო.

1942 წლის შობის წინა დღეებში ბარაქიანად მოთოვა. ლიზელმა რამდენჯერმე გადაათვალიერა „სიტყვის მბერტყავი", მოთხრობაც გადაიკითხა, სურათებიც გადაათვალიერა და კომენტარებსაც გადახედა. შობის წინაღამეს რუდისთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. მერე რა, რომ უკვე გვიანი იყო.

გოგონა მეზობელთან დაბნელებამდე გადავიდა, რომ ეთქვა, შენთვის საშობაოდ საჩუქარი მაქვსო.

რუდიმ თავით ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა:

— სად ჯანდაბაშია?

— დაივიწყე!

მაგრამ რუდი ყველაფერს მიხვდა. ადრეც უნახავს ასეთი ლიზელი, თვალებში რისკით და წებოვანი ხელებით. გოგონას ქურდობის სუნი ასდიოდა და მანაც იგრძნო:

— საჩუქარი, — განაცხადა ბიჭმა, — ჯერ არ გაქვს, არა?

— არა.

— არც ყიდვას აპირებ.

— რა თქმა უნდა, არა. შენ რა, გგონია ფული მაქვს? — ისევ თოვდა. ბალახის კიდეში ყინული გატეხილ შუშას ჰგავდა. — გასაღები გაქვს? — ჰკითხა გოგონამ.

— რის გასაღები? — თუმცა, რუდი მალევე მიუხვდა. ოთახში შებრუნდა და ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა. შემდეგ ვიქტორ ხემელის სიტყვები გაიმეორა, — საყიდლებზე წასვლის დროა!

დღის შუქი სწრაფად უჩინარდებოდა და ეკლესიის გარდა, საშობაოდ მიუნხენის ქუჩაზე ყველა შენობა დაიკეტა. ლიზელი აჩქარებით მიაბიჯებდა, მეზობლის უზარმაზარი ნაბიჯებისთვის რომ აეწყო ფეხი. მაღაზიის ვიტრინას მიუახლოვდნენ, რომლის ზემოთაც აბრა ეკიდა, STEINER–CHNEIDERMEISTER. შუშას რამდენიმე კვირაში ტალახისა და მურის თხელი ფენა დასდებოდა. მანეკენები მოწმეებივით იდგნენ. სერიოზულები და სასაცილოდ პენიანები. ძნელი იყო, არ გეფიქრა, რომ ყველაფერს ხედავდნენ.

რუდიმ ჯიბეში ჩაიყო ხელი.

შობის წინა ღამე იდგა.

მამამისი ვენის მახლობლად იმყოფებოდა.

ბიჭი ფიქრობდა, რომ მამა წინააღმდეგი არ იქნებოდა, მის საყვარელ მაღაზიაში თუ შევიდოდნენ. ამას ხომ გარემოება მოითხოვდა.

კარი ბოლომდე გაიღო და ბავშვებმა შენობაში შეაბიჯეს.

რუდიმ ინსტინქტურად შუქის ანთება დააპირა, მაგრამ სადენები გადაჭრილი დახვდა.

— სანთლები გვაქვს?

რუდი შეფიქრიანდა:

— მე ხომ გასაღები წამოვიღე, თანაც ეს შენი იდეა იყო.

კამათისას ლიზელმა ფეხი წამოჰკრა რაღაცას და გაიშოტა. მანეკენი გადაბრუნდა, მკლავზე დაეცა გოგონას და ტანსაცმლის შიგნით ნაწილებად დაიშალა.

— მომაშორე ეს საშინელება! — ოთხი ნაწილი იყო, ტორსი, თავი და კიდურები. ლიზელმა, როგორც იქნა, მოიშორა

მანეკენის ნაწილები, წამოდგა და ამოიხრიალა, — იესო, მარიამ.

რუდიმ ცალი მკლავი იპოვა და მხარზე დაარტყა ლიზელს. შეშინებული გოგონა შემობრუნდა, ბიჭმა კი მისალმების ნიშნად მანეკენს ხელი გაუწოდა:

— მიხარია თქვენი გაცნობა!

რამდენიმე წუთი ნელა მიიკვლევდნენ ვიწრობებს. რუდი დახლთან მივიდა, ცარიელი ყუთი გადმოაგდო, დაიყვირა, შეიგინა და ისევ შესასვლელთან დაბრუნდა:

— რა სასაცილოა, — თქვა, — აქ დამელოდე.

ლიზელი ჩამოჯდა და სანამ ბიჭი ეკლესიიდან ანთებული ფარნით დაბრუნდა, მანეკენის მკლავი ხელში ეკავა.

სახე შუქის რგოლმა გაუნათა.

— აბა, სადაა ის საჩუქარი, დილით რომ იკვეხნიდი? იმედია, ამ უცნაურ მანეკენს არ გულისხმობდი.

— მომინათე.

რუდი მაღაზიის მარცხენა სექციისკენ გაემართა, ლიზელმა ცალ ხელში ფარანი დაიკავა, მეორით კი საკიდრებზე ჩამოკიდებული კოსტიუმების გადარჩევა დაიწყო. ერთის ჩამოხსნა გადაწყვიტა, მაგრამ გადაიფიქრა:

— არა, მეტისმეტად დიდი ჩანს, — კიდევ ორი მცდელობა და რუდი შტაინერს წინ მუქი ლურჯი კოსტიუმი დაუდო, — ეს მგონი შენი ზომა უნდა იყოს.

სანამ რუდი ფარდის მიღმა ტანსაცმელს იზომებდა, ლიზელი სიბნელეში იდგა. შუქის პატარა წრე და ჩრდილი, რომელიც იცვამდა.

ბიჭი დაბრუნდა და ფარანი მაღლა ასწია, ლიზელს რომ დაენახა. ფარდისგან გათავისუფლებული შუქი სვეტივით იდგა და დახვეწილ კოსტიუმს ანათებდა, თუმცა, მის სინათლეზე ჭუჭყიანი პერანგი და რუდის ძველი ფეხსაცმელიც კარგად გამოიყურებოდა.

— კარგია? — იკითხა.

ლიზელი ჯერ ისევ ათვალიერებდა, ბიჭი დაატრიალა და მხრები აიჩეჩა.

— ცუდი არ არის.

— ცუდი არ არის? ნუთუ უკეთეს შეფასებას არ ვიმსახურებ!

— ფეხსაცმელი და სიფათი გიშლის ხელს.

რუდიმ ფარანი დახლზე დადო და გაცოფებული რომ გაიქცა გოგონასკენ, ლიზელმა სინდისის ქენჯნა იგრძნო.

სანამ გარბოდა, შტაინერმა ძირს დაგდებულ მანეკენს წამოჰკრა ფეხი, დაეცა და ამჯერად ლიზელს შვებასთან ერთად იმედგაცრუებაც დაეუფლა.

იატაკზე გაგორებულ რუდის სიცილი აუტყდა.

შემდეგ კი მაგრად დახუჭა თვალები.

ლიზელი მივარდა.

მისკენ დაიხარა.

აკოცე, ლიზელ, აკოცე!

— კარგად ხარ რუდი? რუდი!

— მენატრება, — უთხრა სადღაც გვერდით, იატაკზე გაწოლილმა ბიჭმა.

— Frohe Weihnachten, — უპასუხა ლიზელმა, წამოდგომაში დაეხმარა და კოსტიუმი გაუწორა. — შობას გილოცავ!

ნაწილი მეცხრე

უკანასკნელი უცხო

მონაწილეობენ:

ახალი ცდუნება — ბანქოს მოთამაშე — სტალინგრადის თოვლი — უბერებელი ძმა — უბედური შემთხვევა — შეკითხვის მწარე გემო — ხელსაწყოების კომპლექტი, სისხლმდინარი, დათვი — ჩამოვარდნილი თვითმფრინავი — შინ დაბრუნება.

ახალი ცდუნება

ამჯერად ფუნთუშები ჰქონდათ.

მაგრამ გამხმარი.

Kipferl-ები[43] შობის მერე შემორჩათ და სულ ცოტა, ორი კვირა მაგიდაზე ელაგა. ქვემოთ რომლებიც ეწყო, მინიატიურული ნალის ფორმის, შაქრიანი მინანქრით, — თეფშის ძირს მისწებებოდა, დანარჩენები კი ზემოდან ელაგა, წებოვან გორაკად აკინძული. როგორც კი ლიზელი ფანჯრის რაფას მოეჭიდა თითებით, ტკბილეულის სურნელი იგრძნო, ოთახს კი შაქრის, ცომისა და ათასი გვერდის გემო ჰქონდა.

ბარათი არ უნახავს, მაგრამ დიდი დრო არ დასჭირვებია იმის მისახვედრად, რომ ყველაფრის უკან ისევ ილზა ჰერმანი იდგა, ფუნთუშები კი მისთვის იყო დატოვებული. გოგონა ფანჯარასთან დაბრუნდა და ხვრელში ჩურჩული გააძვრინა. ჩურჩულს რუდი ერქვა.

იმ დღეს ფეხით წავიდნენ, რადგან გზა ველოსიპედისთვის მეტისმეტად მოლიპული იყო. ბიჭი ფანჯრის ქვეშ იდგა და ყარაულობდა. გოგონამ რომ ჩასძახა, სახე ასწია. მან თეფში მიაწოდა. ბიჭსაც ბევრი არ უყოყმანია, გამოართვა.

სანამ ფუნთუშებს დასცქეროდა, რამდენიმე კითხვის დასმაც მოასწრო.

— კიდევ ხომ არაფერია? იქნებ რძეც დატოვეს?

— რა?

— რძე, — გაიმეორა ბიჭმა ცოტა უფრო ხმამაღლა, შესაძლოა, იგრძნო კიდეც დამცინავი ტონი ლიზელის ხმაში, მაგრამ არ შეიმჩნია.

---

[43] *ნახევარმთვარის ფორმის ფუნთუშები.*

წიგნის ქურდის სახე ისევ გამოჩნდა ზემოდან:

— სულელი ხომ არა ხარ? მე აქ მხოლოდ წიგნის მოსაპარად მოვედი.

— რა თქმა უნდა, უბრალოდ...

ლიზელი მაგიდის უკან, მოშორებით მდგარი თაროსკენ გაემართა, ზედა უჯრაში ქალალდი და კალამი იპოვა, „გმადლობთ", დააწერა და ბარათი მაგიდაზე დატოვა.

მისგან მარჯვნივ ძვალივით ამოჩრილიყო წიგნი. უფერულ გარეკანზე სათაურის მუქი ასოები იარებივით აჩნდა — *Die Letzte Menschliche Fremde* — „უკანასკნელი უცხო". თაროდან რომ ჩამოიღო, წიგნმა ჩუმად ჩასჩურჩულა რაღაც. ცოტა მტვერიც ჩამოსცვივდა.

ის იყო, ფანჯარასთან მივიდა და ზედ უნდა გადამძვრალიყო, რომ ბიბლიოთეკის კარმა დაიჭრიალა.

ლიზელს მუხლი აწეული ჰქონდა, წიგნის მპარავი ხელიც უკვე ფანჯრის რაფაზე ედო, მაგრამ ხმაურზე თავი რომ ასნია, მერის ცოლი დაინახა, აბაზანის ახალთახალ ხალათსა და ფლოსტებში. გულის ჯიბეზე სვასტიკა ჰქონდა ამოქარგული. პროპაგანდამ აბაზანაშიც შეაღწია.

ლიზელმა მკერდზე შეავლო თუ არა თვალი ილზა ჰერმანს, ხელი ასნია.

— ჰაილ ჰიტლერ.

ის იყო, უნდა გადამძვრალიყო, რომ რაღაცას მიხვდა.

ფუნთუშები.

ისინი რამდენიმე კვირა იქნებოდა, რაც იქ ელაგა.

ეს კი ნიშნავდა, რომ თუ მერი სარგებლობდა ბიბლიოთეკით, მათ აუცილებლად შენიშნავდა და იკითხავდა კიდეც, ვისთვის იყო განკუთვნილი. ან — როგორც კი ლიზელმა ეს გაიფიქრა, გული უცნაური ოპტიმიზმით აევსო — იქნებ სულაც არ იყო მერის ბიბლიოთეკა, ოთახი ილზა ჰერმანს ეკუთვნოდა.

გოგონამ არ იცოდა, რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი, მაგრამ ფიქრი იმაზე, რომ წიგნებით სავსე ოთახი ქალისა იყო, ართობდა. სწორედ ილზამ აჩვენა ბიბლიოთეკა და შესაძლებლობების ფანჯარა გაუხსნა. ძალიანაც კარგი. ლიზელს ასე უფრო აწყობდა.

ფანჯრიდან გადაძრომას აპირებდა, რომ შედგა და იკითხა:

— ეს თქვენი ოთახია, არა?

მერის ცოლი შეიკუმშა:

— აქ ჩემს ვაჟთან ერთად ვკითხულობდი ხოლმე, მაგრამ შემდეგ...

ლიზელმა ხელი შეახო ჰაერს თავის უკან. დაინახა დედა, რომელიც იატაკზე ინვა და უკითხავდა პატარა ბიჭს, რომელიც თითს იშვერდა ნახატებისა და სიტყვებისაკენ. შემდეგ ომი დაინახა ფანჯარაში.

— ვიცი, — გარედან მოესმა.

— რა თქვი?

ლიზელმა ჩურჩულით გადასძახა:

— ჩუმად, ღორიშვილო, ქუჩას უყურე. — და ილზა ჰერმანს ნელა გაუწოდა სიტყვები, — ესე იგი, ეს წიგნები...

— ძირითადად ჩემია, ზოგიც – ჩემი ქმრის. რამდენიმე მათგანი კი, როგორც იცი, ჩემს ვაჟს ეკუთვნოდა.

ახლა ლიზელი შეცბა. ლოყები გაუწითლდა:

— ყოველთვის მეგონა, რომ ეს მერის ოთახი იყო.

— რატომ? — ქალი გაახალისა ამ შეკითხვამ.

ლიზელმა ფლოსტებზეც სვასტიკა შენიშნა.

— ის ხომ მერია, მეგონა, ბევრს კითხულობს.

მერის ცოლმა გვერდითა ჯიბეებში ჩაილაგა ხელები.

— ბოლო დროს შენ უფრო იყენებ ამ ოთახს.

— ეს ნაგიკითხავთ? — ლიზელმა *„უკანასკნელი უცხო“* გაუწოდა.

ილზამ უფრო ახლოდან შეხედა სათაურს.

— დიახ.

— კარგია?

— ცუდი არ არის.

ლიზელს ერთი სული ჰქონდა, ბიბლიოთეკიდან გასულიყო, მაგრამ მიხვდა, ცოტა ხნით დარჩენა მოუწევდა. ნაბიჯი გადადგა და დალაპარაკება დააპირა, მაგრამ მეტისმეტად ბევრი სიტყვა მოადგა ენაზე. რამდენჯერმე სცადა, ხელი წაევლო ზოგიერთი მათგანისთვის, მაგრამ მერის ცოლმა ინიციატივა თავის თავზე აიღო.

მან რუდის სახეს მოჰკრა ფანჯრიდან თვალი, უფრო სწორად, მის სანთლით განათებულ თმას:

— მგონი დროა, წახვიდე, — თქვა, — ის გელოდება.

შინ მიდიოდნენ და ჭამდნენ.

— დარწმუნებული ხარ, რომ იქ მეტი არაფერი იყო? — იკითხა რუდიმ, — ნესით, უნდა ყოფილიყო.

— ბედმა გაგვილიმა, ფუნთუშები რომ გვერგო, — ლიზელმა თვალი შეავლო საჩუქარს, რომელიც რუდის ეკავა ხელში, — სიმართლე მითხარი, სანამ მოვიდოდი, ერთი მაინც თუ შეჭამე?

რუდი აღშფოთდა:

— ჰეი, ქურდი აქ შენ ხარ, მე კი არა!

— ნუ მატყუებ, ღორიშვილო, პირის კუთხეში შაქრის ნამცეცები გაქვს შერჩენილი.

შეშინებულმა რუდიმ თეფში ცალ ხელში დაიკავა, მეორით კი სწრაფად მოიწმინდა პირი.

— არ მიჭამია-მეთქი, დამიჯერე!

ფუნთუშების ნახევარი მანამ მიირთვეს, სანამ ხიდამდე მივიდოდნენ, შემდეგ კი ტომი მიულერსაც უწილადეს ჰიმელ-სტრიტზე.

ჭამას რომ მორჩნენ, ერთი კითხვა გაუჩნდათ და რუდიმ ხმამაღლა თქვა:

— ამ თეფშს რა ჯანდაბა ვუყოთ?

ბანქოს მოთამაშე

დაახლოებით იმ დროს, როცა ლიზელი და რუდი ფუნთუშებს შეექცეოდნენ, ესენის მახლობლად, პატარა ქალაქში LSE-ს წევრები ბანქოს თამაშობდნენ. შტუტგარტიდან გრძელი გზა ახლახან გამოევლოთ და ფსონებს სიგარეტზე ჩამოდიოდნენ. რეინჰოლდ ცუკერს ილბალი არ სწყალობდა.

— გეფიცებით, თაღლითობს, — ბუტბუტებდა. ჯარისკაცები ფარდულში ისხდნენ, იქაურობა ბარაკის მაგივრობას უნევდათ. ჰანს ჰუბერმანმა უკვე მესამედ მოიგო ხელი. ცუკერმა ბანქოს ქაღალდი ზიზღით დაყარა ძირს და ჭუჭყიანფრჩხილებიანი სამთითა გაქონილ თმაში შეიცურა.

ცოტა რამ რეინჰოლდ ცუკერზე

ოცდაოთხი წლის იყო. ბანქოს თამაშში რომ იგებდა, ღვარძლნარევი სიხარული ეუფლებოდა, სიგარეტის წვრილი ცილინდრი ცხვირთან მიჰქონდა და ისუნთქავდა.

— გამარჯვების სუნი აქვს, — ამბობდა.

ოჰ, და კიდევ ერთი.

როცა მოკვდა, პირი ღია დარჩა.

მარცხნივ მჯდარი ახალგაზრდისგან განსხვავებით, ჰანს ჰუბერმანი გამარჯვების შემდეგ ასე არ მოქცეულა, ისეთი გულუხვი იყო, კოლეგებს თითო სიგარეტი ჩამოურიგა და მოუკიდა კიდეც. რეინჰოლდ ცუკერის გარდა უარი არავის უთქვამს. მან შეთავაზებული სიგარეტი ხელიდან გამოჰგლიჯა და ამობრუნებულ ყუთში მოისროლა.

— რაში მჭირდება შენი მოწყალება, ბებერო! – წამოდგა და გავიდა.

— რა დაემართა? — იკითხა სერჟანტმა, მაგრამ პასუხის გაცემა არავის მოსვლია აზრად. რეინჰოლდ ცუკერი მხოლოდ ოცდაოთხი წლის ბიჭი იყო, რომელსაც, მოკალი და, არ უმართლებდა კარტში.

სიგარეტი რომ არ წაეგო, ჰანს ჰუბერმანს არ შეიძულებდა. და რადგან არ შეიძულებდა, რამდენიმე კვირის შემდეგ, სრულიად უსაფრთხო გზაზე მიმავალ სატვირთო მანქანაში, მის ადგილსაც არ დაიკავებდა.

ერთი ადგილი, ორი კაცი, ხანმოკლე შეკამათება და მე.

ზოგჯერ მკლავს იმის ყურება, როგორ ილუპებიან ადამიანები.

სტალინგრადის თოვლი

1943 წლის იანვრის შუა რიცხვებში ჰიმელ-სტრიტი ბნელ და საცოდავ დერეფანს წარმოადგენდა. ლიზელმა ჭიშკარი გამოიკეტა, ფრაუ ჰოლცაპფელის კართან მივიდა და დააკაკუნა. გააოცა მან, ვინც კარი გაუღო.

თავიდან იფიქრა, ის კაცი ფრაუს ერთ-ერთი ვაჟი იყო, მაგრამ კართან ჩამოკიდებულ ძმების ფოტოზე არც ერთს არ ჰგავდა. მეტისმეტად მოხუცი ჩანდა. თუმცა, არა, ასეც ვერ იტყოდი. სახეზე ბაკენბარდები ეთესა, მყვირალა თვალები ჰქონდა, ტკივილით სავსე. ქურქის სახელოდან შეხვეული ხელი გამოსჩროდა და სახვევს სისხლის ალუბლები აჩნდა.

— იქნებ მოგვიანებით შემოგვიარო.

ლიზელმა სცადა, მის იქით გაეხედა და ის იყო, ფრაუ ჰოლცაპფელისთვის უნდა ეხმო, რომ მამაკაცმა შეაჩერა.

— ბავშვო, — უთხრა, — მოგვიანებით შემოგვიარე. მე თვითონ მოგაკითხავ, სად ცხოვრობ?

სამ საათზე ცოტა მეტი იქნებოდა გასული, ჰიმელ-სტრიტის ნომერ 33 სახლის კარზე კაკუნი რომ გაისმა. ზღურბლზე მამაკაცი იდგა. სისხლის ალუბლები ქლიავებად ჰქცეოდა.

— ახლა მზადაა შენს მისაღებად და გელოდება.

გარეთ ბუნდოვან, ნაცრისფერ შუქზე, ლიზელმა თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა, ხელზე რა მოგივიდათო. მამაკაცმა ჰაერი გამოუშვა ნესტოებიდან — ერთი მარცვალი — შემდეგ უპასუხა:

— სტალინგრადი.

— უკაცრავად, — კაცი ლაპარაკისას ქარს აკვირდებოდა, — ვერ გავიგონე!

კაცმა ისევ უპასუხა, მაგრამ ამჯერად სრულად და ხმამაღლა:

— რა მომივიდა და სტალინგრადი! ტყვია გვერდში მომხვდა და სამი თითიც წამაცალა. ვუპასუხე შეკითხვას? — ნატკენი ხელი ჯიბეში ჩაიყო და ზიზღით გააკანკალა გერმანულ ქარზე, — გგონია, აქ ცივა?

ლიზელმა კედელს მიაყრდნო ხელი. არ შეეძლო, ეცრუა:

— დიახ, რა თქმა უნდა.

კაცს გაეცინა:

— ეს სიცივე არ არის, — სიგარეტი ამოიღო და პირში ჩაიდო. ცალი ხელით სცადა, ასანთი გაეკრა. ასეთ საშინელ ამინდში ასანთის გაკვრა ორი ხელითაც ძნელი იქნებოდა, ერთით კი — შეუძლებელი. კოლოფი გადააგდო და შეიგინა.

ლიზელმა აიღო.

სიგარეტი გამოართვა და პირში ჩაიდო, მაგრამ ვერც თვითონ მოუკიდა.

— ნაფაზი უნდა დაარტყა, — აუხსნა კაცმა, ასეთ ამინდში სხვანაირად ვერ მოუკიდებ, Verstehst?

ლიზელმა კიდევ სცადა, გაიხსენა, მამა როგორ ანთებდა სიგარეტს.

ამჯერად კვამლმა პირი გაუვსო, კბილებზე გადააცოცდა და ყელი დაუკაწრა. მაინც შეიკავა თავი, არ დაახველა.

— მშვენიერია, — კაცმა სიგარეტი გამოართვა, მოქაჩა და ჯანსაღი მარცხენა ხელი გაუწოდა, — მიხელ ჰოლცაპფელი.

— ლიზელ მემინგერი.

— დედაჩემს წიგნი უნდა წაუკითხო?

ამ დროს როზა მიუახლოვდათ და ლიზელმა ზურგით იგრძნო, ელდა რომ ეცა.

— მიხელ, — იკითხა, — შენა ხარ?

მიხელ ჰოლცაპფელმა თავი დაუქნია:

— Guten Tag, ფრაუ ჰუბერმან, დიდი ხანია, არ მინახავხართ.

— როგორ...

— დავბერებულვარ?

როზა ისევ ელდანაცემი იდგა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა:

— ჩვენთან არ შემოხვალ? ჩემი შვილობილი უკვე გაგიცნია... — დასისხლიანებული ხელი შენიშნა და ხმა წაუვიდა.

— ჩემი ძმა დაილუპა, — თქვა მიხელ ჰოლცაპფელმა და ალბათ საღ მუშტსაც კი ვერ დაარტყამდა უფრო ძლიერად. როზა შებარბაცდა. ომი, რა თქმა უნდა, ისედაც გულისხმობს სიკვდილს, მაგრამ ადამიანს მიწა ეცლება ფეხქვეშ, როცა ის ადამიანი კვდება, რომელიც ოდესღაც მის გვერდით ცხოვრობდა და სუნთქავდა. ჰოლცაპფელების ბიჭები როზას თვალნინ დაიზარდნენ.

ჩამობერებულმა ახალგაზრდამ როგორღაც შეძლო, ნერვები მოთოკა და ყველაფერს მოჰყვა:

— იმ შენობაში ვიყავით, რომელიც აღვადგინეთ და ჰოსპიტლად ვიყენებდით. შინ დაბრუნებამდე ერთი კვირით ადრე მოხდა. სამი დღე გვერდით ვეჯექი, სანამ მოკვდებოდა.

— ვწუხვარ, — თითქოს ეს სიტყვა როზას პირიდან არ ამოსულა.

იმ საღამოს ლიზელ მემინგერის გვერდით იდგა, მაგრამ გოგონამ ვერ გაბედა, მისკენ გაეხედა.

— გთხოვთ, — შეაჩერა მიხელმა, — მეტი არაფერი თქვათ. შეიძლება გოგონა წავიყვანო, დედას რომ წაუკითხოს? არა მგონია, რამე გაიგოს, მაგრამ მითხრა, მოიყვანეო.

– დიახ, წაიყვანე.

ბილიკის ნახევარი უკვე გავლილი ჰქონდათ, მიხელ ჰოლცაპფელს რომ რაღაც გაახსენდა და უკან მიბრუნდა:

— როზა, — ცოტა ხანს ელოდა, სანამ ქალი ხელახლა გაუღებდა კარს, — გავიგე, რომ თქვენი შვილიც იქაა, რუსეთში. მოლკინგელები ვნახე და მათ მითხრეს. თუმცა, ალბათ უკვე იცით.

როზამ სცადა, მიხელი შეეჩერებინა, მივარდა და სახელოში ჩაავლო ხელი:

— არა, ერთ დღეს წავიდა აქედან და უკან აღარ დაბრუნებულა, ვცადეთ, გვეპოვა, მაგრამ მას შემდეგ იმდენი რამ მოხდა...

მიხელ ჰოლცაპფელი გაქცევაზე იყო, ახლა ყველაზე ნაკლებად სურდა კიდევ ერთი ცრემლიანი ამბის მოსმენა. ბოლოს, ხელი გაითავისუფლა და თქვა:

— როგორც ვიცი, ცოცხალია, — შემდეგ ჭიშკართან დაბრუნდა, იქ ლიზელი იდგა, თუმცა, მეზობელთან გადასვლას არ ჩქარობდა. როზას უყურებდა სახეში, რომელიც ერთდროულად და უცბად შეხტა და დაენარცხა.

— დედა!

როზამ ხელი ასწია:

— წადი.

ლიზელი ელოდა.

— გითხარი, წადი-მეთქი!

გოგონა ჯარისკაცს რომ დაეწია, მან საუბრის გაბმა სცადა. ალბათ ნანობდა, როზასთან რაღაც რომ წამოსცდა და შეცდომის გამოსწორებას ცდილობდა.

შეხვეული ხელი ასწია და თქვა:

— ჯერ კიდევ ვერ შევიჩერე სისხლდენა, — ლიზელს გაუხარდა, როცა, როგორც იქნა, ჰოლცაპფელების სამზარეულოში შევიდა. რაც უფრო მალე დაიწყებდა კითხვას, მით უკეთესი იქნებოდა.

ფრაუ ჰოლცაპფელი სახეზე მავთულის სველი ნაკვალევით იჯდა.

ვაჟი დაელუპა.

მაგრამ ის მხოლოდ ნახევარი იყო.

ფრაუ ჰოლცაპფელი ვერასოდეს გაიგებდა, სინამდვილეში როგორ მოხდა ყველაფერი. თუმცა მე, სანამ მკითხავდეთ, გეტვით, რომ ერთ-ერთმა ჩვენგანმა ეს იცის. მეჩვენება, რომ ყოველთვის ვიცი, რა მოხდება იქ, სადაც თოვლი, იარაღი და ადამიანთა სხვადასხვა ენაა აღრეული.

წიგნის ქურდის სიტყვების მიხედვით ფრაუ ჰოლცაპფელის სამზარეულო რომ წარმოვიდგინე, არც ქურა შემიმჩნევია, არც ხის კოვზები, არც ონკანი ან რაიმე მსგავსი. ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც. მხოლოდ რუსულ ზამთარს, ჭერიდან ჩამოსულ თოვლს და ფრაუ ჰოლცაპფელის მეორე ვაჟის ბედისწერას ვხედავდი.

მას რობერტი ერქვა და აი, რა გადახდა თავს.

მოკლე ამბავი ომზე

ჭურვმა მუხლს ქვემოთ წააცალა ფეხები და ცივ, აყროლებულ ჰოსპიტალში ძმის თვალწინ დალია სული.

რუსეთი, 1943 წლის 5 იანვარი, კიდევ ერთი ყინვიანი დღე. დახოცილი რუსები და გერმანელები ქუჩებსა და თოვლში ეყარნენ. ის, ვინც გადარჩა, სიცარიელეს ესროდა წინ. სამი ენა გადაიწნა ერთმანეთში. რუსული, ტყვიის და გერმანული.

დაცემულ სულებს შორის გზას რომ მივიკვლევდი, გავიგონე, ერთმა კაცმა რომ თქვა:

– მუცელი მტკივა.

ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს, შოკის მიუხედავად წინ მიცოცავდა, სიბნელეში, დამახინჯებული ფიგურისკენ მიიკვლევდა გზას. რომ მიუახლოვდა, მუცელში დაჭრილმა რობერტ ჰოლცაპფელი დაინახა. ხელებზე სისხლი შეხმობოდა, თოვლის ნაყრას ცდილობდა მუხლებს ქვემოთ, იმ ადგილას, სადაც ფეხები უკვე აღარ ჰქონდა. ცხელი ხელები და ნითელი გმინვა.

მიწას ორთქლი ასდიოდა. თოვლი, რომელიც იხრწნება.

— მე ვარ, — უთხრა ჯარისკაცმა, — პიტერი, — და ცოტა კიდევ მიუახლოვდა.

— პიტერ, — უთხრა ულონო ხმით რობერტმა. როგორც ჩანს, ჩემი სუნთქვა იგრძნო.

მეორედ:

პიტერ!

მომაკვდავი ადამიანები რატომღაც ისეთ შეკითხვებს სვამენ, რომელზეც პასუხი იციან. ალბათ უნდათ, მართლები წარდგნენ სიკვდილის წინაშე.

უეცრად ყველა ხმა ერთდროულად გაისმა.

რობერტ ჰოლცაპფელი მარჯვნივ გადავარდა, ცივ, ორთქლიან მიწაზე.

დარწმუნებული ვარ, იფიქრა, რომ მაშინვე დამინახავდა.

არ ვუნახივარ.

ახალგაზრდა გერმანელის საუბედუროდ, იმ საღამოს არ წამიყვანია. გადავაბიჯე, ხელში სხვა საბრალო სულები მყავდა და რუსებს დავუბრუნდი.

წინ და უკან ვიარე.

დანაწევრებული ადამიანები.

დამიჯერეთ, სათხილამურიოდ არ ვიყავი წასული.

როგორც მიხელმა დედას მოუთხრო, სამი ძალიან გრძელი დღე-ღამე გავიდა, სანამ იმ ჯარისკაცს მივაკითხავდი, სტალინგრადთან რომ დატოვა ფეხები. შევიარე იმ დროებით ჰოსპიტალში, სადაც ასე მეპატიჟებოდნენ და სუნისგან შევძრწუნდი.

ხელშეხვეული კაცი მდუმარე, შოკში მყოფ ჯარისკაცს ეუბნებოდა, არწმუნებდა, გადარჩები, მალე შინ იქნებიო.

— ჰო, რა თქმა უნდა, შინ, — გავიფიქრე მე, — სამუდამოდ.

— დაგელოდები, — აგრძელებდა, — ამ კვირის ბოლოს უნდა წავიდე, მაგრამ დაგელოდები.

სანამ ძმა წინადადების შუამდე მივიდოდა, მე რობერტ ჰოლცაპფელის სული მივიღე.

ჩვეულებრივ, შენობის ჭერში ყურებისას ყურადღების მოკრება მჭირდება, მის მილმა რომ დავინახო რამე, მაგრამ იქ ილბალმა გამიღიმა. სახურავის ერთი ნაწილი დანგრეული იყო და ყველაფერს ვხედავდი. ერთი მეტრის მოშორებით მიხელ ჰოლცაპფელი ისევ ლაპარაკობდა. ვცადე, ყურადღება არ მიმექცია და იმ ხვრელიდან მეცქირა. ცა თეთრი იყო, მაგრამ სწრაფად იქუფრებოდა, როგორც ყოველთვის, უზარმაზარ ბიაზის ნაჭერს ემსგავსებოდა, ჭუჭყიანი ღრუბლები დნობაშეპარულ თოვლზე აღბეჭდილ ნაფეხურებს ჰგავდა.

„ნაფეხურებს?“ — იკითხავთ.

დიახ, მეც მაინტერესებს, ვისას.

ფრაუ ჰოლცაპფელის სამზარეულოში ლიზელი კითხულობდა, ფურცლები უქმად ცდებოდა, მათი არავის ესმოდა.

ჩემს თვალებში რუსული პეიზაჟი ფერმკრთალდება, მაგრამ ჭერიდან ისევ მოდის თოვლი, ჩაიდანს სახურავი ეფარე-

ბა, მაგიდას – გადასაფარებელი, ადამიანებს თოვლის საკერებლები ედებათ თავსა და მხრებზე.

ძმა კანკალებს.

ქალი ქვითინებს.

გოგონა კი კითხვას აგრძელებს, ამისთვის არის აქ და თავს კარგად გრძნობს, რადგან შეუძლია, ვიღაცას გამოადგეს სტალინგრადული თოვის შემდეგ.

უბერებელი ძმა

ლიზელ მემინგერი რამდენიმე კვირაში თოთხმეტი წლის ხდებოდა.

მამა ისევ ომში იყო.

გოგონამ სამი სამკითხველო სეზონი გაატარა განადგურებულ ქალთან. ღამლამობით ხშირად ხედავდა აკორდეონ-ჩახუტებულ როზას, რომელსაც ნიკაპი საბერველზე ედო და ლოცულობდა.

უკვე დროაო, ფიქრობდა ლიზელი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ქურდობა ამხიარულებდა ხოლმე, მაგრამ იმ დღეს რაღაც უნდა დაებრუნებინა.

გოგონამ ლოგინის ქვეშიდან თეფში გამოიღო, რაც შეიძლებოდა, სწრაფად გაწმინდა სამზარეულოში და გარეთ გავიდა. სიამოვნებდა მოლკინგში ფეხით სიარული. ბასრი და ბრტყელი ჰაერი იყო, როგორც მონაზონი ან სადისტი მასწავლებელი Watschen-ი.

მთელ მიუნხენის ქუჩაზე მხოლოდ მისი ფეხსაცმლის ხმა ისმოდა.

მდინარეზე რომ გადადიოდა, ღრუბლებს მიღმა უკვე მზის შუქი მოგროვილიყო.

გრანდ-შტრასეს 8 ნომერში კიბეს აუყვა, თეფში წინკარში დადო და დააკაკუნა, თუმცა, კარი რომ გახსნეს, უკვე კუთხეს იყო ამოფარებული. უკან არ მიუხედავს. რომ მიეხედა, იცოდა, კიბის თავში ძმას დაინახავდა, მოშუშებული მუხლით. მისი ხმაც კი მოესმა.

„ასე ჯობია, ლიზელ“.

როცა გააცნობიერა, რომ მისი ძმა მარად ექვსი წლის დარჩებოდა, ნაღველი შემოაწვა, მაგრამ გაღიმება სცადა.

მდინარე ამპერის ხიდზე შეჩერდა, სადაც მამა იდგა ხოლმე წყლისკენ გადახრილი.

ილიმებოდა და ილიმებოდა. შემდეგ კი, როცა ყველაფერმა გაუარა, შინ წავიდა და ძმას აღარასოდეს უცდია, ძილში გამოსცხადებოდა. ბევრჯერ მოენატრება იგი, მაგრამ სამაგიეროდ აღარასოდეს დააკლდება სიკვდილის მოლოდინით სავსე მისი თვალები ან იმ ხველის ხმა, რომელმაც ბოლო მოუღო.

იმ ღამით წიგნის ქურდმა ერთხელ კიდევ დაინახა ბიჭი, სანამ ლოგინში ახალჩაწოლილი თვალებს დახუჭავდა. ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ყოველთვის რომ სტუმრობდნენ იმ ოთახს. მამა იდგა და ლიზელს, ნახევრად ქალი ხარო, ეუბნებოდა. მაქსი „სიტყვის მბერტყავს" წერდა კუთხეში. შიშველი რუდი კართან იდგა. დროგამოშვებით დედა ჩნდებოდა ლოგინის გვერდით, მატარებლის ბაქანზე. შორს კი, როცა ოთახი უსახელო ქალაქის ხიდივით გაიწელებოდა, ძმა, ვერნერი, სასაფლაოს თოვლში თამაშობდა.

დერეფნის ბოლოს ხილვების მეტრონომივით ისმოდა როზას ხვრინვა, ლიზელს ეღვიძა, იწვა და ციტატას იხსენებდა წიგნიდან, ბოლოს რომ წაიკითხა.

„უკანასკნელი უცხო", გვ. 38

ქალაქის ყველა ქუჩაში ადამიანები გამოსულიყვნენ, მაგრამ უცხო ასე მარტოსულად არ იგრძნობდა თავს, ქუჩები ცარიელი რომ ყოფილიყო.

გათენდა, ხილვები გაქრა და ლიზელს ხმადაბლა წარმოთქმული სიტყვები მოესმა სასტუმრო ოთახიდან. როზა აკორდეონთან იჯდა და ლოცულობდა.

— ღმერთო, ცოცხლები დააბრუნე, — იმეორებდა, — გეველრები, გემუდარები, ყველა. — ნაოჭები თვალებთან ისევე შეერთებულიყო, როგორც მისი ორივე ხელისგული.

აკორდეონი ალბათ სხეულს სტკენდა, მაგრამ მდგომარეობა არ შეუცვლია.

როზა არასოდეს უამბობდა ჰანსს ასეთ წუთებზე, მაგრამ ლიზელს სჯეროდა, სწორედ იმ ლოცვებმა გადაარჩინა მამა, როცა ესენის მახლობლად ავარია მოხდა. ყოველ შემთხვევაში, თუ არ გადაარჩინა, არც ზიანი მოუტანია.

უგედური შემთხვევა

საოცრად მოწმენდილი შუადღე იყო და ჯარისკაცები სატვირთო მანქანაში მოთავსდნენ. ჰანს ჰუბერმანი ის-ის იყო, თავის ადგილზე დაჯდა, რეინჰოლდ ცუკერი რომ მიუახლოვდა.

— გადადი, — თქვა.

— Bitte? უკაცრავად?

ცუკერი ორად მოკაკვულიყო, მანქანის ჭერქვეშ.

— გითხარი, გადადი-მეთქი, Arschloch! — გაქონილი ქოჩორი შუბლზე ჩამოშლოდა. — ადგილი მინდა, გაგიცვალო. — ჰანსი დაიბნა, უკანა ადგილი ალბათ ყველაზე მოუხერხებელი, ნესტიანი და ცივი იყო იმ სატვირთოში.

— რატომ?

— რა მნიშვნელობა აქვს? — ცუკერი მოთმინებას კარგავდა, — იქნებ მინდა, პირველი ჩავიდე საპირფარეშოში.

ჰანსი მალე მიხვდა, დანაყოფის დანარჩენი ჯარისკაცები ორ, თითქოსდა ზრდასრულ ადამიანს შორის ნარმოქმნილ საცოდავ დავას რომ უქცერდნენ. არ უნდოდა, დამარცხებული გამოსულიყო, მაგრამ არც ის სურდა, ვინმეს შეჰბრალებოდა. თანაც მორიგეობის მერე უზომო დაღლილობას გრძნობდა. მოიხარა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სატვირთოს შუაგულში ცარიელი ადგილი დაიკავა.

— რატომ დაუთმე იმ Scheisskopf-ს?[44] — ჰკითხა გვერდით მჯდომმა.

ჰანსმა ასანთი გაჰკრა და სიგარეტი შესთავაზა ჯარისკაცს.

---

[44] *გერმ. უდღეური, შტერი.*

— იქ ორპირი ქარია და ზურგში მიბერავდა.

მწვანე ზეთისხილისფერი სატვირთო ბანაკისკენ მიდიოდა და დაახლოებით ათი მილიღა რჩებოდა გასავლელი. ბრუნენ-ვეგი ანეკდოტს ჰყვებოდა ფრანგ ოფიციანტ ქალზე, საბურავი რომ გასკდა და მძღოლმა საჭე ველარ დაიმორჩილა. მანქანა ბევრჯერ გადაბრუნდა, ჯარისკაცები იგინებოდნენ და ყირაზე გადადიოდნენ ჰაერში, შუქში, ნაგავსა და თამბაქოში. ლურჯი ცა ხან ჭერიდან მოჩანდა, ხანაც იატაკიდან, სანამ ისინი ცდილობდნენ, რამეს ჩასჭიდებოდნენ.

ყველაფერი რომ დასრულდა, სატვირთოს მარჯვენა კედელთან მიყრილებს სახეები ერთმანეთის ჭუჭყიან უნიფორმებში ჩაერგოთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ იკითხეს, ერთმა ჯარისკაცმა, ედი ალმამ, ყვირილი დაიწყო:

— მოაშორეთ ეს ნაბიჭვარი! — სამჯერ სწრაფად გაიმეორა.

რეინჰოლდ ცუკერს ჩასცქეროდა გაყინულ თვალებში.

ზარალი, ესენი

ექვსმა კაცმა სიგარეტით დამწვრობა მიიღო.
ორმა ხელი მოიტეხა.
რამდენიმემ – თითი.
ჰანს ჰუბერმანმა – ფეხი.
რეინჰოლდ ცუკერს კი კისერი მოსტყდა ზედ ყურებთან, თავის ქალასთან შეერთების ადგილას.

სატვირთოში მხოლოდ გვამი დარჩა, ჯარისკაცებმა გარეთ რომ გამოაღწიეს.

მძღოლი, ჰელმუტ ბრომანი, მიწაზე იჯდა და თავს იფხანდა.

— საბურავი, — უხსნიდა დანარჩენებს, — დაეშვა.

რამდენიმე ჯარისკაცი ექოსავით იმეორებდა, შენი ბრალი არ იყოო, დანარჩენები კი აქეთ-იქით ბოლთას სცემდნენ, ეწეოდნენ და არკვევდნენ, რამდენად მძიმედ იყვნენ დაშავებულები ან შეძლებდნენ თუ არა, მოვალეობები შეესრულებინათ. პატარა ჯგუფი სატვირთოს უკანა ნაწილში ავიდა და გვამი დაათვალიერა.

ხის ქვეშ მჯდარ ჰანს ჰუბერმანს გაუსაძლისი ტკივილის წვრილი სარტყელი უჭერდა ფეხზე.

— მე უნდა მოვმკვდარიყავი, — თქვა.

— რაო? — გამოსძახა სერჟანტმა სატვირთოდან.

— ის ჩემს ადგილას იჯდა.

ჰელმუტ ბრომანმა ძალა მოიკრიბა, მძღოლის კაბინაში აძვრა, ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღო და მანქანის დაქოქვა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კაცი გაგზავნეს სასწრაფო დახმარების მოსაყვანად, მაგრამ მანქანაც ვერ მოვიდა.

— ხომ ხვდებით, ეს რას ნიშნავს? — თქვა ბორის შიპერმა.

ხვდებოდნენ.

სანამ ბანაკამდე მივიდოდნენ, ცდილობდნენ, რეინჰოლდ ცუკერის, თითქოსდა, დამცინავად გაღებული პირისკენ არ გაეხედა.

— ხომ გითხარით, ამოვატრიალოთ-მეთქი, — თქვა ვილაცამ.

რამდენჯერმე ყველაფერი დაივიწყეს და გვამზე ფეხებიც კი დაალაგეს, სანამ სულს ითქვამდნენ. ბანაკში რომ მივიდნენ, ყველა ცდილობდა, მიცვალებულის მანქანიდან გადმოთრევას ასცდენოდა. ბოლოს, მაინც რომ შეასრულეს სამუშაო, ჰანს ჰუბერმანმა რამდენიმე ნაბიჯი ძლივს გადადგა და ისე ასტკივდა ფეხი, დაეცა.

ექიმმა გასინჯა და რამდენიმე საათის შემდეგ უთხრა, ნამდვილად მოტეხილი გაქვსო. სერჟანტი გვერდით ედგა და ცალყბად იღიმებოდა:

— ჰუბერმან, მაშ, ბრძოლას მორჩი, არა? — მრგვალ სახეს იქნევდა, ეწეოდა და ამბობდა, რა მოხდებოდა ამის შემდეგ, — დაგასვენებ. რომ მკითხავენ, რა მოვუხერხოთო, ვეტყვი, შესანიშნავად იმუშავა-მეთქი, — კვამლი გამოუშვა პირიდან, — იმასაც მოვახსენებ, LSE-ში აღარ გამოდგება, სადმე, მიუნხენში გაგზავნეთ ოფისში სამუშაოდ ან დამლაგებლად-მეთქი. როგორ მოგწონს?

ჰანსმა ტკივილისგან დატანჯულ სახეზე ღიმილი ვერ შეიკავა:

— შესანიშნავია, სერჟანტო!

ბორის შიპერმა სიგარეტის მოწევა დაასრულა:

– დასწყევლოს ეშმაკმა, შესანიშნავია, აბა რა! ილბალი გქონია, ჰუბერმან, ბედმა გაგიღიმა. მომწონხარ, კარგი კაცი ხარ და სიგარეტი არასოდეს გენანება.

გვერდით ოთახში თაბაშირს ადებდნენ.

შეკითხვის მწარე გემო

თებერვლის შუა რიცხვებში, წიგნის ქურდის დაბადების დღიდან დაახლოებით ერთ კვირაში, როზამ და ლიზელმა, როგორც იქნა, დეტალური წერილი მიიღეს ჰანს ჰუბერმანისგან. გოგონამ ბარათი ამოიღო საფოსტო ყუთიდან და დედას აჩვენა. როზამ ხმამაღლა წააკითხა და ორივე აღელდა დაშავებული ფეხის გამო, თუმცა, მომდევნო ფრაზას წინდაწინ რომ შეავლო თვალი, განცვიფრდა.

— რაო, რა წერია — ხელი ნაჰკრა როზამ, — ღორუკელა?

ლიზელმა წერილიდან თავი ასწია და ლამის დაიკივლა.

სერჟანტმა სიტყვა შეასრულა.

— დედა, ბრუნდება! მამა შინ ბრუნდება!

როზა და გოგონა ერთმანეთს ეხვეოდნენ სამზარეულოში და სხეულებით სრესდნენ წერილს. ფეხის მოტეხაც შეიძლება, იზეიმო.

ლიზელმა ახალი ამბავი მეზობლებს რომ ამცნო, ბარბრა შტაინერი აღფრთოვანდა, მხრებზე მოუთათუნა ხელი და ოჯახის დანარჩენ წევრებს უხმო. სამზარეულოში შეკრებილმა შტაინერებმა გულით გაიხარეს, ჰანს ჰუბერმანის დაბრუნების ამბავი რომ შეიტყვეს. რუდი ცდილობდა, გაელიმა და გაეცინა, მაგრამ ლიზელმა ბიჭის პირში მოგროვილი კითხვის მწარე გემოც იგრძნო.

რატომ ის?

რატომ ჰანს ჰუბერმანი და არა ალექს შტაინერი?

ნამდვილად.

ხელსაწყოების კომპლექტი, სისხლმდინარი, დათვი

მამის ჯარში გაწვევის შემდეგ რუდის თანდათან ბრაზი ემატებოდა. ჰანს ჰუბერმანის დაბრუნების ამბავმა ეს პროცესი უფრო გაამძაფრა. ლიზელისთვის არ უთქვამს. უსამართლობაა, ვერ დასწამებდით. გადაწყვიტა, ემოქმედა.

ჰიმელ-სტრიტზე რომ ჩაიარა ქურდობის ჟამს, მოსაღამოვებულზე, ხელში ლითონის ყუთი ეკავა.

რუდის ხელსაწყოების ყუთი

ფეხსაცმლის ყუთს ჰგავდა, დალაქავებული იყო, წითელი.
აი, რა იდო მასში:
უანგიანი ჯაყვა 1ც.
პატარა ელექტროფარანი 1ც.
ჩაქუჩი 2 ც.
(ერთი საშუალო ზომის, ერთიც პატარა)
პირსახოცი 1ც.
სახრახნისი 3 ც.
(სხვადასხვა ზომის)
სათხილამურო სათვალე 1ც.
სუფთა წინდა 1 წყვილი.
პლუშის დათუნია 1ც.

ლიზელმა სამზარეულოს ფანჯრიდან დაინახა — თავდაჯერებული სვლა და მიზანდასახული სახე, ზუსტად ისეთი,

როგორიც მამის პოვნის დღეს შეეფერებოდა. ბიჭს სახელურისთვის მთელი ძალით ჩაევლო ხელი და მრისხანედ, უხეშად მიაბიჯებდა.

წიგნის ქურდმა პირსახოცს ხელი უშვა და ერთადერთ აზრს ჩაეჭიდა.

საქურდლად მიდიოდა.

მისკენ გაიქცა.

— რუდი, სად მიდიხარ?

რუდიმ უბრალოდ სვლა და ცივ ჰაერთან ლაპარაკი განაგრძო. ტომი მიულერის ბინას რომ მიუახლოვდა, თქვა:

— ლიზელ, ვფიქრობ, რაღაც უნდა იცოდე. შენ სულაც არ ხარ ქურდი, — და გოგონას პასუხის გაცემის საშუალება არ დაუტოვა, — ის ქალი თვითონ გიშვებს სახლში. ხანდახან ფუნთუშებსაც კი გიტოვებს, ღვთის გულისათვის, ამას ქურდობას ვერ დავარქმევ. ქურდობა ისაა, რასაც ჯარი აკეთებს — მამებს გვპარავს. — ბიჭმა ფეხი გაჰკრა ქვას და ჭიშკარს შეახეთქა. ფეხს აუჩქარა, — ეს მდიდარი ნაცისტები გრანდ-შტრასეზე, გელბ-შტრასეზე, ჰაიდე-შტრასეზე.

ლიზელი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, არ ჩამორჩენილიყო. ფრაუ დილერის მაღაზიას ჩაუარეს და მიუნხენის ქუჩაზე გავიდნენ.

— რუდი!

— როგორი შეგრძნებაა?

— რა?

— წიგნს რომ იპარავ.

ამ დროს გოგონამ გადაწყვიტა, ხმა არ ამოეღო. თუ პასუხი აინტერესებდა, რუდის უკან მოუწევდა დაბრუნება. ასეც მოიქცა.

მაგრამ სანამ ლიზელი პირს გააღებდა, თავის კითხვას რუდიმვე გასცა პასუხი:

— აბა? კარგი შეგრძნებაა, არა? იმის მოპარვა, რაც შენ გეკუთვნის.

ლიზელმა სცადა, რუდის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა:

— ამაში რა გაქვს?

ბიჭი დაიხარა და ყუთი გახსნა.

ყველაფერი გასაგები იყო, პლუშის დათუნიას გარდა.

სანამ გზას აგრძელებდნენ, რუდიმ თავიდან ბოლომდე აუხსნა ხელსაწყოების ყუთის შიგთავსის მნიშვნელობა და გამოყენების წესი. მაგალითად, ჩაქუჩები ფანჯრების ჩასამსხვრევად იყო საჭირო, პირსახოცი კი ჩაქუჩებზე შემოსახვევად, ხმა რომ ჩაეხშო.

— პლუშის დათუნია?

ის ანა-მარია შტაინერს ეკუთვნოდა და ლიზელის ნებისმიერ წიგნზე დიდი არ იყო. აბურძგნილი და გაქუცული ბეწვი ჰქონდა. თვალები და ყურები მრავალჯერ მიეკერებინათ, მაგრამ მეტნაკლებად მეგობრული მზერა ჰქონდა.

— ეს, — უპასუხა რუდიმ, — ჩემი გენიალური მიგნებაა, შენობაში შესული ბავშვებს თუ გადავაწყდი, მივცემ და გაჩუმდებიან.

— რის მოპარვას აპირებ?

რუდიმ მხრები აიჩეჩა:

— ფულის, საჭმლის, ძვირფასეულობის... რაც ხელში მომხვდება. — რა მარტივი სათქმელი იყო!

ლიზელი თხუთმეტიოდე წუთი ჩუმად უცქერდა ბიჭს სახეში და მიხვდა, არაფრის მომპარავი არ იყო. მიზანდასახულობა სადღაც გაქრა და მართალია, ქურდობით მოპოვებულ დიდებას ჯერ კიდევ წარმოიდგენდა, მაგრამ ბოლომდე არ სჯეროდა. ცდილობდა დაჯერებას და ეს ცუდის ნიშანი გახლდათ. რუდის კრიმინალური დიდება გოგონას თვალწინ ქრებოდა, ნაბიჯებს ანელებდა და სანამ ორივენი სახლებს ათვალიერებდნენ, ლიზელმა შვება იგრძნო.

გელბ-შტრასეზე იყვნენ.

უზარმაზარი და ჩაბნელებული სახლები მოჩანდა.

რუდიმ ფეხსაცმელი გაიხადა და მარცხენა ხელში დაიკავა, მარჯვენათი ხელსაწყოების ყუთი მიჰქონდა.

ღრუბლებს შორის მთვარე მოჩანდა.

— რას ველოდები? — იკითხა ბიჭმა, ლიზელმა კი პასუხი არ გასცა.

რუდიმ ისევ გააღო პირი, მაგრამ უსიტყვოდ. ხელსაწყოების ყუთი მიწაზე დადო და ზედ ჩამოჯდა.

წინდები გაუცივდა და დაუსველდა.

— ბედმა გაგიღიმა, ერთი წყვილი ყუთში რომ გიდევს, — შეახსენა ლიზელმა და მიხვდა, როგორ ცდილობდა რუდი სიცილის შეკავებას.

რუდი მიიწია და სხვა მხარეს გაიხედა, ახლა ლიზელისთვისაც იყო ჩამოსაჯდომი ადგილი.

წიგნის ქურდი და მისი საუკეთესო მეგობარი ზურგშექცევით ისხდნენ დალაქავებულ წითელ ყუთზე ქუჩის შუაგულში. სხვადასხვა მხარეს იცქირებოდნენ და დუმდნენ. შინისაკენ წასვლა რომ დააპირეს და წამოდგნენ, რუდიმ წინდები გამოიცვალა და სველი წყვილი გზაზე დატოვა. გადაწყვიტა, საჩუქარი მიეძღვნა გელბის ქუჩისთვის.

რუდი შტაინერის მიერ ნარმოთქმული სიმართლე

„როგორც ვხვდები, მირჩევნია, ნივთები სადმე დავტოვო, ვიდრე მოვიპარო".

რამდენიმე კვირის შემდეგ ხელსაწყოების ყუთის ისტორია იმით დამთავრდა, რომ ის რაღაცაში მაინც გამოიყენეს. რუდიმ სახრახნისები და ჩაქუჩები ამოალაგა და ის უამრავი ნივთი ჩააწყო მასში, რომლებიც საჰაერო განგაშისას გამოადგებოდათ შტაინერებს. მხოლოდ პლუშის დათუნია არ ამოუღია.

9 მარტს, როცა რუდი ხელსაწყოების ყუთით გამოვიდა გარეთ, სირენებმა მოლკინგს კიდევ ერთი მოსალოდნელი საჰაერო თავდასხმის შესახებ ამცნეს.

სანამ შტაინერები ჰიმელ-სტრიტზე გარბოდნენ, მიხელ ჰოლცაპფელი გაშმაგებული აკაკუნებდა როზა ჰუბერმანის კარზე.

ლიზელი და დედა გარეთ რომ გავიდნენ, უთხრა, რაც აწუხებდა.

— დედაჩემი, — თქვა, სისხლის ქლიავები ისევ ეტყობოდა სახვევზე, — გარეთ არ გამოდის, სამზარეულოში ზის, მაგიდასთან.

კვირები გადიოდა, ფრაუ ჰოლცაპფელი კი ვერაფრით გამოკეთდა. ლიზელი საკითხავად რომ მიდიოდა, ქალი ძირითადად ფანჯარაში იხედებოდა ხოლმე. ჩუმი, თითქმის უმოძრაო სიტყვები ჰქონდა. სახეზე სიუხეშე მოშორდა, საუბარში — საყვედურნარევი ტონი. ჩვეულებრივ, მიხელი ემშვიდობებოდა ხოლმე ლიზელს ან ყავის შეკვრას აძლევდა და მადლობას უხდიდა. ახლა ესეც.

როზა პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

ბაჯბაჯით, სწრაფად მიუახლოვდა ჭიშკარს და შელებულ კართან შეჩერდა:

— ჰოლცაპფელ! — მხოლოდ სირენის და როზას ხმა ისმოდა, — ჰოლცაპფელ, გამოეთრიე გარეთ, საცოდავო ბებერო ღორო! — როზა ჰუბერმანი ტაქტით არასოდეს გამოირჩეოდა, — თუ არ გამოხვალ, ქუჩაში დავიხოცებით ყველანი! — ქალი შებრუნდა და ბილიკზე მდგარ უმწეო ფიგურას გახედა. ისევ გაისმა სირენის კივილი, — ახლა რა ვქნათ?

დეზორიენტირებულმა, შეცბუნებულმა მიხელმა მხრები აიჩეჩა. ლიზელმა წიგნებიანი ჩანთა დააგდო და სახეში ჩახედა, შემდეგ კი ისე დაიყვირა, მომდევნო სირენის ხმა რომ გადაეფარა:

— შეიძლება, შევიდე? — მაგრამ პასუხს არ დალოდებია, ბილიკი გადაირბინა და დედას ჩაურბინა.

ფრაუ ჰოლცაპფელი უმოძრაოდ იჯდა მაგიდასთან.

„რა ვუთხრა? — გაიფიქრა. — როგორ ვაიძულო, გამოვიდეს?"

სირენებმა კიდევ ერთხელ რომ მოითქვეს სული, როზამ დაიყვირა:

— თავი დაანებე, ლიზელ, უნდა წავიდეთ! მისი ნებაა, თუ უნდა, მოკვდეს! — შემდეგ ისევ აკივლდა სირენები და მისი ხმა ჩაახშო.

მხოლოდ ხმაური, გოგონა და მავთულისსახიანი ქალი.

— ფრაუ ჰოლცაპფელ, გემუდარებით!

„ფუნთუშების დღეს" ილზა ჰერმანთან საუბრის მსგავსად, ახლაც ენის წვერზე ადგა უამრავი სიტყვა და წინადადება, მაგრამ მაშინდელისგან განსხვავებით, ახლა ბომბებიც იყო. აუცილებლად უნდა ეთქვა.

ვარიანტები

ფრაუ ჰოლცაპფელ, უნდა წავიდეთ.
ფრაუ ჰოლცაპფელ, აქ თუ დავრჩებით, დავიხოცებით.
თქვენ ხომ დაგრჩათ ერთი ვაჟი.
ყველა თქვენ გელოდებათ.
ბომბი თავს წაგაცლით.
თუ არ წამოხვალთ, წიგნს აღარ წაგიკითხავთ და ერთა-
დერთ მეგობარს დაკარგავთ.

ლიზელმა ბოლო წინადადება ამოარჩია და ხმა ისე მომარ-თა, სირენა რომ გადაეფარა. ხელები მაგიდაზე ეწყო. ქალმა შეხედა და გადაწყვეტილება მიიღო. ფეხი არ მოიცვალა.

ლიზელი მაგიდას მოსწყდა და სახლიდან გავარდა.

როზამ ჭიშკარი გააღო და 35 ნომერი სახლისკენ გაიქცნენ, მაგრამ დადუმებული მიხელ ჰოლცაპფელი ჰიმელ-სტრიტის კუთხეში დარჩა.

— წამოდი! — შეევედრა როზა, მაგრამ შინ დაბრუნებული ჯარისკაცი ყოყმანობდა. ის იყო, სახლში უნდა შესულიყო, რომ რაღაცამ გადააფიქრებინა. დასახიჩრებულ ხელს ვერ აშორებდა ჭიშკარს, მაგრამ დარცხვენილმა ბოლოს მაინც გაუშვა. ლიზელსა და როზას გაჰყვა.

უკან რამდენჯერმე მიიხედეს, მაგრამ ფრაუ ჰოლცაპფელი არსად ჩანდა.

გზა მეტისმეტად ფართო ჩანდა და როცა სირენის უკანას-კნელმა კივილმა ჰაერი გააპო, ბოლო სამი ჰიმელსტრიტელი ფიდლერების სარდაფში ჩავიდა.

— ამდენ ხანს სად იყავი? — ჰკითხა რუდიმ. ხელსაწყოების ყუთი თან ჰქონდა.

ლიზელმა წიგნებით სავსე ჩანთა მიწაზე დადო და ზედ ჩა-მოჯდა.

— ფრაუ ჰოლცაპფელის ჩამოყვანას ვცდილობდით.

რუდიმ მიმოიხედა:

-— აბა, სადაა?

— შინ, სამზარეულოში.

თავშესაფრის შორეულ კუთხეში წელში მოხრილი მიხელი იდგა და კანკალებდა:

— უნდა დავრჩენილიყავი, — თქვა, – უნდა დავრჩენილიყავი, უნდა დავრჩენილიყავი... — თითქმის უხმაუროდ იმეორებდა, თუმცა, მისი თვალები ისე ყვიროდა, როგორც არასდროს. ლამის ბუდიდან გადმოსცვივდა. დაჭრილ ხელს ჯანმრთელზე ისრესდა და სახვევიდან სისხლმა გამოჟონა.

როზამ შეაჩერა.

— გთხოვ, მიხელ, შენი ბრალი არ არის.

მაგრამ ახალგაზრდა, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე თითი შერჩენოდა მარჯვენა ხელზე, თავს ვერაფრით ინუგეშებდა. როზას ჩახედა თვალებში:

— მითხარი, მე ვერ ვხვდები, — უკან დაიხია და კედელთან ჩამოჯდა, — მითხარი, როზა, როგორ შეუძლია იქ იჯდეს და სიკვდილს ელოდოს, როცა მე ისევ სიცოცხლე მსურს? არ უნდა მსურდეს, მაგრამ ვერ ველევი.

ახალგაზრდა კაცი თავშეუკავებლად ქვითინებდა რამდენიმე წუთს, როზას კი მხარზე დაედო ხელი. დანარჩენები უყურებდნენ. მაშინაც ვერ გაჩუმდა, სარდაფის კარი რომ გაიღო და თავშესაფარში ფრაუ ჰოლცაპფელი გამოჩნდა.

ვაჟმა ახედა.

როზამ უკან დაიხია.

ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, მიხელმა ბოდიში მოუხადა:

— მაპატიე, დედა, შენთან უნდა დავრჩენილიყავი.

ფრაუ ჰოლცაპფელს არ გაუგონია. უბრალოდ, გვერდით ჩამოუჯდა ვაჟს და სახვევიანი ხელი ააწევინა:

— ისევ სისხლი მოგდის, — თქვა, დანარჩენების გვერდით ჩამოჯდა და ლოდინი დაიწყო.

ლიზელმა ჩანთა აიღო და წიგნებს გადახედა.

მიუნხენის დაბომბვა, 9-10 მარტი

დაბომბვისა და კითხვის გრძელი ღამე იყო. წიგნის ქურდს პირი გაუშრა, მაგრამ ორმოცდათოთხმეტი გვერდი ჩაათავა.

ბავშვების უმრავლესობას ჩაეძინა და არ გაუგიათ, როგორ ამცნო სირენებმა, რომ საფრთხემ გაიარა. მშობლებმა

გააღვიძეს ისინი, ან სარდაფის კიბიდან სიბნელის ქვეყანაში ხელით გაიყვანეს.

შორს ცეცხლი ჩანდა და მე დაახლოებით ორასი მოკლული სული შევაგროვე.

მოლკინგში კიდევ ერთი მათგანისთვის ვბრუნდებოდი.

ჰიმელ-შტრასე სუფთა იყო.

სირენებმა იმ დღეს რამდენიმე საათით დააყოვნა ადამიანები თავშესაფრებში, თავდასხმა რომ არ გამეორებულიყო ან კვამლი გაფანტულიყო ატმოსფეროში.

ბეტინა შტაინერმა პატარა კოცონი და დანანევრებული კვამლი შენიშნა მდინარე ამპერთან. ცეცხლი ზემოთ მიიწევდა.

გოგონამ თითი გაიშვირა:

— შეხედეთ!

მართალია, კოცონი პირველმა ბეტინამ დაინახა, მაგრამ რუდის ვერავინ დაასწრო და ის ჰიმელ-სტრიტის ბოლოსკენ გავარდა. ხეებს შორის გაიკვლია გზა, ხელსაწყოების ყუთი ხელიდან არ გაუშვია. ლიზელიც დაედევნა (წიგნები კი როზას მიაჩეჩა, რომელსაც არ უნდოდა გოგოს გაშვება). ლიზელს რამდენიმე ადამიანი მიჰყვა.

— რუდი, დამელოდე!

არ დაელოდა.

ლიზელი მხოლოდ ხელსაწყოების ყუთს ხედავდა ხეებს შორის, ბიჭი კი კვამლში გახვეული თვითმფრინავის მიმქრალი დიდებულებისკენ გარბოდა. თვითმფრინავი მდინარესთან ეგდო და ბოლავდა. მფრინავმა ალბათ იქ სცადა დაშვება.

რუდი ოციოდ მეტრში გაჩერდა.

მეც რომ მივედი, დავინახე, როგორ იდგა და სულის მოთქმას ცდილობდა.

ხეების ტოტები სიბნელეში ეყარა.

ტოტები და წიწვები თვითმფრინავის გვერდით მიმოფანტულიყო. მათგან მარცხნივ დედამიწას სამი ღრმა დამწვრობა აჩნდა ჭრილობად. ლითონის ნიკწიკი გაცივებისას, წუთებსა და წამებს აჩქარებდა, ბავშვებს კი ეჩვენებოდათ, რომ რამდენიმე საათი მაინც იდგნენ იქ. უკან ხალხი გროვდებოდა, ლიზელი ზურგით გრძნობდა სუნთქვას, წინადადებებს.

— კარგი, — თქვა რუდიმ, — არ შევხედოთ?

ბიჭი ხის ნარჩენებისკენ წავიდა, იქით, საითაც თვითმფრინავის კორპუსი ეგდო მიწაზე. ცხვირზე წყალი უვლიდა, ფრთები უკან მიგრეხოდა.

რუდიმ ნელა შემოუარა გარს კუდიდან მარჯვენა მხრისკენ.

— შუშები! — თქვა, — ყველგან საქარე მინები აქვს, — მერე გვამი დაინახა.

რუდი შტაინერს არასოდეს ენახა ასეთი გაფითრებული სახე.

— არ მოხვიდე, ლიზელ, — მაგრამ ლიზელი მივიდა.

მტრის თვითმფრინავის პილოტი თითქმის უგონოდ იყო, მას ხეები დაჰყურებდა ზემოდან, ქვემოთ კი მდინარე მიედინებოდა. თვითმფრინავმა რამდენჯერმე კიდევ ამოახველა და მარცხნიდან მარჯვნივ გადახარა თავი. მფრინავმა რაღაც თქვა, მაგრამ ცხადია, ბავშვებმა ვერაფერი გაიგეს.

— იესო, მარიამ და იოსებ, — ჩაიჩურჩულა რუდიმ, — ცოცხალია.

ხელსაწყოების ყუთი თვითმფრინავის გვერდს მიენარცხა, რასაც ადამიანების საუბრისა და ფეხის ხმა მოჰყვა.

ცეცხლი მიინავლა, დღე კი ჩუმი იყო და შავი. მხოლოდ კვამლი მიიკვლევდა გზას ცისკენ, თუმცა, ისიც მალე გაიფანტებოდა.

ხეების კედელი ცეცხლმოდებული მიუნხენის ფერს აქეთ არ უშვებდა.

ბიჭი მხოლოდ სიბნელეს კი არა, მფრინავის სახესაც ეჩვეოდა. მას თვალები ყავის ლაქას მიუგავდა, ლოყებსა და ნიკაპზე იარები ჰქონდა. დასრესილი უნიფორმა მკერდთან გადაღეღოდა.

რუდის რჩევის მიუხედავად, ლიზელი ახლოს მივიდა და შემიძლია, დავიფიცო, ერთმანეთი მაშინვე ვიცანით.

„მე შენ გიცნობ“, — გავიფიქრე.

მატარებელი და ხველებიანი ბიჭი. თოვლი და თავზარდაცემული გოგო.

„გაზრდილხარ, — გავიფიქრე, — მაგრამ გიცანი“.

გოგონას უკან არ დაუხევია, არც ჩემთან შებრძოლება უცდია, მაგრამ ვიცი, რაღაცამ უკარნახა, იქ რომ ვიყავი. ნუთუ ჩემი სუნთქვის სუნი იგრძნო? ნუთუ ჩემი წყეული, წრიული გულისცემა იგრძნო, დანაშაულებრივი, დამღუპველი გულისცემა? არ ვიცი, მაგრამ მიცნო, პირდაპირ შემხედა და თვალიც არ დაუხამხამებია.

რიგორც კი ცა ფერფლივით განაცრისფრდა შუქთან შესახვედრად, ორივემ გზა განვაგრძეთ. ორივე ბიჭს ვაკვირდებოდით, ხელსაწყოების ყუთში ის ისევ რაღაცას ეძებდა და ბოლოს, პლუშის პატარა ყვითელი დათუნია ამოაძვრინა.

ფრთხილად მიცოცდა მომაკვდავთან.

მის მხრებზე ფრთხილად მოათავსა პლუშის მოლიმარი დათუნია, რომელიც ყურით მის ყელს ეხებოდა.

მომაკვდავმა სათამაშოს სურნელი შეიყნოსა, დაილაპარაკა, ინგლისურად თქვა: „გმადლობ“. სიტყვებს რომ წარმოთქვამდა, სწორად გაჭრილი იარები გაეხსნა და სისხლი ჩამოეკლაკნა ყელზე.

— რაო? — ჰკითხა რუდიმ, — Was hast du gesagt? რა მითხარი?

საუბედუროდ, პასუხის გაცემა არ დავაცადე, უკვე დრო იყო, თვითმფრინავის კაბინაში შევძვერი, ფრთხილად ამოვიყვანე მფრინავის სული დაჭმუჭნილი უნიფორმიდან და დამსხვრეული თვითმფრინავისგან ვიხსენი. ბრბო დუმილით ერთობოდა, სანამ გზას მივიკვლევდი. სამშვიდობოს გავედი.

ჩემ ზემოთ ცა ჩამუქდა — სიბნელის უკანასკნელი წამი — და ვფიცავ, სვასტიკას ფორმის შავი ნიშანი გავარჩიე. უცებ გაიფანტა.

— ჰაილ ჰიტლერ! — ვთქვი, მაგრამ უკვე ტყეს ვიყავი შეფარებული.

პლუშის დათუნია ჩემ დაბლა, მხრებზე ესვენა გვამს. ლიმონის სანთელი ტოტებს შორის იდგა. მფრინავის სული ხელში მყავდა.

სამართლიანი იქნება, აღვნიშნო, ჰიტლერს, მისი მმართველობის პერიოდში, ჩემზე ერთგულად არავინ ემსახურებოდა. ადამიანებს არ აქვთ ჩემნაირი გული. მათი გული ხაზოვანია,

ჩემი კი წრიული ფორმის. ამასთან, ფასდაუდებელი უნარი მაქვს, საჭირო დროს საჭირო ადგილას გავჩნდე. ამის შედეგად ყველაზე უკეთ ვიცი ავისა და კარგის გარჩევა. სიმახინჯესაც ვხედავ, მშვენიერებასაც და მაინტერესებს, როგორ თავსდება ეს ორი რამ ერთ არსებაში. გარდა ამისა, არის რალაც, რისიც მშურს: ადამიანებმა, სხვა თუ არაფერი, იციან, როდის ჯობს სიკვდილი.

შინ დაბრუნება

1943 წლის პირველი მეოთხედი სისხლისგან დაცლილი ადამიანების, დამსხვრეული თვითმფრინავებისა და პლუშის დათუნიებისა იყო, მაგრამ წიგნის ქურდისთვის მაჟორულ ნოტაზე დასრულდა.

აპრილის დასაწყისში ჰანს ჰუბერმანს მუხლზე თაბაშირი დაადეს და მიუნხენისკენ მიმავალ მატარებელში ავიდა. ერთი კვირა მისცეს დასასვენებლად, გამოსაჯანმრთელებლად, სანამ ქალაქის კანცელარიის თანამშრომლებს შეუერთდებოდა. მოგვიანებით, მიუნხენის ფაბრიკებში, ეკლესიებსა თუ ჰოსპიტლებში საბუთებთან გამკლავება ან დალაგება მოუწევდა. დროთა განმავლობაში გამოჩნდებოდა, სარემონტო სამუშაოებზე გაგზავნიდნენ თუ არა, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ფეხი როგორ ექნებოდა, ქალაქი როგორ სამუშაოს უფრო ითხოვდა.

ბნელოდა, შინ რომ დაბრუნდა. ერთი დღით დაიგვიანა, მატარებელი საჰაერო თავდასხმის გამო შეფერხდა. ჰიმელ-სტრიტის ნომერ 33-თან მდგარს მუშტი ჰქონდა შეკრული.

ოთხი წლის წინ ლიზელ მემინგერი პირველად დადგა იმ სახლის ზღურბლთან. მაქს ვანდენბურგს კი ხელში გასაღები ჰქონდა და მაგრად უჭერდა.

ახლა ჰანს ჰუბერმანის ჯერი იყო. კარზე ოთხჯერ დააკაკუნა. წიგნის ქურდმა გამოხედა.

— მამა, მამა!

გოგონამ ასჯერ მაინც გაიმეორა ეს სიტყვები, სამზარეულოში ჩაეხუტა მამას და აღარ უშვებდა.

მოგვიანებით, ვახშმობისას, გვიან ღამემდე ისხდნენ მაგიდასთან. ჰანსმა ცოლსა და ლიზელ მემინგერს ყველაფერი უამბო. აუხსნა, რა იყო LSE, კვამლით ავსებული ქუჩები ალუწერა, საბრალო, დაკარგულ, მოხეტიალე სულებსა და რეინჰოლდ ცუკერზეც მოუთხრო. საბრალო, სულელი რეინჰოლდ ცუკერი. საათები გავიდა.

ღამის პირველ საათზე ლიზელი დასაძინებლად წავიდა, მამა კი ძველებურად ჩამოუჯდა საწოლზე. გოგონას რამდენჯერმე გამოელვიძა, რომ დარწმუნებულიყო, ისევ ოთახში იყო თუ არა და ჰანსმაც არ ულალატა.

მშვიდი ღამე იყო.

ლოგინი თბილი და რბილი.

დიახ, ის ღამე ლიზელ მემინგერისთვის დიდებულიც იყო, მშვიდიც, თბილიცა და რბილიც. კიდევ სამ თვეს ასე გასტანს.

ხოლო მისი ისტორია კი ექვს თვეს გრძელდება.

ნაწილი მეათე

წიგნის ქურდი

მონაწილეობენ:

სამყაროს აღსასრული — ოთხმოცდამეთვრამეტე დღე — ომის მოთავე — სიტყვების გზა — გაქვავებული გოგონა — აღიარება — ილზა ჰერმანის პატარა შავი წიგნი — თვითმფრინავის გადახსნილი მკერდი — და აალებული ფიფქები.

სამყაროს აღსასრული

(ნაწილი I)

ლიზელ მემინგერისთვის სამყაროს აღსასრული რომ დადგა, ჰიმელ-სტრიტზე წვიმდა.

ციდან წვეთავდა.

ონკანივით, რომლის მოშვებას მთელი ძალით ცდილობს ბავშვი, მაგრამ არ გამოსდის. თავიდან ცივი წვეთები წამოვიდა. ხელებზე დამეცა, როცა ფრაუ დილერის მაღაზიიდან გამოვედი.

ზემოდან მათი ხმა მომესმა.

ღრუბლებით დაფარულ ცას რომ ავხედე, თუნუქის თვითმფრინავები დავინახე. ვუყურებდი, როგორ ცვიოდა მათი მუცლიდან ბრმა ბომბები. რა თქმა უნდა, სამიზნეს არავინ დაგიდევდათ. ხშირად ვერც ახვედრებდნენ, რასაც უმიზნებდნენ.

მცირე და მწუხარე იმედი

არავის სურდა ჰიმელ-სტრიტის დაბომბვა,
არავინ ჩამოყრიდა ბომბებს იმ ადგილას, რომელსაც ზეცა ერქვა.
ასე არ არის?

დაბომბეს, ღრუბლები გამოცხვა და წვიმის ცივი წვეთები ფერფლად იქცა. მიწაზე ცხელი ფიფქები ჩამოიყარა.

მოკლედ რომ ვთქვა, ჰიმელ-სტრიტი მიწასთან გასწორდა.

სახლები ქუჩის ორივე მხრიდან ერთმანეთს მიეყარა. ფიუ-რერი სერიოზულად იყურებოდა ჩარჩოდან, რომელიც ძლიერი დარტყმისგან დამტვრეულიყო და ჩანგრეულ იატაკზე ეგდო. მიუხედავად სერიოზულობისა, მაინც ილიმებოდა. მან ის იცო-და, რაც ჩვენ არ ვიცით. მაგრამ მეც ვიცოდი რაღაც, რაც მან არ იცოდა. და ეს ყველაფერი — სანამ ადამიანებს ეძინათ.

ეძინა რუდი შტაინერს. ეძინათ დედას და მამას. ფრაუ ჰოლცაპფელს, ფრაუ დილერს, ტომი მიულერს. ყველას ეძინა. ყველა კვდებოდა.

მხოლოდ ერთი გადარჩა.

გადარჩა, რადგან სარდაფში იჯდა და საკუთარი ცხოვრე-ბის ამბავს მერამდენედ კითხულობდა, შეცდომებს ეძებდა. ალბათ გახსოვთ, ადრე იმ სარდაფზე რომ თქვეს, საკმარისად ღრმა არ არის და თავშესაფრისთვის არ გამოდგებაო. მაგრამ იმ ღამით, 7 ოქტომბერს, მაინც ივარგა. ჭურვების ჩამოყრი-დან რამდენიმე საათში, მოლკინგში უცნაური, უწესრიგო დუ-მილი რომ ჩამოწვა, საჰაერო ძალების ადგილობრივი ქვედა-ნაყოფის წევრებმა რაღაც გაიგონეს. ექო. ნანგრევების ქვეშ, ვიღაც გოგო საღებავის ქილას ფანქარს ურტყამდა.

დანაყოფის წევრები შეჩერდნენ, დაიხარნენ, მიაყურადეს და ხმაური რომ განმეორდა, სასწრაფოდ თხრას შეუდგნენ.

ნივთები, რომლებსაც ხელიდან ხელში გადასცემდნენ

ბეტონის ფილები, კრამიტი, კედლის ნატეხი, ზედ გამოსახული ჩამოღვენთილი მზით, გაუბედურებული აკორდეონი, შეჭმული ყუთიდან რომ იჭვრიტებოდა.

ეს ყველაფერი ზემოთ ამოყარეს.

ჩამოშლილი კედლის კიდევ ერთი ნაწილი რომ აიღეს, ერთ-ერთმა ნიგნის ქურდის თმა დაინახა.

მამაკაცს არაჩეულებრივი სიცილი ჰქონდა, თითქოს ჩვი-ლის დაბადებას შესწრებოდა.

— თვალებს ვერ ვუჯერებ, ცოცხალია!

როგორ ახმაურდნენ და ყვიროდნენ სიხარულისგან ის მამაკაცები, მაგრამ მე არ შემეძლო, გამეზიარებინა მათი აღტაცება.

ცოტა ხნის წინ ერთ ხელში მამა მეკავა, მეორეში — დედა. ორივეს ისეთი სათუთი სული ჰქონდა.

გვამები მოშორებით მოჩანდა, თითქოს ისვენებდნენ. მამის საყვარელ ვერცხლის თვალებს ჟანგი ედებოდა, დედას მუყაოს ტუჩები სანახევროდ გაელო და გეგონებოდათ, ხვრინავდა.

მაშველთა ხელებმა გოგონა ზემოთ ამოათრია და სამოსიდან ქვიშა ჩამოუფერთხა.

— გოგონა, — უთხრეს, — სირენების ხმა ხომ მეტისმეტად გვიან გაისმა, სარდაფში რას აკეთებდი? იქ როგორ მოხვდი?

არ შეუნიშნავთ, ხელში ჯერ ისევ რომ ეკავა წიგნი. პასუხად დაიკივლა. სულისშემძვრელი კივილი გადარჩენილისგან.

— მამა!

მეორედ.

სახეშერყეულმა უფრო ხმამაღლა, შეძრწუნებით დაიკივლა:

— მამა, მამა!

სანამ კიოდა, მოთქვამდა, ტიროდა, დანაყოფის წევრებმა გზა განაგრძეს. ალბათ ვერც მიხვდებოდა, დაჭრილი თუ იყო, რადგან იბრძოდა, ეძებდა, ყვიროდა და ქვითინებდა.

ხელში წიგნი ეკავა ისევ.

სასოწარკვეთილი ეჭიდებოდა სიტყვებს, რომლებმაც გადაარჩინა.

ოთხმოცდამეთვრამეტე დღე

1943 წლის აპრილიდან, ჰანს ჰუბერმანის დაბრუნებიდან პირველ ოთხმოცდაჩვიდმეტ დღეს ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა. მამა ხშირად ფიქრობდა ვაჟზე, რომელიც სტალინგრადში იბრძოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, ბიჭს მემკვიდრეობით გადასცა ილბლიანობა.

შინ დაბრუნებიდან მესამე ღამეს აკორდეონზე დაუკრა სამზარეულოში. პირობა პირობა იყო. მუსიკა, წვნიანი, ანეკდოტები და თოთხმეტი წლის გოგოს სიცილი.

– ღორუკელა, — აფრთხილებდა დედა, — ასე ხმამაღლა ნუ იცინი, სულაც არ არის სასაცილო ეს ანეკდოტები. თანაც უწმაწურია.

ერთი კვირის შემდეგ ჰანსი ისევ დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს, ამჯერად სხვადასხვა ქალაქში არსებულ საჯარისო შენაერთებში უწევდა სიარული. ამბობდა, იქ ბლომად საკვებს და სიგარეტს მაძლევენო და ხანდახან შინაც მოჰქონდა ორცხობილები ან ჯემი. საკმარისი იყო ერთი „ჰაილ ჰიტლერ“ და ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა.

ოთხმოცდამეთვრამეტე დღემდე.

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ

მიუნხენის ქუჩაზე მან თქვა:
„იესო, მარიამ და იოსებ, ნეტავ, აქ არ ჩამოეტარებინათ ის
უბედური ებრაელები,
მათ ხომ უიღბლობა მოაქვთ.
დავითარსებით.
რამდენჯერაც დავინახავ,
იმდენჯერ ვრწმუნდები, რომ დავილუპებით“.

ეს ის ქალი იყო, რომელმაც შეიცხადა ებრაელები, როცა ლიზელმა პირველად ნახა ისინი. ახლა ძირს ეგდო, მაგრამ მინასთან შედარებით, ქალალდივით გასთეთრებოდა ქლიავისფერი სახე. თვალები ვენებივით ლურჯი ჰქონდა. მისი წინასწარმეტყველება ამხდარიყო.

შუა ზაფხულში მოლკინგში მართლაც გამოჩნდა მოსალოდნელი უბედურების ნიშანი. ზუსტად ისე, როგორც ადრე. ჯერ ჯარისკაცების მწყობრად მიმავალი, გაკრეჭილი თავები და ცისკენ აშვერილი შაშხანები, მერე — დაძონძილი ებრაელების მოჟღარუნე ჯაჭვი.

ერთადერთი განსხვავება, ამჯერად, ის იყო, რომ საპირისპირო მხრიდან მოჰყავდათ, მეზობელ ქალაქ ნებლინგიდან და ქუჩებს ახეხვინებდნენ, იმ სამუშაოს ასრულებინებდნენ, ჯარი რომ თაკილობდა. მოგვიანებით, იმავე დღეს, ისინი უკან გაუყვნენ გზას, ნელა და უღონოდ.

ლიზელი ისევ ეძებდა მაქს ვანდენბურგს. ფიქრობდა, რომ მოლკინგის გვერდის ავლით, ის ადვილად ჩავიდოდა დაჰაუში. მაქსი მათ შორის არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად.

დრო მივცეთ და აგვისტოს ერთ თბილ შუადღეს მაქსიც ჩაივლის ქალაქში ებრაელებთან ერთად. თუმცა, დანარჩენებივით გზას არ დაუწყებს ყურებას და არც ფიურერის გერმანელებს გაუსწორებს მზერას.

ერთი ფაქტი მაქს ვანდენბურგის შესახებ

მიუნხენ-სტრიტზე ადამიანთა სახეებს დააკვირდება იმ გოგონას ძებნაში, წიგნებს რომ იპარავს.

ივლისში, ლიზელის გამოთვლით იმ დღეს, რომელიც მამის დაბრუნებიდან ოთხმოცდამეთვრამეტე იყო, გოგონა იდგა და საბრალო ებრაელების მოძრავ გროვას აკვირდებოდა — მაქსს ეძებდა. სხვა თუ არაფერი, ეს ნაკლებ ტკივილს აყენებდა, ვიდრე, უბრალოდ, დგომა და ცქერა.

„ეს საშინელი ფიქრია“, დაწერს მოგვიანებით ჰიმელ-სტრიტის სარდაფში, მაგრამ გულწრფელი იქნება. ცქერით გამოწვეული ტკივილი. და — მათი ტკივილი? წაბორძიკებით ატკივებული ბორკილიანი ფეხი, წამება, ბანაკის ჩარაზული ჭიშკარი?

ებრაელ ტყვეებს ათ დღეში ორჯერ ჩაატარებდნენ ხოლმე ქალაქში, უცნობი ქალი შავი ქლიავისებური სახით, მიუნხენის ქუჩიდან, მართალი გამოდგა. უბედურებამ არ დააყოვნა, მაგრამ თუკი ამის წინა პირობა თუ პროლოგი ებრაელების გამოჩენა იყო, მთავარ დამნაშავედ ფიურერი უნდა ეცნოთ, რუსეთზე თავდასხმისთვის — რადგან, როცა მოგვიანებით, ივლისში, ჰიმელ-სტრიტს გაეღვიძა, ომიდან დაბრუნებული ჯარისკაციც მკვდარი იყო. ის ფრაუ დილერის მაღაზიასთან მდებარე სამრეცხაოში ნახეს, ბოძზე ჩამოკიდებული. კიდევ ერთი მერყევი ადამიანი. კიდევ ერთი გაჩერებული საათი. უყურადღებო მეპატრონეს კარი ღია დარჩენოდა.

24 ივლისი, დილის 6:03 სთ

სამრეცხაოში თბილოდა,
შენობას მყარი ბოძები ჰქონდა და
მიხელ ჰოლცაპფელი ისე გადახტა,
თითქოს სკამი კლდის შვერილი ყოფილიყო.

უამრავი ადამიანი მომდევდა იმ დღეს, მეძახდა და მემუდარებოდა, წამეყვანა. ძალიან ცოტანი იყვნენ ისეთები, ერთ წამში რომ აღმოხდებოდათ ჩემი სახელი, ჩამწყდარი ხმით რომ დაიხრიალებდნენ.

— წამიყვანე, — იმეორებდნენ და ვერაფრით ვაჩერებდი. ეშინოდათ, უეჭველად, მაგრამ ჩემი კი არა, — სახელის ტალახში ამოსვრის, სამყაროსა და თქვენნაირებისთვის თვალებში ჩახედვის ეშინოდათ.

ვერაფრით შევუშლიდი ხელს.

უამრავი გზა იცოდნენ, ათასნაირ საშუალებას მიმართავდნენ და უშეცდომოდაც გამოსდიოდათ, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მათი გადაწყვეტილება იყო და მე არ შემეძლო, უარი მეთქვა.

მიხელ ჰოლცაპფელმა იცოდა, რას აკეთებდა.

თავი იმიტომ მოიკლა, სიცოცხლე რომ სურდა.

რა თქმა უნდა, იმ დღეს ლიზელ მემინგერი არ დამინახავს. ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, საკუთარ თავს შევახსენე, რომ ჰიმელსტრიტელთა კივილის მოსასმენად მეტისმეტად დაკავებული ვიყავი. სისხლში ხელებგასვრილს თუ დამინახავდნენ, არ მსიამოვნებდა, ამიტომ გადავწყვიტე, იქაურობას გავცლოდი და საუზმისფერი მზისკენ ავიღე გეზი.

იმ მოხუცი კაცის შეცხადება, რომელმაც ჩამომხრჩვალი გვამი იპოვა, აღარ გამიგონია, აღარც შემთხვევის ადგილისკენ გაქცეულ ადამიანთა ფეხისა და გახშირებული სუნთქვის ხმა მომისმენია. არც იმისთვის მომიკრავს ყური, ულვაშში რომ ჩაილაპარაკა გაძვალტყავებულმა კაცმა: „რა სირცხვილია, ღმერთო, რა სირცხვილია“...

არც ფრაუ ჰოლცაპფელი დამინახავს, რომელიც ხელებგაშლილი იწვა ჰიმელ-სტრიტზე და სასოწარკვეთილი ღრიალებდა. არაფერი გამიგონია, სანამ მოგვიანებით, რამდენიმე თვეში, არ დავბრუნდი იქ და რაღაც არ წავიკითხე, „წიგნის ქურდის“ სახელწოდებით. იქიდან შევიტყვე, მიხელ ჰოლცაპფელი იმ ნაბიჯამდე მტკივანმა მკლავმა კი არა, გადარჩენით გამოწვეულმა დანაშაულის გრძნობამ მიიყვანა.

გოგონა მიხვდა, რომ სიკვდილამდე მისვლის წინა დღეებში, მიხელს არ სძინებია, ღამეები საწამლავად ექცა. ხშირად წარმოვიდგენ, როგორ წევს თვალებგახელილი, თოვლივით ზეწრებში ოფლიანობს, ან ფეხდაკარგულ ძმას ხედავს. ლიზელმა დაწერა, რომ რამდენჯერმე, ლამის მაქსივით უამბო მასაც თავის უმცროს ძმაზე, მაგრამ ხანგრძლივ ხველასა და მოწყვეტილ ფეხებს შორის დიდი განსხვავება იყო. როგორ შეიძლებოდა, იმ ადამიანისთვის ეცა ნუგეში, ვისმა თვალებმაც ასეთი საშინელება იხილა? რა უნდა ეთქვა, ფიურერი შენით ამაყობს და უყვარხარ, რადგან სტალინგრადში იბრძოდიო? როგორ გაუბედავდა? ისღა დარჩენოდა, მხოლოდ ესმინა მისთვის.

უბედურება ის არის, რომ ასეთი ადამიანები ყველაზე მნიშვნელოვან სათქმელს ბოლოსთვის იტოვებენ, იმ წუთებისთვის, როცა ახლობლები მას უკვე ველარ შეხვდებიან, — ასეთი შეიძლება იყოს ჩანანერი, ერთი წინადადება ან წერილი, აი, ისეთი, ჰიმელ-სტრიტზე რომ იპოვეს 1943 წლის ივლისში.

მიხელ ჰოლცაპფელი: გამოსათხოვარი

ძვირფასო დედა,
შეგიძლია, მაპატიო? უბრალოდ, მეტს ველარ ვუძლებ. რობერტთან მივდივარ. სულ არ მაინტერესებს, კათოლიკეები ამაზე რას ამბობენ. ზეცაში აუცილებლად უნდა იყოს ადგილი მათთვის, ვინც იქ იყო, სადაც მე ვიყავი. იმის გამო, რასაც ვაპირებ, ალბათ ჩათვლი, რომ არ მიყვარხარ, მაგრამ დამიჯერე, ცდები.
შენი მიხელი.

ამ სამწუხარო ამბის თქმა ფრაუ ჰოლცაპფელისთვის ჰანს ჰუბერმანს მიანდვეს. ისიც კარის ზღურბლთან დადგა და შე-

ხედა თუ არა, ფრაუ მაშინვე მიხვდა ყველაფერს. ორი ვაჟი ექვს თვეში.

დილის ცამ ზურგი აუწვა ჰანსს, მავთულივით ქალმა კი გვერდით ჩაუარა. ფრაუ ჰოლცაპფელი ღრიალით ჩაუყვა ჰიმელ-სტრიტს. ოცდაოთხჯერ მაინც წარმოთქვა მიხელის სახელი, მაგრამ მიხელს უკვე ეპასუხა. წიგნის ქურდის სიტყვებით, ფრაუ ერთი საათი მაინც ეხვეოდა გვამს. შემდეგ დამაბრმავებელ მზის სხივებში გახვეულ ჰიმელ-სტრიტზე დაბრუნდა და ჩამოჯდა. სიარული აღარ შეეძლო.

ადამიანები შორიდან აკვირდებოდნენ. ასეთი უბედურების ახლოდან ყურება ძალიან ძნელია.

ჰანს ჰუბერმანი გვერდით ეჯდა.

ხელი ხელზე დაადო, როცა ქალი ყამირ მიწაზე დაემხო.

აცადა, ქუჩა მის კივილს აევსო.

კარგა ხნის შემდეგ ჰანსმა მზრუნველად ჩაატარა ქუჩაში, ჭიშკარი გაულო და შინ შეიყვანა. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენჯერ ვცადე, სხვანაირად შემეხედა, მაინც ვერ ამოვიგდე ის სურათი თავიდან...

მწუხარებისგან განადგურებულ ქალსა და მაღალ, ვერცხლისთვალება მამაკაცს რომ წარმოვიდგენ, ჰიმელ-სტრიტის 31 ნომრის სამზარეულში ისევ თოვს.

ომის გამჩაღებელი

ახალგამოთლილი კუბოს სუნი იდგა. შავი კაბები. დაბერილი ქისები თვალებქვეშ. ლიზელი დანარჩენებივით ბალახზე იდგა. იმ შუადღეზეც წაუკითხა ფრაუ ჰოლცაპფელს „სიზმრების დამტარებელი", ეს წიგნი განსაკუთრებით უყვარდა მეზობელს.

ნამდვილად დატვირთული დღე იყო.

1943 წლის 27 ივლისი

მიხელ ჰოლცაპფელი დაკრძალეს და წიგნის ქურდი მგლოვიარე დედას უკითხავდა. მოკავშირეებმა ჰამბურგი დაბომბეს. იღბლიანი ვარ, ზებუნებრივი ძალის პატრონი, სხვა ვერავინ აიყვანდა ხელში
45 000 ადამიანს
დროის მცირე მონაკვეთში და არა
მილიონი ადამიანური წლის განმავლობაში.

იმ დროისთვის გერმანელებმა უკვე დაიწყეს დათესილის მომკა და ფიურერსაც აუკანკალდა დამუწუკებული პატარა მუხლები.

და მაინც, ერთს ვერ დაუკარგავ იმ ფიურერს.

რკინის ნება ჰქონდა.

ომს თესავდნენ და არც ებრაული ჭირის მოშორებისა და დასჯისთვის იშურებდნენ ძალებს. და მართალია, ბანაკებმა უმეტესად დანარჩენი ევროპა მოიცვა, რამდენიმე გერმანიაშიც რჩებოდა. მის ტუსაღებს კვლავ აიძულებდნენ ემუშავათ.

მაქს ვანდენბურგი ერთ-ერთი იყო გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების ებრაელთაგან.

სიტყვების გზა

ყველაფერი ჰიტლერის საყვარელი ქვეყნის შუაგულში, პატარა ქალაქში მოხდა.

ტანჯვა-წამების ახალი ტალღა ძალას იკრებდა, და აი, შორიდან გამოჩნდა კიდეც.

მიუნხენიდან მახლობელ ქალაქში ებრაელებს მიერეკებოდნენ, ერთმა თინეიჯერმა გოგომ წარმოუდგენელი რამ ჩაიდინა -- სცადა, გზა გაეკვლია და მათ შორის ჩამდგარიყო. ჯარისკაცებმა მოშორებით გაათრიეს და მიწაზე დააგდეს, მაგრამ გოგო წამოდგა და ისევ შეუერთდა ებრაელებს.

თბილი დღე იყო.

ერთი მშვენიერი დღე მსვლელობისთვის.

ჯარისკაცებსა და ებრაელებს რამდენიმე ქალაქი უკან მოეტოვებინათ და ახლა მოლკინგში მიაბიჯებდნენ. ალბათ ბანაკში სამუშაო დაგროვდა, ან ტყვეები გარდაიცვალნენ და მათი რიცხვი უნდა შეევსოთ. რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, დაღლილი ებრაელების ახალი პარტია ფეხით მიდიოდა დაჰაუსკენ.

ლიზელი, როგორც ყოველთვის, მიუნხენის ქუჩაში გარბოდა სეირის მაყურებლებთან ერთად.

— ჰაილ ჰიტლერ!

შორიდანვე მოჰკრა ყური პირველ ჯარისკაცს, რომელიც გზაზე გამოჩნდა. გზა გაიკვლია ხალხში, პროცესიასთან შესაგებებლად. ხმამ განაცვიფრა. იმ ხმამ უძირო ჭერად აქცია გოგონას თავზე. იმ ჭერიდან ასხლეტილი სიტყვები კოჭლობით მიმავალ ებრაულ ფეხებთან დაცვივდა.

მათი თვალები.

ამოძრავებულ ქუჩას უცქერდნენ. ლიზელმა კარგი სათვალთვალო შეარჩია, შეჩერდა, თვალიერება დაიწყო. ხან ერთს მიაჩერდებოდა სახეში, ხანაც — მეორეს. ცდილობდა, ის ებრაელი ეპოვა, რომელმაც „თავთან მდგომი კაცი" და „სიტყვის მბერტყავი" დაწერა.

ბუმბულივით თმაო, გაიფიქრა.

არა, ფიჩხივით თმა. დაუბანელი სწორედ ასეთი შესახედავია. ფიჩხივით თმა ეძებე, ჭაობივით თვალები და გაშეშებული წვერი.

ღმერთო, რამდენი იყვნენ.

რამდენი წყვილი ჩამქრალი თვალი და ლასლასა ფეხი.

ლიზელი სათითაოდ აკვირდებოდა, მაგრამ მაქსი ნაკვთებით კი არ უცნია. დაინახა სახე, რომელიც უცნაურად იქცეოდა, ბრბოს აკვირდებოდა, გაფაციცებული იყო. ლიზელი შედგა, მხოლოდ ის ერთადერთი სახე ათვალიერებდა გერმანელ მაყურებელს და ისე მიაჩერდებოდა ხოლმე, რომ წიგნის ქურდის გვერდით მდგომმა ადამიანებმაც შენიშნეს და ხელი გაიშვირეს მისკენ.

— ნეტავ, რას ეძებს? — იკითხა მამაკაცის ხმამ.

წიგნის ქურდი გზისკენ წავიდა.

ასე არასოდეს გასჭირვებია მოძრაობა. არც ნათელი და დიდი გული ასძგერებია ასე მძლავრად ყმაწვილურ მკერდში.

დაწინაურდა და ძალიან მშვიდად თქვა:

— მე მეძებს.

ხმამ წაიბორძიკა და უკან ჩავარდა. ხელახლა დასჭირდა მისი პოვნა, რათა ენა აედგა და მისთვის სახელი დაერქმია.

მაქსი.

— აქ ვარ, მაქს!

უფრო ხმამაღლა.

— მაქს, აქ ვარ!

გაიგონა.

მაქს ვანდენბურგი, 1943 წლის აგვისტო

ფიჩხივით თმა, ზუსტად ისეთი, ლიზელს რომ წარმოედგინა, და ჭაობისებური თვალები წინ წამოვიდა, გვერდი აუარა სხვა ებრაელებს, გოგოს მიუახლოვდა და მუდარით უმზერდა. წვერმა სახე დაუფარა და სიტყვა, სახელი, რომ წარმოთქვა, სახე აუკანკალდა.

ლიზელ.

ლიზელი ბრბოს გამოეყო, ებრაელების ნაკადს შეუერთდა, მანამ იქნევდა ხელებს და იშორებდა ადამიანებს, სანამ მაქსამდე არ მიაღწია და მარცხენა ხელი არ ჩასჭიდა.

მაქსის სახე მის სახეზე დაეცა.

ახლოს მივიდა და რომ წაიბორძიკა, ებრაელმა, საზიზღარმა ებრაელმა ხელი შეაშველა დასახმარებლად. ამას მთელი ძალ-ღონე შეალია.

— აქ ვარ, მაქს, — გაიმეორა გოგონამ, — აქ ვარ.

— თვალებს არ ვუჯერებ... — სიტყვები ჩამოსცვივდა პირიდან, — როგორ გაზრდილხარ! — თვალები სევდიანი ჰქონდა. დასივებოდა. — ლიზელ... რამდენიმე თვის წინ დამიჭირეს.

ხმა დაბზაროდა, მაგრამ სიტყვები მაინც აღწევდა გოგონამდე, — შტუტგარტამდე ნახევარი გზა მრჩებოდა.

შიგნიდან ებრაელების ნაკადი ხელებისა და ფეხების ამღვრეული უბედურება გამოდგა. დახეული უნიფორმები. გოგონა ჯერ არ შეენიშნათ ჯარისკაცებს. მაქსმა გააფრთხილა:

— უნდა წახვიდე, ლიზელ, – ხელიც კი ჰკრა, მაგრამ ის ძლიერი აღმოჩნდა. მაქსის შიმშილისგან დასუსტებულმა მკლავებმა ფეხიც კი ვერ მოაცვლევინა, სვლა განაგრძო სიბინძურეში, შიმშილსა და არეულობაში.

პირველმა ჯარისკაცმა ნაბიჯების გრძელი მწკრივის შემდეგ დაინახა.

— ჰეი! — დაუძახა და შოლტი მოუღერა, — ჰეი, გოგონი, რას აკეთებ? მოშორდი აქაურობას!

ლიზელმა საერთოდ რომ არ მიაქცია ყურადღება, ჯარისკაცმა ხელით გაფანტა ერთმანეთს მიწებებული ადამიანები,

აქეთ-იქით გადაყარა და მათ შორის გაიკვლია გზა. ბოლოს, როგორც იქნა, ლიზელამდე მივიდა და თავს დაადგა. მაქსს სული ეხუთებოდა. ადრეც უნახავს მაქსი შეშინებული, მაგრამ ასეთი არა.

ჯარისკაცმა ხელი სტაცა.

უხეშად ჩაავლო ხელი ტანისამოსში.

გოგონამ სათითაოდ იგრძნო მისი თითების ძვლები და სახსრები. კანს უფლეთდნენ.

— გითხარი, აქაურობას გაეცალე-მეთქი! — უბრძანა, გვერდით გაათრია და სეირისმაყურებელი გერმანელების ბრბოსკენ მოისროლა.

უფრო დათბა. მზე სახეს უწვავდა. მტკივნეულად გაიშოტა მიწაზე, მაგრამ ისევ წამოდგა, სული მოითქვა და დაელოდა. შემდეგ ისევ შეუერთდა ებრაელებს.

ამჯერად ზურგიდან მოუარა მათ.

ხედავდა ფიჩხივით თმას მოშორებით და მისკენ მიიწევდა.

აღარ მიახლოებია, შეჩერდა, სადღაც, შიგნით, სიტყვების სულები უტრიალებდნენ. შემდეგ გამოცოცდნენ და გვერდით ამოუდგნენ.

— მაქს, — თქვა. ბიჭი შებრუნდა, სწრაფად დახუჭა თვალები და განაგრძო. — **იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა, უცნაური კაცი**, — თქვა. ხელები ჩამოშვებული ჰქონდა, მაგრამ მუშტებად შეკრული, — **მაგრამ სიტყვის მბერტყავიც იყო.**

და აი...

დაჰაუსკენ მიმავალი ებრაელებიდან ერთ-ერთი შეჩერდა. უმოძრაოდ იდგა, სანამ დანარჩენები, პირქუში სახეებით ჩაუვლიდნენ და მასთან პირისპირ დატოვებდნენ. თვალები შეუტორტმანდა, ყველაფერი მეტისმეტად გამარტივდა. სიტყვები გოგონადან ებრაელისკენ ინაცვლებდნენ, ზედ აცოცდებოდნენ.

ლიზელმა ისევ რომ დაილაპარაკა, კითხვა მოსწყდა ბაგეებიდან. ცხელი ცრემლები ებრძოდნენ, გადმოსვლას ლამობდნენ თვალთაგან, მაგრამ ის არ უშვებდა. ერჩივნა, გაბედულად და ამაყად მდგარიყო. სიტყვებს მინდობოდა.

— მართლა შენა ხარ? — ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა, — თქვა ლიზელმა. **— განა შენი ლოყიდან არ ავიღე თესლი?**

მაქს ვანდენბურგი ისევ იდგა.

მუხლებზე არ დაცემულა.

ადამიანები, ებრაელები და ღრუბლები შედგნენ. უყურებდნენ. მაქსმა ჯერ გოგონას შეხედა, შემდეგ კი ფართო, ლურჯ, უზარმაზარ ცას ახედა. იქიდან მსხვილი სხივები — მზის ფიცრებივით — გასაოცრად ეშვებოდა გზისკენ. ღრუბლები თაღებად აიზიდა, სანამ გზას განაგრძობდა.

— რა მშვენიერი დღეა, — თქვა და ხმა უამრავ ნაწილად დაეშალა. დიდებული დღეა სიკვდილისთვის. ესეც ასე, დიდებული დღეა სიკვდილისთვის.

ლიზელი მიუახლოვდა. სიმამაცე ეყო, რომ ხელი გაეწვდინა და მის ნვერიან სახეს შეხებოდა:

— მართლა შენა ხარ, მაქს?

როგორი ბრწყინვალე გერმანული დღეა და როგორი ყურადღებიანი ბრბო.

მაქსმა ნება მისცა ტუჩებს, გოგონასთვის ხელზე ეამბორათ.

— ჰო, ლიზელ, მე ვარ, — შემდეგ მისი ხელი სახეზე მიიდო და თითებზე დააწვიმა ცრემლი. ჯარისკაცები რომ მივიდნენ, მაშინაც ტიროდა, კადნიერი ებრაელების მცირერიცხოვანი ჯგუფი კი იდგა და უყურებდა.

ფეხზე მდგარი გაწკეპლეს.

— მაქს, — ქვითინებდა ლიზელი.

შემდეგ ჩუმად გაათრიეს:

მაქს.

ებრაელო ჩხუბისთავო.

ეს სიტყვები გულში თქვა.

მაქსი-ტაქსი. ასე გეძახდნენ მეგობრები შტუტგარტში, ქუჩაში რომ ჩხუბობდი ხოლმე, გახსოვს? ეს ხომ შენ იყავი, ბიჭი, მაგარი მუშტებით. ერთხელ ესეც გითქვამს, სიკვდილი როგორც კი მომიახლოვდება, ჩემი მუშტი მოხვდება სახეშიო. გახსოვს, მაქს? შენ მიამბე. ყველაფერი მახსოვს.

თოვლის პაპა გახსოვს, მაქს?

გახსოვს?

სარდაფში?

გახსოვს თეთრი ლრუბელი, რომელსაც ნაცრისფერი გული ჰქონდა?

ფიურერი ხანდახან ისევ მოდის და გეძებს. ენატრები. ყველას გვენატრები.

შოლტი. შოლტი.

ისევ შოლტი ჯარისკაცის ხელში. მაქსს სახეში მოხვდა, ნიკაპი გაუჭრა და ყელი დაუსერა.

დაეცა და ახლა ჯარისკაცი გოგონას მიუბრუნდა. ღია პირი. უნაკლო კბილები ჰქონდა.

ლიზელს უეცრად თვალთ დაუბნელდა. გაახსენდა დღე, როცა სურდა, ილზა ჰერმანს ან როზას გაეწკეპლა, სურვილი არც ერთმა არ შეუსრულა. ამჯერად იმედი არ გაუცრუეს.

შოლტმა ლავინის ძვალი გაუსერა და ბეჭებში მისწვდა.

— ლიზელ!

იცნო, ვინ იყო.

ჯარისკაცმა ხელი რომ ამოუტრიალა, ბრბოში რუდი შტაინერის ნატანჯ გამომეტყველებას მოჰკრა თვალი. ის ეძახდა. განაწამები სახე და ყვითელი თმა დაინახა.

— ლიზელ, გამოიქეცი!

წიგნის ქურდი არ გაქცეულა.

თვალები დახუჭა, მწველი დარტყმა მიიღო, შემდეგ კიდევ ერთი, სანამ გამთბარ გზაზე არ დავარდა. ამჯერად ლოყაში მოხვდა.

ისევ მოვიდნენ სიტყვები, ჯარისკაცისგან.

— Steh auf. ადექი!

ეს მოკლე წინადადება გოგონასკენ კი არა, ებრაელისკენ იყო მიმართული. ჯარისკაცმა დააზუსტა.

— აეგდე, ბინძურო რეგვენო, ებრაელო ავაზაკო, აეგდე, აეგდე-მეთქი...

მაქსმა სცადა, წამომდგარიყო.

კიდევ ერთი აზიდვა, მაქს.

კიდევ ერთი აზიდვა სარდაფის ცივ იატაკზე.

ფეხები აამოძრავა.

მძიმედ წამოდგა და გზა განაგრძო.

ბორძიკებდა, ხელისგულებით იწმენდდა შოლტის ნაკვალევს, ნაკლებად რომ ასწვოდა. ისევ რომ სცადა, ლიზელისკენ გაეხედა, ჯარისკაცმა ხელი დაადო დასისხლიანებულ მხარზე და წინ უბიძგა.

რუდი მივიდა. გრძელი ფეხები მოხარა და მარცხნივ გასძახა ვიღაცას.

— ტომი, მოდი, მომეხმარე, უნდა წამოვაყენოთ.

- ტომი, იჩქარე! — იღლიებში მოჰკიდა ხელი წიგნის ქურდს, — ლიზელ, გაინძერი, გზიდან უნდა გადავიდეთ.

შეძლო თუ არა წამოდგომა, ბრბოდან თავგამოყოფილ, თავზარდაცემულ, გაყინულსახიან გერმანელებს გახედა, მხოლოდ წამით მისცა თავს უფლება, მათ ფეხებთან დაცემულიყო, სახეზე გაჩენილმა იარამ თითქოს ასანთს გაჰკრა მიწასთან შეხებისას, პულსმა კი ამოაბრუნა და ორივე მხრიდან შენვა.

შორს, გზაზე, ლიზელმა მოლასლასე ფეხებს და ბოლო ებრაელის ქუსლებს მოჰკრა თვალი.

სახე ეწვოდა, მკლავები და ფეხები კი საშინლად სტკიოდა. მგრძნობელობის დაკარგვა, მტკივნეული და აუტანელი.

იდგა.

მერე მხნედ გაუყვა გზას და მიუნხენის ქუჩა ჩაირბინა მაქს ვანდენბურგის უკანასკნელი ნაბიჯების კვალდაკვალ.

-- ლიზელ, რას აკეთებ?

გოგონა რუდის სიტყვებს ხელიდან დაუძვრა და თავლებად ქცეული ხალხისთვის არც შეუხედავს. უმეტესობა დუმდა. გულაძგერებული ქანდაკებები. მარათონის ფინიშის მაყურებლები. ლიზელმა ისევ დაიყვირა, მაგრამ ვერც ახლა გააგონა. თმა თვალებზე ჩამოეფხატა:

— მაქს, გთხოვ!

დაახლოებით ოცდაათი მეტრის გავლის შემდეგ, ჯარისკაცი შემოუბრუნდა. მოცელეს, უკნიდან ხელი ჰკრეს, მეზო-

ბლის ბიჭმა მუხლებით დასცა მიწაზე და საჩუქარივით მიიღო მისგან დაშენილი მუშტები, გაძვალტყავებული ხელებისა და იდაყვების შეხებაზე მხოლოდ ოდნავ წამოიკვნესა, ისე მოუყარა თავი ცრემლებისა და ხმამაღალი ნერწყვის უხერხულ ნაზავს, თითქოს უხდებოდა, თუმცა, ამაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ლიზელი შეაჩერა.

გოგო და ბიჭი ერთმანეთს ჩაეწნა მიუნხენის ქუჩაზე.

მოუხერხებლად ეყარნენ გზაზე.

უცქერდნენ, როგორ იშლებოდნენ ადამიანები მოძრავი აბებივით ნოტიო ჰაერში, როგორ უჩინარდებოდნენ.

აღიარება

ებრაელების წასვლის შემდეგ, რუდი და ლიზელი წამოდგნენ, წიგნის ქურდი არ ლაპარაკობდა. რუდის შეკითხვას პასუხი არ გასცა.

თუმცა, არც შინ წასულა. საცოდავად გაუყვა გზას რკინიგზის სადგურისკენ და რამდენიმე საათი ელოდა მამას. თავიდან რუდიც გვერდით ედგა, მაგრამ რაკი ჰანსის ჩამოსვლამდე ნახევარი დღე მაინც იყო დარჩენილი, წავიდა და როზა მოიყვანა. გზაში უამბო, რაც მოხდა. და დედამ გოგონას აღარაფერი ჰკითხა, მას თავსატეხი უკვე ამოეხსნა, უბრალოდ, ცდილობდა, დაერწმუნებინა ლიზელი, ჩამომჯდარიყო. ერთად განაგრძეს ლოდინი. მამამ დაინახა თუ არა ორივე, აბგა დააგდო და წიხლი ამოჰკრა სადგურის ჰაერს.

იმ ღამით არ უვახშმიათ. მართალია, ჰანსი ძალიან ინდომებდა, მაგრამ მისი თითები შეურაცხყოფდა აკორდეონს, ერთმანეთის მიყოლებით კლავდა სიმღერებს, ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა.

სამი დღე იწვა წიგნის ქურდი.

ყოველ დილას და შუადღეს რუდი შტაინერი აკაკუნებდა კარზე და კითხულობდა, ისევ ავად იყო თუ არა ლიზელი. ავად არ იყო.

მეოთხე დღეს ის მეზობლის წინკარს მიუახლოვდა და იკითხა, რუდი თუ გაჰყვებოდა ხეებთან, იმ ადგილას, სადაც გასულ წელს პურის ნატეხები დაყარეს.

— ადრეც უნდა მეთქვა ყველაფერი, — უთხრა ბიჭს.

შეთანხმებისამებრ, დაჰაუსკენ მიმავალ გზაზე გავიდნენ. ხეებთან შეჩერდნენ. იქ, სადაც შუქისა და ჩრდილის გრძელი ზოლები მოჩანდა.

გმადლობ, რუდი.

ყველაფრისთვის. გზაზე რომ დამეხმარე, რომ შემაჩერე...

მსგავსი არაფერი უთქვამს.

აქერცლილ ტოტზე ჩამოდო ხელი:

— რუდი, რაღაც მინდა გითხრა, მპირდები, რომ არავის გაანდობ?

— რა თქმა უნდა, — გოგონას სახეზე აღბეჭდილი სერიოზულობა და ხმის სიმძიმე რუდის არ გამოჰპარვია. თვითონ მეორე ხეს მიეყრდნო, ლიზელის გვერდით. — რა მოხდა?

— შემპირდი.

— უკვე შეგპირდი.

— ისევ. იცოდე, არც დედას უთხრა, არც ძმას, არც ტომი მიულერს. არავის!

— გპირდები!

დახრა.

მიწაზე დახედვა.

რამდენჯერმე სცადა, დასაწყებად საჭირო ფრაზა ეპოვა, წინადადებებს ფეხებთან ეძებდა, გირჩებსა და ჩამოყრილ, დალეწილ ტოტებში აგროვებდა სიტყვებს.

— - გახსოვს, ფეხბურთის თამაშისას ეზოში მუხლი რომ ვიტკინე? — თქვა.

დაახლოებით საათის სამი მეოთხედი მოანდომა ორი ომის, აკორდეონის, ებრაელი ჩხუბისთავისა და სარდაფის ამბები რომ მოეთხრო. არც იმის გახსენება დავიწყებია, წინადღით რაც მოხდა მიუნხენის ქუჩაზე.

— წინ იმიტომ მიიწევდი, უფრო ახლოდან რომ გენახა, — თქვა რუდიმ, — იმ დღეს, პური რომ დავყარეთ. გაინტერესებდა, იყო თუ არა მათ შორის.

— ჰო.

— ჯვარცმულო იესო!

— ჰო.

მაღალი, სამკუთხა ხეები მდუმარედ იდგა.

ლიზელმა აბგიდან *„სიტყვის მბერტყავი"* ამოიღო და რუდის ერთი გვერდი აჩვენა, მასზე ბიჭი ეხატა, გულზე ჩამოკიდებული სამი მედლით.

— ლიმონისფერი თმა, — წაიკითხა რუდიმ, თითები შეახო სიტყვებს, — ჩემზე უამბე?

თავიდან ლიზელმა ხმა ვერ ამოიღო. ალბათ, სიყვარულის უეცარი აღმოჩენის გამო. ან იქნებ ყოველთვის უყვარდა რუდი? ეს უფრო ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან. ხმა ველარ ამოიღო და ინატრა, ბიჭს ეკოცნა, ხელები მოეხვია და თავისკენ მიეზიდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად აკოცებდა, ტუჩებში, ყელზე თუ ლოყაზე. მთელი კანი ცარიელი ჰქონდა მისთვის, ელოდა.

წლების წინ, ატალახებულ გზაზე ერთმანეთს სირბილში რომ ეჯიბრებოდნენ, გაძვალტყავებულ, კბილებგადმოყრილ რუდის ფართო ღიმილი ჰქონდა სახეზე. იმ საღამოს, ხეებთან კი, პურსა და პლუშის დათუნიებს არიგებდა.

ის იყო „ჰიტლერიუგენდის" სამგზის ჩემპიონი მძლეოსნობაში.

ის იყო ლიზელის საუკეთესო მეგობარი.

მას ერთი თვე რჩებოდა სიკვდილამდე.

— რა თქმა უნდა, ვუამბე. — თქვა ლიზელმა.

ეთხოვებოდა, მაგრამ ჯერ ვერ ხვდებოდა ამას.

ილზა ჰერმანის პატარა შავი წიგნი

აგვისტოს შუა რიცხვებში ლიზელმა გადაწყვიტა, ისევ სწვეოდა გრანდ-შტრასეს 8 ნომერ სახლს, ძველი წამლისთვის.

თავი უნდა გაემხნევებინა.

აი, ამას ფიქრობდა.

ოფლიანი და ცხელი დღე იდგა, მაგრამ საღამოსთვის კოკისპირული წვიმა გამოაცხადეს. „უკანასკნელ უცხოში", დასასრულისკენ, ერთი ფრაზა იყო, რომელიც ლიზელს მაშინ გაახსენდა, ფრაუ დილერის მაღაზიას რომ ჩაუარა.

„უკანასკნელი უცხო" გვერდი 211

მზე დედამიწას აზავებს. გვატრიალებს და გვატრიალებს, ხორცის ჩაშუშულივით გვამზადებს.

ლიზელს მხოლოდ იმიტომ გაახსენდა ეს სიტყვები, რომ ძალიან ცხელოდა.

მიუნხენის ქუჩაზე გასულ კვირას მომხდარი მოაგონდა. დაინახა გზაზე მიმავალი ებრაელები, ციფრებისა და ტკივილის ნაკადი. გადაწყვიტა, რომ ფრაზას რაღაც აკლდა.

ეს სიტყვა საზარელი სალაფავიაო, გაიფიქრა.

იმდენად საზარელი, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო.

ლიზელმა ამპერზე გადებული ხიდი გადაიარა. წყალი დიდებული, ზურმუხტისფერი და უხვი იყო. ფსკერზე კენჭებსაც

კი ხედავდა და მდინარის ნაცნობი სიმღერა ესმოდა. სამყარო ასეთ მდინარეს არ იმსახურებდა.

გრანდ-შტრასესკენ მიმავალ გორაკს აუყვა. საზარელი და საყვარელი სახლები. გოგონას სიამოვნებდა ყრუ ტკივილს რომ გრძნობდა ფეხებსა და ფილტვებში. „უფრო სწრაფად“, — გაიფიქრა და ქვიშიდან ამომძვრალი ურჩხულივით დაიწყო აღმასვლა. გვერდიდან ბალახის სუნი სცემდა. ქორფა იყო, ტკბილი, მწვანე და თავთან შეყვითლებული, თავი არ შეუბრუნებია, არც შიშის შეტევა უგრძნია.

ფანჯარა.
ხელები ჩარჩოზე, მაკრატელივით გაშლილი ფეხები.
იატაკზე დაშვება.
წიგნები, გვერდები და ბედნიერი ადგილი.

თაროდან წიგნი ჩამოიღო და იატაკზე ჩამოჯდა.

შინაა? აინტერესებდა, მაგრამ სულ არ ანაღვლებდა, ილზა ჰერმანი სამზარეულოში კარტოფილს ჭრიდა თუ გაზეთების რიგში იდგა. იქნებ თავზეც ადგა და აკვირდებოდა, რას კითხულობდა.

მას აღარაფერი ანაღვლებდა.

დიდხანს იჯდა და ბოლოს დაინახა.

იმ ცალი თვალით, რომლითაც ეღვიძა, დაინახა, როგორ მოუკვდა ძმა, მეორით ჯერ ისევ სიზმარს ხედავდა. დედას დაემშვიდობა და წარმოიდგინა, როგორ ელოდა უკან, დავიწყებაში დასაბრუნებელ მატარებელს. მავთულის ქალი ძირს ეგდო, მისი კივილი კი ისე მიგორავდა ქუჩაში, როგორც მონეტა, რომელიც ერთ-ერთი მხრით დავარდნამდე ადგილზე ბზრიალებს. დაინახა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თავი სტალინგრადის თოვლის თოკით ჩამოიხრჩო. დაინახა ბომბდამშენის მფრინავი, რომელიც ლითონის კაბინაში მოკვდა, დაინახა ებრაელი, რომელმაც ორჯერ უსახსოვრა ულამაზესი გვერდები და გამართულად გაუყვა საკონცენტრაციო ბანაკისკენ მიმავალ გზას. ამ ყველაფრის შუაგულში კი ფიურერი იდგა, რომელიც გაჰყვიროდა და სიტყვებს ისროდა.

ის გამოსახულებები მასში არეული სამყარო იყო, ის კი ლამაზსათაურიანი კოხტა წიგნით ხელში, იატაკზე იჯდა. თვალი რომ შეავლო მშვენიერი აბზაცებითა და სიტყვებით გამოტენილ გვერდებს, სისხლი აუდუღდა.

„ნაბიჭვარო, — გაიფიქრა, — მშვენიერო ნაბიჭვარო, ნუ მაბედნიერებ, გემუდარები, ნუ მავსებ და მაიძულებ ვიფიქრო, რომ ამ ყველაფერში რაღაც კარგიც არის, შეხედე ჩემს დალურჯებულ სხეულს, შეხედე იარებს, ხედავ წყლულებს ჩემს არსებაში? ხედავ, შენ თვალწინ რომ იზრდებიან და მჭამენ? აღარ მინდა, იმედით ვცოცხლობდე, აღარ მინდა, ვილოცო, რომ მაქსი უვნებლად გადარჩეს. ან — ალექს შტაინერი.“

რადგან სამყარო მათ არ იმსახურებს.

ფურცელი ამოგლიჯა წიგნიდან და შუაზე გადახია.

შემდეგ — მთელი თავი.

ცოტა ხანში მის ფეხებთან მხოლოდ დაფლეთილი სიტყვები ეყარა. სიტყვები. რატომ უნდა ეარსება სიტყვებს? ყველაფერში ხომ ისინი იყო დამნაშავე. სიტყვების გარეშე ფიურერი არარაობა იქნებოდა. აღარ იარსებებდნენ კოჭლობით მიმავალი ტუსაღები, არც ნუგეში ან სიტყვით ოინბაზობა იქნებოდა საჭირო.

ნეტავ, რის მაქნისია სიტყვა?

მერე ხმამაღლა წარმოთქვა ნარინჯისფრად განათებულ ოთახში:

— ნეტავ, რისი მაქნისია სიტყვა?

წიგნის ქურდი წამოდგა და ფრთხილად გაემართა ბიბლიოთეკის კარისკენ, ის კი ჩუმად და გაუბედავად შეეწინააღმდეგა. ვრცელი დერეფანი ხის სიცარიელით იყო გაჟღენთილი.

— ფრაუ ჰერმან!

შეძახილი უკან დაუბრუნდა და შემდეგ ისევ სცადა კარისკენ წასვლა. ნახევარი გზაც კი გაიარა, იატაკზე დაეშვა სუსტად.

— ფრაუ ჰერმან!

ძახილს მხოლოდ დუმილი მიესალმა და ცდუნებაც გაჩნდა, სამზარეულოში შესულიყო, რუდისთვის რამე მოეძებნა. ძლი-

ვს შეიკავა თავი. ლამაზი არ იქნებოდა, იმ ქალისთვის მოეპარა საჭმელი, რომელმაც ფანჯრის რაფაზე ლექსიკონი დაუტოვა. ისედაც, ერთი წიგნი მთლად გაუნადგურა, ფურცელ-ფურცელ დაუხია, თავიდან თავამდე. აზარალა.

ბიბლიოთეკაში შებრუნდა და მაგიდის უჯრა გამოსწია. ჩამოჯდა.

უკანასკნელი წერილი

ძვირფასო მისის ჰერმან

როგორც ხედავთ, ისევ ვიყავი თქვენს ბიბლიოთეკაში და ერთი წიგნი დაგიხიეთ. უბრალოდ, ძალიან გაბრაზებულსა და შეშინებულს, სიტყვების მოკვლა მომინდა. აქამდე გპარავდით, ახლა კი თქვენი საკუთრება გავანადგურე. ბოდიშს გიხდით. თავს იმით დავისჯი, რომ აქ აღარასდროს მოვალ. განა, არის კი ეს სასჯელი? ეს ადგილი მიყვარს და თან მძულს, რადგან სიტყვებითაა სავსე. თქვენ ჩემი მეგობარი იყავით, მე კი გული გატკინეთ, აუტანლად მოვიქეცი (ეს სიტყვა თქვენს ლექსიკონში ამოვიკითხე) და ვფიქრობ, დროა, თავი დაგანებოთ. ყველაფრისთვის ბოდიშს გიხდით. კიდევ ერთხელ მადლობელი ვარ.

ლიზელ მემინგერი

ბარათი მაგიდაზე დატოვა, ოთახს გამოეთხოვა, სამჯერ დაარტყა წრე და ხელი გადაუსვა სათაურებს. რამდენადაც ეზიზღებოდა ისინი, იმდენად ვერ სძლევდა ცდუნებას. ამოხეული ფურცლების ნაფლეთები იმ წიგნის გარშემო იყო მიმოფანტული, რომელსაც „ტომი ჰოფმანის წესები" ერქვა. ფანჯრიდან მობერილ ნიავზე რამდენიმე ნაგლეჯი აფრიალდა და ისევ ძირს დაეშვა.

შუქი ისევ ნარინჯისფერი იყო, მაგრამ ახლა უკვე ნაკლებად ელვარებდა. ხელებით ბოლოჯერ მოეჭიდა ფანჯრის თაროს, უკანასკნელად შეეკუმშა კუჭი და დაშვებისას ფეხები ტკივილმა დაუსერა.

იმ დროისთვის, გორაკს რომ ჩაუყვა და ხიდისკენ გაემართა, ნარინჯისფერი შუქი გაქრა. ღრუბლებმა შთანთქა. ჰი-

მელ-სტრიტზე რომ გავიდა, წვიმის პირველი წვეთებიც დაეცა. ილზა ჰერმანს აღარასოდეს ვნახავო, გაიფიქრა, მაგრამ წიგნის ქურდს კითხვა და წიგნებისთვის თვალის გადავლება უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვარაუდების გამოთქმა.

სამი დღის შემდეგ

ქალმა ნომერ ოცდაცამეტი სახლის კარზე დააკაკუნა და პასუხს დაელოდა

ლიზელს გაუკვირდა მისი უხალათოდ დანახვა. წითლით გაწყობილი ყვითელი საზაფხულო კაბა. ჯიბე პატარა ყვავილით. არავითარი სვასტიკა. შავი ფეხსაცმელი. ადრე არასოდეს დაუნახავს ილზა ჰერმანის წვივები. ფაიფურის ფეხები ჰქონდა.

— ფრაუ ჰერმან, ბოდიშს გიხდით — იმისთვის, რაც თქვენს ბიბლიოთეკაში ჩავიდინე.

ქალმა დაამშვიდა. ჩანთა გახსნა და პატარა შავი წიგნი ამოიღო. შიგნით ამბის ნაცვლად სწორხაზიანი ფურცლები იყო.

— ვიფიქრე, რომ ჩემი წიგნების წაკითხვას აღარ აპირებ, იქნებ ამის ნაცვლად წერა დაიწყო. შენი წერილი... — ქალმა უბის წიგნაკი ორივე ხელით გაუწოდა ლიზელს, — წერა ნამდვილად გეხერხება, — მძიმე იყო და ყდა „მხრების აჩეჩას“ მიუგავდა. — და გთხოვ, — ილზა ჰერმანმა რჩევა მისცა, — თავს ნუ დაისჯი, როგორც წერილში გეწერა. მე ნუ დამემგვანები, ლიზელ.

გოგონამ გადაშალა და ფურცელს შეეხო:

— Danke schön, ფრაუ ჰერმან, თუ ინებებთ, ყავას მოგიდულებთ. მობრძანდით, შინ მარტო ვარ, დედა მეზობელთან, ფრაუ ჰოლცაპფელთან, არის.

— კარიდან შემოვიდე თუ ფანჯრიდან გადმოვძვრე?

ლიზელი დაეჭვდა, ალბათ ნლები იყო, ილზა ჰერმანს ასე ფართოდ გაღიმების უფლება არ მიეცა თავისთვის:

— ვფიქრობ, კარიდან ჯობია, ასე უფრო ადვილია.

ქალი სამზარეულოში ჩამოჯდა.

ყავით სავსე ფინჯნები და ჯემიანი პური. მონდომებით საუბრობდნენ და ლიზელს ესმოდა, როგორ ყლაპავდა სითხეს ილზა ჰერმანი, მაგრამ ეს უხერხულობას არ ქმნიდა. იმის ცქერაც კი სიამოვნებდა, ქალი ნაზად რომ უბერავდა სულს ყავას, გასაგრილებლად.

— თუ ოდესმე რამის წერას დავიწყებ და დავასრულებ, — თქვა ლიზელმა, — აუცილებლად გაჩვენებთ.

— შესანიშნავი იქნება!

მერის ცოლი სახლიდან გავიდა და ლიზელი უყურებდა, როგორ მიდიოდა ჰიმელ-სტრიტზე. ხედავდა ყვითელ კაბას, შავ ფეხსაცმელს და ფაიფურის ფეხებს.

საფოსტო ყუთთან რუდიმ ჰკითხა:

— მე რომ მგონია, ის იყო?

— დიახ.

— ხუმრობ?

— რაღაც მაჩუქა.

ილზა ჰერმანმა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ლიზელს მარტო უბის წიგნაკი კი არა, სარდაფში დროის გატარების მიზეზი მისცა, ეს მისი საყვარელი ადგილი იყო, იქ ჯერ მამასთან ერთად ჩადიოდა, შემდეგ კი მაქსთან. ამიერიდან შეეძლო, საკუთარი სიტყვები ჩაეწერა, გაეხსენებინა, რა შესძინა სიტყვებმა მის ცხოვრებას.

„თავს ნუ დაისჯი!" — ისევ ჩაესმა ილზას ხმა. მაგრამ გვემაც იქნებოდა, ტკივილიც და ბედნიერებაც. წერაც ეს იყო.

ღამით, დედას და მამას რომ დაეძინა, ლიზელი სარდაფში ჩაძვრა და ნავთის ლამპა აანთო. თავიდან, რამდენიმე საათი მხოლოდ ფურცელსა და ფანქარს უყურებდა. ასე ცდილობდა, ყველაფერი გაეხსენებინა. ჩვევად ჰქონდა, ამ დროს ერთი წერტილისთვის გაეშტერებინა თვალი.

— Schreibe, — უბრძანა საკუთარ თავს, — წერე!

ორი საათი ან მეტი იქნებოდა გასული, ლიზელ მემინგერი წერას რომ შეუდგა, თუმცა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა გამოუვიდოდა. რა იცოდა, მის ნაწერს ვილაც ხელს რომ დაავლებდა და ყველგან თან ატარებდა?

ამას ხომ წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს.

ასეთ რამეს არავინ გეგმავს.

ლიზელმა საღებავის პატარა თუნუქის ქილა სკამად გამოიყენა, უფრო მოზრდილი – მაგიდად და ფანქარი გაუსვა პირველ გვერდს. შუაგულში, აი, რა დაწერა:

თვითმფრინავის გადახსნილი მკერდი

მესამე გვერდზე რომ გადავიდა, ხელები ასტკივდა. სიტყვები რა მძიმეაო, გაიფიქრა, მაგრამ ღამე რომ გაიცრიცა, უკვე თერთმეტი გვერდი ჰქონდა დაწერილი.

გვერდი 1

მინდოდა, გვერდი ამევლო, მაგრამ ვიცი, ყველაფერი მატარებლით, თოვლითა და ჩემი ძმის ხველებით დაიწყო. იმ დღეს, ჰიმელ-სტრიტისკენ რომ მოვემგზავრებოდი, პირველი წიგნი მოვიპარე, „მესაფლავის ცნობარი“.

იქვე ჩაეძინა, ბიაზის ნაჭრების საწოლში, მაღალ თუნუქის ქილაზე, კიდეებმოკეცილ ფურცლებთან ერთად. დილით დედა დაადგა თავზე, დაქლორილი თვალები კითხვას უსვამდა:

— ლიზელ, აქ რა ჯანდაბას აკეთებდი?

— ვწერდი, დედა.

— იესო, მარიამ და იოსებ, — როზა ფეხების ბაკუნით აბრუნდა კიბეზე, — ხუთ წუთში ამოდი, თორემ სათლით გიმკურნალებ, Verstehst?

— გავიგე.

ლიზელი ყოველ ღამით ჩადიოდა სარდაფში და უბის წიგნაკი ჩაჰქონდა. საათობით წერდა, ცდილობდა, ყოველღამე საკუთარი ცხოვრების ათი გვერდი მაინც შეევსო. იმდენი რამ უნდა გაეაზრებინა, იმდენი რამ, რაც არ უნდოდა, გამორჩე-

ნოდა. მოითმინე, შეუძახებდა თავს და გვერდების ზრდასთან ერთად ხელიც გაეწაფა.

ხანდახან ციტატებიც მოჰყავდა „სიტყვის მბერტყავიდან“ და „თავთან მდგომი კაციდან“, სურათებს ათვალიერებდა და სიტყვებს ინერდა, იმის აღნიშვნაც კი არ დავიწყებია, „ჩემმა ბრძოლამ“ რომ დააჩნია კვალი. მაქსის წიგნში ჩახატულმა პირველმა ნახატმა ერთი რამ შეახსენა — ისე ეამბა ყველაფერი, როგორც ახსოვდა.

ხანდახან იმაზეც წერდა, თუ რა ხდებოდა სარდაფში ჩანაწერების კეთებისას. როცა აღწერა, მამამ ეკლესიის კიბეზე სილა რომ გააწნა და ერთად რამდენჯერმე გაიმეორეს „ჰაილ ჰიტლერ“, — ჰანსმა აკორდეონი აიღო, სანამ გოგონა წერდა, ნახევარ საათს მაინც უკრავდა.

გვერდი 42

მამა ახლა ჩემ გვერდით ზის. აკორდეონი ჩამოიტანა და იმ ადგილის სიახლოვეს ჩამოჯდა, სადაც მაქსს უყვარდა ჯდომა. როცა უკრავს, ხშირად გავცქერი მის თითებსა და სახეს. აკორდეონი სუნთქავს. მამას ლოყებზე ხაზები უჩნდება. დახატულებს უგავს და რატომღაც, მათ დანახვაზე, ტირილი მინდება. დარდის და სიამაყისგან არა. უბრალოდ, მომწონს, როგორ მოძრაობს და იცვლება. ხანდახან ვფიქრობ, რომ მამაც აკორდეონია, როცა მიცქერს, მილიმის და სუნთქავს, ნოტები მესმის.

წერის დაწყებიდან მეთერთმეტე ღამეს ისევ დაბომბეს მიუნხენი. ლიზელს უკვე 102 გვერდი დაეწერა და სარდაფში ეძინა. არც გუგულის ძახილი გაუგონია, არც სირენების ხმა, ჩაძინებულს, ხელში ეკავა უბის წიგნაკი, მამა რომ ჩავიდა გასაღვიძებლად:

— ლიზელ, წამოდი, — გოგონამ „წიგნის ქურდს“ და დანარჩენ წიგნებს დაავლო ხელი და მამასთან ერთად ფრაუ ჰოლცაპფელის დასაძახებლად წავიდა.

გვერდი 175

წიგნი მდინარე ამპერზე მიტივტივებდა. ბიჭი გადახტა, მისწვდა და მარჯვენა ხელში დაიკავა. გაიცინა. წელამდე გაყინული იდგა დეკემბრის წყალში. „კოცნაზე რას იტყვი, ლორუკელა?“ — თქვა.

2 ოქტომბრამდე, მომდევნო საჰაერო თავდასხმამდე, გოგონამ წიგნის წერა დაასრულა, მხოლოდ რამდენიმე გვერდი დარჩა ცარიელი. შეუდგა კიდეც დაწერილის კითხვას. წიგნი ათი ნაწილისგან შედგებოდა, თითოეულ ნაწილს წიგნის ან მოთხრობის სახელი ერქვა. აღწერილი იყო, რა გავლენა მოახდინა იმ ნაწერმა ლიზელის ცხოვრებაზე.

ხშირად ვფიქრობ, რომელ გვერდს კითხულობდა, როცა ჰიმელ-სტრიტზე თავსხმა წვიმაში მივედი. მაინტერესებს, რა ადგილას იყო, პირველი ბომბი რომ მოსწყდა თვითმფრინავის მკერდს.

პირადად მე, მირჩევნია, წარმოვიდგინო, როგორ უცქერს კედელზე მაქს ვანდენბურგის დახატულ ღრუბელს, მჭიდროდ განასკვულ თოკს რომ წააგავს, დაღვენთილ მზეს და მისკენ მიმავალ ორ ფიგურას. შემდეგ კედელზე საღებავით ნაცოდვილარ სიტყვებს ათვალიერებს. ვხედავ ფიურერს, რომელსაც მოკრივის ხელთათმანები ჰკიდია კისერზე და სარდაფის კიბეზე ჩამოდის. და წიგნის ქურდი რამდენიმე საათის განმავლობაში კითხულობს, კითხულობს და ისევ კითხულობს უკანასკნელ წინადადებას.

„წიგნის ქურდი“ — უკანასკნელი წინადადება

მე მძულდა სიტყვები და მიყვარდა სიტყვები და იმედი მაქვს, ისინი სწორად გამოვიყენე.

გარეთ კი სამყარო სტვენდა. წვიმა დალაქავებული მოდიოდა.

სამყაროს აღსასრული

(ნაწილი II)

ახლა ნანერი თითქმის გაიცრიცა. შავი წიგნი ჩემი მოგზაურობის სიმძიმემ დაშალა. ამიტომაც გიყვებით ამ ამბავს. ადრე რა ვთქვით? თუ რამდენჯერმე გაიმეორებ რამეს, არასოდეს დაგავიწყდება. ისიც შემიძლია გიამბოთ, რა მოხდა მას შემდეგ, რაც წიგნის ქურდის სიტყვები გაჩერდა და როგორ გავიგე ეს ყველაფერი პირველი პირისგან. აი, ასე!

წარმოიდგინეთ, რომ სიბნელეში ჰიმელ-სტრიტს მიუყვებით, თმა გისველდებათ და ატმოსფერული წნევა მკვეთრად იწევს დაბლა. პირველი ბომბი ტომი მიულერის კორპუსს ეცემა, ჩაძინებულს, სახე უცოდველად უთამაშებს, მე კი მის საწოლთან ვეშვები მუხლებზე. შემდეგ მისი და, კრისტინა. ფეხი აქვს საბნიდან გამოყოფილი, ეზოში დახაზულ კლასობანაში სწორედ იმ ფეხის ანაბეჭდებია. დედას რამდენიმე მეტრში სძინავს, საფერფლეში ოთხი ფორმადაკარგული სიგარეტი ზის, უსახურავო ჭერი კი გავარვარებული ელექტროლუმელივით წითელია, ჰიმელ-სტრიტი იწვის...

სირენები ღმუილს იწყებს.

— მეტისმეტად გვიანია გაფრთხილება, — ვჩურჩულებ მე, — რადგან ყველა მოტყუვდა, კიდევ ერთხელ მოტყუვდა. მოკავშირეებმა მიუნხენზე თავდასხმის შესახებ გაავრცელეს ჭორი და შტუტგარტს დაარტყეს. მაგრამ მერე ათი თვითმფრინავი დარჩა. ოჰ, მაშინ კი ნამდვილი სიგნალი ჩაირთო და მას მოლკინგში ბომბების ჩამოყრა მოჰყვა.

ქუჩების ჩამოთვლა

მიუნხენი, ელენბერგი, იოჰანსონი, ჰიმელი. მთავარი ქუჩა + და კიდევ სამი, ქალაქის ღარიბულ ნაწილში.

რამდენიმე წუთში ყველა მათგანი განადგურდა.

ეკლესია მიწასთან გასწორდა.

ის ადგილი, სადაც მაქს ვანდენბურგმა წამოდგომა შეძლო, საერთოდ ჩაიქცა.

ჰიმელ-სტრიტის 31 ნომრის სამზარეულოში ფრაუ ჰოლ-ცაპფელი თითქოს მელოდა. ქალის წინ დამსხვრეული ფინჯა-ნი ეგდო და გამოლვიძებულს, სახეზე ეწერა, ასე რად დაიგვია-ნეო.

ფრაუ დილერს კი პირიქით, ღრმად ეძინა. ტყვიაგაუმტა-რი მინის ნამსხვრევები საწოლთან ეყარა. მაღაზია ალარ იყო, დახლები გზაზე გადაეგდო, ჩარჩოში ჩასმული ჰიტლერის ფოტოსურათი კედლიდან ჩამოვარდნილიყო და დამსახურე-ბისამებრ, ნაგლეჯებად და ნამსხვრევებად ქცეულიყო. შეს-ვლისას ზედ გადავუარე.

ფიდლერები მონესრიგებული დამხვდნენ. იწვნენ და გადა-საფარებლები ეფარათ.

პფიფიკუსს საბანში ცხვირიც კი ჩაემალა.

შტაინერებთან თითებით შევეხე ბარბრას ლამაზ, დავარ-ცხნილ თმას, სერიოზულად დავხედე კურტს სერიოზულ სახეზე, ერთმანეთის მიყოლებით ჩავკოცნე უმცროსები და ღამე მშვიდობისა ვუსურვე.

მერე რუდი.

ო, ჯვარცმულო იესო, რუდი...

ლოგინში იწვა ერთ-ერთ დასთან ერთად. გოგონამ ალ-ბათ ბევრი იბრძოლა, სივრცის მეტი ნაწილი რომ მიესაკუ-თრებინა, რადგან ბიჭი საწოლის კიდეში მიწეულიყო და დისთვის ხელი მოეხვია. ეძინა. ლოგინს ცეცხლი ეკიდა მისი

სანთელივით თმისგან. ხელში ავიყვანე რუდიც, ბეტინაც, სანამ მათი სულები ჯერ კიდევ საბანში იყო გახვეული. სხვა თუ არაფერი, სწრაფად დაიხოცნენ სითბოში. „ბიჭი თვითმფრინავიდან, — გავიფიქრე. — ბიჭი პლუშის დათუნიით. სად არის ის, ვინც მას უნდა თანაუგრძნოს? ვინ ანუგეშებს იმ წამს, როცა სიცოცხლის ფარდაგი ფეხქვეშ გამოეცლება?"

იქ მხოლოდ მე ვიყავი.

მე კი თანაგრძნობა არ მეხერხება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცივი თითებით ვეხები თბილ ლოგინს. მიწასთან გასწორებულ ქუჩაში ფრთხილად გავიყვანე, ცალი თვალი მარილიანი მქონდა, გული — დამძიმებული და დამღუპველი. რუდისთვის მეტად დავიხარჯე. ვუცქერდი მისი სულის ნაწილებს და წამით ის ბიჭი დავინახე, ჯესი ოუენსის სახელს რომ იძახდა და წარმოსახვით საფინიშო ხაზს კვეთდა. დავინახე, როგორ იდგა წელამდე გაყინულ წყალში და წიგნის დაჭერას ცდილობდა, დავინახე, როგორ იწვა ლოგინში და ცდილობდა, წარმოედგინა, რა გემო ექნებოდა მშვენიერი მეზობლის კოცნას. რაღაც დამმართა ამ ბიჭმა. ყოველთვის რაღაცას მმართებდა. ეს ერთადერთი ზიანია მისგან. გულზე დამადგა ფეხი. ამატირა.

დაბოლოს, ჰუბერმანები.

ჰანსი.

მამა.

მაღალი იყო, ლოგინში იწვა და ქუთუთოებქვეშ ვერცხლის თვალებს ვარჩევდი. მისი სული დიდხანს მელოდა. ერთმანეთს შევხვდით. ასეთი სულები, როგორც ყოველთვის, საუკეთესონი არიან. ყოველთვის ფეხზე მხვდებიან, სიტყვებით: „ვიცი, ვინც ხარ და მზად ვარ. მართალია, არ მინდა, მაგრამ გამოგყვები". ასეთი სულები მსუბუქია, რადგან უმეტესობა გამზადებულია წასასვლელად. თავისით მიიკვლევენ გზას სხვა სამყაროსკენ. ესეც გამომყვა და აკორდეონის სუნთქვა, ზაფხულში მირთმეული შამპანურის უცნაური გემო, დანაპირების შესრულების ხელოვნება გამოიყოლა თან. იწვა ჩემს მკლავებზე და ისვენებდა.

ვგრძნობდი, როგორ ექავებოდა ფილტვები უკანასკნელი მოწეული სიგარეტისგან და როგორ მიიწევდა სარდაფისკენ, გოგოსკენ. ის მისი ქალიშვილი გახლდათ, წიგნს წერდა იმედით, რომ ოდესმე წააკითხებდა.

ლიზელი.

გზად ჰანსის სული ჩურჩულებდა, მაგრამ ლიზელი არ იყო იმ სახლში. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

ჩემთვის იქ როზა იყო და დიახ, ნამდვილად მახსოვს, რომ შუა ხვრინვისას წამოვიყვანე, პირი ღია ჰქონდა და სიფრიფანა ვარდისფერ ტუჩებს ამოძრავებდა. რომ დავენახე, დარწმუნებული ვარ, ღორიშვილოო, დამიძახებდა, მაგრამ მე ნაწყენი არ დავრჩებოდი. „წიგნის ქურდის“ კითხვისას შევიტყვე, ყველას ასე რომ მიმართავდა. ღორიშვილო. ღორუკელა. განსაკუთრებით მათ, ვინც უყვარდა. ელასტიკური თმა გაეშალა, ბალიშზე გადაეფინა, კამოდივით სხეული გულისცემასთან ერთად იბერებოდა და იჩუტებოდა. ეჭვი არ შეგეპაროთ, ამ ქალს ნამდვილად ჰქონდა გული, იმაზე დიდიც კი, ვიდრე ხალხს წარმოედგინა. მას ბევრი რამ ჰქონდა, რაც თვალმიუწვდომელი სიმაღლის უხილავ თაროებზე შემოედო. არ დაგავიწყდეთ, ეს ის ქალი იყო, რომელმაც უგრძელესი ღამეები აკორდეონთან ჩახუტებულმა გაატარა, რომელმაც ისე დააპურა ებრაელი მოლკინგში ჩამოსვლის პირველ ღამეს, რომ არაფერი უკითხავს. სწორედ როზამ შეყო ხელი ლეიბში და იქიდან მოზარდი გოგონასთვის განკუთვნილი წიგნი გამოაძვრინა.

ბოლო გამართლება

ქუჩიდან ქუჩაზე გადავდიოდი და
ბოლოს ჰიმელ-სტრიტზე მივხეტიალდი.
ერთი კაცი უნდა წამეყვანა, გვარად შულცი.

ის ნანგრევებში იყო მოყოლილი და სანამ მისი სული მიმყავდა, ჰიმელ-სტრიტზე LSE-ის ჯარისკაცები შევნიშნე, ხმაურითა და სიცილით მოდიოდნენ.

იქ, ნანგრევების მთიანეთზე, ბილიკი იყო.

წითელი ცა ვარვარებდა, იმღვრეოდა, ზედ პილპილის მარცვლების მორევები წარმოიქმნებოდა. დავინტერესდი. დიახ, დიახ. მახსოვს, რაც დასაწყისში ვთქვი. ჩვეულებრივ, ცნობისმოყვარეობა რაღაც აუწერელ ადამიანურ ტრაგედიას გადამყრის ხოლმე, მაგრამ მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მეტკინა გული, მიხაროდა, იქ რომ ვიყავი.

გოგონა ნანგრევებიდან რომ ამოიყვანეს, აქვითინდა და ტირილით უხმო ჰანს ჰუბერმანს. LSE-ის ჯარისკაცებმა სცადეს, დამტვერილი ხელებით გაეკავებინათ, მაგრამ წიგნის ქურდმა დასხლტომა მოახერხა, სასონარკვეთილი ადამიანი რას არ იზამს. არც კი იცოდა, სად გარბოდა, რადგან ჰიმელ-სტრიტი აღარ იყო, ახალი და აპოკალიფსური სურათი გადაიშალა მის წინ. რამ გააწითლა ცა? რატომ მოდიოდა თოვლი? რატომ უწვავდა ფიფქები ხელებს?

ლიზელმა სირბილს უკლო, ბარბაცით გააგრძელა გზა და სცადა, ყურადღება მოეკრიბა.

— სად არის ფრაუ დილერი? — ფიქრობდა, — სად არის...

ასე იხეტიალა ერთხანს, სანამ იმ კაცმა, რომელმაც იპოვა, ხელი არ ჩაჰკიდა და უთხრა:

— თავზარდაცემული ხარ, ჩემო გოგო. შოკმა ასე იცის. მალე გაგივლის.

— რა მოხდა? — ჰკითხა ლიზელმა, — ეს ჰიმელ-სტრიტია?

— დიახ, — კაცს თვალებში იმედგაცრუება ედგა. რაღა არ ენახა ბოლო რამდენიმე წელიწადში, — დიახ, ჰიმელია, დაბომბვაში მოჰყევით, ჩემო გოგონა. Es tut mir leid, schatzi. ვწუხვარ, ძვირფასო.

ლიზელი აღარ მიდიოდა, იდგა. ტუჩებს ამოძრავებდა. დაავიწყდა, როგორ ეძახდა აქვითინებული ჰანს ჰუბერმანს. ეს მრავალი წლის წინ მოხდა — ასეა ხოლმე დაბომბვაში რომ მოჰყვები.

— უნდა წავიდეთ, მამა და დედა ამოვიყვანოთ, მაქსი უნდა ამოვიყვანოთ სარდაფიდან. იქ თუ არ დაგვხვდა, დერეფანში იდგება, ფანჯარასთან. ასე იქცევა საჰაერო თავდასხმებისას. ის ხომ ცას ასე იშვიათად ხედავს. უნდა ვუამბო, როგორი ამინდია. თუმცა, არ დამიჯერებს...

უცებ მოიხარა, მაგრამ LSE-ის ჯარისკაცმა ხელი შეაშველა და ჩამოსვა.

— ერთ წუთში დავბრუნდებით.

შემდეგ რაღაც უთხრა სერჟანტს. წიგნის ქურდმა ხელებზე დაიხედა, მძიმე და ტკივილისმომგრელი ნივთი ეჭირა.

წიგნი.

სიტყვები.

თითებიდან სისხლი სდიოდა, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, ამ ქალაქში რომ ჩამოვიდა.

ჯარისკაცი წამოდგომაში დაეხმარა და წაიყვანა. ხის კოვზი ცეცხლში ეგდო. კაცმა აკორდეონის გატეხილი ბუდით ჩაუარა და ლიზელმა მასში საკრავს მოჰკრა თვალი. თეთრი კბილები და მათ შორის — შავები. უღიმოდნენ, რეალობაში აბრუნებდნენ. „დაგვბომბეს", გაიფიქრა. მერე კაცს მიუბრუნდა:

— ეს მამის აკორდეონია, — ისევ, — ეს მამაჩემის აკორდეონია.

— ნუ დარდობ, სამშვიდობოს ხარ, სულ ცოტა დაგვრჩა გასავლელი.

მაგრამ ლიზელი არ გაჰყვა.

იქით გაიხედა, საითაც კაცს აკორდეონი მიჰქონდა და დაედევნა. წითელი ციდან ისევ ლამაზი ფერფლის თავსხმა მოდიოდა, შეჩერდა, LSE-ის მაღალ მუშას შეხედა და უთხრა:

— თუ წინააღმდეგი არ ხართ, გამოგართმევთ, მამაჩემისაა, — შემდეგ ფრთხილად გამოართვა და ხელში დაიკავა. სწორედ ამ დროს დაინახა პირველი გვამი და საკრავი ისევ გაუვარდა. აფვთქების ხმა.

ფრაუ ჰოლცაპფელს მაკრატელივით გაეშალა ფეხები და მიწაზე ეგდო.

ლიზელ მემინგერის მომდევნო თორმეტი წამი

მოტრიალდება და
გაჰყურებს დანგრეულ არხს,
ეს ერთ დროს ჰიმელ-სტრიტი იყო.
ორ კაცს ხედავს, რომლებსაც გვამი მიაქვთ
და მათ მიჰყვება.

სხვებიც რომ დაინახა, ხველა აუვარდა. გაიგონა, როგორ უთხრა ერთმა დანარჩენებს, დაჩეხილი გვამები ნეკერჩხლის ერთ-ერთ ხეზე ვიპოვეთო.

შეძრწუნებული პიჟამები და დახეული სახეები. პირველად ბიჭის თმას მოჰკრა თვალი.

— რუდი?

ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ბაგეებს მოწყეტილი სიტყვა.

— რუდი!

ბიჭი ყვითელი თმითა და დახუჭული თვალებით იწვა. წიგნის ქურდი მივარდა, მუხლებზე დაეშვა, შავი წიგნი გაუვარდა ხელიდან.

— რუდი, — ქვითინებდა, — გაიღვიძე... — პერანგში ჩაავლო ხელი და სასოწარკვეთილმა შეარხია, — გაიღვიძე, რუდი, — ცა უფრო მეტად ვარვარებდა და ფერფლის ჩამოყრას განაგრძობდა, ლიზელს კი რუდი შტაინერის პერანგისთვის ჩაევლო ხელი, — რუდი, გევედრები, — ცრემლები ებრძოდა სახეს, — რუდი, გემუდარები, გაიღვიძე, დასწყევლოს ღმერთმა, გაიღვიძე, მიყვარხარ. მიდი, რუდი, მიდი, ჯესი ოუენს, ნუთუ არ იცი, რომ მიყვარხარ, გაიღვიძე, გაიღვიძე, გაიღვიძე...

მაგრამ არაფერმა უშველა.

ნანგრევების მთიანეთი იზრდებოდა. ბეტონის გორები წითელი ქუდებით. ლამაზი გოგო ცრემლიანი სახით გვამს ანჯღრევდა.

— მიდი, რა, ჯესი ოუენს...

მაგრამ ბიჭმა არ გაიღვიძა.

ეს დაუჯერებელი იყო მისთვის, თავი რუდის მკერდში ჩარგო. უსიცოცხლო სხეული წამოუწია, რამდენჯერმე სცადა, წამოეყენებინა, შემდეგ კი სასაკლაოდ ქცეულ მიწაზე დაასვენა. ფრთხილად. ძალიან ფრთხილად.

ნელა. ნელა.

— ღმერთო, რუდი!..

დაიხარა, უსიცოცხლო სახეზე დახედა და საუკეთესო მეგობარს, რუდი შტაინერს, აკოცა ნაზად და ერთგულად. მტვრისა და ოფლის გემო შეიგრძნო. რუდის ტუჩებს ხეების ჩრდილში გამოთქმული სინანულისა და ანარქისტის კოსტიუმების კოლექციის გემო დაჰკრავდა. დიდხანს და ნაზად კოცნიდა, და როცა ბაგეებს მოსწყდა, თითებით შეეხო მათ. ხელები უკანკალებდა. სავსე ტუჩები ჰქონდა. კიდევ დაიხარა, ამჯერად თავი ველარ შეიკავა, მოძრაობა ვერ გათვალა და ჰიმელ-სტრიტის განადგურებულ სამყაროში მათი კბილები მიერტყა ერთმანეთს.

რუდისთვის არ უთქვამს „მშვიდობით", ვერ შეძლო. რამდენიმე წუთი დაყო მის გვერდით და მერე მიწას ძლივს მოსწყვიტა სხეული. მაოცებენ ის ადამიანები, ცრემლები ღვარად რომ ჩამოსდით, ბარბაცებენ, ახველებენ, ეძებენ და პოულობენ.

მომდევნო აღმოჩენა

დედის და მამის სხეულები
ორივე ჰიმელ-სტრიტის
ხრეშის ზეწარში გახვეულიყო.

ლიზელი არ გაქცეულა, ნაბიჯი არ გადაუდგამს, არც კი განძრეულა, თვალი შეავლო ადამიანებს და მზერადაბინდული შედგა, მაღალი მამაკაცი და დაბალი, კამოდივით ქალი რომ შენიშნა. ეს დედაა. ეს მამაა. სიტყვები გოგონას ჩააფრინდნენ.

— არ მოძრაობენ, — თქვა წყნარად, — არ მოძრაობენ. — დიდხანს და გაუნძრევლად რომ მდგარიყო, ალბათ ამოძრავდებოდნენ კიდეც, მაგრამ ასე არ მოქცეულა. სწორედ იმ დროს შევნიშნე, ფეხზე რომ არ ეცვა. რა უცნაურია, ასეთ დროს რომ

შეამჩნევ. ალბათ ვცდილობდი, სახეში არ შემეხედა, რადგან წიგნის ქურდი განადგურებული იყო.

ერთი ნაბიჯი გადადგა, მეორეს გადადგმა აღარ სურდა, მაგრამ მაინც განაგრძო სვლა. ნელა მიუახლოვდა დედ-მამას და მათ შორის ჩაჯდა. დედას ხელი მოჰკიდა და დაელაპარაკა:

— გახსოვს, აქ რომ ჩამოვედი, დედა? ჭიშკარს ჩავებღაუჭე და ავტირდი. გახსოვს, რა უთხარი იმ დღეს ქუჩაში შეკრებილ ხალხს? — ხმა აუკანკალდა, — რას მიშტერებიხართ, გამოთაყვანებულებო! — ისევ მოჰკიდა ხელი და მაჯაზე შეეხო. — დედა, ვიცი... ძალიან მომეწონა, სკოლაში რომ მოხვედი და მითხარი, მაქსი გონს მოვიდაო. იცი? მამის აკორდეონით დაგინახე. — უფრო მაგრად მოუჭირა გაქვავებულ ხელზე, — ვიდექი და თვალს ვერ გწყვეტდი, ლამაზი იყავი, დასწყევლოს ღმერთმა, ძალიან ლამაზი, დედა.

თვალის არიდების ხანგრძლივი მცდელობა

მამა. არ უყურებდა,
არ შეეძლო შეეხედა.
ჯერ არა. ჯერ არა.

მამა მიცვალებულისთვალებიანი კი არა, ვერცხლისთვალებიანი იყო.

მამა აკორდეონი იყო!

თუმცა, საბერველში ჰაერი აღარ ჰქონდა.

არც არაფერი ჩადიოდა მასში, აღარც ამოდიოდა.

გოგონამ აქეთ-იქით რწევა დაიწყო. გულისგამგმირავი, მშვიდი, დალაქავებული ნოტი სადღაც ყელში გაეჩხირა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, მიტრიალებას შეძლებდა.

მამისკენ.

აქ კი თავი ველარ შევიკავე. ახლოს მივედი, უკეთ რომ დამენახა და როგორც კი მის სახეს თვალი შევავლე, მივხვდი, აი, ვინ უყვარდა ყველაზე მეტად. მზერით ეფერებოდა სახეზე. ლოყებზე გაჩენილ ხაზებს მიუყვებოდა. ის იჯდა აბაზანაში ლიზელთან ერთად და თუთუნის შეხვევას ასწავლიდა. მან

მისცა პური მკვდარ კაცს მიუნხენის ქუჩაზე და გოგონას უთხრა, — დაბომბვისას თავშესაფარში წიგნის კითხვა გააგრძელეო.

ასე რომ არ მოქცეულიყო, ალბათ ლიზელი სარდაფში წერას არც დაიწყებდა.

მამა — აკორდეონისტი — და ჰიმელ-სტრიტი.

ერთი ვერ იარსებებდა, მეორე რომ არ ყოფილიყო, რადგან ორივე სახლი იყო ლიზელისთვის. დიახ. აი, ვინ გახლდათ ჰანს ჰუბერმანი ლიზელ მემინგერისთვის.

გოგონა შებრუნდა და LSE-ის დაელაპარაკა.

— გთხოვთ, — თქვა, — იქნებ მამას აკორდეონი მომიტანოთ?

ხანში შესული კაცი ცოტა ხანს დაბნეული იდგა, შემდეგ კი აკორდეონის შეჭმული ბუდე მოიტანა. ლიზელმა გახსნა. დაზიანებული საკრავი ამოიღო და მამის გვამთან დადო.

— აი, მამა.

გარწმუნებთ, რასაც ახლა გიყვებით, თავად შევესწარი წლების წინ — წიგნის ქურდი ვიხილე. ჰანს ჰუბერმანთან ჩამუხლულმა დაინახა, როგორ წამოჯდა ის და აკორდეონზე დაიწყო დაკვრა. დანგრეული სახლების ალპებში იდგა, საკრავით. ვერცხლის თვალები ჰქონდა. პირში სიგარეტი ედო. საბერველი სუნთქავდა, მაღალი კაცი უკანასკნელად უკრავდა ლიზელ მემინგერისთვის, ამ დროს ცას ნელ-ნელა იღებდნენ ღუმლიდან.

დაკვრა განაგრძე. მამა.

მამა შეჩერდა.

აკორდეონი დაუვარდა, ვერცხლის თვალებმა კი ჟანგვა განაგრძო. მიწაზე ახლა მხოლოდ სხეული ეგდო, ლიზელმა ნამოსნია, მოეხვია და ცრემლი აწვიმა ჰანს ჰუბერმანს მხრებზე.

— მშვიდობით, მამა, შენ გადამარჩინე. შენ მასწავლე კითხვა. შენსავით ვერავინ უკრავს. შამპანურს აღარასოდეს დავლევ. შენსავით ვერავინ უკრავს.

ხელები მოხვეული ჰქონდა. მხრებზე კოცნიდა — სახეში შეხედვა აღარ შეეძლო — შემდეგ ისევ დააწვინა.

წიგნის ქურდი მანამ ქვითინებდა, სანამ არ წამოაყენეს და წაიყვანეს.

მოგვიანებით აკორდეონი გაახსენდათ, წიგნი კი ვერავინ შენიშნა.

იმდენი სამუშაო იყო, „წიგნის ქურდს“ რამდენჯერმე გადაუარეს, შემდეგ კი არც შეუხედავთ, ისე მოისროლეს ნაგვის მანქანაზე. სანამ სატვირთო წავიდოდა, სწრაფად ავცოცდი და ავიღე...

ბედმა გამილიმა, იქ რომ აღმოვჩნდი.

ნეტავ ვის ვასულელებ? სხვადასხვა ადგილას ერთხელ მაინც ვარ ნამყოფი, 1943-ში კი თითქმის ყველაფერი მოვიარე.

ეპილოგი

უკანასკნელი ფერი

მონაწილეობენ:

სიკვდილი და ლიზელი — ხის რამდენიმე ცრემლი — მაქსი — შუამავალი.

სიკვდილი და ლიზელი

ამ ყველაფრის მერე დიდი დრო გავიდა, მე კი ისევ ძალიან დაკავებული ვარ. გარწმუნებთ, ეს სამყარო ქარხანაა. მზე ამოძრავებს, ადამიანები მართავენ. მე არსად მივდივარ. ისინი მიმყავს.

რაც შეეხება ამბის დასასრულს, არ მივედ-მოვედები, დავიღალე, ძალიან დავიღალე და ყველაფერს პირდაპირ გეტყვით.

უკანასკნელი ფაქტი

უნდა გითხრათ,
რომ წიგნის ქურდი
მხოლოდ გუშინ გარდაიცვალა.

ლიზელ მემინგერმა საკმაოდ დიდხანს იცოცხლა, მოლკინგისა და განადგურებული ჰიმელ-სტრიტისგან შორს.

სიდნეის გარეუბანში დალია სული. 45-ნომერ სახლში — ფიდლერების თავშესაფარივით — იმ ნაშუადღევს ცას საუკეთესო სილურჯე დაჰკრავდა. მისი სულიც, მამასავით, წამომდგარი შემეგება.

უკანასკნელ ხილვაში მან ნახა სამი შვილი, შვილიშვილები, ქმარი და ის ადამიანები, რომლებთან ერთადაც გაატარა ცხოვრება. მათ შორის კელაპტრებივით ენთნენ ჰანს და როზა ჰუბერმანები, ძმა და ბიჭი, რომელსაც ლიმონისფერი თმა სამუდამოდ შერჩა.

თუმცა, სხვა ხილვებიც ჰქონდა.
მომყევით, რაღაც უნდა მოგიყვეთ.
რაღაც უნდა გიჩვენოთ.

ხე ნაშუადღევს

ჰიმელ-სტრიტი რომ გაწმინდეს, ლიზელ მემინგერს წასასვლელი არსად ჰქონდა. ის, ვისაც ასე მოიხსენიებდნენ — „გოგონა აკორდეონით“, პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს და ვერაფრით გადაწყვიტეს, რა მოეხერხებინათ მისთვის.

ლიზელი ძალიან მაგარ სკამზე იჯდა. აკორდეონი კი გახეული ბუდიდან იჭყიტებოდა.

სამი საათი მაინც გავიდა, სანამ პოლიციის შენობაში მერი და ფუმფულათმიანი ქალი გამოჩნდებოდნენ.

— ამბობენ, რომ აქ გოგონა გყავთ, — თქვა ქალბატონმა, — რომელიც ცოცხალი იპოვეს ჰიმელ-სტრიტზე.

პოლიციელმა გოგო აჩვენა.

ილზა ჰერმანმა შესთავაზა, აკორდეონს მე წამოვიღებო, მაგრამ ლიზელს მაგრად ჩაევლო ხელი საკრავისთვის და პოლიციის განყოფილების კიბეზე ჩადიოდა. მიუნხენის ქუჩიდან რამდენიმე კვარტალში დაბომბილ ქუჩას ქალაქის იღბლიანი ნაწილისგან მკვეთრი ხაზი ყოფდა.

მერი მანქანას მართავდა.

ილზა გოგონასთან ერთად უკანა სავარძელზე იჯდა.

გოგონას ხელი აკორდეონის ბუდეზე ედო. საკრავი შუაში ჩაედოთ.

ასეთ ვითარებაში უფრო ადვილი იქნებოდა, არ ელაპარაკა, მაგრამ ლიზელ მემინგერს თავსდატეხილ უბედურებაზე საპირისპირო რეაქცია ჰქონდა. მერის ჩინებულ, ცარიელ ოთახში იჯდა და მთელი ღამე საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. ძალიან ცოტა ჭამა. ერთადერთი, რაზეც უარი განაცხადა, დაბანა იყო.

ოთხი დღე ფანტავდა ჰიმელ-სტრიტის ნარჩენებს გრანდ-შტრასეს 8 ნომერი სახლის ნოხებსა და იატაკზე. ბევრი ეძინა, მაგრამ სიზმარს არ ხედავდა და წუხდა, როცა იღვიძებდა. ძილში ყველაფერი ქრებოდა.

ილზა ჰერმანმა ზრდილობიანად შესთავაზა დაკრძალვის დღეს, ხომ არ დაიბანო, მაგრამ ისევ უარი მიიღო. მანამდე ქალმა სააბაზანოც აჩვენა და პირსახოციც მიანოდა.

ჰანს დარროზა ჰუბერმანების დაკრძალვაზე მისული ხალხი სულ იმ გოგონაზე საუბრობდა, რომელიც ლამაზ კაბაში იყო გამოწყობილი, მაგრამ ტანზე ჰიმელ-სტრიტის ჭუჭყის ფენა შერჩენოდა. ჭორიც კი გავრცელდა: იმავე დღეს, მოგვიანებით, გოგონა მდინარე ამპერში ჩაცმული შევიდა და რაღაც ძალიან უცნაური თქვაო.

კოცნაზე.

ღორუკელაზე.

რამდენჯერ დაემშვიდობა?

მას მერე კვირები და თვეები გავიდა. ომიც უამრავი იყო. როცა განსაკუთრებულად წუხდა, მაშინ ახსენდებოდა თავისი წიგნები, უფრო მეტად ის, რომელიც მისთვის შეიქმნა და ისიც, რომელმაც მისი სიცოცხლე იხსნა. ერთ დილით, სულით ხორცამდე შეძრული, ისევ გაემართა ჰიმელ-სტრიტზე მათ მოსაძებნად, მაგრამ იქ არაფერი დარჩენილიყო. რა გაუნელებდა ტკივილს. არაფერი. მხოლოდ — წლები და ხანგრძლივი სიცოცხლე.

შტაინერების ოჯახის დაკრძალვის ცერემონიალი ორჯერ ჩატარდა. პირველად გარდაცვალებისთანავე. მეორედ კი მას შემდეგ, რაც ალექს შტაინერი მომხდარის გამო შინ ჩავიდა.

თავისიანების ამბავი შეიტყო თუ არა, ალექსი თვალსა და ხელს შუა დაპატარავდა.

— ჯვარცმულო იესო — თქვა, — ნეტავ, რუდი იმ სკოლაში გამეშვა.

გგონია, გადარჩენას ცდილობ.

სინამდვილეში — კლავ.

აბა, რა იცოდა?

ერთადერთი, რაშიც ეჭვი არ ეპარებოდა, ის იყო, რომ ყველაფერს მისცემდა, იმ ღამით ჰიმელ-სტრიტზე ყოფნისა და რუდის გადარჩენის სანაცვლოდ.

სწორედ ეს უთხრა ლიზელს გრანდ-შტრასეს 8 ნომერი სახლის კიბეზე. როგორც კი გოგონას გადარჩენის ამბავი გაიგო, მაშინვე იქ მივიდა.

იმ დღეს, კიბეზე, ალექს შტაინერი ორად გააპეს.

ლიზელმა უთხრა, რომ ტუჩებში აკოცა რუდის. ცოტა ეუხერხულა, მაგრამ იფიქრა, ალექს შტაინერს მოუნდებოდა ამის ცოდნა. ხის ცრემლები მოგორავდა მუხის ღიმილზე. ლიზელის ხილვაში ცა ნაცრისფერი და პრიალა იყო. ვერცხლის ნაშუადღევი.

მაქსი

ომი რომ დასრულდა და ჰიტლერი თავისი ნებით ჩამივარდა ხელში, ალექს შტაინერმა სამკერვალო ისევ გახსნა. მართალია, ფული აღარ ჰქონდა, მაგრამ დღეში რამდენიმე საათი დაკავებული იყო და ლიზელიც თან ახლდა ხოლმე. დღეებს ერთად ატარებდნენ, ხშირად გათავისუფლებულ დაჰაუში მიდიოდნენ, მაგრამ ამერიკელები შესვლაზე უარს ეუბნებოდნენ.

ბოლოს, 1946 წლის ოქტომბერში ჭაობისთვალებიანი, ბუმბულისთმიანი და სუფთად გაპარსული კაცი მაღაზიაში შევიდა. დახლს მიუახლოვდა.

— აქ ლიზელ მემინგერი ხომ არ მუშაობს?

— დიახ, უკანა ოთახშია, — უპასუხა ალექსმა, იმედი მიეცა, მაგრამ უნდოდა, დარწმუნებულიყო, — შეიძლება გავიგო, ვინ კითხულობს?

ლიზელი გამოვიდა.

ერთმანეთს გადაეხვივნენ, ატირდნენ და იატაკზე დაეშვნენ.

შუამავალი

დიახ, ბევრი რამ მინახავს სამყაროში. უდიდესი კატასტროფებისა და უდიდესი ბოროტმოქმედების მომსწრე გავმხდარვარ.

მაგრამ სხვაც ბევრი მახსოვს.

უამრავი ისტორიაა (როგორც გითხარით, მთელი სკივრია ამბების), რომელიც მეხმარება, სამუშაოს მოვწყდე, ფერებივით მასვენებს. მე მათ ყველაზე უიღბლო, ყველაზე საცოდავ ადგილებში ვაგროვებ და მუშაობისას ვიხსენებ. *„წიგნის ქურდი“* ერთ-ერთია იმ ამბავთაგან.

ლიზელის ნასაყვანად სიდნეიში რომ ჩავედი, როგორც იქნა, შევძელი, ის გამეკეთებინა, რასაც ამდენ ხანს ველოდი. ძირს ჩამოვსვი და ანზაკ-ავენიუს საფეხბურთო მოედნისკენ რომ ჩავუყევით, ჯიბიდან დამტვერილი შავი წიგნი ამოვიღე.

მოხუცი ქალი განცვიფრდა, გამომართვა და თქვა:

— ნამდვილად ის არის?

თავი დავუქნიე.

ძალიან ფრთხილად გადაშალა „წიგნის ქურდი“:

— არ მჯერა...

მიუხედავად იმისა, რომ ფურცლები გაიცრიცა, სიტყვების ამოკითხვა მაინც შეძლო. სულის თითებით შეეხო მოთხრობას, რომელიც დიდი ხნის წინ დაწერა ჰიმელ-სტრიტის სარდაფში.

ტროტუარზე ჩამოჯდა და მეც მის გვერდით მოვკალათდი.

— წაიკითხე? — მკითხა, მაგრამ არ შემოუხედავს. თვალი სიტყვებს გაუშტერა.

თავი დავუქნიე:

— რამდენჯერმე.

— გაიგე?

აი, აქ კი დუმილი ჩამოწვა.

რამდენიმე მანქანამ ჩაგვიარა, სავალი ნაწილის ორივე მხრიდან. მანქანებს ჰიტლერი, ჰუბერმანები, მაქსი, მკვლელები, დილერები და შტაინერები მართავდნენ.

ბევრჯერ მქონია სურვილი, წიგნის ქურდისთვის სილამაზესა და ბოროტებაზე მეამბა. მაგრამ რა მეთქვა, თუკი ისედაც ყველაფერი იცოდა? მინდოდა, მელიარებინა, ადამიანთა მოდგმას ხან არარაობად ვთვლი, ხანაც მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და იშვიათად, თუ გამომივა მათი მარტივად შეფასება-მეთქი. მინდოდა მეკითხა, როგორ შეიძლება, ერთი და იგივე რამ ერთდროულად შემზარავიც იყოს და დიდებულიც, სიტყვები კი — სასტიკიც და ბრწყინვალეც-მეთქი.

არაფერი მითქვამს.

ერთადერთი, რაც შევძელი, ის იყო, რომ ლიზელ მემინგერს მივუბრუნდი და ის სიმართლე გავუმხილე, რაშიც დარწმუნებული ვიყავი. მაშინ წიგნის ქურდს ვუთხარი, და ახლა თქვენ გეუბნებით.

უკანასკნელი შენიშვნა თქვენი მთხრობელისგან

მოსვენება დამიკარგეს ადამიანებმა.

მოკლე ინფორმაცია ავტორზე

მარკუს ზუზაკი ავსტრალიელი მწერალია. მისი ოჯახი იქ ავსტრიის დატოვების შემდეგ დასახლდა. „წიგნის ქურდის" მთავარი გმირის, ლიზელის დედობილ-მამობილის მსგავსად, ავტორის დედა გერმანელია, მამა მღებავად მუშაობდა. მთელი ბავშვობა მარკუსი მშობლებისგან ისმენდა საოცარ ამბებს ომზე, ნაცისტურ გერმანიაზე, მიუნხენის დაბომბვაზე, საკონცენტრაციო ბანაკებსა და იმ ებრაელ ტყვეებზე, რომლებსაც მიუნხენის მახლობლად მდებარე ბანაკამდე სანამ მიიყვანდნენ, ერთი ჰატარა ქალაქი ფეხით უნდა გაევლოთ – იმ ქალაქში მარკუსის დედა ცხოვრობდა. მოგვიანებით მწერალი იტყვის: „ბავშვობაში მოსმენილი ამბები მახსენებდა, საიდან ვარ და ვინ ვარ. ჩემი მშობლების განვლილი გზა, მათი მხნეობის მაგალითი და ბრძოლა გადარჩენისა და უკეთესი ცხოვრებისათვის წარმატების საფუძვლად მექცა. რა იქნებოდა თითოეული ჩვენგანი ისტორიის, წარსულის გარეშე".

ომის დროინდელი ბიოგრაფიები მარკუს ზუზაკმა თავის რომანებში გააცოცხლა. ახალგაზრდა მწერალი უკვე ექვსი რომანის ავტორია, მათ შორის ყველაზე ცნობილი და პოპულარული სწორედ „წიგნის ქურდია".

ისტორია გრძელდება. მარკუს ზუზაკის ჰატარა გოგონა მას ახლა მამისგან ისმენს.

მწერალსა და მის შემოქმედებაზე უფრო მეტის გაგება შეგიძლიათ **ჰალიტრა** L-ის ვებგვერდზე: Palitral.ge/teens და ასევე მწერლის პირად გვერდზე: Markuszusak.com ან Twitter-ზე.

დაიბეჭდა შპს „კოლორში